ა. ვ. ანიკინი

მეცნიერების სიჭაბუკე

მარქსამდელ მეცნიერ-ეკონომისტთა ცხოვრება და იდეები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

წიგნის ავტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახალისო მოთხრობების ფორმით გამოხატავს პოლიტიკურ ეკონომიაში მარქსის უდიდეს წინამორბედთა ცოცხალ სურათებს. მკითხველის თვალწინ წარმოდგება წარსულის მეცნიერთა მთელი პლეადა — ბუაგილბერი, პეტი, ქენე, სმიტი, რიკარდო, სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი და რიგი სხვა გამოჩენილ ძოაზროვნეთა, რომელთა შრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მარქსიზმის ჩამოყალიბებაში. მათი იდეები ახსნილია მჭიდრო კავშირში იმ ეპოქის თავისებურებებთან, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ავტორი გვიჩვენებს, რომ ამ მეცნიერების ზოგიერთი იდეა მნიშვნელოვანია დღესაც.

მეოთხე გამოცემაში, მესამე გამოცემასთან (1979 წ.) შედარებით, შეტანილია უმნიშვნელო ცვლილებანი და შესწორებანი.

წიგნი განკუთვნილია პოლიტიკური ეკონომიითა და მისი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

თარგმნა **თ. დემეტრაშვილმა.**

ქართული თარგმანის რედაქტორი ვ. ადვაძე
რეცენზენტები: ა. სილაგაძე
ი. კრავცოვი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989

0602000000
A ——————
М 608(06) 89

ISBN 5—511—0018—5

ავტორის წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

ამ წიგნის თარგმნა მოძმე ქართველი ხალხის ენაზე, მე, როგორც ავტორს, დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მისი მთავარი დანიშნულებაა, მკითხველი, გახსაკუთრებით ახალგაზრდა, შეიყვანოს ეკონომიკური აზრის ისტორიის საინტერესო სამყაროში, დახატოს ცოცხალი პორტრეტები იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ მეცნიერების სათავეებთან იდგხეხ. პირველ რიგში ლაპარაკია წარმომადგენლებზე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა, რომელიც მარქსიზმის ერთ-ერთი წყარო გახდა. წიგხის გამოყენება შეიძლება აგრეთვე უმაღლესი სკოლის სტუდენტების მიერ დამატებითი კითხვისათვის ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლისას.

ალბათ წიგნი უპასუხებს ამ საგნის პოპულარულად გადმოცემის ძომწიფებულ მოთხოვნებს, რაკი იგი ოთხჯერ გამოიცა და ითარგმნა რამდენიმე უცხო ენაზე. მაგრამ ქართული პირველია სსრ კავშირის ხალხთა ენებს შორის, რომელზეც იგი ითარგმნა.

საქართველოს თავისი მდიდარი ტრადიციები აქვს პოლიტიკური ეკოხომიის კლასიკური შემკვიდრეობის შესწავლაში. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფ. გ. გოგიჩაიშვილმა თარგმნა ადამ სმიტისა და დავიდ რიკარდოს მთავარი ნაწარმოებები ინგლისურიდან ქართულად. მარქსამდელი და მარქსისტული პერიოდის ქართულ ეკონომიკურ აზრს ეძღვნება პ. ბ. გუგუშვილის, გ. ი. მეგრელიშვილის, ვ. ს. ბახტაძის და სხვა მეცხიერთა შრომები. იმედი მაქვს, ჩემი წიგნის გამოცემა ერთგვარად ხელს შეუწყობს ქართველ მეცნიერთა შემდგომ მუშაობას ეკონომიკური აზრის ისტორიის სფეროში.

ამ წიგნის ქართული თარგმანის რედაქტირება ეკუთვნის პროფესორ ვ. ს. ადვაძეს, რომელსაც გულწრფელ მადლობას ვუხდი. მე მადლობელი ვარ მისი შრომის მოზიარის, მთარგმნელის, დოცენტ თ. ა. დემეტრაშვილისა, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ყველა თანამშრომლისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ წიგნის გამოცემაში.

ა. ანიკინი

შესავალი

ისტორიულ ქრონიკას წერს ის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია აწმყო, — თქვა გოეთემ. ყოველი ისტორიული ნაშრომი არა მარტო ეოგვითხრობს წარსულზე, არამედ გამოხატავს აგრეთვე ავტორის დამოკიდებულებას თანადროულობასთან და მის პრობლემებთან. ჩვეულებრივ ეს ავტორის ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება, მაგრამ არც თუ იშვიათად — შეგნებულადაც. არ შეიძლება წარსულის მოვლენების და იდეების ანალიზი „მოვარგოთ" თანამედროვე შეხედულებებს. ეს იწვევს ისტორიის ვულგარულ მოდერნიზაციას, აღსაწერი ეპოქის სპეციფიკის გაქრობას. მაგრამ შეიძლება და საჭიროცაა ისტორიის გაკვეთილების გამოყენება სინამდვილის უკეთ გაგებისათვის, და საბოლოო ანგარიშით — ამ სინამდვილის გარდასაქმნელად ადამიანების კეთილდღეობისათვის.

ყოველგვარი ცოდნა თავისი ბუნებით ისტორიულია, და ადამიანების ყოველგვარი საქმიანობა უცილობლად ემყარება წინა თაობების გამოცდილებას. განსხვავებული იდეოლოგია, სხვადასხვა მსოფლმხედველობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ისტორიის არაერთგვარად გაგებას. ეს აზრი კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „გერმანულ იდეოლოგიაში" გადმოსცეს მოხდენილი ფრაზით: ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, ისტორიის მეცნიერება[1].

ამ წიგნში მოთხრობილია წარსულის მეცნიერთა ცხოვრებასა და შრომაზე, იდეებზე, რომლებიც სიახლეს წარმოადგენდნენ ორი თუ სამი საუკუნის წინ. მაგრამ ეს ადამიანები და მათი იდეები ეკუთვნიან არა მხოლოდ წარსულს — მათი ცხოვრებისა და ბრძოლის გაკვეთილები მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც, XX საუკუნის დასასრულის ადამიანებისათვის. წიგნის ერთ-ერთი ამოცანა ისაა, რომ სრულად გამოავლინოს წარსულის კავშირი აწმყოსთან, გადოს ხიდი თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებთან.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მეცნიერების ისტორიას რომანზე მეტად შეუძლია გაგიტაცოს. მასში მონაწილეობენ ცოცხალი ადა-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 3, стр. 16.

მიანები თავიანთი ბისწრაფებებით და ოცნებებით, გამარჯვებებით და შეცდომებით. თავისი „რომანი“ აქვს პოლიტიკურ ეკონომიასაც — მეცნიერებას საზოგადოების მეურნეობრივი საფუძვლის შესახებ, მეურნეობის განვითარების კანონების შესახებ. ესაა რომანი მეცნიერებზე, რომელნიც ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ადამიანთა საზოგადოების ფიზიოლოგიას, იმ სფეროს, რომელზეც დამოკიდებულია თვით მისი არსებობა.

ერთი შეხედვით შეხამება — რომანი და პოლიტიკური ეკონომია — შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს. ბევრი ფიქრობს, რომ პოლიტიკური ეკონომია მშრალი, მოსაწყენი საგანია, ზოგნი კი დარწმუნებულნი არიან, რომ სხვაგვარად არც შეიძლება. ეს ასე არაა. საზოგადოების ეკონომიკური აგებულება მოიცავს მრავალ საინტერესო პრობლემას და ამოცანას. თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია არ განიცადოს ეკონომიკური მეცხიერების პრობლემების სიმწვავე, მათი მნიშვნელობა ცხოვრებისათვის. მეტად საჭიროა ფართო მკითხველისათვის ამის გაგება. ასეთი ამოცანა შეიძლება სხვადასხვა ხერხით გადაიჭრას — ერთ-ერთი მათგანია პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის პოპულარული თხრობა.

ამ მეცნიერების სათავეებთან იდგნენ შესანიშნავი ადამიანები, გამოჩენილი მოაზროვნენი, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს კაცობრიობის კულტურაში. მათი ცხოვრება და ბედი განუყოფელია მათს იდეებთან. მეცნიერებას ქმნიან ადამიანები და მისი ისტორია მოიცავს მეცნიერთა ცხოვრების აღწერას, როგორც მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

მეცხიერთა მოქმედება, ასევე ადამიანის მოღვაწეობა, ძირითადად დროით და ადგილით განისაზღვრება. ორთქლის ძრავა ხომ არ შეიძლებოდა შექმნილიყო ანტიკურ სამყაროში ან შუა საუკუნეებში, ასევე შრომითი ღირებულების თეორიის აღმოცენება მოითხოვდა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებს. არ შეიძლება მეცნიერთა შრომებისა და შეხედულებების გაგება ეპოქისა და მოცემულ ქვეყანაში მისი თავისებურებების გაუთვალისწინებლად.

ეპოქები, ადამიანები, იდეები — აი ამ წიგნის შინაარსი. ავტორის მიზანია ამ ელემენტების ორგანულ მთლიანობაში გადმოცემა.

წარსული ეკონომისტები და თანამედროვეობა

კაცობრიობის სიღრმისეული მამოძრავებელია მატერიალური დოვლათის წარმოება. ადამიანთა საზოგადოებას არსებობა და განვითარება შეუძლია მხოლოდ წარმოების პროცესების უწყვეტი განახლებისა და განმეორების წყალობით. ამიტომ ეკონომიკა ყოველი საზოგადოების ფუნდამენტია.

მარქსი ლაპარაკობდა ისეთ წარმოდგენათა უაზრობაზე, რომელთა ძიხედვითაც ანტიკური სამყარო ცხოვრობდა პოლიტიკით, ხოლო შუა საუკუნეები — კათოლიციზმით. კაცობრიობა ყოველთვის ცხოვრობდა ეკონომიკით და მხოლოდ ამ საფუძველზე შეეძლო არსებობა პოლიტიკას, რელიგიას, მეცნიერებას, ხელოვნებას. ეკონომიკის არასათახადო განვითარება — აი ამ ეპოქების შესახებ აღნიშნულ წარმოდგენათა მთავარი მიზეზი.

ამჟამად ეკონომიკა მბრძანებლურად იჭრება თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანებისა, რომლებიც ისწრაფვიან ბევრი იცოდნენ მასზე. უცხაურობა იქნებოდა, სადღეისო კითხვებზე პასუხი გვეძებნა გასული საუკუნის ეკონომისტების თხზულებებში. მაგრამ მათი შეხედულებების გაცნობა გვეხმარება აწმყოს უკეთ გაგებასა და სწორად შეფასებაში.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები, განსაკუთრებით ადამ სმიტი და დავით რიკარდო, პირველნი იყვნენ, ვინც მოგვცეს მოძღვრება მეურნეობის, როგორც სისტემის შესახებ, სადაც მოქმედებდხენ ობიექტური, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ შეცნობადი კანონები. ისინი ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა კი არ უნდა წარიმართოს ამ კანონების წინააღმდეგ, არამედ უნდა ემყარებოდეს მათ.

უილიამ პეტიმ, ფრანსუა კენემ და სხვა მეცნიერებმა საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივ ანალიზს. სამომხმარებლო საქონლისა და წარმოების საშუალებების თანაფარდობა, დაგროვებასა და მოხმარებას შორის პროპორციები, დარგების ურთიერთკავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე მეურნეობაში. გარდა ამისა, მათი შრომები შეიცავენ სტატისტიკური მეცნიერების და ეკონომიკურ გამოკვლევებში სტატისტიკის გამოყენების ჩანასახებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო ცდები ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენებისა, რომელთა გარეშეც ამჟამად წარმოუდგენელია ეკონომიკური მეცნიერების მრავალი განყოფილების განვითარება.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული და უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები აანალიზებენ კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგობებს. შვეიცარიელი ეკოხომისტი სისმონდი ერთ-ერთი პირველთაგანი ცდილობდა გაეგო პერიოდული კრიზისების მიზეზები, რომელნიც ბურჟუაზიული საზოგადოების უბედურებას წარმოადგენენ. დიდი სოციალ-უტოპისტები: სენ-სიმონი, ოუენი, ფურიე და მათი მიმდევრები საფუძვლიანად აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს, ადგენდნენ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის პროექტებს.

როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე დააყენა კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ. მისი მოძღვრება წარმოიშვა როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება“.[1] ამასთან ერთად მარქსის მოძღვრება რევოლუციური გადატრიალება იყო პოლიტიკურ ეკონომიაში. მასში ასახულია წინაალმდეგობათა დიალექტიკური ერთიანობა. იგი ერთდროულად შეიცავს წინამორბედთა არასწორი, მცდარი შეხედულებების უარყოფას და მათ მიერ შექმნილი ყოველივე ფასეულის შემოქმედებით განვითარებას. მარქსიზმი წინამორბედი ეპოქების ეკონომიკური აზრის უმაღლეს მიღწევათა კანონიერი მემკვიდრეა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისტორია წარმოქმნის ადამიანის პოლიტიკური ცოდნის და საერთო კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს. რა თქმა უნდა, კულტურის ცნება ჩვენს დროში მეტად ფართოა. შეიძლება კი ადამიანმა კულტურულად ჩათვალოს თავი, თუკი მას წარმოდგენა არა აქვს, მაგალითად, თერმოდინამიკის კანონების, სამყაროს აგებულების და ატომის სტრუქტურის შესახებ? ალბათ, არცთუ მთლიანად. მაგრამ არც ის ადამიანი ჩაითვლება ასეთად, რომელიც არ იცხობს, თუნდაც ყველაზე ზოგადად, XVIII—XIX საუკ. ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის იდეებს, მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლას, ზედმეტი ღირებულების თეორიის მომზადებას. იდეათა რა სიმდიდრეს, ტალანტების რა თანავარსკვლავედს წარმოადგენს მარქსამდელი ეპოქის სოციალიზმი! როგორც არ უნდა განვითარდეს მეცნიერება და ტექნიკა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ და არც დავივიწყებთ ამ ადამიანების ცხოვრებასა და ნაშრომებს.

კ. მარქსის ძირითად მეცნიერულ ნაშრომს „კაპიტალს“ ქვესათაურად აქვს — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“. თავისი ნაშრომის მეოთხე ტომი — „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ — მარქსმა სპეციალურად მიუძღვნა მთელი წინამორბედი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკულ ანალიზს. ამასთან, მარქსის ძირითადი მეთოდია — ყოველ ავტორთან გამოყოს მეცნიერული ელემენტები, რომელნიც ამა თუ იმ ზომით ხელს უწყობენ კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას — ამ წესის მოძრაობის კანონის აღმოჩენას. მან ახსნა აგრეთვე ბურჟუაზიულ მეცნიერთა თეორიების შეზღუდულობისა და არათანამიმდევრულობის მიზეზები. „კაპიტალის“ — და მარქსის სხვა ნაწარმოებების — მკითხველთა წინაშე იშლება წარსულის მოაზროვნეთა ვრცელი გალერეია.

პოლიტიკური ეკონომია, ისევე როგორც ყველა მეცნიერება, ეი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 3—4.

თარდება არა მხოლოდ აღნიშნული კორიფეების შრომებით, არამედ მრავალი, ზოგჯერ ნაკლებად შესამჩნევი, მეცნიერული ძალითაც. კლასიკური სკოლა ორი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ფართო მიმართულებას, რომლის ფარგლებში მუშაობდა და წერდა მრავალი ავტორი. მაგალითად, სმიტის წინამორბედები იყვნენ ეკონომისტების მთელი თაობა, რომლებმაც საფუძვლიანად მოამზადეს მისთვის მეცნიერული ხიადაგი. აქიტომ წინამდებარე წიგნის ავტორი მთავარ ყურადღებას უთმობს უმსხვილესი მეცნიერების ცხოვრებასა და იდეებს და ამასთან ერთად ცდილობს გარკვეული ზომით გვიჩვენოს ნაკლებ ცნობილი, მაგრამ ხშირად მნიშვნელოვან მოაზროვნეთა წვლილი და ამით შესაძლებლობის შესაბამისად უფრო ზუსტად წარმოადგინოს მეცნიერების განვითარების შესაძლებლობა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, იმ საზოგადოებრივი და მეცნიერული ატმოსფეროს ასახვას, რომელშიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მეცნიერები.

საკითხს მარქსის მოძღვრების თანაფარდობის შესახებ უფრო ადრეული პერიოდის და მისი დროის საზოგადოებრივ აზრთან დიდ ყურადღებას აქცევენ დასავლეთში. თავის დროზე ხშირად ცდილობდნენ მარქსის მიჩუმათებას, იგნორირებას, მის წარმოსახვას ნაკლებმნიშვნელოვან ფიგურად მეცნიერებაში, ანდა ფიგურად, რომელიც განზე დგას „დასავლეთის კულტურული ტრადიციებიდან“ და ე. ი. „ნამდვილი“ მეცნიერებისაგან. ასეთი მიდგომით მარქსის კავშირი წინამორბედებთან, კერძოდ, ბურჟუაზიულ ეკონომისტ-კლასიკოსებთან შესუსტებულია და არასაკმაოდაა შეფასებული.

მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე უფრო დამახასიათებელია სხვა ხაზი: გადააქციონ მარქსი საშუალო (ან უფრო დაბალ) ჰეგელიანელად და რიკარდოელად და ამით დააბლაგვონ მისი რევოლუციური მოძღვრების სიმახვილე. ასეთ პოზიციაზე იდგა შუმპეტერი — ეკონომიკური აზრის ისტორიაში XX საუკუნის უმსხვილესი ბურჟუაზიული ნაშრომის ავტორი. ამასთან იგი მაინც აღიარებდა, რომ მარქსმა, უეჭველია, გარდაქმნა ეს (რიკარდოსეული, — ა. ა.) ფორმები და საბოლოოდ მივიდა სრულიად სხვა დასკვნამდე[1].

დაჟინებით იყენებს თეზისს, რომ მარქსიზმი შეიძლება შეურიგდეს თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგიას და პოლიტიკურ ეკონომიას, რადგან ისინი ერთი საფუძვლიდან აღმოცენდნენ. ინგლისური ლიბერალიზმის თეორეტიკოსი, ჯონ სტრეჩი, წიგნში — „თანამედროვე კაპიტალიზმი“ — ცდილობს გადადგას მორიდებული ნაბიჯი მარქსიზმის დასავლეთის კულტურულ ტრადიციებთან შეერთების აუცილებელ პროცესში, საიდანაც იგი წარმოიშვა, მაგრამ, რომელსაც ძლიერ და-

---

1 J. Schumpeter. History of Economic Analysis. N. Y., 1954, p. 390;

შორდა[1]. ასეთ ტენდენციებს ამჟამად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მარქსიზმი, უპირველეს ყოვლისა, მოძღვრებაა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შესახებ. ეს მას განასხვავებს საზოგადოებრივი აზრის სხვა მიმართულებებისაგან.

თანამედროვე „რადიკალური" პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები მარქსიზმისაგან სესხულობენ ცალკეულ დებულებებს ბურჟუაზიული მეცნიერების გაბატონებული სკოლების კრიტიკისათვის. ისინი აკრიტიკებენ მათ სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის უარყოფისათვის, ფორმალიზმისა და უნაყოფობისათვის და ხაზგასმით აღნიშნავენ საზოგადოებაში შემოსავლების განაწილების პრობლემის კლასობრივი ანალიზის სიკეთეს, სწორედ იმას, რასაც მარქსი მაღალ შეფასებას აძლევდა რიკარდოს მოძღვრებაში.

მარქსიზმი მჭიდრო კავშირშია XIX საუკუნის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის ჰუმანისტურ და პროგრესულ ტრადიციებთან. მაგრამ იგი პრინციპულად განსხვავდება მისგან თავისი რევოლუციური აქტიურობით. მეორე მხრივ, როცა „მემარცხენე" რევიზიონისტები და დოგმატიკოსები ამცირებენ მარქსიზმის ანალიზურ, მეცნიერულ ძხარეს, ეს, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია მისი წინამორბედების თეორიების უგულებელყოფასთან. მათ განურჩევლად მუქ ფერებში ხატავენ.

ჩვენთვის აბსოლუტურად უცხოა „კონტრკულტურის" მემარცხენე იდეები, რომლებიც უარყოფენ ბურჟუაზიული კულტურის ყველა ძხარეს და ელემენტს. უაზრო და საშიშია ახალი, ანტიბურჟუაზიული კულტურის ცარიელ ადგილზე, „ნახანძრალზე" აშენების ცდა, იგი უარყოფს ძველს არა ტოტალური ნგრევის, არამედ მისი დანაწევრების და პროგრესული ელემენტების ათვისების გზით. ამის შესახებ კარგად თქვა აკადემიკოსმა ა. მ. რუმიანცევმა: დაფიქრებული შესწავლა არა მარტო მარქსისტული, არამედ მარქსისტულამდელი საზოგადოებრივი აზრისა წასიცოცხლოდ აუცილებელია მათთვის, ვინც მეცნიერების გზას დაადგება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, თუ რას ამბობდა ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობაზე კაცობრიობის კულტურის ყველა საგანძურის დაუფლების აუცილებლობის შესახებ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ პრინციპის უარყოფა იწვევს უდიდეს საკაცობრიო განძეულობათა ფანატიკურ შებილწვას.[2]

მარქსი, ენგელსი, ლენინი, როცა ბურჟუაზიული ეკონომისტების თეორიებს იხილავდნენ, აკრიტიკებდნენ კაპიტალისტური წყობილების

---

[1] J. Stracheu. Contemporary Capitalism. L., 1956, p. 14—15.

[2] А. М. Румянцев, Проблемы современной науки об обществе. М., «Наука», 1969, стр. 365.

აპოლოგეტიკას და ჩვეულებრივ მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კანონებისა და პროცესების შესახებ ზედაპირულ წარმოდგენებს. განსაკუთრებით უკომპრომისოდ გამოდიოდნენ ისინი იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო ზიანი მოეტანა მუშათა მოძრაობისათვის, აეცდინა ის რევოლუციური ამოცანებისაგან.

ამასთან ერთად მარქსიზმის კლასიკოსებს ყოველგვარი კრიტიკის ამოცანად მიაჩნდათ ის, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტების კონცეფციებიდან გამოეყოთ რაციონალური, მეცნიერული ელემენტები, რომლებიც აღრმავებდნენ კაპიტალიზმის ეკონომიკური არსის ობიექტურ შეცნობას. ისინი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდნენ ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ შესრულებული კონკრეტული ეკონომიკური გამოკვლევების მნიშვნელობას. მარქსიზმის ფუძემდებლებისათვის უცხო იყო ნიჰილისტური დამოკიდებულება ბურჟუაზიული მეცნიერების შრომების რომელიმე მხარისადმიც კი. ისინი აანალიზებდნენ ცალკეული თეორიების სპეციფიკურ თავისებურებებს, ავლენდნენ მათ სოციალურ ფესვებს და აზრს. ერთიმეორეს უპირისპირებდნენ სხვადასხვა თეორიებს და კრიტიკულად იყენებდნენ მათ პროლეტარიატის იდეოლოგიის ინტერესებისათვის.

სამი საუკუნე

ნარკვევები, რომელთაგანაც ეს წიგნი შედგება, ქმნის პოპულარულ, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ეკონომიკური აზრის ისტორიას XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე. ცალკეული ექსკურსები შესრულებულია უფრო ძველ დროშიც. რა თქმა უნდა, ის განსხვავებულია ჩვეულებრივი სასწავლო კურსისაგან არა მხოლოდ გადმოცემის ფორმით, არამედ შინაარსითაც: ზოგიერთ ეპოქას და მეცნიერს შევეხეთ უფრო საფუძვლიანად, სხვებს — ნაკლებად. ბევრი რამ დავთმეთ, რათა შეგვენარჩუნებინა წიგნის მოცულობა გოხივრულ ფარგლებში და თავიდან აგვეშორებინა ზერელობა.

ავტორის სურვილია იმედი ჰქონდეს, რომ წიგნი უპასუხებს საბჭოთა მკითხველის მოთხოვნებს და ინტერესებს. დასავლეთში გამოცემულია რიგი თხზულებათა, რომელნიც მიზნად ისახავენ მკითხველთა შედარებით ფართო წრეს თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების პოზიციებიდან გააცნონ ეკონომიკური აზრის ისტორია. მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა იქ რამდენჯერმე გამოცემულ და უცხო ენებზე თარგმნილ ამერიკელი ჰეილბრონერის წიგნს საინტერესო სათაურით „The Worldly Philosophers", რომელიც ასე შეიძლებოდა გვეთარგმნა — „ფილოსოფოსები ამა ქვეყნისა". წიგნში მოთავსებულია მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ნარკვევი, სადაც ძალალი შეფასება აქვს მიცემული მარქსისტულ ეკონომიკურ

ანალიზს, რომელიც რჩება „კაპიტალისტური სისტემის ყველაზე პრინციპულ გამოკვლევად ყველა სხვა გამოკვლევათა შორის. ეს გამოკვლევა მოგების უსამართლობის მორალური განსჯა კი არაა თავის ქნევითა და ქოთქოთით... მთელი თავისი მგზნებარების მიუხედავად, ეს ძიუკერძოებელი შეფასებაა და სწორედ ამის გამო მარქსისტული ანალიზის პირქუში დასკვნები მთელი სიფხიზლით უნდა იქნეს განხილული"[1].

ფილოსოფოსები ამა ქვეყნისა! მართლაც, ეკონომიკური მეცნიერება თავის აბსტრაქტულ აგებულებაშიც კი განუყოფელ კავშირშია ყველაზე მთავართან — მატერიალურ წარმოებასთან. ამ მეცნიერების შემქმნელი ადამიანები მასალებსა და პრობლემებს იღებდნენ თავიანთი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება მეურნეობის განვითარების კანონების შესახებ, ჩამოყალიბდა XVII—XVIII საუკუნეებში — კაპიტალიზმის „გმირულ" ეპოქაში, როცა ბურჟუაზია მოწინავე კლასი იყო და ასახიერებდა პროგრესს, ნოვატორობას, გაბედულებას. ამ ეპოქამ მოითხოვა და შვა დიდი მოაზროვნენი ცოდნის ყველა დარგში. არც პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენდა გამონაკლისს. ამ მეცხიერების შემქმნელნი და კლასიკოსები იყვნენ დიდი ტალანტისა და ნათელი ინდივიდუალობის მქონე ადამიანები, რომელთა ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის შესახებ დიდი გატაცებით ვწერდი.

წარმოვიდგინოთ ფანტასტიკური სურათი: სამი საუკუნის ეკონომისტები თავმოყრილი ერთად. რა მრავალფეროვანი საზოგადოებაა! უმეტესობა — ინგლისელები, არცთუ მცირე — ფრანგები. XIX საუკუნემდე პოლიტიკური ეკონომია უპირატესად ინგლისურ მეცნიერებად ითვლებოდა. ინგლისი იყო ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა. მაგრამ თვით ტერმინი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა პირველად გაისმა XVII საუკუნის დასაწყისში ფრანგულ ენაზე. ინგლისსა და საფრანგეთიდან ეკონომიკური მეცნიერების ექსპორტი მოხდა სხვა ქვეყნებშიც. ამასთან ერთად იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში იყვნენ ორიგინალური მოაზროვნეები. ამ ეპოქის ეკონომისტებს შორის მცირეა ამერიკელები, მაგრამ მათ რიცხვშია სახელმწიფო მოღვაწე და ბრიტანეთის ჩაგვრისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლი — ბრძენი ბენჯამენ ფრანკლინი.

პირველი ეკონომისტები ყველაზე ხშირად, მარქსის გამოთქმით, იყვნენ „კომერსანტები და სახელმწიფო მოღვაწეები".[2] ეკონომიკურ საკითხებზე დაფიქრებისაკენ მათ უბიძგებდა მეურნეობის, ვაჭრობის და სახელმწიფოს მართვის პრაქტიკული საჭიროებანი.

---

[1] R. L. H e i l b r o n e r. The Worldly Philosophers. The Lives, Times and Ideas of Great Economic Thinkers, 3 ed., N. Y., 1968, p. 153.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ., I, გვ. 778.

ჩვენ ვხედავთ შექსპირის თანამედროვეებს, გრძელთმიან კავალრებს ძაქმახით გაწყობილ სამოსელში და კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქის უბრალოდ ჩაცმულ ვაჭრებს. ესენია მეფეთა მრჩევლები — მონკრეტიენი, თომას მანი...

მეორე ჯგუფი. დიდ პარიკებსა და ფართო ქობიან ხიფთანებში გამოწყობილი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დამაარსებლები — პეტი. ბუაგილბერი და ადამ სმიტის სხვა წინამორბედნი. ისინი არ არიან პოლიტიკური ეკონომიის პროფესიონალები. ასეთი პროფესია ჯერ ხსენებაშიც არ არის. პეტი — ექიმი და ხელმოცარული პოლიტიკოსია. ბუაგილბერი -- მოსამართლე, ლოკი — ცნობილი ფილოსოფოსი, კანტილიონი — ბანკირი. მათი შრომები უფრო მეტად გამიზნულია მეფეებისა და მთავრობებისათვის, მაგრამ ისინი იწყებენ წერას განათლებული საზოგადოებისათვისაც. მათ შრომებში პირველად წამოიჭრა თეორიული საკითხები ახალი მეცნიერებიდან — პოლიტიკური ეკონომიიდან. განსაკუთრებით გამოირჩევა პეტი. იგი არა მარტო გენიალური მოაზროვნე, არამედ ნათელი და თავისებური პიროვნებაცაა.

აი ჯონ ლოს, უდიდესი პროექტიორის და ავანტიურისტის, ქაღალდის ფულის „გამომგონებლის“, ინფლაციის პირველი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის დინამიკური ფიგურა. ლოს აღზევება და დაცემა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელია XVIII საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის ისტორიაში.

უდიდესი პარიკები, რომელთაც ჩვენ ვხედავთ მოლიერისა და სვიფტის კარგად ცხობილ პორტრეტებზე, იცვლება მოკლე შეპუდრული ხვეულებით საფეთქლებზე. ეს XVIII საუკუნის შუა პერიოდის ფრანგი ეკონომისტები — ფიზიოკრატებია, დიდი ფილოსოფოს-განმანათლებლების მეგობრები. ძათი აღიარებული მეთაური — ფრანსუა კენე პროფესიით ექიმი და მოწოდებით ეკონომისტია. მეორე დიდი მეცნიერი — ჟაკ ტიურგო რევოლუციის წინა დროის საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე შორსმჭვრეტელი და პროგრესული სახელმწიფო მოღვაწეა.

მის ბიოგრაფიაში ცოტაა გარეგნული მოვლენები, ხასიათდება შინაგანი ინტელექტუალური ცხოვრების უდიდესი ინტენსივობით. დიდი იყო მისი პოპულარობა მსოფლიოში, მათ შორის რუსეთშიც. პუშკინმა „ევგენი ონეგინში“ წარმოგვისახა გასული საუკუნის 20-იანი წლების მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა, გვამცნო, რომ იგი

„...ადამ სმიტს ჩაჰკირკიტებდა,
ეკონომიკას კარგად იცნობდა,
მან ესე იგი განსჯა იცოდა:
ქვეყანა რარიგ, როგორ მდიდრდება,
რითი არსებობს, რატომ ან რა გზით

ალარ სჭირდება ოქროს მარაგი,
როცა პროდუქტით არ ღარიბდება[1]".

სმიტის შიმდევრების სახელი — ლეგიონია. XVII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკ. დასაწყისში მოღვაწეობა პოლიტიკურ ეკონომიაში ნიშნავდა სმიტიანელობას. პოლიტიკურ ეკონომიას უკვე ასწავლიან უნივერსიტეტებში, იგი პრივილეგირებულ კლასთა ახალგაზრდობის განათლების აუცილებელი ელემენტი ხდება. დიდ შოტლანდიელს თახდათახობით და ცოტ-ცოტაობით „ასწორებენ". ამას აკეთებენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყო სეი საფრანგეთში და მალთუსი ინგლისში.

და აი სენაზე გამოდის დიდი მებირჟე და თვითნასწავლი გენიოსი დავიდ რიკარდო. ეს არის ნაპოლეონისეული ეპოქა და იგი უპარიკოდაა, ხიფთანის ნაცვლად სერთუკი აცვია. მას წილად ხვდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფორმირების დასრულება. უკვე მის სიცოცხლეშივე იწყება თავდასხმა კლასიკოსების მოძღვრებაზე, რომელშიც ნაჩვენებია ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების დაპირისპირება.

რიკარდოს თანამიმდევრები ქმნიან სხვადასხვა ჯგუფს. ერთი მხრივ, სოციალისტები ცდილობენ რიკარდოს მოძღვრება წარმართონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, რიკარდოელობის ნამსხვრევებზე. ნაწილობრივ მასთან პოლემიკის დროს ვითარდება პოლიტიკური ეკონომია, რომელიც თავის პირდაპირ ამოცანად კაპიტალისტური წყობილების დაცვას ისახავს. მაგრამ გრძელდება მეცნიერების პოზიტიური გახვითარებაც. XIX ს-ის 30—40-იანი წლების ტალანტურ ადამიანებს შორის შეიძლება გამოვყოთ ინგლისელი ჯეიმს სტიუარტ მილი, გერმანელი — ფრიდრიხ ლისტი, ფრანგი — ანტუან კურნო. ამ ათწლეულებში სწრაფად ვითარდება ეკონომიკური მეცნიერების მრავალი კონკრეტული დარგი.

კლასიკოსი ეკონომისტები გამოხატავენ ბურჟუაზიის შედარებით ძოწინავე ნაწილის იდეებს, და უპირისპირდებიან ფეოდალურ-სამიწათმოქმედო არისტოკრატიას, რომელსაც ინგლისში მყარი პოზიციები ჰქონდა, ხოლო საფრანგეთში XVIII საუკუნის დასასრულის რევოლუციამდე ბატონობდა. ისინი უპირისპირდებოდნენ მისი ინტერესების გამომხატველ სახელმწიფო ხელისუფლებას და ოფიციალურ ეკლესიას. თვით კაპიტალისტურ წესწყობილებაშიც ყველაფერს არ იზიარებდნენ და ბევრი რამ არ მოსწონდათ. ამიტომ მრავალი ეკონომისტის ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ პროტესტს, ამბოხებას, ბრძოლას. თვით ფრთხილმა სმიტმაც კი განიცადა რეაქციონერების თავდასხმა.

---

[1] ა. პუშკინი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 302.

მარქსამდელი ეპოქის სოციალისტებს შორის ჩვენ ვხვდებით მტკიცე პრინციპულობის, მაღალი მოქალაქეობრივი და პირადი ვაჟკაცობის მქონე ადამიანებს.

წიგნამდებარე ნაშრომში ავტორი ისწრაფვოდა ეხელმძღვანელა მეცნიერების პოპულარიზატორთა უძველესი დევიზით: გაართე და შეასწავლე. თავშეკავის შეხამება მეცნიერებასთან ძნელია ყველა დარგში. შესაძლოა, ეს პოლიტიკურ ეკონომიაში გაცილებით რთულია, ვიდრე სხვაგან.

ავტორი იმედოვნებს, რომ წიგნი იძლევა შედარებით სრულ წარმოდგენას ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაზე; რომ იგი დააინტერესებს მკითხველს და არ მოითხოვს მისგან „აქლემის ამტანიანობას და წმიხდანის მოთმინებას“, ურომლისოდაც, ამერიკელი ეკონომისტის ჰეილბრონერის გამოთქმით, შეუძლებელია დავძლიოთ ზოგიერთი სერიოზული ნაშრომი პოლიტიკურ ეკონომიაში. მით უფრო აუცილებელია პატიოსნად გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ რამდენადმე საჭირო იქნება გონებრივი ძალდატანება.

ეს წიგნი დაწერილია ადამიანთა ფართო წრისათვის, რომელთაც აინტერესებთ პოლიტიკური ეკონომია, ისტორია, საზოგადოებრივი იდეების განვითარება. იგი ჩაფიქრებულია როგორც ეკონომიკური აზრის ისტორიის შესავალი. მკითხველი კი, რომელიც მოისურვებს თავისი ცოდნის გაღრმავებას, უნდა გაეცნოს სპეციალურ მეცნიერულ ლიტერატურას.

* * *

წიგნის მესამე გამოცემასთან შედარებით, მეოთხე, წინამდებარე გამოცემაში, შეტანილია მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორება და ცვლილება.

შეუძლებელია სახელებით ჩამოვთვალოთ ყველა პირი, რომელთა რჩევები, კრიტიკა, მოსაზრებანი და შენიშვნები დაეხმარნენ ავტორს. — მათ გულწრფელ მადლობას ვუხდი.

პირველი თავი

სათავეებთან

როცა პირველყოფილმა ადამიანმა პირველად გააკეთა ქვის ცული და შშვილდი, ეს ჯერ კიდევ არ იყო ეკონომიკა. ეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ ტექნიკა იყო. მაგრამ მონადირეთა ჯგუფმა, რომელსაც რამდენიმე ცული და მშვილდი ჰქონდა, მოკლა ირემი. ამ ირმის ხორცი განაწილდა ძათ შორის, სავსებით შესაძლებელია, თანაბრად: ერთნი თუ სხვებზე ძეტს ძიიღებდნენ, მაშინ ეს უკანასკნელნი სიცოცხლეს ვერ შეიხარჩუნებდნენ. თანდათანობით თემის ცხოვრება რთულდებოდა. შესაძლოა მასში გაჩნდა ოსტატი, რომელიც მონადირეებისათვის ამზადებდა კარგ იარაღს, მაგრამ თვითონ არ დადიოდა სანადიროდ. ხორცი და თევზი ნაწილდებოდა მონადირეებსა და მეთევზეებს შორის, გაძოიყოფოდა წილი „მეიარაღისათვის“ და ა. შ. განვითარების რომელიღაც სტადიაზე გაჩნდა შრომის პროდუქტების გაცვლა თემებს შორის და თემებს შიგნით.

ეს იყო თუმცა პრიმიტიული, განუვითარებელი, მაგრამ უკვე ეკონომიკა, რადგან საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ადამიანების დამოკიდებულებას ნივთებთან — მშვილდთან, ცულთან, ხორცთან — არამედ ერთმანეთთან ურთიერთობასაც საზოგადოებაში, და არა მხოლოდ ურთიერთობებს საერთოდ, არამედ მატერიალურ ურთიერთობებს, დაკავშირებულს ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელი დოვლათის წარმოებასთან და შემდეგ განაწილებასთან. ამ ურთიერთობებს მარქსმა წარმოებითი ურთიერთობანი უწოდა.

ეკონომიკა არის მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოება, გაცვლა, განაწილება და მოხმარება და ამ საფუძველზე აღმოცენებული წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა. ამ აზრით ეკონომიკა ისეთივე ძველია, როგორც ადამიანთა საზოგადოება. იგულისხმება, რომ პირველყოფილი თემის ეკონომიკა იყო უაღრესად მარტივი, რადგან მარტივი იყო იარაღები, რომლითაც სარგებლობდნენ ადამიანები და უკიდურესობამდე შეზღუდული იყო მათი შრომითი ჩვევები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუსტად იყო განვითარებული საწარმოო ძალები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საზოგადოების წარმოებით ურთიერთობებს, მის ეკონომიკას და ცხოვრების სხვა მხარეებს.

ვინ იყო პირველი ეკონომისტი

როდის დაფიქრდა პირველად ადამიანი — რატომ ანთია ცეცხლი ან რატომ ქუხს? ალბათ მრავალი ათასი წლის წინათ. ასევე შესაძლოა, დიდი ხნის წინათ დაფიქრდა იგი იმ მოვლენებზე, რომელთაგანაც შედგებოდა ეკონომიკა პირველყოფილი თემური წყობილებისა, თანდათანობით რომ დაიშალა და გადაიქცა პირველ კლასობრივ საზოგადოებად — მონათმფლობელობად. მაგრამ ეს ფიქრები არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა — ადამიანის ცოდნის სისტემა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ.

მეცნიერება აღმოცენდა მხოლოდ მომწიფებული მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში, რომელიც ეყრდნობოდა გაცილებით უფრო გახვითარებულ საწარმოო ძალებს. უძველესი, 4—5 ათასი წლის წინათ არსებულ სახელმწიფოთა — შუმერის, ბაბილონის, ეგვიპტის ადამიანების ცოდნა მათემატიკაში ანდა მედიცინაში ზოგჯერ ძლიერ შთამბეჭდავი ჩანს. უძველესი მეცნიერების უმაღლესი ნიმუშები მოგვცეს ანტიკური ხანის ბერძნებმა და რომაელებმა.

ეკონომიკური ცხოვრების ფაქტების განსაზღვრული გააზრება დაიწყო ბევრად ადრე, ვიდრე XVII საუკუნეში გამოიყოფოდა მეცნიერების გახსაკუთრებული დარგი — პოლიტიკური ეკონომია, მრავალი ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ამ მეცნიერების კვლევის ობიექტად იქცა, უკვე ცნობილი იყო ძველი ეგვიპტელებისა და ბერძნებისათვის: გაცვლა, ფული, ფასი, ვაჭრობა, მოგება, სასესხო სარგებელი. უპირველეს ყოვლისა ადამიანებმა დაიწყეს გააზრება, რა თქმა უნდა, მაინც ამ ეპოქის წარმოებითი ურთიერთობების მთავარი ნიშნის — მონობისა.

თავდაპირველად ეკონომიკური აზრი არ იყო გამოყოფილი საზოგადოების შესახებ აზროვნების სხვა ფორმებიდან. ამიტომ მისი პირველი გამოვლენის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. გასაკვირი არ არის, რომ ეკონომიკური მოძღვრების ცალკეულ ისტორიკოსებს სხვადასხვა საწყისი აქვთ აღებული. საბჭოთა მეცნიერი დ. ი. როზენბერგი 1940 წ. გამოცემულ წიგნში იწყებდა ძველი ბერძნებით, ხოლო ზოგიერთი ომისშემდგომი პერიოდის კურსში ეკონომიკური აზრის ფესვებს ეძებენ უფრო ღრმად: ძველეგვიპტურ პაპირუსებში, მეფე ხამურაბის ქვაზე ამოკვეთილ ლურსმნული წარწერის ნიშნებში, ძველინდურ „ვედებში“.

არცთუ ცოტა ეკონომიკურ დაკვირვებას შეიცავს ისეთი რთული ძეგლიკა, როგორიც ბიბლიაა. იგი შეიცავს ჩვენს წელთაღრიცხვამდე II და I ათასწლეულებში პალესტინასა და მის შემოგარენში დასახლებული ძველი ებრაელებისა და სხვა ხალხების ეკონომიკური ცხოვრების გარკვეულ განმარტებას. როგორც წესი, ეს განმარტებები მოცემულია ადამიანთა ქცევის შესახებ მცნებების, მითითებების ფორმით

მაგრამ ფაქტი, რომ,მაგალითად, ეკონომიკური მოძღვრების ისტორიკოსი, ამერიკელი პროფესორი ჯ. ფ. ბელი ბოზრდილ თავს უძღვნის ბიბლიას და ამ დროს ყველა სხვა წყაროს უგულებელყოფს, უნდა ვიგულისხმოთ, აიხსნება გარემოებით, რომელსაც არა აქვს კავშირი მეცხიერებასთან, რადგან ბიბლია ქრისტიანობის საღვთო წიგნია, რომელიც ამერიკელი სტუდენტებისათვის ბავშვობიდანვეა ცნობილი. მეცნიერება რამდენადმე ეგუება თანამედროვე ცხოვრების ამ ფაქტს.

პირველყოფილი თემური წყობილების თითქმის დაშლისა და მონათმფლობელობის ფორმირების სტადიაზე მყოფი ძველბერძნული საზოგადოება შესანიშნავი მხატვრულობით აისახა ჰომეროსის პოემებში. კაცობრიობის კულტურის ეს ძეგლი დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ ეგეოსისა და იონიის ზღვების ნაპირებზე დასახლებული ადამიანების ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის ჭეშმარიტი ენციკლოპედიაა. მეტად გახსხვავებული ეკონომიკური დაკვირვებანი ოსტატურადაა ჩაქსოვილი ტროას ალყასა და ოდისევსის მოგზაურობის შესახებ სახალისო მოთხრობების ქსოვილში. „ოდისეა“ მოიცავს თეზისს ძოხური შრომის დაბალი ნაყოფიერების შესახებ:

„როცა არ უმზერს მონა მსახურს პატრონის თვალი,
მაშინ მსახური არ მოქმედებს გულმოდგინებით.
ზევსი ღირსებას უნახევრებს ყოველთვის იმ კაცს,
ვინც თავის დღეებს მონობაში ატარებს მუდამ“[1].

რა თქმა უნდა, ხამურაბის კანონებიც. ბიბლიაც, ჰომეროსიც ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა უნდა განიხილონ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ძველი ადამიანების მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ყოფიერების ცნობების წყარო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი მათზე, როგორც ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ა ზ რ ი ს ძეგლებზე, რაც გულისხმობს პრაქტიკის გარკვეულ განზოგადებას, გონებრივ ჭვრეტას, აბსტრაქციას: ამის გამო, მაგალითად, შუმპეტერმა თავის წიგნს უწოდა ეკონომიკური ანალიზის ისტორია და პირდაპირ დაიწყო იგი კლასიკური ბერძნული მეცნიერებიდან.

მართლაც, ქსენოფონტეს, პლატონის და. განსაკუთრებით, არისტოტელეს თხზულებებში პირველი ცდებია ბერძნული საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის თეორიული გააზრებისა. ზოგჯერ გვავიწყდება როგორი მრავალრიცხოვანი ძაფითაა დაკავშირებული ჩვენი თანამედროვე კულტურა ამ მცირერიცხოვანი ხალხის განსაცვიფრებელ ცივილიზაციასთან. ჩვენმა მეცნიერებამ, ჩვენმა ხელოვნებამ, ჩვენმა ენამ სამუდამოდ შეითვისეს ძველბერძნული ცივილიზაციის ელემენტები. ეკონომიკური აზრის შესახებ მარქსი ამბობდა: „რამდენადაც ბერძნები

---

[1] ჰ ო მ ე რ ო ს ი, ო დ ი ს ე ა, თბ., 1979, გვ. 322.

შემთხვევით ექსკურსიებს აკეთებენ ამ დარგში, ისინი იმავე გენიოსობას და ორგინალობას იჩენენ, როგორც ყველა სხვა დარგში გამოიჩიხეს. ამიტომ მათი შეხედულებანი ისტორიულად თანამედროვე მეცნიერების თეორიულ გამოსავალ წერტილებს წარმოადგენს".[1]

სიტყვა „ეკონომია" (ოიკონომია, სიტყვიდან „ოიკოს" — სახლი მეურნეობა და „ნომოს" — წესი, კანონი) ქსენოფონტეს განსაკუთრებული თხზულების სათაურია, სადაც დიალოგის ფორმით განხილულია საოჯახო მეურნეობის და მიწათმოქმედების წარმართვის გონივრული წესები. ასეთი აზრი (მეცნიერება საოჯახო მეურნეობის შესახებ, სახლოსნობა) ამ სიტყვამ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა. თუმცა ბერძნებთან არ შეიცავდა იგი ასეთ შეზღუდულ შინაარსს, როგორც ჩვენი სახლოსნობა. სახლი ხომ მდიდარი ბერძენისათვის მთელი მონათმფლობელური მეურნეობა იყო. ეს ანტიკური სამყაროს თავისებური მიკროკოსმოსი იყო.

არისტოტელე ტერმინებს „ეკონომია" და მისგან წარმოებულ „ეკონომიკას" ერთი და იმავე აზრით იყენებდა. პირველად მან გააანალიზა იმდროინდელი საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური მოვლენები და კანონზომიერებანი და არსებითად გახდა მეცნიერების ისტორიაში პირველი ეკონომისტი.

საფუძვლთა საფუძველი: არისტოტელე

336 წ. ჩვენს ერამდე მაკედონიის მეფე ფილიპე ვერაგულად მოკლეს თავისი ქალიშვილის ქორწილში. სამუდამოდ უცნობი დარჩა, თუ ვინ მიუგზავნა მას მკვლელი. თუ მართალია ვერსია, რომ ამ საქმეში სპარსეთის მმართველების ხელი ერია, მაშინ თავისთვის ამაზე მეტი უბედურების მოტანა არავის შეეძლო: ტახტზე ასულმა ფილიპეს შვილმა, 20 წლის ალექსანდრემ რამდენიმე წლის შემდეგ გაანადგურა სპარსეთის ძლიერი სახელმწიფო.

ალექსანდრე არისტოტელეს — სტაგირელი ფილოსოფოსის — აღზრდილი იყო. როცა ალექსანდრე მაკედონიის მეფე გახდა, არისტოტელე უკვე 48 წლისა იყო და მისი დიდება ფართოდ იყო ცნობილი ელინურ სამყაროში. ჩვენ არ ვიცით, რამ აიძულა არისტოტელე, ამის შემდეგ მალე დაეტოვებინა მაკედონია და ათენში გადასახლებულიყო. ყოველ შემთხვევაში არა უსიამოვნებამ ალექსანდრესთან. მათი ურთიერთობა შეირყა გაცილებით გვიან, მაშინ, როცა იგი ნიჭიერი ახალგაზრდიდან იქცა მსოფლიოს ეპვიან და ჭირვეულ მბრძანებლად. ალბათ, არისტოტელეს ათენი იზიდავდა, როგორც ანტიკური სამყაროს

---

1 ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 269.

კულტურული ცენტრი, როგორც ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა მისი მასწავლებელი პლატონი და სადაც თვით არისტოტელემ გაატარა ახალგაზრდობის წლები.

ასე იყო თუ ისე, 335 ან 334 წ. არისტოტელე ცოლით, ქალიშვილით და შვილობილი ვაჟით ათენში დასახლდა. მომდევნო 10—12 წელს. ვიდრე ალექსანდრე იპყრობს ბერძნებისათვის ცნობილ ყველა დასახლებულ მიწას, არისტოტელე განსაცვიფრებელი ენერგიით აგებს მეცნიერების დიდებულ შენობას, ამთავრებს და განაზოგადებს თავისი ცხოვრების შედეგებს. მაგრამ მას არ ეწერა მშვიდი მოხუცებულობა მოწაფეებისა და მეგობრების წრეში. 323 წ. ალექსანდრე გარდაიცვალა. მაკედონელთა ბატონობის წინააღმდეგ აღშფოთებულმა ათენელებმა გახდევნეს ფილოსოფოსი. ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა კუნძულ ევბეიაზე ხალკიდში. მას შემდეგ გავლილმა ორი ათას წელზე ძეტმა ვერ წაშალა ბერძენი მოაზროვნის სახელი.

არისტოტელე მეცნიერების ისტორიაში იყო ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე. ჩვენამდე მოღწეული და სარწმუნოდ ცნობილი თემატიკის მიხედვით მისი თხზულებანი მოიცავდა იმ დროს არსებული ცოდნის ყველა დარგს: კერძოდ, იგი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ადამიანთა საზოგადოების შესახებ მეცნიერებისა — სოციოლოგიისა, რომლის ფარგლებშიც იხილავდა ეკონომიკის საკითხებს. არისტოტელეს სოციალური თხზულებანი შეიქმნა ათენში მისი უკანასკნელი ყოფნის პერიოდში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, „ნიკომაქეს ეთიკა“ (ასე უწოდეს შთამომავლებმა, ფილოსოფოსის შვილის ნიკომაქეს სახელის მიხედვით) და „პოლიტიკა“ — ტრაქტატი სახელმწიფო წყობილების შესახებ.

არისტოტელე ქმნიდა თეორიებს და აგებდა დასკვნებს არა გონების აბსტრაქტული მტკიცების საფუძველზე, არამედ ყოველთვის ეყრდნობოდა ფაქტების გულმოდგინე ანალიზს. მისი „ცხოველების ისტორია“ დაიწერა ფართო ზოოლოგიური კოლექციის საფუძველზე. ზუსტად ასევე თავისი „პოლიტიკისათვის“ მან თავის მოწაფეებთან ერთად მოაგროვა და დაამუშავა მასალები 158 ელინური და ბარბაროსული სახელმწიფოს სახელმწიფო წყობისა და კანონების შესახებ. ძათი უმრავლესობა პოლისები — ქალაქი-სახელმწიფოები იყო.

არისტოტელე საუკუნეების განმავლობაში შემორჩა მეხსიერებას როგორც მოწაფეებითა და თანაშემწეებით გარშემორტყმული ბრძენი მასწავლებელი. ათენში უკანასკნელად ყოფნისას იგი ორმოცდაათს გადაცილებული, ალბათ, ენერგიულად და მხნედ გამოიყურებოდა. გადმოცემის თანახმად, არისტოტელეს უყვარდა საუბარი მეგობრებთან და მოწაფეებთან ჩრდილიან ბაღში სეირნობის დროს. მისი ფილოსოფიური სკოლა ისტორიაში შევიდა პერიპატეტიკოსების (მოსეირნეთა) სახელით.

„პოლიტიკა“ და „ეთიკა“ აღიქმება როგორც საუბრის, ზოგჯერ ხმამაღლა ფიქრის თავისებური ჩანაწერი. არისტოტელე ცდილობდა აეხსნა თავისი აზრი, რისთვისაც ხშირად უბრუნდებოდა მას, აშუქებდა სხვადასხვა მხრიდან და უპასუხებდა მსმენელთა კითხვებს.

არისტოტელე თავისი დროის შვილი იყო — მონობა ბუნებრივად და კანონზომიერად მიაჩნდა. მონას მოლაპარაკე იარაღად თვლიდა. უფრო მეტიც, გარკვეული აზრით იგი კონსერვატორი იყო, არ მოსწონდა მისდროინდელ საბერძნეთში ვაჭრობისა და ფულადი ურთიერთობების განვითარება. მისი იდეალი მცირე სამიწათმოქმედო მეურნეობა (სადაც, რა თქმა უნდა, მონები მუშაობდნენ) იყო. ამ მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს თავისი თავი ყველა აუცილებელით, ხოლო მცირე რამ, რისი ნაკლოვანებაც ექნება, „სამართლიანი გაცვლის“ გზით მიიღოს მეზობლებისაგან.

მაგრამ არისტოტელეს, როგორც ეკონომისტის, დამსახურება ის იყო, რომ მან პირველმა გამოავლინა პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი კატეგორია და გარკვეული ზომით აჩვენა მათი ურთიერთკავშირი. თუ შევადარებთ ფრაგმენტებისაგან შემდგარ არისტოტელეს „ეკონომიკურ სისტემას“, ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრის“ პირველ ხუთ თავს და კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის პირველ განყოფილებას, აღმოვაჩენთ აზრთა განსაცვიფრებელ მემკვიდრეობას. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ფასების წარმოქმნისა და ცვალებადობის კანონის (ე. ი. ღირებულების კანონის) აღმოჩენის მისწრაფება იწყება არისტოტელედან და გასდევს მთელ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას მარქსამდე.

არისტოტელემ აღმოაჩინა საქონლის ორი მხარე — სახმარი და საცვლელი ღირებულება და გააანალიზა გაცვლის პროცესი. იგი აყენებს საკითხს, რომელიც ყოველთვის აღელვებდა პოლიტიკურ ეკონომიას: რით განისაზღვრება გაცვლის თანაფარდობა? ამ კითხვაზე პასუხი მან არ იცის, უფრო სწორედ, იგი ჩერდება პასუხის წინ და როგორღაც უგულოდ, უნებლიეთ თავს არიდებს მას, მაგრამ გამოთქვამს გონივრულ მოსაზრებებს ფულის წარმოშობისა და ფუნქციების შესახებ, და ბოლოს, თავისებურად გამოხატავს აზრს მისი გადაქცევის შესახებ კაპიტალად — ფულად, რომელიც მესაკუთრისთვის წარმოშობს ახალ ფულს.

არისტოტელეს მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის ბრძოლის საგანი იყო. მრავალი საუკუნის მანძილზე მისი ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო მეცნიერული და სოციალური იდეები მკაცრ დოგმებად, ურღვევ წესებად ქცეულნი გამოიყენებოდნენ ქრისტიანული ეკლესიის, ფსევდომეცნიერების, სქოლასტიკოსების და პოლიტიკური რეაქციონერების მიერ ყოველი ახლისა და პროგრესულის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ, აღორძინების ეპოქის ადამიანებიც, რევო-

ლუციონერები მეცნიერებაში ემყარებოდნენ დოგმებისაგან განთავისუფლებულ არისტოტელეს იდეებს. არისტოტელეს მოძღვრების ირგვლივ დისკუსია გრძელდება. ეს ეხება მის ეკონომიკურ შეხედულებებსაც.

ღირებულება პოლიტიკური ეკონომის ძირითადი კატეგორიაა. ისტორიულად მისი განმარტების ორი მიმდინარეობა იყო: პირველი გამოდიოდა იქიდან, რომ საქონლის ღირებულება თავის საფუძველში ობიექტურია, რომ მისი წყაროა საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომა; მეორე ღირებულებას სუბიექტურად თვლიდა და გამოყავდა იგი ადამიანების მიერ საქონლის სარგებლიანობის შეფასებიდან სხვა დოვლათის სარგებლიანობასთან შედარების საშუალებით. არისტოტელეს ნაწარმოებებში მეცნიერები პოვებენ ორივე მიმართულების ჩანასახს.

მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული ანალიზის ბაზაზე მარქსის მიერ განვითარებული შ რ ო მ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა. ამ თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საქონელს აქვს ერთი ძირეული საერთო თვისება: ისინი ადამიანის შრომის პროდუქტებია. ამ შრომის რაოდენობა კი განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას. თუ ცულის დასამზადებლად აუცილებელია 5 სამუშაო საათის დახარჯვა, ხოლო თიხის ქოთნის დასამზადებლად — 1 საათი, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში ცულის ღირებულება 5-ჯერ მეტი იქნება ქოთნის ღირებულებაზე. ეს გამოვლინდება იმ ფაქტში, რომ ცული, როგორც წესი, იცვლება 5 ქოთანში: ასეთია ქოთნებში გამოხატული მისი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღირებულება. იგი შეიძლება გამოხატული იყოს ხორცშიც, ქსოვილშიც და საბოლოო ანგარიშით ფულში, ე. ი. ვერცხლის ან ოქროს გარკვეულ რაოდენობაში. საქონლის საცვლელი ღირებულება, გამოხატული ფულში, არის ფ ა ს ი.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ღირებულების შემქმნელი შრომის გაგებას. იმისათვის, რომ ცულების შემქმნელი შრომა იყოს მექოთნის შრომის შესადარი, შესატოლებელი, იგი განხილული უნდა იყოს არა როგორც მოცემული პროფესიის შრომის კონკრეტული სახე, არამედ მხოლოდ როგორც დროის განმავლობაში ადამიანის კუნთოვანი და გონებრივი ენერგიის ხარჯვა — როგორც ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი შრომა, მისი კონკრეტული ფორმისაგან დამოუკიდებლად. საქონლის სახმარი ღირებულება (სარგებლიანობა), რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საქონელს ჰქონდეს ღირებულება, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს ღირებულების წყარო.

ამრიგად, ღირებულება ობიექტურია, იგი არსებობს ადამიანის შეგრძნებებისაგან დამოუკიდებლად, იმის გარეშე. თუ იგი სუბიექტუ-

რად როგორ აფასებს საქონლის სარგებლიანობას. შემდგომ, ღირებულებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი, იგი განისაზღვრება არა ადამიანის დამოკიდებულებით საგნებთან, არამედ ურთიერთობით ადამიანებს შორის, რომლებიც თავისი შრომით ქმნიან საქონელს და ამ საქონელს ერთმანეთს უცვლიან.

ამ თეორიის საწინააღმდეგოდ ჩვენი დროის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ღირებულების საფუძვლად მიიჩნევს გასაცვლელი საქონლის ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ს ა რ გ ე ბ ლ ი ა ნ ო ბ ა ს. საქონლის საცვლელი ღირებულება გამოყავთ მომხმარებლის სურვილების ინტენსიურობიდან და მოცემული საქონლის საბაზრო მარაგის არსებობიდან. იგი ამით იქცევა შემთხვევით „კონიუნქტურულ“ სიდიდედ. რამდენადაც ღირებულების პრობლემა გადადის ინდივიდუალური შეფასებების სფეროში, ღირებულება აქ კარგავს საზოგადოებრივ ხასიათს, იგი აღარ წარმოადგენს ურთიერთობას ადამიანებს შორის.

შრომითი ღირებულების თეორიის აუცილებელ დასკვნას წარმოადგენს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა, რომელიც ხსნის კაპიტალისტების მიერ მუშათა კლასის ექსპლუატაციის მექანიზმს. წინააღმდეგ ამისა, ღირებულების სუბიექტური თეორია და მასთან დაკავშირებული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ყველა წარმოდგენა პრინციპში გამორიცხავს ექსპლოატაციას და კლასობრივ წინააღმდეგობებს.

ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებული საქონლის ღირებულების ის ნაწილია, რომელიც იქმნება დაქირავებული მუშების შრომით კაპიტალისტის მიერ მათი სამუშაო ძალის ღირებულების ანაზღაურებული ნაწილის გადამეტებით. მას უსასყიდლოდ ითვისებს კაპიტალისტთა კლასი. ზედმეტი ღირებულება შეადგენს კაპიტალისტური წარმოების მიზანს, მისი შექმნა კაპიტალიზმის ზოგადი კანონია. ზედმეტ ღირებულებაშია მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის ანტაგონიზმის საფუძველი. კაპიტალიზმის განვითარება ზედმეტი ღირებულების საფუძველზე იწვევს მისი წინააღმდეგობების გაღრმავებას და. საბოლოო ანგარიშით კაპიტალისტური წარმოების წესს ამზადებს დასაღუპავად. ზედმეტი ღირებულების თეორიას, როგორც მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების საფუძველს, დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

აი რატომ მიმდინარეობს კამათი ათასწლეულზე მეტი ხნის განშავლობაში: იყო თუ არა არისტოტელე შრომითი ღირებულების თეორიის შორეული წინასწარმეტყველი, თუ ის არის წინამორბედი თეორიისა, რომელსაც საცვლელი ღირებულება გამოყავს სარგებლიანობიდან? ასეთი კამათი შესაძლებელია იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ღირებულების რამდენადმე სრული თეორიის შექმნა.

ის გაცვლაში ხედავს საქონლის ღირებულებების ტოლობას და შეუპოვრად ეძებს ტოლობის რაღაც საერთო საფუძველს. ეს უკვე იყო განსაკუთრებით ღრმა აზრის გამოვლენა, რაც არისტოტელეს შემდეგ მრავალი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა შემდგომი ეკონომიკური ანალიზის ამოსავალ პუნქტს. მას აქვს გამოთქმები, რომლებიც გვაგონებენ შრომითი ღირებულების თეორიის უკიდურეს პრიმიტიულ ვარიანტს. მაგრამ შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანია ღირებულების პ რ ო ბ ლ ე მ ის ის შეგრძნება, რაც ჩანს, მაგალითად, „ნიკომაქეს ეთიკის“ შემდეგი ნაწყვეტიდან:

„მართლაც საზოგადოება შედგება არა ორი ექიმისაგან, არამედ ექიმისა და მიწათმოქმედისაგან, და საერთოდ, არა ერთნაირი და არა თანასწორი ადამიანებისაგან. მაგრამ ასეთი ადამიანები უნდა გაუტოლდნენ ერთმანეთს. ამიტომ ყველაფერი, რაც იცვლება, უნდა იყოს შესადარებელი... ამრიგად, საჭიროა, რომ ყველაფერი იზომებოდეს რაღაც ერთით... ამრიგად, გადახდა მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ნაპოვნი იქნება ტოლობა, რათა მეჩექმის პროდუქტი ეფარდებოდეს მიწათმოქმედის პროდუქტს, როგორც მიწათმოქმედი შეეფარდება მეჩექმეს“.[1]

ამ ჩანასახოვან ფორმაში მოცემულია ღირებულების, როგორც თავისი სხვადასხვა სახმარი ღირებულებებით განსხვავებული საქონლების მწარმოებელ ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა. გვეჩვენება, თითქოს ერთი ნაბიჯია დასკვნამდე: რომ თავისი პროდუქტების გაცვლაში მიწათმოქმედი და მეჩექმე ისეთ ურთიერთშეფარდებაში არიან, როგორც ერთი ტომარა ხორბლისა და ერთი წყვილი ჩექმის წარმოებისათვის საჭირო შრომის, სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობა. მაგრამ ამ დასკვნას არისტოტელე არ აკეთებს.

მას არ შეეძლო ასეთი დასკვნის გაკეთება თუნდაც იმიტომ, რომ იგი ცხოვრობდა ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში, რომლისათვისაც თვით თავისი ბუნების გამო უცხო იყო თანასწორობის იდეა, ყველა სახის შრომის თანაბარმნიშვნელობა. ფიზიკური შრომა ეზიზღებოდათ და ითვლებოდა მონების ხვედრად. თუმცა საბერძნეთში იყვნენ თავისუფალი ხელოსნებიც და მიწათმოქმედნიც, მაგრამ როცა საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი შრომის განმარტებას, არისტოტელე რაღაც უცნაურად ვერ ამჩნევდა მათ.

არისტოტელე მარცხდება, როცა ცდილობს, თავის ცდებში შეაღწიოს ღირებულების (საცვლელი ღირებულების) საფარს შიგნით და ამოცანის ასახსნელად მიმართავს საქონლის სარგებლიანობის თვისებრივი განსხვავების ზედაპირულ ფაქტს. რამდენადაც იგი, როგორც

---

[1] Античный способ производства в источниках, Л., 1939, стр. 554.

ჩანს, გრძნობს ასეთი მტკიცების ტრივიალურობას (მისი აზრი დაახლოებით ასეთია: „ჩვენ ერთმანეთს ვუცვლით იმიტომ, რომ მე მჭირდება შენი საქონელი, შენ კი — ჩემი") და, ამასთან, მის რაოდენობრივ განსაზღვრულობას, იგი აცხადებს, რომ საქონლებს შესადარისად აქცევს ფული. „ამრიგად, ხშირია, როცა ყველაფერი იზომება რაღაც ერთით. ამ ერთს სინამდვილეში წარმოადგენს მოთხოვნილება, რომელიც ყველაფრის დამაკავშირებელი საფუძველია... მოთხოვნილების შემცველად კი, შეთანხმების მიხედვით (ადამიანებს შორის), აღმოცენდა მონეტა"...[1]

ეკონომიკა და ქრემატისტიკა

არისტოტელეს კიდევ ერთი იდეაა შესანიშნავი — ეკონომიკისა და ქრემატისტიკის დაპირისპირება და ამით კაპიტალის ანალიზის პირველი ცდა მეცხიერების ისტორიაში. განსხვავებით „ეკონომიკისაგან", მის მიერ გამოგონილ ტერმინს — „ქრემატისტიკა", რომელიც ვერ დამკვიდრდა ახალ ენებში, არისტოტელე აწარმოებდა სიტყვიდან: „ქრემა" — ქონება, სამფლობელო. არისტოტელესათვის ეკონომიკა — ბუნებრივი მეურნეობრივი საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტების, სახმარ ღირებულებათა წარმოებასთან. იგი გაცვლასაც შეიცავს, ოღონდ, კვლავ მხოლოდ პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ჩარჩოებში. ამ საქმიანობის საზღვრებიც ასევე ბუნებრივია: ეს ადამიანის გონიერი პირადი მოხმარებაა.

ქრემატისტიკა რაღაა? ესაა „ქონების მოპოვების ხელოვნება", ე. ი. საქმიანობა მიმართული მოგების ამოსაქაჩავად, სიმდიდრის დაგროვებისაკენ, განსაკუთრებით, ფულად ფორმაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრემატისტიკა — ეს კაპიტალის დაბანდებისა და დაგროვების „ხელოვნებაა".

სამრეწველო კაპიტალი ანტიკურ სამყაროში არ არსებობდა, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა სავაჭრო და ფულადი (სავახშო) კაპიტალი. სწორედ ეს ასახა არისტოტელემ: „ქონების მოპოვების ხელოვნებამ, რამდენადაც იგი აისახება სავაჭრო საქმიანობაში, არ იცის ზღვარი მიზნის მიღწევაში, რადგან აქ მიზანია განუსაზღვრელი სიმდიდრე და ფულის ფლობა... ყველა, ვინც ფულის მიმოქცევას ეწევა, ისწრაფვის, უსაზღვროდ გაზარდოს თავისი კაპიტალი"[2].

არისტოტელე ყოველივე ამას ბ უ ნ ე ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე-

---

[1] Античный способ производства в источниках, стр. 554.
[2] А р и с т о т е л ь. Политика, СПб, 1911, стр. 25—26.

გ ო დ თვლიდა, მაგრამ იგი საკმაოდ რეალისტური იყო, რომ დაენახა წმინდა „ეკონომიკის“ შეუძლებლობა: სამწუხაროდ, ეკონომიკიდან უწყვეტად წარმოიქმნება ქრემატისტიკა. ეს სწორი დაკვირვებაა: ჩვენ ვიტყოდით, რომ მეურნეობიდან, სადაც პროდუქტები იწარმოება როგორც საქონელი გაცვლისათვის, გარდუვლად წარმოიქმნება კაპიტალისტური ურთიერთობანი.

უჩვეულო ტრანსფორმაცია განიცადა არისტოტელეს იდეამ ეკონომიკის ბუნებრივობისა და ქრემატისტიკის ბუნების წინააღმდეგობრიობის შესახებ. შუა საუკუნეებში მეცნიერ-სქოლასტიკოსები, ისევე როგორც არისტოტელე, კიცხავდნენ მევახშეობას და ნაწილობრივ ევროპასაც როგორც გამდიდრების „ბუნების საწინააღმდეგო“ საშუალებას. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად გამდიდრების ყველა ფორმა ბუნებრივად გამოიყურებოდა, ის დაშვებული იყო „ბუნებითი სამართლით“. ამის საფუძველზე XVII და XVIII საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკურ აზრში აღმოცენდა homo oeconomicus — ეკონომიკური ადამიანის — ფიგურა, რომლის ყველა მოქმედების მოტივები შეიძლება დაყვანილ იყოს გამდიდრების მისწრაფებამდე. არისტოტელესათვის გამოთქმას — homo oeconomicus შეიძლება გამოეხატა რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგო ადამიანი, რომლის მიზანია თავისი გონიერი, სრულიად განუსაზღვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთ უსისხლხორცო ჰიპოთეზურ ფიგურას — ადამ სმიტის დროიხდელი ეკონომიკური თხზულების გმირს, იგი, ცხადია, შეარქმევდა homo chremotisticus.

ჩვენ ვტოვებთ დიდ ელინელს და უნდა გადავინაცვლოთ XVI საუკ. დასასრულსა და XVII საუკ. დასაწყისის დასავლეთ ევროპაში. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ოცმა საუკუნემ ეკონომიკურ აზრს კვალი ვერ დაამჩნია. ელინელმა ფილოსოფოსებმა განავითარეს არისტოტელეს ზოგიერთი იდეა. რომაელი ავტორები ბევრს წერდნენ საგანზე, რომელსაც ჩვენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკას ვუწოდებთ. თავისებური ეკონომიკური იდეები ზოგჯერ იფარებოდა რელიგიური გარსით, რომლითაც შემოსილი იყო შუა საუკუნეების მეცნიერება.

სქოლასტიკოსები არისტოტელეს კომენტარებით ავითარებდნენ „სამართლიანი ფასის“ კონცეფციას. ყოველივე ამის შესახებ შეიძლება წავიკითხოთ ეკონომიკური აზრის ისტორიის ყველა კურსში. მაგრამ მონათმფლობელური წყობილების დაშლის, ფეოდალიზმის მომწიფებისა და ბატონობის ეპოქამ ხელი ვერ შეუწყო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას. პოლიტიკური ეკონომია როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება აღმოცენდა მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში, როცა ფეოდალური წყობილების წიაღში იქმნებოდა კაპიტალისტური წარმოებისა და ბურჟუაზიული ურთიერთობების უკვე მნიშვნელოვანი ელემენტები.

ადამიანის სახელი, რომელმაც სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველმა შემოიღო ტერმინი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა სერ დე ვატეილ ანტუან მონკრეტიენია — ჰენრიხ IV-ის და ლუდოვიკო XIII-ის დროინდელი ღარიბი ფრანგი აზნაური. მონკრეტიენის ცხოვრება აღსავსეა დ'არტანიანის საკადრისი თავგადასავლებით. იგი იყო პოეტი, დუელის მოყვარული, განდევნილი, მეფესთან დაახლოებული, მეამბოხე და სახელმწიფო დამნაშავე. მისი ცხოვრება დასრულდა ჩასაფრებული მტრების დაშნების დარტყმისა და პისტოლეტების გასროლის კვამლში. თუმცა ასეთი დასასრული მეამბოხისათვის იღბლიანი იყო, რადგან მისი ცოცხლად შეპყრობის შემთხვევაში ვერ აიცდენდა წამებას და სამარცხვინო დასჯას. გვამიც კი შეურაცხყვეს სასამართლოს განაჩენის მიხედვით: ძვლები დაუმტვრიეს რკინებით, ცხედარი დაწვეს და ფერფლი ქარს გაატანეს. მონკრეტიენი მეფისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ფრანგი პროტესტანტების (ჰუგენოტების) აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო. იგი დაიღუპა 1621 წელს 45 თუ 46 წლის ასაკში, ხოლო მისი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი" გამოვიდა 1615 წ. რუანში. გასაკვირი არ არის, რომ „ტრაქტატი" დავიწყებას მიეცა, ხოლო მონკრეტიენის სახელი ამოისვარა ლაფში. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მისი ბიოგრაფიული მონაცემების მთავარ წყაროდ მისი მტრების მიკერძოებული და პირდაპირ ცილისმწამებლური დახასიათება შემორჩა. ეს დახასიათებანი მკაცრი პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლის დაღს ატარებს. მონკრეტიენს უწოდებდნენ შარაგზის ყაჩაღს, ყალბი ფულის მჭრელს, სულშდგმულ ხარბს, რომელიც პროტესტანტულ რელიგიას მხოლოდ იმიტომ მიემხრო, რომ მდიდარ ქვრივ-ჰუგენოტზე დაქორწინებულიყო.

თითქმის 300 წელმა განვლო, ვიდრე აღდგებოდა მონკრეტიენის კეთილი სახელი, ეკონომიკური და პოლიტიკური აზრის ისტორიაში მტკიცედ დაიმკვიდრებდა საპატიო ადგილს. ახლა ნათელია, რომ მისი ტრაგიკული ბედი შემთხვევითი არ იყო. მისი მონაწილეობა ერთ-ერთ ჰუგენოტურ აჯანყებაში, რომელიც გარკვეულწილად უუფლებო ფრანგი ბურჟუაზიის კლასობრივ ბრძოლას გამოხატავდა ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილების წინააღმდეგ, ამ წარმოშობით მდაბიო (მისი მამა აფთიაქარი იყო). შემთხვევითი აზნაურისა და მოწოდებით ჰუმანისტის და მეომრის ცხოვრების კანონზომიერი დასასრული იყო.

მონკრეტიენმა თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო, 20 წლისამ გადაწყვიტა გამხდარიყო მწერალი და ანტიკურ სიუჟეტებზე გამოაქვეყნა ტრაგედია ლექსად. მას მოჰყვა რამდენიმე სხვა დრამატული და პოეტური ნაწარმოები. ცნობილია აგრეთვე, რომ მან შეთხზა „ნორმანდიის ისტორია". 1605 წ., როცა მონკრეტიენი უკვე ცნო-

ბილი მწერალი იყო, დუელში შემოაკვდა მოწინააღმდეგე და იძულებული გახდა, გაქცეულიყო ინგლისში.

ინგლისში ოთხი წლის ყოფნამ მის ცხოვრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პოეტის ცხოვრებაში ჰოლანდიამ: მან ნახა ქვეყანა უფრო განვითარებული მეურნეობითა და ბურჟუაზიული ურთიერთობებით. მონკრეტიენი ძლიერ დაინტერესდა ვაჭრობით, ხელოსნობით, პოლიტიკური ეკონომიით. ინგლისურ წესრიგს აზრობრივად საფრანგეთის სინამდვილეს უსადაგებდა. შესაძლებელია, მისი შემდგომი ბედისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ინგლისში იგი შეხვდა მრავალ ფრანგ ჰუგენოტ ემიგრანტს. მათი უმრავლესობა ხელოსნები იყვნენ და ბევრი მათგანი საკმაოდ გაწაფულიც. მონკრეტიენი ხედავდა, რომ მათმა შრომამ და დაოსტატებამ ინგლისს დიდი სარგებლობა მოუტანა, ხოლო საფრანგეთს, რომელმაც აიძულა ისინი წასულიყვნენ ემიგრაციაში, — დიდი დანაკლისი.

საფრანგეთში დაბრუნებულ მონკრეტიენს მტკიცედ სწამდა ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების აუცილებლობა. იგი მესამე ფენის ინტერესების დამცველი იყო. მან თავისი ახალი იდეების განხორციელება პრაქტიკაში რკინა-კაევეულის საქონლის სახელოსნოს დაარსებით დაიწყო. საქონელს ასაღებდა პარიზში, სადაც თავისი საწყობი ჰქონდა. მაგრამ მისი მთავარი საქმიანობა „ტრაქტატზე“ მუშაობა იყო. მიუხედავად მისი მყვირალა სათაურისა, ეს იყო მეტად პრაქტიკული თხზულება, რომელშიც ცდილობდა დაერწმუნებინა მთავრობა ფრანგი მრეწველებისა და ვაჭრების ყოველმხრივი მფარველობის აუცილებლობაში. მონკრეტიენი გამოდიოდა უცხოური საქონლის მაღალი ბაჟებით დაბეგვრის მომხრედ, რათა მათი შემოტანით ხელი არ შეშლოდა ეროვნულ მრეწველობას. იგი განადიდებს შრომას და თავისი დროისათვის უჩვეულო ხოტბას ასხამს კლასს, რომელსაც ქვეყნის სიმდიდრის მთავარ შემქმნელად თვლიდა: „სარგებლობის მომტანი და კარგი ხელოსნები განსაკუთრებით გამოსადეგია ქვეყნისათვის; მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ისინი აუცილებელნი არიან და უნდა სარგებლობდნენ ღრმა პატივისცემით“.[1]

მონკრეტიენი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი ს ა, რომელზეც საუბარი შემდეგ თავში იქნება. მას წარმოდგენილი ჰქონდა ქვეყნის მეურნეობა, უპირველეს ყოვლისა, როგორც სახელმწიფოს მართვის ობიექტი. ქვეყნისა და სახელმწიფოს (მეფის) სიმდიდრის წყაროდ იგი საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით კი ხელოსნური ნაწარმის გატანას თვლიდა.

მონკრეტიენმა თავისი ნაშრომი მიუძღვნა ახალგაზრდა მეფე ლუ-

[1] ციტირებულია: P. Dessaix Montchrétien et l' economie politique nationale, P., 1901, p. 21.

დოვიკო XIII-ს და დედოფალ-დედას და გამოსვლისთანავე წარუდგინა სახელმწიფო ბეჭდის მცველს (ფინანსთა მინისტრს). როგორც ჩანს, წიგნის ერთგულქვეშევრდომებრივი ფორმის გამო, თავდაპირველად სასახლეში კარგად მიიღეს. მისმა ავტორმა თავისებური ეკონომიკური მრჩეველის როლის შესრულება დაიწყო. 1617 წელს კი ქალაქ ლუარის შატილიონში ქალაქის თავის ადგილი დაიკავა. ალბათ აზნაურობაც მან ამ დროს მიიღო. უცნობია, როლის მიემხრო მონკრეტიენი პროტესტანტებს და როდის აღმოჩნდა იგი მეამბოხე ჰუგენოტებს შორის: შესაძლებელია მაშინ აღშფოთდა, როცა დაინახა, მეფის ხელისუფლებამ მას იმედები გაუცრუა თავისი პროექტის განხორციელებაში და ნაცვლად ამისა რელიგიური ომის ახალ ხანძარს აჩაღებდა. შეიძლება იგი მივიდა ისეთ დასკვნამდე, რომ მისი უკვე ჩამოყალიბებული პრინციპებით უფრო მეტად შეესაბამება პროტესტანტიზმს და როგორც მტკიცე და მამაცმა ადამიანმა მის დასაცავად ხელში იარაღი აიღო.

(დავუბრუნდეთ „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატს“. რატომ უწოდა ასეთი სახელი მონკრეტიენმა თავის თხზულებას? ის ყველაზე ხაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ სახელს არქმევდა ახალ მეცნიერებას. სიტყვების ასეთი და მსგავსი შეხამებით, როგორც იტყვიან, გაჟღენთილი იყო აღორძინების ეპოქის ჰაერი, როცა ანტიკური კულტურის მრავალი იდეა და ცნება აღდგებოდა, ხელახლა გაიაზრებოდა და ახალ ცხოვრებას იწყებდა. როგორც ყველა თავისი დროის კარგად განათლებულმა ადამიანმა, მონკრეტიენმაც იცოდა ბერძნული და ლათინური ენები, კითხულობდა ძველი ეპოქის ავტორებს. იმდროინდელი სულისკვეთების შესაბამისად „ტრაქტატში“ იგი სისტემატურად იმოწმებს მათ. უეჭველია, მან იცოდა ქსენოფონტესთან და არისტოტელესთან რა შინაარსი ჰქონდა სიტყვებს — ეკონომიას და ეკონომიკას. XVII ს-ის მწერლებისათვის ეს სიტყვები ძველებურად აღნიშნავდნენ სახლმეურნეობას, ოჯახისა და პირადი მეურნეობის მართვას. მონკრეტიენის შემდეგ, რამდენადმე მოგვიანებით, ერთ-ერთმა ინგლისელმა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით — „ეკონომიკური დაკვირვებანი და რჩევები“. ავტორი განსაზღვრავდა ეკონომიას როგორც „სახლისა და ქონების კარგად მართვის ხელოვნებას“, და მუშაობდა, მაგალითად. ისეთ პრობლემაზე, როგორიცაა ჯენტლმენის მიერ შესაფერისი ცოლის არჩევა. მისი „ეკონომიკური რჩევის მიხედვით მეუღლედ უნდა აირჩიონ ისეთი ქალი, რომელიც „დღისით იმდენადვე სასარგებლო იქნება, რამდენადაც სასიამოვნო ღამით“.

როგორც ჩანს, ეს სრულიადაც არ იყო ის ეკონომია, რომელიც აინტერესებდა მონკრეტიენს. მისი განზრახვა იყო სწორედ მეურნეობის როგორც სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აყვავება. ის არის საკვირველი, რომ სიტყვა ეკონომიის წინ მან ჩასვა განსაზღვრება — პოლიტიკური.)

მონკრეტიენის შემდეგ მთელი 150 წლის მანძილზე პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა უპირატესად როგორც მეცნიერება ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს შესახებ, ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკის შესახებ, რომელსაც, როგორც წესი, აბსოლუტური მონარქები მართავდნენ, მხოლოდ ადამ სმიტის დროს, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის შექმნასთან ერთად, მისი ხასიათი შეიცვალა და იგი იქცა მეცნიერებად საერთოდ მეურნეობის კანონებისა და კერძოდ კლასების ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

მონკრეტიენის მთავარი დამსახურება, რა თქმა უნდა, ის კი არაა, რომ მან თავისი წიგნი ასეთი კარგი სატიტულო ფურცლით დაამშვენა. საფრანგეთსა და ევროპაში ის იყო საგანგებოდ ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი თხზულებათაგან ერთ-ერთი პირველი, რომელშიც გამოყოფილი და ზღვარდებულია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნისაგან განსხვავებული კვლევის განსაკუთრებული საგანი.

პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკა

XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში დასავლეთში ტერმინმა — პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა — იწყო მოდიდან გამოსვლა და სიტყვა ე კ ო ნ ო მ ი კ ი თ შეცვლა. იგი ახლა ორგვარი აზრით იხმარება: მეურნეობის აზრით და მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს განვითარების კანონების შესახებ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს აზრით.

მაგრამ ტერმინები „ეკონომიკა“ და „პოლიტიკური ეკონომია“ არ შეიძლება თანაბარმნიშვნელოვნად მივიჩნიოთ. ამჟამად ტერმინი „ეკონომიკა“. ცოდნის დარგის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, კვესმის როგორც ეკონომიკური მეცნიერებანი. პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად ეს მეცნიერებანი ამჟამად მოიცავს ცოდნის მრავალ დარგს ეკონომიკური პროცესების შესახებ. ეკონომიკური მეცნიერებების საგანია წარმოების, შრომის, პროდუქციის გასაღების, საწარმოთა ფინანსების ორგანიზაცია. ეს ეხება როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ მეურნეობას. როგორც ცნობილია, დიდი კაპიტალისტური კონცერნების ჩარჩოებში ხორციელდება კაპიტალისტური დაგეგმვა, მისი ფორმები და მეთოდები კი ასევე ეკონომიკური მეცნიერების საგანია. მეურნეობის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე კაპიტალიზმი, ასევე საჭიროებს საფუძვლიან ობიექტურ ცოდნას მეურნეობის შესახებ მის ერთობლიობასა და ცალკეული დარგების მიხედვით. ამრიგად, იზრდება ეკონომიკური მეცნიერებების პრაქტიკული ფუნქცია.

ეკონომისტის პროფესია სოციალისტურ ქვეყნებში ამჟამად მოიცავს მეტად მრავალფეროვან ფუნქციას, დაწყებული მეტად კონკრეტული საინჟინრო-ეკონომიკური ან საგეგმო-ეკონომიკური სამუშაოებით და დამთავრებული მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის სწავლებისა და პროპაგანდის წმინდა იდეოლოგიური საქმიანობით.

ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას თვით წარმოებითი ურთიერთობების ცნების სირთულით. ზოგიერთი მათი ფორმა მეტად ზოგადი, სოციალური ხასიათის მატარებელია. ეს საკუთრივ პოლიტიკური ეკონომიის საგანია. მეორენი განიხილავენ ტექნიკასთან და საწარმოო ძალებთან უშუალოდ დაკავშირებულ წარმოებით ურთიერთობათა უფრო კონკრეტულ ფორმებს. ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოებით ურთიერთობებთან მეტისმეტად არაპირდაპირაა დაკავშირებული. კონკრეტულ ეკონომიკურ მეცნიერებათა მნიშვნელობა გარდუვლად გაიზრდება. მათ განვითარებასთან ძირითადად დაკავშირებულია მათემატიკისა და უახლესი საანგარიშო-ანალიტიკური ტექნიკის დანერგვა ეკონომიკურ კვლევაში და მეურნეობის მართვის პრაქტიკაში.

როგორც ფილოსოფია, რომელიც ოდესღაც მეცნიერებათა მეცნიერება იყო და მოიცავდა არსებითად ცოდნის ყველა დარგს, ამჟამად იქცა „მრავალთაგან ერთად“, ასევე პოლიტიკური ეკონომიაც, რომელიც წინათ მოიცავდა ყველა ეკონომიკურ მოვლენას, ამჟამად მხოლოდ მეთაურია ეკონომიკურ მეცნიერებათა ოჯახში. ეს კანონზომიერია.

მაგრამ საქმე ამით არ იზღუდება. სმიტისა და რიკარდოს მიერ შექმნილი პოლიტიკური ეკონომია არსებითად იყო მეცნიერება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი ურთიერთობების შესახებ. პროდუქტის (ანუ შემოსავლების) განაწილება იყო მისი ცენტრალური პრობლემა — სოციალური და ამასთან ერთად სოციალურად მწვავე პრობლემა. რიკარდოს მრავალი მიმდევარი ცდილობდა შეერბილებინა მისი პოლიტიკური ეკონომიის სოციალური სიმძაფრე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ბურჟუაზიისათვის: რიკარდოელობის ბაზაზე ხომ იმავდროს აღმოცენდა მარქსის პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც პოლიტიკური ეკონომიის საგნად საქვეყნოდ გამოაცხადა საზოგადოებრივი ურთიერთობანი და გააკეთა დასკვნა კაპიტალიზმის დაღუპვის კანონზომიერების შესახებ.

ამიტომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გაჩნდა და განმტკიცდა ახალი ეკონომიკური კონცეფციები, რომელნიც შრომითი ღირებულების თეორიის უარყოფის საფუძველზე ცდილობდნენ პოლიტიკური ეკონომიისათვის ჩამოეშორებინათ მისი სოციალური სიმძაფრე. მეცნიერების ცენტრში დასმუ-

ლი იყო საზოგადოებრივ და ისტორიულ შინაარსს მოკლებული ზოგიერთი ზოგადი პრინციპი: მოხმარების დროს დოვლათის სუბიექტური სარგებლობის კლებადობის პრინციპი, ეკონომიკური წონასწორობის პრინციპი. ამ პოლიტიკური ეკონომიის საგანს არსებითად წარმოადგენდა არა იმდენად წარმოებასთან დაკავშირებულ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რამდენადაც ნივთებთან ადამიანთა ურთიერთობა.

ეკონომიკური მეცნიერების მთავარ პრობლემად იქცა „ტექნოლოგიური", სოციალურ შინაარსს მოკლებული მოცემული დოვლათის გამოყენება ალტერნატიულ შესაძლებლობებს შორის ანუ, როგორც ლაპარაკობენ, წარმოების მოცემულ ფაქტორთა: შრომის, კაპიტალის, მიწის არჩევის პრობლემა. შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გამოყენების პრობლემა უეჭველად არსებითია ყველა საზოგადოებისათვის და ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროს მიეკუთვნება. მაგრამ მას არ შეუძლია მთლიანად განსაზღვროს პოლიტიკური ეკონომიის საგანი.

გამოცხადდა პოლიტიკური ეკონომიის „სოციალური ნეიტრალურობა". რა ესაქმება ასეთ მეცნიერებას კლასებთან, ექსპლუატაციასთან, კლასობრივ ბრძოლასთან? მაგრამ მის უკან იმალება კაპიტალიზმის იდეოლოგიური დაცვის ახალი ფორმა. ბურჟუაზიული ეკონომისტების — ინგლისში ჯევონსის, ავსტრიაში — მენგერისა და ვიზერის, შვეიცარიაში — ვალრასის, აშშ-ში — ჯ. ბ. კლარკის ხელში — „ძველი" პოლიტიკური ეკონომია იქცა რაღაც გამოუცნობად. ახლა ეს იყო აბსტრაქტულ-ლოგიკური და მათემატიკური სქემების გროვა, რომელთაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური მოვლენებისადმი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიდგომა. ბუნებრივია, ასეთ მეცნიერებას მალე დასჭირდა სხვა სახელწოდება. ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია", რომელიც ზუსტი მნიშვნელობით და ტრადიციებით სწორედ სოციალური შინაარსისაა, მოუხერხებელი და შეზღუდული გახდა.

ეკონომიკური აზრის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი ბ. სელიგმენი წერდა, რომ ჯევონსმა „პოლიტიკური ეკონომია" წარმატებით გაათავისუფლა სიტყვა „პოლიტიკურისაგან" და „ეკონომიკა" გადაიქცა მეცნიერებად, რომელიც სწავლობს ატომისტური ინდივიდების ქცევას და არა მთელი საზოგადოების ქცევას".[1]

მეცნიერებაში მომხდარი „გადატრიალების" არსი უფრო ნათელი გახდება მეორე თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერის — ფრანგი ემილ ჟამსის სიტყვების ციტირებით: „ამ ახალ კლასიკოსებს (ასე უწოდებენ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ზემოთ დასახელებულ

[1] Б. Селигман. Основные течения современной экономической мысли. М., 1968, стр, 326.

ეკონომისტებს, — ა. ა.) მიაჩნდათ, რომ კერძოდ ეკონომიკური მეცნიერების ობიექტი უნდა იყოს იმ მექანიზმების აღწერა, რომელნიც მოქმედებენ ყველა ეკონომიკურ სისტემაში, ამასთან უნდა ვცდილობდეთ არ გამოვთქვათ საკუთარი მოსაზრებანი მათ შესახებ. სოციალური პრობლემების მიძართ მათი ძირითადი თეორიები ნეიტრალური იყო, ე. ი მათგან არ შეიძლებოდა არსებული რეჟიმების არც მოწონება, არც გაკიცხვა". ახალი ავსტრიელი ეკონომისტები „საზღვრითი სარგებლიანობის მეშვეობით ღირებულების ახსნის დროს მიზნად ისახავენ მარქსისტულ შრომითი ღირებულების თეორიასთან დაპირისპირებას".[1]

XX საუკუნის განმავლობაში ბურჟუაზიული ეკონომისტები ავითარებდნენ ამ პრინციპებზე დამყარებულ ეკონომიკური ანალიზის ტექნიკას. შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა, რომელშიც ეკონომიკური მეცნიერების სოციალური მახვილი შეგნებულად თუ შეუგნებლად ბლაგვდება „ახალი" მეთოდების დახმარებით. მეცნიერებამ დაივიწყა თავისი თავდაპირველი დანიშნულება და შინაარსი, თუმცა სწავლობდა მრავალ საინტერესო პრობლემას.

ჩვენს დროში ასეთი ეკონომიკური მეცნიერება დასავლეთში ბევრს არ აკმაყოფილებს. მისი ტექნიკური გაწაფულობა უნაყოფო და უძლური აღმოჩნდა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ისეთი მძაფრი პრობლემების წინაშე, როგორიცაა ეკონომიკური უთანასწორობა და კლასობრივ ინტერესთა კონფლიქტები, მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ღარიბ განვითარებად ქვეყნებს შორის წინააღმდეგობა, ბარემომცველი ბუნების გადარჩენისა და დაცვის აუცილებლობა და მრავალი სხვა. თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არა მარტო არ გააჩნია პასუხი ასეთ კითხვებზე, არამედ იგი ასეთს არც კი აყენებს.

ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია" ლიტერატურაში თუ რატომ გვევლინება კვლავ ტერმინ „ეკონომიკის" (ინგლისურად — economics) საპირისპიროდ. ამჟამად მას ბევრად სხვა აზრი აქვს, ვიდრე სმიტისა და რიკარდოს დროს, მაგრამ მისი აღორძინება გვიჩვენებს: თუ ეკონომიკურ მეცნიერებას სურს დარჩეს მეცნიერებად, მას არ შეუძლია სოციალური და პოლიტიკური პრობლემების იგნორირება.

---

[1] Э. Ж а м с, История экономической мысли XX в, М., 1959, стр. 38.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

ოქროს ფეტიში და მეცნიერული ანალიზი: მერკანტილიზმი

ამერიკა აღმოჩენილ იქნა ინდური სანელებლებისადმი ევროპელთა გამოდეევნების წყალობით. მისი დაპყრობა და ათვისება კი ოქროსა და ვერცხლის დაუცხრომელმა წყურვილმა განაპირობა. სავაჭრო კაპიტალის განვითარებას დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მოჰყვა, თავის მხრივ ამ აღმოჩენებმა დიდად შეუწყო ხელი სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. სავაჭრო კაპიტალი ისტორიულად კაპიტალის ამოსავალი ფორმაა, საიდანაც თანდათანობით აღმოცენდა სამრეწველო კაპიტალი.

XV—XVII საუკუნეებში (და მნიშვნელოვანწილად XVIII საუკუნეშიც) ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური აზრის მთავარი მიმართულება მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი იყო. შევეცადოთ მეტად მოკლედ გადმოვცეთ მისი არსი: ეკონომიკურ პოლიტიკაში — სახელმწიფო ხაზინაში ძვირფასი ლითონების ყოველგვარი საშუალებით დაგროვება; თეორიაში — ეკონომიკურ კანონზომიერებათა ძიება მიმოქცევის სფეროში (ვაჭრობაში, ფულის შიმოქცევაში).

„ადამიანები ლითონისათვის იღუპებიან“... ოქროს ფეტიში თან ახლავს კაპიტალისტური წყობილების მთელ განვითარებას და შეადგენს ბურჟუაზიული ცხოვრების წესის და აზროვნების შემადგენელ ნაწილს. მაგრამ სავაჭრო კაპიტალის სიჭარბის ეპოქაში ამ კერპის ბრწყინვადობა განსაკუთრებით თვალისმომჭრელი იყო. ვიყიდოთ, რათა გავყიდოთ უფრო ძვირად — აი სავაჭრო კაპიტალის პრინციპი. განსხვავება კი ყვითელი ლითონის ფორმით წარმოისახება. მაგრამ ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ, რომ ეს განსხვავება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ წარმოებიდან და მხოლოდ შრომიდან. საზღვარგარეთ გავყიდოთ უფრო მეტი, ვიდრე იქ ვყიდულობთ — აი მერკანტილიზმის სახელმწიფო სიბრძნის ზენიტი. სახელმწიფოს მმართველ ადამიანებს და ადამიანებს, რომლებიც აზროვნებდნენ და წერდნენ ამათთვის, განსხვავება კი მაინც წარმოედგინათ იმ ოქროს (და ვერცხლის) სახით, რომელიც საზღვარგარეთიდან მოედინება ქვეყანაში. თუ ქვეყანაში ბევრი ფული იქნება, ყველაფერი კარგად იქნება — ამბობენ ისინი.

თავდაპირველი დაგროვება

თავდაპირველი დაგროვების ეპოქა ბურჟუაზიული წარმოების წესის წინა ისტორიაა, როგორც მერკანტილიზმია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინა ისტორია. თვით ტერმინი თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი დ ა გ რ ო ვ ე ბ ა, როგორც ჩანს, პირველად ადამ სმიტმა გამოიყენა. იგი წერდა, რომ წარმოების მრავალი ურთიერთდაკავშირებული დარგის განვითარების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობაა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება.

მარქსი ლაპარაკობს „ეგრეთ წოდებული თავდაპირველი დაგროვების“ შესახებ. საქმე ისაა, რომ სმიტის დროიდან ეს ტერმინი დამკვიდრდა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში და განსაკუთრებული ყეთილ-Შობილური აზრი შეიძინა: „უსსოვარი დროიდან არსებობდნენო, ერთი მხრივ, ბეჯითი, ჭკვიანი და, უწინარეს ყოვლისა, მომგირნე რჩეული ადამიანები, ხოლო, მეორე მხრივ, — მაწანწალა ზარმაცები, მთელი თავისი სარჩო-საბადებლისა და კიდევ მეტის გამნიავებელნი... მოხდა ისე, რომ პირველებმა დააგროვეს სიმდიდრე, უკანასკნელთ კი საბოლოოდ აღარაფერი დარჩათ გასაყიდი, გარდა საკუთარი ტყავისა“.[1] ამრიგად, პროცესს, რომლის შედეგადაც საზოგადოებაში გამოიყო კაპიტალისტებისა და მუშების კლასი და შეიქმნა პირობები კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისათვის, მარქსის დროინდელი ბურჟუაზიული მეცნიერები ხატავდნენ ეკონომიკურ იდილიად.

სინამდვილეში ეს ჭეშმარიტებას ძლიერ დაშორებულია. რა თქმა უნდა, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება — ეს რეალური ისტორიული პროცესია, მაგრამ სინამდვილეში იგი მიმდინარეობდა მკაცრი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, დაკავშირებული იყო ჩაგვრასთან, ძალადობასთან და მოტყუებასთან. იგი არ იყო ვინმეს ბოროტი ნების, ადამიანების ძალადობისაკენ „ოდინდელი“ მიდრეკილების და ა. შ. შედეგი. არა, თავდაპირველი დაგროვების მსვლელობაში მხოლოდ გზას იკაფავდა ობიექტური ისტორიული კანონზომიერება. უფრო მეტიც, ეს პროცესი თავისი არსებით პროგრესული იყო, მას საზოგადოება წინ მიყავდა. თავდაპირველი დაგროვების ეპოქა — წარმოების შედარებით სწრაფი გადიდების, სამრეწველო და სავაჭრო ქალაქების ზრდის, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ეპოქაა. ეს არის აღორძინების ეპოქა, რომელსაც ათასწლოვანი შეჩერების შემდეგ თან მოჰქონდა კულტურისა და ხელოვნების აყვავება.

მაგრამ თავის მხრივ ამ ეპოქაში მეცნიერებამ და კულტურამ სწრაფი განვითარება შეძლო იმიტომ, რომ მიმდინარეობდა ძველი ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის მსხვრევა, მის ადგილს კი იკავებდა ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობები. იდილიის შესახებ

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 896—897.

არც კი შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა მიმდინარეობდა მილიონობით წვრილი მესაკუთრის, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ნახევარყმის, ნაწილობრივ უკვე თავისუფალი მიწის მესაკუთრის გადაქცევა ქალაქისა და სოფლის პროლეტარებად. იდილიაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, როცა მიმდინარეობდა კაპიტალისტ-ექსპლოატატორთა კლასის ჩამოყალიბება, რომლის რელიგია ფული იყო.

XVI საუკუნის დასავლეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში — ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში იქმოყალიბდა ძლიერი სამეფო ხელისუფლებიანი ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოები. საუკუნეობრივი ბრძოლის წყალობით მან ძალია ბარონების თვითნებობა და დაიმორჩილა ისინი. დაშალეს ფეოდალური რაზმები, ფეოდალთა მეომრებმა და შინამოსამსახურეებმა დაკარგეს „სამუშაო“. თუ ამ ადამიანებს არ უნდოდათ მოჯამაგირეობა, ისინი მიდიოდნენ არმიასა და ფლოტში, მიემგზავრებოდნენ კოლონიებში ამერიკასა და ოსტ-იხდოეთში ზღაპრული სიმდიდრის პოვნის იმედით. მაგრამ, როგორც მოჯამაგირენი, ისინი თუ ფერმერებსა და მემამულეებს ამდიდრებდნენ, ზღვის იქით წასულნი, უპირველეს ყოვლისა, ამდიდრებდნენ ვაჭრებს, პლანტატორებს, [illegible] ბანკირებს. მცირენი „იქცეოდნენ ადამიანებად“, მდიდრდებოდნენ და თვითონ ხდებოდნენ ვაჭრები ან პლანტატორები. ზოგიერ ლიდ სიმდიდრეს ღასაბამი მისცა მეკობრეობამ, პირდაპირმა ყაჩაღობამ.

ქალაქები, ხელოსნური და სავაჭრო ბურჟუაზია მეფეთა მოკავშირე და დასაყრდენი იყო ბარონებთან ბრძოლაში. ქალაქები სამეფო ხელისუფლებას აძლევდნენ ფულსა და საჭურველს და ზოგჯერ ადამიანებსაც ამ ბრძოლისათვის. და თვით სამეურნეო ცხოვრების ცენტრების გადანაცვლება ქალაქებში არყევდა ფეოდალების ძალაუფლებას და გავლენას. მაგრამ თავის მხრივ ბურჟუაზია სახელმწიფოსაგან მოითხოვდა მისი ინტერესების მხარდაჭერას ფეოდალების, „მდაბიო ხალხის“ და უცხოელი კონკურენტების წინააღმდეგ. და სახელმწიფო მხარს უჭერდა მათ. სავაჭრო კომპანიები და ხელოსნური კორპორაციები მეფისაგან სხვადასხვა პრივილეგიებს და მონოპოლიებს ღებულობდნენ. გამოიცემოდა კანონები, რომლებიც მკაცრი სასჯელის შიშით აიძულებდნენ ღარიბებს ემუშავათ მეწარმეთა სასარგებლოდ, აწესებდნენ ხელფასის მაქსიმუმს. საქალაქო, განსაკუთრებით სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ტარდებოდა მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკა. მრავალ შემთხვევაში მერკანტილისტური ღონისძიებანი შეესაბამებოდნენ თავადაზნაურობის ინტერესებს, რადგან მათი შემოსავლები, ასე თუ ისე, დაკავშირებული იყო სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობასთან.

ყოველგვარი მეწარმეობის დასაწყისს, ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ფული, რომელიც ფულად კაპიტალად იქცევა მაშინ, როცა

მას მფლობელი მუშების დასაქირავებლად იყენებს, ყიდულობს საქონელს დასამუშავებლად ან გასაყიდად. ეს ფაქტი საფუძვლად უდევს მერკანტილიზმს, რომლის არსი და მიზანი იყო ქვეყანაში ფულის — ძვირფასი ლითონების — მოზიდვა.

ადრეული მერკანტილიზმის ეპოქაში ეს ღონისძიებანი პრიმიტიული იყო. უცხოელ ვაჭრებს აიძულებდნენ, — საქონლის გაყიდვისაგან მიღებული მთელი ამონაგები დაეხარჯათ ადგილზევე, მოცემული ქვეყნის ფარგლებში და ამისათვის ნიშნავდნენ კიდეც განსაკუთრებულ, ზოგჯერ საიდუმლო „ზედამხედველებსაც“ კი. ოქროსა და ვერცხლის გატანა საზღვარგარეთ აკრძალული იყო.

მოგვიანებით — XVII და XVIII საუკუნეებში ევროპის სახელმწიფოები გადავიდნენ უფრო მოქნილ და კონსტრუქციულ პოლიტიკაზე. მმართველები და მათი მრჩევლები მიხვდნენ, რომ ქვეყანაში ფულის მოზიდვის ყველაზე საიმედო საშუალებაა საექსპორტო საქონლის წარმოების განვითარება და იმის მიღწევა, რომ შემოტანას სჭარბობდეს გატანა. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლებამ დაიწყო სამრეწველო წარმოების დანერგვა, მანუფაქტურების დაარსება და მათი მფარველობა.

მერკანტილიზმის პოლიტიკაში ამ ორ სტადიას შეესაბამება მისი ეკონომიკური თეორიის განვითარების ორი სტადია. ადრეული მერკანტილიზმი, რომელსაც აგრეთვე მ ო ნ ე ტ უ რ ს ი ს ტ ე მ ა ს უწოდებენ. ვერ გასცდა ქვეყნის შიგნით ფულის შეჩერებისათვის ადმინისტრაციულ ღონისძიებათა დამუშავებას. განვითარებული მერკანტილიზმი ერის გამდიდრების წყაროებს ეძებს არა განძის პრიმიტიულ დაგროვებაში, არამედ საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და აქტიურ სავაჭრო ბალანსში (ექსპორტის სიჭარბეში იმპორტზე). მისთვის უკვე უცხოა წინამორბედთა „ადმინისტრაციული აღფრთოვანება“. განვითარებული მერკანტილიზმის წარმომადგენლებს მოსწონდათ სახელმწიფოს მხოლოდ ისეთი ჩარევა, რომელიც მათი წარმოდგენის მიხედვით შეესაბამება ბ უ ნ ე ბ ი თ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს პრინციპებს. ბუნებითი სამართლის ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაზე XVII—XVIII საუკუნეებში. ზარკვეული ზომით თვით ეს მეცნიერება ვითარდებოდა ბუნებითი სამართლის იდეების ფარგლებში. ამ იდეებმა, რომელთა სათავეები არისტოტელესა და სხვა ანტიკური მოაზროვნეებიდან მოედინება, ახალი დროის შესაბამისად მიიღეს ახალი შინაარსი. ბუნებითი სამართლის ფილოსოფოსებმა თავის თეორიას საფუძვლად დაუდეს აბსტრაქტული „ადამიანის ბუნება“ და მისი „ბუნებრივი“ უფლებები. რადგან ეს უფლებები ბევრად ეწინააღმდეგებოდა საშუალო საუკუნეების, მაღალი საზოგადოებისა და ეკლესიის დესპოტიზმს, ბუნებითი სამართლის ფილოსოფია შეიცავდა მნიშვნელოვან პროგრესულ ელემენტებს. ბუ-

ნებითი სამართლის პოზიციებზე იდგნენ აღორძინების ეპოქის ჰუმანისტები.

ფილოსოფოსები და მათი მიმდევარი მერკანტილიზმის თეორეტიკოსები სახელმწიფოს იხილავდნენ როგორც ორგანიზაციას, რომელსაც შესწევს უნარი, უზრუნველყოს ადამიანის ბუნებრივი უფლებები, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საკუთრება და უსაფრთხოება. ამ თეორიების სოციალური არსი ის იყო, რომ სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო ბურჟუაზიული სიმდიდრის ზრდის პირობები.

ეკონომიკის თეორიის კავშირი ბუნებით სამართალთან შემდგომში მერკანტილიზმიდან კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში გადავიდა. მაგრამ ამ კავშირების ხასიათი შეიცვალა, რადგანაც კლასიკური სკოლის (ფიზიოკრატები საფრანგეთში, სმიტელობა ინგლისში) განვითარების პერიოდში ბურჟუაზია უკვე ნაკლებად საჭიროებდა სახელმწიფოს მეურვეობას, უფრო მეტიც, გამოდიოდა მეურნეობაში სახელმწიფოს გადაჭარბებული ჩარევის წინააღმდეგ.

თომას მანი: ვაჭროების სტრატეგი

ინგლისელები ლონდონს უწოდებდნენ the Great wén. ე. ი. დიდ ჩიყვს, დიდ კოპს. ლონდონი, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ქალაქი იყო რამდენიმე საუკუნის მანძილზე, როგორც კოლოსალური კორძი, ჩამოკიდებულია ტემზის ლენტზე, რომლისგან გამომდინარე ათასობით ხილული და უხილავი ძაფი სხვადასხვა მხარეს მიედინება.

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიისათვის ლონდონი განსაკუთრებული ქალაქია. მსოფლიო სავაჭრო-ფინანსური ცენტრი ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი იყო ამ მეცნიერების აღმოცენებისა და განვითარებისათვის. ლონდონში გამოიცა პეტის პამფლეტები, და მისი ცხოვრება არანაკლებად იყო დაკავშირებული მასთან, ვიდრე ირლანდიასთან. 100 წლის შემდეგ ლონდონში გამოვიდა ადამ სმიტის წიგნი — „ხალხთა სიმდიდრე"; ლონდონის ნამდვილი, საქმიანი, პოლიტიკური და მეცნიერული მჩქეფარე ცხოვრების პროდუქტი იყო დავიდ რიკარდო; და ბოლოს, ლონდონში თავისი ცხოვრების ნახევარი გაატარა კარლ მარქსმა, იქ დაიწერა „კაპიტალი".

• თომას მანი, ინგლისური მერკანტილიზმის იდეების დამახასიათებელი, გამომხატველი, დაიბადა ლონდონში 1571 წ. იგი წარმოშობით ხელოსნებისა და ვაჭრების ძველი ოჯახიდან იყო. მისი პაპა ზარაფი იყო ლონდონის ზარაფხანაში, მამა კი აბრეშუმითა და ხავერდით ვაჭრობდა. თავისი ფრანგი თანამედროვის — მონკრეტიენისაგან განსხვავებით, მანი არ წერდა ტრაგედიებს, არ იყო დუელიანტი და არ მონაწილეობდა ამბოხებებში. მან განვლო წყნარი და ღირსეული ცხოვრება, როგორც პატიოსანმა საქმოსანმა და ჭკვიანმა ადამიანმა.

თომას მანმა ადრე დაკარგა მამა და გაიზარდა მამინაცვლის, მდიდარი ვაჭრის, ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთი დამაარსებლის ოჯახში. ეს კომპანია შეიქმნა 1600 წელს როგორც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან მოვაჭრე უძველესი ლევანტის კომპანიის განშტოება. მან განათლება მიიღო მამინაცვლის დუქანში და კანტორაში, სამსახური დაიწყო ლევანტის კომპანიაში და რამდენიმე წელი გაატარა იტალიაში, იმოგზაურა თურქეთში და ლევანტის ქვეყნებში.

მანი გამდიდრდა და სოლიდური რეპუტაციაც მოიპოვა. 1615 წ. იგი პირველად აირჩიეს ოსტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორთა საბჭოში და მალე პარლამენტსა და პრესაში მისი ინტერესების დახელოვნებული აქტიური დამცველი გახდა. მაგრამ მანი ძლიერ ფრთხილი და არცთუ ძალიან პატივმოყვარეა: იგი უარს ამბობს კომპანიის მმართველის პოსტზე, კომპანიის ფაქტორიის ინსპექტორად ინდოეთში გამგზავრებაზე. იმ დროს ინდოეთში ჩასვლას სამი-ოთხი თვე სჭირდებოდა და დაკავშირებული იყო მრავალ საფრთხესთან: ქარიშხალთან, ავადმყოფობასთან, მეკობრეებთან...

სამაგიეროდ მანი სიტიში და ვესტმინსტერში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადამიანი იყო. 1623 წ. მისელდენი, პუბლიცისტი და მწერალი ეკონომიკურ საკითხებში, მას აძლევს ატესტაციას: „მისი ცოდნა ოსტ-ინდოეთის ვაჭრობის შესახებ, საერთოდ ვაჭრობაზე მისი აზრი, მისი გულმოდგინე შრომა სამშობლოსათვის და გამოცდილება საზღვარგარეთ — ყოველივე ეს ისეთი ღირსებით ამკობდა მას, რომლის სურვილი შეიძლება ჰქონდეს ყველა ადამიანს, მაგრამ რომელიც არც ისე ადვილი მოსაძებნია ამ დროში ვაჭრებს შორის.“

ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ გადაჭარბებისა და ალიქვნელობის შესაძლებლობა, მაგრამ შეიძლება საეჭვოდ არ მივიჩნიოთ, რომ მანი არ იყო საშუალო ვაჭარი. როგორც ეს ერთ-ერთმა ახალმა მკვლევარმა თქვა, ის იყო ვაჭრობის სტრატეგი (აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ვაჭრობა“ XVII—XVIII საუკუნეებში ინგლისელებთან არსებითად სიტყვა „ეკონომიკის“ თანაბარმნიშვნელოვანი იყო).

მანი სიმწიფეს აღწევს სტიუარტების დინასტიის პირველი ორი მეფის ეპოქაში. 1603 წელს, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეფობის შემდეგ გარდაიცვალა უშვილო დედოფალი ელისაბედი. როცა იგი ადიოდა ტახტზე, ინგლისი რელიგიური და პოლიტიკური შუღლით მოცული იზოლირებული კუნძულოვანი სახელმწიფო იყო. მისი სიკვდილის მომენტისათვის კი იგი მსოფლიო სახელის მქონე გახდა მძლავრი ფლოტითა და ფართო ვაჭრობით. ელისაბედის მეფობის პერიოდი დიდი კულტურული აღმავლობით ხასიათდებოდა. ინგლისის ტახტზე ასულ, სიკვდილით დასჯილი შოტლანდიის დედოფლის მარია სტიუარტის შვილს, იაკობ (ჯემს) I-ს ეშინოდა სიტის, თან სჭირდებოდა იგი. მას სურდა სახელმწიფო ემართა როგორც აბსოლუტურ მონარქს,

მაგრამ ფული პარლამენტს და ლონდონელ ვაჭრებს ჰქონდათ. 20-იანი წლების დასაწყისში წამოიჭრილმა ფინანსურმა და სავაჭრო სიძნელეებმა მეფე და მისი მინისტრები აიძულეს საბჭოზე მოეწვიათ სიტელი ექსპერტები: შეიქმნა ვაჭრობის სპეციალური სახელმწიფო კომისია. 1622 წელს მასში შევიდა თომას მანი და ამ სათათბირო ორგანოს გავლენიანი და აქტიური წევრი გახდა.

პამფლეტებისა და პეტიციების ნაკადში, დისკუსიებში, რაც ვაჭრობის კომისიაში მიმდინარეობდა XVII საუკუნის 20-იან წლებში, შემუშავდა ინგლისური მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ცხოვრებაში საუკუნის ბოლომდე ტარდებოდა. კრძალავდნენ ნედლეულის (განსაკუთრებით მატყლის) გატანას, მზა პროდუქციის გატანას კი, მათ შორის სახელმწიფო სუბსიდიებითაც ხელს უწყობდნენ. ინგლისი იპყრობდა სულ ახალ-ახალ კოლონიებს, რომლებიც მრეწველობას იაფ ნედლეულს აძლევდა, ვაჭრებს — მოგებას შაქრით, ბრეშუმით, სანელებლებით, თამბაქოთი ტრანზიტული და საშუამავლო ვაჭრობიდან. უცხოური სამრეწველო საქონლის შემოტანა ინგლისში შეზღუდული იყო მაღალი შემოსატანი ბაჟებით, რაც ასუსტებდა კონკურენციას და ხელს უწყობდა სამამულო მანუფაქტურების ორდას (პ რ ო ტ ე ქ ც ი ო ნ ი ზ მ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა). უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ფლოტს, რომელსაც მთელს მსოფლიოში უნდა გადაეზიდა ტვირთი და დაეცვა ინგლისის ვაჭრობა. ამ ღონისძიებათა უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო ქვეყანაში ძვირფასი ლითონების მოდენის ხორდა. მაგრამ ესპანეთისაგან განსხვავებით, სადაც ოქრო და ვერცხლი პირდაპირ ამერიკის მაღაროებიდან მიდიოდა, ინგლისში ხორციელდებოდა ფულის მოზიდვის პოლიტიკა, რომელიც უფრო სასიკეთო აღმოჩნდა. რადგან ამ პოლიტიკის შედეგი იყო მრეწველობის, ფლოტისა და ვაჭრობის განვითარება.

ამასობაში სტიუარტების მონარქიის თავზე საავდრო ღრუბლები ჩამოწვა: იაკობ I-ის შვილმა — არაშორსმჭვრეტელმა და ჯიუტმა კარლ (ჩარლზ) I-მა აიმხედრა ბურჟუაზია, რომელიც ემყარებოდა ხალხთა ფართო მასების უკმაყოფილებას. 1640 წელს, მანის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, შეიკრიბა პარლამენტი, რომელიც აშკარად გამოვიდა მეფის წინააღმდეგ. გაჩაღდა ბრძოლა. დაიწყო ინგლისური ბურჟუაზიული რევოლუცია. ათი წლის შემდეგ კარლი სიკვდილით დასაჯეს.

ჩვენთვის უცნობია პოლიტიკური შეხედულებები მანისა, რომელიც ვერ მოესწრო რევოლუციური მოვლენების გაშლას. მაგრამ თავის დროზე იგი გამოდიოდა სრული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, მხარს უჭერდა ტახტის უფლებების შეზღუდვას, კერძოდ, გადასახადების დარგში, მაგრამ ალბათ მხარს არ დაუჭერდა მეფის სიკვდილით დასჯას. სიცოცხლის დასასრულს ძლიერ მდიდარმა მანმა იყიდა მა-

მეულების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ლონდონში სახელი გაითქვა როგორც ადამიანმა, რომელსაც შეუძლია ნაღდი ფულით გასცეს დიდი რაოდენობის სესხი.

მანმა დატოვა ორი მომცრო თხზულება, რომელნიც მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, ეკონომიკური ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა. მათი ბედი არცთუ ისე ჩვეულებრივია. ამ თხზულებათაგან პირველი, რომლის სათაური იყო „ფიქრები ოსტ-ინდოეთთან ინგლისის ვაჭრობაზე, რომელიც შეიცავს მის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა შეკამათებაზე პასუხს“, გამოქვეყნდა 1621 წელს ინიციალებით — თ. მ. ეს პოლემიკური თხზულება მიმართულია ოსტ-ინდოეთის კომპანიის კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც იდგნენ ძველი პრიმიტიული მერკანტილიზმის (მონეტური სისტემის) პოზიციებზე და ამტკიცებდნენ, რომ კომპანიის ოპერაციებს ინგლისისათვის ზიანი მოაქვთ, რამდენადაც კომპანიას ინდური საქონლის შესაძენად გააქვს ვერცხლი და ეს ვერცხლი იკარგება ინგლისისათვის. საქმიანი ციფრებით და ფაქტებით მანი უარყოფდა ამ შეხედულებას და ამტკიცებდა რომ ვერცხლი არ იკარგება, არამედ ბრუნდება ინგლისში დიდი ნამატით: საქონელი, რომელიც მოაქვს კომპანიის გემებს, სხვაგვარად სამჯერ ძვირად უნდა გვეყიდა თურქებისა და ლევანტელებისაგან; გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვან ნაწილს ოქროსა და ვერცხლზე ვყიდით ევროპის სხვა ქვეყნებში. ეკონომიკური აზრის ისტორიისათვის ამ პამფლეტის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, უბრალოდ ოსტ-ინდოეთის კომპანიის ინტერესების დაცვა კი არაა, არამედ ის, რომ აქ პირველად და სისტემატიზებულადაა ჩამოყალიბებული მომწიფებული მერკანტილიზმის მოსაზრებანი.

მანის სახელს უფრო მეტ დიდებას ჰმატებს მისი მეორე წიგნი, რომლის სათაური, როგორც ჯერ კიდევ სმიტი წერდა, თვით გამოხატავს ძირითად იდეას: „ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში, ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი“. ეს თხზულება გამოიცა მხოლოდ 1664 წელს, ავტორის გარდაცვალების თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ. რევოლუციისა და სამოქალაქო ომების ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი იდო ქალალდებსა და დოკუმენტებთან ერთად ყუთში, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა მანის შვილს მამის უძრავ და მოძრავ ქონებასთან ერთად. 1660 წ. სტიუარტების რესტავრაციამ და ეკონომიკური დისკუსიების გამოცოცხლებამ მდიდარ ვაჭარსა და მიწათმფლობელს გაუღვიძა სურვილი, გამოეცა წიგნი და მოეგონებინა ხალხისა და ხელისუფლებისათვის უკვე საკმაოდ დავიწყებული თომას მანის სახელი.

ამ მეტად სხვადასხვაგვარი თავებისაგან შემდგარ წიგნში, რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილია 1625—1630 წლებში, მოკლედ და ზუსტადაა გადმოცემული მერკანტილიზმის ძირითადი აზრი. მისთვის

უცხოა სტილის ყოველგვარი სილამაზე. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „განსწავლულობის უკმარისობის გამო“, იგი წერს „ზედმეტი სიტყვების და მჭევრმეტყველების გარეშე, მაგრამ უანგარო სიმართლეს ყოველ წვრილმანზე“. ძველი მწერლების ციტატებს იგი ხალხურ თქმულებებს და საქმოსნის ანგარიშებს ამჯობინებს. მხოლოდ ერთხელ ახსენებს ისტორიულ პერსონაჟს — მეფე ფილიპე მაკედონელს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელი ურჩევდა ფულისთვის მსვლელობა მიეცათ იქ, სადაც ძალა არ ჭრიდა.

როგორც ნამდვილი მერკანტილისტი, მანი სიმდიდრეს უპირატესად ძის ფულად — ოქროსა და ვერცხლის — ფორმაში ხედავს. მის აზროვნებაში ბატონობს სავაჭრო კაპიტალის მსოფლმხედველობა: როკორც ცალკეული ვაჭარი კაპიტალისტი მიმოქცევაში უშვებს ფულს იმისათვის, რომ იქიდან ამოქაჩოს იგი ნამატით, ასევე ქვეყანა უნდა გამდიდრდეს ვაჭრობის გზით. უნდა უზრუნველყოს საქონლის შემოტანასთან შედარებით მისი გატანის გადამეტება. წარმოების განვითარებას ისინი უყურებენ მხოლოდ როგორც ვაჭრობის გაფართოების საშუალებას.

ეკონომიკური თხზულებანი ყოველთვის მეტ-ნაკლებად განსაზღვრულ პრაქტიკულ ამოცანებს ითვალისწინებს — დაასაბუთოს ესა თუ ის საშეურნეო ღონისძიებანი, მეთოდები, პოლიტიკა. მაგრამ მერკანტილისტები ამ პრაქტიკულ ამოცანებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მანი, ისევე როგორც სხვა მერკანტილისტი ავტორები, არ ისახავდა ძიზხად რაიმე ეკონომიკურ შეხედულებათა „სისტემის“ შექმნას. ძაგრამ ეკონომიკურ აზროვნებას თავისი ლოგიკა გააჩნია და ძანი აუცილებლობის გამო იყენებდა რეალობის ამსახველ თეორიულ ცნებებს: საქონელს, ფულს, მოგებას, კაპიტალს... ასე თუ ისე იგი ცდილობდა მათ შორის ეპოვა მიზეზობრივი კავშირი.

პიროვნებები

ყოველი ახალი სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, როდესაც XVII ს-ის მოაზროვნეთა მიღწევებს ვაფასებთ, უნდა გვახსოვდეს ძათ წიხაშე არსებული უდიდესი სიძნელეები. დიდი ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტები ფრენსის ბეკონი და თომას ჰობსი, რომლებიც მეცხიერების მთავარ ამოცანად მათი ობიექტური კანონზომიერებების გამოკვლევას აყენებდნენ, შეუდგნენ ბუნებისა და საზოგადოებისადმი ახლებური მიდგომის დამუშავებას. საჭირო იყო ეკონომიკურ აზროვნებაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული რელიგიურ-ეთიკური პრინციპების დაძლევა. წინათ ძირითად საკითხად მიაჩნდათ, თუ რა უ ნ დ ა ი ყ ო ს ეკონომიკურ ცხოვრებაში სახარების

არსისა და სულის შესაბამისი. ამჟამად საკითხი ეხება იმას, რას წარმოადგენს სინამდვილე და რა უნდა გაკეთდეს ამ სინამდვილის „საზოგადოების სიმდიდრის“ ინტერესებისათვის გამოსაყენებლად.

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და ვაჭრობის ზრდამ თუმცა გააფართოვა ჰორიზონტი, მაგრამ ადამიანებმა ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ სამყაროზე. ზღვისიქითა ქვეყანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! თვით ინგლისის გეოგრაფიული და ეკონომიკური აღწერაც არ იყო უტყუარი, იგი შეცდომებითა და შეუსაბამობით იყო სავსე. ეკონომიკური აზრის პიონერებს თავის განკარგულებაში ჰქონდათ მეტად ღარიბი ფაქტები და თითქმის არავითარი სტატისტიკა. მაგრამ ცხოვრება მბრძანებლურად მოითხოვდა კაცობრიობის საქმიანობაზე ახალი შეხედულებების შექმნას და ცნობისმოყვარე გონებას ახალი დარგების შესწავლისაკენ უბიძგებდა. მანსა და სმიტს შორის საუკუნის მანძილზე ინგლისში გამოქვეყნებულ ეკონომიკურ თხზულებათა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. მერკანტილიზმი არ იყო სპეციფიკური ინგლისური ძოვლენა. ფულის დაგროვების, პროტექციონიზმისა და მეურნეობის სახელმწიფო რეგლამენტაციის პოლიტიკა XV—XVIII საუკუნეებში ტარდებოდა მთელ ევროპაში — პორტუგალიიდან მოსკოვის სახელმწიფომდე. მერკანტილიზმის პოლიტიკამ განვითარებული ფორმები მიიღო საფრანგეთში XVII საუკუნის მეორე ნახევარში ყოვლისშემძლე მინისტრის — კოლბერის დროს. მერკანტილიზმის თეორიას წარმატებით ამუშავებდნენ იტალიელი ეკონომისტები. თუ თითქმის ყოველი მერკანტილისტური ტრაქტატის სათაურში ინგლისელები ხმარობდნენ სიტყვა „ვაჭრობას“, იტალიელებისათვის ასეთი სიტყვა იყო „ფული“, „მონეტა“ — დაქუცმაცებული იტალიისათვის ფულისა და მისი გაცვლის პრობლემას სახელმწიფოებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიაში მერკანტილიზმი, ეგრეთ წოდებული კამერალისტიკის ფორმით, ოფიციალური ეკონომიკური დოქტრინა იყო XIX საუკუნის დასაწყისამდე.

მაგრამ მერკანტილიზმის იდეების დამუშავებაში წამყვან როლს ინგლისელი ეკონომისტები ასრულებდნენ. ეს აიხსნება ინგლისის სწრაფი ეკონომიკური განვითარებით, მისი ბურჟუაზიის სიმწიფით. მარქსი, რომელმაც მოგვცა მერკანტილიზმის ღრმა ანალიზი, ძირითადად ინგლისელი ავტორების შრომებს ემყარებოდა.

ადამ სმიტი მერკანტილიზმს უყურებდა როგორც თავისებურ ცრურწმენას. ეს შეხედულება განამტკიცეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზატორებმა. მარქსი ამის წინააღმდეგი იყო: „...არ უნდა წარმოვიდგინოთ ის მერკანტილისტები ისეთ სულელებად, როგორც მათ ჭვიზატავდნენ შემდეგში თავისუფალი ვაჭრობის ვულგარუ-

ლი მომხრეები".[1] თავისი დროისათვის დასრულებული მერკანტილიზმი მეცნიერების სერიოზული მიღწევა იყო. ეკონომიკური აზროვნების ამ პიონერთაგან ყველაზე მაღალი ტალანტის მქონენი შეიძლება დავაყენოთ XVII საუკუნის უდიდესი მოაზროვნეების — ფილოსოფოსების, მათემატიკოსების, ბუნების მკვლევართა გვერდით.

მერკანტილიზმის ეროვნულ ხასიათს როგორც თეორიულ სისტემას და როგორც პოლიტიკას თავისი საფუძვლები ჰქონდა. დაჩქარებული კაპიტალისტური განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში და ბევრად იყო დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლებაზე, რომელიც ხელს უწყობდა კაპიტალის დაგროვებას და ამით მეურნეობრივ ზრდას. თავიანთი შეხედულებებით მერკანტილისტები გამოხატავდნენ ეკონომიკური განვითარების ნამდვილ კანონზომიერებებს და მოთხოვნებს.

რატომ იზრდება „სიმდიდრე", ე. ი. შექმნილი, მოხმარებული და დაგროვებული სიმდიდრის მასა — სახმარი ღირებულებანი ერთ ქვეყანაში იხტენსიურად, ვიდრე მეორეში? რისი გაკეთება შეიძლება და უნდა გაკეთდეს წარმოებისა და განსაკუთრებით სახელმწიფო მასშტაბით, რათა სიმდიდრე უფრო სწრაფად იზრდებოდეს? არ არის ძნელი. დავინახოთ, რომ სწორედ პოლიტიკური ეკონომიის უნარი — გასცეს პასუხი ამ კითხვებს, ამართლებს მისი, როგორც მეცნიერების არსებობას. მერკანტილისტები ცდილობდნენ. ეპოვათ პასუხები და მათ თავისი ეპოქის ეკონომიკის პირობებში ეძებდნენ. შეიძლება ითქვას, მათ პირველებმა წამოაყენეს „რაციონალური მეურნეობრიობის" ამოცანა, როგორც ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემა. მრავალი მათი ემპირიული დასკვნა და რეკომენდაცია ობიექტურად გამართლებული და ამ აზრით მეცნიერული იყო.

ამასთან ერთად მათ გადადგეს პირველი ნაბიჯები კაპიტალისტური ეკონომიკის მოძრაობისა და შინაგანი მექანიზმის კანონების შეცნობის თვალსაზრისით. ეს შეცნობა მეტად ზედაპირული და ცალმხრივი იყო, რამდენადაც ეკონომიკის საიდუმლოების ამოხსნას ისინი მიმოქცევის სფეროში ეძებდნენ. ერთი კრიტიკოსთაგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოებას ისინი განიხილავდნენ მხოლოდ როგორც „აუცილებელ ბოროტებას", როგორც ქვეყანაში, უფრო ზუსტად, ვაჭარი კაპიტალისტების ხელში ფულის მოდენის უზრუნველყოფის საშუალებას. ნამდვილად კი ყოველი საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს მატერიალური დოვლათის წარმოება, ხოლო მასთან ურთიერთობაში მიმოქცევა მეორადია.

თავის მხრივ მერკანტილისტების ეს შეხედულება აიხსნება იმით, რომ სავაჭრო კაპიტალი ამ დროს კაპიტალის გაბატონებული ფორმა

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. პირველი, თბ., 1966. გვ. 190.

იყო საერთოდ. წარმოების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდელი წესით წარიმართებოდა, მიმოქცევის სფერო კი, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობა, ამ დროისათვის მსხვილ კაპიტალს ჰქონდა უკვე ჩაგდებული. შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი კომპანიების საქმიანობა, როგორიცაა ოსტ-ინდოეთის, აფრიკის და სხვ. ინგლისში ეკონომიკური დისკუსიის ცენტრში იმყოფებოდა მთელი XVII საუკუნის და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში.

თვით „ერის სიმდიდრეს" მერკანტილისტები არსებითად განიხილავდნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესების პოზიციებიდან. ამიტომ მათ არ შეეძლოთ, არ შეესწავლათ ისეთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორია, როგორიცაა ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. ეს კი მათ არსებითად აინტერესებდათ როგორც თეორეტიკოსებს, რადგან თუ არა ფულსა და ოქროში, მაშ უფრო ნათლად რაში გამოიხატება საცვლელი ღირებულება? მაგრამ თვით არისტოტელესეული ამოსავალი იდეა გაცვლაში სხვადასხვა დოვლათისა და სხვადასხვა სახის შრომის ტოლობისა მათთვის უცხო იყო. პირიქით, მათი წარმოდგენით, გაცვლა თავისი ბუნებით უთანასწოროა, არაეკვივალენტურია (ამ შეხედულებებს თავისი ისტორიული საფუძველი ჰქონდა; ისინი, უპირველეს ყოვლისა, იხილავდნენ საგარეო ვაჭრობის გაცვლას, რომელიც ხშირად აშკარად არაეკვივალენტური იყო, განსაკუთრებით ჩამორჩენილ და „ველურ" ხალხებთან ვაჭრობაში). მერკანტილისტები, როგორც წესი, არ ავითარებდნენ შრომითი ღირებულების თეორიას, რომლის ჩანასახები იყო არისტოტელესთან და შუა საუკუნეების ზოგიერთ ავტორთან.

ზედმეტი ღირებულება, რომელიც სინამდვილეში კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მუშების ფასგადაუხდელი შრომის მითვისების ნაყოფია, მერკანტილისტებთან წავაჭრო მოგების სახით გამოდის. კაპიტალის ნამატი და დაგროვება მათ წარმოდგენილი ჰქონდათ არა როგორც შრომის ექსპლოატაციის შედეგი, არამედ გაცვლის, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობით წარმონაშობი.

მაგრამ ეს ილუზიები და დაბნეულობა არ გამორიცხავდა იმას, რომ მრავალი პრობლემა მერკანტილისტებს სწორად ესმოდათ. ასე მაგალითად, მათი ზრუნვის მნიშვნელოვანი საგანი იყო კაპიტალისტურ წარმოებაში მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ნაწილის ფაქტობრივი ჩარევა. უკიდურესად დაბალ რეალურ ხელფასთან შეხამებით უნდა გაედიდებინათ მოგების მასა და დაეჩქარებინათ კაპიტალის დაგროვება. მერკანტილისტები ეკონომიკურ განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ელასტიკურ ფულად სისტემას. გვიანდელი მერკანტილისტები თავის ეკონომიკურ პროექტებში გულისხმობდნენ ძლიერ სახელმწიფო ხელისუფლებას და ხშირად გამოდიოდნენ მეურნეობის გადაჭარბებული და წვრილმანი სახელმწიფო რეგ-

ლამენტაციის წინააღმდეგ, ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლისელებისათვის, რომელნიც გამოხატავდნენ ძლიერი, დამოუკიდებელი და გამოცდილი ბურჟუაზიის ინტერესებს, მათ სახელმწიფო სჭირდებოდათ ბურჟუაზიის ინტერესების მხოლოდ საერთო დამცველად.

/თომას მანი მტკიცედ იბრძოდა ძვირფასი ლითონების გატანის მკაცრი რეგულირების წინააღმდეგ. იგი წერდა, რომ გლეხისათვის აუცილებელია მიწაში მარცვლის ჩაგდება, რათა შემდგომში მიიღოს მოსავალი, ასევე ვაჭარმა უნდა გაიტანოს ფული და იყიდოს უცხოური საქონელი, რათა შემდგომში გაყიდოს მეტი თავისი საქონელი და მისცეს ერს მოგება .დამატებითი ფულის რაოდენობის სახით.

მერკანტილიზმი როგორც თეორია და როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება არ იყო ერთგვაროვანი. იმ ზომით, როგორითაც ის ფეოდალიზმის საპირისპიროდ გამოხატავდა მზარდი ბურჟუაზიის იდეებსა და ინტერესებს, პროგრესული იყო თავისი დროისათვის და თავისი როლი შეასრულა ადრეული კაპიტალიზმის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მერკანტილიზმის მეთოდებს და ნაწილობრივ მის თეორიასაც იყენებდა აგრეთვე ფეოდალურ-აბსოლუტური სახელმწიფო და თავადაზნაურობა ახლის წინააღმდეგ, პროგრესისა და თავისუფლების ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში/ლუდოვიკო XIV და კოლბერი მანუფაქტურებს ნერგავდნენ არა იმდენად ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის, რამდენადაც აბსოლუტიზმის განმტკიცებისა და მფლანგველური სამეფო კარის შემოსავლებით უზრუნველყოფისათვის. გერმანიაში კამერალისტები იყვნენ დესპოტური მმართველობის ყველაზე ერთგული მსახურნი, ხალხს ასწავლიდნენ ხელისუფალთა უსიტყვო მორჩილებას. /

მერკანტილიზმი და ჩვენი ეპოქა

/მერკანტილიზმი როგორც ეკონომიკური თეორიის მიმართულება, სცენიდან XVIII ს-ის ბოლოს ჩამოვიდა. საბრეწველო რევოლუციის პირობებს უფრო მეტად შეესაბამებოდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები. ამ პრინციპების სიჭარბე განსაკუთრებით სრული იყო ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში — ინგლისსა და საფრანგეთში. ეკონომიკურ პოლიტიკაში ეს აირეკლა ეკონომიკაში და საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შესუსტებით.

•მაგრამ ქვეყნებში, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების გზას ჯერ დაადგნენ, კლასიკური სკოლის იდეები მთლიანად ვერ დამკვიდრდა. ამ ქვეყნების ბურჟუაზიას არ უნდოდა ეღიარებინა, რომ ეკონომიკაში ყველაზეტი ღამოკიდებულია ძალთა თავისუფალ მონა-

ცვლეობაზე. უსაფუძვლოდ არ ვარაუდობდა, რომ ასეთ პირობებში მოგების შანსები სწორედ ინგლისის ბურჟუაზიას ჰქონდა. ამის გამო მერკანტილისტების ზოგიერთი კონკრეტული იდეა უკვდავი იყო, ხოლო მათი პოლიტიკის არსენალს — მეურნეობის სახელმწიფო ხელმძღვანელობას, პროტექციონიზმს, ქვეყანაში ფულის სიუხვის უზრუნველყოფას — მრავალ შემთხვევაში აქტიურად იყენებდნენ მთავრობები.

• დადგა XX საუკუნე. სამრეწველო ბურჟუაზიულ ქვეყნებში განვითარდა სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ამ პირობების შესატყვისი ეკონომიკური იდეები და მეურნეობაზე სახელმწიფო ზემოქმედების ამსახველი ამოცანები ყველაზე სრულყოფილად გამოთქვა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ინგლისელმა თეორეტიკოსმა ჯონ მეინარდ კეინსმა. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის აზრი უკანასკნელ ათწლეულებში მეტწილად მისი იდეების ნიშნით ვითარდებოდა.

„კაპიტალიზმს უკვე აღარ შეუძლია არსებობა თვითრეგულირების საფუძველზე, — ამტკიცებდა კეინსი,—სახელმწიფომ ეკონომიკის რეგულირების ამოცანა უნდა თავის თავზე აიღოს. ეს ამოცანა ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ შევინარჩუნოთ და სტიმული მივცეთ გადახდისუნარიან მოთხოვნას, რომელსაც აქვს წარმოებისაგან ქრონიკულად ჩამორჩენის ტენდენცია. ამ გზით უნდა ვებრძოლოთ უმუშევრობას და საწარმოთა დაუტვირთაობას. აუცილებელია, კერძო კაპიტალისტებს სისტემატურად ვუბიძგოთ, რათა მათ მოახდინონ კაპიტალის ინვესტიცია, ე. ი. ააშენონ ახალი საწარმოები, გაფართოვონ წარმოება.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, რასაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია საუკუნენახევრის მანძილზე საქვეყნოდ აცხადებდა, კეინსის აზრით, მცდარი და საშიში იდეაა. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ფულის სიუხვე და მისი „სიიაფე“, ე. ი. სასესხო სარგებლის დაბალი განაკვეთი. ასეთ ვითარებაში კაპიტალისტები ხალისით აიღებენ ბანკებიდან სესხს, მოახდენენ ინვესტიციებს და, მაშასადამე, დაიქირავებენ მუშებს და გადაუხდიან მათ ხელფასს. ვაჭრობის თავისუფლება ცრუ რწმენაა. თუ აუცილებელია სრული დასაქმებისათვის, დასაშვებია, აგრეთვე, უცხოური საქონლის შემოზიდვის შეზღუდვა, დემპინგი (თავისი საქონლის გატანა დაბალ ფასებში ბაზრების დასაპყრობად) და ვალუტის კურსით მანევრირება.

ეს რეკომენდაციები უცნაურობამდე მოგვაგონებენ მერკანტილისტების იდეებს. იგულისხმება მთელი ის განსხვავება, რაც არსებობს თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკასა და იმ ეკონომიკას შორის, დასავლეთ ევროპაში 250—300 წლის წინათ რომ არსებობ-

და. შვედი მეცნიერი ელი ხეკშერი, მერკანტილიზმის საკითხებში აღიარებული სპეციალისტი, წერს: „ეკონომიკურ მოვლენებზე კეინსის შეხედულებები საოცრად ჰგავს მერკანტილისტების შეხედულებებს, თუმცა მისი სოციალური ფილოსოფია სრულიად სხვაა“...[1] რა თქმა უნდა, სხვაა — კეინსი თანამედროვე სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგია, მერკანტილისტები კი გამოხატავდნენ ადრეული კაპიტალიზმის ეპოქის ახალწარმოშობილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. მით უმეტეს, რომ კეინსი მერკანტილისტებს იხსენიებს როგორც თავის წინამორბედებს. მართალია, კრიტიკოსები, განსაკუთრებით იგივე პროფესორი ხეკშერი, შემდეგ გვიჩვენებენ, რომ კეინსი XVII და XVIII საუკუნეთა ავტორებს ხშირად უბრალოდ აწერდა თავის საკუთარ იდეებს და მ.ი. მიმღვრებას თავისთვის ხელსაყრელ შინაარსს ანიჭებდა.

„კეინსმა ჩამოაყალიბა ოთხი პუნქტი, რომელიც [illegible] ირით, მას მერკანტილისტთან ანათესაურებს.

პირველი, მერკანტილისტები, მისი აზრით, თავიანთ [illegible] ფებას უკავშირებდნენ ქვეყნის ოქროთი ფულის მასის [illegible] საჩვენებლის შემცირებისა და [illegible] ორც ახლახან ვნახეთ, ეს კეინსის ერთ-ერთი მახასიათებელი [illegible] განია; მეორე, მერკანტილისტებს არ ეშინოდათ ფასების ზრდისა და იცოდნენ, რომ მაღალი ფასები ხელს უწყობენ ეკონომიკისა და წარმოების გაფართოებას. კეინსი „ზომიერი ინფლაციის“, როგორც ეკონომიკური აქტიურობის შენარჩუნების თანამედროვე კონცეფციების ერთ-ერთი ფუძემდებელია; მესამე, „მერკანტილისტები იყვნენ წამომწყები... წარმოდგენისა ფულის უკმარისობის როგორც უმუშევრობის მიზეზის შესახებ“.[2] კეინსმა წამოაყენა იდეა, რომ ბანკების საკრედიტო ექსპანსიისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გზით ფულის რაოდენობის გადიდება შეიძლება იყოს უმუშევრობასთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი; მეოთხე, „მერკანტილისტები არ ტყუვდებოდნენ თავიანთი პოლიტიკის ნაციონალისტურ ხასიათში და ომის გაჩაღების ტენდენციებში“.[3] კეინსის აზრით, პროტექციონიზმს შეუძლია დაეხმაროს მოცემულ ქვეყანას დასაქმების პრობლემის გადაჭრაში, იგი მხარს უჭერდა ეკონომიკურ ნაციონალიზმს;

„ამას უნდა მიემატოს მეხუთე პუნქტი, რომელსაც კეინსი, როგორც ჩანს, გულისხმობდა — სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში.“

---

[1] E. F. Heckscher. Mercantilism. vol. 2. L. 1955. p. 340.

[2] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, М., 1948. стр. 336.

[3] იქვე, გვ. 237—238.

ზემოთ აღინიშნა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ საბოლოოდ თქვა უარი შრომითი ღირებულების თეორიაზე და კლასიკური სკოლის სხვა თეორიულ საფუძვლებზე. ახლა მან უარყო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების მოძღვრებიდან გამომდინარე ეკონომიკური პოლიტიკაც. აქის ძირეული მიზეზია კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გამწვავება. სახელმწიფოს ჩარევის პირობებში ბურჟუაზიული ეკონომისტები ეძებენ ამ წინააღმდეგობების შერბილების საშუალებებს. ეკონომიკაში სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის კონცეფცია კი წარსულში შედარებით სრულად წარმოადგინა მერკანტილიზმმა. აქედან წარმოდგება მათი ნათესაობა.

მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია არ გაჰყვა კეინსელთა გზას. რიგი სკოლებისა უარყოფენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების აუცილებლობას. ისინი ემხრობიან „კერძო მეწარმეობის თავისუფლებას", და გამოდიან კეინსელების ინფლაციური გატაცებების წინააღმდეგ. ასეთი ავტორები სახელმწიფოს ეკონომიკაზე, წარმოებაზე და დასაქმებაზე ზემოქმედების ცდას ზოგჯერ „ნეომერკანტილიზმს" უწოდებენ და ამ ტერმინში აქსოვენ უარყოფით აზრს. მათი გაგებით ყოველ ასეთი სახელმწიფოებრივი ზემოქმედება იწვევს პიროვნების თავისუფლების შებღალვას და არ შეესაბამება „დასავლეთის იდეალებს". „ნეომერკანტილიზმის" ეს კრიტიკოსები ვერ ხედავენ იმას, რასაც თავისი თეორიებით გამოხატავენ კეინსელები. ეკონომიკაში თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის გაძლიერება ობიექტური კანონზომიერებაა. სხვაგვარად კაპიტალიზმს უკვე არ შეუძლია თავი გაართვას მ-ს მიერ წარმოშობილ ძალებს.

მეორე მხრივ, მეტსახელი „ნეომერკანტილიზმი" ჩრდილს აყენებს ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორს, სახალხო მეურნეობრივ გეგმებს და პროგრამებს ნეომერკანტილიზმს უწოდებენ. ეროვნული მრეწველობის დაცვა საბაჟო ტარიფებისა და სხვა ღონისძიებათა შემწეობით ასევე ნეომერკანტილიზმია. ორმხრივი სავაჭრო გარიგებანი, ინდუსტრიალიზაციის ფინანსირება სახელმწიფო სესხების გზით, ფინანსების რეგულირება და მონოპოლიების მოგებათა შეზღუდვა ისევ და ისევ ნეომერკანტილიზმია.

მაშ როგორ შეუძლიათ ამ ქვეყნებს განვითარება? თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე, ე. ი. უცხოური მონოპოლიების თავისუფალი მოქმედებით სახელმწიფოს კეთილმოსურნე ჩაურევლობის პირობებში. მაშინ, როგორც ჩანს, არ იქნება ნეომერკანტილიზმი. მაგრამ მაშინ არ იქნება არც დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითა-

რება, რადგან სწორედ ეს პირობები იწვევენ ჩამორჩენილობისა და დამოკიდებულების კონსერვაციას.

ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ინდუსტრიალიზაციის გულია. იგი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის გარდაქმნასა და მოდერნიზაციაში. როცა განვითარებადი ქვეყნები იყენებენ პროტექციონიზმს როგორც სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებას, იგი პრინციპულად განსხვავდება იმ პროტექციონიზმისაგან, რომელსაც კაპიტალიზმის მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ გასაღების ბაზრებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში. განვითარებად ქვეყნებში პროტექციონიზმი მიმართულია ეროვნული მრეწველობის შექმნისაკენ და მეტწილად პროგრესულ ხასიათს ატარებს.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲗᲐᲕᲘ

ᲥᲔᲒᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲡᲔᲠ ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲞᲔᲢᲘ

თომას მანის თანამედროვენი იყვნენ შექსპირი და ბეკონი — ხელოვნებისა და მეცნიერების დიდი ნოვატორები. პოლიტიკური ეკონომიის ნოვატორი — უილიამ პეტი — გამოჩნდა ერთი თაობის შემდეგ. მათ შორის XVI და XVII საუკუნეთა მიჯნაზე დაბადებული საშუალო თაობის შესანიშნავი ადამიანები, მეომარნი და მქადაგებელნი იყვნენ. ზომიერი ბურჟუაზიის ბელადი ოლივერ კრომველი და მისი უკიდურესად მემარცხენე პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჯონ ლილბერნი გამოდიოდნენ მარჯვენა ხელში ხმლით და მარცხენაში ბიბლიით. XVII საუკუნის პოლიტიკურმა და სოციალურმა რევოლუციამ იმდროინდელი ისტორიული პირობების ძალით რელიგიური გარეგნობა მიიღო და პურიტანისტის ხაპი ტილოს სამოსით შეიმოსა.

კრომველის პროტექტორატში ბურჟუაზიამ ამოწურა თავისი რევოლუციურობა და 1660 წელს ახალ თავადაზნაურობასთან ერთად სიკვდილით დასჯილი მეფის შვილის კარლ II-ის ტახტზე აყვანით კვლავ სტიუარტების დინასტია გამეფდა. მოხდა რესტავრაცია, მაგრამ მონარქიას უკვე აღარ ჰქონდა ის ძალა — რევოლუციას უქმად არ ჩაუვლია. ბურჟუაზიამ განიმტკიცა თავისი პოზიციები ძველი ფეოდალური თავადაზნაურობის ხარჯზე.

რევოლუციური ოცწლეულის მანძილზე (1641—1660 წწ.) გაიზარდა ადამიანთა ახალი თაობაც, რომელთა აზროვნებას რევოლუციამ ძლიერი, თუმცა მეტად განსხვავებული დაღი დაამჩნია. პოლიტიკა და რელიგია (ისინი კი განუყოფლად დაკავშირებულნი იყვნენ) გარკვეულად მოდიდან გამოვიდა. 40-იან და 50-იან წლებში ყრმობა-გამოვლილ ადამიანებს ზიზღს ჰგვრიდა სქოლასტიკური დავა, რომლისათვისაც ბიბლია იყო არგუმენტების ძირითადი წყარო. რევოლუციიდან მათ მემკვიდრეობით მიიღეს სხვა — ბურჟუაზიული თავისუფლების, აზროვნების და პროგრესის—სული. ტალანტების ბრწყინვალე თანავარსკვლავედი აკაშკაშდა მეცნიერებაში. პირველი რიგის ვარსკვლავები იყვნენ ფიზიკოსი რობერტ ბოილი, ფილოსოფოსი ჯონ ლოკი და, ბოლოს, დიდი ისააკ ნიუტონი.

ადამიანთა ამ თაობას და წრეს ეკუთვნოდა უილიამ პეტი, მარ-

ქსის გამოთქმით, „პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი და რამდენადმე სტატისტიკის გამომგონებელიც“.[1]

პეტი წინ უსწრებს საუკუნეს

პეტი თავისსავე სიცოცხლეში იყო თუ სახელოვანი არა, კარგად ცნობილი მაინც. მაკ-კულოხი 1845 წ. წერდა, რომ „სერ უილიამ პეტი იყო XVII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი პიროვნება“. უფრო მეტიც, იგი პეტის პირდაპირ უწოდებდა შრომითი ღირებულების თეორიის ფუძემდებელს და მას პირდაპირი ხაზით აკავშირებდა რიკარდოსთან.

და მაინც უილიამ პეტი მეცნიერებისათვის სრულად მხოლოდ მარქსმა აღმოაჩინა. მხოლოდ მარქსმა გააშუქა ახლებურად პოლიტიკური ეკონომიის მთელი ისტორია თავისი მატერიალისტური და კლასობრივი ანალიზით და გვიჩვენა ნამდვილი ადგილი, რომელიც მასში უკავია გენიალურ ინგლისელს. პეტი ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელია, რომელმაც დაიწყო კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგან კანონზომიერებათა ანალიზი, მისი მოძრაობის კანონების ძიება.

მარქსს ძლიერ იტაცებდა ეს ნათელი და თავისებური პიროვნება: „პეტი თავს თვლის ახალი მეცნიერების დამფუძნებელად...“, „მისი გენიალური გაბედულება“..., „ორგინალური იუმორითაა გამსჭვალული პეტის ყველა თხზულება...“, „პეტის თვით შეცდომაც კი გენიალურია...“, „ეს ნამდვილი შედევრია როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ“. — ასეთი შეფასება მარქსის სხვადასხვა ნაწარმოებებიდან წარმოდგენას იძლევა მისი დამოკიდებულების შესახებ „უგენიოსესი და უორიგინალესი ეკონომისტი მკვლევრის მიმართ“.[2]

ჯერ კიდევ მაკ-კულოხმა აღნიშნა პეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ბედის საკმაოდ უცნაური ფაქტი. პეტის მეტად მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, მისი თხზულებანი არასოდეს არ გამოცემულა სრულად და არსებობდა მხოლოდ ძველი გამოცემების სახით, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მაკ-კულოხი პეტის შესახებ თავის შენიშვნას ამთავრებს მორიდებული სურვილით: „...პეტის მადლიერი შთამომავალნი, რომელთაც გადაეცათ არც თუ მცირე წილი როგორც მისი ტალანტისა, ისე მისი მამულისა, მისი შრომების სრული კრებულის გამოცემაზე უკეთესს მონუმენტს ვერ აუგებდნენ მის ხსოვნას“[3].

მაგრამ პეტის „მადლიერ შთამომავალთ“ — გრაფ შელბერნებს და მარკიზ ლენსდაუნებს არ ჰქონდათ არავითარი სურვილი, საზო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 345.
[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 275.
[3] J. R. Mac Gulloch, The Literature of Political Economy, L., 1938, p. 212.

გადოებისათვის წარედგინათ თავიანთი წინაპარი, ღარიბი ხელოსნის შვილი, რომელმაც სიმდიდრე და აზნაურობა არცთუ მაინც და მაინც წესიერი გზით მოიპოვა და, ერთ-ერთი ახალი ბიოგრაფის სიტყვით რომ ვთქვათ, ჰქონდა „გახმაურებული, მაგრამ საეჭვო რეპუტაცია". იგივე ბიოგრაფი (ემილ სტრაუსი) სხვათა შორის აღნიშნავს, რომ XX საუკ. შუა ხანებშიც კი ლენსდაუნების საგვარეულო არქივში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი პეტის მრავალი უცნობი ნაშრომი.

საქმის ეს მხარე ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პეტის მემკვიდრეებს მიაჩნდათ უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე მის თხზულებათა ისტორიული და მეცნიერული ღირსება. მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულში გამოიცა პეტის, იმ დროისათვის ერთადერთი, მაგრამ სრული, ეკონომიკური შრომების პირველი კრებული. იმავე ხანებში ერთ-ერთმა შთამომავალმა გამოაქვეყნა პეტის პირველი ბიოგრაფია. მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში გამოიცა მისი ზოგიერთი ხელნაწერი და მიმოწერა.

უკვე ნათელი გახდა პეტის პოლიტიკური შეხედულებები, მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობა, კავშირები ეპოქის უმსხვილეს მეცნიერებთან. ცნობილი გახდა მისი ცხოვრების მრავალი დეტალი. დიდ ადამიანებს არ ესაჭიროებათ თავიანთი პორტრეტების შეფერადება, მანკიერებისა და ნაკლოვანებების დაფარვა. ეს მთლიანად ეხება უილიამ პეტის. კაცობრიობის კულტურის ისტორიაში იგი დარჩება არა როგორც მსხვილი ირლანდიელი მიწათმფლობელი და მოხერხებული (თუმცა არა ყოველთვის იღბლიანი) სამეფო კარის მსახური, არამედ როგორც გაბედული მოაზროვნე, რომელმაც აღმოაჩინა ახალი გზები მეცნიერებაში საზოგადოების შესახებ.

პეტის ისტორიული დამსახურება ისიცაა, რომ იგი იყო წამომწყები მიმართულებისა, რომლისაგანაც წარმოდგა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები პეტის აღიარებენ როგორც დიდ და ნათელ პიროვნებას და არცთუ იშვიათად მას წარმოგვიდგენენ სმიტის, რიკარდოს და მარქსის წინამორბედად. პეტის როლს მეცნიერებაში ხშირად ზღუდავენ მხოლოდ კვლევის სტატისტიკურ-ეკონომიკური მეთოდის საფუძვლების შექმნით.

შუმპეტერი ამტკიცებს, რომ პეტის არა აქვს შრომითი ღირებულების თეორია (და ღირებულების ცნება საერთოდ), არა აქვს ხელფასის რამდენადმე შესამჩნევი თეორია, და, მაშასადამე, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ მას ესმოდა ზედმეტი ღირებულება. შუმპეტერის გადაკრული სიტყვით, თავის რეპუტაციას ის თითქოს უნდა უმადლოდეს „დოქტორ მარქსს, რომელმაც პეტი გამოაცხადა ეკონომიკური მეცნიერების დამაარსებლად,"[1] ასევე ზოგიერთი ბურჟუაზი-

1 J. Schumpeter, History of Economic Analysis, N. Y., 1954, p. 210.

ული მეცნიერის აღტაცებას, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, ვის წინ-ქვილზე ასხამდნენ წყალს.

მრავალ შემთხვევაში პეტი განხილულია მხოლოდ როგორც მერკანტილიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, შესაძლებელია ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და მოწინავე, მაგრამ არა ამაზე მეტი. უკიდურეს შემთხვევაში მის დამსახურებად, სტატისტიკური მეთოდის აღმოჩენის გარდა, თვლიან ისეთი ეკონომიკური პრობლემებისა და ეკონომიკური საკითხების განხილვას, როგორიცაა: გადასახადებით დაბეგვრა და საბაჟოს გადასახადები. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება აბსოლუტურად გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. არსებობს აგრეთვე სხვა შეხედულებებიც. პეტის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში, მისი თეორიის კავშირი სმიტის, რიკარდოს და მარქსის თეორიასთან განხილულია უფრო სწორ ისტორიულ პერსპექტივაში. მაგრამ წამყვანია ის პოზიცია, რომელიც შუმპეტერს უკავი

ᲘᲣᲜᲒᲐᲓᲐᲜ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲛᲓᲔ

დეფოს რომანის გმირი — ახალგაზრდა რობინზონ კრუზო სახლიდან მალულად გაიპარა და მეზღვაური გახდა. ასე დაიწყო მისი თავგადასავალი, რომელიც ორნახევარი საუკუნის მანძილზე აღელვებს მკითხველს. მსგავსი ისტორია გადახდა თავს ხემპშირის (სამხრეთ ინგლისი) ქალაქ რომსის მემამულე ენტონი პეტის ოჯახს: მისმა 14 წლის ვაჟიშვილმა უილიამმა უარი თქვა მემკვიდრეობით ხელობაზე და საუტხემპტონში გემზე იუნგად დაიწყო მუშაობა.

XVII და XVIII საუკუნეების ინგლისში მეზღვაურად გახდომა ახალგაზრდობის პროტესტის ჩვეულებრივი ფორმა იყო ერთფეროვანი, ყოველდღიური ცხოვრების წინააღმდეგ — უხსოვარი დროიდან ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი თავგადასავლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების გამოხატულება. ეს არ იყო ბუნტი ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წინააღმდეგ, პირიქით, თავგადასავლებისაკენ ლტოლვა ცოტად თუ ბევრად უკავშირდებოდა ამ ახალგაზრდობის სწრაფვას გამდიდრებისაკენ, ახალ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავისი პიროვნების დამკვიდრებისაკენ. ასეთი თვისება სავსებით დამახასიათებელია, აგრეთვე, ახალგაზრდა პეტისათვისაც.

ერთი წლის შემდეგ პეტიმ გემზე ფეხი მოიტეხა. იმდროინდელი მკაცრი ჩვეულებების მიხედვით იგი გადასვეს უახლოეს ნაპირზე — ნორმანდიის სანაპიროზე საფრანგეთის ჩრდილოეთით. იგი იხსნა თანდაყოლილმა პრაქტიკულობამ, უნარიანობამ და ილბალმა. ავტობიოგრაფიაში უილიამ პეტი ბუხჰალტრული სიზუსტით, საქმიანი რობინზონის ღირსებით გვატყობინებს ფულის რა უმნიშვნელო თანხა ჰქონ-

და ნაპირზე, როგორ გამოიყენა იგი, როგორ „გაზარდა“ თავისი ქონება სხვადასხვა წვრილმანის ყიდვითა და მომგებიანად გაყიდვით. მოუხდა ყავარჯნების ყიდვაც, რომლისაგანაც, სხვათა შორის, მალე განთავისუფლდა.

პეტი თავისებური ვუნდერკინდი იყო — მიუხედავად არცთუ დიდი განათლებისა, რისი მიცემაც შეძლო მისთვის რომსის ჰოლანდიურმა სკოლამ, მან იმდენად იცოდა ლათინური, რომ მიღების შესახებ ქალაქ კანში საკუთარი კოლეჯის მქონე იეზუიტ მამებს ლათინურ ენაზე ლექსად დაწერილი „განცხადებით“ მიმართა. ახალგაზრდის ნიჭით გულწრფელად განცვიფრებულმა, კათოლიკური ეკლესიისათვის ძვირფასი შენაძენით აღტაცებულმა იეზუიტებმა იგი მიიღეს კოლეჯში სრული პანსიონით კოლეჯის ხარჯზე. პეტიმ იქ ორ წლამდე დაყო, რის შედეგადაც, მისი სიტყვებით, „შეისწავლა ლათინური, ბერძნული და ფრანგული ენები, ნავიგაციის ხელოვნებისათვის მნიშვნელოვანი მთელი ჩვეულებრივი არითმეტიკა, პრაქტიკული გეომეტრია და ასტრონომია“.[1] პეტის შესანიშნავი მათემატიკური ნიჭი სიცოცხლის დასასრულამდე შერჩა და ამ დარგში იმდროინდელი მეცნიერების მიღწევების დონეზე იდგა.

1640 წ. ლონდონში პეტი საარსებო საშუალებას საზღვაო რუკების ხაზვით შოულობს. შემდეგ იგი სამი წელი მსახურობს სამხედრო ფლოტში, სადაც მისი ნიჭი ნავიგაციის საქმეში და კარტოგრაფიაში ერთობ სასარგებლო აღმოჩნდა.

ესაა რევოლუციური, მძვინვარე პოლიტიკური და იდეური ბრძოლის ქარცეცხლის, სამოქალაქო ომის დაწყების წლები. პრინციპში 20 წლის პეტი ბურჟუაზიული რევოლუციისა და პურიტანული რელიგიის მხარეზეა, მაგრამ არა აქვს ბრძოლაში პირადად ჩარევის არავითარი სურვილი. მას მეცნიერება იტაცებს და მიემგზავრება ჰოლანდიასა და საფრანგეთში, სადაც ძირითადად მედიცინას სწავლობს. ასეთი მრავალმხრივობა მარტო პეტის ნიჭისათვის არ იყო დამახასიათებელი — XVII საუკუნეში ცალკეულ მეცნიერებათა გამოყოფა მხოლოდ იწყებოდა და მეცნიერული უნივერსალობაც არ იყო იშვიათი.

გადის მოგზაურობის, მჩქეფარე საქმიანობის, დაძაბული სწავლის სამი ბედნიერი წელი. ამსტერდამში პეტი საოქრომჭედლო და ოპტიკურ სახელოსნოში შრომით მიღებული შემოსავლით ცხოვრობს. პარიზი — იქ ემიგრაციაში მცხოვრებ ფილოსოფოს ჰობსის მდივანია. 24 წლის პეტი უკვე კარგად ჩამოყალიბებული ფართო ცოდნის, დიდი ენერგიის, ხალისიანი, მომხიბვლელი ადამიანია.

ინგლისში დაბრუნებული პეტი მალე ოქსფორდში, სადაც იგი

[1] ციტირებულია: E. Strauss, Sir William Petty, Portrait of a Genius. L., 1954, p. 24.

განაგრძობს მედიცინის შესწავლას, და ლონდონში, რომელთანაც იგი დაკავშირებულია სამუშაოთი ფულისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფის თვალსაჩინო წევრი ხდება. თავდაპირველად ეს ადამიანები თავიანთ თავს „უხილავ კოლეგიას“ უწოდებდნენ, მაგრამ რესტავრაციის შემდეგ მალე შეიქმნა სამეფო საზოგადოება — ახალი დროის პირველი მეცნიერებათა აკადემია. 1650 წ. რჩეულ პეტიმ ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო ფიზიკის დოქტორის ხარისხი და გახდა ერთ-ერთი კოლეჯის ანატომიის პროფესორი და ვიცე პრინციპალი (დაახლოებით იგივეა, რაც პრორექტორი), „უხილავმა კოლეგიამ“ იწყო შეკრება მის ბინაში, რომელიც აფთიაქარის სახლში ჰქონდა დაქირავებული.

ამ მეცნიერთა პოლიტიკური შეხედულებები, მათ შორის პეტისაც, არ იყო განსაკუთრებულად რადიკალური. მაგრამ რევოლუციურმა სულმა, რომელმაც იმ დროისათვის წარმოშვა რესპუბლიკა (1649 წ. მაისი), თავისი დაღი დაამჩნია მთელ მათ მოღვაწეობას. მეცნიერებაში ისინი წინააღმდეგი იყვნენ ძველი სქოლასტიკისა და იბრძოდნენ ექსპერიმენტული მეთოდების დანერგვისათვის. პეტიმ შეისისხლხორცა და მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა რევოლუციისა და დემოკრატიზმის ეს სულისკვეთება, რომელიც შედარებით გვიან წლებში დროდადრო მეტად შეუფერებელი სახით იკაფავდა გზას მდიდარ მემამულესა და აზნაურში, ხელს უშლიდა მის წარმატებებს სამეფო კარზე.

პეტი, ალბათ, კარგი ექიმი და ანატომი იყო. ამაზე მეტყველებენ მისი მიღწევები ოქსფორდში, ახალგაზრდა პროფესორის სამედიცინო თხზულებანი და შემდგომი მაღალი თანამდებობები. ამ პერიოდში პეტის შეემთხვა ამბავი, რომელმაც პირველად გახადა ცნობილი ადამიანთა შედარებით ფართო მასისათვის.

1650 წლის დეკემბერში, ოქსფორდში, იმ ეპოქის ბარბაროსული კანონებისა და ადათების მიხედვით, ჩამოახრჩვეს ვინმე ენ გრინი, ახალგაზრდა სკვაირის მიერ შეცდენილი ღარიბი გლეხის ქალიშვილი, რომელსაც ბრალი დასდეს საკუთარი შვილის მკვლელობაში (შემდგომ გამოირკვა, რომ იგი უდანაშაულო იყო: ბავშვი უდღეური დაიბადა და თავისი სიკვდილით მოკვდა). სიკვდილის ფაქტის დადასტურების შემდეგ ქალი კუბოში ჩაასვენეს. ამ მომენტში მოქმედების ადგილას გაჩნდა ექიმი პეტი თავისი თანაშემწით, რომელთაც უნდოდათ ანატომიური გამოკვლევისათვის წაეღოთ გვამი. გაოცებულმა ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ჩამოხრჩობილს ჯერ კიდევ ჰქონდა სიცოცხლის ნიშნები. მათ მიიღეს სასწრაფო ღონისძიებანი და „გააცოცხლეს“ იგი! საინტერესოა მოვლენათა შემდგომი განვითარება. პეტიმ მოიმოქმედა სამი რამ, რაც სხვადასხვა მხრივ ახასიათებს მის ბუნებას. ჯერ ერთი, მან ჩაატარა დაკვირვებათა სერია თავისი უჩვეულო პაციენ-

ტის არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და ზუსტად დააფიქსირა იგი; მეორე, მან გამოავლინა არა მარტო საექიმო ხელოვნება, არამედ ადამიანურობაც, მიაღწია მოსამართლეებისაგან ენის შეწყალებას და ხალხში შეაგროვა ფული მისთვის. მესამე, მან მისთვის დამახასიათებელი ფხიანობით ეს შემთხვევა მყვირალა რეკლამისათვის გამოიყენა.

1651 წ. დოქტორმა პეტიმ მოულოდნელად დატოვა თავისი კათედრა და მალე მიიღო ექიმის თანამდებობა ირლანდიაში ინგლისის არმიის მთავარსარდალთან. 1652 წ. სექტემბერში პეტიმ პირველად დადგა ფეხი ირლანდიის მიწაზე. რამ აიძულა იგი ასე მკვეთრად შეეცვალა თავისი ცხოვრების დინება? როგორც ჩანს, ოქსფორდელი პროფესორის ცხოვრება ძლიერ მშვიდი და ნაკლებპერსპექტიული იყო ახალგაზრდა ენერგიული, საკმაოდ ავანტიურისტული ხასიათის მქონე კაცისათვის.

პეტიმ ნახა წარუმატებელი აჯანყების შემდეგ ინგლისელების მიერ ხელმეორედ დამორჩილებული, 10 წლიანი ომით, შიმშილით და ავადმყოფობებით გაჩანაგებული ირლანდია. ანტიინგლისური აჯანყების მონაწილე ირლანდიელი კათოლიკების მიწები კონფისკაციას ექვემდებარებოდა. კრომველს განზრახული ჰქონდა, ამ მიწებით გაესწორებინა ანგარიში ლონდონელი მდიდრებისათვის, რომლებმაც ფული მისცეს ომისათვის, ასევე გამარჯვებული არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. მიწები რომ დაერიგებინა, საჭირო იყო ჩაეტარებინა მიწის მასივების აზომვა და გეგმების შედგენა, რომელთა საერთო ფართობი მილიონობით აკრს შეადგენდა. და ეს უნდა გაკეთებულიყო სწრაფად, რადგან არმია ღელავდა და მოითხოვდა ანგარიშის გასწორებას. XVII საუკ. შუა ხანებისათვის ეს იყო კოლოსალური სიძნელის ამოცანა: არ იყო რუკები, არ იყო ინსტრუმენტები, კვალიფიციური ადამიანები, ტრანსპორტი. მიწისმზომელებს თავს ესხმოდნენ გლეხები...

აი სწორედ ამ ამოცანას მოჰკიდა ხელი პეტიმ, რადგან მასში დაინახა სწრაფი გამდიდრებისა და წინწაწევის იშვიათი შესაძლებლობა. მას ძლიერ გამოადგა თავის დროზე შეძენილი ცოდნა კარტოგრაფიასა და გეოდეზიაში, მაგრამ დასჭირდა, აგრეთვე, ენერგია, შეუპოვრობა, მოხერხებულობა. პეტიმ მთავრობისა და არმიის სარდლობისაგან ნარდად გარიგებით აიღო „არმიის მიწების მიმოხილვის“ მოწესრიგება. მას ხელფასს ძირითადად ფულით უხდიდნენ, რაც გროვდებოდა იმ ჯარისკაცებიდან, რომლებსაც მიწა უნდა მიეღოთ. პეტიმ ლონდონში შეუკვეთა ახალი ინსტრუმენტები, მოაგროვა მიწისმზომელთა ათასკაციანი არმია, შეადგინა ირლანდიის რუკები, რომლებიც შემდეგ გამოიყენებოდა სასამართლოებში მიწებთან დაკავშირებულ დავათა გადაწყვეტისას თითქმის XIX საუკუნის შუა

ხანებამდე. და ეს გაკეთდა ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. ჭეშმარიტად ყველაფერი ეხერხებოდა ამ ადამიანს.

პეტისათვის, რომელმაც ამ დროს ოცდაათ წელს გადააბიჯა, „არმიის მიწების მიმოხილვა“ იყო ნამდვილი ოქროს საბადო. ირლანდიაში ჩამოსული მოკრძალებული მედიკოსი რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი ადამიანი გახდა.

რა იყო კანონიერი და რა უკანონო ამ თავბრუდამხვევ გამდიდრებაში? პეტის სიცოცხლეში ეს იწვევდა ცხარე კამათს და გარკვეულწილად თვალსაზრისზე იყო დამოკიდებული. ირლანდიის ძარცვა. არაკანონიერი იყო. პეტიც იზიარებდა ამ თვალსაზრისს, მაგრამ ყოველივე მხოლოდ ფორმალურად რჩებოდა კანონიერების ფარგლებში: არ ძარცვავდა, მაგრამ ღებულობდა არსებული ხელისუფლებიდან; არ იპარავდა, მაგრამ ყიდულობდა; მიწებიდან ერეკებოდა ადამიანებს არა იარაღის ძალით, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებით. საეჭვოა, რომ საქმე მოეგვარებინათ ქრთამისა და მოსყიდვის გარეშე, მაგრამ ეს ბუნებრივად ითვლებოდა.

პეტის უდიდესი ენერგია, მისი თავდაჯერებული ვატაცება, ავანტიურიზმი — ყოველივე ამან გარკვეული დროით გამოხატულება პოვა გამდიდრების მანიაში.

მან საკუთარი მონაცემებით, გარიგების შესრულებით მიიღო 9 ათასი გირვანქა სტერლინგი წმინდა მოგება და ამ ფულით შეიძინა მიწები ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან, რომელთაც არ შეეძლოთ, ან არ უნდოდათ დაეცადათ თავიანთი ნადელების მიღებისა და დამუშავებისათვის. გარდა ამისა, მან მთავრობისაგან მიიღო კუთვნილი გასამრჯელოს ნაწილი მიწების სახით. ზუსტად არ არის ცნობილი, კიდევ რა ხერხებს იყენებდა მოხერხებული ექიმი გასამდიდრებლად, მაგრამ მისმა წარმატებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საბოლოოდ იგი კუნძულის სხვადასხვა მხარეს რამდენიმე ათეული ათასი აკრი მიწის მფლობელი გახდა. შემდგომში მისი სამფლობელოები კიდევ უფრო გაფართოვდა. იმავდროულად იგი გახდა ირლანდიის ლორდ-ნაცვლის, პროტექტორის უმცროსი შვილის ჰენრი კრომველის უახლოესი თანაშემწე და მდივანი.

ორი თუ სამი წლის განმავლობაში მტრებისა და მოშურნეთა ინტრიგების მიუხედავად პეტი წარმატებებს აღწევს. მაგრამ 1658 წ., როცა კრომველი გარდაიცვალა, მისი შვილის მდგომარეობა სულ უფრო მერყეევი ხდება: თავისი ნების წინააღმდეგ ლორდ-ნაცვალი იძულებულია შექმნას ექიმის საქმიანობის შემსწავლელი საგანგებო კომისია. თუმცა მასში პეტის ბევრი მეგობარი შედიოდა. თავისი სიმდიდრისა და პატიოსანი სახელისათვის იგი იბრძვის არანაკლები ენერგიით, ბრწყინვალებით და ხელოვნებით, ვიდრე თავისი იდეებისათვის: მან შეძლო თავის მართლება არა მარტო კომისიის, არამედ პარლა-

ბენტის წინაშე ლონდონში (რომლის წევრადაც იგი ცოტა ხნით ადრე აირჩიეს). ბრძოლიდან პეტი ტრიუმფით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უდანაკარგოდ გამოდის. 1660 წ. რესტავრაციამდე რამდენიმე თვით ადრე წამოწყებულ პოლიტიკურ შფოთში პეტის საქმე ჩრდილში მოექცა, რაც მას საკუთარ აწყობდა.

რესტავრაციამდე რამდენიმე ხნით ადრე ჰენრი კრომველმა და ძისმა მესაიდუმლემ შეძლეს მნიშვნელოვანი სამსახური გაეწიათ გამოჩენილი როიალისტებისათვის, რომლებიც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ გაძევებული კარლ II-ის დაბრუნების შემდეგ. ამან პროტექტორის შვილს მისცა შესაძლებლობა, ღირსეულად ჩამოშორებოდა სახელმწიფო საქმეებს, ხოლო პეტის გზა გაუხსნა სასახლისაკენ. 1661 წ. მემამულის შვილს მიენიჭა რაინდის წოდება და დაერქვა სერ უილიამ პეტი. ეს ცხოვრებაში მისი წარმატების მწვერვალი იყო. იგი მოეწონა მეფე კარლს; პეტიმ შეარცხვინა მტრები, იგი მდიდარი, დამოუკიდებელი და გავლენიანია.

დოკუმენტებიდან და პეტის მიმოწერიდან სარწმუნოდაა ცნობილი, რომ მეფის ხელისუფლებამ ორჯერ შესთავაზა მას პერობა. მაგრამ ჰქონდა საფუძველი, შეეფასებინა ეს წინადადება, როგორც სურვილი, ჩამოეშორებინათ მისი თხოვნა, რომლითაც იგი მართლაც თავს აბეზრებდა მეფეს და სასახლის კარს: მიეცათ მისთვის რეალური სახელმწიფოებრივი პოსტი, რითაც იგი შეძლებდა თავისი გაბედული ეკონომიკური პროექტების განხორციელებას. პეტის პიროვნებასა და სტილზე ნათელ წარმოდგენას იძლევა წერილი, რომელშიც იგი ასაბუთებს თავის უარს მეფის წყალობაზე: „მე უფრო მეტად დავთანხმდებოდი, ვიყო სპილენძის ფრანტინგი,[1] რომელსაც გააჩნია თავისი შინაგანი ღირებულება, ვიდრე თითბერის ნახევარკრონიანი, როგორ ლამაზად ნაჭედი და მოოქროვილიც არ უნდა იყოს იგი"[2]. მაუხედავად მისი დიდი პატივმოყვარეობისა და ანგარებიანობისა, ეს ადამიანი ზოგჯერ სიჯიუტემდე პრინციპული იყო!

მხოლოდ სერ უილიამ პეტის სიკვდილმა მოხსნა დაბრკოლება. ერთი წლის შემდეგ მისი უფროსი ვაჟიშვილი გახდა ბარონი შელბერნი. მაგრამ ეს იყო ირლანდიური ბარონობა, რომელიც არ იძლეოდა ლონდონის ლორდთა პალატაში მონაწილეობის უფლებას. პეტის მხოლოდ შვილიშვილის შვილმა დაიკავა ეს ადგილი და ინგლისის ისტორიაში შევიდა როგორც მსხვილი პოლიტიკური მოღვაწის და ვიგების პარტიის ლიდერ მარკიზ ლენსდაუნის სახელით.

XX ს-ის ინგლისში უმსხვილეს ეკონომისტებს, რომელნიც მნიშვნელოვან სამსახურს უწევენ მმართველ კლასებს, მათი მეცნიერუ-

---

[1] ყველაზე მცირე მონეტა.

[2] ციტირებულია: „Dictionarv of National Biography", ed. by L. Stephen and S. Lee, vol. 45, p. 116.

ლი შრომებისათვის აძლევდნენ პერობას. პირველი ასეთი არისტოკრატი პოლიტიკური ეკონომიიდან გახდა კეინსი. ამჟამად ზედა პალატის სხდომებში მონაწილეობს რამდენიმე ეკონომისტი.

პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი

როგორც ცნობილია, კოლუმბი არ აპირებდა ამერიკის აღმოჩენას, მხოლოდ საზღვაო გზას ეძებდა ინდოეთისაკენ. სიცოცხლის ბოლომდე მან არ იცოდა, რომ ახალი კონტინენტი აღმოაჩინა.

პეტი, ისევე როგორ ყველა იმდროინდელი ეკონომისტი, აქვეყნებდა პამფლეტებს, რომელთაც კონკრეტული, ზოგჯერ ანგარებიანი მიზანიც კი ჰქონდათ. ყველაზე დიდი, რასაც იგი თავის თავს მიაწერდა — ეს პოლიტიკური არითმეტიკის (სტატისტიკის) გამოგონებაა. ამაში ხედავდნენ მის მთავარ დამსახურებას მისი თანამედროვენიც. სინამდვილეში მან სხვაც შექმნა: თავისი აზრების ვითომდა სხვათა შორის ნათქვამით ღირებულების, რენტის, ხელფასის, შრომის დანაწილების და ფულის შესახებ მან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ პოლიტიკურ ეკონომიას. ეს არის ახალი კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ნამდვილი „ეკონომიკური ამერიკა".

პეტის ახალ, სერიოზულ თხზულებას ეწოდებოდა „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებელთა შესახებ" და გამოქვეყნდა 1662 წ. ეს მართლაც მისი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა, რომელიც მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ახალი მთავრობისათვის, რა გზით შეიძლება (უეჭველად მისი პირადი მონაწილეობით და მისი ხელმძღვანელობითაც კი) გაზარდო საგადასახადო შემოსავლები; მასში მან, აგრეთვე, უფრო სრულად გადმოსცა თავისი ეკონომიკური შეხედულებები.

იმ დროისათვის პეტიმ თითქმის დაივიწყა, რომ იგი ექიმია. მისი გამჭრიახი და მოქნილი გონება სულ უფრო მეტადაა მიპყრობილი ეკონომიკისა და პოლიტიკისაკენ. მის ტვინში ერთმანეთთანაა გადახლართული პროექტები, გეგმები, წინადადებები: საგადასახადო რეფორმა, სტატისტიკური სამსახურის ორგანიზაცია, ვაჭრობის გაუმჯობესება... ყოველივე ეს აისახა „ტრაქტატში". მაგრამ არა მხოლოდ ეს. პეტის „ტრაქტატი" შეიძლება განვიხილოთ როგორც XVII საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური თხზულება, ისევე როგორც ადამ სმიტის წიგნი ხალხთა სიმდიდრის შესახებ XVIII საუკუნეში.

200 წლის შემდეგ კარლ მარქსი „ტრაქტატის" შესახებ წერდა: „ნაწარმოებში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, პეტი არსებითად ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს განსაზღვრავს მასში მოთავსებული შ რ ო მ ი ს შეფარდებითი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ. თავის მხრივ „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ზ ე ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი

ზედმეტი ღირებულების განსაზღვრაც".[1] მარქსის ამ სიტყვებში მეტად შეკუმშული ფორმითაა გამოხატული ინგლისელი მოაზროვნის მეცნიერული მიღწევის არსი.

საინტერესოა გავყვეთ მისი მსჯელობის მსვლელობას.

ახალი, ბურჟუაზიული ეპოქის ადამიანის მახვილი ალღოთი იგი მაშინვე, არსებითად აყენებს საკითხს ზედმეტი ღირებულების შესახებ: „...ჩვენ უნდა შევეცადოთ ავხსნათ როგორც სარგებლად წოდებული ფულადი რენტის, ისე მიწებიდან და სახლებიდან მიღებული რენტის საიდუმლო ბუნება"[2]. XVII საუკუნეში მიწა ადამიანის შრომის გამოყენების ძირითადი ობიექტია. ამიტომ უილიამ პეტისათვის ზედმეტი ღირებულება გამოდის მიწის რენტის ფორმით, რომელშიც დაფარულია სამრეწველო მოგებაც. მას სასესხო სარგებელიც ასევე რენტიდან გამოყავს. პეტის სავაჭრო მოგება ნაკლებად აინტერესებს, რაც მკვეთრად განასხვავებს მას მისი თანამედროვეებისაგან — მერკანტილისტებისაგან. საინტერესოა, აგრეთვე, მოსაზრება რენტის საიდუმლო ბუნების შესახებ. პეტი გრძნობს, რომ იგი დგას დიდი მეცნიერული პრობლემის წინაშე, სადაც მოვლენის გარეგნული სახე განსხვავდება მისი არსისაგან.

შემდეგ უცვლელად მიდის ციტირებული ადგილი. დავუშვათ, ვინმე (ეს ვინმე შემდგომში იქნება არა მარტო ამოცანათა კრებულების, არამედ ეკონომიკური ტრაქტატების გმირიც!) აწარმოებს მარცვლეულს. მის მიერ წარმოებული პროდუქტის ნაწილი კვლავ სათესლედ გამოიყენება, ნაწილი დაიხარჯება საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (მათ რიცხვში გაცვლის გზით), ხოლო „დარჩენილი ხორბალი შეადგენს ბუნებრივ და ჭეშმარიტ მიწის რენტას". აქ გათვალისწინებულია პროდუქტისა და მისი ღირებულების დაყოფა სამ ძირითად ნაწილად: 1. ნაწილი, რომელმაც უნდა აანაზღაუროს დახარჯული წარმოების საშუალებები, მოცემულ შემთხვევაში თესლი; 2. ნაწილი, რომელიც აუცილებელია მუშაკისა და მისი ოჯახის არსებობის შენარჩუნებისათვის; და 3. ნაჭარბი ანუ წმინდა შემოსავალი. ეს უკანასკნელი ნაწილი შეესაბამება მარქსის მიერ შემოღებული ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების ცნებებს.

საინტერესოა, რომ წარმოების საშუალებების ხარჯების შემადგენლობაში პეტის, გარდა თესლისა, არ შეაქვს სხვა დანახარჯები: ნაკელი, ცხენის, გუთნის, ნამგლის და ა. შ. ცვეთა. ეს დანახარჯები არ ნაზღაურდება მარცვლეულის ნატურით (შესაძლებელია, ამიტომ არ ითვალისწინებს მათ პეტი), მაგრამ უნდა ანაზღაურდეს ღირებულებითი ფორმით. ვთქვათ, 10 წლის შემდეგ მხვნელს დასჭირდება

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 429.
[2] В. Петти, Экономические и статистические работы. М., 1940, стр. 33.

ახალი ცხენი. ყოველწლიური მოსავლიდან მან უნდა გადაინახოს ღირებულების რაღაც ნაწილი შემდგომში ასეთივე ცხენის შესაძენად.

შევნიშნავთ, აგრეთვე, რომ აქ ლაპარაკია წარმოებაზე, სადაც დაქირავებული შრომა არ გამოიყენება. ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ პეტი ცდილობს თავისი „მოდელი" გახადოს რაც შეიძლება უფრო მარტივი და თვალსაჩინო. თუმცა უფრო სწორი იქნება ის, რომ მარტივ საქონელწარმოებას (თავის მიწაზე, თავისი იარაღებით, მუშების დაუქირავებლად) მისი დროისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა კაპიტალისტურად ორგანიზებულ მეურნეობასთან შედარებით.

შემდეგ პეტი აყენებს კითხვას: „... ინგლისური ფულის რა რაოდენობას შეიძლება გაუტოლდეს თავისი ღირებულებით ეს ხორბალი, ან ეს რენტა? მე ვუპასუხებ: იმ რაოდენობის ფულს, რომელსაც, რომელიმე სხვა, ერთნაირი დროის განმავლობაში შეიძენს თავისი წარმოების ხარჯების გამოკლებით, თუკი იგი თავის შრომას ფულის წარმოებას ანდომებს, ე. ი. დავუშვათ, რომ რომელიმე სხვა გაემგზავრა ვერცხლით მდიდარ ქვეყანაში, ამოიღო მან იქ ეს ლითონი, გაწმინდა, პირველმა მოიტანა ხორბლის წარმოების ადგილას, მოჭრა ამ ვერცხლიდან მონეტა და ა. შ. ვივარაუდოთ, აგრეთვე, რომ ამ ინდივიდმა იმ დროში, რომელსაც უძღვნის ვერცხლის მოპოვებას, შეიძინა აგრეთვე თავისი გამოკვებისათვის საჭირო საშუალებები, ჩასაცმელი და ა. შ. მაშინ ერთის ვერცხლი ღირებულების მიხედვით ტოლი უნდა იყოს მეორის ხორბლისა. თუ პირველი არის, მაგალითად, 20 უნცია, ხოლო უკანასკნელი 20 ბუშელი, მაშინ უნცია ვერცხლი ბუშელი ხორბლის ფასს წარმოადგენს".[1]

როგორც ჩანს, ხორბლისა და ვერცხლის იმ ნაწილების ღირებულების მიხედვით გათანაბრება, რომლებიც ზედმეტ პროდუქტს წარმოადგენს, მთელი ერთობლივი პროდუქტის გათანაბრების ტოლძალიანია. ეს უკანასკნელი 20 ბუშელი ხორბალი ხომ არაფრით არ განსხვავდება დარჩენილი, დავუშვათ, 30 ბუშელისაგან, რომელიც ანაზღაურებს თესლს და შეადგენს მიწის მესაკუთრის საკვებს. ეს ეხება ასევე 20 უნცია ვერცხლს, რომელზეც ზემოთ იყო ნათქვამი. სხვა ადგილას პეტი შრომითი ღირებულების თეორიის იდეას მკაფიოდ გადმოსცემს: „თუ ვინმეს შეუძლია პერუს ნიადაგიდან ამოიღოს და ლონდონში მოიტანოს უნცია ვერცხლი იმავე დროში, რომლის განმავლობაში იგი შეძლებს აწარმოოს ერთი ბუშელი ხორბალი, მაშინ პირველი მეორის ბუნებრივი ფასია"[2].

ამრიგად, პეტი არსებითად ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს

---

[1] В. П е т т и, Экономические и статистические работы. М., 1940, стр. 34.
[2] იქვე. გვ. 40.

ფორმულირებას იძლევა. მას ესმის, რომ ეს კანონი მოქმედებს უკიდურესად რთულად, მხოლოდ როგორც საერთო ტენდენცია, რაც გამოიხატა ასეთ ჭეშმარიტად საოცარ გამოთქმაში: „მე ვამტკიცებ, რომ სწორედ ისაა ღირებულებათა შედარებისა და შეტოლების საფუძველი. მაგრამ მე ვაღიარებ, რომ ამ საფუძველზე განვითარებადი ზედნაშენი (superstructure) მეტად მრავალფეროვანი და რთულია".[1]

საცვლელ ღირებულებასა, რომლის სიდიდე განისაზღვრება შრომის დანახარჯებით და რეალურ საბაზრო ფასს შორის მრავალი შუალედური რგოლია, რომელნიც უზომოდ ართულებენ ფასწარმოქმნის პროცესს. არაჩვეულებრივი შორსმჭვრეტელობით პეტი ასახელებს ზოგიერთ ფასწარმომქმნელ ფაქტორს, რომელთაც ანგარიშს უწევენ თანამედროვე ეკონომისტები და მგეგმავები: საქონელ-შემცვლელების, ახალი საქონლების, მოდების, მიბაძვის, მოხმარების ტრადიციების გავლენა.

პეტი პირველ ნაბიჯებს დგამს ღირებულების შემქმნელი შრომის ანალიზის გზაზე. ყოველი კონკრეტული შრომის სახე ხომ ქმნის მხოლოდ კონკრეტულ დოვლათს, სახმარ ღირებულებას: მიწათმოქმედის შრომა — მარცვლეულს, ფეიქრის შრომა — ტილოს, და ა. შ. მაგრამ შრომის ყოველ სახეში არის რაღაც საერთო, რომელიც შრომის ყველა სახეს შესადარად ხდის, ხოლო ამ დოვლათს — საქონლად, საცვლელ ღირებულებად: სამუშაო დროის, როგორც ასეთის, დახარჯვა, მუშაკის მწარმოებლური ენერგიის დახარჯვაა საერთოდ.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში პეტი პირველი იყო, ვინც დაიწყო გზის გაკაფვა აბსტრაქტული შრომის იდეისაკენ, რომელიც საფუძვლად დაედო მარქსის ღირებულების თეორიას.

უცნაურობა იქნებოდა, წამომწყებთან და პირველადმომჩენთან გვეძებნა რაღაც მწყობრი და დასრულებული ეკონომიკური თეორია. მერკანტილისტური წარმოდგენებით შებოჭილს, მას ჯერ კიდევ არ შეუძლია თავი დააღწიოს ილუზიას, რომ ძვირფასი ლითონების მომპოვებელი შრომა მაინც რაღაც განსაკუთრებული შრომაა, რომელიც ყველაზე უშუალოდ ქმნის ღირებულებას. პეტის არ შეუძლია არ გამოყოს საცვლელი ღირებულება, რომელიც ყველაზე უფრო ნათლადაა განხორციელებული ამ ლითონებში, თვით ღირებულების სუბსტანციისაგან — საყოველთაო ადამიანური აბსტრაქტული შრომის დანახარჯებისაგან. მას არა აქვს ნათელი წარმოდგენა რამდენადმე მაინც, რომ ღირებულების სიდიდე განისაზღვრება მეურნეობის განვითარების მოცემული დონისათვის ტიპური და საშუალო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებით. შრომის დანახარჯები, რომელიც ჭარბობს საზოგადოებრივად აუცილებელს, ფუჭად იკარგება, არ ქმნის ღირებულებას.

---

[1] В. Петти, Экономические и статистические работы. М., 1940 стр. 35.

მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით პეტის შემოქმედებაში ბევრი რამ შეიძლება აღიარებულ იქნეს როგორც სუსტი და პირდაპირი შეცდომაც კი. მაგრამ განა ესაა მთავარი? მთავარია, რომ პეტი მტკიცედ დგას მის მიერ არჩეულ პოზიციაზე — შრომითი ღირებულების თეორიაზე და წარმატებით იყენებს მას მრავალი კონკრეტული პრობლემის მიმართ.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ ესმოდა მას ზედმეტი პროდუქტის ბუნება. მაგრამ იქ ლაპარაკი იყო მარტივ საქონელწარმოებაზე, რომელიც თვითვე ითვისებს თავის მიერ წარმოებულ ზედმეტ პროდუქტს. პეტის არ შეეძლო არ დაენახა, რომ მისი დროის წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალისტურ საწყისებზე, დაქირავებული შრომის გამოყენებით წარიმართებოდა.

იგი უნდა მისულიყო იმ აზრამდე, რომ ზედმეტი პროდუქტი იწარმოება არა მარტო და არა იმდენად თავისი თავისათვის, რამდენადაც მიწისა და კაპიტალის მფლობელებისათვის. იგი რომ მივიდა ამ აზრამდე, ამას მოწმობს მისი მოსაზრებანი ხელფასის შესახებ. მისი აზრით, მუშაკის ხელფასი განისაზღვრება და უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელ საშუალებათა მინიმუმით. მან არ უნდა მიიღოს იმაზე მეტი, ვიდრე აუცილებელია, „რათა იცხოვროს, იშრომოს და გამრავლდეს". პეტის, ამავე დროს, ესმის, რომ ამ მუშაკის შრომით შექმნილი ღირებულება — ეს სულ სხვა სიდიდეა, და როგორც წესი, მნიშვნელოვნად მეტია. სწორედ ეს განსხვავებაა ზედმეტი ღირებულების წყარო, რომელიც მასთან რენტის სახით გამოდის.

პეტიმ, თუმცა განუვითარებელ ფორმაში, მაგრამ მაინც გამოხატა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი მეცნიერული დებულება: საქონლის ფასში, რომელიც საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება შრომის დანახარჯებით, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება (რენტა, მოგება, სარგებელი) იმყოფებიან უკუდამოკიდებულებაში. წარმოების ერთი და იმავე დონის პირობებში ხელფასი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ხარჯზე, და პირიქით. აქედან ერთი ნაბიჯია დარჩენილი ერთი მხრივ მუშათა კლასისა და მეორე მხრივ მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების კლასობრივი ინტერესების პრინციპული დაპირისპირებულობის აღიარებამდე. ასეთია უკანასკნელი დასკვნა, რომელსაც გააკეთებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომია რიკარდოს სახით. პეტი ყველაზე მეტად უახლოვდება ასეთ შეხედულებას, მაგრამ არა „ტრაქტატში", არამედ 70-იან წლებში დაწერილ ცნობილ „პოლიტიკურ არითმეტიკაში", თუმცა იქაც ეს აზრი ჩანასახის ფორმითაა.

მაგრამ მთლიანად პოლიტიკური არითმეტიკით გატაცებამ როგორღაც ხელი შეუშალა პეტის, გაეღრმავებინა თავისი ეკონომიკური თეორია, კაპიტალისტური ეკონომიკის ძირეულ კანონზომიერებათა გა-

·გება. „ტრაქტატის“ მრავალი გენიალური მიხვედრილობა განუვითარებელი დარჩა. მას ახლა ციფრები იტაცებდა, ისინი ყველაფრის გასაღებად წარმოედგინა. ჯერ კიდევ „ტრაქტატშია“ დამახასიათებელი გამოთქმა: „პირველი, რაც აუცილებელია გაკეთდეს, — ეს გაანგარიშებაა...“ რაღაც ფიცის მსგავსად ეს გახდა პეტის დევიზი: უნდა გამოვიანგარიშოთ და ყველაფერი ნათელი გახდება. სტატისტიკის შემქმნელებს მისი ·ძალისადმი რამდენადმე გულუბრყვილო რწმენა ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, პეტის ძირითად ეკონომიკურ თხზულებათა მთავარი შინაარსი არ ამოიწურება აღნიშნულით. ის ბევრად უფრო მდიდარია. მისი იდეების ჯამი — ეს პროგრესული ბურჟუაზიის მსოფლმხედველობაა. პეტი პირველი იკვლევს თვით კაპიტალისტურ წარმოებას და იძლევა ეკონომიკური მოვლენების შეფასებას წარმოების თვალსაზრისით. ესაა მისი გადამწყვეტი უპირატესობა მერკანტილისტებთან შედარებით. აქედან გამომდინარეობს მისი კრიტიკული დამოკიდებულება მოსახლეობის არამწარმოებლური ფენებისადმი, რომელთაგან იგი განსაკუთრებით გამოყოფს ღვთისმსახურთ, ადვოკატებს, ჩინოვნიკებს. ·ვარაუდობს, რომ შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ვაჭრებისა და მედუქნეების რიცხვი, რომლებსაც ასევე „არ შემოაქვთ არავითარი პროდუქტი“. მოსახლეობის არამწარმოებლური ჯგუფებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ეს ტრადიცია სისხლსა და ხორცში გაუჯდება კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას. სტილი — ეს ადამიანია — ამბობს ძველი ფრანგული გამოთქმა. პეტის ლიტერატურული სტილი უჩვეულოდ ახალი და ორიგინალურია და არა იმიტომ, რომ იგი ფლობდა განსაკუთრებულ ლიტერატურულ სილამაზეს და დახვეწილობას. პირიქით, პეტი ლაკონიური, პირდაპირი და მკაცრია. გაბედულ აზრებს ·იგი გამოთქვამს გაბედული და არასაკმათო ფორმით. ის ყოველთვის ლაპარაკობს მხოლოდ მთავარზე და უბრალო სიტყვებით. მისი ყველაზე ·ღიდი მოცულობის ნაშრომის რუსული თარგმანი არ აღემატება 80 გვერდს.

წესდება სამეფო საზოგადოებისა, რომლის ერთ-ერთი წევრი და დამაარსებელი პეტი იყო, მოითხოვდა, რომ „ცდების შესახებ ყველა ანგარიშში... გადმოცემული იყოს მხოლოდ საქმის არსი ყოველგვარი წინასიტყვაობების, გამართლებების ან რიტორიკული სამშვენისების გარეშე“. პეტი ამ შესანიშნავ წესს მისაღებად თვლიდა არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვისაც და ცდილობდა ეხელმძღვანელა ამით. მისი მრავალი ნაშრომი მოგვაგონებს „ანგარიშებს ცდების შესახებ“. სხვათა შორის ამ წესების ცოდნა და მათი სახელმძღვანელოდ გამოყენება არ იქნებოდა ცუდი თანამედროვე ეკონომისტებისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებისათვისაც.

პეტის უბრალოება არ გვიშლის ხელს, მის თხზულებათა სტრიქო-

ნების მიღმა დავინახოთ ნათელი პიროვნება, დაუცხრომელი ტემპერამენტი, პოლიტიკური მგზნებარება. ეს მდიდარი მემამულე, თავისი დიდი გაპუდრული პარიკით და თვალწარმტაც აბრეშუმის ხიფთანში გამოწყობილი (ასეთია სერ იულიამი ერთ-ერთ გვიანდელ პორტრეტში), მეტწილად დარჩა დაბალი ხალხის წრიდან გამოსულ, ცოტათი ცინიკოს ექიმად. მიუხედავად დიდი სიმდიდრისა და ტიტულებისა, პეტი ყოველთვის დაუღალავად შრომობდა არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც. მას იტაცებდა გემთმშენებლობა და იგი უსასრულოდ აპროექტებდა და აგებდა უჩვეულო ხომალდებს. მისი პიროვნული თვისებები ნაწილობრივ ხსნის მის ანტიპათიებსაც: მას შინაგანად სძულდა უსაქმურები და პარაზიტები. პეტი მეფის ხელისუფლების მომართაც ძალიან მკაცრი იყო. ის პირმოთნეობდა სასახლის კარის წინაშე და, ამავე დროს, წერდა ისეთ რამეს, რომელიც არ შეიძლებოდა მოსწონებოდა მეფეს და მთავრობას: მეფეებს მიდრეკილება აქვთ აკრძალული ომებისაკენ, ამის შეკავების ყველაზე უკეთესი საშუალებაა, არ მივცეთ ფული ომებისათვის.

პოლიტიკური არითმეტიკა

ინგლისის მეფე კარლ II-ს ცხოვრებაში ყველაზე მეტად სურდა, რაღაცით ეჯობა მისი უავგუსტესი ნათესავისათვის — საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ისათვის. იგი ვერსალის წამხედურობით აწყობდა ბალებს და ფეიერვერკებს. მაგრამ ფული გაცილებით ნაკლები ჰქონდა, ვიდრე საფრანგეთის მბრძანებელს. უპირატესობის მოპოვება მას მხოლოდ მეცნიერებაში შეეძლო. რესტავრაციის შემდეგ მალე მეფის მთელი ოჯახის მფარველობით შეიქმნა სამეფო საზოგადოება (ინგლისის მეცნიერებათა აკადემია), რომლითაც კარლს სრულიად საფუძვლიანად შეეძლო ეამაყა. ასეთი რამ ლუდოვიკოს არ ჰქონდა. მეფე თვით ატარებდა ქიმიურ ცდებს და მისდევდა საზღვაო საქმეს. ეს დროების სულისკვეთების ამსახველი იყო.

ყველაზე საინტერესო და გონებამახვილი ადამიანი სამეფო საზოგადოებაში იყო სერ უილიამ პეტი. ვიწრო წრეში მეფე და უმაღლესი არისტოკრატია თავისუფლად მოაზროვნენი იყვნენ, მაგრამ პეტიზე უკეთესად ვერავინ ქირდავდა ყველა სარწმუნოების „წმინდანებს". ერთხელ ირლანდიის ლორდ-ნაცვალმა ჰერცოგმა ორმონდმა ბრიალული, და ალბათ არც მთლად ფხიზელი, მეინახეებით სთხოვა სერ უილიამს, ეჩვენებინა თავისი ხელოვნება. ორ ერთიმეორის გვერდით მდგომ სკამზე ასული პეტი ბაძავს სხვადასხვა ეკლესიებისა და სექტების მქადაგებელთ, რითაც საერთო ხარხარს იწვევს. ამით გატაცებულმა, როგორც მხილველი წერს, თითქოს მღვდლის პირით მან დაიწყო მკვეთრი ფინება „ზოგიერთი ხელმწიფისა და გუბერნატორისა" ცუდი მართ-

ვისა, თვალთმაქცობისა და ანგარებისათვის. ხარხარი მიწყნარდა. ჰერ-ცოგმა არ იცოდა, როგორ ჩაეცხრო თვით მის მიერ გამოწვეული სულიერი აღტყინება. მეფეც და ირლანდიის მეფის ნაცვლებიც სიამოვნებით უსმენდნენ პეტის მანამდე, ვიდრე არ დაიწყებდა ლაპარაკს პოლიტიკასა და ვაჭრობაზე. მას კი უამისოდ არ შეეძლო. ყველა სხვა თემაზე ლაპარაკი მისთვის იყო მხოლოდ საბაბი, რათა გადმოეცა მორიგი პროექტი. მისი პროექტები ერთიმეორეზე გაბედული და რადიკალური იყო. ეს კი საშიშად, გამაბეზრებლად, ზედმეტად ეჩვენებოდათ.

რატომ იყო პეტის პროექტები თითქმის ყოველთვის მიუღებელი სამეფო კარისათვის? ზოგიერთი მათგანი, მიუხედავად მათი გენიალურობისა და გაბედულებისა, უტოპიური იყო. მაგრამ მრავალი მათგანი სავსებით გონივრული იყო თავისი ეპოქის თვალსაზრისით. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ყველა შეგნებულად და გაბედულად მიმართული იყო კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებისაკენ ინგლისსა და ირლანდიაში, ფეოდალური ურთიერთობების უფრო გაბედულად მსხვრევისაკენ. ხოლო კარლ II-ის და მისი ძმის იაკობ II-ის მონარქია, პირიქით, ებღაუჭებოდა ამ გადმონაშთებს, უკიდურეს შემთხვევაში მიეღინებოდა ბურჟუაზიის ორჭოფული ღონისძიებების ზემოქმედებით. ამიტომ იგი პეტის სიკვდილის შემდეგ ერთ წელიწადში დაეცა.

პეტი ინგლისის სიმდიდრესა და აყვავებას ყოველთვის იხილავდა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. მისთვის თავისებური ეტალონი ჰოლანდია იყო და თავის თხზულებებში მრავალჯერ უბრუნდებოდა რთულ საკითხს: რაშია მისი წარმატებითი განვითარების მიზეზები? მაგრამ წლების განმავლობაში იგი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ინგლისის პოზიციებს ემუქრება არა ჰოლანდია, არამედ შედარებით მსხვილი და აგრესული სახელმწიფო — საფრანგეთი. მისი ეკონომიკური იდეები სულ უფრო მეტად ღებულობდა აშკარა ანტიფრანგულ პოლიტიკურ ხასიათს.

1676 წ. პეტი ამთავრებს მუშაობას თავის მეორე მთავარ ეკონომიკურ თხზულებაზე — „პოლიტიკურ არითმეტიკაზე", მაგრამ მის გამოქვეყნებას ვერ ბედავს. საფრანგეთთან კავშირი — კარლ II-ის საგარეო პოლიტიკის საფუძველია. სერ უილიამი არ არის მშიშარა, მაგრამ არა აქვს სურვილი დაკარგოს სასახლის კეთილგანწყობა.

„პოლიტიკური არითმეტიკა" ხელით გადაწერილი ასლების სახით ვრცელდება. 1683 წ. ვიღაც, პეტის დაუკითხავად, ანონიმურად და სხვა სახელწოდებით აქვეყნებს მის თხზულებას. მხოლოდ 1688—1689 წწ. „სახელოვანი რევოლუციის" და მასთან დაკავშირებული ინგლისის პოლიტიკის მკვეთრი ცვლილების შემდეგ პეტის შვილმა (ლორდ შელბერნმა) სრულად გამოსცა „პოლიტიკური არითმეტიკა" პეტის სახელით. წინასიტყვაობაში იგი წერს, რომ მისი განსვენებული მამის წიგ-

ნის გამოქვეყნება ადრე შეუძლებელი იყო, რადგან „ამ თხზულებათა დოქტრინები ლახავდა საფრანგეთის ინტერესებს“.[1]

პეტი როგორც საფრანგეთის მოწინააღმდეგე, რა თქმა უნდა, ინგლისის ბურჟუაზიის ღირსეული და შორსმჭვრეტელი წარმომადგენელია. მთელი მომდევნო საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისამდე ინგლისი შეუპოვრად იბრძოლებს საფრანგეთთან და ამ ბრძოლებში განმტკიცდება როგორც მსოფლიოს პირველი სამრეწველო სახელმწიფო. მაგრამ „პოლიტიკურ არითმეტიკაში“ ყველაზე მნიშვნელოვანია მეთოდები, რომლითაც პეტი ასაბუთებს თავის დებულებებს. ეს მეცნიერების ისტორიაში კვლევის სტატისტიკურ-ეკონომიკურ მეთოდზე დაფუძნებული პირველი ნაშრომია.

შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ თანამედროვე სახელმწიფო სტატისტიკის გარეშე? როგორც ჩანს, შეუძლებელია. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ თანამედროვე ეკონომიკური გამოკვლევა სტატისტიკის გარეშე? შეიძლება, მაგრამ ძნელია. თუ ავტორი ლიტერატურულ ან მათემატიკურ ფორმებში სარგებლობს „წმინდა თეორიით“ და არ იყენებს სტატისტიკურ მონაცემებს, ის მაინც გარდუვლად ემყარება იმ მოსაზრებას, რომ პრინციპში ისინი არსებობენ და მეტ-ნაკლებად ცნობილია მკითხველისათვის.

ასე არ იყო საქმე XVII საუკუნეში. სტატისტიკა საერთოდ არ არსებობდა (ასევე არ იყო ეს სიტყვა: იგი გაჩნდა მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს). ძლიერ ცოტა იყო ცნობილი მოსახლეობის რიცხოვნობის, გადაადგილების, ასაკობრივი და პროფესიული შედეგენილობის შესახებ. უფრო ნაკლებად იყო ცნობილი მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლების: ძირითადი საქონლის წარმოებისა და მოხმარების, მოსახლეობის შემოსავლების, სიმდიდრის განაწილების შესახებ. მხოლოდ გადასახადებისა და საგარეო ვაჭრობის შესახებ იყო ზოგიერთი მონაცემი.

პეტის დიდი დამსახურება უკვე ის იყო, რომ მან პირველმა წამოაყენა საკითხი სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის შექმნის შესახებ და მოხაზა მონაცემების შეგროვების ზოგიერთი ძირითადი ხაზი. თავის თხზულებებში მრავალჯერ უბრუნდებოდა სტატისტიკური სამსახურის შექმნას, იგი უცვლელად, თითქოსდა სხვათა შორის, თავის თავს მისი ხელმძღვანელის ადგილს უთმობდა. მის მიერ მოგონილ ამ პოსტს იგი სხვადასხვა სახელს უწოდებდა, მეტად ან ნაკლებად მდიდრულს, იმისდა მიხედვით, როგორი იყო მისი განწყობა და როგორ აფასებდა თავის შანსებს. ამასთანავე, იგი ვარაუდობდა არა მარტო აღრიცხვას, არამედ რაღაცა ზომით „დაგეგმვასაც“. მაგალითად, იგი „საშუშაო ბალის ბალანსის“ თავისი დროისათვის გასაოცარ გაანგარიშებას

[1] W. Petty. The Economic Writings Ed. by Ch. H. Hill vol. 1. Cambridge, 1899, p. 240.

აწარმოებდა: რამდენი ექიმი და ადვოკატი ესაჭიროება ქვეყანას (XVII საუკუნეში უმაღლესი განათლების მქონე სხვა სპეციალისტები, არსებითად, არ იყო). და, მაშასადამე, ყოველ წელს რამდენი სტუდენტი უნდა მიიღონ უნივერსიტეტებში.

პეტი აბა მარტო მოუღლელად ქადაგებდა სტატისტიკის აუცილებლობას, თავისი ეკონომიკური დებულებების დასამტკიცებლად ბრწყინვალედ იყენებდა კიდეც იმ მცირე და არცთუ მაინცდამაინც სანდო სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთაც იგი განაგებდა. პეტი კონკრეტულ ამოცანას ისახავდა — ობიექტური ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე დაემტკიცებინა, რომ ინგლისი საფრანგეთზე არც ღარიბი და არც სუსტია. აქედან გამომდინარეობდა უფრო ფართო ამოცანა — რაოდენობრივი ფორმით მოეცა მისი დროის ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება.

თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში იგი წერს პოლიტიკური ეკონომიის მეთოდის შესახებ: „ხერხი, რომელიც მე გამოვიყენე ამის გასაკეთებლად, მაიხც არაჩვეულებრივია, რადგან, იმის ნაცვლად, რომ გამოვიყენებინა სიტყვები მხოლოდ შედარებით და აღმატებით ხარისხში და მომეშველებინა გონებით განჭვრეტილი არგუმენტები, მე დაველაქი ჩემი შეხედულებების რიცხვებით, წონით და ზომით გამოხატვის გზას (მე უკვე დიდი ხანია მსურდა ამ გზით სვლა, რათა მეჩვენებინა პოლიტიკური არითმეტიკის მაგალითი), ვიყენებდი მხოლოდ გრძნობითი ცდებიდან მომდინარე არგუმენტებს, და ვიხილავდი მხოლოდ მიზეზებს, რომელთაც ბუნებაში აქვთ ხედვითი საფუძველი. მათ კი, რაც დამოკიდებულია ცალკეული ადამიანების გონების, შეხედულებების, სურვილების და გატაცებათა მერყეობაზე, მე სხვებს ვუტოვებ“.[1]

პეტის პოლიტიკური არითმეტიკა იყო სტატისტიკის პირველსახე: ხოლო მისმა მეთოდმა წინასწარ განჭვრიტა უამრავი მნიშვნელოვანი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში. იგი შორსმჭვრეტელურად წერდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის გაანგარიშების მნიშვნელობაზე — მაჩვენებლებზე, რომელნიც თანამედროვე სტატისტიკაში და ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. პეტიმ პირველმა გამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული სიმდიდრე.

ინგლისის მატერიალურ სიმდიდრეს პეტი 250 მლნ. გირვანქა სტერლინგად აფასებდა, მაგრამ გვთავაზობდა, ამისათვის დაგვემატებინა თვით მოსახლეობის ფულადი შეფასება 417 მილიონის ოდენობით ეს პარადოქსული იდეა უფრო ღრმაა, ვიდრე შეიძლება იგი ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს: პეტი ეძებდა ხერხს, როგორმე შეეფასებინა საწარმოო ძალების პირადი ელემენტის — შრომითი ჩვევების, დახელოვნების, ტექნიკის გახვითარების პოტენციალის მოცულობა.

[1] В. Патти. Экономические и статистические работы. стр. 153.

პეტის მთელი ეკონომიკური თეორია იწყება საკითხით მოსახლეობის რიცხოვნობისა და შედგენილობის შესახებ. მარქსი, როცა პეტის სწავლობდა, წერს: „ჩვენს მეგობარ პეტის სრულიად სხვა „მოსახლეობის თეორია" აქვს, ვიდრე მალთუსს... მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა — ს ი მ დ ი დ რ ე".[1]

ხალხთმოსახლეობის ზრდაზე ოპტიმისტური თვალსაზრისი დამახასიათებელია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა ადრინდელი წარმომადგენლისათვის. მალთუსი პირიქით, XIX საუკუნის დასაწყისში აშტკიცებდა, რომ მშრომელი კლასების სიღარიბის მთავარი მიზეზი ბუნებრივია და მის მეტისმეტად სწრაფ გამრავლებაში მდგომარეობს.

პეტიმ ვამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული შემოსავალი. ამ საწყისიდან აღმოცენდა ეროვნულ გაანგარიშებათა თანამედროვე სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განზოგადებული ფორმით გარკვეული ზომის სიზუსტით ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორია წარმოების მოცულობა მოცემულ ქვეყანაში, როგორ ნაწილდება წარმოებული პროდუქცია ეროვნებასა, მოხმარებას და ექსპორტზე, როგორია საზოგადოებაში ძირითადი კლასებისა და ჯგუფების შემოსავლები და ა. შ. თუმცა თვით პეტის გაანგარიშებას არსებითი ნაკლოვანებები გააჩნდა. იგი ეროვნულ შემოსავალს ანგარიშობდა როგორც მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ჯამს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უგულებელყოფდა შემოსავლის დაგროვებად ნაწილს, რომელიც გამოიყენება შენობების, მოწყობილობების, მიწის გაუმჯობესების და ა. შ. კაპიტალდაბანდებებისათვის. მაგრამ ეს დაშვება XVII საუკუნისათვის რეალურია, რადგან დაგროვების ნორმა მეტად დაბალი იყო და ქვეყნის მატერიალური სიმდიდრე ნელა იზრდებოდა. გარდა ამისა, პეტის უზუსტობა მალე გასწორეს მისმა მიმდევრებმა პოლიტიკურ არითმეტიკაში, განსაკუთრებით გრეგორი კინგმა, რომელმაც XVII საუკუნის ბოლოს განახორციელა ინგლისის ეროვნული შემოსავლის სრულყოფილებით და საფუძვლიანობით განსაცვიფრებელი გაანგარიშება.

პეტი და გრაუნტი, ანუ ვინ გამოიგონა სტატისტიკა

პეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილი თხზულებანი ძირითადად მიძღვნილია ხალხთმოსახლეობის, მისი ზრდის, გაადგილების, დასაქმების საკითხებისადმი. დემოგრაფიული სტატისტიკის დაშფუძნებლის დიდებულ სახელს იგი ინაწილებს თავის მეგობარ ჯონ გრაუნტთან ერთად. ამ პიონერების მოკრძალებული შრომებიდან აღმოცენდა სტატისტიკის მთელი თანამედროვე მძლავრი ინსტრუმენ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწილი 1, თბ., 1966, გვ. 427, 428.

ტარიუში მოსახლეობის რეგულარული აღწერებით, დახვეწილი შერჩევითი გამოკვლევებით და ელექტრონულ-საანგარიშო ტექნიკის გამოყენებით.

ყოველ მეცნიერებაშია კამათი ავტორობასა და პრიორიტეტს შორის. ზოგჯერ ეს კამათი მეცნიერებისათვის უნაყოფო და საზიანოც კია, ზოგჯერ კი ხელს უწყობს მეცნიერების ისტორიის ნათელყოფას და ამდენად სასარგებლოა. სტატისტიკის ისტორიაში ამგვარი დისკუსია მიმდინარეობდა „პრობლემა პეტი — გრაუნტის" ირგვლივ. საკითხის არსი ასეთია: 1662 წ. ლონდონში გამოვიდა მცირე მოცულობის მოკრძალებული წიგნი სათაურით: „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მართვასთან, რელიგიასთან, ვაჭრობასთან, ჰაერთან, ავადმყოფობასთან და დასახელებული ქალაქის სხვა ცვლილებებთან დაკავშირებულ სიკვდილიანობის ბიულეტენებზე. ჯონ გრაუნტის, ლონდონის მოქალაქის თხზულება". მიუხედავად საკმაოდ უცნაური და ერთგვარად პირქუში სათაურისა, წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია და რამდენიმე წლის განმავლობაში ხუთჯერ გამოიცა. ამასთან, იმავე წელს შეიქმნა მეორე გამოცემის საჭიროება. ამ ნაშრომით თვით მეფე დაინტერესდა და მისი პირადი მითითებით გრაუნტი მიიღეს იმ ხანად დაარსებულ საძეფო საზოგადოებაში. საქმე ისაა, რომ ეს იყო პირველი ცდა — იმ დროისათვის არსებული მწირი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გონივრულად განეხილათ უმნიშვნელოვანესი პრობლემები. როგელნიც კანონზომიერად აღელვებდა ადამიანებს: სიკვდილიანობისა და შობადობის შესახებ, სქესთა თანაფარდობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ, მოსახლეობის მიგრაციისა და სიკვდილის ძირითადი მიზეზების შესახებ.

„დაკვირვებების" ავტორის დამსახურება ისაა, რომ მან პირველი გაუბედავი ნაბიჯები გადადგა სტატისტიკის მნიშვნელოვან პრინციპებთან მიახლოებისაკენ: საკმაოდ დიდ სტატისტიკურ მთლიანობაში არსებობენ განსაკუთრებული მოვლენები, რომელთაგან თითოეული მათეანი შეშთხვევითია, ემორჩილება მთლიანად საკმაოდ მკაცრ და რეგულარულ კანონზომიერებებს. ყოველი ცალკეული ადამიანის დაბადება და სიკვდილი შემთხვევითობაა, მაგრამ სიკვდილიანობა და შობადობა მოცემულ ქვეყანაში (ან დიდ ქალაქშიც, ოლქშიც) საოცრად განსაზღვრული და ნელა ცვალებადი სიდიდეა. თვით მისი ცვლილებანი შეიძლება ჩვეულებრივად აიხსნას მეცნიერულად, ანდა წინასწარაც კი განიჭვრიტოს. სტატისტიკას ზუსტი მათემატიკური საფუძვლები ჩაეყარა მომდევნო XVIII საუკუნეში, მაგრამ ზოგიერთ ამოსავალ იდეებს შეიცავდა უცნობი ლონდონელი მედუქნის წიგნი.

ჯონ გრაუნტს სიტიში ჰქონდა საგალანტერიო დუქანი, იგი, თვითნასწავლი, „სამუშაოდან თავისუფალ დროს" მეცნიერებას ახმარდა.

პეტი მას დაუმეგობრდა ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს და იმ პერიოდში გრაუნტი მფარველობდა კიდეც მას. 60-იან წლებში როლები შეიცვალა, მაგრამ ამან ვერ შებღალა მათი მეგობრობა. იმ დროს გრაუნტი იყო პეტის უახლოესი მეგობარი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი ლონდონში და მისი შუამავალი სამეფო საზოგადოებასთან.

როცა გრაუნტის წიგნმა ინტერესი გამოიწვია, ლონდონის მეცნიერულ წრეებში მითქმა-მოთქმა ატყდა — ამბობდნენ: მისი ნამდვილი ავტორი სერ უილიამ პეტიაო, რომელმაც რაღაც მიზეზების გამო ამჯობინა ამოფარებოდა ყველასათვის უცნობ სახელს. ეს ლაპარაკი გაძლიერდა გრაუნტის სიკვდილის შემდეგ. თვით პეტის თხზულებებსა და წერილებში შეიძლება მოიძებნოს ადგილები, რომლებიც გარკვეული ზომით განამტკიცებენ ამ ვერსიას. მეორე მხრივ, იგი სავსებით გარკვეულად წერს „ჩვენი მეგობარი გრაუნტის წიგნის“ შესახებ.

XIX საუკუნეში საკითხმა „დაკვირვებების“ ავტორობის შესახებ ინგლისურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი დისკუსია გამოიწვია. ამჟამად „პრობლემა პეტი — გრაუნტი“ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. წიგნის და მისი სტატისტიკური იდეების და მეთოდების მთავარი ავტორი მაინც ჯონ გრაუნტია. მაგრამ თავისი სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებებით იგი იმყოფებოდა პეტის აშკარა გავლენის ქვეშ, რომელმაც, შესაძლებელია, დაწერა წინასიტყვაობა და დასკვნა, სადაც ეს შეხედულებებია გამოხატული. სავსებით შესაძლებელია, რომ პეტის ეკუთვნის ნაშრომის საერთო ჩანაფიქრი, მაგრამ მისი განხორციელება უდავოდ გრაუნტისაა.

„პეტის პარტიის“ ძთავარი არგუმენტი ის იყო, რომ გრაუნტს მდაბიო წარმოშობის, სისტემური განათლების უქონელს და სხვამხრივ არაფოით შესანიშნავ ადამიანს უბრალოდ „არ შეეძლო“ დაეწერა ასეთი წიგნი. როგორც სტატისტიკის ისტორიის საბჭოთა მკვლევარი მ. ვ. პტუხა აღნიშნავს, ეს არგუმენტი იმათ დასაბუთებას მოგვაგონებს, ვინც უარყოფდა შექსპირის ავტორობას და მის ქმნილებებს გრაფი ოქსფორდის, ან სერ ფრენსის ბეკონის, ან კიდევ ვილაც სხვა ცნობილ თანამედროვეთა მიერ დაწერილად თვლიდა.[1] უილიამ პეტის როლი მეცხიერების ისტორიაში ძლიერ დიდია. მას სრულიად არ ესაჭიროება სხვათა დამსახურების მითვისება.

1666 წ. „ლონდონის დიდმა ხანძარმა“ გააკოტრა გრაუნტი. მალე, ამის შემდეგ, მან კათოლიკური სარწმუნოება მიიღო, რამაც შეარყია მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა. შესაძლებელია, ყოველივე ამან დააჩქარა მისი სიკვდილი. როგორც წერს პეტის მეგობარი და პირველი ბიოგრაფი ჯონ ობრი, გრაუნტის დასაფლავებაზე „ცრემ-

[1] М. В. Птуха. Очерки по истории статистики XVII—XVIII веков. М., 1945, стр. 45.

ლიანი თვალებიო იდგა მისი ძველი და ახლო მეგობარი, განსწავლული დიდი Virtuoso სერ უილიამ პეტი".[1]

ამ ხანძართან, რომელმაც გაანადგურა შუასაუკუნეობრივი ლონდონის ნახევარი და გაწმინდა ადგილი ახალი ქალაქის მშენებლობისათვის, დაკავშირებულია პეტის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და ისტორიულად პერსპექტიული იდეა. ხანძრის შემდეგ დაუღალავმა პროექტიორმა მთავრობა წარუდგინა ქალაქის გაწმენდისა და გადაკეთების გეგმა. სათაური მეტყველებდა, რომ გეგმის შედგენა ემყარებოდა ვარაუდს, რომლითაც „მთელი მიწა და ნანგრევები ეკუთვნის ვინმე ერთს, რომელსაც აქვს სათანადო სახსრები სამუშაოთა შესასრულებლად, აგეთვე გააჩნია საკანონმდებლო ძალა-უფლება, რათა ყველა კვანძი გადაჭრას"[2]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი, როგორც ჩანს, გამოდიოდა მიწაზე და შენობებზე სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების იდეიდან, წინააღმდეგ არსებული კერძო საკუთრებისა, რომელიც იმ დროს უკვე ქალაქის ჯანსაღ განვითარებას უშლიდა ხელს.

300 წელზე მეტი ხნის წინ გამოთქმული ეს აზრი რომ ღირსეულად შევაფასოთ, საკმარისია გავიხსენოთ, რა პრობლემებს და სიძნელეებს უქმნიდა და უქმნის კერძო კაპიტალისტური საკუთრება ლონდონისა და პარიზის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს ზრდას.

ეპოქა და ადამიანი

მერკანტილიზმის უმსხვილესი მოაზროვნენი მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკურ პროცესებში მოქმედებენ გარკვეული კანონზომიერებანი, რომელნიც პრინციპში არ იყვნენ დამოკიდებული ადამიანის ნებაზე. მაგრამ ამასთან ერთად ამ პროცესებში აზვიადებდნენ სახელმწიფოს როლს, ხოლო „ვულგარული" მერკანტილისტები უარალოდ გულისხმობდნენ, რომ აბსოლუტისტურ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ნების მიხედვით მართოს მეურნეობა. მათ არცთუ იშვიათად ახასიათებდათ ის, რასაც ჩვენ ამჟამად ვოლუნტარიზმს ვუწოდებთ ეკონომიკაში.

პეტიმ ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა იდეა ეკონომიკაში ობიექტურ, შეცნობად კანონზომიერებათა შესახებ, რომელთაც იგი ადარებდა ბუნების კანონებს და ამიტომ უწოდებდა ბუნებრივ კანონებს. ეს იყო დიდი ნაბიჯი წინ პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში: მან მიიღო მეცნიერული ბაზა.

თვით იდეა ეკონომიკური კანონის შესახებ შეიძლება აღმოცენებულიყო მხოლოდ მაშინ, როცა წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მიმოქცევის ძირითადმა ეკონომიკურმა პროცესებმა მიიღეს რე-

---

1 ციტირებულია: E. Strauss. Sir William Petty. Portrait of a Genius, L. 1954. p. 160.

2 The Petty Papers. Some Unpublished Writings of Sir William Petty, ed. by Marquis of Lansdowne, vol. 1. L., 1927, p. 28.

გულარული, მასობრივი სახე, როცა ადამიანთა ურთიერთობებმა შეიძინა უპირატესად სასაქონლო-ფულადი ხასიათი. საქონლის ყიდვა და გაყიდვა, საშუშაო ძალის დაქირავება, მიწის იჯარა, ფულის მიმოქცევა — მხოლოდ ასეთი ურთიერთობების მეტ-ნაკლებად სრული გახვითარებით ადამიანებს შეეძლოთ მისულიყვნენ იმ აზრამდე, რომ ყოველივე ამაში არის რაღაც სტიქიური წესრიგი.

მერკანტილისტები უპირატესად სწავლობდნენ ეკონომიკური საქმიანობის ერთ სფეროს — საგარეო ვაჭრობას. მაგრამ რისკის, სპეკულაციის, არაეკვივალენტური გაცვლის, არაეკონომიკური გამდიდრების (ანუ, პირიქით, დანაკარგების) ელემენტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეფასებას, მეტად დიდი იყო ამ სფეროში, რომ მისი აღწერითა და ჩანასახოვანი ანალიზით შესაძლებელი გამხდარიყო საწარმონო კანონზომიერებათა გამოყვანა.

პირიქით, პეტი ყველაზე ნაკლებად საგარეო ვაჭრობას სწავლობს. მას აინტერესებს განმეორებადი, კანონზომიერი პროცესები. იგი აყენებს საკითხს კანონების შესახებ, რომელნიც ბუნებრივად განსაზღვრავენ ხელფასს, რენტას და თვით, შეიძლება ითქვას, საგადასახადო დაბეგვრასაც.

XVII საუკუნის ბოლოს ინგლისი უკვე ყველაზე განვითარებული ბურჟუაზიული ქვეყანაა. ეს ძირითადად იყო კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული სტადია, როცა იგი ზრდას აღწევს არა იმდენად მანქანებისა და ახალი მეთოდების დანერგვით, რამდენადაც ძველი ტექნიკის ბაზაზე შრომის კაპიტალისტური დანაწილების გაფართოების გზით: მუშა, რომელიც სპეციალიზდება ერთ რომელიმე ოპერაციაზე, მასში დიდ ხელოვნებას აღწევს, რის შედეგადაც იზრდება შრომის ნაყოფიერება. შრომის დანაწილების ქება-დიდება პოლიტიკურ ეკონომიაში იწყება პეტის ცალკეული შენიშვნებით, რომლებიც გვიჩვენებენ მის ეფექტიანობას საათების დამზადების მაგალითზე და მთავრდება ადამ სმიტით, რომელიც მას საფუძვლად უდებს თავის სისტემას.

პეტის დროს მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც წარმოება უკვე მნიშვნელოვანი ზომით კაპიტალისტურ საწყისებზე წარიმართებოდა. კაპიტალი ხელოსნობასა და წვრილ მიწათმოქმედებას იმორჩილებდა ხელა და სხვადასხვაგვარად ცალკეულ დარგებში და მხარეებში. ჯერ კიდევ არსებობდა წარმოების კაპიტალიზმამდელი ფორმების უზარმაზარი მასივები. მაგრამ განვითარების ტენდენციები გამოვლინდა და პეტიმ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღნიშნა იგი.

შალის მრეწველობასთან ერთად, რომელიც ინგლისის ეკონომიკისა და ვაჭრობის ძირითადი დარგი იყო, იზრდებოდა ისეთი დარგები, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება, თუჯისა და ფოლადის გამოდნობა. XVII საუკუნის 80-იან წლებში საშუალოდ წლიურად იღებდ-

ნენ უკვე 3 მილიონამდე ტონა ქვანახშირს, ნაცვლად XVI საუკუნის შუაწლების 200 ათასი ტონისა (მაგრამ ქვანახშირი ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად გამოიყენებოდა როგორც სათბობი: დაკოქსვის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, ლითონს ადნობდნენ ხის ნახშირზე დ მისთვის ტყეებს ანადგურებდნენ). ეს დარგები იმთავითვე კაპიტალისტურად ვითარდებოდნენ.

სახეს იცვლიდა სოფელიც. მიწების წვრილმესაკუთრეთა კლასი, რომელიც ნატურალურ და წვრილსაქონლურ მეურნეობას ეწეოდა, თანდათანობით ქრებოდა. როგორც მათი ნაკვეთები, ასევე სათეო მიწებიც სულ უფრო მეტად თავს იყრიდა მსხვილი ლენდლორდების ხელში, რომლებიც ფერმერებს მიწას იჯარით აძლევდნენ. ამ ფერმერებიდან ყველაზე შეძლებულნი უკვე ეწეოდნენ კაპიტალისტურ მეურნეობას, იყენებდნენ დაქირავებულ სამუშაო ძალას.

მოგაგონებთ, რომ თვით პეტი იყო მსხვილი მიწათმფლობელი მაგრამ თავის თხზულებებში იგი, მცირე გამონაკლისის გარდა, სრულიადაც არ გამოხატავდა სამიწათმოქმედო არისტოკრატიის ინტერესებს.

ლენინმა ლევ ტოლსტოის შესახებ თქვა, რომ ამ გრაფამდე ნამდვილი გლეხი ლიტერატურაში არც ყოფილა. გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ლენდლორდამდე პოლიტიკურ ეკონომიაში ნამდვილი ბურჟუა არ ყოფილა. პეტის ნათლად ესმოდა, რომ „ერის სიმდიდრის" ზრდა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმის გახვითარების გზით. იგი ამ იდეებს გარკვეული ზომით ასორციელებდა თავის მამულებში. ფერმერებს აძლევდა მიწას იჯარით მიწისა და მისი დამუშავების წესების გასაუმჯობესებლად. თავის მიწაზე მან მოაწყო ინგლისელი ახალმოშენე-ხელოსნების კოლონია.

პეტი, როგორც ადამიანი, მკვეთრი წინააღმდეგობების მქონე იყო. დიდი მოაზროვნე მიუკერძოებელი ბიოგრაფის წინაშე გამოდის ხან როგორც ქარაფშუტა ავანტიურისტი, ხან როგორც დაუოკებლად ანგარებიანი და ჯიუტი მოდავე, ხან კი როგორც გაქნილი სასახლის მსახური, ან რამდენადმე გულუბრყვილო მკვეხარა. ნამდვილად კი მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო ცხოვრების დაუცხრომელი წყურვილი. ხოლო ფორმას ისეთს ღებულობდა, როგორსაც საზოგადოებრივი პირობები უკარნახებდა. გარკვეული აზრით, სიმდიდრე და ღირსება მისთვის თვითმიზანს კი არა, რაღაც სპორტულ ინტერესს წარმოადგენდა. იგი, როგორც ჩანს, შინაგან კმაყოფილებას განიცდიდა, როცა თავისი ეპოქისა და პირობებისათვის კანონზომიერი წესით ავლენდა ენერგიას, მოხერხებულობას, პრაქტიკულ მიხვედრილობას. მისი ცხოვრების წესზე და აზრებზე ნაკლები გავლენა იქონია სიმდიდრემ და ტიტულმა.

პეტის ლონდონელი ნაცნობი, ჯონ ეველინი, 1675 წ. თავის დღი-

ურში აღწერს პეტის სახლში, პიკადელიაზე მდიდრულ ვახშამს და გვიამბობს: „როცა მე ვიმყოფები მის საუცხოო სახლში, ვიგონებ, რომ იგი ცუდ ვითარებაში იყო. თვით მასაც უკვირდა, როგორ მოუვიდა მას ეს. იგი ძლიერ არ აფასებს და არც უყვარს მშვენიერი ავეჯი და ყველა ეს ახლანდელი სამშვენისი, მაგრამ მის ელეგანტურ ლედის[1] არ შეუძლია აიტანოს არაფერი საშუალო და ისეთი, რაც არ იქნებოდა შესახიშვნავი ხარისხისა. თვით იგი ყოველივე ამისადმი გულგრილი იყო და ფილოსოფიურად უყურებდა. „აბა რა უნდა ვქნა, — იტყოდა ხოლმე ის, — მე ასეთივე სიამოვნებით შემიძლია წამოგორება თივაზეც“. და მართლაც იგი საკმაოდ დაუდევარია თავისი თავის მიმართ“.[2]

მთელი ცხოვრების მანძილზე ჰყავდა მას ფარული და აშკარა მტრები, მათ შორის იყვნენ მოშურნენი, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და ადამიანები, რომლებსაც ეჯავრებოდათ იგი თავისი გესლიანი, ულმობელი დაცინვისათვის, რისი ოსტატიც იყო. ერთნი მის წინააღმდეგ იყენებდნენ ფიზიკურ ძალას, მეორენი ხლართავდნენ ინტრიგების ქსელს. ერთხელ დუბლინის ქუჩაში მას თავს დაესხა პოლკოვნიკი ორი თანაშემწის თანხლებით. სერ ულიამმა კი მოიგერია ისინი, მაგრამ თვით ძლივს გადაურჩა პოლკოვნიკის ხელ-ჯოხის წვერით დარტყმით გამოწვეულ მარცხენა თვალის დაკარგვას.

დიდ უსიამოვნებას აყენებდა პეტის ინტრიგები, რომელსაც უწყობდნენ მისი მტრები სასახლის კარზე, ირლანდიის მეფის ნაცვალთან, სასამართლოში. ცხოვრების უკანასკნელ წლებში პეტის მიერ მეგობრებისადმი მიწერილი წერილები მწარე ჩივილით და ნაღვლიანი იმედის გაცრუებითაა აღსავსე. ზოგჯერ იგი წერილმანი ხდება, ილანძღება და ჩივის უმნიშვნელო რამისათვის. მაგრამ ბუნებრივი ოპტიმიზმი და იუმორი სძლევს ყველაფერს. იგი კვლავ აგებს იმედებს, კვლავ წარადგენს მოხსენებებს და... კვლავ განიცდის წარუმატებლობას.

1660 წლიდან იგი ცხოვრობს ხან ირლანდიაში, ხან ლონდონში. მხოლოდ 1685 წელს საბოლოოდ დადასახლდა ლონდონში ოჯახითა და მთელი თავისი მოძრავი ქონებით, რომელშიც მთავარი 53 ყუთი ქაღალდები იყო. იმავე წელს გარდაიცვალა კარლ II და ტახტზე ადის იაკობ II. ახალი მეფე თითქოს პეტის მიმართ კარგადაა განწყობილი და კეთილმოსურნეედ ღებულობდა მის პროექტებს. რაზეც მოხუცი ენერგიის ახალი მოზღვავებით მუშაობდა. მაგრამ მალე ესეც ილუზიად იქცევა.

1687 წლის დეკემბერში პეტი გარდაიცვალა. იგი მშობლიურ ქალაქ რომსში დაკრძალეს.

---

[1] საქმე ეხება პეტის ცოლს, მდიდარი მემამულის ლამაზ და ენერგიულ ქერიან. პეტის ხუთი შვილი ჰყავდა.

[2] „The Diary of John Evelyn“; ed. by E. S. de Beer. L., 1959, p. 610.

სერ უილიამ პეტის სამგვარი რეპუტაცია ჰქონდა: პირველი — ბრწყინვალე მეცხიერის, მწერლის, ერუდიტისა; მეორე — დაუოკებელი პროექტიორისა და ფანტაზიორისა; მესამე — გაქნილი მაქინატორისა, ხარბი ადამიანისა, რომლისათვისაც გამდიდრების ყველა ხერხი ძისაღებია. ეს ძესამე რეპუტაცია, რომელიც არ იყო უსაფუძვლო, თან სდევდა პეტის დაწყებული მისი „გმირობიდან" ირლანდიის მიწების განაწილების დროს, სიკვდილამდე. და მას ჰქონდა ამის საფუძველი.

შევხედოთ პეტის ცხოვრების მეორე ნახევარს როგორც მესაკუთრისა და საქმოსნის ბიოგრაფიას. მის ცსოვრებაში გარდატეხა ხდება 1656—1657 წწ., როცა იგი ინტელიგენტი რაზნოჩინელისგან იქცა ჯერ სპეკულანტად და ავანტიურისტად, ხოლო შემდეგ მდიდარ მემამულედ. ამ ცვლილებამ უსიამოვნოდ განაცვიფრა მისი ლონდონელი და ოქსფორდელი ძეცხიერი მეგობრები. პეტი ღელავს და განიცდის ამას. იგი წერს ბოილს, რომლის აზრს განსაკუთრებით აფასებს, აფიცებს მას, არ გააკეთოს ნაჩქარევი დასკვნები და მისცეს შესაძლებლობა, პირადად აუხსნას მოვლენათა მსვლელობა. დრო ნაწილობრივ შლის აღმოცენებულ განმარტოებას, მაგრამ მისი კვალი რჩება.

რესტავრაციის შემდეგ პეტის მაშინვე მოუხდა მკაცრი ბრძოლით დაეცვა თავისი მამულები: მათზე პრეტენზიები ჰქონდათ ყოფილ მფლობელებს, რომელთაგანაც ზოგიერთი სარგებლობდა ახალი მთავრობის ძხარდაჭერით. ამ ბრძოლაში ებმება იგი მთელი თავისი ენერგიითა და გატაცებით, მასში აქსოვს უდიდეს სულიერ ძალასა და დროს. მან შეძლო ძირითადად შეენარჩუნებინა მთელ კუნძულზე გაფანტული თავისი მიწები, იგი ზეიმობს, მაგრამ უსასრულო დავა მიწების შესახებ მაინც არ აძლევს მოსვენებას.

ეს კიდევ ეცოტავება მას! წინააღმდეგ თავისი პრინციპებისა, წინააღმდეგ მეგობრების დარიგებისა, იგი იწყებს ახალ ავანტიურას: შედის გადასახადების გამომსყიდველთა — მდიდარ ფინანსისტთა კომპანიაში, რომელმაც მთავრობისაგან გამოისყიდა ქვეყნის გამძარცველი გადასახადების აკრეფის უფლება. პეტი თავის თხზულებებში მკვეთრად გამოდის მეწარმეობისა და წარმოების ჩამხშობი გადასახადების გამოსყიდვის სისტემის წინააღმდეგ, ხოლო თავის კომპანიონებს თითქმის აშკარად უწოდებს თაღლითებს და სისხლისმწოველებს. და მაინც შეაქვს ავანსი! ძალე იგი წაეჩხუბა „სისხლისმწოვლებს", მაგრამ ვერ იბრუნებს თავის ფულს. ახლა იგი ჩაერთო კიდევ ერთ ყველაზე ულმობელ და უაზრო დავაში. პეტი გაიხლართა მასში, როგორც ბადეში. იგი მძვინვარებამდე მიდის, რაც მეგობრებში იწვევს შებრალებას, მტრებში — ღვარძლიან სიხარულს. 1677 წ. იგი ცოტა ხნით ციხეშიც კი მოხვდა „სასამართლოს უპატივცემულობისათვის". ასეთი სკანდალები სპობს პეტის უკანასკნელ შანსებს პოლიტიკურ კარი-

ერაზე. რომლისაკენაც იგი მუდამ ისწრაფვოდა. მას უარს ეუბნებიან თანამდებობებზე, რომლის მიღწევასაც იგი ცდილობს თავისი პროექტების განხორციელებისათვის.

მესაკუთრე იქცა საკუთრების მონად. პეტი, ერთ-ერთ წერილში, თავის თავს თვით ადარებს მონას, რომელიც მიჯაჭვულია გალერის სკამზე და იქანცება იმით, რომ ნიჩბებს ქარის საწინააღმდეგოდ უსვამს. ეს ხიჭიერი ადამიანის ტრაგედიაა, რომლის ენერგია და ძალები ფულის, რენტის, გამოსყიდვების მგლურ სამყაროში იფლანგება: ბ ურ ჟ უ ა ზ ი ე ულ ი ტ რ ა გ ე დ ი ა ა.

თანამედროვენი გრძნობდნენ ამ ტრაგედიას, მაგრამ მას, რა თქმა უნდა, აღიქვამდნენ სხვაგვარად, ვიდრე ჩვენ. მათ აოცებდათ დაშორება პეტის ფენომენალურ შესაძლებლობებსა და მის უმნიშვნელო მიღწევებს შორის პოლიტიკურ და სახელმწიფო სარბიელზე. ეველიხი წერდა, რომ ძნელია წარმოიდგინო სახელმწიფო საქმეების უკეთესად მცოდნე ადამიანი. იგი განაგრძობდა: „მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც შეეძლოს ასევე უნარიანად მართოს მრეწველობა და ვაჭრობის განვითარება... მე რომ ხელმწიფე ვიყოსულ ცოტა, მას მეორე მრჩევლობას ვუბოძებდი“.

ნამდვილად კი პეტიმ იმაზე მეტს ვერ მიაღწია, ვიდრე საზღვაო სამინისტროში არაფრისგადამწყვეტი ჩინოვნიკის პოსტი იყო...

თვით პეტი ყოველთვის არ იყო ბეცი თავისი ყოველდღიური უბადრუკობისადმი, რომელიც ფიტავდა მის აზრსა და ენერგიას. ზოგჯერ იგი ღვარძლიანად დასცინოდა თავის თავს, მაგრამ მანკიერი წრიდან გამოსვლა არ შეეძლო. პეტის თხზულებათა უაღრესი ლაკონიურობა მისი ღირსებაა და გამოხატავს პეტის ხასიათს. მაგრამ ამასთან ერთად — ეს მისი სხვა საქმეებით დაკავებულობის შედეგია.

1682 წელს პეტიმ ინგლისური მონეტების ხელმეორედ მოჭრის კონკრეტულ საკითხზე კამათის გამო დაწერა პატარა ნაშრომი სათაურით: „სხვადასხვა რამ ფულის შესახებ“ (ან „ზოგი რამ ფულის შესახებ“). იგი დაწერილია 32 კითხვისა და მოკლე პასუხების ფორმით. ეს „ზოგი რამ“ ფულის მეცნიერული თეორიის თითქოსდა ფოლადის ჩოხჩხია, საყრდენი კონსტრუქციაა, რომლის შევსება იყო მხოლოდ საჭირო სხვა მასალებით — დაზუსტებებით, დეტალებით, ილუსტრაციებით, ტიხარის დაყენებით განყოფილებებსა და პრობლემებს შორის.

მარქსი ლაპარაკობს ლორდ გალიფაქსისადმი მიწერილი მორიდებული წერილის შესახებ, რომელმაც ავტორის სიცოცხლეში ვერ იხილა მზის სინათლე, რომ ეს „სრულიად ღამთაურებული, თითქოს [illegible] ჩამოსხმული ნაშრომაა... მერკანტილისტური შეხედულებების უკანასკნელი ნიშანწყალი, რომელსაც კიდევ ვხედებით მის

სხვა ხაწერებში, აქ სრულიად გამქრალია. ეს ნამდვილი შედეგრია როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრივ...“[1]

პეტი ფულს იხილავს, როგორც განსაკუთრებული საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციის შემსრულებელ საქონელს. მისი, როგორც ყველა სხვა საქონლის, ღირებულება იქმნება შრომით, საცვლელი ღირებულება კი რაოდენობრივად განისაზღვრება უძვირფასესი ლითონების მოპოვებისათვის საჭირო შრომითი დანახარჯების რაოდენობით წარმოების სხვა სფეროებში დანახარჯებთან შედარებით. მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა განისაზღვრება სავაჭრო საგადასახადო ბრუნვის მოცულობით, ე. ი. საბოლოო ანგარიშით რეალიზებული საქონლების რაოდენობით, მათი ფასებით, სხვადასხვა გარიგებებში ფულის ერთეულის მიმოქცევის სიხშირით (მიმოქცევის სიჩქარით). სრულფასიანი ფული გარკვეულ ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს ბანკის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფულით.

ფულისა და კრედიტის თეორია, გამოთქმული იდეის სახით უილიამ პეტის მიერ აქ (და ზოგიერთ სხვა თხზულებაში) ანდა სხვა იდეებთან პოლემიკაში, მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე ძლიერ განვითარდა.

მაგრამ ამასთან ერთად ეს მოკრძალებული თხზულება, სადაც მრავალი აზრი კონსპექტური და ესკიზურია, გვიჩვენებს, თეორიული აზროვნების რა შესაძლებლობები იყო ჩაქსოვილი ამ ადამიანში. მან მხოლოდ იმის რაღაც ნაწილი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო. თუმცა ასეთი რამ შეიძლება ყველა ადამიანზე ითქვას, მაგრამ პეტის მიმართ ეს განსაკუთრებით მისაღები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 275.

მეოთხე თავი

ბუაგილბერი, მისი ეპოქა და როლი

მარქსის ახალგაზრდობის მოგონებისას, ენგელსი 1892 წ. დიდი რევოლუციონერის მომავალ ბიოგრაფს და მეცნიერს ფრანც მერინგს სწერდა, რომ სტუდენტურ წლებში ბონსა და ბერლინში (1835—1841 წწ.) „პოლიტიკური ეკონომიის შესახებ მან აბსოლუტურად არაფერი იცოდა“[1]. ენგელსის ცნობით, „ეკონომიკური საკითხების შესწავლა მარქსმა დაიწყო 1843 წელს პარიზში დიდი ინგლისელებისა და ფრანგების შესწავლით...“[2]

გასაოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს მარქსის იმ ადრეული კონსპექტების კითხვა, რომლებიც მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გამოქვეყნდა. 25 წლის მარქსმა შეიცნო სმიტი და რიკარდო. იგი მივიდა პირველ „დიდ ფრანგამდე“ — ბუაგილბერამდე. მისი თხზულების გერმანულ-ფრანგული კონსპექტიდან მარქსი გადადის მოკლე შენიშვნებზე, ხოლო შემდეგ ღრმა ფიქრებზე. ამისაკენ მას უბიძგა ლუდოვიკო XIV-ის დროიხდელი რუანელი მოსამართლის შესანიშნავმა იდეებმა, რომლებმაც წინ გაუსწრეს მის ეპოქას.

ეს კონსპექტი, როგორც ჩანს, მარქსმა გამოიყენა 10 წელზე მეტი ხნის შემდეგ, როდესაც იგი მუშაობდა წიგნზე — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, სადაც მან პირველად მოგვცა ღრმა შეფასება „კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთნახევარ საუკუნეზე უფრო მეტი ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, რომელიც იწყება ინგლისში უილიამ პეტით, საფრანგეთში კი ბუაგილბერით და მთავრდება ინგლისში რიკარდოთი, საფრანგეთში კი სისმონდით.“[3]

ბუაგილბერი მარქსს იზიდავდა არა მხოლოდ როგორც მეცნიერი და მწერალი. ეს ჭკვიანი და პატიოსანი ადამიანი თვით წარმოადგენდა აბსოლუტური მოხარქიის სახელმწიფო მანქანის „ჭანჭიკს“, მაგრამ ხმა აიმაღლა ფრანგი ხალხის ჩაგრული უმრავლესობის დასაცავად, რაც მას ძვირად დაუჯდა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 38, გვ. 411

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ. 1957, გვ. 8.

[3] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 54.

თითქოსდა ლუდოვიკო XIV-ის მეფობას არ უჩანდა ბოლო. დაიწყო XVIII საუკუნე. ადამიანები ეკითხებოდნენ თავისთავს და ერთმანეთს (თუ ჰქონდათ გამბედაობა): რა მოუვა საფრანგეთს თუ ღმერთი კიდევ დიდი ხნით გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს „მეფე — მზეს“?

მისი მეფობის პირველი ორი ათწლეულის მანძილზე ქვეყნის მეურნეობას კოლბერი მართავდა. მას ესმოდა მრეწველობის მნიშვნელობა და ბევრს აკეთებდა მისი განვითარებისათვის. მაგრამ მრეწველობის ზოგიერთი დარგების განვითარება სოფლის მეურნეობის საზიანოდ მიმდინარეობდა, რომელსაც კოლბერი განიხილავდა როგორც სახელმწიფოს ფინანსური სახსრების წყაროს. კოლბერის პოლიტიკის ყველაზე მთავარი მანკიერება ის იყო, რომ იგი ხელუხლებელს ტოვებდა ფეოდალურ ურთიერთობებს, ეს კი ბორკავდა ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებას. შეიძლება კოლბერის გულმოდგინეობას დიდი წარმატება ჰქონოდა, რომ მეფის ხელისუფლებას მის წინაშე არ დაეყენებინა ერთი მთავარი ამოცანა: რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ამოექაჩა ფული, რომელიც სჭირდებოდა პატივმოყვარე ლუდოვიკოს დაუსრულებელი ომებისათვის და მისი არნახულად მდიდრული სასახლის კარისათვის.

კოლბერის სიკვდილის შემდეგ მისი პოლიტიკის ზოგიერთი მიღწევა მალე გაქრა, ხოლო მისი მანკიერებანი გაორკეცებული ძალით გამოვლინდა. 1701 წელს დაიწყო საფრანგეთისათვის ყველაზე წარუმატებელი და გამაჩანაგებელი ომი — ეგრეთ წოდებული ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის, რომელშიც მის წინააღმდეგ გამოდიოდა კოალიცია ინგლისის, ჰოლანდიის, ავსტრიის და რამდენიმე წვრილი სახელმწიფოს შემადგენლობით.

სიბერესთან ერთად ლუდოვიკო XIV კარგავდა ნიჭს — სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მოეზიდა უნარიანი ადამიანები. ენერგიული და შრომისმოყვარე კოლბერი შეცვალეს არაფრით გამორჩეულმა ადამიანებმა. პირველი ადგილი მინისტრთაგან ლუდოვიკო XIV-სა და ორი მომდევნო ბურბონის მეფობის დროს ეკავა ფინანსების გენერალურ კონტროლიორს, რომლის ხელში თავმოყრილი იყო სახელმწიფო ფინანსების, ქვეყნის მეურნეობის, საშინაო საქმეების, იუსტიციის და ზოგჯერ სამხედრო საქმეების მართვა. არსებითად ეს იყო პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ასრულებდა მხოლოდ მონარქის ნებასურვილს.

ყოველგვარი ეკონომიკური რეფორმის გატარება დამოკიდებული იყო გენერალურ კონტროლიორზე. ეს იცოდა ბუაგილბერმა და მუდამ ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი პროექტების სარგებლიანობაში პონშარტრენი და შამილიარი — ადამიანები, რომელთაც ეს პოსტი

ეკავათ XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში და XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში. მაგრამ ამ ადამიანებს არ შესწევდათ უნარი, თუნდაც ბოლომდე მოესმინათ მისთვის. ერთხელ, როცა ბუაგილბერმა მიაღწია აუდენციას პონშარტრენთან, თავისი მოხსენება ასეთი განცხადებით დაიწყო: შეიძლება დასაწყისში მინისტრმა იგი გიჟად ჩათვალოს, მაგრამ სწრაფად შეიცვლის თავის აზრს, როგორც კი ჩასწვდება მის, ბუაგილბერის, იდეებს. პონშარტრენმა მოუსმინა მას რამდენიმე წუთს, შემდეგ გადაიხარხარა და თქვა, რომ იგი შეინარჩუნებს თავდაპირველ შეხედულებას და არ საჭიროებს საუბრის შემდგომ გაგრძელებას.

მთავრობას გაგონებაც კი არ სურდა რაიმე რეფორმის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა შეხებოდა პრივილეგირებული ფენების (თავადაზნაურობა და სამღვდელოება) და ახალი სისხლისმწოველების — გადასახადების გამომსყიდველების, მდიდარი ფინანსისტების ინტერესებს. ამასთანავე, მხოლოდ ასეთ რეფორმებს შეეძლოთ გამოეყვანათ ქვეყნის მეურნეობა გაჭიანურებული კრიზისიდან, და აქეთკენ იყო მიმართული აბეზარი რუანელის პროექტები.

ბუაგილბერის თხზულებანი წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს ცნობებისას ამ ეპოქის საფრანგეთის ეკონომიკის გაღატაკებული არსებობის, ხალხის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომლის სამ მეოთხედს გლეხობა შეადგენდა. მაგრამ მასზე მრავალი წერდა. პოლიტიკური და ეკონომიკური თხზულებების გამოჩენილი ავტორი მარშალი ვობანი 1707 წ. წერდა, რომ მოსახლეობის ერთი მეათედი ნაწილი ღატაკია, ხუთი მეათედი სიღატაკის პირასაა მისული, სამი მეათედი — ძლიერ შევიწროებულ მდგომარეობაშია და მხოლოდ ერთი, უმაღლესი, მეათედი ნაწილი ცხოვრობს კარგად, მათ რიცხვში რამდენიმე ათასი ადამიანი — ფუფუნებაში.

ბუაგილბერი ამ კრიტიკოსებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას რაღაცა ზომით ესმოდა ასეთი მდგომარეობის ძირეული მიზეზები. ამიტომაც მას შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა ეკონომიკური აზრის განვითარებისათვის. შემთხვევით არ იყო მისი ყურადღება მიპყრობილი სოფელზე. აქ იყო საფრანგეთში პროგრესული ბურჟუაზიული მეურნეობის განვითარების გასაღები. მეფეს, თავადაზნაურობას და სამღვდელოებას გულდაგულ ჰქონდათ ჩაკეტილი ეს გასაღები, ვიდრე საუკუნის ბოლოს რევოლუციამ არ დაამსხვრია ყველა საკეტი. ფრანგი გლეხობა უკვე რამდენიმე საუკუნე პირადად თავისუფალი იყო. მაგრამ იგი არ იყო თავისუფალი მესაკუთრე მიწისა, რომელზეც ცხოვრობდა და მუშაობდა. შუასაუკუნეობრივი პრინციპი — „არ არის მიწა უსენიორად“ — სრული ძალით მოქმედებდა, თუმცა შეცვლილი ფორმებით. ამავე დროს, საფრანგეთში არ იყო ის ძლიერი ახალი კაპიტალისტური ფერმერი-მოიჯარეების კლასი, რომელიც ვითარდებოდა ინგლისში. გლეხობა წელში წყდებოდა სამგვარი ჩაგვრის გამო: იგი

იხდიდა რენტას და ატარებდა მეტად სხვადასხვა ფეოდალური ბეგარის ტვირთს მემამულეების სასარგებლოდ; არჩენდა მღვდლებისა და მონაზვნების მრავალრიცხოვან არმიას, რისთვისაც ეკლესიას აძლევდა თავისი შემოსავლების მეათედს; იყო მეფის გადასახადების ფაქტობრივად ერთადერთი გადამხდელი. თავადაზნაურობა და სამღვდელოება გადასახადებს არ იხდიდა, ქალაქის ბურჟუაზია, ჯერ ერთი, შედარებით სუსტი იყო, მეორეც — გაცილებით წარმატებით შეეძლო გადასახადებიდან თავის დაძვრენა.

როგორც მრავალჯერ იმეორებდა ბუაგილბერი თავის თხზულებებში და მოხსენებით ბარათებში, გლეხში ეს ეკონომიკური სისტემა კლავდა მიწის დამუშავების გაუმჯობესების, წარმოების გაფართოების ყოველგვარ სტიმულს.

სახელმწიფო მთელ ეკონომიკურ პოლიტიკას საგადასახადო შემოსავლების ამოქაჩვის ამოცანას უმორჩილებდა და ამისათვის იყენებდა ფეოდალიზმის გადმონაშთებს, აბრკოლებდა მათ ნგრევას. მთელი საფრანგეთი საბაჟო საზღვრებით იყო დაყოფილი ცალკეულ პროვინციებად, საიდანაც ქაჩავდნენ ბაჟებს ყველა გადაზიდული საქონლიდან. ეს ხელს უშლიდა საშინაო ბაზრის განვითარებას, კაპიტალისტური მეწარმეობის ზრდას. მეორე დაბრკოლება იყო ქალაქად ხელოსანთა ამქრების შენარჩუნება თავიანთი პრივილეგიებით, წარმოების მკაცრი რეგლამენტაციითა და შეზღუდვით. ესეც ხელსაყრელი იყო მთავრობისათვის, რადგან უსასრულოდ ყიდდა ამქრებზე ერთსა და იმავე პრივილეგიებს. მსხვილი მანუფაქტურების მცირე რიცხვიც კი, რომლებსაც კოლბერი ნერგავდა XVIII საუკუნის დასაწყისში, განადგურდა. 1685 წელს ლუდოვიკო XIV-მ გაუქმა ნანტის ედიქტი, რომლითაც დაშვებული იყო გარკვეული რჯულშემწყნარებლობა. ჰუგენოტების მრავალმა ათასმა ოჯახმა — ხელოსნებმა და ვაჭრებმა დატოვეს საფრანგეთი და თან წაიღეს ფული, ხელოსნური დაოსტატება და სამეწარმოე გამჭრიახობა.

მოსამართლე რუანიდან

ეკონომიკური პროექტიორები განსაკუთრებული ტიპის ადამიანებია, რომლებიც ალბათ ყველა დროში და ყველა ქვეყანაში გვხვდება. ისინი ჰგვანან განსაკუთრებულ ტომს — გამომგონებლებს და ხშირად აწყდებიან ისეთსავე დაბრკოლებებს: ეგოისტურ ინტერესებს ძლიერთა ამა ქვეყნისა, კონსერვატიზმს და ჩვეულებრივ ადამიანურ სისულელეს.

ბუაგილბერი იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძვინვარე, პატიოსანი და უანგარო ეკონომიკური პროექტიორი. ლუდოვიკო XIV-ის საფრანგეთში მას მუდმივად თან სდევდა წარუმატებლობა, და ეს წარუ-

მატებლობა მისთვის უფრო ღრმა პირადი ტრაგედია იყო, ვიდრე პეტისათვის. ბუაგილბერის პიროვნება შესაძლებელია, არ გამოირჩევა ისეთი მრავალმხრივობით და კოლორიტულობით, როგორც სერ უილიამის ფიგურა. მაგრამ პატივისცემას, მგონი, უფრო მეტს იმსახურებს. უკვე მისი თანამედროვენი გაბედული რუანელის დასახასიათებლად მსგავსი ქველმოქმედების მაგალითებისათვის მიმართავდნენ უძველეს კლასიკას. ლაპარაკობდა რა ამ ორ ეკონომისტზე, მარქსი წერდა, რომ „მაშინ, როცა პეტი თავხედი, ძარცვას მოწყურებული და უხასიათო ავანტიურისტი იყო, ბუაგილბერი ჩაგრული კლასების სასარგებლოდ გამოდიოდა ასევე საზრიანად, როგორც გაბედულად"[1]. აღსანიშნავია, რომ მარქსი ბუაგილბერს იცნობდა მხოლოდ გამოქვეყნებული ნაწარმოებებით და ამ ფრაზაში განჭვრიტა მისი ადამიანური სახე, რომელიც მკვლევრებისათვის უფრო სრულად გაიხსნა მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 60-იან წლებში ბუაგილბერის მიმოწერა იპოვეს.

პიერ ლეპეზან[2] დე ბუაგილბერი დაიბადა 1646 წ. რუანში. მისი ოჯახი ეკუთვნოდა ნორმანდიული „მანტიის აზნაურებს" — ასე უწოდებდნენ ძველ საფრანგეთში აზნაურებს, რომელთაც მემკვიდრეობით ეკავათ სასამართლო და ადმინისტრაციული პოსტები; გარდა ამისა, იყო „დაშნის აზნაურობა", რომლებიც მეფეს იარაღით ემსახურებოდნენ. „მანტიის აზნაურობა" XVII და XVIII საუკუნეებში სწრაფად ივსებოდა გამდიდრებული ბურჟუების ხარჯზე. ასეთივე იყო ბუაგილბერის წარმოშობაც.

ჭაბუკმა პიერ ლეპეზანმა თავისი დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო, რისი დასრულების შემდეგ დასახლდა პარიზში და ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. მალე მან ხელი მოჰკიდა მათი ოჯახისათვის ტრადიციულ იურიდიულ პროფესიას და 1677 წ. ნორმანდიაში მიიღო სასამართლო-ადმინისტრაციული თანამდებობა. რაღაც მიზეზების გამო თავის მამასთან წაჩხუბებულმა უმცროსი ძმის სასარგებლოდ დაკარგა მემკვიდრეობა და იძულებული გახდა თვით „გაეკაფა გზა" და ეს წარმატებითაც გააკეთა — უკვე 1689 წ. შეძლო მეტად ძვირად ეყიდა რუანის სასამართლო ოლქის გენერალური ლეიტენანტის (უფროსის) თანამდებობა. იმდროინდელი მმართველობის თავისებურ სისტემაში ეს იყო ქალაქის მთავარი მოსამართლის მსგავსი პოლიციური და საერთო მუნიციპალური მართვის ფუნქციებით. ეს თანამდებობა ბუაგილბერმა ბოლომდე შეინარჩუნა და სიკვდილამდე ორი თვით ადრე გადასცა თავის უფროს ვაჟს.

---

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 58.

2 ეს იყო სწორედ ეკონომისტის გვარი: ბუაგილბერი სახელია მისი წინაპრების მიერ შეძენილი მამულისა. გვარზე ასეთი დამატება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როცა ბურჟუა ღებულობდა აზნაურობას, მაგრამ პიერ ლეპეზანი ყოველთვის ცნობილი იყო დე ბუაგილბერის სახელით.

როგორც ჩანს, ეკონომიკური საკითხების შესწავლას ბუაგილბერი იწყებს 70-იანი წლების ბოლოდან. იგი ცხოვრობს ნორმანდიის სოფლის მოსახლეობას შორის და, აგრეთვე, მოგზაურობს სხვა პროვინციებშიც, ხედავს გლეხობის სასოწარკვეთილ მდგომარეობას და მალე მიდის დასკვნამდე, რომ ეს არის ქვეყნის მეურნეობის საერთო დაცემის მიზეზი. თავადაზნაურობა და მეფე გლეხობას მხოლოდ იმდენს უტოვებდნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. ხოლო ზოგჯერ უკანასკნელსაც ართმევენ. ასეთ პირობებში არ არსებობს წარმოების გადიდების იმედი. გლეხობის საშინელი სიღატაკე თავის მხრივ მთავარი მიზეზია მრეწველობის დაცემისა, რადგან მას არა აქვს გასაღების რამდენადმე ფართო ბაზარი.

ეს იდეები თანდათანობით მწიფდებოდა მოსამართლის თავში. 1691 წ. იგი უკვე ლაპარაკობს თავის „სისტემაზე" და, როგორც ჩანს, მან ეს დაწერა. „სისტემა", როგორც მას ახლა შეიძლება ვუწოდოთ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის რეფორმათა სერიაა. ამასთან ერთად, ბუაგილბერი გამოდის არა იმდენად ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველად, რამდენადაც გლეხობის დამცველად. „საფრანგეთს ისე ეპყრობიან, როგორც დაპყრობილ ქვეყანას" — ეს რეფრენივით გასდევს ყველა მის თხზულებას.

შეიძლება ითქვას, რომ ბუაგილბერის „სისტემა" მისი თავდაპირველი ფორმითაც, და დასრულებული სახითაც, როგორიც მან 1707 წ. მიიღო, შედგებოდა სამი ძირითადი ელემენტისაგან.

პირველი, იგი აუცილებლად თვლიდა დიდი საგადასახადო რეფორმის გატარებას. თუ არ შევიჭრებით დეტალებში, შეიძლება ვთქვათ, რომ სთავაზობდა, ძველი, მკვეთრად გამოსახული რეგრესული სისტემა შეეცვალათ პროპორციული ან ოდნავ პროგრესული დაბეგვრით. რეგრესული სისტემის დროს რამდენად მეტი აქვს შემოსავალი მოცემულ პირს, იმდენად ნაკლებია პროცენტული შეფარდებით გადასახადის ამოღება; პროპორციული სისტემის დროს ამოღებული შემოსავლის წილი ერთნაირია; პროგრესულის დროს იგი იზრდება შემოსავლის გადიდებასთან ერთად. ბუაგილბერის წინადადება თავისი დროისათვის განსაკუთრებით გაბედული იყო: დიდგვაროვანნი და ეკლესია ხომ, როგორც უკვე ითქვა, არსებითად, არ იხდიდა გადასახადს, ხოლო ბუაგილბერს უნდოდა მათი დაბეგვრა, უკიდურეს შემთხვევაში ისეთი პროპორციით, როგორც ღარიბებისა.

მეორე, იგი მოითხოვდა საშინაო ვაჭრობის შეზღუდვებისაგან განთავისუფლებას. ამ ღონისძიებებისაგან იგი მოელოდა შინაგანი ბაზრის გაფართოებას, შრომის დანაწილების ზრდას, საქონლისა და ფულის მიმოქცევის გაძლიერებას.

მესამე, ბუაგილბერი მოითხოვდა მარცვლეულით თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას და მასზე ბუნებრივი ფასების ზრდის შეუზღუ-

დაობას. მას უაღრესად საზიანოდ მიაჩნდა მარცვლეულზე დაბალი ფასების ხელოვნურად შენარჩუნების პოლიტიკა, რადგან ასეთი ფასები ვერ ფარავენ წარმოების ხარჯებს სოფლის მეურნეობაში და გამორიცხავენ მისი განვითარების შესაძლებლობას. ბუაგილბერს მიაჩნდა, რომ ეკონომიკა ყველაზე უკეთ თავისუფალი კონკურენციის პირობებში განვითარდება. როცა საქონელი ბაზარზე იპოვის თავის „ჭეშმარიტ ფასეულობას“.

ამ რეფორმებს ბუაგილბერი თვლიდა მეურნეობრივი განვითარებისა და ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის პირობად. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება სახელმწიფოს შემოსავლების გადიდება, არწმუნებდა იგი ქვეყნის მმართველებს. თავისი იდეების ხალხამდე მიტანის მიზნით მან 1695—1696 წწ. ანონიმურად გამოსცა თავისი პირველი წიგნი დამახასიათებელი სათაურით: „საფრანგეთის მდგომარეობის დაწვრილებითი აღწერა, მისი კეთილდღეობის დაცემის მიზეზები და აღდგენის მარტივი ხერხები, ანუ ერთ თვეში როგორ მიიღოს მეფემ მთელი ფული, რომელიც მას სჭირდება, და გაამდიდროს მისი მოსახლეობა“.

ლაპარაკი მარტივ ხერხებსა და ყველაფრის მიღწევის შესაძლებლობაზე ერთ თვეში, ერთგვარად, სარეკლამო ხასიათს ატარებს. მაგრამ ამასთან ერთად იგი ასახავს ბუაგილბერის იმ ჭეშმარიტ რწმენას, რომ საკმარისია, მივიღოთ რიგი კანონებისა (და ამისათვის, როგორც იგი წერდა, მინისტრების მხოლოდ ორი საათის მუშაობაა საჭირო), და მეურნეობა „საფუარიანი ცომივით“ ამოიწევს.

მაგრამ ეს მხოლოდ იმედის გაცრუებათა ჯაჭვის დასაწყისია. წიგნი თითქოს შეუმჩნეველი რჩება. 1699 წ. პონშარტრენის ადგილს შამილიარი იკავებს, რომელიც პირადად იცნობს ბუაგილბერს და თითქოს კიდეც თანაუგრძნობს მის იდეებს. რუანელი კვლავ აღსავსეა იმედებით, იგი მუშაობს ახალი ენერგიით, წერს ახალ შრომებს. მაგრამ მისი მთავარი პროდუქცია მომდევნო ხუთი წლის მანძილზე — მინისტრებისათვის ვრცელი წერილი-მემორანდუმების სერიაა. ეს საოცარი დოკუმენტები, არა მარტო მოხსენებითი ბარათებია, არამედ პირადი წერილებიც, სულის გამოძახილიცაა.

ბუაგილბერი ამტკიცებს და არწმუნებს, იმუქრება ეკონომიკური უბედურებით, სთხოვს და ევედრება. აწყდება გაუგებრობისა და დაცინვის კედელს, მაგრამ მხედველობაში იღებს თავის ღირსებებს და ჩუმდება. იგი შეგნებულად სწირავს პირად სიამაყეს სამშობლოს და ძალაუფლების მფლობელებს კვლავ ევედრება: იჩქარეთ, იმოქმედეთ, გადაარჩინეთ! 1702 წ. ერთ-ერთი წერილი ასე მთავრდება: „მე ამით ვამთავრებ; ოცდაათი წლის გულმოდგინეობა და ზრუნვა მაძლევს წინასწარგანჭვრეტის ძალას და საქვეყნოდ ვწერდი, რომ ის წესები, რომლითაც მართავენ საფრანგეთს, მიიყვანს მას დაღუპვამდე, თუკი

ეს არ შეჩერდება. მე ვამბობ მხოლოდ მას, რასაც ლაპარაკობენ ვაჭრები და მიწათმოქმედნი"[1].

დანაშაული და სასჯელი

ბადის წლები. ბუაგილბერს აკრძალული აქვს ახალ თხზულებათა გამოქვეყნება. მაგრამ იგი მაინც იმედოვნებს თავისი იდეების პრაქტიკულ განხორციელებას. 1705 წ. ბუაგილბერი, როგორც იქნა, „ეკონომიკური ექსპერიმენტისათვის" ღებულობს ოლქს ორლეანის პროვინციაში. ნათლად არ არის გარკვეული, როგორ და რა პირობებში ტარდება ეს ცდა, ყოველ შემთხვევაში, იგი მომდევნო წელსვე ჩაიფუშა. მცირე იზოლირებულ ოლქში და გავლენიანი ძალების საწინააღმდეგო მოქმედების პირობებში არც შეიძლებოდა სხვაგვარად დამთავრებულიყო.

1707 წლის დასაწყისში ბუაგილბერი აქვეყნებს თავისი თხზულების ორ ტომს. თეორიულ ტრაქტატებთან ერთად მასში არის მკვეთრი პოლიტიკური შეტევა მთავრობაზე, მკაცრი ბრალდებანი და მრისხანე გაფრთხილებანი. პასუხმა დიდხანს არ აცდინა: წიგნი აკრძალეს, ავტორი გადაასახლეს პროვინციაში. გადასახლებიდან იგი კვლავ მიმართავს შამილიარს და ღებულობს უხეშ პასუხს. 61 წლის ბუაგილბერის საქმეები შერყეულია, მას დიდი ოჯახი ჰყავს: — ხუთი შვილი. ნათესავები მას დაწყნარებას ურჩევენ. უმცროსი ძმა — კეთილსინდისიერი მრჩეველი პარლამენტისა (პროვინციული სასამართლოსი) რუანში ზრუნავს მისთვის. მოსარჩლენი მრავლად ჰყავს ბუაგილბერს, და თვით შამილიარსაც ესმის სასჯელის უაზრობა. მაგრამ მძვინვარე პროექტიორი უნდა მოთვინიერდეს! პირში წყალჩაგუბებული ბუაგილბერი მიხვდება — უაზრობაა კვლავაც კედელზე თავისრტყმა. მას რუანში დაბრუნების უფლებას აძლევენ. როგორც ამ ეპოქის მემუარისტი ჰერცოგი სენ-სიმონი[2], რომელსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ამ ისტორიის მრავალ დეტალს, გვატყობინებს, მოქალაქენი მას პატივითა და სიხარულით შეხვდნენ.

ბუაგილბერს პირდაპირი რეპრესიები მეტად აღარ განუცდია. მან თავისი თხზულებები, თუმცა მწვავე ადგილების გამოტოვებით, კვლავ სამჯერ გამოსცა. მაგრამ მორალურად იგი უკვე გატეხილი იყო. 1708 წ. გენერალური კონტროლიორის პოსტზე შამილიარი შეცვალა კოლბერის ხათესავმა (ძმისწულმა ან დისწულმა) ჭკვიანმა და საქმიანმა დემარემ. იგი კარგად ეპყრობოდა შერისხულ ბუაგილბერს და ცდილობდა კიდეც მის გამოყენებას ფინანსების მართვაში. მაგრამ უკვე გვიან იყო: აღარც ბუაგილბერს შეეძლო უწინდებურად და ფი-

[1] ციტირებულია: H. van D. Roberts. Boisguillebert, Economist of the Reign of Louis XIV., 1935, N. Y. p. 40.

[2] დიდი სოციალ-უტოპისტის კ. ა. სენ-სიმონის წინაპარი.

ნანსებიც სწრაფად მიექანებოდა უფსკრულისაკენ, მზადდებოდა ნიადაგი ჯონ ლოს ექსპერიმენტისათვის. ბუაგილბერი გარდაიცვალა რუანში 1714 წ. ოქტომბერში.

ბუაგილბერის თხზულებებიდან და წერილებიდან, ასევე მის თანამედროვეთა მრავალრიცხოვანი დამოწმებიდან იკვეთება მთლიანი და ნათელი პიროვნება. ეს იყო ჯიუტი და შეურიგებელი, მაგრამ მისი ხასიათის ასეთ თვისებას პრინციპული საფუძველი ჰქონდა: ბუაგილბერი უგულებელყოფდა საკუთარ სარგებლიანობას, რისთვისაც კონფლიქტი მოსდიოდა „ძლიერებთან ამა სოფლისა“ და იცავდა თავის იდეებს, რომელთა მიზანი სამშობლოსი და უბრალო ხალხის კეთილდღეობა იყო.

თეორეტიკოსი

როგორც ყველა ადრინდელი ეკონომისტი, ბუაგილბერიც თავის თეორიულ მოძღვრებას პრაქტიკას, მის მიერ შეთავაზებული პოლიტიკის დასაბუთებას უქვემდებარებდა. მისი, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, როლი იმით განისაზღვრება, რომ თავის რეფორმებს საფუძვლად დაუდო იმ დროისათვის მთლიანი და ღრმა თეორიული შეხედულებების სისტემა. ბუაგილბერის აზრთა მსვლელობა პეტის ლოგიკას მოგვაგონებს. მან მიზნად დაისახა შეესწავლა საკითხი, თუ რა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას; კონკრეტულად, ბუაგილბერს აღელვებდა საფრანგეთის ეკონომიკის შეფერხებებისა და დაცემის მიზეზები. აქედან იგი გადავიდა უფრო ზოგად თეორიულ საკითხზე: რა კანონზომიერებანი მოქმედებენ სახალხო მეურნეობაში და რა უზრუნველყოფს მის განვითარებას?

ზევით მოვიყვანეთ ლენინის აზრი: მისწრაფება — იპოვნონ ფასების წარმოქმნისა და შეცვლის კანონი — გასდევს მთელს ეკონომიკურ თეორიას, დაწყებული არისტოტელედან. ამ მრავალსაუკუნოვან ძიებაში ბუაგილბერმა თავისებური წვლილი შეიტანა. იგი ამოცანას, როგორც ახლა ვიტყოდით, „ოპტიმალური ფასწარმოქმნის“ პოზიციებიდან მიუდგა. იგი წერდა, რომ ეკონომიკური წონასწორობისა და პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობა პროპორციული, ანუ ნორმალური ფასებია.

რა ფასებია ეს? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ფასები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალოდ ყოველ დარგში წარმოების ხარჯების დაფარვას და გარკვეული მოგების, წმინდა შემოსავლის მიღებას; შემდგომ ეს არის ფასები, რომელთა არსებობის დროს დაუბრკოლებლად შესრულდება საქონელთა რეალიზაციის პროცესი და შენარჩუნდება მყარი სამომხმარებლო მოთხოვნა; და ბოლოს, ეს ისეთი ფასებია, რომლის არსებობის დროსაც „ფულმა იცის თავისი ადგილი“,

ემსახურება საგადასახადო ბრუნვას და არ იძენს ტირანულ ძალაუფლებას ადამიანებზე.

ფასების კანონის, ე. ი. არსებითად ღირებულების კანონის გაგება, როგორც სახალხო მეურნეობის პროპორციულობის გამოხატულებისა, იყო სრულიად ახალი და გაბედული აზრი. ამასთანაა დაკავშირებული ბუაგილბერის სხვა ძირითადი თეორიული იდეები. ფასების აღნიშნული განსჯის დროს, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა გზით შეიძლება ეკონომიკაში „ოპტიმალური ფასების" უზრუნველყოფა? ბუაგილბერის აზრით, ფასების ასეთი სტრუქტურა ჩამოყალიბდება სტიქიურად, კონკურენციის თავისუფლების პირობებში

იგი კონკურენციის თავისუფლების მთავარ დარღვევას კონკრეტულად ხედავდა ხორბალზე მაქსიმალური ფასების დაწესებაში. ბუაგილბერი ფიქრობდა, მაქსიმალური ფასების გაუქმებით ხორბალზე გაიზრდებოდა საბაზრო ფასი, რაც გაზრდიდა გლეხების შემოსავალს და მათ მოთხოვნას სამრეწველო ნაწარმზე, შემდგომ კი გაიზრდებოდა ასეთი ნაწარმის წარმოება და ა. შ. ასეთი ჯაჭვური რეაქცია უზრუნველყოფდა ერთდროულად საერთო „პროპორციული ფასების" დადგენასაც და მეურნეობის აყვავებასაც.

დღემდე მიმდინარეობს კამათი — ვის ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „Laisser faire, laissez passer", რომელიც მოგვიანებით გახდა თავისუფალი ვაჭრობისა და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის ლოზუნგი და ამით პოლიტიკურ ეკონომიაში კლასიკური სკოლის პრინციპი. ამ გამოთქმის თავისუფალი თარგმანი შეიძლება ასე გადმოვცეთ: „მიუშვით (ადამიანები), აკეთონ თავიანთი საქმე, მიუშვით (საქმეები), იარონ თავიანთი გზით". არსებობს შეხედულება, რომ პირველი ნაწილი ეხება წარმოების თავისუფლებას, მეორე კი ვაჭრობის თავისუფლებას. ამ გამოთქმას მთლიანად თუ ნაწილობრივ მიაწერენ ხან ლუდოვიკო XIV-ის დროინდელ მსხვილ ვაჭარს ფრანსუა ლეჟანდრს, ხან მარკიზ დ' არჟანსონს (XVIII ს-ის 30-იანი წლები), ხან ტიურგოს მეგობარს, ვაჭრობის ინტენდანტს ვენსან გურნეს. თუ ბუაგილბერს არ ეკუთვნის ეს გამოთქმა, მან მაინც გარკვეულად გამოსახა მასში ჩაქსოვილი იდეა. იგი წერდა: „ბუნება მხოლოდ მიუშვით იმოქმედოს"...

როგორც მარქსი აღნიშნავდა, ბუაგილბერი ცნებაში — „Laisser faire, laissez, passer" — ჯერ კიდევ ვერ ხედავდა კაპიტალისტ-მეწარმის იმ ეგოისტურ ინდივიდუალიზმს, რაც მასში მოგვიანებით ჩააქსოვეს. მისთვის „ამ მოძღვრებას აქვს კიდევ რაღაც ადამიანური და მნიშვნელოვანი: ადამიანური, ძველი სახელმწიფოს მეურნეობის საპირისპიროდ, რომელიც ისწრაფვოდა, თავისი სალარო შეევსო არაბუნებრივი საშუალებებით; მნიშვნელოვანი, როგორც ბურჟუაზიული ცხოვრების განთავისუფლების პირველი ცდა

ის უნდა გაეთავისუფლებინათ, რათა ეჩვენებინათ, თუ რას წარმოადგენდა იგი"[1].

ამასთან ერთად ბუაგილბერი არ უარყოფდა სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს, რადგან მისი დონის რეალისტისა და პრაქტიკოსისათვის ეს წარმოუდგენელი იყო. იგი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო, განსაკუთრებით გონივრული საგადასახადო პოლიტიკის დახმარებით, ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მოხმარებისა და მოთხოვნის მაღალ დონეს. ბუაგილბერს ესმოდა, რომ საქონლის გასაღება და წარმოება აუცილებლად შეჩერდება, თუ შენელდება სამომხმარებლო ხარჯების ნაკადი და არ შენელდება, თუკი ღარიბები მეტს გამოიმუშავებენ და ნაკლებს გადაიხდიან გადასახადების სახით, რადგან მათ აქვთ მიდრეკილება, ჩქარა დახარჯონ თავიანთი შემოსავალი. მდიდრებს კი პირიქით, აქვთ მიდრეკილება, დაზოგონ შემოსავალი და ამით ამწვავებენ პროდუქციის გასაღების სიძნელეებს.

ბუაგილბერის მსჯელობის ასეთი მსვლელობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური აზრის განვითარების თვალსაზრისით მომდევნო საუკუნეებში. ისტორიულად ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში ჩამოყალიბდა ორი პრინციპული პოზიცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებისა და სიმდიდრის ზრდის მთავარი ფაქტორების შესახებ. პირველი პოზიციის მიხედვით წარმოების ზრდა განისაზღვრება მხოლოდ დაგროვების (ე. ი. დანაზოგებისა და კაპიტალდაბანდებების მიხედვით) მოცულობით. რაც შეეხება გადახდისუნარიან მოთხოვნას, ეს „თავისთავად დაერთვის". ამ კონცეფციის შემდგომი ლოგიკური დაბოლოებაა საერთო ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების უარყოფა. მეორე პოზიცია ყურადღებას ამახვილებს სამომხმარებლო მოთხოვნაზე როგორც წარმოების ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნების ფაქტორზე. მისი წინამორბედი, გარკვეული აზრით, იყო ბუაგილბერი. ასეთი მსჯელობა, პირიქით, კანონზომიერად უკავშირდებოდა ეკონომიკური კრიზისების პრობლემას.

მართალია, ბუაგილბერი „კრიზისებს" (უფრო სწორად, კრიზისის მსგავს მოვლენებს, რომლითაც ხასიათდება კაპიტალიზმის განვითარების უფრო გვიანი სტადია) უკავშირებდა არა იმდენად მეურნეობის შინაგან კანონზომიერებებს, რამდენადაც ცუდ სახელმწიფო პოლიტიკას. ეს შეიძლება ასეც გავიგოთ: კარგი პოლიტიკა ქმნის მოთხოვნის უკმარისობისა და კრიზისების თავიდან აცილების შესაძლებლობას. ამ საკითხზე ბუაგილბერის შეხედულებების დაუსრულებლობამ და წინააღმდეგობრიობამ ეკონომიკური აზრის სხვადასხვა ისტორიკოსს ბუაგილბერის როლის საპირისპირო შეფასების მიცემის შესაძლებლობა შეუქმნა. ფრანგი ანრი დენი წერს, რომ ბუაგილბე-

[1] K. Marx, F. Engels. Historisch- kritische Gesamtausgabe. Werke, Schriften, Briefe, Moskau, 1931, Abt. 1, Band 3, S. 575.

რის კონცეფცია საბოლოო ანგარიშით თავისუფალი კონკურენციის პირობებში კრიზისების შეუძლებლობას აღიარებს, და ამიტომ იგი „ამზადებს“ (თუ უკვე არ შეიცავს) ცნობილ „ბაზრების კანონს“, რომელსაც მიაწერენ ჟან ბატისტ სეის და რომლის თანახმადაც პროდუქტების თავისუფალ გაცვლაზე დაფუძნებულ სისტემაში არასოდეს არ შეიძლება იყოს პროდუქტების ჭარბწარმოება“[1]. შუმპეტერი, პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბუაგილბერის სამომხმარებლო მოთხოვნის უკმარისობისა და დაზოგვის სიჭარბეში ხედავდა კაპიტალისტური ეკონომიკის სტაბილურობის საფრთხეს და კრიზისების მიზეზს, რის გამოც იგი „სეის კანონის“ კრიტიკოსების, კერძოდ კეინსის წინამორბედია[2].

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ბუაგილბერმა თავის მთავარ თეორიულ ნაშრომში — „მსჯელობა სიმდიდრის, ფულის და ხარკის ბუნების შესახებ“ — ნათლად და მხატვრულად გვიჩვენა, რა ხდება ეკონომიკური კრიზისის დროს. ადამიანები შეიძლება დაიხოცნონ არა მარტო დოვლათის უკმარისობის, არამედ მისი სიჭარბითაც! წარმოიდგინეთ, ამბობდა იგი, 10 ან 12 ადამიანი მიჯაჭვული ერთმანეთისაგან მოშორებით. ერთს აქვს ბევრი საჭმელი, მაგრამ მეტი არაფერი; მეორეს ჭარბი ტანსაცმელი, მესამეს — სასმელი და ა. შ. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ერთმანეთს შორის აწარმოონ გაცვლა: ჯაჭვები — ეს გარეგანი, ადამიანებისათვის გაურკვეველი ეკონომიკური ძალებია, რომლებიც კრიზისებს იწვევენ. სიუხვის არსებობისას დაღუპვის ასეთი სურათი იწვევს მოგონებებს XX საუკუნის ფაქტებიდან: რძე გადაღვრილი ზღვაში, სიმინდი დამწვარი ორთქლმავლის საქვაბეებში — და ეს მაშინ, როცა ირგვლივ უმუშევრობა და სიღატაკეა.

როგორც თეორიაში, ისე პოლიტიკაში ბუაგილბერის პოზიცია განსხვავდება მერკანტილისტების შეხედულებებისაგან და ბევრ რამეში მათ წინააღმდეგაა მიმართული. იგი ცდილობდა ეძებნა ეკონომიკური კანონზომიერებანი არა მიმოქცევის სფეროში, არამედ წარმოების სფეროში და ეკონომიკის პირველ საფუძვლად სოფლის მეურნეობას თვლიდა. იგი უარს ამბობდა, ქვეყნის სიმდიდრე დაენახა ფულში და ცდილობდა ბოლო მოეღო მისი საზოგადოებრივი აღიარებისათვის, ფულს უპირისპირებდა რეალურ სიმდიდრეს საქონელთა მასის სახით. და ბოლოს, ბუაგილბერის მიერ ეკონომიკური თავისუფლებისათვის მხარდაჭერა პირდაპირ ნიშნავდა მერკანტილიზმთან კავშირის გაწყვეტას.

ბუაგილბერი და ფრანგული პოლიტიკური ეკონომია

ჰუმანიზმი ბუაგილბერის შეხედულებების ნათელი და მიმზიდველი თვისებაა. მაგრამ ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით

[1] H. Denis. Histoire de la pensée économique P., 1967, p. 151.
[2] A. Schumpeter. History of Economic Analysis, p. 285—287.

„გლეხმოყვარეობას“ ჰქონდა თავისი მეორე მხარე. ბევრ რამეში იგი წინ კი არა, უკან იყურებოდა — ჯეროვნად ვერ აფასებდა მრეწველობისა და ვაჭრობის როლს და აიდიალებდა გლეხურ მეურნეობას. ეს გავლენას ახდენდა მის შეხედულებებზე ძირეული ეკონომიკური საკითხების შესახებ.

ძიებები ბუაგილბერის პოზიციისა, რომელნიც შესამჩნევად განასხვავებს მას პეტისაგან, უნდა ვეძებოთ საფრანგეთის კაპიტალიზმის განვითარების ისტორიულ თავისებურებებში. საფრანგეთში სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზია სუსტი იყო, კაპიტალისტური ურთიერთობა უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისში, სადაც იგი უკვე სოფლის მეურნეობაშიც დამკვიდრდა. ინგლისის ეკონომიკას მნიშვნელოვნად ახასიათებდა შრომის დანაწილება, კონკურენცია, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მობილურობა. ინგლისში პოლიტიკური ეკონომია ვითარდებოდა, როგორც შეხედულებათა წმინდა ბურჟუაზიული სისტემა, საფრანგეთში კი მას უმეტესად წვრილბურჟუაზიული ხასიათი ჰქონდა.

ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომლის სათავეებთან დგას პეტი, მეცნიერული ანალიზის ცენტრში დააყენა ორი მნიშვნელოვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხი: რა არის საქონლის ფასების ძირითადი საფუძველი? საიდან ჩნდება კაპიტალისტების მოგება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელი იყო ღირებულების ბუნების გამოკვლევა. შრომითი ღირებულების თეორია ინგლისელი ეკონომისტების აზროვნების კანონზომიერი საფუძველი გახდა. ისინი ავითარებდნენ ამ თეორიას და თანდათან უახლოვდებოდნენ განსხვავების გაგებას, სხვადასხვა სახმარი ღირებულების შემქმნელ კონკრეტულ შრომასა და აბსტრაქტულ შრომას შორის რომ არსებობს, რომელიც მოკლებულია თვისებრივ მახასიათებლებს და აქვს მხოლოდ ერთი პარამეტრი — ხანგრძლივობა, რაოდენობა. მარქსამდე ეს განსხვავება არასოდეს ყოფილა გამოვლენილი და ფორმულირებული, მაგრამ მასთან მიახლოვება გარკვეულად ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაა პეტიდან რიკარდომდე.

ღირებულების კანონი — აი მისი კვლევის ნამდვილი საგანი. მაგრამ როგორც მარქსი აღნიშნავს, „ღირებულების კანონი თავისი სრული განვითარებისათვის გულისხმობს მსხვილი სამრეწველო წარმოებისა და თავისუფალი კონკურენციის მქონე საზოგადოებას, ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას“[1]. ინგლისისაგან განსხვავებით ასეთი საზოგადოება დიდი დაგვიანებით ვითარდებოდა საფრანგეთში. ამან თეორეტიკოსებისათვის გაართულა ღირებულების კანონის მოქმედებაზე დაკვირვება და მისი გაგება.

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 66.

მართალია, ბუაგილბერს თავისი „პროპორციული ფასების“ თეორიის საშუალებით „თუმცა არა შეგნებულად, საქონელთა საცვლელი ღირებულება ფაქტობრივად სამუშაო დროზე დაყავს“[1]. მაგრამ იგი შორს იყო შრომის ორადი ბუნების გაგებისაგან და ამის გამო საერთოდ უგულებელყოფდა სიმდიდრის ღირებულებით მხარეს, სწორედ რომელშიც ხორციელდება საყოველთაო აბსტრაქტული შრომა. სიმდიდრეში იგი ხედავდა მხოლოდ ნივთობრივ მხარეს, განიხილავდა მას როგორც სასარგებლო დოვლათის, სახმარი ღირებულების მასას.

ბუაგილბერის აზროვნების ეს შეზღუდულობა განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება ფულზე მის შეხედულებებში. იგი არ ითვალისწინებს, რომ საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს ღირებულების კანონი, საქონელი და ფული განუყოფელი მთლიანობებია. სწორედ ფულში, საცვლელი ღირებულების ამ აბსოლუტურ მატარებელში, გამოიხატება სრულად აბსტრაქტული შრომა. ბუაგილბერი ფანატიკურად ებრძვის ფულს, უპირისპირებს მას საქონელს — მისი გაგებით უბრალო სასარგებლო დოვლათს. რამდენადაც ფული თავისთავად არ წარმოადგენს მოხმარების საგანს, მას იგი მიაჩნია რაღაც გარეშედ და ხელოვნურად. ფული იძენს არაბუნებრივ ტირანულ ძალაუფლებას, და ესაა ეკონომიკური გაჭირვების მიზეზი. თავის „მსჯელობას სიმდიდრის ბუნების შესახებ“ იგი იწყებს ფულზე უმოწყალო თავდასხმით: „გულთა უზნეობამ გადააქცია ოქრო და ვერცხლი... კერპად... ღმერთებად, რომელთაც სწირავდნენ და სწირავენ მსხვერპლად უფრო მეტ დოვლათს, ფასეულობას და ადამიანებსაც კი, ვიდრე სიბნელით მოცული ძველი ეპოქა ოდესმე სწირავდა იმ ღმერთებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია იქცნენ ხალხების უდიდესი ნაწილის ერთადერთ კულტად და რელიგიად“.[2]

ფულის ბატონობისაგან კაპიტალისტური წარმოების განთავისუფლების უტოპიური მისწრაფება მისი საფუძვლების შეუცვლელად, მარქსის გამოთქმით, იყო ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის „ეროვნული მემკვიდრეობითი სნეულება“ დაწყებული ბუაგილბერიდან დამთავრებული პრუდონით.

ბუაგილბერმა ვერ შეძლო ჩასწვდომოდა კლასობრივ, ექსპლოატატორულ ბუნებას ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომელიც მის დროს ის-ის იყო ყალიბდებოდა ფეოდალური წყობილების წიაღში. მაგრამ იგი მკვეთრად აკრიტიკებდა ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას, ჩაგვრას, ძალადობას: ბუაგილბერი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი მათ შორის, რომელთა თხზულებანი დაღუპვას უმზადებდა „ძველ წესრიგს“, გზას უკაფავდა რევოლუციას.

---

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 57.
2 Economistes financiers du XVIII-e siècle“, publ. par E. Daire. P., 1843, p. 394—395.

მეხუთე თავი

ჯონ ლო — ავანტიურისტი და ფინანსწარმეტყველი

ლოს ხახელი კარგადაა ცნობილი. სახელგანთქმული შოტლანდიელის პირველი ბიოგრაფია მისსავე სიცოცხლეში გამოიცა. საფრანგეთში „ლოს სისტემის“ კრახის შემდეგ მასზე წერდნენ თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. XVIII საუკუნის არცერთ პოლიტიკურ ავტორს დუმილით არ აუვლია გვერდი ლოსათვის.

XIX საუკუნეში თანამედროვე ბანკების შექმნითა და კრედიტისა და საბირჟო სპეკულაციის დიდი განვითარებით წარმოიქმნა ინტერესთა ახალი ტალღა კრედიტის ამ მგზნებარე მოციქულის საქმიანობისა და იდეების შესახებ. მას უკვე უყურებდნენ არა როგორც მხოლოდ ავანტიურისტს, არამედ როგორც მსხვილ ეკონომისტსაც.

XX საუკუნემ — „ინფლაციის საუკუნემ“ ეს შესანიშნავი პიროვნება ახალი სახით წარუდგინა თანამედროვეებს. ჯონ ლო იმედოვნებდა კრედიტისა და ქაღალდის ფულის სიუხვით ეკონომიკაში შეენარჩუნებინა მუდმივი აყვავება. იგივე იდეა (რა თქმა უნდა, ახალი ფორმით) საფუძვლად უდევს თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ანტიკრიზისულ პოლიტიკას. ბურჟუაზიული მეცნიერები ლოსა და კეინსს შორის პოულობენ პირდაპირ, რაღაც მისტიკურ მსგავსებას. „ლორისტონელ ჯონ ლოს (1671 — 1729 წწ.), საფრანგეთის ფინანსების გენერალურ კონტროლიორსა... და ჯონ მეინერდ კეინსს შორის პარალელი ისე ღრმაა და მათი პირადი ცხოვრების ასპექტების თართოდ ამსახველი ისეთ მხარეებსაც კი მოიცავს, რომ ზოგიერთ სპირიტუალისტს კეინსში შეეძლო ეპოვა ლოს გარდასახვა ორი საუკუნის შემდეგ“[1].

აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში ლოს შესახებ გამოცემული ზოგიერთი წიგნის სათაური: „ინფლაციის მამა“, „კრედიტის ჯადოქარი“, „ბანკირი ლოს არაჩვეულებრივი ცხოვრება“. ამასთან ერთად მან საპატიო ადგილი დაიკავა ეკონომიკური აზრის ისტორიის სქელ ტომებში.

---

1 F. Zweig. Economic Ideas. A Study in Historical Perspectives. N. Y, 1950, p. 87.

ჯონ ლო დაიბადა 1671 წელს შოტლანდიის დედაქალაქში — ედინ-ბურგში. მისი მამა ოქრომჭედელი იყო და ასევე ფულს სარგებლით ასესხებდა. 1683 წ. მან იყიდა მცირე მამული — ლორისტონი, რითაც აზნაური გახდა. ფულის, კარგი გარეგნობისა და მანერების მქონე ჯონ ლომ ადრე დაიწყო ბანქოს მოთამაშისა და დუელის მოყვარული ადამიანის ცხოვრება. 20 წლის ლომ, მისი ერთ-ერთი ამხანაგის სიტყვით, ჩათვალა, რომ (იგი „ძალიან კარგად იცნობდა გარყვნილების ყველა სახეს") ედინბურგი მეტისმეტად პროვინციულია მისთვის და ლონდონს გაემგზავრა.

ლონდონში ახალგაზრდა შოტლანდიელი მალე ცნობილი გახდა Beau Law-ს (ლამაზი ლოს ანუ ფრანტი ლოს) მეტსახელით. 1694 წელს მან დუელში მოკლა კაცი, რაც სასამართლომ მკვლელობად ჩათვალა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ვიღაც გავლენიანი პირების გამოქომაგების წყალობით მეფე ვილჰელმ III-მ შოტლანდიელი შეიწყალა, მაგრამ მოკლულის ნათესავებმა მის წინააღმდეგ ახალი პროცესი წამოიწყეს. ლო არ დაელოდა საქმის დაბოლოებას და მეგობრების დახმარებით ციხიდან გაიქცა — 30 ფუტის სიმაღლიდან გადმოხტომისას ფეხი იღრძო. ერთი გზა დარჩა — გაქცეულიყო საზღვარგარეთ, და მან ჰოლანდია ირჩია.

სამი წლის განმავლობაში, რომელიც ლომ ლონდონში გაატარა, იგი ტრიალებდა არამარტო მოქეიფეებისა და ქალების საზოგადოებაში: თავისი გვარიანი პრაქტიკული განათლებით, ანგარიშის უნარით და ფულადი საქმეებიდან სარგებლობიანობის მიღების ნიჭით, ახლო ნაცნობობა დაამყარა ფინანსისტ საქმოსნებთან, რომელნიც ლონდონში ჰარბად იყვნენ 1688—1689 წწ. რევოლუციის შემდეგ. რამდენიმე წლის შემდეგ დაარსდა ინგლისური ბანკი, რაც ინგლისის კაპიტალიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

ლო საბანკო საქმის რომანტიკოსი იყო. ეს ამჟამად საკმაოდ უცნაურად ეღერს: ბანკი და რომანტიკა! მაგრამ იმ დროს, კაპიტალისტური კრედიტის განვითარების გარიჟრაჟზე მისი შეხედულებები ბევრს მიუღწევლად და სასწაულებრივად ეჩვენებოდა. თავის თხზულებებში ხშირად ლო საბანკო დაწესებულებების და კრედიტის განვითარებას ტყუილად კი არ ადარებდა „ინდოეთის აღმოჩენას", ე. ი. ინდოეთისა და ამერიკის საზღვაო გზას, საიდანაც ევროპაში მოედინებოდა ძვირფასი ლითონები და იშვიათი საქონელი. კრედიტის ჯერ კიდევ გამოუცდელმა ძალამ ჯონ ლოს სახით იპოვა თავისი თაყვანისმცემელი, პოეტი, წინასწარმეტყველი.

ჰოლანდიაში ლო ბეჯითად სწავლობს იმდროინდელ ევროპაში ყველაზე სოლიდურ და მსხვილ ამსტერდამის ბანკს. 1699 წ. ლო პა-

რიზშია. აქედან იგი ძიემგზავრება იტალიაში და თან მიყავს ახალგაზრდა გათხოვილი ქალი, წარმოშობით ინგლისელი — კეტრინ სენიორი. შემდგომ იგი მუდამ თან ახლავს მას ყველა მოგზაურობაში. ახალი ტიპის ბანკის შექმნის იდეით შეპყრობილი ლო 1704 წელს ჩადის შოტლანდიაში, თავისი იდეის განსახორციელებლად.

ქვეყანა ეკონომიკური სიძნელეების მარწუხებშია. ვაჭრობა ერთ ადგილზეა გაყინული, ქალაქებში უმუშევრობაა, მეწარმული სული დათრგუნულია. მით უკეთესი! ლო ამ სიძნელეების გადაჭრის თავის პროექტს გადმოსცემს წიგნში, რომელიც 1705 წელს ედინბურგში გამოვიდა სათაურით: „ფული და ვაჭრობა განხილული ერის ფულით უზრუნველყოფის წინადადებებთან დაკავშირებით“. რამდენადმე ფართო გაგებით ლო არ იყო თეორეტიკოსი. მისი ეკონომიკური ინტერესები თითქმის არ შორდება ფულისა და კრედიტის პრობლემების საზღვარს, მაგრამ გატაცებით იცავდა საკუთარ პროექტს და მან ამ პრობლემაზე გამოთქვა მოსაზრებანი, რომელთაც თავისი როლი შეასრულეს ეკონომიკურ მეცნიერებაში.

„ეს იყო სისტემის ადამიანი“ — რამდენიმეჯერ იმეორებს სენ-სიმონი, რომელმაც ლოს პიროვნებაზე მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა. ლო, რომელმაც მიაგნო თავისი სისტემის ძირითად დებულებებს, ურყევი შეუდრეკელობით და თანამიმდევრობით ქადაგებდა და ახორციელებდა მათ.

ლო ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური გაფურჩქვნის გასაღებია ქვეყანაში ფულის სიჭარბე: მაგრამ იგი თვ-თ ფულს არ თვლიდა სიმდიდრედ, რადგან ჩინებულად ესმოდა, რომ ჭეშმარიტი სიმდიდრე — ეს არის საქონელი, საწარმოები, ვაჭრობა. თუმცა ფულის სიჭარბე, მისი აზრით, უზრუნველყოფს მიწის, სამუშაო ძალის, სამეწარმეო ტალანტის სრულად გამოყენებას.

იგი წერდა: „შინავაჭრობა არის ადამიანთა საქმიანობა და საქონელთა გაცვლა... შინავაჭრობა დამოკიდებულია ფულზე. მისი დიდი რაოდენობა უფრო მეტ ადამიანებს ასაქმებს, ვიდრე მისი მცირე რაოდენობა. კარგ კანონებს შეუძლია ფულადი მიმოქცევის ისე სრულყოფა, რომ შესაძლებელი იქნეს მისი წარმართვა ქვეყნისათვის ყველაზე ხელსაყრელი დარგებისაკენ. მაგრამ ვერავითარი კანონი ვერ უზრუნველყოფს ადამიანებს სამუშაოთი, თუ მიმოქცევაში არ არის ფულის ის რაოდენობა, რაც საკმაო იქნება ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის ხელფასით გასასტუმრებლად“[1].

ლო შესამჩნევად განსხვავდება ძველი მერკანტილისტებისავან: თუმცა ისიც ეკონომიკური განვითარების ზამბარას მიმოქცევის სფეროში ეძებს, მაგრამ სრულიადაც არ ასხამს ქება-დიდებას ლითონის

[1] J. Law. Oeuvres complètes, publ. paz. P. Hazsin. t. 1. P., 1934, p. 14—16.

ფულს. პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს ჩამოაშოროს მას შარავანდედი. 200 წლის შემდეგ კეინსი ოქროს ფულს „ბარბაროსულ გადმონაშთს“ უწოდებს: სავსებით შესაძლებელია ეს ეთქვა ლოს. ფული უნდა იყოს არა ლითონისა, არამედ საკრედიტო, რომელსაც შექმნის ბანკი მეურნეობის საჭიროების შესაბამისად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — ქაღალდისა. „ბანკების გამოყენება ფულის რაოდენობის გადიდების საუკეთესო საშუალებაა, რაც აქამდე გამოუყენებელია“[1].

ლოს სისტემა გვირგვინდებოდა კიდევ ორი პრინციპით, რომელთა მნიშვნელობასაც ძნელია მივცეთ სათანადო შეფასება: პირველი, ბანკებისათვის იგი ითვალისწინებდა საკრედიტო ექსპანსიის პოლიტიკას, ე. ი. ბანკში შენახული ლითონის ფულის მარაგზე რამდენიმეჯერ მეტი სესხის ბიცემას; მეორე, იგი მოითხოვდა, რომ ბანკი ყოფილიყო სახელმწიფოსი და გახეხორციელებინა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

ეს მოითხოვს მცირე განმარტებას, მით უმეტეს, რომ მსგავსი პრობლემები — სხვა პირობებში და სხვა ფორმებში — თავის აქტუალობას ინარჩუნებენ დღესაც. წარმოიდგინეთ, რომ ბანკის მფლობელებმა თავიანთი კაპიტალის სახით შეიტანეს 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქროთი. გარდა ამისა, მათ მიიღეს 1 მილიონის ანაბრები ოქროთი. ბანკი ბეჭდავს ერთი მილიონის ბანკნოტებს და ამით იძლევა სესხს. ადამიანებისათვის, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენა აქვთ ბუხჰალტერიაზე, ნათელია, რომ ბანკის ბალანსი ასეთი იქნება.

აქტივი		პასივი	
ოქრო 2 მლნ.		საკუთარი კაპიტალი	1 მლნ.
სესხი 1 მლნ.		ანაბრები	1 მლნ.
		ბანკნოტები	1 მლნ.
სულ 3 მლნ.		სულ	3 მლნ.

რა თქმა უნდა, ასეთი ბანკი სრულიად საიმედო იქნება, რადგან მისი ოქროს ფონდი მთლიანად დაფარავს ანაბრებს და ბანკნოტებს, რომლებიც ყოველ მომენტში შეიძლება წარუდგინონ ბანკს გასანაღდებლად. მაგრამ ლო, არცთუ უსაფუძვლოდ, აყენებს კითხვას — რა სარგებლობა აქვს ასეთ ბანკს? რა თქმა უნდა, გარკვეული სარგებლობა ექნება: იგი აადვილებს ანგარიშსწორებას, ოქროს იცავს დანაკარგებისა და ცვეთისაგან, მაგრამ შეუდარებლად მეტი იქნება სარგებლობა, თუ ბანკი გამოუშვებს, დაუშვათ, 10 მილიონის ბანკნოტებს და ამით მოამარაგებს მეურნეობას. მაშინ იქნება ასეთი სურათი

აქტივი		პასივი	
ოქრო 2 მლნ.		საკუთარი კაპიტალი	1 მლნ.
სესხი 10 მლნ.		ანაბრები	1 მლნ.
		ბანკნოტები	10 მლნ.
სულ 12 მლნ.		სულ	12 მლნ.

ასეთი ბანკი იმოქმედებს გარკვეული რისკით: რა მოხდება, თუ დაუშვებთ, რომ ბანკნოტების მფლობელები წარმოუდგენენ ბანკს გადასახურდავებლად 3 მლნ ბანკნოტს?

ბანკი გასკდება, ანუ როგორც ამბობდნენ ლოს დროს და ამბობენ ახლაც, შეწყვეტს განაღდებას. მაგრამ, ლოს აზრით, ეს გამართლებული და აუცილებელი რისკია, უფრო მეტიც, თუ ბანკს მოუხდება რაღაც დროის განმავლობაში შეწყვეტოს განაღდება, ეს არც ისე დიდი უბედურება იქნება.

1 J. Law. Oeuvres complètes, t. 1, p. 46.

ჩვენს მაგალითში ბანკის ოქროს მარაგი შეადგენს გამოშვებული ბანკნოტების ჯამის 20%-ს, რაც კიდევ უფრო შემცირდება, თუ ბანკნოტებს მივუმატებთ ანაბრებსაც. ეს ეგრეთ წოდებული ნაწილობრივი რეზერვის პრინციპია, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ საბანკო საქმეს. ამ პრინციპის წყალობით ბანკებს შეუძლიათ ელასტიკურად გაზარდონ სესხები და შეავსონ მიმოქცევა. კრედიტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაპიტალისტური წარმოების განვითარებაში, და ლო ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ეს განჭვრიტა.

მაგრამ იმავე პრინციპიდან გამომდინარეობს საბანკო სისტემის შერყევის საშიშროება. ბანკებს აქვთ „დაფარვისაკენ", მოგებისათვის თავიანთი სესხების გაბერვისაკენ მიდრეკილება. აქედან წარმოდგება მათი კრახის შესაძლებლობა, რომელსაც ეკონომიკისათვის შეეძლება მეტად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

მეორე საშიშროება, ანუ უფრო სწორად, ამ საშიშროების მეორე ასპექტია ბანკების საოცარი თავისებურებების ექსპლოატაცია სახელმწიფოს მიერ. რა მოხდება, თუკი ბანკი გააფართოებს თავისი ბანკნოტების გამოშვებას არა მეურნეობის ნამდვილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად? სიტყვა ინფლაცია ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული, მაგრამ სწორედ ეს ემუქრებოდა ლოს ბანკს და იმ ქვეყანას, სადაც იგი იმოქმედებდა.

ლო ხედავდა კრედიტის უპირატესობებს, მაგრამ ვერ ხედავდა ან არ უნდოდა დაენახა მისი საშიშროება. ეს იყო მისი სისტემის მთავარი პრაქტიკული სისუსტე, რამაც საბოლოო ანგარიშით დაღუპა იგი. ლოს ძეხედულებების თეორიული მანკიერება იყო ის, რომ კრედიტსა და ფულს გულუბრყვილოდ აიგივებდა კაპიტალთან. იგი ფიქრობდა, რომ სესხების და ფულის გამოშვების გადიდებით ბანკები შექმნიდნენ კაპიტალს და ამით გაიზრდებოდა სიმდიდრე და დასაქმება. მაგრამ არავითარ კრედიტს არ შეუძლია შეცვალოს წარმოების გაფართოებისათვის საჭირო ნამდვილი შრომითი და მატერიალური რესურსები.

საკრედიტო ოპერაციებმა, რომელთაც ლო ითვალისწინებდა თავის პირველ წიგნში და რომლებიც პრაქტიკულად მან გრანდიოზული მასშტაბებით განახორციელა 10—15 წლის შემდეგ, მის სისტემას მისცეს აშკარად ფინანსური ავანტიურიზმის ხასიათი. მარქსი ჯონ ლოს აკუთვნებდა „კრედიტის მთავარ წინასწარმეტყველებს", და სარკასტულად აღნიშნავდა, რომ ასეთ პიროვნებებს „მათთვის დამახასიათებელ სასიამოვნო შერეულ ხასიათს აძლევს, ხასიათს თაღლითისა და წინასწარმეტყველისა"[1].

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 556.

შოტლანდიის პარლამენტმა უარყო ბანკის დაარსების პროექტი. ინგლისის მთავრობამ ორჯერ გადადო ლოს შუამდგომლობა მის მიერ 10 წლის წინ ჩადენილი დანაშაულის პატიების შესახებ. ინგლისისა და შოტლანდიის უნიის (გაერთიანების) აქტის მომზადებასთან დაკავშირებით ლო კვლავ იძულებული გახდა გამგზავრებულიყო კონტინენტზე. ის თითქოს პროფესიული ბანქოს მოთამაშის ცხოვრებით ცხოვრობს, ეწევა ფასიანი ქაღალდების, ძვირფასეულობის, ძველ ხელოვანთა სურათების სპეკულაციას.

მონტესკიე „სპარსულ წერილებში" (1721 წ.) ევროპაში მოგზაური ვინმე სპარსელის ენით გამოთქვამს ასეთ ირონიულ დაკვირვებას: „ევროპაში ბანქოს თამაში დიდ გასავალშია. იყო ბანქოს მოთამაშე — ეს თავისებური საზოგადოებრივი მდგომარეობაა. ეს წოდება ცვლის წარმოშობის კეთილშობილებას, ქონებას, პატიოსნებას, ყველა, ვინც ძას ატარებს, წესიერ ადამიანთა რანგშია".

სწორედ ასეთი გზით შეიქმნა ლომ საზოგადოებრივი მდგომარეობაც და ქონებაც. მისი როგორც ბანქოს მოთამაშის ტალანტის შესახებ გაჩნდა ლეგენდები. გულგრილობას, ვარაუდს, არაჩვეულებრივ მეხსიერებას, და, ბოლოს, იღბალს მოჰქონდა მისთვის დიდი მოგება. როცა ლომ საბოლოოდ გადაწყვიტა პარიზში დარჩენა, მან საფრანგეთში ჩამოიტანა 1600 ათასი ლივრი. მაგრამ პარიზი მას იტაცებდა არა მხოლოდ თამაშითა და სპეკულაციით. ფინანსური კრიზისის გამწვავებასთან ერთად ის სულ უფრო მეტად გრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს აქ ვაინც მოჰკიდებდნენ ხელს მის პროექტს. სახელმწიფოს ხაზინა ცარიელი იყო, სახელმწიფო ვალი — უდიდესი, კრედიტი შერყეული, მეურნეობა ეცემოდა და ჩერდებოდა. ყოველივე ამის გამოსწორებას ლო ვარაუდობდა ბანკნოტების ემისიის უფლების მქონე სახელმწიფო ბანკის შექმნით.

მისი დრო დადგა, როცა 1715 წ. სექტემბერში გარდაიცვალა ლუდოვიკო XIV. უკვე რამდენიმე წელი ლო თანდათან თავის იდეებს უნერგავდა ჰერცოგ ფილიპ ორლეანელს, წინანდელი მეფის ძმისშვილს, ადამიანს, რომელსაც ჰქონდა შანსი, გამხდარიყო ქვეყნის მმართველი ტახტის ძცირეულოვანი შემკვიდრის ასაკოვნებამდე. ფილიპი აღუთქვამდა დახმარებას შოტლანდიელს და როგორც კი ჩამოიშორა რეგენტობის სხვა პრეტენდენტები, აიღო ძალაუფლება, მაშინვე მოიხმო ლო. ნახევარ წელზე მეტი დასჭირდა დაეძლიათ წინააღმდეგობა რეგენტის არისტოკრატი მრჩევლებისა და პარიზის პარლამენტისა, რომელთაც ეშინოდათ რადიკალური ღონისძიებებისა და არ ენდობოდნენ უცხოელს. ლოს მოუხდა უარის თქმა სახელმწიფო ბანკის იდეაზე და დასჯერდა კერძო აქციონერულ ბანკს, თუმცა ეს იყო მხოლოდ

შემოვლითი მანევრი: დასაწყისშივე ბანკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან. 1716 წ. მაისში დაარსებულ საყოველთაო ბანკს თავისი საქმიანობის პირველ ორ წელს გასაოცარი მიღწევა ჰქონდა. ნიჭიერი ადმინისტრატორი, გაქნილი საქმოსანი, გაწაფული პოლიტიკოსი და დიპლომატი ლო რეგენტის მხარდაჭერით მტკიცედ ეუფლებოდა ქვეყნის მთელ ფულად და საკრედიტო სისტემას, საყოველთაო ბანკის ბანკნოტებს, რომელთა გათამაშებას ამ პერიოდში იგი წარმატებით არეგულირებდა — ინერგებოდა მიმოქცევაში და ხშირად ხალისითაც ღებულობდნენ მონეტების საწინააღმდეგოდ: პარიზის მევახშეებთან შედარებით ბანკი სესხს ზომიერი სარგებლით იძლეოდა, ძეგხებულად წარმართავდა მას მრეწველობაში და ვაჭრობაში. სახალხო მეურნეობას გარკვეული გამოცოცხლება დაეტყო.

დიდი კრახი

ლო იყო პატრიოტი არა ქვეყნისა, არამედ თავისი იდეისა. თავდაპირველად იგი ამ იდეას წარუმატებლად სთავაზობდა შოტლანდიას და ინგლისს, სავოის ჰერცოგს და გენუის რესპუბლიკას. და ბოლოს, როცა საფრანგეთმა მიიღო იგი, მან გულწრფელად იგრძნო თავი ფრანგად. დაუყოვნებლივ მიიღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა, ხოლო მოგვიანებით, როცა ეს საჭიროდ ჩათვალა სისტემის წარმატებისათვის, გადავიდა კათოლიკურ სარწმუნოებაზე.

უეჭველია, რომ ლოს ნამდვილად სწამდა თავისი იდეისა და მისი განხორციელებისათვის საფრანგეთში ამ საქმეს შესწირა არა მარტო მთელი თავისი ფული, არამედ სულიც. შეიძლება ვერწმუნოთ სენსიმონს, როცა იგი ლოს შესახებ ამბობს: „მის ხასიათში არ იყო არც სიხარბე და არც თაღლითობა". თაღლითად იგი აქცია მისი სისტემის ულმობელმა ლოგიკამ.

ლოს მიერ რეგენტისადმი 1715 წ. დეკემბერში მიწერილ წერილში, სადაც კიდევ ერთხელ იძლევა თავისი იდეების ახსნას, არის ამოუცნობი ადგილი, რომელიც მისტიფიკაციაში გადადის. „მაგრამ ბანკი — არ არის ერთადერთი და ყველაზე დიდი ჩემი იდეებიდან, მე შევქმნი დაწესებულებას, რომელიც ევროპას გააცებს მის მიერ გამოწვეული ცვლილებებით საფრანგეთის სასარგებლოდ. ეს ცვლილებები იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რაც გამოიწვია ინდოეთის აღმოჩენამ ან კრედიტის შემოღებამ. თქვენს მეფურ უმაღლესობას შეუძლია იხსნას სამეფო იმ სამწუხარო მდგომარეობიდან, სადამდისაც იგი მივიდა და შეიძლება იგი აქციოს უფრო ძლევამოსილად, ვიდრე ოდესმე იყო, დაამყაროს წესრიგი ფინანსებში, გამოაცოცხლოს, მხარი დაუჭიროს და განავითაროს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა"[1].

[1] J. L a w. Oeuvres complètes, t. 2, p. 266.

ორი წლის შემდეგ გაირკვა, თუ რა იმალებოდა ამ ბუნდოვანი დაპირებების მიღმა. 1717 წლის ბოლოს ლომ საფუძველი ჩაუყარა თავის მეორე გიგანტურ საწარმოს — ინდოეთის კომპანიას. რადგანაც იგი თავდაპირველად შეიქმნა იმ დროს საფრანგეთის კუთვნილი მდინარე მისისიპის აუზის ათვისებისათვის, თანამედროვენი მას ხშირად მისისიპის კომპანიას უწოდებდნენ.

გარეგნულად, თითქოს ამაში ახალი ძლიერ ცოტა იყო: ინგლისში, უკვე საუკუნეზე მეტია, აღმავლობას განიცდიდა ოსტ-ინდოეთის კომპანია, მსგავსი საზოგადოება იყო ჰოლანდიაშიც. მაგრამ ლოს კომპანია მათგან განსხვავდებოდა. ეს იყო ვაჭრების ვიწრო წრის გაერთიანება. რომლებიც ინაწილებდნენ პაის. მისისიპის კომპანიის აქციები განკუთვნილი იყო კაპიტალისტთა ნებადარებით ფართო წრისათვის მისაყიდად და ბირჟაზე აქტიური ბრუნვისათვის. კომპანია ძლიერ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან არა მარტო იმ აზრით, რომ იგი სახელმწიფოსაგან ღებულობდა უდიდეს პრივილეგიებს, მონოპოლიას მრავალ დარგში, კომპანიის მმართველობაში თავდაჭერილი შოტლანდიელის გვერდით გამოჭიმული იყო თვით ფილიპ ორლეანელი, საფრანგეთის რეგენტი. კომპანია შეზრდილი იყო საყოველთაო ბანკთან, რომელიც 1719 წლის დასაწყისიდან სახელმწიფოს გადაეცა და მიიღო საძეფო ბანკის სახელწოდება. ბანკი კაპიტალისტებს სესხად აძლევდა ფულს კომპანიის აქციების შესაძენად, აწარმოებდა მათ ფინანსურ საქმეებს. ორივე დაწესებულების მართვის ყველა ძაფი თავს იყრიდა ლოსთან.

ამრიგად, ლოს მეორე „დიადი იდეა" იყო კაპიტალების ცენტრალიზაციის, ასოციაციის იდეა. აქაც შოტლანდიელი კვლავ წინასწარმეტყველად გვევლინება, რომელმაც თავის დროს გაუსწრო. მხოლოდ XIX ს-ის შუა წლებში დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში დაიწყო საააქციო საზოგადოებათა მკვეთრი ზრდა. ამჟამად მათ მოიცვეს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების თითქმის მთელი მეურნეობა, განსაკუთრებით მსხვილი წარმოება. დიდი საწარმოების შექმნა არ ძალუძს ერთ ან რამდენიმე კაპიტალისტსაც კი, როგორადაც მდიდარი არ უნდა იყვნენ ისინი. ამისათვის აუცილებელია რამდენიმე მესაკუთრის კაპიტალის გაერთიანება. რა თქმა უნდა, წვრილი აქციონერები მხოლოდ ფულს იძლევიან და საქმის გაძღოლაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ. რეალური მმართველნი სათავეში მდგომნი არიან, რომელთაც მისისიპის კომპანიაში ლო და რამდენიმე მისი თანამოღვაწე წარმოადგენდა. მარქსი ლაპარაკობს აქციონერულ საზოგადოებათა პროგრესული როლის შესახებ: „ქვეყნიერება ჯერ კიდევ ურკინიგზებოდ იქნებოდა, რომ იგი იძულებული ყოფილიყო იმ დრომდე მოეცადა, ვიდრე დაგროვება ზოგიერთ ცალკეულ კაპიტალს იმდენად გაადიდებდა, რომ რკინიგზების მშენებლობას შეაძლებინებდა. ცენტრალიზაციამ, პირი-

ქით, აქციონერულ საზოგადოებათა საშუალებით, ამას, ასე ვთქვათ, ხელის ერთი დაქნევით მიაღწია"[1].

სააქციო საქმის აუცილებელი თანამგზავრია აჟიოტაჟი და სპეკულაცია აქციების ყიდვა-გაყიდვის დროს. ლოს სისტემამ წარმოშვა ეს აჟიოტაჟი მანამდე არნახული მოცულობით. თავისი არსებობის ერთი წლის შემდეგ, როცა კომპანიამ გაიდგა ფესვები, ლომ დაიწყო გაბედული მოქმედება აქციის კურსის ამაღლებისა და აქციების გასაღების გაფართოებისათვის. დასაწყისისათვის მან „ვადით" იყიდა ორასი 500 ლივრიანი აქცია, რომელიც იმ დროს მხოლოდ 250 ლივრი ღირდა ცალი, ვალდებულება აიღო, ექვსი თვის შემდეგ გადაეხადა თითოეულ აქციაში ნომინალის მიხედვით 500 ლივრი, მიუხედავად მათი ღირებულებისა გადახდის დროისათვის. ამ, როგორც ბევრს ეჩვენებოდა, უაზრო გარიგებაში იმალებოდა დიდი ვარაუდი და იგი გამართლდა. ნახევარი წლის შემდეგ აქციის ფასი რამდენიმეჯერ აღემატებოდა ნომინალს. ლომ უდიდესი მოგება ჩაიდო ჯიბეში.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი: მისთვის კიდევ ერთ ზედმეტ ასი ათასს ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიზანი ის იყო, რომ აქციებისკენ მოეზიდა ყურადღება, დაეინტერესებინა მყიდველები. ამავე დროს, იგი დიდი ინტერესითა და გაქანებით აფართოებდა კომპანიის საქმეებს. ამ მხრივაც წინასწარ განჭვრიტა შორეული მომავალი და შეუხამა რეალური საქმე მარჯვე რეკლამას.

ლომ დაიწყო მისისიპის ხეობის კოლონიზაცია, რომელსაც რეგენტის პატივსაცემად ახალი ორლეანი უწოდა. რადგანაც ნებაყოფლობითი ახალმოშენენი არ იყო საკმარისი, მთავრობამ, კომპანიის თხოვნით, დაიწყო ამერიკაში ქურდების, მაწანწალების, დამნაშავეთა გადასახლება. ამასთან ერთად ლომ მოაწყო ყოველგვარი სახის მოსატყუებელი ცნობების ბეჭდვა და გავრცელება ზღაპრულად მდიდარი მხარის შესახებ, რომელთა მცხოვრებნიც თითქოს აღფრთოვანებულნი ეგებებოდნენ ფრანგებს და მოჰქონდათ მათთვის ოქრო, ძვირფასი ქვები და სხვა სიმდიდრე იაფფასიან სამკაულებზე გადასაცვლელად. იგი იეზუიტებს აგზავნიდა ინდიელებში კათოლიკობის გასავრცელებლად.

ლოს კომპანიამ ჩაყლაპა განადგურების პირას მისული რამდენიმე ფრანგული კოლონიური კომპანია და იქცა ყოვლისშემძლე მონოპოლიად. აძასთან ერთად რამდენიმე ათეული ძველი გემი, რომელიც ძას ჰქონდა, ლოს სიტყვებით და მისი თანაშემწეების კალმით, იქცა უდიდეს ფლოტილიად, რომელთაც საფრანგეთში მოჰქონდათ ვერცხლი და აბრეშუმი, სანელებელი და თამბაქო. თვით საფრანგეთში კომპახიამ მთავრობისაგან მიიღო გადასახადების გამოსყიდვის უფლება და, სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე გაცილებით გონივ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 791.

რულად და ეფექტიანად წარმართა, ვიდრე მისმა მტაცებელმა წინამორბედებმა. საერთოდ, ყოველივე ეს წარმოადგენდა ბრწყინვალე ორგანიზაციის და გაბედული მეწარმეობის უცნაურ ნარევს თავშეუკავებელ ავანტიურიზმთან და პირდაპირ მოტყუებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იხდიდა მეტად მცირე დივიდენდს, მისმა აქციებმა 1719 წლის გაზაფხულიდან საჰაერო ბურთის მსგავსად მაღლა აიწია. მხოლოდ ამას ელოდა ლო. ის მოხერხებულად მართავდა ბაზარს და დაიწყო აქციების ახალი გამოშვება, ყიდიდა მათ სულ უფრო მაღალ ფასებში. აქციებზე მოთხოვნა სჭარბობდა მათ გამოშვებას და ხელმოწერის გამოცხადების დროს კომპანიის კარებთან დღე და ღამე მრავალათასიანი რიგი იდგა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1719 წლის სექტემბერში კომპანია ნომინალით თავის 500 ლივრიან აქციებს კომპანიონებზე ყიდდა 5 ათას ლივრად. გავლენიანი და ცნობილი ადამიანები რიგში კი არ იდგნენ, არამედ ალყაში მოაქციეს თვით ლო და სხვა დირექტორები, რათა აქციებზე ხელი მოეწერათ, რადგან აქცია, რომლის გამოსაშვები ფასი 5 ათასი ლივრი იყო, შეიძლებოდა ხვალ ბაზარზე 7 ან 8 ათასად გაეყიდათ. ადამიანები ცდილობდნენ ლოს კაბინეტში მოხვედრას საკვამლე ბილიდან; ვიღაც მაღალი წრის ქალბატონმა მეეტლეს უბრძანა, ეტლი გადაებრუნებინა ლოს სახლის მახლობლად, რათა მოეტყუებინა უაღრესად ზრდილი კავალერი და აეძულებინა მოესმინა მისი თხოვნა; ლოს მდივანი კი გამდიდრდა მისაღებში მომლოდინე მთხოვნელებისაგან მიღებული ქრთამებით.

რეგენტი ფილიპის დედა, მოხუცი გესლიანი ქალბატონი, რომელმაც გერმანიაში ნათესავებთან მიწერილ წერილებში აღბეჭდა ეს ფანტასტიკური ეპოქა, წერდა: „ლოს დასდევენ ისე, რომ მას მოსვენება არა აქვს არც დღე და არც ღამე. ერთმა ჰერცოგმა ქალმა სახალხოდ დაუკოცნა მას ხელები“.

უფრო უცნაური ამბები ხდებოდა კენკამპუას პატარა ქუჩაზე, სადაც აღმოცენდა და აყვავდა ბირჟა. დილიდან საღამომდე იქ ბორგავდა ბრბო, რომელიც ყიდდა და ყიდულობდა, ევაჭრებოდა და ვარაუდობდა. 500 ლივრიანმა აქციებმა აიწია 10 ათასამდე, შემდეგ 15 ათასამდე და გაჩერდა 20 ათას ლივრზე. სწრაფად იქმნებოდა უდიდესი ქონება; ამ დღეებში აღმოცენდა ამჟამად კარგად ცნობილი სიტყვა „მილიონერი“. გამდიდრების ორგიამ გააერთიანა ყველა ფენა, რომლებიც არსად სხვაგან, თვით ეკლესიაშიც კი არ ერთიანდებოდნენ. მაღალი წრის ქალბატონი და მეეტლე ერთიან საქმეში იყვნენ ჩათრეული, ჰერცოგი ევაჭრებოდა ლაქიას, აბატი თითებს ისველებდა ნერწყვით მედუქნესთან ანგარიშის გასწორების დროს. აქ პატონობდა ერთი ღმერთი — ფული!

აქციებთან დაკავშირებულ ანგარიშსწორების დროს ოქროსა და ვერცხლს უხალისოდ ღებულობდნენ. გაჩაღებული ბუმის მომენტში 10 აქცია ფასით უტოლდებოდა 14 ან 15 ცენტნერ ვერცხლს! თითქმის მთელ გაღასახადებს ბანკნოტებით ახორციელებდნენ. და მთელი ეს ქაღალდის სიმდიდრე — აქციები და ბანკნოტები — შექმნა შოტლანდიელმა ფინანსურმა ჯადოქარმა.

1720 წ. იანვარში ლო ოფიციალურად გახდა ფინანსების გენერალური კონტროლიორი. ფაქტობრივად კი იგი ქვეყნის ფინანსებს უკვე დიდი ხანია მართავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იგრძნო მისმა სისტემამ პირველი მიწისქვეშა ბიძგები.

სად ბანდდებოდა ის დიდი რაოდენობის ფული, რომელსაც კომპანია იღებდა თავისი აქციების გამოშვების გზით? მისი უმნიშვნელო ნაწილი — გემებსა და საქონელში; დიდი რაოდენობა კი სახელმწიფო ვალის ობლიგაციებში. მან გამოისყიდა ობლიგაციები მფლობელებისაგან, ფაქტობრივად თვით იტვირთა მთელი სახელმწიფო ვალი (2 მილიარდი ლივრი). სწორედ ეს იყო ლოს მერ დაპირებული ფინანსების მოწესრიგება. როგორ ხდებოდა კომპანიის სულ ახალი და ახალი აქციების გავრცელება? მხოლოდ იმის წყალობით, რომ ლოს ბანკი ერთდროულად ბეჭდავდა და ბრუნვაში უშვებდა სულ ახალ ასეულ მილიონობით ბანკნოტებს.

ეს წესრიგი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. ლოს ეს არ უნდოდა დაენახა, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი მტრები, არაკეთილისმსურველნი, და საერთოდ შორსმჭვრეტელი სპეკულანტები, ამას უკვე ხედავდხენ. რა თქმა უნდა, ისინი ჩქარობდნენ თავიდან მოეშორებიხათ აქციებიც და ბანკნოტებიც. ლომ ამას უპასუხა აქციების მყარი კურსის შენარჩუნებით და ბანკნოტების ლითონზე გადახურდავების შეზღუდვით. მაგრამ რადგანაც აქციების გასამტკიცებლად საჭირო იყო ფული, ლო მას უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ბეჭდავდა. მრავალრიცხოვანი მითითებები, რომელთაც იგი გამოსცემდა ამ თვეებში, დაბნეულობის კვალს ატარებენ. ლო ჩიხში მოექცა, სისტემა დაიღუპა. 1720 წლის შემოდგომაზე ინფლაციური ქაღალდის ფულად ქცეული ბანკნოტების ფასი ვერცხლით მათი ნომინალური ღირებულების მეოთხედი იყო. ყველა საქონლის ფასი მკვეთრად გაიზარდა. პარიზს არ ყოფნიდა სურსათი, ძლიერდებოდა ხალხის აღშფოთება. ნოემბრიდან ბანკნოტები უკვე აღარ წარმოადგენდნენ გადახდის კანონიერ საშუალებას. დაიწყო სისტემის ლიკვიდაცია.

ამ უკანასკნელ მიჯნაზე ლო განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას. ერთხელ, როცა ცდილობდა თავის დაღწევას გამძვინვარებული ბრბოსაგან, რომელიც მოითხოვდა გაუფასურებული ქაღალდების სრულფასიან ფულზე გადაცვლას, მხოლოდ რეგენტის სახლში დამალვამ გადაარჩინა. ყველა ამჩნევდა, რომ ლო ჩამოხმა, დაკარგა თავისი ჩვეუ-

ლებრივი თავდაჯერებულობა და თავაზიანობა, დაეწყო ნერვული შეტევები.

პარიზს მოედო მრავალი კუპლეტი, ანეკდოტი და კარიკატურა, რომლებიც დასცინოდნენ ლოს და რეგენტსაც. ჰერცოგი ბურბონი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, 25 მლნ. ლივრი იშოვა აქციების სპეკულაციით და დროულად აქცია ის მატერიალურ ფასეულობად, არწმუნებდა ლოს, რომ უკვე აღარ მოელის საშიშროება: პარიზელები არ კლავენ მას, ვისაც დასცინიან. მაგრამ ლოს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა სხვაგვარად და არ გამოჩენილიყო ხალხში საიმედო დაცვის გარეშე, თუმცა მინისტრის პოსტი მას უკვე ჩამორთმეული ჰქონდა. პარიზის პარლამენტი, რომელიც ყოველთვის ოპოზიციაში იყო ლოსთან, მოითხოვდა მის გასამართლებას და ჩამოხრჩობას. ჰერცოგთან დაახლოებულ პირებს კი უნდოდათ უკიდურეს შემთხვევაში იგი ბასტილიაში დაემალათ. ფილიპი მიხვდა, რომ აგზნების რამდენადმე დასამშვიდებლად უმჯობესი იყო დაშორებოდა თავის რჩეულს. მისი უკანასკნელი წყალობა იყო ნებართვა — ლოს დაეტოვებინა საფრანგეთი. 1720 წელს ჯონ ლო ვაჟიშვილთან ერთად პარიზიდან საიდუმლოდ ბრიუსელს გაემგზავრა, პარიზში დატოვა ცოლი, ქალიშვილი და ძმა. მალე მთელ მის ქონებას კრედიტორების დასაკმაყოფილებლად კონფისკაცია უყვეს.

რას ნიშნავდა ლოს სისტემა და მისი კრახი სოციალური თვალსაზრისით? ამაზე კამათობენ უკვე 250 წელია.

XVIII საუკუნეში ლოს ძირითადად ლანძღავდნენ, მაგრამ მასში უფრო მეტი იყო მორალური აღშფოთება, ვიდრე ფხიზელი ანალიზი. გასული საუკუნის შუა ხანებში „საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში“ ლუი ბლანი და მსგავსი მიმართულების სხვა სოციალისტები ლოს აძლევენ რეაბილიტაციას და მას თითქმის სოციალიზმის წინამორბედად წარმოგვიდგენენ. ლუი ბლანის აზრით, ლო თავს ესხმოდა ოქროსა და ვერცხლს, როგორც „მდიდართა ფულს“ და სურდა მიმოქცევა გაევსო „ღარიბების ფულით“ — ქაღალდის ფულით. თავისი ყოვლისშემძველი ბანკითა და სავაჭრო მონოპოლიით ლო თითქმის ცდილობდა ულმობელი კონკურენციის ბურჟუაზიული პრინციპის საპირისპიროდ დაემკვიდრებინა ასოციაციის სოციალისტური პრინციპი. ლუი ბლანი ლოს ზოგიერთ ეკონომიკურ ღონისძიებას ხატავდა მშრომელი ხალხის ცხოვრების შემსუბუქებისაკენ მიმართულ შეგნებულ პოლიტიკად.

ეს ჭეშმარიტებისაგან საკმაოდ შორსაა. იმ სახით, როგორითაც ლოს სურდა დაენერგა ასოციაციის პრინციპი — წმინდა ბურჟუაზიული პრინციპი იყო. ის უპირისპირდება არა კაპიტალიზმს, არამედ ფეოდალიზმს — საზოგადოების წოდებებად დახავსებული დაყოფით, ადამიანების სოციალური მობილურობის უქონლობით. ლოს სურდა

ასოცირება და მართვა თავისი კომპანიის ყოველი აქციონერისა და თავის ბანკის კლიენტებისა — არისტოკრატიისა და ბურჟუაზიისა, ხელოსნებისა და საქმოსნებისა, მაგრამ ასოცირება მათი როგორც კაპიტალისტებისა.

თავისი სისტემით ლო ამტკიცებდა იმას, რაც კაპიტალიზმმა სრულად გახახორციელა მოგვიანებით: „ბურჟუაზიამ უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში.

სადაც კი ბურჟუაზიამ ბატონობას მიაღწია. ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი. მან შეუბრალებლად დაამსხვრია ის მრავალნაირი ფეოდალური ჯაჭვები, რომლებითაც ადამიანი მიბმული იყო თავის „ბუნებრივ მბრძანებელზე". და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ხაღდად გადახდისა".[1]

ამ თვალსაზრისით ლო პროგრესული მოღვაწე იყო, მაგრამ ლო არ იყო ჩაგრული კლასის დამცველი იმ შეზღუდული აზრითაც კი, როგორც ბუაგილბერი. მის თხზულებებში ჩვენ ვერ ვიპოვით ხალხისადმი, გლეხებისადმი იმ გულწრფელ თანაგრძნობას, რაც რუანელს ამშვენებს — ეს შეუთავსებელია ავანტიურისტის, ბანქოს მოთამაშის სპეკულანტის პიროვნებასთან. ლო გამოხატავდა მსხვილი ფულადი ბურჟუაზიის ინტერესებს. მის მეწარმულ სულისკვეთებაზე ამყარებდა იგი თავის იმედებს. ასეთივე იყო მისი პოლიტიკაც. იგი ბოლომდე მფარველობდა თავისი კომპანიის აქციებს, რომლებსაც ფლობდნენ მსხვილი კაპიტალისტები, ბანკნოტები კი, ფართო მასებში გავრცელებული, ბედის ანაბარა მიატოვა.

სისტემამ და მისმა კრახმა გამოიწვია სიმდიდრისა და შემოსავლების მნიშვნელოვანი გადანაწილება. ამან კიდევ უფრო დააკნინა თავადაზნაურობის მდგომარეობა, რომელთაც სპეკულაციაში მონაწილეობის მისაღებად გაყიდეს მამულები და სახლები. რეგენტობის ეპოქის მოვლენებმა დაასუსტა მონარქია.

მეორე მხრივ, ლოს ფინანსური მაგია რისხვად დაატყდა თავს ქალაქის ღარიბ მოსახლეობას, რომელიც ძლიერ იტანჯებოდა სიძვირით. როცა ქაღალდის ფული კანონგარეშედ გამოცხადდა, აღმოჩნდა, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მცირე მოცულობის თანხებად ჰქონდათ ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს, შინამოსამსახურეებს და გლეხებსაც კი.

ლოს სისტემის მნიშვნელოვანი სოციალური შედეგი იყო ნუვორიშების განდიდება, რომლებმაც შეძლეს შეენარჩუნებინათ აულაგმავი სპეკულაციით მოპოვებული სიმდიდრე.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I., თბ., 1963, გვ. 14.

პარიზიდან გაქცევის შემდეგ ლომ რვა წელს იცოცხლა. იგი ღარიბი იყო. მაგრამ არა ისეთი, რომელიც შიმშილით კვდება, არამედ ისეთი, რომელსაც ყოველთვის არა აქვს საკუთარი ეტლი და ქირაობს არა სახლს, არამედ უბრალო ბინას. ის იყო უსახლკარო, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე განდეგილივით და მოხეტიალესავით ცხოვრობდა, ვეღარ იხილა ცოლი (რომელთანაც, სხვათა შორის, ვერ მოასწრო ჯვარი დაეწერა) და ქალიშვილები: მას არ უშვებდნენ საფრანგეთში, ხოლო მათ არ უშვებდნენ იქიდან.

პირველ ხანებში იგი არ კარგავდა დაბრუნების, თავის გამართლების, თავისი საქმიანობის გაგრძელების იმედს — წერილს წერილზე სწერდა რეგენტს, რომლებშიც კვლავ და კვლავ ყველაფერს ხსნიდა და ასაბუთებდა. მისი ეკონომიკური იდეების არსი ძველებური დარჩა, იგი მხოლოდ უფრო ფრთხილ და მოთმინებით მოქმედებას ვარაუდობდა.

1723 წ. ფილიპ ორლეანელი მოულოდნელად გარდაიცვალა. ლოს მთელი იმედები თანამდებობების და ქონების დაბრუნებაზე, ზომიერ პენსიაზეც კი, რომელსაც რეგენტი აძლევდა, ერთბაშად ჩაიშალა. ხელისუფლება ხელში აიღეს ადამიანებმა, რომელთაც მისი სახელის გაგონებაც კი არ უნდოდათ. ლო ამ დროს ლონდონში ცხოვრობდა. ინგლისის მთავრობას იგი საკმაოდ გავლენიან და მოხერხებულ ადამიანად მიაჩნდა იმისათვის, რათა გაეგზავნა რაღაც ნახევრადსაიდუმლო დავალებებით გერმანიაში.

დიდი ფინანსისტისა და ყოვლისშემძლე მინისტრისაგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა — ყბედად ქცეული დაუბოლოებლად ჰყვებოდა თავის საქმიანობაზე, იცავდა თავს, ადანაშაულებდა მტრებს. მსმენელები არ აკლდა: ეგონათ, შოტლანდიელს ჰქონდა რაღაც საიდუმლო, რომელიც ქაღალდს ოქროდ აქცევდა; მრავალი ვარაუდობდა, რომ იგი არც იმდენად უჭკუო იქნებოდა, არ გადაემალა თავისი ქონების ნაწილი საფრანგეთის გარეთ და რაღაცით გამდიდრების იმედი ჰქონდა; უფრო ცრუმორწმუნენი ჯადოქრობასაც მიაწერდნენ.

უკანასკნელი წლები ლომ ვენეციაში გაატარა. თავისუფალ დროს იგი ანდომებდა ბანქოს თამაშს (ამ გატაცებისაგან იგი მხოლოდ სამარემ იხსნა), თავის მრავალრიცხოვან სტუმრებთან საუბარს და სქელტანიან ხაშრომზე — „რეგენტობის დროის ფინანსების ისტორიაზე“ მუშაობას. ამ თხზულებას ლო წერდა შთამომავლობის წინაშე თავინ გამართლების მიზნით. იგი პირველად 200 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. 1728 წ. იგი ინახულა ცნობილმა მონტესკიემ, რომელიც ევროპაში მოგზაურობდა. მას ლო ცოტათი დაუძლურებული დახვდა, მაგრამ ძველებურად მტკიცედ დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომელიც მზად იყო თავისი იდეების დასაცავად. ჯონ ლო გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1729 წ. მარტში.

თანამედროვეებს ეგონათ, რომ ლოს სისტემის საშინელი ექსცესები აღარ განმეორდებოდა. მაგრამ ისინი შეცდნენ. ლოს საწარმოები, რომლებმაც გახაცვიფრეს იმ ეპოქის ადამიანების გონება, ამჟამად ბავშვის სათამაშოდ გვეჩვენება იმასთან შედარებით, რაც კაპიტალიზმმა XIX და XX საუკუნეებში შექმნა.

გასული საუკუნის შუა წლებში ლოს იდეები, მისი საყოველთაო ბახკი და მისისიპის კომპანია თითქოს გაცოცხლდნენ გაქნილი ფინანსისტი ძმების — პერეირების საწარმოში — პარიზის აქციონერულ ბანკ Gredit Mobilier-ში. ნაპოლეონ III ამ სპეკულაციური კოლოსის მიმართ იმავე მფარველისა და ექსპლოატატორის როლს ასრულებდა, რასაც რეგენტი ფილიპი ლოს მიერ დაარსებული დაწესებულებების მიმართ. მარქსი სვამდა კითხვას — ბანკი რა სახსრებს იყენებ!: იმისათვის, რომ „გაამრავლოს თავისი ოპერაციები“ და მთელი საფრანგეთის სამრეწველო განვითარება დაუმორჩილოს საბირჟო თამაშს, იგი პასუხობდა „იმავეს, რითაც სარგებლობდა ლო“.[1] და შემდეგ დაწვრილებით ხსნიდა ამ მსგავსებას. Gredit Mobilier გასკდა საფრანგეთ-პრუსიის ომამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ მან მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულა — დასაბამი მისცა საბანკო სისტემის ახალ ერას — მრეწველობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სპეკულაციური ბანკების შექმნას. მსხვილი სააქციო საზოგადოების განვითარებამ, რომლებმაც გაბატონებული პოზიციები დაიკავეს მრეწველობის მრავალ დარგში, გიგანტური ბანკების ზრდამ და მათმა შერწყმამ სამრეწველო მონოპოლიებთან XIX და XX საუკუნის მიჯნაზე წარმოქმნა ფინანსური კაპიტალი.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, „კონსტრუქციული“ განვითარებაა. რა უნდა ვთქვათ ექსცესების შესახებ? როგორ შეიძლება შეადარო ლოს მისისიპის ავანტიურა იმ გრანდიოზულ აფიორას, რაც XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში წამოიწყო საქმოსანთა ჯგუფმა, პანამის არხის ასაშენებლად 800 ათასი აქციონერისაგან რომ შეაგროვა და გაფლანგა ფული.

როგორ შეიძლება შეადარო ლოს სისტემის კრახი, ვთქვათ ნიუ-იორკის ბირჟის 1929 წლის კრახს, ან ლოს ინფლაცია XX ს-ის „ზეინფლაციას“, როცა ფული (გერმანიაში 20-იან წლებში, საბერძნეთში 40-იან წლებში) მილიონჯერ და მილიარდჯერ გაუფასურდა? ძნელია გააზვიადო ინფლაციის პრობლემის მნიშვნელობა თანამედროვე კაპიტალიზმისათვის. ინფლაცია კაპიტალისტური ეკონომიკის „ნორმა“, მუდმივი დამახასიათებელი ნიშანი გახდა. იგი აძლიერებს სამეურნეო

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 12, стр. 33.

სიძნელეებს, ამწვავებს სოციალურ კონფლიქტებს, ხელს უწყობს საკალუტო კრიზისს. რა თქმა უნდა, თანამედროვე ინფლაცია შეუდარებლად უფრო რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, ვიდრე ჯონ ლოს ქაღალდის ფულის გაუფასურება. თანამედროვე ინფლაცია საერთო სახალხომეურნეობრივი პროცესია, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ქაღალდის ფულის ჭარბ ემისიასთან, მაგრამ სრულიადაც არ ამოიწურება მარტო ამით — ზოგჯერ ეს პროცესი მიმდინარეობს ასეთი ემისიის გარეშეც. მრავალ შემთხვევაში ინფლაციის პირველად ფაქტორად გვევლინება ფასების ზრდა, რომელიც დაკავშირებულია არა უშუალოდ „ფულად" სისტემასთან, არამედ გამოწვეულია სხვა მიზეზებით: მონოპოლიების პოლიტიკით, საქონლის დეფიციტით, გარეშე ეკონომიკური სიტუაციით. მაგრამ შემდგომ ფულადი მასის გადიდება თითქოს „ებჯინება" ფასების გაზრდილ დონეს, უფრო შტაცცეს ხდის მას და შეუძლია თავის მხრივ დააჩქაროს ინფლაცია. როგორც ფულის მასამ, ასევე ფასების დონემ თანამედროვე პირობებში შეიძინა ცალმხრივი ელასტიკურობა: ისინი არასოდეს არ მცირდება, — მხოლოდ იზრდება. ეს კანონზომიერება უკვე ლოს სისტემაში ჩაისახა.

ლოს, როგორც მდიდარი წარმოსახვის უნარის, დიდი გაქანებისა და ეხერგიის მქონე ფინანსური საქმოსნის პიროვნება, ისტორიაში მრავალჯერ „განმეორდა". კაპიტალიზმი მოითხოვდა ასეთ ადამიანებს და შობდა მათ — ესენია ისააკ პერეიერის ან ჯონ პირპონტ მორგანის მსგავსად რეალური სახეები და ლიტერატურული გმირები: ზოლას რომახის „ფულის" გმირის, ბირჟის მაგნატის საკარის, დრაიზერის ფინანსისტი კაუპერვუდის სახით...

ლოს ფინანსურმა პრაქტიკამ და იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მეცხიერებაში ლოს რამდენადმე პირდაპირ მიმდევრებს 100 და 200 წლის ცდაც კი მოუხდათ. და თუ XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველი ხახევრის კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია თავის ბრწყინვალე განვითარებაში მნიშვნელოვნად ჩამოშორდა ლოს იდეებს, როგორც საშიშ და მავნე ერესს, ამ ერესის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი როლი შეასრულა კეინსის, ტიურგოს, სმიტის, რიკარდოს ჩამოყალიბებაში. მარქსი, როცა აანალიზებდა ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას, შენიშნავდა: „ფიზიოკრატიის წარმოშობა დაკავშირებული იყო როგორც კოლბერტიზმის წინააღმდეგ მიმართულ ოპოზიციასთან, ისე, განსაკუთრებით, ლოს სისტემის სკანდალურ კრახთან".[1]

კლასიკოსების მიერ ლოს კრიტიკა პროგრესული იყო და სწორი მიმართულება ჰქონდა. ეს იყო ნაწილი მათი ბრძოლისა მერკანტილი-

---

1 კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 34.

ზმის წიხააღმდეგ, რომელთანაც ბევრი რამ საერთო ჰქონდა ლოს. რა თქმა უნდა, ლო უკვე მკვეთრად განსხვავდება იმ პრიმიტიული მერკანტილისტებისაგან, რომელთაც ყველა ეკონომიკური პრობლემა ფულამდე და სავაჭრო ბალანსამდე დაყავდათ. იგი ფულს ძირითადად იხილავდა, როგორც ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედების იარაღს. მაგრამ ამავე დროს, არ შორდებოდა მიმოქცევის ზედაპირულ სფეროს და არც კი ცდილობდა ჩასწვდომოდა კაპიტალისტური წარმოების რთულ ახატომიას და ფიზიოლოგიას. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიზანი კი სწორედ ეს იყო.

ლო ეყრდნობოდა ფულად ფაქტორებს და, ბუნებრივია, თავის იმედებს სახელმწიფოს უკავშირებდა. თავდაპირველად მას სურდა ჰქოხოდა სახელმწიფო ბანკი, და მხოლოდ დროებითმა სიძნელეებმა აიძულეს იგი, თავდაპირველად დათანხმებოდა კერძო ბანკზე, მისი სავაჭრო ძოხოპოლია სახელმწიფოს თავისებური დანამატი იყო.

ლო თავის კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკაში არ იყო თანამიმდევრული: იგი მეურნეობის შემზღუდველი ერთი რიგის რეგლამენტაციის ღონისძიებებს აუქმებდა და იქვე შემოჰქონდა მეორე რიგისა. ძისი ძოღვაწეობა მინისტრის პოსტზე არ ჰგავდა მისგან ნახევარი საუკუხით დაშორებული ტიურგოს მოღვაწეობას, რის შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი. ლო ეყრდნობოდა ფეოდალურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს და სწორედ ეკონომიკაში ამ სახელმწიფოს უხეში და დაძაძძიმებელი ჩარევის წინააღმდეგ იბრძოდნენ ფიზიოკრატებიც და სძიტიც. ამ ძბრივ მათთან გაცილებით ახლოს იყო ბუაგილბერი, ვიდრე ლო.

მაგრამ კლასიკოსები უარყოფდნენ კრედიტის კაპიტალშემოქმედ კონცეფციას, რომელიც წამოაყენა ლომ და მის პრაქტიკაში დანერგვას ცდილობდა. მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს ნამდვილად ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც კრედიტი ასრულებს წარმოების განვითარებაში. როგორც იტყვიან, წყალი გადაღვარეს და ბავშვიც თან გადააყოლეს... შეიძლება ითქვას, რომ ლოს შეხედულებები კრედიტზე უფრო საინტერესოა, ვიდრე რიკარდოსი, თუმცა მთლიანად ლოს შედარება შეუძლებელია კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უდიდეს წარმომადგენელთან.

ლოს არ სწამდა „ბუნებრივი წესრიგის“ წინასწარ დაწესებული ჰარმონია, laissez faire-ს ყოვლისშემძლეობა. მან ამაშიც გამოაევლინა დიდი ალღო. კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გამწვავება აიძულებდა ბურჟუაზიულ მეცნიერებას, გადაესინჯა თავისი ლოსადმი დამოკიდებულება. ლუი ბლანისა და ისაკ პერეირის დროს მისი რეაბილიტაცია არ იყო უკანასკნელი. მის რეაბილიტაციას, რა თქმა უნდა, სხვა პოზიციებიდან ახორციელებენ კეინსის მიმდევრები, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგები.

ლოს მთავარი იდეა — ეკონომიკაზე საკრედიტო-ფინანსური სფეროს საშუალებით ზემოქმედება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა — ხშირად ზედმიწევნით დროული იყო.

აშშ-ში კაპიტალისტური კომპანიებისა და ცალკეული პირების გადასახადების განაკვეთების შეცვლა შეიძლება მხოლოდ კონგრესის სანქციით. ეს ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ღონისძიებაა, რომელიც ზღუდავს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მთავრობის ახლანდელი ეკონომიკური მრჩევლები ასეთი წესის წინააღმდეგ კბილებს ილესავენ: გადასახადებით მანევრირება თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის არსენალის მნიშვნელოვანი იარაღია და მათ სურთ, იგი ჰქონდეთ თავიანთ სრულ განკარგულებაში. აქ გვახსენდება ლო, რომელიც აღტაცებული იყო იმით, თუ რა ადვილად წყდებოდა საკითხები იმდროინდელ საფრანგეთში: „ეს ბედნიერი ქვეყანაა, სადაც მოცემული ღონისძიება შეიძლება განიხილოს, გადაწყდეს და შესრულდეს 24 საათში და არა 24 წელიწადში, როგორც ინგლისში ხდება". მას არ აშფოთებდა ის, რომ საფრანგეთი იყო დესპოტური მონარქია და ძხოლოდ ამ მიზეზის გამო იყო საქმე ამგვარად.

ლოს იდეა ფულის სიუხვისა და ინფლაციის სასიკეთო როლზე სხვადასხვა ვარიანტებში ხელახლა გამოაცოცხლა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. „ზომიერ ინფლაციაში" ისინი ეძებენ ეკონომიკური კრიზისებისაგან, უმუშევრობისაგან, მეურნეობის შეჩერებისაგან ხსნას. მაგრამ ეს პოლიტიკა, თუ მას ცხოვრებაში ატარებენ, წარმოშობს უმწვავეს პრობლემებს და კონფლიქტებს. ეკონომისტის პროფესია დასავლეთში — ეს ექიმის პროფესიაა ავადმყოფი კაპიტალიზმის საწოლთან. უკეთეს შემთხვევაში ზოგჯერ ექიმები აღწევენ ავადმყოფობის სიმპტომების შესუსტებას.

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების საშუალებებისა და მეთოდების საკითხებმა ახლებური სიმძაფრე შეიძინა. აღმოჩნდა, რომ ინფლაცია უმუშევრობისა და მრეწველობის დაუტვირთაობის წინააღმდეგ ცუდი წამალია. გამომჟღავნდა კეინსისა და მისი მიმდევრების რეცეპტით განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის არაეფექტურობა. ახლანდელ „ექიმებს" შორის კიდევ უფრო ნაკლებია აზრთა ერთიანობა, ვიდრე ჩვეულებრივ. ისინი მოითხოვენ სახელმწიფო ჩარევის შემცირებას, ფართო გასაქანს კაპიტალისტური ეკონომიკის სტიქიური ძალებისათვის. მეორენი დაჟინებით მოითხოვენ უფრო თანამიმდევრულ და მოქნილ რეგულირებას ფიხახსენის, კრედიტის და ფულის მეშვეობით. და ბოლოს, მესამენი ამბობენ, რომ შველა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს პირდაპირ და მკაცრ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის საკვანძო სფეროებზე, „პროგრამებისა" და „გეგმების" დანერგვას. მაგრამ კაპიტალისტებს არ უყვართ, როცა სახელმწიფო მეტისმეტად ერევა მათს

საქმეებში, ისინი თავიანთი მოქმედებით ზღუდავენ ყველა პროგრამას და „გეგმას“. თანამედროვე კაპიტალიზმს არ შეუძლია არსებობა სახელმწიფო რეგულირების გარეშე, მაგრამ ეს რეგულირება მუდმივად კონფლიქტშია კაპიტალიზმის საფუძველთან — წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებასთან.

მეექვსე თავი

პოსოშკოვი და ეკონომიკური მეცნიერების დასაწყისი რუსეთში

როგორც დასავლეთ ევროპაში, ეკონომიკური აზრი რუსეთში საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა მხოლოდ რელიგიურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ თხზულებათა ჩარჩოებში და დამოუკიდებლად არ ფუნქციობდა. ეკონომიკური მეცნიერების აღმოცენება დაკავშირებულია სამეურნეო ურთიერთობების ანალიზთან და მათი განვითარების კანონების გამოკვლევის ცდებთან. ა. ი. პაშკოვის ავტორიტეტული შეხედულებით, „ეკონომიკური მეცნიერების დასაწყისის, ეკონომიკური ცხოვრების მოვლენების, მისი კანონზომიერებების არსის ახსნის პირველი ცდები რუსეთში იყო უკვე XVIII საუკუნეში...“[1]

პეტრე პირველის ეპოქა, დიად გარდაქმნათა და მსოფლიო არენაზე რუსეთის გასვლის ეპოქა, კანონზომიერად გახდა რუსული ეკონომიკური მეცნიერების ფორმირების ხანა.

ისტორია ისეთნაირად წარიმართა, რომ ევროპის აღმოსავლეთის საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობდა დასავლეთთან შედარებით ჩამორჩენით. XVIII ს. კაპიტალიზმი რუსეთში მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. სოფლის მეურნეობაში თითქმის განუყოფლად ბატონობდა ბატონყმური შრომა და მრეწველობაშიც კი ნებით დაქირავებული შრომა იშვიათობას წარმოადგენდა. ბატონყმობა მთავარი სოციალური რეალობა იყო. მხოლოდ საუკუნის ბოლოს გახდა შესამჩნევი პროტესტები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბატონყმობის წინააღმდეგ.

დასავლეთი ევროპისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური აზრის მთავარი მიმართულებანი რუსეთში დიდი თავისებურებებითა და განსხვავებით ვითარდებოდა. დასავლეთის იდეების გავლენა ეხამება ეროვნულ ტრადიციებს. XVIII ს. რუსულ ლიტერატურაში ბევრი თვალსაჩინო თავისებურებაა, განუმეორებელი სინატიფეა. მის ენასა და ორთოგრაფიას ჯერ კიდევ შუა საუკუნეების კვალი ამჩნევია, მაგრამ ახალი იდეები გამოხატულია ეპოქის საუკეთესო თხზულებებში

[1] История русской экономической мысли, том I, часть первая. 1955, стр. 16.

ისეთივე გამბედაობითა და ორიგინალურობით, როგორითაც ძეფე გარდაძქმნელის სახელგანთქმულ ბრძანებულებებში.

პეტრე I და რუსული მერკანტილიზმი

XVIII ს. პირველმა მეოთხედმა ჩაიარა პეტრე პირველის უზარმაზარი პიროვნების მოღვაწეობის ნიშნით. რეფორმები რუსეთში ზემოდან, თვითმპყრობელური მონარქიის ძალაუფლების მიერ ყველაზე უხეში იძულების გამოყენებით ტარდებოდა. როგორც პუშკინი წერდა, პეტრეს ბრძანებულებები... „ხშირად სასტიკია, თავნება და, გეგონება, მათრახითაა დაწერილი“.

XVIII ს. რუსული სახელმწიფო იყო მებატონე თავად-აზნაურთა კლასობრივი სახელმწიფო და პეტრეს მოღვაწეობა მიმართული იყო მათი ძალაუფლების განმტკიცებისაკენ. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს პეტრე უკეთ ხედავდა, ვიდრე თვით თავადაზნაურობა. ჩამორჩენილობა და კარჩაკეტილობა რუსეთს სუსტ ქვეყნად აქცევდა და რა სახარბიელოა მონარქისა და თავადაზნაურობისათვის სუსტ ქვეყანაში ბატონობა? თავადაზნაურული მონარქიის განმტკიცება ახალ ისტორიულ ვითარებაში შეუძლებელი იყო ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის, საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარების გარეშე. ამიტომ პეტრეს მოღვაწეობა ისტორიულად პროგრესული იყო.

პეტრეს მეფობის დროს დაარსდა დაახლოებით 200 ახალი სამრეწველო საწარმო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეტალურგიის, სხვადასხვა სახეობის იარაღის წარმოების, საფეიქრო და ქაღალდის მრეწველობის განვითარებას. მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდა მრეწველებსა და ვაჭრებს, აძლევდა პრივილეგიებსა და სესხებს. ასეთ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი და მართებული ეკონომიკური პოლიტიკა იყო მ ერ კ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი. თვით მეფის ბრძანებულებებსა და დოკუმენტებში, მის თანამოღვაწეთა ზოგიერთ თხზულებაში ამ პოლიტიკამ გარკვეული თეორიული დასაბუთება პოვა. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი ცხოვრების გაცხოველება გამოიხატა იმით, რომ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებისაგან შორს დგანან, წერენ მთავრობისათვის სხვადასხვა ეკონომიკურ პროგრამებსა და პროექტებს. მათშიც ჩვენ ვნახულობთ არგუმენტაციას მერკანტილისტური პოლიტიკის სასარგებლოდ და ამასთან ერთად ეკონომიკური ანალიზის ჩანასახს.

პეტრე პირველის ეკონომიკური პოლიტიკა შეიცავდა შემდეგ მთავარ მიმართულებებს: სახელმწიფო ეკონომიკური ფუნქციების მკვეთრი გადიდება, ეკონომიკური ცხოვრების ცენტრალიზაცია და რეგლამენტაცია; მრეწველობის, ტრანსპორტის, შინავაჭრობის გაძლიერებული განვითარება; შემამულური მიწათმფლობელობის განმტკიცება

და სოფლის მეურნეობის განვითარება ბატონყმობის ჩარჩოებში; პროტექციონიზმი საგარეო ვაჭრობაში და საკუთარი საზღვაო ფლოტის შექმნა; სწრაფვა აქტიური სავაჭრო ბალანსისაკენ და ქვეყანაში ძვირფასი ლითონების მოზიდვა.

პეტრე შეგნებულად და თანმიმდევრულად ესწრაფვოდა რუსეთის დაახლოებას დასავლეთ ევროპასთან. ბუნებრივია, იგი ატარებდა „ევროპული ტიპის" ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს იყო მომწიფებული მერკანტილიზმის პოლიტიკა, რასაც მარქსი მანუფაქტურულს ანუ კომერციულ სისტემას უწოდებდა.

მაგრამ ზოგიერთი ძირითადი პრინციპის ერთიანობისას მერკანტილიზმი თითოეულ ქვეყანაში სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდებოდა. ეს შით უფრო ეხება რუსეთს, სადაც დასავლეთი ევროპისაგან უფრო ძლიერ განსხვავებული პირობები იყო, ვიდრე დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებს შორის.

კაპიტალიზმის განვითარება, რაც პეტრეს რეფორმებისა და პოლიტიკის ობიექტურად გარდუვალი შედეგი იყო, მიმდინარეობდა თავისებურ ფორმებში, ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა შენარჩუნებით. თვით გარდაქმნათა ტემპი და ამოცანათა მასშტაბი უკარნახებდა მას უკიდურესად მკვეთრ და სასტიკ ზომებს. რუსულ მერკანტილიზმში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის პრობლემებს. რუსეთში თითქმის არ არსებობდა ხელოსნობის ამქრული სისტემა და იგი ვერ განვითარდა, თუმცა პეტრე ცდილობდა დაენერგა ამ დარგში ზოგიერთი ევროპული წესი.

რუსეთის ევროპიზაცია პეტრეს დროს მეტისმეტად ზეღაპირული, ცალმხრივი იყო. ბევრად უფრო ადვილი იყო თავებზე შეპუდრული პარიკების დახურვა, ვიდრე ამ თავების იძულება — ახლებურად ეფიქრათ. ხალხის ცხოვრება და ხალხური აზროვნება ინარჩუნებდა საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ფორმებს. ამ ორი საწყისის, ძველისა და ახლის შეტაკებიდან დაიბადა პოსოშკოვის, დიდი მოაზროვნისა და პეტრეს ეპოქის ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტის თავისებური შემოქმედება.

პოსოშკოვის ცხოვრება

პოსოშკოვის ხასიათსა და მოღვაწეობაში არის ზოგი რამ მისი დასავლეთელი თანამედროვეებისა — პეტისა და ბუაგილბერის—მსგავსი. ჩვენ აქაც საქმე გვაქვს შეუპოვარ პროექტიორთან, ეკონომიკური რეფორმების მთხზველთან, რომლის იდეებიც არ აწყობს მქონებელთა ხელისუფლებას და ქაღალდზე რჩება. ყოველივე ეს ხდება იმდროინდელი რუსული ცხოვრების ჩამორჩენილობისა და სისასტიკის პირობებში.

ივანე ტიხონის ძე პოსოშკოვის დაბადების თარიღი ზუსტად არაა

ცნობილი — იგი დიდხანს მეცნიერული ძიებისა და დისკუსიის საგანი იყო. ამჟამად დამტკიცებულად ითვლება, რომ იგი დაიბადა 1652 წ. მოსკოვის ახლოს სამეფო (ე. ი. რომანოვების ოჯახის კუთვნილ) სოფელ პოკროვსკოე-რუბცოვოში, რომელიც ამჟამად ქალაქის ფარგლებშია მოქცეული, მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი გლეხური წარმოშობის იყო, მაგრამ უკვე მისი ბაბუა და მამა მიწას კი აღარ ხნავდნენ, არამედ საიუვილერიო ხელოსნობას მისდევდნენ, სამეფო კარის შეკვეთებს ასრულებდნენ და ღალას უხდიდნენ მეფეს. პოსოშკოვის ბავშვობასა და სწავლაზე არაფერია ცნობილი. უეჭველია, რომ იგი გაიზარდა და ცხოვრობდა რუს მდაბიო სალხში, უმთავრესად მოსკოველ ხელოსნებს, ვაჭრებსა და წვრილ ჩინოვნიკებს შორის. საზღვარგარეთ არ ყოფილა და, ალბათ, არ იცოდა უცხო ენები.

პოსოშკოვი მრავალმხრივი ტალანტით იყო დაჯილდოებული: დაოსტატებული ხელოსანი და გამომგონებელი (გააუმჯობესა ცეცხლსასროლი იარაღი და ფულის საჭრელი დაზგა); გერგილიანი და თავისის გამტანი „ბიზნესმენი"; საღმრთო რჯულის დიდი მცოდნე; რაც მთავარია, ბრწყინვალე პუბლიცისტი, სავაჭრო-სამრეწველო წოდების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ბრწყინვალე გამომხატველი, ლიტერატურული სიტყვის ოსტატი — ეს მისი უკანასკნელი ნიჭი გამომჟღავნდა, როცა იგი უკვე დაახლოებით ორმოცდაათი წლის იყო და დაადგროვა ცხოვრების დიდი და მკაცრი გამოცდილება.

ჩვენ გვაქვს პოსოშკოვზე ბიოგრაფიული მონაცემების ორი მთავარი წყარო: საკუთარი თხზულებანი და სამძებრო (საიდუმლო პოლიციური) საქმე, რომელშიც იგი „გაება" თავისი ცოდნისმოყვარეობისა და ლიტერატურული გამბედაობის წყალობით. რუსი მოაზროვნის ლიტერატურულ-მეცნიერული ბიოგრაფია იწყება და მთავრდება საპატიმროს ჯურღმულით.

XVII ს. 90-იან წლებში ივანე პოსოშკოვი შეძლებული და მეცნიერული ნიჭის მქონე ხელოსანი ანდრეევსკის მონასტრის (ამჟამად, აგრეთვე, ქალაქის ფარგლებშია ლენინის მთების ფერდობზე, მდ. მოსკოვთან) წინამძღვრის ბრძენი მოხუცი აბრაამის ხშირი სტუმარი ხდება. ნაცნობობა, ჩანს, დაიწყო იმით, რომ აბრაამმა, რომელიც ერთ დროს ახლოს იდგა ახალგაზრდა პეტრესთან, პოსოშკოვს შეუკვეთა ფულის მოსაჭრელი დაზგის მოდელი მეფისათვის მისართმევად. აბრაამის ირგვლივ იკრიბებოდა წიგნიერთა წრე — მოსკოვის უწყებების მოსამსახურეები (საშუალო დონის ჩინოვნიკები) და მოქალაქენი, სადაც იხილებოდა პოლიტიკური მოვლენები. აბრაამსა და მის მეგობრებს ბევრი რამ არ მოსწონდათ პეტრეს მოქმედებაში. ეს ოპოზიცია მხოლოდ ნაწილობრივ იყო მიმართული პეტრეს სიახლეების წინააღმდეგ, ნაწილობრივ — „უხამსი გართობებისათვის" მფლანგველობის წინააღმდეგ, ჩინოვნიკების მზარდი მექრთამეობის, სასამართლოებში უსამართლობის

წინააღმდეგ. 1696 წ. ბოლოს აბრაამმა პეტრეს წარუდგინა გაბედული წერილი, რომელშიც იგი ამხელდა ამ და მრავალ სხვა უწესრიგობას და თავად მეფის საქციელსაც კი აკრიტიკებდა. მალე იგი დააპატიმრეს და დაკითხვის დროს აწამეს, რათა დაესახელებინა თანამოაზრენი. სწორედ აქ წარმოითქვა ივანე პოსოშკოვის და მისი ძმის სახელები რამდენიმე სხვა სახელთან ერთად.

ივანე პოსოშკოვი საქმეში ჩაითრიეს, მაგრამ მან. ეტყობა მოახერხა თავის მართლება და გამომძიებლების დარწმუნება თავის უდანაშაულობაში. როგორც ბიოგრაფები ფიქრობენ, პოსოშკოვი შეეძლო ეხსნა აგრეთვე იმას, რომ პეტრე მას პირადად იცნობდა როგორც საუცხოო ხელოსანს და გამომგონებელს[1]. ყოველ შემთხვევაში აბრაამი და მონასტრის საუბრების სხვა მონაწილენი გადასახლებით დაისაჯნენ.

აბრაამის წერე გახდა პოსოშკოვისთვის თავისებური პოლიტიკური და ლიტერატურული სკოლა. მალე იგი გამოვიდა თავისი პირველი თხზულებებით, რომელთაც ჰქონდათ „საინიციატივო მოხსენებითი ბარათების“ ფორმა მთავრობისადმი და წერილებისა — ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი.

ფულის შესახებ პოსოშკოვის ბარათმა, რომელიც 1699 თუ 1700 წ. გაიგზავნა, ჩვენამდე ვერ მოაღწია, ხოლო მისი პირველი ცნობილი თხზულებაა „მოხსენება საბრძოლო ქცევაზე“ (1700 წ.). როგორც ბიოგრაფი შენიშნავს, „სამხედრო მწერლებს უკვირთ პოსოშკოვის აზრები სამხედრო საქმის შესახებ... რომლებითაც მან ბევრით გაუსწრო თავის დროს“[2]. იგი, კერძოდ, წინაალმდეგი იყო ქვეითი ჯარის საბრძოლო მოქმედებისა მჭიდროდ შეკრული წყობით და გამოთქვამდა აზრს, ჯარისკაცებში აღეზარდათ ცალკეული მოქმედების ჩვევები გაფანტულ მწყობრში.

1704 წლიდან შემორჩა დოკუმენტი, სადაც პოსოშკოვი ითვლება საჭურვლის პალატის ფულის ხელოსნად. იგი ერთდროულად მისდევს მეწარმეობას: ცდილობს მოაწყოს გოგირდის სარეწი (შეეცალთან დაწყებული ომი მოითხოვდა გოგირდს დენთის საწარმოებლად), ცდილობს, მიიღოს სათამაშო კარტების ფაბრიკის გახსნის ნებართვა და მათი გაყიდვის იჯარა. მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ამ საქმიანობას არ მოჰყოლია.

სახელმწიფო სამსახურის ხაზით პოსოშკოვი საჭურვლის პალატიდან გადადის „სასმელების ოსტატად“ (სპირტიანი სასმელების წარმოება სახელმწიფო მონოპოლია იყო). 1710 წ. იგი ინიშნება სასმელების ოსტატად ნოვგოროდში. ამას წინ უძღოდა მორიგი უსიამოვნება: როცა მან ორი წლით ადრე შეიტანა წერილობითი თხოვნა მოსკოვიდან გა-

---

[1] იხ. Б. Б. Кафенгауз, И. Т. Посошков, Жизнь и деятельность, М., 1950, стр. 34—35.

[2] Н. П. Павлов — Сильванский, Посошков, Русский биографический словарь, т. 14. СПб., 1905, стр. 618.

დაყვანის შესახებ, თავადმა ა. დ. მენშიკოვმა გაუგებრობით თუ ცრუ დაბეზღებით დაადო რეზოლუცია, რომელშიც პოსოშკოვი იყო დახასიათებული როგორც ქურდი. მაგრამ საქმე მის სასარგებლოდ გაირკვა.

ნოვგოროდში ცხოვრებისას პოსოშკოვმა წამოიწყო კერძო ვაჭრობა და სარეწაო საქმიანობა. მან იყიდა მიწის რამდენიმე ნაკვეთი მათზე დასახლებულ გლეხებიანად და, ამრიგად, თვით გახდა მემამულე და ყმების მფლობელი. მას აქონდა აგრეთვე სახლები ნოვგოროდსა და პეტერბურგში. სიცოცხლის ბოლოს პოსოშკოვის ქონება რამდენიმე ათას მანეთად ფასდებოდა. თუმცა სიკვდილის შემდეგ დარჩა მას, აგრეთვე ვადასახადების ნაწილი ხაზინის მიმართ და კერძო ვალები.

მწერლობა პოსოშკოვის გატაცება იყო. 1709 წ. მან დაასრულა დიდი თხზულება სათაურით: „სარკე ნათელი", მიძღვნილი სახელმწიფო მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვისადმი, სტაროვერების წინააღმდეგ, აგრეთვე, „ლუთერანული ერესის" მხილებისადმი. პოსოშკოვი თავისი ეპოქის კაცი იყო და რჯულშემწყნარებლობა სრულიად უცხო იყო მისთვის. ერეტიკოსების მიმართ იგი მოითხოვდა ყველაზე მკაცრ სასჯელებს, თვით დაწვამდე. პოსოშკოვის თხზულება, რომელშიც მან გამოავლინა ღვთისმეტყველების და რელიგიის ისტორიის ღრმა ცოდნა, საეკლესიო წრეებმა შეამჩნიეს, მაგრამ შემდეგში სრულიად დავიწყეს. მისი პირველი პუბლიკაცია 1863 წ. განხორციელდა.

1719 წლისათვის პოსოშკოვმა დაწერა მეორე ვრცელი თხზულება — „მამობრივი ანდერძი საკუთარი ვაჟიშვილისადმი" (გამოქვეყნდა 1873 წ.). იგი მორალურ-ეთიკური ნორმების გადმოცემა და დასაბუთებაა, რაც ქრისტიანული რელიგიიდან და მართლმადიდებლობის ტრადიციებიდან გამომდინარეობს. მაგრამ „თანამედროვეობა მასში აისახება მძაფრად და ცოცხლად და ამ მხრივ „მამობრივი ანდერძი" წარმოადგენს ძვირფას მასალას XVII ს. და XVIII ს. დასაწყისის საზოგადოების დახასიათებისათვის"[1]. გზადაგზა უნდა შევნიშნოთ, რომ პოსოშკოვის თხზულება ქმნის მნიშვნელოვან ეტაპს რუსული ლიტერატურული ენის განვითარებაში და ახლაც იქცევს ფილოლოგებისა და ლინგვისტების დაჟინებულ ყურადღებას.

„ანდერძი" განკუთვნილი იყო, რასაკვირველია, ფართო მკითხველისათვის, მაგრამ პოსოშკოვს ამ დროს ნამდვილად ჰყავდა ათი წლის ვაჟიშვილი. მას ჰყავდა აგრეთვე ქალიშვილი, რომელიც 1725 წ. მეორედ დაქორწინდა. ამ ქორწინებასთან იყო დაკავშირებული პოსოშკოვის მძიმე ცხოვრების უკანასკნელი მწარე განცდები. რადგან სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე სიძემ მას პეტროპავლოვსკის ციხეში ხუნდებდადებულს, თითქმის მთელი უძრავი ქონება სასამართ-

[1] Русский биографический словарь, т. 14, стр. 610.

ლონ შეშვებით ჩამოართვა. ქვრივი მეუღლე დიდხანს და უშედეგოდ სწერდა საჩივრებს ხელისუფალთ.

პოსოშკოვის ტრაგიკული დასასრული საიდუმლოებითაა მოცული. დააძთავრა თუ არა „ანდერძი", მოხუცი (იგი 70 წლის იყო) ჩაუჯდა ახალ ნაბეჭდ ტომას და წერს „წიგნს სიღარიბისა და სიმდიდრის შესახებ"—ენციკლოპედიურ თხზულებას პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სამართალზე, საეხეკლესიო საქმესა და რელიგიაზე, რომელიც აჯამებს მთელ მის ცხოვრებას. მას იგი 1724 წ. თებერვალში ამთავრებს და უგზავნის იმპერატორ პეტრე პირველს. მაგრამ პოსოშკოვის ხელნაწერი ალბათ არ მივიდა პეტრემდე, რომელიც 1725 წ. იანვარში გარდაიცვალა.

იმავე წლის ზაფხულში პოსოშკოვი ცოლითა და ვაჟიშვილით ნოვგოროდიდან პეტერბურგში ჩამოვიდა საფეიქრო ფაბრიკის გახსნაზე ნებართვის მისაღებად. აქ იგი მოულოდნელად დაეპატიმრეს, პეტროპავლოვსკის ციხეში ჩასვეს და 1726 წ. თებერვალში გარდაიცვალა საპატიმროში, 73 წლისა.

შემონახული დოკუმენტები შესაძლებლობას არ იძლევა ზუსტად დადგინდეს დაპატიმრებისა და დაკითხვების ნამდვილი მიზეზები. საიდუმლო კანცელარიის ერთ-ერთ ქაღალდში ლაპარაკია მხოლოდ, რომ „ვაჭარი ივანე პოსოშკოვი დაკავებულია მნიშვნელოვანი საიდუმლო სახელმწიფო საქმის გამო"[1]. ბ. ბ. კაფენჰაუზი ანალიზს უკეთებს ყველა არსებულ მასალას, 1725—1726 წწ. ისტორიულ ვითარებას და მიდის დასკვნამდე, რომ პოსოშკოვი „გააბეს" ნოვგოროდელი არქიეპისკოპოსის ფეოდოს იანოვსკის საქმეში, რომელსაც ბრალად დაედო იმპერატრიცა ეკატერინეს (პეტრეს ქვრივის) შეურაცხყოფა და სხვა დანაშაულობები. ამ საქმის გამო ერთ-ერთ დაკავებულს ჰკითხეს — აქვს თუ არა მას პასოშკოვის წიგნი შერისხული ფეოდოსის ბიბლიოთეკიდან. გაბედულ წიგნს, გარკვეული თვალთახედვით წაკითხულს, სავსებით შეეძლო გაეძლიერებინა ხელისუფალთა ეჭვები, რომლებიც ამის გარეშეც საქმეში ჩახედულნი იყვნენ პოსოშკოვის ნაცნობობაში არქიეპისკოპოსთან. აზრი, რომ საბოლოო ჯამში პოსოშკოვი დაისაჯა თავისი წიგნისათვის, გამოითქვა ადრეც მისი შემოქმედების თითქმის ყველა რუსი მკვლევრის მიერ.

სიღარიბე და სიმდიდრე

რუსული პოლიტიკური ეკონომია პეტროპავლოვსკის ციხეში იწყება. როგორც ვხედავთ, იგი იქვე გრძელდება: ამ ბნელეთით მოცულ ციხეში იყვნენ თავისუფლების მოყვარე რადიშჩევიც, დეკაბრისტების ბელადი პესტელიც, რევოლუციურად მოაზროვნე ჩერნიშევსკიც. დეკაბრისტი ნიკოლოზ ტურგენევი და ა. ი. გერცენი აქ არ მოხ-

[1] Б. Б. Кафенгауз, указ. соч., стр. 137.

ვდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცარიზმს არ შეეძლო ემიგრაციიდან მათი ჩამოყვანა.

პოსოშკოვის წიგნის უკვე პირველი პუბლიკაციისას (1842 წ.), ყურადღება მიიპყრო მისი სათაურის მსგავსებამ ადამ სმიტის განთქმული წიგნის სათაურთან — „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და ძიზეზების შესახებ". ერთი მხრივ, ეს შემთხვევითი არაა: ორივე შემთხვევაში მოკლედ გამოხატულია პოლიტიკური ეკონომიის მთავარი პრობლემა: როგორია „სიმდიდრის ზრდის", საწარმოო ძალთა განვითარების საზოგადოებრივი მექანიზმი. მეორე მხრივ, გულუბრყვილობა იქნება ამ მიზეზით პოსოშკოვში დავინახოთ სმიტის წინამორბედი ან თანამოაზრე. სმიტი იყო ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დამაარსებელი, რუსეთში კი ჯერ კიდევ საერთოდ არ იყო აუცილებელი წანამძღვრები მისი ფორმირებისათვის.

პოსოშკოვს განზრახული ჰქონდა წიგნისათვის წაემძღვარებინა „მოხსენება" — პირადი მიმართვა პეტრე პირველისადმი, სადაც გადმოცემული იქნებოდა მისი მთავარი მიზანი — აეხსნა, „რისგან წარმოსდგება უბადრუკი სიღარიბე და რისაგან შეიძლება გამრავლდეს უსვი სიმდიდრე"[1] და როგორ უზრუნველყოთ სახელმწიფოს აყვავება. პოსოშკოვმა იცოდა მმართველთა ინტერესები და დასავლეთელ პროექტიორთა მსგავსად თავისი პროგრამის განხორციელების უშუალო და სწრაფ რეზულტატად ვარაუდობდა სახელმწიფო შემოსავლების გადიდებას. ბოლოს იგი წინასწარმეტყველურად წერს, რომ ეშინია „მოიულე და შურიანი ადამიანებისა" და „უსამართლობის მოყვარულთა", რომელთა ხელშიც შეიძლება მოხვდეს მისი მართალი წიგნი და მეფეს სთხოვს დაცვას.

რა რეფორმებს სთავაზობს პოსოშკოვი პეტრე პირველს, რომელიც თვითონაც რეფორმების გატარების მეტს არაფერს აკეთებდა?

ეს კითხვა არ არის მარტივი. უწინარეს ყოვლისა, მისი მრავალი იდეა იმავე მიმართულებით მიდის, საითაც პეტრეს მოღვაწეობა, მაგრამ ჩვეულებრივ უფრო პირდაპირ იღვწის სავაჭრო-სამრეწველო ფენის ინტერესებისათვის. ამასთან დაკავშირებით ისინი უფრო პროგრესული და უფრო დემოკრატიულია, ვიდრე პეტრეს შეხედულებები და ღონისძიებები.

სხვა ზომები, რომელთაც პოსოშკოვი სთავაზობს მეფეს, მიზნად ისახავს სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედებების გამოსწორებას, რომლებიც არა მარტო შემორჩა ძველიდან, არამედ ბევრ დარგში მრავლდება პეტრეს რეფორმებთან ერთად.

ბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში პოსოშკოვი დგას კონსერვატიულ

[1] И. Т. Посошков, Книга о скудости и богатстве и другие сочинения, М., Издательство АН СССР, 1951, стр. 8.

და პირდაპირ რეაქციულ პოზიციებზე, რჩება გასული საუკუნის ადამიანად. რომელსაც ცუდად ესმის ახალი. მაგალითად, იგი უკიდურესად შეუწყნარებელია რელიგიის საკითხებში, ვარდება მეტისმეტად კარჩაკეტილ ნაციონალიზმში, მოითხოვს რუსი ადამიანების სამეურნეო ცხოვრებისა და ყოფის მრავალი მხარის წვრილმან და მოსაწყენ რეგლამენტაციას.

რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია პირველი სახის წინადადებები. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოსოშკოვის მთელი წიგნი გამსჭვალულია მგზნებარე პატრიოტიზმით, სავსეა მამულის კეთილდღეობისათვის გულწრფელი ზრუნვით. ცხადია, ავტორი ურყევი მონარქისტია, მაგრამ იგი გულშემატკივარია რუსი ხალხის, გლეხობის, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდა და რომელთაგანაც იგი გამოვიდა. ბუაგილბერისაგან დამოუკიდებლად და ფიზიოკრატებზე ადრე მან ჩამოაყალიბა მათი საყვარელი მაქსიმა: ღარიბი გლეხობა — ღარიბი სახელმწიფო. მდიდარი გლეხობა — მდიდარი სახელმწიფო.

პოსოშკოვი ბატონყმობის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ იგი მოითხოვდა ამ სფეროში როგორც ჰუმანურობის, ისე ეკონომიკური რაციონალურობის შეტანას: „მებატონეები გლეხების საუკუნეო რიგი მფლობელები არ არიან — ისინი ფლობენ დროებით. ამიტომ ისინი დიდადაც არ უფრთხილდებიან. მათი პირდაპირი მფლობელია სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი. ამიტომ მებატონეები მათ არ უნდა აჩანაგებდნენ, საჭიროა მეფის ბრძანებულებით დაცვა, რათა გლეხები იყვნენ ნამდვილად გლეხები და არა ღატაკები. გლეხების სიმდიდრე — სამეფოს სიმდიდრეა"[1].

პოსოშკოვი აქ ემყარება ძველებურ პრინციპს, რომლის თანახმადაც მებატონეები სახელმწიფოს მიერ მათზე მიწერილი გლეხების მეურვეები არიან. ეს მათ აძლევს არა მხოლოდ უფლებას, არამედ აკისრებს კიდეც ვალდებულებებს როგორც სახელმწიფოს, ისე გლეხების მიმართ. იგი წინადადებას იძლევა — კანონით შეიზღუდოს გლეხური ბეგარა (საბატონო ბეგარა, ღალა). გამოიყოს გლეხური მიწები მემამულის მიწებისაგან და არსებითად გადაეცეს იგი გლეხებს მუდმივ სარგებლობაში. ამ ღონისძიებებისაგან იგი ელოდება სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის მკვეთრ ამაღლებას.

სამუშაო ძალის რაციონალურად გამოყენებისათვის, კერძოდ სეზონურ სამუშაოებს შორის, იგი მოითხოვს საღალო სისტემის გაფართოებას. მრეწველობასა და ხელოსნობაში ღალაზე გაშვებული გლეხებისათვის უნდა გადაეხადათ ნარდად, რათა ისინი დაინტერესებული ყოფილიყვნენ თავიანთ შრომაში. საერთოდ პოსოშკოვის აზრი დაჭირავებული (თუმცა არასრულად თავისუფალი) შრომის და სანა-

[1] ი. ტ. პოსოშკოვი, დასახელებული თხზულება, გვ. 178.

რდო ანაზღაურების უპირატესობების შესახებ უნდა ვალიაროთ მისი დროისათვის შესანიშნავად[1].

„პოსოშკოვის გამონათქვამი ვაჭრობასა და მრეწველობაზე საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ იგი მივაკუთვნოთ ეკონომიკური აზრისა და პოლიტიკის მერკანტილისტურ მიმართულებას. იგი ასაბუთებს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების აუცილებლობას სახელმწიფოს მეურვეობით და სახელმწიფო-რეგულირებით. მერკანტილისტური ხასიათისაა მისი მსჯელობა ვაჭრებისა და ვაჭრობის მნიშვნელობაზე. საგარეო ვაჭრობისათვის კომპანიების შექმნაზე, საქონლის შემოტანის შემცირებაზე. ქვეყნიდან ნედლი პროდუქტის გატანის დაუშვებლობაზე, რუსეთში საშამულო მრეწველობის განვითარებაზე საქონლის გატანისათვის და ა. შ."[2] ვფიქრობთ. ეს შეფასება ძირითადად სწორია, თუმცა ლ. მ. მორდუხოვიჩმა იგი გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ პოსოშკოვი არ შეიძლება მივაკუთვნოთ მერკანტილისტებსო[3]. მისი ეპოქისა და ქვეყნის კონკრეტულ პირობებში მერკანტილიზმი, როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაზე პოსოშკოვის შეხედულებათა საფუძველი, კანონზომიერი და უბრალოდ გარდუვალი იყო. სხვა საქმეა, რომ ბევრგან ისინი განსხვავდებოდნენ დასავლეთევროპული მერკანტილიზმისაგან. ზოგჯერ უფრო ფართო და შინაარსიანი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოსოშკოვს ძლიერ აინტერესებდა „სიმდიდრის" შინაგანი წყაროები, ე. ი. საწარმოო ძალთა ზრდა.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შუქზე შეინიშნება ის განსხვავება, რომელსაც პოსოშკოვი აკეთებს ერის ნივთობრივ და არანივთობრივ სიმდიდრეს შორის. „ნივთობრივ სიმდიდრეზე უფრო მეტად ჩვენ ყველას გვევალება ვიზრუნოთ არანივთობრივ სიმდიდრეზე, ესე იგი ჭეშმარიტ სიმართლეზე"[4]. ჭეშმარიტ სიმართლეში იმალება იმ დროისათვის და პირობებისათვის უტოპიური ოცნება ადამიანთა ცხოვრების სასურველი მორალური კლიმატის, კარგი მმართველობის, პირადი უშიშროების, მწიგნობრობისა და ცოდნის ყველასათვის მისაწვდომობის შესახებ.

როგორც XVII ს. დასავლეთელ ეკონომისტებთან, პოსოშკოვთანაც ეკონომიკური თეორიის ზოგიერთი ელემენტი დაფარულია კონკრეტული მასალისა და პრაქტიკული საკითხების სიღრმეში და ჩვეულებრივ ბუნდოვნადაა გამოხატული.

---

[1] მკვლევართაგან ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლ. მ. მორდუხოვიჩი (Очерки истории экономических учений, М. Госполитиздат, 1957, стр. 151—159.

[2] История русской экономической мысли, т. I, часть первая стр. 339.

[3] ლ. მ. მ ო რ დ უ ხ ო ვ ი ჩ ი, დასახელებული თხზულება, გვ. 222. იხილეთ აგრეთვე მისი სტატია „პოსოშკოვი" დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში (ტ. 30).

[4] ი. ტ. პ ო ს ო შ კ ო ვ ი, დასახელებული თხზულება, გვ. 14.

საქონლის ფასების განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხში იგი ორ შეხედულებას გამოთქვამს. ნედლეულის გატანის არაბელსაყრელობისა და ქვეყანაში საქონლად მისი გადამუშავების აუცილებლობის შესახებ მსჯელობისას იგი საკმაოდ დაწვრილებით აჩვენებს, რომ ფასი ძირითადად განისაზღვრება წარმოების ხარჯებით. რადგანაც რუსეთში მრეწველთა ხარჯები სელსა და ქერელზე (ნედლეული) და შრომის ანაზღაურებაზე (მუშათა „პური და სასმელ-საჭმელი") ნაკლებია, ვიდრე საზღვარგარეთ, შეიძლება ტილო „მათ (უცხოელებს ა. ა.) ახლანდელი ფასით ბევრად ხელსაყრელად მივყიდოთ"[1]. ე. ი. წარმატებით გავუწიოთ კონკურენცია, გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთელი მწარმოებლების დანახარჯები უფრო მაღალია. სხვა ადგილას პოსოშკოვი, რომელიც საერთოდ იქით იხრება, რომ იმედები დაამყაროს ადმინისტრაციულ და ნებისყოფის ფაქტორებზე, წინადადებას აყენებს, ზემოდან განისაზღვროს ერთიანი „დადგენილი" ფასები ყველა ვაჭრისათვის, რათა ავიცილოთ საზიანო კონკურენცია. ეს ეხება საშინაო ბაზარს. საზღვარგარეთელი მყიდველების მიმართ კი იგი რეკომენდაციას აძლევს რუს ვაჭრებს, დააწესონ თავიანთ საქონელზე ერთიანი „მონოპოლიური ფასები". ამ ფასებს ექნებათ ორმაგი საფუძველი: ეკონომიკური და პოლიტიკური. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ „ჩვენ შეგვიძლია ვიარსებოთ მათი საქონლის გარეშეც, ისინი კი ჩვენი საქონლის გარეშე ათ წელიწადსაც ვერ გაძლებენ"[2]; მეორე კი: „გარდა ამისა, ჩვენს საქონელზე მაღალ ფასებს დავაწესებთ თუ არ ღავაწესებთ ჩვენი მონარქის ნებაა, როგორც ბრძანებს, ისე იქნება უცილობლად"[3].

პოსოშკოვს ნათლად ესმის დამოკიდებულება სიმდიდრის ზრდასა და შრომის ნაყოფიერებას შორის. იგი აყენებდა პრინციპს, რომ შრომა უნდა იძლეოდეს „ნამეტს", ე. ი. მუშის არსებობისათვის საჭირო დანახარჯებზე მეტს. ამ „ნამეტის" ზომა დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე, ხოლო მთლიანად ქვეყანაში — წარმოებაში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩართვის ხარისხზე. პოსოშკოვი ამათრახებდა უსაქმობასა და ურჩევდა იძულების ღონისძიებების გამოყენებას ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. ამავე დროს, როგორც ითქვა, იგი მხარს უჭერდა კეთილსინდისიერი და მაღალნაყოფიერი შრომის მატერიალურ წახალისებას.

პოსოშკოვის წიგნი შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლია, იგი სავსეა ცოცხალი დაკვირვებებით, სხარტი გამოთქმებით, მოუხეშო ხალხური იუმორით. ავტორის სიტყვის სითამამე შეესაბამება მისი აზრების გაბედულებას. პოსოშკოვის ყურადღებით მკითხველთა და

---

[1] იქვე, გვ. 147.
[2] ი. ტ. პ ო ს ო შ კ ო ვ ი, დასახელებული თხზულება, გვ. 122.
[3] იქვე, გვ. 125.

თაყვანისმცემელთა შორის იყო ლ. ნ. ტოლსტოი, რომელმაც 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში პეტრე პირველის ეპოქაზე ჩაიფიქრა რომანი და განზრახული ჰქონდა, პოსოშკოვი გაეხადა მის ერთ-ერთ გმირად (ეს ჩანს კონსპექტებიდან და მონახაზებიდან) და გულდასმით სწავლობდა „წიგნს სიღარიბისა და სიმდიდრის შესახებ". ჩვენ არ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა რეალური ივანე პოსოშკოვი, მაგრამ ტოლსტოის წარმოდგენილი ჰყავდა იგი როგორც „ხმელ-ხმელი, მოწითურო, პატარა წვერით და მთლად ჩოფურა"[1].

ფულის თეორიისათვის: ნომინალიზმი

საიდან წარმოდგება ფულის მყიდველობითი უნარი? სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომ შეიძლება მონეტით (ოქროსი, ვერცხლის ან სპილენძის) ვიყიდოთ გარკვეული რაოდენობის პური, ტილო ან სხვა საქონელი?

მრავალი საუკუნეა ეს საკითხი აინტერესებს ეკონომისტებს. ერთნი ამ კითხვაზე დაახლოებით ასეთ პასუხს იძლეოდნენ: იმიტომ, რომ ფული დამზადებულია ლითონისაგან, რომელიც თავისთავად, ასე ვთქვათ, „ფული ღირს", შინაგანი ღირებულება აქვს. კერძოდ, ისინი, ვინც შრომითი ღირებულების თეორიას ემხრობოდნენ, უმატებენ, რომ ღირებულება ლითონისა, რომლისაგან ჭრიდნენ ფულს, როგორც ყველა სხვა სახის საქონლის ღირებულება, იქმნება და განისაზღვრება შრომით.

მაგრამ იყო სხვა პასუხიც: იმიტომ, რომ ფულზე არის სახელმწიფოს შტემპელი, დამღა, მყიდველობით ძალას ფულს აძლევს იურიდიული აქტი, რომელიც სახელმწიფოს ავტორიტეტს ემყარება. მონეტაში მნიშვნელოვანია ლითონის არა წონა და სიწმინდე, არამედ კვლავ და კვლავ მისი სახელწოდება. რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების მიერაა მიკუთვნებული. ამ შეხედულების რეალური საფუძველია შესაძლებლობა (გარკვეულ საზღვრამდე) იაფი ლითონისაგან, საბოლოო ჯამში კი — ქაღალდისაგან დამზადებული არასრულფასოვანი ფულის მიმოქცევა. ფულის ასეთმა თეორიამ ისტორიულად ნ ო მ ი ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი სახელწოდება მიიღო (ლათინურიდან nomos — სახელი, სახელწოდება). პოსოშკოვი ნომინალიზმის მომხრეა.

პოსოშკოვმა უთუოდ არაფერი იცოდა ჯონ ლოს ექსპერიმენტის შესახებ. თუმცა თავის წიგნს წერდა სწორედ იმ წლებში, როცა აყვავდა და ჩაიფუშა ლოს ქაღალდის ფულის სისტემა. როგორც სხვა სფეროებში, რუსი მოაზროვნეების იდეები სრულიად ორიგინალურია. მაგრამ არსებითად მისი წინადადება — მოეჭრათ იაფი ხპილენძისაგან

---

[1] იხ. ბ. ბ. კაფენჰაუზი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 147.

ძვირფასი ფული — ჰგავდა შოტლანდიელის მიზანს: მიეცა ხაზინისთვის შემოსავალი, ქვეყნისათვის — ფულის სიუხვე.

„ჩვენთან ისე ძლიერია მისი უდიდებულესობის სიტყვა, საკმარისია ბრძანოს მისხალ სპილენძის მონეტაზე მანეთიანის მოხაზულობის დადება, რომ იგი მანეთად გავა ვაჭრობაში უცვლელად უკუნისით უკუნისამდე"[1]. სხვა სიტყვებით: მანეთის ღირებულების მონეტა შეიძლება მოიჭრას ერთი მისხალი (4,3 გრამი) სპილენძისაგან, რამდენადაც ასეთია მეფის ნება. სხვა ადგილას, როცა საქმესთან უფრო პრაქტიკულად მიდის, პოლემიკური სიფიცხის გარეშე, იგი აყენებს მისხალი სპილენძისაგან მოიჭრას ორშაურიანი, რაც მაინც აგრეთვე მრავალჯერ მეტია სპილენძის საერთო ღირებულებაზე და მეტია ნომინალზე, რაც ეძლეოდა მისხალ სპილენძს მაშინდელი მოჭრისას.

მეორე მხრივ, პოსოშკოვი მკვეთრად ილაშქრებდა მონეტის წვრილმანი გაფუჭების, ვერცხლში სპილენძის, ან ოქროში ვერცხლის შერევის წინააღმდეგ. ამასთან, მას ძლიერ დამაჯერებლად ეჩვენება მოსაზრება, რომ მონეტები რუსეთში უნდა იყოს ისევე სუფთა ლითონისაგან, როგორიც სუფთაა მართლმადიდებლური რწმენა, „რომელშიც არავითარი ერეტიკული შენარევი არაა". მსუბუქი ფული ჭმიხდა სპილენძისაგან — ესაა მისი რეკომენდაცია. ვერცხლს, რომლისგანაც პეტრეს დროს ყველაზე მეტად იჭრებოდა მონეტები (თუმცა იგი რუსეთში თითქმის არ მოიპოვებოდა და საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ), იგი ურჩევდა გაფრთხილებოდნენ, ხოლო ოქრო მოეჭრათ მხოლოდ „მისი უდიდებულესობის ყველაზე ძლიერი და მყარი დიდებისათვის", ე. ი. უცხოეთში ქვეყნის პრესტიჟის ამაღლების მიზნით.

პოსოშკოვის როგორც სხვა იდეები, მისი ფულის თეორია ისახავს უაღრესად პრაქტიკულ მიზანს. ძას მოყავს ეკონომიკური, რომლის თანახმადაც ხაზინის შემოსავალი სპილენძის ორშაურიანების მოჭრით, მისი ნორმებით, ერთ ფუთ სპილენძზე 370 მანეთს ადგენს, ხოლო საერთო შემოსავალი 10 ათასი ფუთი ლითონისაგან მონეტების მოჭრით — 1840 ათას მანეთს — იმ დროისათვის უდიდეს თანხას, რამდენადაც სახელმწიფოს ყველა შემოსავალი პეტრეს მეფობის ბოლო წლებში 2 მლნ. მანეთს არ აღწევდა[2].

დამახასიათებელია, რომ ქვეყანაში ძვირფასი ლითონების მოზიდვის ამოცანა პოსოშკოვთან განსაკუთრებით დიდ როლს არ ასრულებს. ასე მნიშვნელოვანია ეს, თუკი ფულის მიმოქცევა წარმატებით შეიძლება შეივსოს სპილენძით? ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად პოსოშკოვთან მრეწველობის განვითარება, ახალი წარმოებების დანერგვა გამოდის. პოსოშკოვი თავისი დროისათვის მომწიფებული და პროგრესული მერკანტილიზმის გამომხატველია. „მონეტური სისტე-

---

[1] ი. ტ. პ ო ს ო შ კ ო ვ ი, დასახელებული ნაწარმოები, გვ. 239.
[2] იქვე, გვ. 241, ბ. ბ. კაფენჰაუზი, დასახელებული ნაწარმოები, გვ. 99.

მის" ილუზია, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზანს ლითონის ფულის მასის გადიდებაში ხედავდა, მისთვის უცხოა.

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ პოსოშკოვი წინადადებას აყენებდა, სპილენძი გადაექციათ არა დასახურდავებელ მონეტად ვერცხლისა და ოქროს არსებობისას, არამედ არასრულფასოვანი და უფრო ძვირფას ლითონზე დაუხურდავებელი სპილენძის ფული გამხდარიყო სწორედ ფულის მიმოქცევის საფუძველი. მისი სპილენძის ფული უნდა ყოფილიყო თანამედროვე ქაღალდის ფულის მსგავსი რამ, რომელიც მიმოქცევაში ფულის ერთადერთი ფორმაა და ამასთან, არსებითად, მთლიანად აქვს დაკარგული კავშირი ოქროსთან. მისი მსყიდველობითი უნარი ეფუძნება ემისიის შეზღუდულ ზომას და „კრედიტს" (ნდობას) ცენტრალური ბანკისა და სახელმწიფოსადმი, როგორც პოსოშკოვს ეხროდა დაეფუძნებინა მსუბუქი სპილენძის ფულის მიმოქცევა „მეგობრ ნებაზე".

მაგრამ მეთვრამეტე საუკუნე არ არის მეოცე. ფული შინაგანი, საჭონლო ღირებულების გარეშე ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო როგორც ფულადი სისტემის საფუძველი. საუკუნის ბოლომდე სპილენძი რჩებოდა ფულად ლითონად და მთავრობა იძულებული იყო დრო და დრო დაბრუნებოდა სრულფასოვანი ან თითქმის სრულფასოვანი სპილენძის ფულის მოჭრას. ამასთან, ფული „მძიმდებოდა": ხუთკაპიკიანი, მაგალითად, იწონიდა მეოთხედ გირვანქას (100 გრამზე მეტს), და არა 2 გრამზე ცოტა მეტს, როგორც სთავაზობდა პოსოშკოვი[1]. როცა ხაზინამ გადაწყვიტა, მ. ვ. ლომონოსოვისათვის 2000 მანეთის დაკავებული ხელფასი გადაეხადა სპილენძით, ფული საზიდრებით გახდა წასაღები. საეჭვოა, რომ ეს თვით მეცნიერისათვის ყოფილიყო მოხერხებული.

ლომონოსოვისა და რადიშჩევის ეპოქა

„სიღარიბისა და სიმდიდრის წიგნის" ბოლო გამოცემა (1951 წ.) ეფუძნება 1752 წ. გადაღებული „ბატონი მრჩეველის მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვის" მითითებით ყველაზე სრული ხელნაწერის ასლიდან. მისთვის ახლოს იყო პოსოშკოვის ბევრი იდეა. განსაკუთრებით რუსეთის სამრეწველო განვითარების დაჩქარების შესახებ. დიდი მეცნიერი თავის ბევრ ნაწარმოებში ეხებოდა ეკონომიკურ საკითხებს და ფიქრობდა, 1761 წ. დაეწერა საგანგებო ნაშრომი, რომლის შემონახული ნეგმა რამდენადმე გვაგონებს „სიღარიბისა და სიმდიდრის წიგნის" სტრუქტურას.

ეფექტური სიძნელეების მიუხედავად, რუსული სახელმწიფოს ზრდა და გაძლიერება გრძელდებოდა პეტრეს მიერ მიცემული მძლავრი ბიძ-

[1] Б. Эйдельман т. Новейший номинализм и его предшественники. М., 1948, стр. 202.

გის შემდეგ. ძლევამოსილმა ომებმა თურქეთთან და შვეციასთან, პოლონეთის დანაწილებამ, ახალი მიწების ათვისებამ განაპირა მხარეებში გააფართოვა იმპერიის საზღვრები. XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთი, ხალხმრავალი და მძლავრი სახელმწიფო, ევროპაში საკმაოდ გამოჩენილ როლს ასრულებდა. წლიური ექსპორტის ღირებულება 1726 წ. 4,2 მლნ მანეთიდან 12 მლნ მანეთამდე გაიზარდა 1763—1765 წწ. ხოლო 1796 წ., როცა ეკატერინე II გარდაიცვალა, 68 მლნ მანეთს მიაღწია. კერძოდ, რუსეთი საუკუნის ბოლომდე იყო შავი ლითონების უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორი მსოფლიოში[1].

ბატონყმური შრომა რჩებოდა სახალხო მეურნეობის საფუძვლად. მემამულეთა ძალაუფლება გლეხობაზე გარკვეულად გაძლიერდა კიდეც. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი სულ უფრო მყარ ფესვებს იდებდა და ვრცელდებოდა. ვაჭრებისა და გლეხებიდან გამოსულთა კუთვნილ მანუფაქტურებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. ფართოვდებოდა საშინაო ბაზარი, აღმოცენდა პირველი ბანკები, დაიწყო ქაღალდის ფულის — ასიგნაციების გამოშვება. მერკანტილიზმი და პროტექციონიზმი რჩებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად, მაგრამ ეს პოლიტიკა განსაკუთრებით ეკატერინე II-ის დროს უფრო ნოვნილად და ზომიერად ტარდებოდა.

პოლიტიკურად და ინტელექტუალურად დასავლეთთან გარკვეული დაახლოება მოხდა. იგი ბევრად ზედაპირული იყო და კარიკატურულ ფორმებსაც ღებულობდა (თავადაზნაურობის გაფრანგება). მაგრამ რუსეთში ჩნდებოდნენ ევროპულად განათლებული ადამიანები, რომლებმაც აღიქვეს და ავითარებდნენ განმანათლებელთა საუკუნის იდეებს. ლომონოსოვმა და რადიშჩევმა XVIII ს. რუსული კულტურის უდიდესმა მოღვაწეებმა, საუნივერსიტეტო განათლება საზღვარგარეთ მიიღეს.

მოწინავე დასავლეთის პოლიტიკურ ეკონომიასა და რუსულ საზოგადოებრივ აზრს შორის ცოცხალ კავშირს განასახიერებდნენ გლაზგოს უნივერსიტეტში 1761 — 1767 წწ. ს. ე. დესნიცკი და ი. ტ. ტრეტიაკოვი — ადამ სმიტის ყოფილი სტუდენტები, სამართლის ბრიტანელი დოქტორები და პირველი რუსი პროფესორი იურისტები — მაშინ ერთადერთ მოსკოვის უნივერსიტეტში. რუსეთში დაბრუნებისთანავე დესნიცკი და ტრეტიაკოვი ჩაებნენ დაძაბული პოლიტიკური ცხოვრების ატმოსფეროში:. 1767 წ. ივლისში ეკატერინემ მოსკოვში მოიწვია კომისია ახალი სჯულდების (კანონმდებლობის საფუძვლების) შესადგენად. კომისიაში თავადაზნაურობა ჭარბობდა, მაგრამ წარმოდგენილი იყო სხვა წოდებებიც, გარდა საბატონო გლეხებისა.

---

[1] История русской экономической мысли, т. I, часть первая, стр. 434—436.

დესნიცკიმ კომისიისათვის დაწერა პროექტი სახელწოდებით: „წარდგინება საკანონმდებლო, სამსჯავრო და დამსჯელი ხელისუფლების დაარსებაზე რუსეთის იმპერიაში“. იგი სახავდა საკმაოდ გაბედულ რეფორმებს, რომლებიც მიმართული იყო ფეოდალურ-ბატონყმური წესების შეხლუდვისაკენ და ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ. თავისი შოტლანდიელი მასწავლებლის სულისკვეთების სრულ შესაბამისად იგი ბუნებრივად თვლიდა საზოგადოების „კომერციულ მდგომარეობას“, ე. ი. არსებითად კაპიტალისტურ წყობილებას. აღსანიშნავია დესნიცკის იდეები ფინანსების დარგში: კერძოდ, იგი აყენებდა წინადადებას — პროგრესული გადასახადით დაებეგრათ მიწის საკუთრება. ამით თავს ესხმოდა თავადაზნაურობის ეკონომიკურ ბაზისს.

დესნიცკის პროექტს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო თვით კომისია უკვე 1768 წ. ბოლოს დაითხოვა ეკატერინემ, რომელიც უკმაყოფილო იყო მისი ნუშაობის მსვლელობაში აღმოცენებული გაცხოველებული კამათით, ერთი მხრივ, კონსერვატორ-თავადაზნაურობასა და, მეორე მხრივ, ლიბერალ თავადაზნაურობას, იაკობინელებსა და სახელმწიფო გლეხებს შორის. გამოვლინდა სხვა მწვავე წინააღმდეგობებიც. დესნიცკის მსგავსი ლიბერალების იმედები ბატონყმობის შერბილებაზე დაიმარხა 1773—1775 წწ. მოვლენებით — გლეხთა აჯანყებით პუგაჩოვის მეთაურობით და მისი დამარცხებით.

თავიანთ ბევრ თხზულებაში დესნიცკი და ტრეტიაკოვი (რომელიც ადრე გარდაიცვალა) პოლიტიკურ-იურიდიული თხზულებების ჩარჩოებში ეანიხილავდნენ პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ თეორიულ საკითხს: შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, კერძო საკუთრების როლი, ფულის არსი და ფუნქციები. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ნიადაგის მომზადებაში მომდევნო ეპოქაში რუსეთში ეკონომიკური აზრის განვითარებისათვის.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშჩევის საქმიანობა მოდის XVIII ს. ორ უკანასკნელ ათწლეულზე. რადიშჩევმა — ნიჭიერმა მწერალმა, რევოლუციურმა, ანტიბატონყმური მიმართულების დამაარსებელმა რუსულ საზოგადოებრივ აზრში — ბევრი დრო მოანდომა ეკონომიკურ საკითხებს. როგორც ცნობილია, მისი ბედი ტრაგიკული იყო. გაბედული წიგნის — „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ — გამოქვეყნებისათვის იგი 1790 წ. დააპატიმრეს, გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც უკანასკნელ მომენტში ციმბირში ათწლიანი გადასახლებით შეუცვალეს. რადიშჩევმა 6 წელიწადი გაატარა რუსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში, შეინარჩუნა მხნეობა, რწმენა და შრომისუნარიანობა. ახალი მეფის, პავლე I-ის ბრძანებულებით, რომელიც ყველაფერს თავისი დედის ნების საწინააღმდეგოდ აკეთებდა,

რადიშჩევი დააბრუნეს ციმბირიდან, რათა განაწესით ეცხოვრა თავის სოფელში. კალუგის გუბერნიაში. მხოლოდ 1801 წ. ალექსანდრე პირველის გაბედნიერებისას იგი გამოიძახეს პეტერბურგში და გაამწესეს კანონების შემდგენელ მთავრობის კომისიაში. მან, დარწმუნებულმა თავისი განმათავისუფლებელი იდეების განხორციელების შეუძლებლობაში, შეურაცხყოფილმა უნდობლობით და ახალი რეპრესიების მუქარით, 1802 წ. თავი მოიკლა.

რადიშჩევის პროგრამული მოთხოვნა იყო ბატონყმობისა და მიწაზე მებატონეთა საკუთრების მოსპობა, გლეხთა კერძო მიწის საკუთრების შექმნა. რუსეთის ცხოვრების მთავარი საზოგადოებრივი პრობლემის ასეთ გადაწყვეტას იგი უკავშირებდა თვითმპყრობელობის ლიკვიდაციას. რადიშჩევმა მოგვცა ბატონყმობის ეკონომიკური საფუძვლების ყველაზე ღრმა და საფუძვლიანი კრიტიკა. მან დეტალურად გამოიკვლია ბატონყმური და გლეხური მეურნეობის „ანატომია" და თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ეს მეურნეობა არ შეიძლება იყოს მწარმოებლური. ბრწყინვალე აზრები რუსეთის სამრეწველო განვითარებაზე, ვაჭრობაზე, ფულზე და გადასახადებზე გაბნეულია რადიშჩევის ბევრ ნაწარმოებში. როგორც რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე, როგორც მოაზროვნე — ფილოსოფოსი, სოციოლოგი, იურისტი, ეკონომისტი — რადიშჩევი დეკაბრისტების პირდაპირი წინამორბედი იყო.

მეშვიდე თავი

ადამამდე

ერთი საუკუნის მანძილზე პეტიდან ადამ სმიტამდე მეცნიერების განვლო განვითარების დიდი გზა — კლასიკური სკოლის პირველი ჩანასახებიდან ძის სისტემად ჩამოყალიბებამდე. ცალკეული, ზოგჯერ შემთხვევითი პამფლეტებიდან ფუნდამენტურ „ხალხთა სიმდიდრემდე".

მარქსი წერდა, რომ „ეს პერიოდი, რომელიც აღსავსეა ორიგინალური მოაზროვნეებით, უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ეკონომიის თანდათანობითი გენეზისის გამოსაკვლევად"[1]. რა თქმა უნდა, ჩვენ გამოხატილ ძეცნიერთა და მწერალთა რიცხვიდან მოგითხრობთ მხოლოდ რამდენიმეზე, რომლებიც ავურს აგურზე აწყობდნენ და ისე ამენეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შენობა ინგლისში. ზოგჯერ მათი იდეა საინტერესოა თანამედროვე პრობლემების თვალსაზრისითაც.

XVIII საუკუნე

შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჩაშოყალიბდა ახალი დროის ბრიტანეთი. ამ ეპოქამ განამტკიცა კლასობრივი კომპრომისი თავად-აზნაურ მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიას შორის. ორივე ექსპლოატატორული კლასის ინტერესები მტკიცედ შეერწყა და გადაეხლართა ერთმანეთს. თავადაზნაურობა ბურჟუავდებოდა, ხოლო ბურჟუა მიწათმფლობელად იქცეოდა. წარმოიქმნა პოლიტიკური სისტემა, რომლის საფუძვლები დღემდეა შენარჩუნებული და რომელიც ორი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეალს. ეს პარლამენტური მონარქიაა, სადაც მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს; ხელისუფლებაში ორი პარტია დრო და დრო ცვლის ერთმანეთს. იმდროინდელ ევროპაში პიროვნების, სიტყვისა და ბეჭდვის გაუგონარი თავისუფლებით რეალურად შეეძ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1953, გვ. 280. მარქსი ლაპარაკობს 1691 წ.-დან 1752 წლამდე პერიოდის შესახებ. ლოკისა და ნორსის შრომების გამოსვლიდან, რომლებიც პეტის იდეებს ავითარებდნენ, სმიტის უახლესი წინამორბედის იუმის მთავარ ეკონომიკურ თხზულებათა პუბლიკაციამდე.

ლოთ ესარგებლათ მხოლოდ საზოგადოების პრივილეგირებულ და მდიდარ ფენებს.

ტორი — მიწათმფლობელების კონსერვატორული პარტია და ვიგი — უმაღლესი განათლებული არისტოკრატიისა და ქალაქის ბურჟუაზიის ლიბერალური პარტია იწყებენ დაუსრულებელ საპარლამენტო და წინასაარჩევნო ბრძოლას, რომლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა „მდაბიო კლასების“ ჩამოშორება კლასობრივი ბრძოლის ნამდვილად მწვავე საკითხებისაგან.

პოლიტიკურმა ბრძოლამ მნიშვნელოვნად დაკარგა ის რელიგიური შეფერილობა, რომელიც მას ჰქონდა წინა საუკუნეებში. ინგლისური სახელმწიფო ეკლესიის გვერდით დამკვიდრდა რამდენიმე ყოფილი პურიტანული სექტა და ინგლისი იქცა „ასი რელიგიის კუნძულად“. მაგრამ ეს უკვე აღარ უშლიდა ხელს ბურჟუაზიული ერის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

იმპერია სწრაფად იზრდებოდა. მიმდინარეობდა კოლონისტების დასახლება ჩრდილო ამერიკაში. იზრდებოდა შაქრისა და თამბაქოს პლანტაციები ვესტ-ინდოეთში, დაიპყრეს ინდოეთი და კანადა, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში აღმოაჩინეს მრავალი კუნძული. ოკეანე, რომელთაც ინგლისი ეწეოდა, ძირითადად მისთვის წარმატების მომტანი იყო. იგი უდავოდ იქცა მსოფლიოს პირველ საზღვაო და საგაჭრო ქვეყნად. კერძოდ, ინგლისელმა ვაჭრებმა თითქმის მონოპოლიურად ჩაიგდეს ხელში მონათვაჭრობა და ამერიკაში ყოველწლიურად გადაყავდათ მრავალი ათასი ზანგი.

რა თქმა უნდა, ამ პროცესს საფუძვლად ედო ცვლილებანი ინგლისის ეკონომიკაში. უპირველეს ყოვლისა, იცვლებოდა სოფელი, იცვლებოდა ინგლისის სოფლის მეურნეობა, რომელიც საუკუნის შუა ხანებში ჯერ კიდევ დაახლოებით 3-ჯერ მეტ პროდუქციას იძლეოდა, ვიდრე მრეწველობა. მიწების შემოღობვის პროცესმა ამ დროს მიიღო განსაკუთრებით ფართო მასშტაბები. წვრილგლეხური და სათემო მიწათმფლობელობა თანდათანობით ქრებოდა და ადგილს უთმობდა მსხვილ მამულებს, რომლებსაც ნაკვეთებად იჯარით იღებდნენ შეძლებული ფერმერები. ეს ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაშიც და მრეწველობაშიც.

სწრაფად იზრდებოდა დაქირავებული მუშათა კლასი, რომელთაც არ ჰქონდათ მიწა და სხვა საკუთრება, არ ჰქონდათ არაფერი, გარდა თავიანთი მუშური ხელებისა. ეს კლასი ყალიბდებოდა გლეხობის ხარჯზე, რომლებიც კარგავდნენ მიწას, ან ნახევრადფეოდალური იჯარის უძველეს უფლებას. კონკურენციით გაღატაკებული შინამრეწველებისა და ხელოსნების ხარჯზე. მაგრამ ნამდვილი საფაბრიკო პროლეტარიატი „დაბალი კლასების“ ჯერ კიდევ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა. კაპიტალისტურ ექსპლოატაციაში პატრიარქალურობის, „კეთი-

ლი ძველი დროის“ გადმონაშთების მრავალი ნიშანი იყო.

მეორე პოლუსზე იზრდებოდა სამრეწველო კაპიტალისტთა კლასი. მას ავსებდა ამქრების გამდიდრებული ოსტატი-მეპატრონეები, კოლონიური პლანტატორები, რომელთაც ინგლისში ჩამოჰქონდათ ზღვისპირა ნაშოვი ფული. კაპიტალისადმი წარმოების დამორჩილების პროცესი რთული იყო: კაპიტალისტები შინამრეწველობაში ხშირად იქრებოდნენ ჯერ როგორც შემსყიდველნი და ნედლეულის მიმწოდებელნი, შემდეგ აარსებდნენ სახელოსნოებს და ფაბრიკებს.

ეს იყო მანუფაქტურის ეპოქის, ე. ი. შრომის დანაწილებაზე დამყარებული ხელით წარმოების დასასრული. ძველი პრიმიტიული იარაღების შეხარჩუნების დროსაც კი შრომის დანაწილება და მუშების სპეციალიზაცია შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობას ქმნიდა. ის-ის იყო იბადებოდა მანქანური ინდუსტრია. ამასთან ერთად ახლოვდებოდა სამრეწველო რევოლუცია. იწყებოდა უღიდეს ეამოგონებათა ეპოქა. 30-იან წლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები რთვისა და ქსოვის მექანიზაციისაკენ. გამოიგონეს კოქსით თუჯის გამოდნობა. 60-იან წლებში უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა.

მრეწველები თავისი საწარმოებისათვის, სოვდაგრები ოკეანეს იქითა ქვეყნებში ვაჭრობისათვის, მთავრობა კოლონიური ომებისათვის საჭიროებდა კრედიტს. აღმოცენდნენ და სწრაფად იზრდებოდნენ ბანკები და სააქციო საზოგადოებანი, რომლებიც თავს უყრიდნენ ფულად კაპიტალებს. ძნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ვალი. ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა ფასიანი ქაღალდების ბირჟა.

სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ უკვე მთლიანად მოიცვა ერის ცხოვრება. არა მარტო ვაჭრობა, არამედ წარმოების უდიდესი ნაწილიც კაპიტალისტური გახდა. მკაფიოდ იკვეთებოდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასები. სოციალური მოვლენების მასობრივი გაძმეორების შედეგად საკმაოდ ნათლად გამოიხატა ისეთი ობიექტური კატეგორიები, როგორიცაა: კაპიტალი, მოგება, სარგებელი, მიწის რენტა, ხელფასი. ყოველივე ეს შეიძლებოდა დაკვირვებისა და მეცნიერული ანალიზის ობიექტი გამხდარიყო.

მეორე მხრივ, ბურჟუაზია ამ დროს ჯერ კიდევ იყო საზოგადოების ყველაზე პროგრესული კლასი. იგი მზარდ მუშათა კლასში ჯერ კიდევ ვერ ხედავდა თავის მთავარ მოწინააღმდეგეს. მათ შორის კლასობრივ ბრძოლას მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმები ჰქონდა. ასე ჩამოყალიბდა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარების პირობები ინგლისში.

1719 წ. ლონდონში გამოქვეყნდა დეფოს რომანის „რობინზონ კრუზოს" პირველი გამოცემა. რობინზონის ბედი არაჩვეულებრივია. ერთი მხრივ, იგი სათავეგადასავლო ჟანრის აღიარებული შედევრია; მეორე მხრივ, მრავალ ენაზე გამოცემულ ლიტერატურას, რომელშიც წოდებულია „რობინზონისა" და რობინზონიადების ფილოსოფიური პედაგოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიური განსჯა, ამჟამად შეუძლია შეადგინოს მსოფლიო ბიბლიოთეკა.

რობინზონიადა — მოაზროვნისა და მწერლის წარმოსახვით შექმნილი სიტუაციაა, რომელშიც ცალკეული ადამიანის პიროვნება (ზოგჯერ ადამიანების მცირე ჯგუფი) ჩაყენებულია საზოგადოების გარეშე ცხოვრებისა და შრომის პირობებში. რობინზონიადა — ეს, თუ გნებავთ, ეკონომიკური მოდელია, სადაც გამორიცხულია ადამიანებს შორის ურთიერთობა, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა და დარჩენილია მხოლოდ განცალკევებული ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან. პოლიტიკურ ეკონომიას უყვარს რობინზონიადები, შენიშნა მარქსმა. შეიძლება დავუმატოთ, რომ ეს უფრო მეტად ეხება მარქსისშემდგომ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას, ვიდრე მარქსამდელს.

მიუხედავად „რობინზონის" წარმატებისა, რომელიც დეფომ თითქმის 60 წლის ასაკში დაწერა, და მოგვიანებით დაწერილი რამდენიმე სხვა რომანის წარმატებებისა, იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებდე მათ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. დეფო ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ დიდებას მას შეუქმნიდა მისი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული თხზულებანი. მსგავსი ილუზია კულტურის ისტორიაში არცთუ იშვიათია.

დეფოს ცხოვრება თვით ჰგავს ავანტიურულ რომანს. იგი ღაიბადა ლონდონში 1660 წ. (თუმცა ეს თარიღი სადავოა) და გარდაიცვალა იქვე 1731 წ. წვრილი ვაჭარი-პურიტანის შვილმა — დეფომ თვითონ გაიკაფა გზა ცხოვრებაში ბუნებრივი ნიჭისა, ენერგიისა და უნარის წყალობით. იგი მონაწილეობდა მეფე იაკობ II-ის წინააღმდეგ 1685 წ. მონმუტას აჯანყებაში და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო გადარჩა სიკვდილით დასჯას ან კოლონიაში გადასახლებას. 30 წლისა უკვე შეძლებული სოვდაგარია. იგი გაკოტრდა 1692 წ. — 17 ათასი გირვანქა სტერლინგი ვალი დაედო.

ამ დროს დაიწყო პოლიტიკური პამფლეტების წერა. დეფო სანღო პირად მიაჩნდათ მეფე — ჰოლანდიელ ვილჰელმ III-სა და მის დაახლოებულ პირებს. 1698 წ. მან გამოაქვეყნა ეკონომიკური თხზულება — „გამოცდილება პროექტების შესახებ", სადაც წამოაყენა მრავალი ეაბედული ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმა. მალე, თავისი მფარველი მეფის სიკვდილის შემდეგ, 1703 წ. დეფო სამა-

რცხვინო ბოძზე გააკრეს და ჩასვეს ციხეში გესლიანი პამფლეტისათვის, რომელიც მიმართული იყო გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ და დისენტერი-პურიტანების დასაცავად. დეფო ციხიდან (სადაც მან წელიწადნახევარი დაყო და გაშალა მჩქეფარე ლიტერატურული მოღვაწეობა) ტორის პარტიის ლიდერმა რობერტ ჰარლიმ გათავისუფლა. სახაცვლოდ დეფომ ამ პარტიას და პირადად ჰარლის მიუძღვნა თავისი ეპოქის საუკეთესო ჟურნალისტის კალამი. იგი იყო ჰარლის საიდუმლო აგენტი, მისი მნიშვნელოვანი და საიდუმლო დავალებებით ბიეძგსავრებოდა შოტლანდიაში და ინგლისის სხვადასხვა ოლქში.

დეფოფალ ანას სიკვდილმა და ჰარლის დაცემამ შეწყვიტა მისი კარიერა. 1715 წ. იგი კვლავ მოხვდა ციხეში პოლიტიკური ცილისწამებების ბრალდებით. დეფო განთავისუფლების შემდეგ კვლავ ხელს ჰკიდებს საძრახის საქმეს — შიგნიდან დაშალოს ახალი მთავრობისათვის მტრული პრესა.

„რობინზონის“ ლამაზეერ ავტორიანს ჰქონდა უმდიდრესი და მეტად მრავალმხრივი ცხოვრებისეული გამოცდილება. სწორედ ამ გამოცდილებამ შეავსო იორკელი მეზღვაურის თავგადასავლების ისტორია ღრმა შინაარსით. სიცოცხლის ბანძილზე დეფომ არ იცოდა დასვენება და სიმშვიდე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ ადამიანს 60-იან და 70-იან ხლებს შორის შეეძლო დაეწერა რამდენიმე დიდი რომანი, ბრიტანეთის მონუმენტური ეკონომიკურ-გეოგრაფიული აღწერა, რიგი ისტორიული თხზულებებისა (მათ შორის ტუსი იმპერატორის პეტრე I-ის ისტორია), წიგნების მთელი სერია დემონოლოგიასა და მაგიაში (!) და მრავალი პატარა სატირა და პამფლეტი სხვადასხვა თემაზე. 1728 წ. მან გამოსცა ეკონომიკური თხზულება „ინგლისის ვაჭრობის გეგმა“. სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში მოუსვენარი მოხუცი ემალება კრედიტორებს (ან პოლიტიკურ მტრებს — რაც დღემდე გაურკვეველია).

დავუბრუნდეთ რობინზონიადებს. კლასიკურ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას საფუძვლად ედო წარმოდგენა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ა მ ი ა ნ ზ ე. ეს იდეა აღმოცენდა შეუცნობელი პროცესიდან ფეოდალური საზოგადოების „ხელოვნურობის“ წინააღმდეგ, სადაც ადამიანი შეზღუდულია ყოველგვარი არაბუნებრივი იძულებითი კავშირებით და შეზღუდვებით. მაგრამ ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების „ბუნებრივი“ ადამიანი ყველა ამ კავშირისაგან განთავისუფლებული ინდივიდუალისტია, რომელიც შეეფერება თავისუფალ კონკურენციას და შესაძლებლობათა თანასწორობის სამყაროს. სმიტსა და რიკარდოს, ისევე როგორც მათ წინამორბედებს იგი წარმოედგინათ არა როგორც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტი, არამედ. პირიქით, როგორც მისი ამოსავალი პუნქტი, „ადამიანური ბუნების“ განსახიერება.

ისინი ცდილობენ ახსნან ამ ინდივიდუალისტის საქციელი საზოგადოებრივ წარმოებაში კაპიტალიზმის დროს, ეყრდნობიან ბუნებითი საძართლის იდეებს და ყურადღებას მიაპყრობენ არა საზოგადოების განვითარების რეალურ გზას, არამედ განმარტოებული მონადირისა და მეთევზის ფანტასტიკურ ფიგურას, ე. ი. რობინზონს. რა თქმა უნდა, აძასთან ერთად კონკრეტული რობინზონ კრუზო, რომელიც მართლა მოხვდა უკაცრიელ კუნძულზე, ავტორების ნება-სურვილით იქცევა რაღაც ალეგორიულად და აბსტრაქტულად, ხშირად მთლიანად პირობითად.

აძრიგად, რობინზონიადა — ეს აბსტრაქტულ მოდელზე წარმოების კახოხზომიერების გამოკვლევის ცდაა, რომელიც გამორიცხავს ყველაზე მთავარს — საზოგადოებას. ნამდვილად კი წარმოება ყოველთვის იყო, და ყოველთვის იქნება მხოლოდ საზოგადოებრივი, რომელიც ისტორიული განვითარების კონკრეტულ სტადიაზე იმყოფება. მარქსმა მოიეცა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის რობინზონიადის შესანიშნავი, ღრმააზრობრივი კრიტიკა. იგი შენიშნავს, რომ ეს მიდრეკილება გადავიდა ბასტიას, კერის, პრუდონის „უახლეს პოლიტიკურ ეკონომიაში“: მისთვის ძლიერ მოხერხებულია, განვითარებული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობანი იპოვოს „ბუნებრივი ადამიანის“ ფანტასტიკურ სამყაროში. ციტატის სახით მარქსიდან მოვიტანოთ მხოლოდ ერთი ფრაზა: „საზოგადოების გარეშე აბსოლუტური მარტოხელას წარმოება იშვიათი მოვლენაა, რაც შეიძლება შეემთხვეს უკაცრიელ ადგილას შემთხვევით მოხვედრილ ადამიანს, რომელიც დინამიკურად უკვე შეიცავს საზოგადოებრივ ძალებს (საზგასმა ჩემია, — ა. ა.), იგი ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრები და ერთმანეთს შორის მოლაპარაკე ინდივიდების გარეშე“.[1]

ხაზგასმით აღნიშნული ადგილები საინტერესოა „რობინზონ კრუზოს“ სიუჟეტთან კავშირში. გაიხსენეთ: რობინზონში იმდენადაა საზოგადოებრივი ძალები, რომ ვითარების შეცვლისას იგი „ბუნებრივი ადამიანიდან“ სწრაფად იქცევა ჯერ პატრიარქალურ მონათმფლობელად (პარასკევა), ხოლო შემდეგ ფეოდალად (ახალმოსახლეთა კოლონია). იგი კაპიტალისტადაც იქცეოდა, თუკი მისი „საზოგადოება“ განაგრძობდა განვითარებას.

რობინზონიადა ნამდვილი განძი იყო პოლიტიკური ეკონომიის სუბიექტური სკოლისათვის, რომელიც ცდილობდა, ეკონომიკური მოვლენები განეხილა ცალკეული ადამიანის შეგრძნებებისა და ფსიქოლოგიის პრიზმაში. XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენებული ეს პოლიტიკური ეკონომია, რომლის ყურადღების ცენტრში იდგა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 12, стр. 710.

„ატომისტური ინდივიდი“, რობინზონზე უფრო შესაფერის ფიგურას ვერ გამოიგონებდა.

მართლაც, რობინზონიადის ყველაზე დამახასიათებელ მაგალითს წარმოგვიდგენს ავსტრიული სუბიექტური სკოლის უმსხვილესი ეკონომისტი ბემ-ბავერკი. ავტორი აიძულებს რობინზონს, ორჯერ გახდეს მისი მსჯელობის ამოსავალი პუნქტი — ღირებულების თეორიაში და დაგროვების თეორიაში.

ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეების მწერლები ხედებოდნენ, რომ ღირებულება — ეს საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა პროდუქტი იწარმოება როგორც საქონელი საზოგადოებაში გაცვლისათვის. ბემ-ბავერკს კი, როგორც თვით წერს, ღირებულების ცნების შემოღებისათვის ყოფნის „კოლონისტი, რომლის მორებით ნაგები ქოხი, ყოველგვარი გზიდან მოშორებული, განმარტოებით დგას პირველყოფილ ტყეში“. ამ რობინზონს ხუთი ტომარა ხორბალი აქვს და მათგან უკანასკნელის სარგებლიანობით ზომავს ხორბლის ღირებულებას.

კაპიტალი საზოგადოებრივი ურთიერთობაა წარმოების საშუალებების მფლობელებსა და წარმოების საშუალებათა უქონელთა შორის, რომელიც ყიდის თავის სამუშაო ძალას და განიცდის ექსპლოატაციას. კაპიტალი აღმოცენდება მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე. მაგრამ ბემ-ბავერკისათვის ეს უბრალოდ ყოველგვარი ნივთიერი ფორმის მქონე შრომის იარაღია. ამიტომ, ვიდრე რობინზონი ტყეში მხოლოდ ველურ ხილს აგროვებს, მას არა აქვს არავითარი კაპიტალი, მაგრამ, როცა იგი თავისი სამუშაო დროის ნაწილს დახარჯავს თავისთვის მშვილდისა და ისრის დასამზადებლად, იგი, ბემ-ბავერკის აზრით, იქცევა კაპიტალისტად: ეს კაპიტალის დაგროვების პირველადი აქტია. როგორც ვხედავთ, კაპიტალი არავითარ ექსპლოატაციასთან არ არის დაკავშირებული.

ექიმი მანდევილის პარადოქსები

ლოხდონის იმავე ყავახანებში და წიგნის ფარდულებში, სადაც გამოჩნდებოდა ხოლმე დეფო, შეიძლებოდა შეეხვედროდით მეორე კოლორიტულ ფიგურას — ექიმ ბერნარდ მანდევილს. ექიმი პრაქტიკის გარეშე, ღარიბი უბნის მკვიდრი, მხიარულ მეგობართა წრეში ხეტიალის მოყვარული არასახარბიელო რეპუტაციით სარგებლობდა. ამბობდნენ, რომ ის ცხოვრობს სპირტის გამომხდელებისა და ლუდის მხარშავების მოწყალებით, რასაც უხდიდნენ მას გაზეთებში გამოსვლისათვის სპირტიანი სასმელების დასაცავად.

ბერნარდ მანდევილი დაიბადა 1670 წ. ჰოლანდიაში. 1691 წ. ლეიდენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მალე გადასახლდა

ინგლისში — ლონდონში გაატარა თავისი ცხოვრება, რომლის შესახებ დაჭვრილებითი ცნობები არ არსებობს. იგი იქვე გარდაიცვალა 1733 წ.

როგორც ფილოსოფოსს და მწერალს მანდევილს სახელი გაუთქვა ორთქა ნაწარმოებმა — 1705 წ. მან ანონიმურად გამოსცა მცირე თხზულება ბდარე ლექსების სახით, სათაურით: „მდრტვინავი სკები ანუ პატიოსნად ქცეული თაღლითები". ამ პოემას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყრია. 1714 წ. მანდევილმა გამოაქვეყნა იგივე ლექსები, ახლოლდ მას დაუმატა საკმაო მოცულობის მსჯელობა პროზით. ახლა მას ეწოდებოდა „იგავი ფუტკრების შესახებ, ანუ კერძო მანკიერებანი — საზოგადოებრივი სარგებლობა". ასეთი სათაურით შევიდა მანდევილის წიგნი მსოფლიო ლიტერატურაში.

მაგრამ ეს გამოცემაც ლიტერატურაში ეტყობა, შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ 1723 წ. ახალმა გამოცემამ — „იგავი ფუტკრების შესახებ", რომელსაც მყვირალა ქვესათაური ჰქონდა — „გამოკვლევა საზოგადოების ბუნების შესახებ", გამოიწვია ის, რასაც, შესაძლებელია ავტორი ვარაუდობდა. მიდლსექსის საგრაფოს სასამართლომ ეს წიგნი აღიარა „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევად", პრესაში მის ირგვლივ გაიშალა პოლემიკა, რომელშიც მანდევილმა აშკარა კმაყოფილებით მიიღო მონაწილეობა. ავტორის გარდაცვალებამდე გამოვიდა კიდევ ხუთი გამოცემა, ხოლო 1729 წ. გარდა ამისა, მან გამოუშვა მეორე ტომი წიგნისა „იგავი ფუტკრების შესახებ".

მანდევილმა დიდი გავლენა მოახდინა ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაზე, უწინარეს ყოვლისა სმიტსა და მალთუსზე (თუმცა სიტყვიერად ორივე ხუმრობით თავს არიდებდნენ მას, როგორც უხეშ ცინიკოსს!). ეს გავლენა ეხება არა ძირითადი კატეგორიების დამუშავებას (ღირებულება, კაპიტალი, მოგება და ა. შ.). არამედ უმეტესად ძირითად ფილოსოფიურ პოზიციებს, რომელიც საფუძვლად დაედო კლასიკურ სკოლას.

მანდევილის მთავარი პარადოქსის შემცველია ფრაზა: „კერძო მანკიერებანი — საზოგადოებრივი სარგებლობა". მანკიერების (Vices) ნაცვლად ჩასვით სმიტის ცნობილი self — interest (თავისი ანგარებიანი ინტერესი), და თქვენ მიიღებთ სმიტის ძირეულ შეხედულებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე: თუ ყოველ ინდივიდს მივცემთ შესაძლებლობას, გოხივრულად მიჰყვეს თავის ინტერესს, თავის სარგებლიანობას, მაშინ ეს ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოების გამდიდრებას და აყვავებას. სმიტი თავის წიგნში — „ზნეობრივი გრძნობების თეორია" — ასე აკრიტიკებს მანდევილს: ავტორი „იგავებისა ფუტკრების შესახებ" თითქოს არ არის სწორი მხოლოდ იმაში, რომ იგი ყოველგვარ ეგოისტურ მისწრაფებას და მოქმედებას „მანკიერებას" უწოდებს. ვთქვათ, ახგარება სრულიადაც არ არის მანკიერება.

ძაგრამ ამით მანდევილის მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერების ისტორიისათვის არ ამოიწურება. თავის სატირაში მან მოგვცა ბურჟუაზიული საზოგადოების გულსიანი კრიტიკა და ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღმოაჩინა ზოგიერთი მისი ძირეული მანკიერება. სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი, „პატიოსანი და ნათელი გონების მქონე კაცის“[1] ამორალურობა, — შენიშნა მარქსმა მანდევილის შესახებ.

ფუტკრის სკა — ეს ადამიანთა საზოგადოებაა, უფრო ზუსტად, მანდევილის დროინდელი ბურჟუაზიული ინგლისი. იგავის პირველი ნაწილი სვიფტის კალმის საკაღრისია. სატირაა ინგლისზე, რომელსაც წითელი ხაზივით გასდევს აზრი: ასეთი საზოგადოება შეიძლება არსებობდეს და წარმატებითაც ვითარდებოდეს მხოლოდ მასში გამეფებულ უთვალავ მანკიერებათა, უაზრობათა და დანაშაულებათა წყალობით. ამ საზოგადოების „წარმატებით განვითარება“ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ მილიონობით ადამიანი „განწირულია იმუშაოს ნამგლისა და ნიჩბის დახმარებით და ეწეოდეს სხვა მძიმე სამუშაოს. სადაც ეს უბედურები ყოველდღიურად ფიტავენ თავიანთ ძალებსა და სხეულს, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოიკვებონ“.[2] მაგრამ ეს სამუშაოც მათ აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ მდიდრებს უყვართ კომფორტი და ფუფუნება და ამიტომ აუარება ფულს ხარჯავენ ნივთებზე, რომლებზეც მოთხოვნილება ხშირად გამოწვეულია მოდით, ფანტაზიით, პატივმოყვარეობით და ა. შ. ხარბი გამომძალველი-იურისტები, თაღლითი ექიმები, ზარმაცი და უვიცი მღვდლები, მოჩხუბარი გენერლები, დამნაშავენიც კი — ესენი აუცილებელნი არიან საზოგადოებაში საღი აზრის საწინააღმდეგოდ, რატომ? იმიტომ, რომ მათი საქმიანობა წარმოშობს მოთხოვნას ყოველგვარ საქონელზე და მომსახურებაზე, ახალისებს შრომისმოყვარეობას, გამომგონებლობას, გონიერებას.

ამრიგად, ამ საზოგადოებაში „ფუფუნება მილიონობით ღარიბს აძლევდა სამუშაოს, საზიზღარი ამპარტავნობა — კიდევ მილიონს. თვით ბოროტება და პატივმოყვარეობა ემსახურებოდნენ შრომისმოყვარულობას, ხოლო მათ მიერ წარმოშობილი — საკვების. მოწყობილობების და ტანსაცმლის ცვალებადობა, ეს ძველი და სასაცილო მანკიერება იქცა ვაჭრობის ყველაზე მთავარ მამოძრავებლად“.[3]

(როგორ არ მოვიხსენიოთ აქ, მაგალითად, ამერიკის საავტომობილო კომპანიები, რომლებიც ყოველგვარი ტექნიკური აუცილებლობის გარეშე ყოველწლიურად ცვლიან მანქანის მოდელებს, მხოლოდ იმისათვის, რომ იმოქმედონ მყიდველთა პატივმოყვარეობაზე და ძალას არ ზოგავენ გასაღების გადიდებისათვის. ამ კომპანიების ხელმძღვანე-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 776.

[2] B. Mandeville, The Fable of the Bees. Or Private Vices, Public Benefits. With an Essay on Charity and Charity — Schools. And a Search into the Nature of Society 5th ed. L, 1728, p. 3.

[3] Ibid., p. 10.

ლებს შეუძლიათ მთლიანად დაეთანხმონ მანდეკილს, რომ მრეწველობის მძლავრი განვითარება ემყარება „მერყეობას“ და ადამიანების სხვა სისუტეს, თახაც ამ სისუსტეს გულმოდგინედ ელოლიავებიან[1].

მაგრამ ფუტკრები ჩივიან სკაში მანკიერების ბატონობაზე, და აი იუპიტერმა, რომელსაც მობეზრდა მათი საჩივრები, მოულოდნელად გახდევხა მათი მახკიერება და ყველა ფუტკარი ქველმოქმედად აქცია. მფლანგველობა იცვლება მომჭირნეობით. ქრება ფუფუნება, ჩვეულებრივი მოხმარების გარდა წყდება ყოველგვარი მოხმარება. ისპობა პარაზიტული პროფესიები. მათ, შოვინიზმისა და აგრესიისაგან განთავისუფლებულთ, „აღარა ჰყავთ ჯარი საზღვარგარეთ, უცხოელები დასცინიან ომებით შექმნილ პრესტიჟებს და ფუჭ დიდებას“.[1]

ერთი სიტყვით, ზეიმობს ადამიანური თანაცხოვრების ნორმალური, ჯანმრთელი პრინციპები. მაგრამ, უი საშინელება! სწორედ ამას მოაქვს საზოგადოებისათვის ნგრევა და დაღუპვა, რაც მანდეკილმა ლექსად გამოხატა:

შეადარეთ სხვა იმას, რაც იყო:
ვაჭრობა პატიოსნებამ დაღუპა.
გაქრა ფუფუნება, ამპარტავნობა,
მაგრამ მთლად კარგად არ მიდის საქმეები —
მოკვდა არა მხოლოდ მფლანგველი,
რომელიც უანგარიშოდ ხარჯავდა ფულებს, —
სად წავა ყველა ღარიბი
ვინც მიჰყიდიდა მას თავის შრომას?
ყველგან პასუხი ერთია:
არ არის გასაღება და სამუშაოც აარა!..
ყველა მშენებლობა ერთბაშად შეწყდა,
ხელოსნებს დაუმთავრდათ შეკვეთები,
მხატვარი, დურგალი, კალატოზი —
ყველა უმუშევარია და უსახლკაროდაა[2].

მოკლედ რომ ვთქვათ. იწყება ეკონომიკური კრიზისი: იზრდება უმუშევრობა, საქონელი გროვდება საწყობებში, ეცემა ფასები და შეძოსავალი, წყდება მშენებლობა. რა საზოგადოებაა, სადაც წარმატებით განვითარებას ესაჭიროება მუქთახორები, მილიტარისტები, მფლანგველები და თაღლითები, ხოლო ისეთი აუცილებელი ქველმოქმედება, როგორიცაა მშვიდობისმოყვარეობა, პატიოსნება, მომჭირნეობა. ზომიერება, იწვევს ეკონომიკურ კატასტროფას!

მანდეკილის იდეები, განვითარებული მის მიერ გროტესკული, პარადოქსული ფორმით, განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება მომდევნო საუკუნის პოლიტიკური ეკონომიის განვითარების შუქზე. მივუთითებთ მხოლოდ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტზე.

---

[1] Ibid., p. 18.

[2] 1974 წ. გამოქვეყნდა ბ. მანდეკილის „იგავი ფუტკრების შესახებ“, პირველი რუსული გამოცემა (გამომც. „მისლი“, სერია „ფილოსოფიური მემკვიდრეობა“. თხზულების ლექსად თქმული ნაწილი იქ გადათარგმნილია პროზით).

აზრი ყველა კლასისა და ფენის (მიწათმფლობელების, მღვდლების, ჩინოვნიკების და სხვ.) მწარმოებლურობისა და ეკონომიკური აუცილებლობის შესახებ აიტაცეს მალთუსმა და მისმა მიმდევრებმა. მცირე პამფლეტში, რომელსაც შეიცავს „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, მარქსმა ასეთი შეხედულებების გამოსააშკარავებლად გამოიყენა მანდევილის აზრი და სტილიც კი.

იდეა გადაჭარბებული მომჭირნეობის მავნებლობის, მოთხოვნილების და დასაქმების შემქმნელი არამწარმოებლური ხარჯების სარგებლიანობის და აუცილებლობის შესახებ მკვდრეთით აღადგინა და კანონის რანგში აიყვანა კეინსმა. იგი მანდევილს (ისევე როგორც მალთუსს) თავის წინამორბედად თვლიდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, რომელსაც არ უნდოდა შეემჩნია რაიმე მანკიერება კაპიტალისტურ სისტემაში, მანდევილს გაქნილ თაღლითად და გაქნილ კაზუისტად თვლიდა. არავის არ მოსდიოდა აზრად, ღაეგმო მომჭირნეობა, რომელიც ადამ სმიტმა კერძო და სამოქალაქო ქველმოქმედების პირველ რანგამდე აიყვანა. მხოლოდ 1929—1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უმსხვილესი ბურჟუაზიული ეკონომისტების აზრი წარმართა მანდევილის გზით: თუ ადამიანები შეეცდებიან დაზოგონ, მაშასადამე, ისინი არ იყიდიან საქონელს, მაშინ დაეცემა „ეფექტური მოთხოვნა“; ადამიანები უნდა ვაიძულოთ, ყოველი საშუალებით და ყოველი მიზნისთვის დახარჯონ ფული.

კლასიკური სკოლის ჩამოყალიბება

ფიქრობენ, რომ პირველად პოლიტიკური ეკონომიის როგორც განსაკუთრებული მეცნიერების კურსის კითხვა დაიწყო სმიტის მოსწავლემ და მეგობარმა, დაგალდ სტიუარტმა 1801 წ. ედინბურგის უნივერსიტეტში. მხოლოდ XIX საუკუნეში გაჩნდა და თანდათანობით დამკვიდრდა პროფესორ-ეკონომისტის ფიგურა, თუმცა ამის შემდეგაც უმნიშვნელოვანესი წვლილი მეცნიერებაში შეჰქონდათ არაპროფესორებს. ხიჩიერი ადამიანები, რომლებიც XVII და XVIII საუკუნეებში ქმნიდნენ ახალ მეცნიერებას, შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად.

პირველი, ეს ფილოსოფოსებია, რომლებიც სწავლობენ ეკონომიკის საკითხებს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ბუნებისა და საზოგადოების საერთო სისტემის ფარგლებში. ამათგან ყველაზე უფრო თვალსაჩინონია ინგლისში — თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, დავიდ იუმი და. გარკვეული აზრით, თვით ადამ სმიტი; საფრანგეთში — ჰელვეციუსი, კონდილიაკი; იტალიაში — ბეკარია;

მეორე, ვაჭრები და საქმიანი ხალხი, რომლებიც ვაჭრობის ვიწ-

ოო პრაქტიკიზმიდან გადავიდნენ სახელმწიფო საქმეებზე და ცდილობდნენ ეაროვნათ სახელმწიფო მასშტაბით. აქ შეიძლება დავასახელოთ თომას მახის, ჯონ ლოს, დადლი ნორსის, რიჩარდ კანტილიონის სახელები. საფრანგეთში ბუაგილბერი, ტიურგო, გურნე წარმოადგენდნენ ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელ მოსამართლე ჩინოვნიკების შტოს;

და ბოლოს. მესამე, ეს რაზნოჩინელი ინტელიგენტები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებია, რომლებიც ზოგჯერ გადადიოდნენ უმაღლეს კლასში. ზოგჯერ კი — ვერა. ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა, რომ თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიას განსაკუთრებული წარმატებით სწავლობენ შედიკეები: უილიამ პეტი, ნიკოლას ბარბონი, ბერნარდ მანდევილი, ფრანსუა კენე. ეს გასაგებიცაა: მედიცინა იყო ერთადერთი ბუნებათმეცნიერული სპეციალობა და იზიდავდა მოაზროვნე და ენერგიულ ადამიანებს. XVIII ს-ის ეკონომისტებს შორის ჩნდებიან სასულიერო პირები: აბატები საფრანგეთსა და იტალიაში (მათ რიცხვში ღრმა და ორიგინალური იტალიელი ეკონომისტი გალიანი), ანგლიკანი პასტორები ინგლისში (ტაკერი, მალთუსი).

არ შეიძლება წინასწარ არ აღინიშნოს, რომ ეს საზღვრები მეტად პირობითია და მით უმეტეს არ განსაზღვრავს იდეების განვითარებას. მაგრამ ისინი გვეხმარებიან მეცნიერების ჩამოყალიბების რთული პროცესის გარკვევაში.

ეკონომიკურ თხზულებათა მთავარი მოტივი, როგორც უწინ, პრაქტიკულია: განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთება ან კრიტიკა. მაგრამ XVIII ს-ის 60-იან წლებში ტიურგოსა და ჯემს სტიუარტის გამოქვეყნებული თხზულებანი მკვეთრად განსხვავდებიან XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის მერკანტილისტური პამფლეტებისაგან, ეს პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების სისტემატური და თეორიული გადმოცემის პირველი ცდებია.

გარდა ამისა, „პრაქტიკული მოტივი“ უნდა სხვადასხვაგვარად გავიგოთ ზოგიერთებისათვის იგი პრესაში თავისი კლასის ინტერესებისა და თავისი პირადი ინტერესების პირდაპირი დაცვაა. სხვებისათვის — საზოგადოებრივი მოვლენების მეცნიერული შეცნობის უღრმესი პროცესია, რომელიც მხოლოდ რთული და შუალობითი ფორმით ითვალისწინებს კლასობრივ ინტერესს. რა თქმა უნდა, რომ კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იქმნებოდა მეორე ტიპის ადამიანების მიერ. მაგალითად, ადამ სმიტი არ იყო არც სოვდაგარი, არც მრეწველი და შეუძლებელია პირადი გამორჩენის იმედი ჰქონოდა თავისუფალი ვაჭრობის იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც იგი ასაბუთებდა „ხალხთა სიმდიდრეში“. უფრო მეტიც, მისი ცხოვრების ერთ-ერთი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მან მიიღო შემოსავლიანი ადგილი საბაჟოში — დაწესებულებაში, რო-

მელიც სწორედ იმ სისტემის განსახიერებას წარმოადგენდა, რომლის წინააღმდეგაც იგი იბრძოდა.

თავისი პარადოქსების მთელი სიცხადისას მანდევილი რამდენადმე განცალკევებით დგას ინგლისში კლასიკური სკოლის ჩამოყალიბების ისტორიაში. ამ სკოლის ჩამოყალიბება პირველ რიგში დაკავშირებულია ლოკისა და ნორსის სახელებთან, რომლებიც პეტის პირდაპირი გამგრძელებლები იყვნენ.

XVII ს-ის ფილოსოფოსს, შემეცნების მატერიალისტური თეორიის ერთ-ერთ შემქმნელს, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მამამთავარს — ჯონ ლოკს ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი თხზულების წყალობით, რომელიც 1691 წ. გამოქვეყნდა სათაურით: „ზოგიერთი მოსაზრება სარგებლის შემცირებისა და ფულის ფასეულობის ამაღლების შედეგების შესახებ". ამასთან ერთად ლოკის ფილოსოფია მთლიანობაში იყო მთელი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის აგების საფუძველი XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისშიც კი. ლოკი საზოგადოებრივ მეცნიერებებში ავითარებდა ბუნებითი სამართლის იდეას, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ნიუტონის მექანიკური მატერიალიზმის თავისებურ ეკვივალენტს წარმოადგენდა. თავისი დროისათვის ეს იდეები, როგორც ზემოთ ითქვა, პროგრესული იყო. რადგან საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში შემოჰქონდათ ობიექტური კანონზომიერების პრინციპი. ზიღმეტი ღირებულების გაგებაშიც კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ლოკმა ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან გადადგა. იგი წერს, რომ ადამიანს ბუნებრივად უნდა ჰქონდეს იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებაც შეუძლია თავისი შრომით. და იმდენი სხვა დოვლათი (მათ რიცხვში, როგორც ჩანს, ფული), რაც მისთვის აუცილებელია პირადი მოხმარებისათვის. მაგრამ საკუთრების განაწილებაში ხელოვნური უთანაბრობა იწვევს იმას, რომ ზოგ ადამიანს აქვს ჭარბი მიწა და ფული; მიწას ისინი იჯარით აძლევენ. ფულს კი — სესხად. მიწის რენტა და სასესხო სარგებელი ლოკს არსებითად ესმოდა, როგორც ექსპლოატატორული შემოსავლის ორი მსგავსი ფორმა.

თავისებური პროვინება იყო დადლი ნორსი. იგი, არისტოკრატიული გვარის უმცროსი შთამომავალი, ბავშვობაში მეცნიერების შესწავლისადმი იმდენად უნიჭობას იჩენდა, რომ შეგირდად მიაბარეს ლევანტის კომპანიის ხოვდაგარს. ნორსმა მრავალი წელი თურქეთში გაატარა და 40 წელს მიღწეული გამდიდრებული დაბრუნდა იქიდან, მაგრამ, როგორც ერთი ავტორი წერს, „იგი ჰგავდა ბარბაროსს, მხოლოდ მცირედით იყო მასზე კულტურული". ნორსმა თავისი იანიჩრული ჩვევები გამოავლინა, როცა 1683 წ. კარლ II-ის დროს ტორული რეაქციის პერიოდში ვაჭრა შერიღი (უმაღლესი საპოლიციო ჩინი) ლონდონის სიტიში. იგი ერთგულად ემსახურებოდა მეფეს და დიდი ზიანი მიაყენა ვიგებს.

რისთვისაც დაიმსახურა რაინდის წოდება და სერ დადლად იქცა. ამის შემდგომ მას ეკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოსტი, მაგრამ 1688—1689 წწ. რევოლუციამ მას შემდგომი კარიერის შანსი მოუსპო.

მეცნიერებაში, ლოკთან შედარებით შეიძლება ათჯერ უფრო ნაკლები უნარის მქონე სერ დადლი, გამოირჩეოდა მკაფიო და გაბედული ეკონომიკური აზროვნების განსაკუთრებული უნარით, რომელიც არ ცნობდა არავითარ ავტორიტეტებს. მისი მეორე თხზულება — „მსჯელობა ვაჭრობის შესახებ", რომელიც დაიწერა იმავე პერიოდში, როცა ლოკის ნაშრომი და მიეძღვნა იმავე საკითხებს, იყო XVII საუკუნის ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა.

ნორსმა ბევრი გააკეთა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი მეცნიერული მეთოდის — ლოგიკური აბსტრაქციის განვითარებისათვის: რომ გააანალიზო ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ყოველთვის უსასრულოდ რთული და ურიცხვი კავშირების მქონეა, ის უნდა წარმოვიდგინოთ „წმინდა სახით", გავათავისუფლოთ ყველა არაარსებითი ნიშნისა და კავშირისაგან.

ნორსი პირველი შეეცადა, გაეგო შინაარსი კაპიტალისა, რომელსაც იგი იხილავდა მხოლოდ სარგებლის მომტანი ფულადი კაპიტალის სახით. მან მიუთითა, რომ სესესხო სარგებელი განისაზღვრება არა ფულის რაოდენობით ქვეყანაში (როგორც ამას მერკანტილისტები და თვით ლოკიც თვლიდა) არამედ შეფარდებით ფულადი კაპიტალის დაგროვებასა და მასზე მოთხოვნას შორის. ეს დაედო საფუძვლად სარგებლის კლასიკურ თეორიას, ხოლო შემდგომ აქედან აღმოცენდა მოგების კატეგორიის გაგებაც. ნორსმა საკმაოდ შეუწყო ხელი ფულის თეორიის განვითარებასაც.

მაგრამ ალბათ ნორსის თხზულებაში ყველაზე მყარია მერკანტილიზმის მისეული მკვეთრი და პრინციპული კრიტიკა, „ბუნებრივი თავისუფლების" მისეული გადამჭრელი მხარდაჭერა. ამის საბაბს წარმოადგენდა მისი (პეტისა და ლოკის კვალდაკვალ) გამოსვლა სარგებლის იძულებითი რეგულირების წინააღმდეგ. მაგრამ მერკანტილიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ნორსი უფრო შორს წავიდა, ვიდრე ისინი. ამ მხრივ იგი ადამ სმიტის ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი წინამორბედია.

ვერც ლოკი და ვერც ნორსი ვერ წავიდნენ პეტისე წინ შრომითი ღირებულების თეორიაში. მაგრამ XVII და XVIII ს-თა მრავალრიცხოვან თხზულებებში იგი თანდათანობით ვითარდება და მკვიდრდება, ამზადებს ნიადაგს სმიტისათვის. საზოგადოებაში შრომის დანაწილების ზრდა, წარმოების ახალი დარგების აღმოცენება, საქონელგაცვლის განვითარება — ყოველივე ამან განამტკიცა წარმოდგენა, რომ ადამიანები არსებითად ერთმანეთს უცვლიან შედეგებულ ადამიანურ შრომას. მაშასადამე, გაცვლის თანაფარდობა, საქონლის საცვლელი ღირებულე-

ბანი უნდა განისაზღვროს იმ შრომის რაოდენობით, რაც იხარჯება თითოეული საქონლის წარმოებაზე. იზრდება იმის შეგნება, რომ მიწა და წარმოების იარაღები უდავოდ მონაწილეობენ სიმდიდრის, როგორც სახმარ ღირებულებათა მასის შექმნაში, მაგრამ ღირებულების შექმნასთან არა აქვთ კავშირი.

ასეთი წარმოდგენა ცნებების ქაოსიდან და დახლართულობიდან ყალიბდება ნელა, დიდი შრომით. იდეის წარმოქმნის ასეთი დიდი ბრძოლა თავის გონებაში ასახა ადამ სმიტმა, რაშიც შევეცდებით გავერკვეთ ქვემოთ. ღირებულებითი თეორიის მის მნიშვნელოვან წინამორბედებს შორის უნდა დავასახელოთ რიჩარდ კანტილიონი, ჟოზეფ ჰარისი, ჯოზაი ტაკერი, რომლებიც 30—50-იან წლებში მოღვაწეობდნენ.

შესანიშნავი სიზუსტით, გარკვეულწილად თვით სმიტზე უკეთ, იძლევა შრომითი ღირებულების თეორიის ფორმულირებას ავტორი, რომლის პიროვნებაზე ჩვენ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რადგან მას უწოდებენ 1738 წლის ანონიმს. XVII და XVIII საუკუნეებში ეკონომიკურ თხზულებათა დიდი რაოდენობა ანონიმურად ქვეყნდებოდა. მაგრამ ზოგის ავტორი დიდი ხანია დადგენილია, ზოგმა კი მეცნიერებაში არ შეასრულა შესაბამისი როლი. გამონაკლისს წარმოადგენს 1738 წ. ანონიმი პიროვნება — მსგავსი „მარიამის ცხოვრების ოსტატის“ უცნობი ავტორისა, ან — „წმინდა ურსულას ლეგენდის ისტორიისა“ ხელოვნების ისტორიაში.

მოვიტანოთ ძირითადი აზრის გამომხატველი ციტატა მისი თხზულებიდან, რომელსაც მოკრძალებული სათაური აქვს: „ზოგიერთი მოსაზრება სარგებელზე საერთოდ, და სახელმწიფო ფონდებზე სარგებლის შესახებ განსაკუთრებით“. მკითხველს რომ ანალიზისათვის გაწეული შრომა გავუადვილოთ, მარჯვნივ მოგვყავს კომენტარები.

„საცხოვრებელი დოვლათის ნამდვილი და რეალური ფასეულობა პროპორციულია იმ როლისა, რომელსაც ისინი ასრულებენ ადამიანის მოდგმის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მათი ღირებულება კი, როცა ისინი ერთიმეორეზე იცვლებიან, რეგულირდება იმ შრომის რაოდენობით, რომელსაც აუცილებლად მოითხოვს მათი წარმოება და ჩვეულებრივ იხარჯება მისთვის. ხოლო მათი

არსებითად აქ ავტორი განაზღვრავს სახმარ ღირებულებას.

მოცემულია სახმარი ღირებულებისაგან სრულიად განსხვავებული საცვლელი ღირებულების ცნება. არსებობს ჩანასახი იდეისა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის შესახებ.

ღირებულება ანუ ღასი ყიდვა-ვაყიდვის დროს დაიყვანება საერთო მნიშვნელზე. განისაზღვრება დახარჯული შრომის რაოდენობით ან (მიმოქცევის) სახსრების დიდი ან უმცირესი რაოდენობით. ანუ საყოველთაო საზომით. წყალი სიცოცხლისათვის ისევე საჭიროა, როგორც პური ან ღვინო. მაგრამ ღმერთის მარჯვენამ ის ადამიანს ისეთი სიუხვით უწყალობა, რომ თითოეულს შეუძლია იგი უშრომლად ჰქონდეს საკმაო რაოდენობით. ასე რომ, მას ჩვეულებრივ არა აქვს ფასი. მაგრამ თუ სადმე (წყლის მისაღებად) აუცილებელია შრომის დახარჯვა პიროვნებისგან, მაშინ ეს შრომა უნდა ანაზღაურდეს. თუმცა თვით წყალი არ იყიდება. და ამიტომ ზოგიერთ გარკვეულ ადგილას კასრი წყალი შეიძლება იმდენივე ღირდეს. რამდენიც კასრი ღვინო"[1].

ავტორი განასხვავებს ფასს ღირებულებისაგან და აღნიშნავს, რომ ფასი მერყეობს ფულის სიჭარბის ან ნაკლებობის გამო.

ეგრეთ წოდებული „ღირებულების პარადოქსის" ეს კლასიკური ილუსტრაცია გვიჩვენებს პრინციპულ განსხვავებას სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის.

ავტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ მხოლოდ შრომა ქმნის ღირებულებას და არა ბუნება.

რამდენიმე წლით ადრე შრომითი ღირებულების თეორიის მეორე ზუსტი ფორმულირება მოგვცა ახალგაზრდა ბენჟამინ ფრანკლინმა, შემდგომში შესანიშნავმა მოაზროვნემ, მეცნიერმა-ფიზიკოსმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ერთ-ერთმა დამაარსებელმა. მის შრომას ეწოდება „მოკრძალებული გამოკვლევა ქაღალდის ფულის ბუნებისა და აუცილებლობის შესახებ", რომელიც 1729 წ. გამოქვეყნდა ფილადელფიაში. ფრანკლინი პეტის მიმდევარი იყო და მის იდეებს ავითარებდა. ქაღალდის ფულის სარგებლიანობის დასასაბუთებლად იგი იყენებს, მისი გაგებით, მნიშვნელოვან თეზისს, რომ ფული კი არ წარმოადგენს ღირებულების ჭეშმარიტ საზომს, არამედ შრომა. ამ თეზისის დასასაბუთებლად ფრანკლინს მოყავს შრომითი ღირებულების თეორიის თავისი ფორმულირება და მაგალითი ვერცხლისა და ხორბლის შესახებ, რომელიც ახლოა პეტის მაგალითთან.

---

[1]ციტირებულია R. L. Meek. Studies in the Labour Theory of Value. L., 1956, p. 42—43.

ფრანკლინი პეტიზე უფრო ახლოს მივიდა იდეასთან, ყველა სხვადასხვა სახის კონკრეტული შრომის თანასწორობის, საერთო თვისების იდეამდე. ის არ ხედავდა რაღაც განსაკუთრებულ თვისებებს ძვირფასი ლითონების მომპოვებელ შრომაში. მაგრამ აქ იყო მისი სისუსტეც. სწორად შენიშნავდა, რომ ღირებულების შექმნის თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არსებობს ვერცხლისა და ხორბლის წარმოებისათვის საჭირო შრომაში. იგი ფიქრობდა, რომ ამ ორ საქონელს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ საქონლების გაცვლასა და მიმოქცევაში. იგი უგულებელყოფდა სპეციფიკურ საზოგადოებრივ როლს ფულადი საქონლისას, რასაც მაშინ ვერცხლი წარმოადგენდა. ქაღალდის ფულს შეეძლო ფუნქციობა მხოლოდ როგორც ვერცხლის წარმომადგენელსა და შემცვლელს. ფრანკლინი კი მას განიხილავდა უბრალოდ როგორც ადამიანის ბონების ხელოვნურ გამონ. ბონს, ჩამოშორებულს სრულფასოვანი ფულისაგან.

თავის უფრო გვიანდელ შრომებში ფრანკლინი მრავალჯერ შეეხო ეკონომიკურ პრობლემებს. მას არ შეუქმნია დიდი წიგნები პოლიტიკურ ეკონომიაში და დეტალურად არ გამოუკვლევია ამ მეცნიერების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგრამ დიდი მოაზროვნეების შესწავლა არ შეიძლება წინასწარ აკრძალი თარგის მიხედვით. ხოლო სწავლულებისა, რომელნიც მუშაობდნენ მეცნიერების გარიჟრაჟზე— განსაკუთრებით. ფრანკლინმა დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მთელი თავისი ლიტერატურული, მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობით. მისგან იღებს სათავეს ეკონომიკური აზრი ამერიკის კონტინენტზე.

ღირებულების თეორიის განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს პროგრესი სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებშიც. ყოველმხრივი შესწავლით პეტის იდეისა იმის შესახებ, რომ დაქირავებული მუშის ხელფასი საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება მათი არსებობისათვის საჭირო საშუალებათა მინიმუმით, ეკონომისტები უახლოვდებიან ამ მინიმუმის ბუნების გაგებას. ისინი სწავლობენ ხალხთმოსახლეობის საკითხებს და რაღაც ზომით ერკვევიან იმ მექანიზმში, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ისეთ კვლავწარმოებას, რომლის დროსაც მუშებს შორის კონკურენციას ხელფასი დაყავს საარსებო მინიმუმამდე.

კაპიტალისა და კაპიტალზე შემოსავლის განმარტებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სავაჭრო-სამრეწველო მოგებისა და სასესხო სარგებლის გამიჯვნა. ჟოზეფ მესის და დავიდ იუმს, რომლებიც 50-იან წლებში წერდნენ, უკვე ნათლად ესმოდათ, რომ ნორმალურ პირობებში სარგებელი — ეს მოგების ნაწილია: ვაჭარი და მრეწველი

იძულებული არიან, მოგება გაუყონ ფულის, სასესხო კაპიტალის მფლობელს.

აბრიგად, სმიტამდელი პოლიტიკური ეკონომია არსებითად იხილავს ზედმეტ ღირებულებას, თუმცა არ ესმის მისი ბუნება და განიხილავს მხოლოდ მის განსაკუთრებულ ფორმებს — მოგებას და სარგებელს, და აგრეთვე მიწის რენტას. XVIII ს-ის 60-იანი წლებისათვის, როცა სმიტმა დაიწყო თავისი ეკონომიკური გამოკვლევები, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები ინგლისში უკვე ჩაყრილი იყო.

დავიდ იუმი

1776 წ. მარტსა და აპრილში სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი იუმი ჩქარობდა, ცდილობდა მოესწრო თავისი ცხოვრების ისტორიის დაწერა. ამის შემდეგ მან ოთხ თვეს იცოცხლა. ავტობიოგრაფიულ იუმის სიკვდილის შემდეგ მალე გამოქვეყნდა, რომელსაც დართული ჰქონდა მოკლე წერილი-წინასიტყვაობა, დაწერილი მისი უახლოესი მეგობრის ადამ სმიტის მიერ, რომელსაც მასთან მეოთხედი საუკუნის მეგობრობა აკავშირებდა. სმიტი აღწერდა ფილოსოფოსის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს. იუმი კვდებოდა სულის შესაშური სიმშვიდით და გაძორჩეული სიმტკიცით. იგი გულღია და მხიარული ადამიანი იყო, მან ეს თვისებები სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა, თუმცა ავადმყოფობამ ცოცხალ ჩონჩხად აქცია.

სმიტის წერილმა თავისებური როლი შეასრულა პოლიტიკურ ეკონომიაში. აქედან სავსებით ნათელი იყო, რომ იუმი, რომელსაც უკვე ჰქონდა უღვთო ადამიანის რეპუტაცია, სრულიადაც არ კვდებოდა როგორც ღვთისმოშიში ქრისტიანი და სმიტი აშკარად თანაუგრძნობდა ამ წარმართულ სულს.

გარდაცვლილ იუმსა და ცოცხალ სმიტს თავს დაატყდათ ეკლესიის მსახურთა მძვინვარება. არცთუ დიდი ხნის წინ გამოქვეყნებული სმიტის „ხალხთა სიმდიდრე“ თავდაპირველად შეამჩნია მხოლოდ განათლებული ადამიანების ვიწრო წრემ. მაგრამ იუმისა და სმიტის სახელების ირგვლივ წარმოშობილმა ლანძღვა-გინებამ, რომელიც თვით სმიტისათვის, ფრთხილი და თავმდაბალი ადამიანისათვის, უსიამოვნო მოულოდნელობა იყო, საერთო ყურადღების ცენტრში დააყენა მისი წიგნი. ერთიმეორეს მიჰყვა გამოცემები. და ათი წლის შემდეგ „ხალხთა სიმდიდრე“ ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ბიბლიად იქცა.

მაგრამ იუმი გზას უკაფავდა სმიტს სხვა აზრითაც. იუმის მცირე მოცულობის ბრწყინვალე ფორმის ესეებში მოკალათდა შეჯამებული სმიტამდელი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი მიღწევა მერკანტილიზმთან ბრძოლაში. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აზრის მომზადებაში „ხალხთა სიმდიდრისათვის“.

დავიდ იუმი დაიბადა 1711 წ. ედინბურგში. ღარიბი აზნაურის უმცროსი ვაჟიშვილი იძულებული იყო, თვით გაეკაფა ცხოვრებაში გზა, ძირითადად იმედი ჰქონდა თავისი მოქნილი კალმისა. 28 წლის იუმმა გამოსცა მთავარი ფილოსოფიური თხზულება — „ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ", რომელმაც იგი შემდგომში XVII ს-ის ბრიტანეთის ერთ-ერთ გამოჩენილ ფილოსოფოსად აქცია. მოგვიანებით იუმის ფილოსოფიამ აგნოსტიციზმის სახელწოდება მიიღო. ლოკის კვალდაკვალ იუმი აძტკიცებდა, მატერიალური ნივთების შესახებ ადამიანის ცოდნის უმნიშვნელოვანესი წყაროა შეგრძნებები. მაგრამ თვით ამ გარეშე ნივთებს (ე. ი. მატერიას) იგი პრინციპულად ბოლომდე შეუცნობლად თვლიდა. იუმიზმი ცდილობს მოძებნოს თავისი ადგილი სადღაც შუაში მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, მაგრამ სამყაროს შეუცნობადობის მტკიცება გარდუვლად მიდის უკანასკნელამდე. იუმი კრიტიკულად უდგებოდა რელიგიას და დიდი წვლილი შეიტანა ბნელეთის მოციქულებთან ბრძოლაში. მაგრამ იგი არ იყო თანამიმდევრული ათეისტი, ხოლო მისი ფილოსოფია ტოვებდა ხელჩასაჭიდს მეცნიერებისა და რელიგიის „შეხამებისათვის".

იუმის წიგნს თავდაპირველად არ ჰქონდა წარმატება. იგი ამას მის სირთულეს მიაწერდა და შეუდგა თავისი იდეების პოპულარიზაციას მცირე მოცულობის ნარკვევებში. გარდა ამისა, იგი იქცა საზოგადოების ფილოსოფიად. პირველი წარმატებები მას მოუტანა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა თხზულებებმა, ხოლო დიდება ევროპაში — მრავალტომიანმა „ინგლისის ისტორიამ". როგორც ისტორიკოსი, იუმი გამოდიოდა ტორის — მიწათმფლობელთა პარტიის — მომხრედ, რომელსაც ძიეტმასნა კონსერვატორული ბურჟუაზია. დახვეწილ ინტელიგენტს, „სულით არისტოკრატს", იუმს არ უყვარდა „ვიგური მდაბიოები", სძაგდა მედუქნეების უხეშობა და პურიტანების გონებაჩლუნგობა, ხოლო ლონდონის მდიდრებს — ფინანსისტებს — უწოდებდა „ბარბაროსებს ტემზის ნაპირებიდან".

იუმმა რამდენიმე წელი იცხოვრა პარიზში, სადაც იგი საელჩოს მდივანი იყო. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სალონებში და მეგობრობდა საფრანგეთის განათლების მრავალ მოღვაწესთან, განსაკუთრებით კი დ' ალამბერთან და ტიურგოსთან. შემდგომში იუმს ეკავა დიპლომატური პოსტი ლონდონში. თავისი უკანასკნელი წლები იუმმა გაატარა ედინბურგში, იმყოფებოდა მეგობრებით — მეცნიერებით და ლიტერატორებით — გარემოცულ ცენტრში.

იუმის ეკონომიკური თხზულებანი შეიცავს მრავალ საინტერესო აზრსა და დაკვირვებას. მაგალითად, მან ალბათ პირველმა მიუთითა, თანამედროვე ეკონომიკური ენით რომ ვთქვათ, მიმოქცევის პროცესში ფასებისა და ფულის რაოდენობის ურთიერთობის შესახებ. იუმი

განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ საქონლის ფასებს შორის ყველაზე ბოლოს იზრდება „შრომის ფასი“, ე. ი. მუშების ხელფასი. ეს მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი გვეხმარებიან იმ სოციალური და ეკონომიკური პროცესების გაგებაში, რომლებიც წარმოიშობიან ქაღალდის ფულის ინფლაციის დროს.

იუმმა XVIII ს-ში უფრო სრულად განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ ოქრო და ვერცხლი ქვეყნებს შორის ნაწილდება ბუნებრივი გზით, ხოლო ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, საბოლოო ანგარიშით, სტიქიურად მიილტვის თანასწორობისაკენ. ბუნებრივი წონასწორობის იდეა, რომელიც დამახასიათებელია მთელი კლასიკური სკოლისათვის, საერთოდ მკვეთრადაა გამოხატული იუმთან. ამაზე აფუძნებდა იუმი მერკანტილიზმის კრიტიკას თავისი პოლიტიკით ძვირფასი ლითონების ხელოვნური მოზიდვისა და შეჩერების შესახებ. სავაჭრო (უფრო ზუსტად საგადასახადო) ბალანსების ბუნებრივი გაწონასწორების კონცეფცია უფრო ღრმად განავითარა რიკარდომ. მის შესახებ ნარკვევებში ჩვენ დავუბრუნდებით ამ კონცეფციას.

მაგრამ იუმის სწორი დაკვირვებებიც კი მასთან დაკავშირებულია ფულის არსის გაგებასთან, რომელიც შინაგან წინააღმდეგობაში იმყოფება შრომითი ღირებულების თეორიასთან. იუმი, ფრანგების მსგავსად, საერთოდ იოლად გადიოდა ღირებულების თეორიის გარეშე; შეიძლება ამაშიც ვლინდება მისი ფილოსოფიური აგნოსტიციზმი და სკეპტიციზმი.

იუმი პოლიტიკურ ეკონომიაში, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია როგორც ფულის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი. იუმი და სხვა მსგავსი შეხედულებების მქონე ავტორები გამოდიოდნენ ეგრეთ წოდებული ფასების რევოლუციის ისტორიული ფაქტიდან. მას შემდეგ, რაც XVII — XVIII ს-ში ამერიკიდან ოქრო და ვერცხლი ევროპაში შემოვიდა, აქ ფასების დონემ თანდათანობით აიწია. თვით იუმის შეფასებით, ფასები საშუალოდ 3—4-ჯერ გაიზარდა. აქედან იუმი აკეთებდა თითქოსდა აშკარა დასკვნას: ფული (სრულფასიანი ლითონის!) გახდა ბევრი და აი ფასები შესაბამისად გადიდდა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, გარეგნობა მაცდურია. ამ პროცესის მთელი მსვლელობა შეიძლება და საჭიროცაა აიხსნას სხვაგვარად. მდიდარი საბადოების აღმოჩენამ გამოიწვია ძვირფასი ლითონების ამოღებაზე გაწეული შრომის დანახარჯების შემცირება და, ცხადია მათი ღირებულების დაცემა. რამდენადაც ფულის ღირებულება საქონლის მიმართ დაეცა, საქონლის ფასები გაიზარდა.

იუმის აზრით, მიმოქცევაში შეიძლება იყოს ფულის ჭანუსაზღვრელი რაოდენობის სრულფასიანი ლითონის ფული. „ფულის ღირებულება“ კი (უბრალოდ რომ ვთქვათ, საქონლის ფასები) ყალიბდება

მიმოქცევის პროცესში, როცა საქონელთა გროვა უპირისპირდება ფულის გროვას.

სინამდვილეში ფულიც და საქონელიც მიმოქცევაში ღირებულების მქონენი შედიან, რომელიც უკვე განსაზღვრულია საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებით. რადგან ეს ასეა, მაშინ მიმოქცევაში — ფულის ბრუნვის მოცემული სიჩქარის დროს — შეიძლება იყოს მხოლოდ ფულის განსაზღვრული რაოდენობა. ნაჭარბი, თუკი იგი წარმოიქმნება, გავა საზღვარგარეთ ან იქცევა განძად.

სულ სხვაა ქაღალდის ფული. მას მიმოქცევიდან არსად არ შეუძლია გასვლა. თითოეული ქაღალდის ფულის მსყიდველობითი ძალა სინამდვილეში დამოკიდებულია (სხვა ფაქტორებთან ერთად) ამ ქაღალდის ფულის რაოდენობაზე. თუ მას გამოუშვებენ იმაზე უფრო მეტს. ვიდრე აუცილებელია მიმოქცევისათვის სრულფასიანი ლითონის ფული, მაშინ ის გაუფასურდება. ამას, როგორც ცნობილია, ინფლაცია ეწოდება. იუმი განიხილავდა ოქროსა და ვერცხლის, ხოლო ნამდვილად აღწერდა ქაღალდის ფულის, მიმოქცევის მოვლენებს.

იუმის დამსახურება ისაა, რომ მან ისეთ პრობლემებს მიაქცია ყურადღება, რომლებიც დღესაც იად როლს ასრულებენ პოლიტიკურ ეკონომიაში: რით განისაზღვრება მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა? როგორ მოქმედებს ფულის რაოდენობა ფასებზე? როგორია ფასწარმოქმნის სპეციფიკა ფულის გაუფასურების დროს?

მ ე რ ვ ე თ ა ვ ი

ექიმი კენე და მისი სექტა

მოწოდება და აღიარება ადამიანებთან სხვადასხვაგვარად მოდის. ფრანსუა კენე ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო. პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა მან მაშინ დაიწყო, როცა 60 წელს მიაღწია. სიცოცხლის უკანასკნელი წლები კენემ გაატარა მეგობრების, მოწაფეების და თავისი მიმდევრების ვიწრო წრეში. ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც ზედგამოჭრილია ლაროშფუკოს სიტყვები: „შეგეძლოს იყო მოხუცი — ეს ხელოვნებაა, რასაც მხოლოდ მცირენი ფლობენ". რომელიღაც მისმა ნაცნობმა თქვა — მას 30 წლიანი თავი ადგია 80 წლიან სხეულზე.

კენე — XVIII ს-ის ფრანგი პოლიტეკონომისტია. იგი იყო ფიზიოკრატული სკოლის დამაარსებელი და მეთაური, რომელიც კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფრანგულ ვარიანტად იქცა.

განათლების საუკუნე

ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის, თვითონაც უკიდურეს რევოლუციონერებად გამოდიოდნენ. ისინი არავითარ გარეგან ავტორიტეტს არ ცნობდნენ, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. რელიგია, შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოება. საზოგადოებრივი წყობილება, ყოველივე ეს შეუბრალებელ კრიტიკას დაექვემდებარა; ყოველივე ამას თავისი არსებობა უნდა გაემართლებინა გონების სამსჯავროს წინაშე ან უარი ეთქვა თავის არსებობაზე"[1].

XVIII ს-ის ბრწყინვალე მოაზროვნეთა კოჰორტაში საპატიო ადგილი ეკავათ ეკონომისტებს — კენეს და ტიურგოს. განმანათლებლები იმედოვნებდნენ, რომ ფეოდალიზმის ყინული თანდათან გადნებოდა მზის მცხუნვარე სხივების განთავისუფლებული ადამიანის გონებით. ეს არ მოხდა. რევოლუციის მრისხანე ყინულმსხვრევამ ყველა-

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 20—21.

ფერი ყალყზე დააყენა, ხოლო ისინი, განმათავისუფლებლების უმცროსი თაობიდან, მათ რიცხვში ეკონომისტ-ფიზიოკრატებიც, ვინც ამას მოესწრო, შეშინებულნი გაეცალნენ ხალხის გამოაშკარავებული სახალხო მძვინვარების მორევს.

XVIII ს-ის შუა წლების ეკონომიკა, როცა დაიწყო კენეს სამეცნიერო მოღვაწეობა, ბევრით არ განსხვავდებოდა საუკუნის დასაწყისის ეკონომიკისაგან, როცა ბუაგილბერი წერდა. ეს ძველებურად გლეხური ქვეყანა იყო და გლეხების მდგომარეობა თითქმის არ გაუმჯობესებულა ნახევარი საუკუნის მანძილზე. როგორც ბუაგილბერი, კენეც თავის ეკონომიკურ თხზულებას იწყებს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობის აღწერით.

მაგრამ ნახევარი საუკუნის მანძილზე რაღაც მაინც შეიცვალა. აღმოცენდა და ვითარდებოდა, განსაკუთრებით ჩრდილო საფრანგეთში, კაპიტალისტური ფერმერების კლასი, რომელთაც ან საკუთარი მიწები ჰქონდათ, ან იჯარით იღებდნენ მას მემამულეებისაგან. სოფლის მეურნეობის პროგრესის თავისეულ იდეებს კენე ამ კლასს უკავშირებდა, ხოლო ასეთ პროგრესს იგი სამართლიანად თვლიდა მთელი საზოგადოების ჯანმრთელი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საფუძვლად.

საფრანგეთი დასუსტებული იყო უაზრო, გამაჩანაგებელი ომებით. ამ ომებში მან თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი ზღვისმიღმა სამფლობელოები და, მაშასადამე, მათთან მომგებიანი ვაჭრობაც. შესუსტდა მისი პოზიციები ევროპამიც. მრეწველობა პირველ რიგში ემსახურებოდა სამეფო კარის და უმაღლესი კლასების უაზრო ფუფუნებას და მფლანგველობას, მაშინ როცა გლეხობა უმეტესწილად იოლად გადიოდა შინახელოსნური ნაწარმით. ლოს სისტემის სკანდალური კრახი ამუხრუჭებდა კრედიტისა და საბანკო საქმის განვითარებას. მრავალ ადამიანს, რომელნიც XVIII საუკუნის შუა წლების საფრანგეთის საზოგადოებრივ შეგნებას გამოხატავდნენ, მიწათმოქმედება მიაჩნდათ ბშვიდობის, კეთილდღეობის და ბუნებრივობის უკანასკნელ თავშესაფრად.

ერი გაიტაცა სოფლის მეურნეობამ, მაგრამ გაიტაცა სხვადასხვაგვარად. ამაზე ლაპარაკი მოდად იქცა სამეფო კარზე, ვერსალში აწყობდნენ თოჯინების ფერმებს. პროვინციაში აღმოცენდა აგროკულტურის წახალისების რამდენიმე საზოგადოება, რომლებიც ცდილობდნენ დაენერგათ მეურნეობის „ინგლისური", ე. ი. უფრო მწარმოებლური, მეთოდები. დაიწყო აგრონომიული თხზულებების გამოცემა.

ამ პირობებში კენეს იდეებმა სწრაფად პოვა გამოხმაურება, თუმცა ძისი დაიხტერესება მიწათმოქმედებით სხვაგვარი იყო. ეყრდნობოდნენ თავის წარმოდგენას მიწათმოქმედების, როგორც მეურნეობის ერთადერთი მწარმოებლური სფეროს შესახებ და კენემ და მისმა

სკოლამ დაამუშავა ეკონომიკური რეფორმების პროგრამა, რომელიც ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. შემდგომში მის განხორციელებას ცდილობდა ტიურგო. მნიშვნელოვანწილად იგი განახორციელა რევოლუციამ.

კენე და მისი მიმდევრები უფრო ნაკლები რევოლუციონერები იყვნენ, ვიდრე განმათავისუფლებლების ძირითადი ბირთვი დიდროს მეთაურობით, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მარცხენა ფრთაზე, სადაც შემდგომში აღმოცენდა უტოპიური სოციალიზმი. როგორც გასული საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი ტოკვილი წერდა, ისინი იყვნენ „თვინიერი და მშვიდი ხასიათის ადამიანები, კეთილმოაზროვნე პატიოსანი თანამდებობის პირები, დახელოვნებული ადმინისტრატორები“[1]. კენეს უახლოეს თანამოღვაწეს, მგზნებარე ენთუზიასტ მირაბოსაც კი კარგად ახსოვდა იმდროინდელი ერთი მახვილგონივრული გავრცელებული გამოთქმა: საფრანგეთში მეტყველების ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ თქვა ყველაფერი და არ მოხვდე ბასტილიაში. თუმცა იგი ერთხელ მაინც დააპატიმრეს რამდენიმე დღით. მაგრამ გავლენიანმა ექიმმა კენემ ის სწრაფად იხსნა ციხიდან, ხანმოკლე პატიმრობამ კი მხოლოდ განამტკიცა მისი პოპულარობა. ამის შემდეგ იგი ფრთხილობდა.

მაგრამ ფიზიოკრატების მოღვაწეობა ობიექტურად მეტად რევოლუციური იყო და შეარყია ძველი წესრიგის საფუძვლები. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ წერდა, მაგალითად, რომ ტიურგო „პირდაპირი გავლენის თვალსაზრისით — საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი მამაა“[2].

მარკიზა პომპადურის მედიკი

ფავორიტმა ქალმა ოცდაათ წელს გადააბიჯა, მაგრამ იგი უკვე კარგავდა ქარაფშუტა და ავხორცი მონარქის კეთილგანწყობას. მოგვიანებით მან იკისრა მისი ჰარამხანის მართვა და ამ გზით სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა ახლო ურთიერთობა ხელისუფლებასთან. საფრანგეთის ორი ძლევამოსილი ადამიანის გვერდით იდგა ექიმი კენე, მარკიზას პირადი ექიმი და ლუდოვიკო XV-ის ერთ-ერთი ექიმი. მრავალი სახელმწიფო და ინტიმური საიდუმლოება იცოდა ამ წელში მოხრილმა, მოკრძალებულად ჩაცმულმა, ყოველთვის მშვიდმა და ოდნავ მქირდავმა ადამიანმა. მაგრამ ექიმ კენეს შეეძლო დუმილი და მისი ეს თვისება არანაკლებ ფასობდა, ვიდრე მისი პროფესიული ხელოვნება.

მეფეს უყვარდა ბორდო, მაგრამ კენეს მოთხოვნით, რომელიც

---

[1] А. Токвиль, Старый прядок и революция, М., 1898, стр. 178.
[2] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I., თბ., 1966, გვ. 413.

თვლიდა, რომ ეს ღვინო ძლიერ მძიმეა მონარქის კუჭისათვის, იგი იძულებული იყო, უარი ეთქვა მასზე. მაგრამ ვახშმად იგი იმდენ შამპანურს სვამდა, რომ ზოგჯერ მთვრალი მიეშურებოდა მარკიზას საძინებელში. რამდენიმეჯერ ის ცუდად შეიქნა, ასეთი შემთხვევისათვის ყოველთვის იქვე იყო კენე. მარტივი საშუალებებით იგი უმსუბუქებდა მდგომარეობას პაციენტს და, ამავე დროს, ამშვიდებდა მარკიზას, რომელიც კანკალებდა შიშისაგან: რა მოჰყვება იმას, თუკი მეფე მოკვდება მის საწოლში? მას ხვალვე დაადანაშაულებენ მის მკვლელობაში! კენე საქმიანად ამბობდა: ასეთი საშიშროება არ არსებობს, მეფე მხოლოდ 40 წლისაა, აი, ეს რომ 60 წლისა იყოს, მაშინ არ იკისრებდა თავდებობას მისი სიცოცხლისათვის. მრავლისმნახველ ჭკვიან ექიმს უსიტყვოდ ესმოდა პომპადურისა.

მედიცინაში კენე უფირატესობას აძლევდა მკურნალობას მარტივი და ბუნებრივი საშუალებებით, დიდ იმედებს ამყარებდა ბუნებაზე. მისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური იდეები სავსებით შეესაბამებოდნენ მისი ხასიათის ამ თვისებას. სიტყვა ფ ი ზ ი ო კ რ ა ტ ი ა ხომ ბუნების მბრძანებლობას ნიშნავს (ბერძნული სიტყვებიდან „ფიზის" — ბუნება, კრატოს — „მბრძანებლობა").

ლუდოვიკო XV წყალობდა კენეს და მას „ჩემს მეცნიერს" უწოდებდა. მან ექიმს უბოძა აზნაურობა და თვით აურჩია ღერბი. 1758 წ. თვით ხელის საბეჭდ მანქანაზე, რომელიც ექიმმა დაუდგა მას ფიზიკური ვარჯიშებისათვის, გააკეთა „ეკონომიკური ცხრილის" პირველი ამონაბეჭდები — თხზულებისა, რომელმაც შემდგომში კენეს სახელი გაუთქვა. მაგრამ კენეს არ უყვარდა მეფე და სულის სიღრმეში მას მუდამ საშიშ არარაობად თვლიდა. იგი სრულიადაც არ იყო ის ხელმწიფე, რომელზეც ოცნებობდნენ ფიზიოკრატები: სახელმწიფო კანონების ბრძენი და განათლებული დამცველნი. კენე სარგებლობდა სამეფო კარზე თავისი მუდმივი ყოფნითა და გავლენით და თანდათანობით ცდილობდა, შეექმნა ასეთი ხელმწიფე ლუდოვიკო XV-ის შვილისა და ტახტის მემკვიდრისაგან, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ — ახალი მემკვიდრისაგან, მეფის შვილიშვილ, მომავალ ლუდოვიკო XIV-ისაგან.

ფრანსუა კენე დაიბადა 1694 წ. ვერსალის ახლო სოფელში, იგი 13 შვილიდან მერვე შვილი იყო გლეხის ოჯახში, რომელიც აგრეთვე წვრილ ვაჭრობასაც მისდევდა. 11 წლამდე ფრანსუა კენემ არ იცოდა წერა-კითხვა, შემდეგ ვიღაც კეთილმა ადამიანმა ასწავლა მას კითხვა და წერა. შემდგომ სწავლობდა სოფლის კურესთან და მეზობელი ქალაქის დაწყებით სასწავლებელში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას უხდებოდა მძიმე სამუშაოს შესრულება მინდორსა და სახლში, მით უმეტეს, რომ ფრანსუას მამა მოუკვდა, როცა იგი 13 წლისა იყო. ბიჭი ისე იყო კითხვით გატაცებული, რომ მას შეეძლო განთიადისას

სახლიდან გამოსულს პარიზში ჩასვლა, საჭირო წიგნის არჩევა და ღამე სახლში დაბრუნება, ე. ი. რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლა.

17 წლის კენემ გადაწყვიტა ქირურგი გამხდარიყო და შეგირდად დაუდგა ადგილობრივ ესკულაპს. მთავარი, რისი გაკეთებაც მას უნდა შესძლებოდა, ეს იყო სისხლის გამოშვება: სისხლის გამოშვება იმ დროს მკურნალობის უნიკალური ხერხი იყო. როგორ ცუდადაც არ უნდა ყოფილიყო სწავლება დაყენებული იმ დროს, კენე ბეჯითად და სერიოზულად სწავლობდა. 1711—1717 წწ. იგი ცხოვრობდა პარიზში, ერთდროულად მუშაობდა გრავიორის სახელოსნოში და პრაქტიკას გადიოდა ჰოსპიტალში. 23 წლისა უკვე იმდენად მკვიდრად დგას საკუთარ ფეხებზე, რომ ქორწინდება ბაყალის მდიდარმზითვიან ქალიშვილზე, ღებულობს ქირურგის დიპლომს და იწყებს პრაქტიკას პარიზის ახლო მდებარე პატარა ქალაქ მანტში. კენე მანტში ცხოვრობს 17 წელი და თავისი შრომისმოყვარეობის, დახელოვნების და განსაკუთრებული უნარის—ჩაუნერგოს ხალხს ნდობა—წყალობით მთელ ოლქში იქცა ძლიერ პოპულარულ ექიმად. იგი ამშობიარებს (ამით კენემ განსაკუთრებით გაითქვა სახელი), უშვებს სისხლს, უღებს კბილებს და აკეთებს იმ დროისათვის საკმაოდ რთულ ოპერაციებს. მისი პაციენტების რიცხვში თანდათანობით ჩნდება არისტოკრატია. იგი უახლოვდება პარიზის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს, აქვეყნებს რამდენიმე სამედიცინო თხზულებას.

1734 წ. ქვრივი კენე ორი ბავშვით ტოვებს მანტს და ჰერცოგ ვილერუას მიწვევით იკავებს მისი სახლის ექიმის ადგილს. 30—40-იან წლებში იგი დიდ ენერგიას ახმარს ბრძოლას, რომელსაც ეწოდნენ ქირურგები „ფაკულტეტის“ — ოფიციალური სწავლული მედიცინის, — წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ უძველესი სტატუსის მიხედვით ისინი გაერთიანებული იყვნენ დალაქებთან ერთ ხელოსნურ ამქარში. ქირურგებს ეკრძალებოდათ თერაპიაში მუშაობა. კენე სათავეში უდგება „ქირურგიულ პარტიას“ და საბოლოოდ იმარჯვებს. ამავე პერიოდში კენე სცემს თავის მთავარ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ თხზულებას, თავისებურ სამედიცინო-ფილოსოფიურ ტრაქტატს, სადაც განხილულია მედიცინის ძირითადი საკითხები: თეორიისა და საექიმო პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ, სამედიცინო ეთიკის შესახებ და სხვ.

კენეს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო 1749 წ. მისი გადასვლა მარკიზა პომპადურთან, რომელმაც მისი თავი ჰერცოგს „გამოსთხოვა“. კენე დასახლდა ვერსალის სასახლის ანტრესოლებში. ამ დროისათვის ის უკვე ძალიან შეძლებული კაცი იყო.

კენეს ცხოვრებაში და საქმიანობაში მედიცინას დიდი ადგილი უკავია. ფილოსოფიის ხიდით ის მედიცინიდან პოლიტიკურ ეკონომიაში გადავიდა —ადამიანის ორგანიზმი და საზოგადოება; სისხლის

მიმოქცევა, ნივთიერებათა ცვლა ადამიანის სხეულში და პროდუქტის მიმოქცევა საზოგადოებაში — ამ ბიოლოგიურმა ანალოგიამ გარკვეული მიმართულებით წარმართა კენეს აზროვნება.

ვერსალის სასახლის ანტრესოლში კენემ 25 წელი იცხოვრა და სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე, როცა გარდაიცვალა ლუდოვიკო XV და ახალმა ხელისუფლებამ სასახლე გაასუფთავა ძველი მეფობის ნარჩენებისაგან, იძულებული გახდა გადასულიყო იქიდან. კენეს ახალი ბინა შედგებოდა ერთი დიდი, მაგრამ ბნელი ოთახისა და ორი საკუჭნაოსაგან. მიუხედავად ამისა, იგი მალე გადაიქცა „ლიტერატურული რესპუბლიკის“ — XVIII ს-ის 50-იანი წლების მეცნიერების, ფილოსოფოსების, მწერლების „ენციკლოპედიის“ გარშემო თავშეყრის ერთ-ერთ საყვარელ ადგილად. პირველ ხანებში კენე თავის იდეებს ქადაგებდა არა ბეჭდვითი სიტყვით, არამედ თავის ანტრესოლებში შეკრებილ მეგობართა წრეში. მას გაუჩნდნენ მოწაფეები და თანამოაზრენი, გაუჩნდნენ აგრეთვე მოწინააღმდეგენიც. შემოგვრჩა მარმონტელისეული ცოცხალი აღწერა კენესთან თავშეყრისა. „იმ დროს, როდესაც კენეს ანტრესოლებში ქარიშხალი ტრიალებდა, იგი გულმოდგინედ მუშაობდა თავის აქსიომებზე და გაანგარიშებებზე მიწათმოქმედების ეკონომიკაში და ამ დროს ისეთი მშვიდი და გულგრილი იყო სასახლის კარის ცვლილებებისადმი, თითქოს იგი მისგან ასი ლიეთი იყო დაშორებული. ქვევით ბჭობდნენ შშვიდობასა და ომზე, გენერლებისა და მინისტრების დანიშვნასა და გადაგდომაზე. ჩვენ კი ანტრესოლებში ვმსჯელობდით მიწათმოქმედების შესახებ და ვანგარიშობდით წმინდა პროდუქტს, ხოლო ზოგჯერ მხიარულად ვსადილობდით, დიდროს, დ' ალამბერის, დიუკლოს, ჰელვეციუსის, ტიურგოს, ბიუფონის საზოგადოებაში. ქალბატონი დე პომპადურიც, რომელსაც არ შეეძლო თავის სალონში მიეწვია ფილოსოფოსთა ეს კომპანია, ზოგჯერ თვით ამოდიოდა ზევით, რათა მაგიდასთან ენახა ისინი და ესაუბრა მათთან“[1].

დ' ალამბერის სიტყვებით, კენე „ყო „ფილოსოფოსი სასახლის კარზე, რომელიც განმარტოებასა და შრომაში ცხოვრობდა. მან არ იცოდა ქვეყნის ენა[2] და არც ცდილობდა მის შესწავლას, რადგან ნაკლებად იყო დაკავშირებული მის მცხოვრებლებთან; ეს იყო მოსამართლე იმდენადვე განათლებული, რამდენადაც მიუკერძოებელი, სრულიად თავისუფალი ყოველივე იმისაგან, რასაც ის ისმენდა და რაც მის ირგვლივ ხდებოდა...[3]“.

ᲩᲔ მოგვიანებით, როცა კენეს ირგვლივ შეკავშირდა სექტა, შეკრებებმა რამდენადმე სხვაგვარი ხასიათი მიიღეს: მაგიდას ძირითადად უსხდნენ კენეს მოწაფეები და მიმდევარნი ან ადამიანები, რომლებ-

---

1 J. F. Marmontel, Oeuvres, completes, t. 1. P. 1818, p. 291.
2 ესე იგი, კარისკაცთა ჭორებისა და ინტრიგების ენა.
3 François Quesnay et la physiocratie, t. 1. P., 1958, p. 240.

საც ისინი წარუდგენდნენ ხოლმე მას. 1766 წ. აქ რამდენიმე საღამო გაატარა ადამ სმიტმა.

ფიზიოკრატების სკოლას ხშირად სექტას უწოდებდნენ, თუმცა ამ სიტყვაში არ იგულისხმებოდა არავითარი ცუდი აზრი ან ირონია, მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ კენეს მიმდევრებს შორის მჭიდრო კავშირი. ადამ სმიტი, რომელიც კენეს უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა, „ხალხთა სიმდიდრეში" წერდა სექტის შესახებ.

როგორი იყო კენე? თანამედროვეთა მრავალი საკმაოდ სხვადასხვაგვარი ცნობიდან ყალიბდება ცბიერი ბრძენის სახე, რომელიც თავის სიბრძნეს რამდენადმე ფარავს პირადი უბრალოებით; მას სოკრატეს ადარებდნენ. ამბობენ, რომ მას უყვარდა ღრმააზრიანი და არცთუ ადვილად მისახვედრი იგავები. ის ძლიერ მოკრძალებული და პატივმოყვარე იყო. გარეგნულად კენე შეუმჩნეველი იყო და „ანტრესოლის კლუბში" მოხვედრილი ახალი ადამიანი უცბად ვერც ამჩნევდა, ვინ იყო აქ პატრონი და თავმჯდომარე. „ჭკვიანია როგორც ეშმაკი", — თქვა მირაბოს ძმამ კენესთან ყოფნის შემდეგ. „ცბიერია, როგორც მაიმუნი", — შენიშნა სასახლის კარის რომელიღაც მსახურმა, როცა მოისმინა მისგან ანდაზა. ასეთია იგი 1767 წ. დახატულ პორტრეტში: ულამაზო პლებეური სახე ირონიული ღიმილით და ჭკვიანი გამჭოლი თვალებით.

თავის გავლენას მარკიზაზე და თვით მეფეზე კენე იყენებდა იმ საქმის ინტერესებისათვის, რომლისაც იგი ასე ერთგული იყო. იგი (ტიურგოსთან ერთად) ხელს უწყობდა კანონმდებლობის რამდენადმე შერბილებას, აწყობდა თავისი თანამოაზრეების თხზულებათა გამოცემას, ხოლო ლემერსიე დაანიშნინა დიდ პოსტზე, სადაც იგი შეეცადა გაეტარებინა პირველი ფიზიოკრატიული ექსპერიმენტი. 1764 წ. ქალბატონ პომპადურის სიკვდილმა რამდენადმე შეასუსტა ეკონომისტების პოზიცია სასახლის კარზე, მაგრამ კენე ლაიბ-მედიკი იყო მეფისა, რომელიც ძველებურად წყალობდა მას.

ახალი მეცნიერება

გლეხი, რომელმაც მოხნა, გაანოყიერა და დათესა მიწის ნაკვეთი, აიღო მოსავალი. შეინახა თესლი, გამოყო ხორბალი ოჯახის გამოსაკვებად. ნაწილი გაყიდა ყველაზე აუცილებელი ქალაქური საქონლის შესაძენად. კმაყოფილებით დარწმუნებულია, რომ მას კიდევ აქვს რაღაც ნამეტი — რა შეიძლება იყოს ამ ისტორიაზე უფრო მარტივი? სხვათა შორის, სწორედ მსგავსმა მოვლენებმა წარმოშვა ექიმი კენეს სხვადასხვა აზრები.

კენემ კარგად იცოდა ამ ნამეტის ბედი: გლეხი ფულის ან ნატურის სახით მისცემს სენიორს, მეფეს და ეკლესიას. იგი თავის ერთერთ ნაშრომში აფასებდა კიდეც თითოეული მიმღების წილს: სენიო-

რს — ოთხი მეშვიდედი, მეფეს — ორი მეშვიდედი, ეკლესიას — ერთი მეშვიდედი. ისმება კითხვა: პირველი — რა უფლებით ართმევს ეს სამი მუქთამჭამელი ერთ მშრომელს მოსავლის ან შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს? მეორე — საიდან გაჩნდა ნამეტი?

პირველ კითხვაზე კენე დაახლოებით ასე უპასუხებდა: მეფესა და ეკლესიაზე არაფერია სათქმელი: ეს, ასე ვთქვათ, ღმერთისაგანაა მოცემული. რაც შეეხებათ სენიორებს, მან მოძებნა ამისთვის თავისებური ეკონომიკური ახსნა-განმარტება: მათი რენტა შეიძლება განვიხილოთ როგორც კანონიერი სარგებელი რაღაც „სამიწო ავანსზე" (avances foncières) — კაპიტალდაბანდებაზე. რაც თითქოს გაიღეს მათ იმისათვის, რომ მიწა სათანადოდ დაემუშავებინათ. ძნელია თქმა, თვით კენეს სჯეროდა თუ არა ეს. ყოველ შემთხვევაში მას მიწათმოქმედება ვერ წარმოედგინა მემამულეების გარეშე. პასუხი მეორე კითხვაზე მას უფრო ნათლად ეჩვენებოდა. მიწამ, ბუნებამ მისცა ეს ნამეტი! ასევე ბუნებრივად ითვისებს მას ის, ვისაც მიწა ეკუთვნის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ნამეტს. რომელიც იქმნება მისი წარმოების ყველა ხარჯის გამოკლების შემდეგ. კენემ უწოდა წმინდა პროდუქტი (Produit net) და გააანალიზა მისი წარმოება. განაწილება და ბრუნვა. წმინდა პროდუქტი ფიზიოკრატების განმარტებით — ეს ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების უახლესი სახესხვაობაა. თუმცა მას ისინი ცალმხრივად აიგივებდნენ მიწის რენტასთან და თვლიდნენ მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებად. მაგრამ მათი უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ მათ „ზედმეტი ღირებულების წარმოშობის გამოკვლევა... მიმოქცევის სფეროდან უშუალო წარმოების სფეროში გადაიტანეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს"[1].

კენემ და ფიზიოკრატებმა რატომ აღმოაჩინეს ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მიწათმოქმედებაში? იმიტომ, რომ იქ მისი წარმოების და მითვისების პროცესი მეტად თვალსაჩინოა. აშკარაა. მისი დანახვა შეუდარებლად ძნელია მრეწველობაში. საქმის არსი ისაა, რომ მუშა დროის ერთეულში ქმნის უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე საკუთარი თავის შენახვისთვისაა საჭირო. მაგრამ მუშა სრულიადაც არ აწარმოებს იმ საქონელს, რომელსაც იგი მოიხმარს. იგი, შეიძლება, მთელი სიცოცხლე ქაჩჩებსა და ხრახნებს აკეთებს, მაგრამ ის ჭამს პურს, ზოგჯერ ხორცსაც და, სრულიად შესაძლებელია, სვამს ღვინოს ან ლუდს. აქ რომ ზედმეტი ღირებულება დაინახო. უნდა იცოდე ქაჩჩები და ხრახნები, პური და ღვინო როგორ დაიყვანება საერთო მნიშვნელზე. ე. ი. უნდა გქონდეს წარმოდგენა საქონლის ღირებულებაზე. ასეთი წარმოდგენა კი კენეს არ ჰქონდა. იგი მას უბრალოდ აინტერესებდა.

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 13.

ზედმეტი ღირებულება მიწათმოქმედებაში თითქოს საჩუქარია ბუნებისა და არა ნაყოფი ადამიანის აუნაზღაურებელი შრომისა. იგი უშუალოდ არსებობს ზედმეტი პროდუქტის ნატურალური ფორმით, განსაკუთრებით პურში. თავისი მოდელის აგების დროს კენეს მასში შეყავდა არა ღარიბი გლეხი-მონახევრე, არამედ თავისი საყვარელი ფერმერი-მოიჯარე, რომელსაც ჰყავს მუშა პირუტყვი და აქვს უმარტივესი მოწყობილობა, აგრეთვე, ქირაობს მოჯამაგირეებს.

ასეთი ფერმერის მეურნეობაზე ფიქრებმა კენეს უბიძგა კაპიტალის გარკვეული ანალიზისაკენ, თუმცა სიტყვა „კაპიტალს“ ჩვენ მასთან არ ვხვდებით. მას ესმოდა, რომ დანახარჯები, დავუშვათ მიწის ამოშრობაზე, ნაგებობებზე, ცხენებზე, გუთანზე და ფარცხზე — ეს ავანსების ერთი ტიპია, ხოლო თესლზე და მოჯამაგირეების შენახვაზე — მეორე. პირველი სახის დანახარჯები გაიღება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და თანდათანობით ანაზღაურდება, მეორე კი — ყოველწლიურად ან განუწყვეტლივ და უნდა ანაზღაურდეს ყოველი წლის მოსავლით. შესაბამისად კენე ლაპარაკობდა თავდაპირველი ავანსების avances (ჩვენ მას ძირითად კაპიტალს ვუწოდებთ) და ყოველწლიური ავანსების Primitives (საბრუნავი კაპიტალის) შესახებ. ეს იდეები განავითარა ადამ სმიტმა. ამჟამად ეს ეკონომისტის ანბანია, მაგრამ თავისი დროისათვის ასეთი ანალიზი უდიდესი მიღწევა იყო. მარქსი ფიზიოკრატების მოძღვრების შესწავლას „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ იწყებს შემდეგი ფრაზით: „კაპიტალის ანალიზი ბურჟუაზიული ჰორიზონტის ფარგლებში არსებითად ფიზიოკრატებს ეკუთვნის. სწორედ ეს დამსახურება ხდის მათ თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილ ნამებად“[1].

ამ ცნებების შემოტანით კენემ შექმნა კაპიტალის ბრუნვისა და კვლავწარმოების, ე. ი. წარმოებისა და გასაღების პროცესების მუდმივი განახლებისა და განმეორების ანალიზის საფუძველი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის რაციონალური მართვისათვის. თვით ტერმინი კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა, რომელიც ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში, პირველად კენემ გამოიყენა.

კენემ მოგვცა მისი თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ასეთი აღწერა: „ერი შედგება მოქალაქეთა სამი კლასისაგან: მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი კ ლ ა ს ი ს ა გ ა ნ, მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა კ ლ ა ს ი ს ა გ ა ნ და უ ნ ა ყ ო ფ ო კ ლ ა ს ი ს ა გ ა ნ“[2].

სქემა ერთი შეხედვით მეტად უცნაურია! მაგრამ იგი ძლიერ ლო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, თბ., 1966, გვ. 11.
[2] ფ. კ ე ნ ე, Избранные экономические произведения, М., Соцэкгиз, 1960, стр. 360.

გიკურად გამომდინარეობს კენეს მოძღვრების საფუძვლებიდან და ასახავს როგორც მის ღირსებას, ისე უარყოფით მხარეებსაც. მწარმოებლური კლასი, რა თქმა უნდა, — ეს მიწათმოქმედნი არიან, რომელნიც არა მარტო აღადგენენ თავისი კაპიტალის დანახარჯებს და კვებავენ თავიანთ თავს, არამედ ქმნიან წმინდა პროდუქტსაც; მესაკუთრეთა კლასი ის კლასია, რომელიც წმინდა პროდუქტს ღებულობს: მემამულეები, სასახლის კარი, ეკლესია და ყველა მათი მსახური; და ბოლოს, ყველა სხვა დანარჩენი — უნაყოფო კლასი, ე. ი. ადამიანები, კენეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომლებიც ეწევიან სხვა საქმიანობას და სხვა სახის შრომას, რაც არ არის დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან“.

როგორ ესმოდა კენეს ეს უნაყოფობა? ხელოსნები, მუშები და ვაჭრები მის მიხედვით სხვა აზრით არიან უნაყოფონი, ვიდრე მიწის მესაკუთრენი. პირველნი, რასაკვირველია, მუშაობენ, მაგრამ თავიანთი შრომით არ არიან მიწასთან დაკავშირებული. ისინი სწორედ იმდენ პროდუქტს ქმნიან, რამდენსაც მოიხმარენ; ისინი მხოლოდ გარდაქმნიან მიწათმოქმედებაში შექმნილი პროდუქტის ნატურალურ ფორმას. კენეს აზრით, ეს ადამიანები თითქოს ღებულობენ ხელფასს ორი დანარჩენი კლასისაგან. პირიქით, მესაკუთრენი არ მუშაობენ. მაგრამ სამაგიეროდ ისინი მესაკუთრენი არიან მიწისა, წარმოების ერთადერთი ფაქტორისა, რომელსაც, კენეს აზრით, შეუძლია საზოგადოების სიმდიდრის გადიდება. სწორედ წმინდა პროდუქტის მითვისებაში მდგომარეობს მათი სოციალური ფუნქცია.

ამ სქემას დიდი ნაკლი აქვს. საკმარისია ითქვას, რომ მუშებს და კაპიტალისტებს როგორც მრეწველობაში. ასევე სოფლის მეურნეობაში, კენე ერთსა და იმავე კლასში აერთიანებს. მხოლოდ ტიურგომ გაასწორა ნაწილობრივ ეს უაზრობა, ხოლო სმიტმა მთლიანად უარყო იგი.

ან სხვა არანაკლებმნიშვნელოვანი დეტალი: თუ კაპიტალისტი ღებულობს მხოლოდ თავის ხელფასს, მაშინ როგორ, საიდან შეუძლია მას კაპიტალის დაგროვება? ამის ასახსნელად კენე მიმართავს შემდეგ ფოკუსს. ის აღნიშნავს, რომ ნორმალურია, ეკონომიკურად „კანონიერია“ დაგროვება მხოლოდ წმინდა პროდუქტიდან, ე. ი. მიწათმფლობელთა შემოსავლიდან. ფაბრიკანტს ან ვაჭარს კი შეუძლიათ დააგროვონ, მხოლოდ არცთუ მთლიანად „კანონიერი“ ხერხით, თავისი „ხელფასიდან“ რაღაცის წაგლეჯით.

ამ თვალსაზრისს ის საფუძველი ჰქონდა, რომ დაგროვების წყაროები მრეწველობაში, სადაც ჭარბობდა ან ნაკლებ მწარმოებლური ხელოსნური სახელოსნოები, ან ნახევრადფეოდალური სამეფო მანუფაქტურები, ძლიერ სუსტი იყო. ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის იმედებს კენე უკავშირებდა დაგროვებას, რომლის წყარო მაღალმწარმოებლური კაპიტალისტურად ორგანიზებული ფერმერული მეურნეო-

ბაა. ამასთან ერთად მას ყველაზე არსებითად არ მიაჩნდა, თუ ვის მიწაზე წარმოებდა მეურნეობა — საკუთარზე თუ იჯარით აღებულზე მან იცოდა. რომ ინგლისში წარმატებით ავითარებდნენ სოფლის მეურნეობას კაპიტალისტი ფერმერები, რომლებიც მიწას იჯარით ლენდლორდებისაგან იღებდნენ.

ვნახოთ, რა პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს კენეს მოძღვრებიდან. ბუნებრივია, კენეს პირველი რეკომენდაცია იყო მიწათმოქმედების ყოველმხრივი ხელისშეწყობა მსხვილი ფერმერული მეურნეობის ფორმით. ამას შემდეგ მოჰყვა სულ მცირე ორი რეკომენდაცია, რომელნიც იმ დროს არც ისე უწყინრად გამოიყურებოდნენ. კენეს აზრით, გადასახადით უნდა დაიბეგროს მხოლოდ წმინდა პროდუქტი. როგორც ერთადერთი ნამდვილი ეკონომიკური „ნამეტი". ყველა სხვა გადასახადი მძიმე ტვირთად აწვება მეურნეობას. რა გამოდიოდა? სწორედ იმ ფეოდალებს, რომელთაც კენე აკისრებდა მეტად მნიშვნელოვან და საპატიო სოციალურ ფუნქციებს, სინამდვილეში უნდა ეკისრათ ყველა გადასახადი. იმდროინდელ საფრანგეთში კი საქმე სწორედ პირიქით იყო: ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ. გარდა ამისა, ამბობდა კენე, რამდენადაც მრეწველობა და ვაჭრობა მიწათმოქმედების „ხარჯზე" იმყოფება, საჭიროა, მათი შენახვა რაც შეიძლება იაფი დაჯდეს. ეს კი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოისპობა, ან შემცირდება მაინც, ყველა შეზღუდვა და შევიწროვება მრეწველობისა და ვაჭრობისათვის. ფიზიოკრატები laissez faire-ს მომხრენი იყვნენ.

ასეთი იყო კენეს მოძღვრება ძირითადად. ასეთი იყო ფიზიოკრატია. მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა და სისუსტისა, იგი მთლიანი ეკონომიკური და სოციალური მსოფლმხედველობა იყო — თავისი დროისათვის პროგრესული თეორიაშიც და პრაქტიკაშიც.

კენეს იდეები გაბნეულია მისი მოწაფეებისა და თანამოაზრეების მცირე მოცულობის თხზულებებსა და შრომებში. მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა 1756—1768 წწ. მანძილზე სხვადასხვა ფორმით და ხშირად ანონიმურად, ზოგიერთი კი დარჩა ხელნაწერის სახით, რომელიც იპოვეს და გამოაქვეყნეს მხოლოდ XX საუკუნეში. თანამედროვე მკითხველისათვის ადვილი არ არის კენეს თხზულებების გარკვევა, თუმცა იგი არცთუ დიდი მოცულობის ტომს შეადგენს: მის ძირითად იდეებს მრავალჯერ იგონებენ და იმეორებენ ძნელად მისახვედრი ელფერითა და ვარიაციებ-თ. 1768 წ. კენეს მოწაფე დიუპონ დე ნემურმა გამოსცა თხზულება სათაურით: „ახალი მეცნიერების წრმოშობისა და პროგრესის შესახებ". მასში შეჯამებული იყო ფიზიოკრატების მოძღვრების განვითარება.

ფიზიოკრატიული თეორიის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ბურჟუაზიული არსი დაფარული იყო ფეოდალური გარსით. თუმცა კენე ცდილობდა კიდეც, წმინდა პროდუქტი დაებეგრა ერთიანი ეადასახადით, იგი ეხებოდა მქონეებელთა ხელისუფლების მაღალ ინტერესებს, ჰპირდებოდა მათ მიწის მოსავლიანობის ზრდას და სამიწათმოქმედო არისტოკრატიის განმტკიცებას.

ეს „ეშმაკობა“ მნიშვნელოვანწილად განახორციელა. საქმე აქ, რასაკვირველია, მხოლოდ მბრძანებელთა კლასის სიბეცეში არ არის. საქმე ისაა, რომ სამიწათმოქმედო არისტოკრატიის ხსნა ნამდვილად შეეძლო მხოლოდ ბურჟუაზიულ რეფორმებს, როგორც ეს — თუმცა სხვა პირობებში — მოხდა ინგლისში. მხოლოდ მოხუცი ექიმი კენეს რეცეპტში ეს წამალი გვარიანად დამტკბარ და მიმზიდველ გარეკანში იყო გახვეული.

ამ მიზეზის გამო ფიზიოკრატების სკოლას პირველ წლებში დიდი წარმატება ჰქონდა. მას მფარველობდნენ ჰერცოგები და მარკიზები. მის მიმართ ინტერესს უცხოელი მონარქებიც იჩენდნენ. ამავე დროს, მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ფილოსოფოსი-განმანათლებლები, კერძოდ დიდრო. ფიზიოკრატებმა თავდაპირველად შეძლეს მოეპოვებინათ როგორც არისტოკრატიის ყველაზე უფრო მოაზროვნე წარმომადგენლების, ისე მზარდი ბურჟუაზიის ინტერესები. 60-იანი წლების დასაწყისიდან, გარდა ვერსალის „ანტრესოლის კლუბისა“, სადაც ძხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ მოხვედრა. პარიზში, მარკიზ მირაბოს სახლში, გაიხსნა ფიზიოკრატიის თავისებური საჯარო ცენტრი. იქ კენეს მოწაფეები (მირაბოსთან თავად იშვიათად იყო ხოლმე) ეწეოდნენ მეტრის იდეების პროპაგანდას და პოპულარიზაციას. იკრებდნენ ახალ მომხრეებს. ფიზიოკრატიის სექტის ბირთვში შედიოდნენ ახალგაზრდა დიუპონ დე ნემური, ლამარსიე დე ლა რიერი და კენესთან პირადად დაახლოებული რამდენიმე ადამიანი. ბირთვის გარშემო თავმოყრილი იყვნენ კენესთან ნაკლებ დაახლოებული სექტის წევრები, სხვადასხვა სახის თანამგრძნობნი და თანამგზავრნი. განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტიურგოს, რომელიც ნაწილობრივ იყო ფიზიოკრატების თანამოაზრე, მაგრამ ძლიერ დიდი და დამოუკიდებელი მოაზროვნე იმისათვის, რომ მხოლოდ მეტრის საყვირად ქცეულიყო. ის, რომ ტიურგომ ვერ შეძლო ჩატეულიყო ვერსალის ანტრესოლის დურგლის მიერ გამოთლილ პროკრუსტეს სარეცელში, გვაიძულებს, სხვა მხრიდან შეეხედოთ ფიზიოკრატების სკოლას და მის მეთაურს.

რა თქმა უნდა, კენეს მოწაფეების ერთიანობას და ურთიერთდახმარებას, მასწავლებლისადმი მათ უსაზღვრო ერთგულებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს პატივისცემა. მაგრამ იგივე რამ თანდათანობით

სკოლის სისუსტედ გადაიქცა. მთელი მისი საქმიანობა საბოლოოდ შეადგენდა კენეს აზრების, ფრაზების გადმოცემას და განმეორებას. მისი იდეები სულ უფრო მეტად იქცეოდნენ მკაცრ დოგმებად. მირაბოს სამშაბათობებზე სალი აზრი და დისკუსია სულ უფრო მეტად იდევნებოდა თითქოსდა რიტუალური წესჩვეულებით, ფიზიოკრატიული თეორია თავისებურ რელიგიად იქცეოდა, მირაბოს სახლი — მის ტაძრად, ხოლო სამშაბათები — ღვთისმსახურებად.

სექტა, როგორც თანამოაზრეთა ჯგუფი, იქცეოდა სექტად იმ უარყოფითი აზრით, რა შინაარსიც ამ სიტყვას ამჟამად აქვს: ბრმად მიმდევართა ჯგუფად მკაცრი დოგმებისა, რომელიც მიჯნავდა მათ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეთაგან. დიუპონი, რომელიც განაგებდა ფიზიოკრატების ბეჭდვით ორგანოებს, ფიზიოკრატიული სულისკვეთებით „უკეთებდა რედაქციას“, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ იგი თავს უფრო მეტ ფიზიოკრატად თვლიდა, ვიდრე თვით კენე იყო და თავი აარიდა მისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემული უკანასკნელის ადრინდელი შრომების პუბლიკაციას. (დიუპონის აზრით, როცა კენე მათ სწერდა, იგი ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი ფიზიოკრატი).

საქმის ამგვარ განვითარებას ხელს უწყობდა თვით კენეს ხასიათის ზოგიერთი თავისებურება. დ. ი. როზენბერგი თავის წიგნში — „პოლიტიკური ეკონომიის ისტორია“ — შენიშნავს: „უილიამ პეტისაგან განსხვავებით, რომელთანაც ერთად კენე ინაწილებს პოლიტიკური ეკონომიის შემქმნელის ღირსებას, კენე იყო ურყევი პრინციპების ადამიანი, დოგმატიზმისა და დოქტრინებისადმი დიდი მიდრეკილებით“[1]. წლების განმავლობაში ასეთი მიდრეკილება იზრდებოდა, სექტის თაყვანისცემაც ამას უწყობდა ხელს.

კენე დარწმუნებული იყო ახალი მეცნიერების ჭეშმარიტებათა „სიცხადეში“ და შეუწყნარებელი ხდებოდა სხვა შეხედულებების მიმართ, ხოლო სექტა კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მის ამ შეუწყნარებლობას. კენე დარწმუნებული იყო მისი მოძღვრების უნივერსალურ გამოსაყენებლობაში ადგილისა და დროის პირობებისაგან დამოუკიდებლად.

მისი თავმდაბლობა იოტის ოდენადაც არ შემცირებულა. იგი სრულიადაც არ ეძებდა დიდებას, მაგრამ დიდება თვით პოულობდა მას. ის თავის მოწაფეებს სრულიადაც არ აიძულებდა, ქედი მოეხარათ მის წინაშე, მაგრამ ისინი თვით იხრიდნენ ქედს მის წინაშე. უკანასკნელ წლებში კენე აუტანლად ჯიუტი გახდა. 76 წლისამ დაიწყო მათემატიკის შესწავლა და ისე წარმოადგინა თავი, თითქოს მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა გეომეტრიაში. დ' ალამბერმა

[1] Д. И. Розенберг. История политической экономии, т. I, м., 1940, стр. 188.

ეს აღმოჩენა სისულელედ აღიარა. მეგობრები ერთხმად არწმუნებდნენ, არ გაეხადა თავი სასაცილოდ და არ გამოექვეყნებინა შრომა, სადაც იგი თავის იდეებს გადმოსცემდა. ყველაფერი ამაო იყო. 1773 წ. როცა ეს თხზულება მაინც გამოქვეყნდა, შეწუხებულმა ტიურგომ თქვა: „ეს ხომ სკანდალთა შორის სკანდალია, ეს მზეა, რომელიც ჩაქრა“. ამას შეიძლება მხოლოდ ანდაზით ვუპასუხოთ: მზესაც აქვს ლაქები.

კენე გარდაიცვალა ვერსალში 1774 წ. დეკემბერს.

ფიზიოკრატებმა ვერ შეძლეს მისი ვინმეთი შეცვლა. ამასთან ერთად ისინი უკვე განიცდიდნენ დაცემას. 1774—1776 წწ. ტიურგოს სათავეში ჩადგომამ გამოაცოცხლა მათი იმედები და საქმიანობა, მაგრამ ამდენადვე ძლიერი იყო დარტყმა გამოწვეული მისი გადადგომით. ამასთან, 1776 წ. გამოქვეყნდა ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრე“. მომდევნო თაობის ფრანგი ეკონომისტები — სისმონდი, სეი და სხვ. უფრო მეტად სმიტს ეყრდნობოდნენ, ვიდრე ფიზიოკრატებს. 1815 წ. უკვე ღრმად მოხუცებული დიუპონი წერილობით უსაყვედურებდა სეის, რომ იგი, კენეს რძით გამოზრდილი, „სცემს თავის მარჩენალს“. სეი უპასუხებდა, რომ კენეს რძის შემდეგ მან ბევრი პური და ხორცი შეჭამა, ე. ი. სწავლობდა სმიტს და სხვა ახალ ეკონომისტებს. საბოლოოდ სეიმ უარყო სმიტის მოძღვრების მთავარი პროგრესული ელემენტებიც კი.

ფიზიოკრატიული სკოლის დაშლის და 70—80-იან წლებში კენეს იდეების პოპულარობის შემცირების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ წარუმატებლობა განიცადა მისმა ცდებმა, მოემზადებინა კლასობრივი კომპრომისი თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის. მეფის ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა, შეესრულებინა ორივე კლასს შორის არბიტრისა და შემრიგებლის როლი. კენეს მიმდევრებმა დაკარგეს სამეფო კარის მფარველობა და განიცდიდნენ ფეოდალური რეაქციის თავდასხმას. ამავე დროს, ისინი ვერ ეწყობოდნენ მემარცხენეებს, განმანათლებლების დემოკრატიულ მიმართულებას. მიუხედავად ამისა, ფიზიოკრატებმა დიდი როლი შეასრულეს საფრანგეთში საზოგადოებრივი იდეების გახვითარებაში და პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში.

ექვ�ი კენეს „ზიგზაგი“

როგორც მარმონტელი წერს თავის მემუარებში, უკვე 1757 წ. ექიმმა კენემ მოხაზა თავისი „წმინდა პროდუქტის ზიგზაგი“. ეს იყო „ეკონომიკური ცხრილი“ მრავალჯერ გამოქვეყნებული და განხილული თვით კენეს და მისი მოწაფეების შრომებში. არსებობს მისი რამდენიმე ვარიანტი. მაგრამ ყველა ვარიანტში ცხრილი ერთი და იგივეა; რიცხობრივი მაგალითისა და გრაფიკის დახმარებით მასში გამოხა-

ტულია, თუ როგორ იქმნება მიწათმოქმედებაში ქვეყნის საერთო და წმინდა პროდუქტი და როგორ მიმოიქცევა ნატურალური და ფულადი ფორმით კენეს მიერ გამოყოფილ საზოგადოების სამ კლასს შორის.

დღევანდელი მეცნიერების თვალსაზრისით „ეკონომიკური ცხრილის" თუნდაც ზოგად ხაზებში განხილვისას ვსარგებლობთ აკადემიკოს ვასილი სერგეის ძე ნემჩინოვის სიტყვებით. შრომაში — „ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები" — იგი წერს: „XVIII საუკ. ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გარიჟრაჟზე... ფრანსუა კენემ... შექმნა „ეკონომიკური ცხრილი", რომელიც წარმოადგენდა ადამიანის აზრის გენიალურ აღმაფრენას. 1958 წ. შესრულდა 200 წელი ამ ცხრილის გამოქვეყნებიდან, მაგრამ მასში ჩაქსოვილმა იდეებმა არა თუ დაკარგეს მნიშვნელობა, არამედ შეიძინეს უფრო მეტი ღირსება... თუ კენეს ცხრილს თანამედროვე ეკონომიკური ტერმინებით დავახასიათებთ, შეიძლება იგი ჩავთვალოთ მაკროეკონომიკური ანალიზის პირველ ცდად, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია ცნებას ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შესახებ... ფრანსუა კენეს „ეკონომიკური ცხრილი" პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში მატერიალურ ფასეულობათა ნატურალური (საქონლური) და ფულადი ნაკადების პირველი მაკროეკონომიკური ბადეა. მასში ჩაქსოვილი იდეები — ეს მომავალი ეკონომიკური მოდელების ჩანასახია. კერძოდ, კ. მარქსი გაფართოებული კვლავწარმოების სქემის შექმნისას დამსახურებულ შეფასებას აძლევდა ფრანსუა კენეს გენიალურ ქმნილებას..."[1]

მოტანილი ციტატების ძირითადი აზრი მკითხველისათვის გასაგებია, მაგრამ შესაძლებელია საჭირო იყო დეტალების განმარტება. მაკროეკონომიკური ანალიზი — ეს ერთობლივ ეკონომიკურ სიდიდეთა (ერის საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, კაპიტალდაბანდებანი და მოხმარებაა) ანალიზი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პრობლემებია. ამის საპირისპიროდ მიკროეკონომიკა — საქონლის, ღირებულების, ფასის და ა. შ. აგრეთვე ინდივიდუალური კაპიტალის წრებრუნვის კატეგორიებისა და პრობლემების ანალიზია. კენეს მაკროეკონომიკური მოდელი — ეს ჰიპოთეზური, გარკვეულ დაშვებებსა და პოსტულატებზე აგებული საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის სქემაა. იგი ერთ-ერთი ის მთავარი საყრდენი წერტილი იყო, რომელიც მარქსმა გამოიყენა თავის კვლავწარმოების სქემებში.

ენგელსისადმი 1863 წ. 6 ივლისს მიწერილ წერილში იგი პირველად აღწერს თავის გამოკვლევებს ამ დარგში და იძლევა რიცხობრივი და გრაფიკული მაგალითის მონახაზს: როგორ იქმნება ერთობლივი პრო-

[1] В. С. Немчинов. Экономико-математические методы и модели. М., 1965. стр. 175, 177.

დუქტი მუდმივი კაპიტალის (ნედლეული, სათბობი, მანქანები), ცვალებადი კაპიტალის (მუშათა ხელფასი) დანახარჯებისა და ზედმეტი ღირებულებისაგან. პროდუქტის შექმნა მიმდინარეობს საზოგადოებრივი წარმოების ორ განსხვავებულ ქვედანაყოფში: იქ, სადაც იწარმოება მანქანები და ნედლეული (I ქვედანაყოფი). და იქ, სადაც იწარმოება მოხმარების საგნები (II ქვედანაყოფი)[1].

თუ რამდენად შთააგონა მარქსი კენეს იდეებმა, მოწმობს ის ფაქტი, რომ წერილში უშუალოდ თავის სქემასთან ერთად ასახა „ეკონომიკური ცხრილი", უფრო ზუსტად, მისი არსი. მარქსის სქემა იმ თავდაპირველი სახითაც კი, რა თქმა უნდა, მკვეთრად განსხვავდება კენეს „ცხრილისაგან". მასში ნაჩვენებია ზედმეტი ღირებულების ნამდვილი წყარო — კაპიტალისტების მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ კენეს მოძღვრება ჩახასახში შეიცავდა უმნიშვნელოვანეს იდეას: *კვლავწარმოებისა და რეალიზაციის პროცესი შეუფერხებლად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარკვეულ სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაცვის შემთხვევაში.*

კენეც თავის ცხრილში და მარქსიც ამ პირველ სქემაში გამოდიოდნენ მარტივი კვლავწარმოებიდან, რომლის დროსაც კვლავწარმოება და რეალიზაცია ყოველ წელს მეორდება წინანდელი მოცულობით, დაგროვებისა და წარმოების გაფართოების გარეშე. ეს ბუნებრივი გზაა მარტივიდან რთულისაკენ, კერძოდან უფრო ზოგადისაკენ.

„კაპიტალის" მეორე ტომში, რომელიც გამოაქვეყნა ენგელსმა უკვე მისი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, მარქსმა განავითარა მარტივი კვლავწარმოების თეორია და საფუძველი ჩაუყარა *გაფართოებული კვლავწარმოების* თეორიას, ე. ი. კვლავწარმოებას დაგროვებითა და წარმოების მოცულობის ზრდით. ამ პრობლემებისადმია მიძღვნილი აგრეთვე ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ნაშრომებიც.

მთავარი პრობლემა, რომელსაც სწავლობდა კენე — თუ ვიტყვით თანამედროვე მეცნიერების ენაზე — ეს არის პრობლემა ძირითადი სახალხომეურნეობრივი პროპორციებისა, რომელნიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას. საკმარისია დავასახელოთ ეს პრობლემა, რომ გავიგოთ მისი უკიდურესი აქტუალობა და მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კენეს იდეა საფუძვლად უდევს დარგთაშორისი კავშირების იმ ბალანსებს, რომლებ-

---

1 ამ წერილში, მარქსი ჯერ კიდევ პირიქით, პირველ ქვეგანყოფილებად სასიცოცხლო საშუალებების წარმოებას თვლის. ვ. ს. ნემჩინოვი შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მარქსი „თითქოს ფიზიოკრატების კვალს მისდევს".

ნაც აგებენ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში და სხვა ქვეყნებშიც. ეს ბალანსები ასახავენ დარგების საწარმოო ურთიერთობებს და სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ მეურნეობის მართვაში.

დარგთაშორისი ბალანსი (სხვაგვარად, დანახარჯებისა და გამოშვების ბალანსი) იძლევა ყველაზე სრულ ამოსავალ სტატისტიკურ მასალას ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების და გადანაწილების ანალიზისათვის და ეკონომიკურად დასაბუთებული სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაგეგმვისათვის. ამ მეთოდის დანერგვა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მიღწევაა.

მეცხრე თავი

ტიურგო: მეცნიერი, მინისტრი, ადამიანი

მეფე ლუდოვიკო XVI-ის დროს ტიურგოს ორწლიანი მმართველობა რევოლუციამდელი საფრანგეთის ისტორიის დრამატული ფურცელია. ტიურგოს რეფორმატორულმა მოღვაწეობამ მარცხი განიცადა: იგი ცდილობდა, რეფორმებით გამოესწორებინა ის, რისი „გამოსწორებაც“ უკვე მხოლოდ რევოლუციას შეეძლო.

ამ ადამიანში იყო რაღაც დონკიხოტისა. თუმცა იგი დონკიხოტი იყო არა ხასიათის მიხედვით, არამედ გარემოებათა ნებით: ზოგჯერ დონკიხოტურია ყველაზე უფრო ჭკვიანური იდეები და მიზანშეწონილი მოქმედებანი. მაგრამ ასეთი შედარება მართებულია კიდევ ერთი გარემოების გამო — პირადად ტიურგო იყო დიდი სულიერი კეთილშობილების, უთუოდ პრინციპული და გამორჩეულად უანგარო ადამიანი. ლუდოვიკო XV-ის და XVI-ის სამეფო კარზე ეს თვისებები იმდენად უცნაური და უადგილო იყო, როგორც სერვანტესის წარმოდგენით შექმნილ სამყაროში.

მეცნიერი

ტიურგო დაიბადა 1727 წ. პარიზში, ძველი ნორმანდიელი აზნაურის ოჯახში, რომელსაც სახელმწიფოებრივი სამსახურის საუკუნეობრივი ტრადიციები ჰქონდა. მის მამას პარიზში ეკავა თანამედროვე პრეფექტის ან მერის შესაბამისი თანამდებობა. ტიურგო მესამე ვაჟიშვილი იყო და ტრადიციების შესაბამისად იგი ოჯახმა ეკლესიაში გაანწესა. ამის წყალობით ტიურგომ მიიღო საუკეთესო განათლება, როგორის მიღებაც კი იმ დროს შეიძლებოდა. მან ბრწყინვალედ დაამთავრა სემინარია და ემზადებოდა სამეცნიერო წოდებისათვის, მაგრამ 23 წლის ბატმა, სორბონის სიამაყემ და კათოლიციზმის ამომავალმა ვარსკვლავმა მოულოდნელად დატოვა სასულიერო კარიერა.

ეს იყო დასრულებული და მოაზროვნე ადამიანის გადაწყვეტილება. ამ წლებში ძლიერ ბევრს მეცადინეობდა ფილოსოფიაში, სწავლობდა ინგლისელ მეცნიერებს. ტიურგო წერს სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ფილოსოფიურ ნაშრომებს, რომელიც

მთელ გარე სამყაროს ადამიანის ცნობიერების წარმონაშობად აცხადებდა. ტიურგოს ნიჭი სიყრმიდანვე აოცებდათ მის მასწავლებლებს და ამხანაგებს. მან კარგად იცოდა ექვსი ენა, შეისწავლა მრავალი სხვადასხვა მეცნიერება, ჰქონდა ფენომენური მახსოვრობა. 22 წლის ტიურგო წერს ღრმააზროვან ნაშრომს ქაღალდის ფულის შესახებ, აანალიზებს ლოს სისტემას და მის მანკიერებებს. მაგრამ ეკონომიკური საკითხები ტიურგოს ჯერ კიდევ იტაცებს ფართო ფილოსოფიურ-ისტორიულ პრობლემებთან დაკავშირებით.

1752 წ. ტიურგო ღებულობს სასამართლო თანამდებობას პარიზის პარლამენტში. ხოლო მოგვიანებით თავისი მემკვიდრეობის მცირე წილით ყიდულობს სასამართლო პალატის მომხსენებლის ადგილს. სამსახური არ უშლის ხელს, ბევრი იმუშაოს მეცნიერებაში და ამასთან ერთად იმყოფებოდეს სალონებში, სადაც კონცენტრირებულია პარიზის გოხებრივი ცხოვრება. მალე ახალგაზრდა ტიურგო ერთ-ერთი მშვეხება ხდება როგორც მაღალი საზოგადოების, ასევე ფილოსოფიური სალონებისა. იგი უახლოვდება დიდროს, დ' ალამბერს და მათ თანაშემწეებს „ენციკლოპედიიდან". ტიურგო „ენციკლოპედიისათვის" წერს რამდენიმე ფილოსოფიურ და ეკონომიკურ სტატიას.

ტიურგოს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა გამოჩენილმა პროგრესულმა ჩინოვნიკმა ვენსან გურნემ, რომელიც ეკონომიკის დარგში მისი დამრიგებელი გახდა. გურნეს, ფიზიოკრატებისაგან გახსხვავებით, მრეწველობა და ვაჭრობა ქვეყნის აყვავების უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიაჩნდა. მაგრამ ამასთან ერთად იგი წინააღმდეგი იყო ხელოსნობის ამქრული შეზღუდულობისა და მხარს უჭერდა თავისუფალ კონკურენციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ზოგჯერ მიაწერდნენ ცნობილ პრინციპს Laissez faire, laissez passér. ტიურგომ გურნესთან ერთად, რომელსაც ვაჭრობის ინტენდანტის პოსტი ეკავა, რამდენიმეჯერ იმოგზაურა პროვინციებში ვაჭრობისა და მრეწველობის ინსპექტირების მიზნით. პარიზში დაბრუნების შემდეგ, როცა ტიურგო გურნესთან ერთად იმყოფებოდა კენეს „ანტრესოლის კლუბში", იგი უკვე გამობრძმედილი იყო ფიზიოკრატობის უკიდურესობების წინააღმდეგ. მართალია, ტიურგო ეთანხმებოდა კენეს ზოგიერთ ძირითად იდეას და პირადად დიდი პატივისმცემელი იყო მისი, მაგრამ მეცნიერებაში უმეტესად საკუთარი გზით მიდიოდა 1759 წელს გარდაიცვალა გურნე. „ვენსან დე გურნეს საქებარ სიტყვაში", რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ მალე დაიწერა, ტიურგომ არა მარტო დაახასიათა თავისი განსვენებული მეგობრის შეხედულებები, პირველად სისტემურად ჩამოაყალიბა საკუთარი ეკონომიკური იდეებიც.

ტიურგოს მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა შეწყდა 1761 წელს — მისი ლიმოჟეს მიყრუებულ პროვინციაში ინტენდა-

ხტის (გუბერხატორის) თანაშდებობაზე დანიშვნით. ლიმოჟეში ტიურგომ 13 წელი გაატარა, პერიოდულად მიემგზავრებოდა პარიზში და იქ ზამთრის თვეებში ცხოვრობდა. ინტენდანტი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი, პროვინციაში ყველა სამეურნეო საქმეს განაგებდა. მაგრამ მის მთავარ საქმიანობას მეფისათვის გადასახადების აკრეფა შეადგენდა.

ამ ძიყრუებულ ადგილას როცა მოხვდა, ტიურგოს, როგორც ჩანს, პირველ ხანებში იმისი მსგავსი შეგრძნება ჰქონდა, რასაც განიცდიდნენ ლევ ტოლსტოის კეთილი განზრახვის მქონე ახალგაზრდა ძეძაძულეები, რომლებიც აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მკაცრი სინამდვილის, დაჩაგრული გლეხების უვიცობისა და ჩამორჩენილობის პირისპირ. ტიურგო წერდა: „თითქმის არ არიან წერა-კითხვის მცოდნე გლეხები და ძცირეა ისეთებიც, რომელთა გონებას და პატიოსნებას შეიძლება დაეყრდნო; ეს ადამიანების ჯიუტი რასაა, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ისეთ ცვლილებებსაც კი, რომელნიც მიმართულია მათი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ“.[1]

მაგრამ ტიურგომ არ დაყარა ფარ-ხმალი. მიუხედავად ყველა სიძნელისა, ეხერგიული და თავდაჯერებულიც კი, ძალაუფლების მქონე თავის პროვინციაში იწყებს ცნობილი რეფორმების გატარებას. იგი ცდილობს გაამარტივოს გადასახადების აკრეფის სისტემა; ცვლის გლეხებისათვის საძულველ საგზაო ბეგარას ნებით დაქირავებული შრომით და გაყავს კარგი გზები; აწყობს პირუტყვის ეპიდემიასთან და ნათესების ძავნებლებთან ბრძოლას; მოსახლეობაში ავრცელებს კარტოფილის კულტურას და მაგალითისათვის უბრძანებს მზარეულს — თავისთვის და სტუმრებისათვის ყოველდღიურად მოამზადოს კარტოფილის კერძები.

იგი ძოწმე იყო ძოუსავლიანობისა და შიმშილისა. გაჭირვებასთან ბრძოლის დროს იგი გაბედულად და გონივრულად მოქმედებდა და საჭიროების შემთხვევაში უკან იხევდა თავისი თეორიული პრინციპებიდან, მოითხოვდა ყველაფერი მინდობოდა კერძო ინიციატივას, თავისუფალ კონკურენციას და მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას. ტიურგო ძოქმედებდა როგორც პროგრესული და ჰუმანური ადმინისტრატორი, მაგრამ ლუდოვიკო XV-ის მონარქიის პირობებში მან ძლიერ მცირე რამის გაკეთება შეძლო.

თავისი ლიმოჟედან და პარიზში მგზავრობის დროს ტიურგო თვალყურს ადევნებდა ფიზიოკრატების წარმატებებს. იგი უახლოვდება დიუპონს და ეცნობა პარიზში ჩამოსულ ადამ სმიტს. მაგრამ ამ წლებში მისი ძირითადი პროდუქციაა დაუსრულებელი მოხსენებები, ანგარიშები, სამსახურებრივი ჩანაწერები და ცირკულარები. მხოლოდ

[1] ციტირებულია: D. Dakin. Turgot and the Ancien Rèdgime in France. N. Y., 1965, p. 37.

იშვიათად, თავისუფალ საათებში, პერიოდულად, ახერხებს მეცნიერებას ძოჭკიდოს ხელი. ასე მაგალითად, თითქმის შემთხვევით, 1766 წ. ტიურგო წერს თავის მთავარ ეკონომიკურ ნაშრომს — „ფიქრები სიმდიდრის შექმნასა და განაწილებაზე“ — ძირითადი იდეები მის თავში უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებული და ფრაგმენტების სახით იყო ვადძოცემული ქაღალდზე, მათ შორის ოფიციალურ დოკუმენტებშიც.

ამ ნაშრომის ისტორია არაჩვეულებრივია. ტიურგომ იგი დაწერა თავისი მეგობრის თხოვნით როგორც სახელმძღვანელო ორი ახალგაზრდა ჩინელისათვის, რომლებიც სწავლისათვის საფრანგეთში იეზუიტ-მისიონერებს ჰყავდათ ჩამოყვანილი. დიუპონმა იგი 1769—1770 წ წ. გამოაქვეყნა, და თავისი ჩვეულების მიხედვით ტიურგო ფიზიოკრატების ყაიდაზე „გაკრიჭა“, რის საფუძველზე მათ შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა. 1776 წ. ტიურგომ თვით განახორციელა ახალი გამოცემა.

„ფიქრები“ ბრწყინვალე ლაკონიზმითაა დაწერილი, რომელიც პეტის საუკეთესო სტრიქონებს მოგვაგონებს. ეს თავისებური ეკონომიკური თეორემების (თუმცა ზოგი რამ აქსიომადაა მიღებული) 100 შეკუმშული თეზისია. ტიურგოს თეორემები მკვეთრად იყოფა სამ ნაწილად.

31 თეორემის ჩათვლით ტიურგო ფიზიოკრატია, კენეს მოწაფეა. მაგრამ წმინდა პროდუქტის თეორიას იგი თავის შეფერილობას აძლევს, რის გამოც მარქსი შენიშნავს: „ტიურგომ ფიზიოკრატიულ სისტემას უფრო განვითარებული სახე მისცა“.[1] განვითარებული მისი მცდარი აბსოლუტური დებულებების განვითარების თვალსაზრისით კი არა, არამედ ფიზიოკრატიის ფარგლებში სინამდვილის უფრო მეცნიერულად განსჯის თვალსაზრისით. ტიურგო უახლოვდება ზედმეტი ღირებულების გაგებას, როცა შეუმჩნევლად გადადის „ბუნების წმინდა საჩუქრიდან“ მიწათმოქმედის შრომით შექმნილ ნამეტ პროდუქტზე, რომელსაც ითვისებს მთავარი წარმოების საშუალების — მიწის მესაკუთრე.

ძომდევნო 17 თეორემა ეძღვნება ღირებულებას, ფასებს, ფულს. ტიურგოს ამ სტრიქონებში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა თხზულებაში ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა 100 წლის შემდეგ აღმოაჩინეს სუბიექტური თეორიების პირველი ჩანასახები, რომელნიც გაიფურჩქნა XIX საუკუნის ბოლოს. ისევე როგორც მთელმა ფრანგულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, ტიურგომაც ვერ შეძლო მიახლოებოდა შრომითი ღირებულების თეორიას. ტიურგოს მიხედვით საქონლის საცვლელი ღირებულება და ფასი განისაზღვრება მოთხოვნილებების შეფარდებით გაცვლაში მონაწილე პიროვნებების — გამყიდველისა და

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 26—27.

შეიდველის — სურვილების ინტენსივობით. მაგრამ ტიურგოს ეს აზრები ნაკლებადაა დაკავშირებული მისი მოძღვრების ჩონჩხთან.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილის დაკავების უფლებას ტიურგოს ძირითადად აძლევს უკანასკნელი 52 თეორემა.

უკვე ითქვა, რომ ფიზიოკრატების სისტემაში საზოგადოება შედგება სამი კლასისაგან: მწარმოებლური (მიწათმოქმედნი), მიწის მესაკუთრეები და უნაყოფო (ყველა დანარჩენი). ტიურგო აკეთებს ამ სქემის შესანიშნავ დამატებას. უკანასკნელ კლასს იგი ყოფს, შეიძლება ითქვას, ორ თანრიგად: მეწარმე-მანუფაქტურისტებად, მესაკუთრე-ფაბრიკანტებად; ისინი ფლობენ დიდ კაპიტალებს, რომელთაც იყენებენ მოგების მისაღებად და ამისათვის თავისი ავანსების ხარჯზე აძლევენ სამუშაოს. მეორე თანრიგი შედგება უბრალო ხელოსნებისაგან, რომელთაც საკუთარი ხელების გარდა სხვა რამ არ გააჩნიათ, რომელნიც მეწარმეებს აძლევენ ავანსად მხოლოდ თავის ყოველდღიურ შრომას და მოგებას, რომელსაც ქმნიან მისაღებ ხელფასთან ერთად[1]. იმის შესახებ, რომ ამ პროლეტარიატის ხელფასი დაიყვანება საარსებო საშუალებათა მინიმუმამდე, ტიურგო ლაპარაკობს სხვა ადგილას. სავსებით ანალოგიურად „მიწათმოქმედთა კლასი, ისევე როგორც ფაბრიკანტების კლასი, იყოფა ადამიანთა ორ თანრიგად: მეწარმეებად ანუ კაპიტალისტებად, რომლებიც იძლევიან ავანსებს და უბრალო მუშებად, რომლებიც ღებულობენ ხელფასს".[2]

ეს ხუთი კლასისაგან შემდგარი საზოგადოების მოდელი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე კენეს მოდელი, რომელიც საზოგადოებას ყოფს სამ კლასად. იგი თითქოს ხიდია ფიზიოკრატებსა და ინგლისელ კლასიკოსებს შორის, რომელნიც მკაფიოდ გამოყოფენ სამ მოავარ კლასს წარმოების საშუალებებთან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით — მიწის მესაკუთრეების, კაპიტალისტების და დაქირავებული მუშების. ისინი განთავისუფლდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრინციპული გამიჯვნისაგან, რაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედავს ტიურგოს.

მისი სხვა შესანიშნავი მიღწევა იყო კაპიტალის ანალიზი, მნიშვნელოვნად უფრო ღრმა და ნაყოფიერი, ვიდრე კენესი. უკანასკნელს კაპიტალი ძირითადად წარმოედგინა, როგორც სხვადასხვა ნატურალური ფორმის (ნედლეული, ხელფასი და ა. შ.) ავანსების ჯამი. ამიტომ იგი კაპიტალს არასაკმარისად უკავშირებს კლასებს შორის პროდუქტის განაწილების პრობლემას. კენეს სისტემაში არ ჰქონია ადგი-

---

[1] A. P. Ж. Тюрго, Избранные экономические производения. М., 1961, стр. 129.
[2] იქვე, გვ. 131.

ლი მოგებას, მისი კაპიტალისტი „ხელფასზე იჯდა“ და კენე იკვლევდა, რა კანონებით განისაზღვრებოდა ეს „ხელფასი“.

აქ ტიურგომ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ის უკვე გვერდს ვეღარ უვლის მოგებას, უფრო მეტიც, სარგებლობს სწორი ალღოთი და მის განხილვას იწყებს სამრეწველო კაპიტალით: მართლაც აქ მოგების წარმოშობა უფრო ნათლად ჩანს, რადგან თვალებს ვერ უხვევს ფიზიოკრატიული ცრუ აზრი იმის შესახებ, რომ „მთელი ნამეტი აღმოცენდა მიწიდან“.

ტიურგო — ფიზიოკრატი, შემდეგ თითქოს ხუმრობით ბოდიშს იხდის იმისათვის, რომ მან „რამდენადმე დაარღვია ბუნებრივი წესრიგი“ და მხოლოდ მეორე რიგში დააყენა მიწათმოქმედება, მაგრამ ტყუილად იხდის ბოდიშს. პირიქით, იგი ძალიან სწორად მსჯელობს: დაქირავებული შრომის გამომყენებელ ფერმერ კაპიტალისტს თავის კაპიტალზე, სულ მცირე, ისეთი მოგება უნდა ჰქონდეს, როგორც ფაბრიკანტს, პლუს ზოგიერთი ნამეტი, რომელიც მან უნდა მისცეს მიწის მფლობელს რენტის სახით.

62-ე თეორემა მართლაც ყველაზე საოცარია. წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალს აქვს თვითზრდის უნარი. რით განისაზღვრება ამ თვითზრდის ხარისხი, პროპორცია?

ტიურგო ცდილობს ახსნას, რით განისაზღვრება კაპიტალის (სინამდვილეში შრომით, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს მოცემული კაპიტალი) მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულება. პროდუქტის ღირებულებით, უპირველეს ყოვლისა, ნაზღაურდება კაპიტალის დახარჯები, მათ რიცხვში მუშათა ხელფასიც.[1] დანარჩენი ნაწილი (არსებითად, ზედმეტი ღირებულება) დაიყოფა სამ ნაწილად.

პირველი — მოგება შემოსავლისა, რომელიც „ყოველგვარი შრომის გარეშე“ შეუძლია მიიღოს კაპიტალისტმა, როგორც ფულადი კაპიტალის მესაკუთრემ. მოგების ეს ნაწილი შეესაბამება სასესხო სარგებელს; მოგების მეორე ნაწილი ანაზღაურებს კაპიტალისტის „შრომას, რისკს და დახელოვნებას“, რომელმაც თავისი ფული დააბანდა ფაბრიკაში ან ფერმაში. ეს მეწარმის შემოსავალია. ამრიგად, ტიურგომ მოხაზა სამრეწველო მოგების განაწილება, მისი დაყოფა სასესხო და ფუნქციონერულ კაპიტალებს შორის; მესამე ნაწილი მიწის რენტაა. იგი არსებობს მხოლოდ მიწათმოქმედებაში დასაქმებული კაპიტალებისათვის. ეს ანალიზი ახალი სიტყვაა პოლიტიკურ ეკონომიაში.

მაგრამ ტიურგო აქვე გადადის სხვა გზაზე. იგი სცილდება სწორ თვალსაზრისს, რომ მოგება ძირითადი განმაზოგადებელი ფორმაა

[1] ტიურგო განსაკუთრებით ჩერდება აგრეთვე სადაზღვევო ფონდზე, რომელიც უნდა გამოეყოს პროდუქტის ღირებულებიდან გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის (პირუტყვის დაცემა და ა. შ.).

ზედშეტი ღირებულებისა, რომლისაგანაც გამომდინარეობს სარგებელიც და რენტაც. შას მოგება ჯერ სარგებლამდე დაყავს: ეს ის მინიმუმია, რომლის მიღების უფლება ყველა კაპიტალისტს აქვს. მაგრამ თუ იგი იმის ნაცვლად, რომ მშვიდად იჯდეს სკწერ მაგიდასთან, მიძვრება ფაბრიკის ბოლსა და ნამწვის სუნში, ან მზეზე იხრუკება მოჯამაგირეების მეთვალყურეობაში, მაშინ მას ეკუთვნის გარკვეული წანამატი — განსაკუთრებული სახის ხელფასი. შემდეგ, სარგებელი თავის მხრივ უტოლდება მიწის რენტას: ყველაზე მარტივი, რაც შეიძლება კაპიტალს მოუხერხო — ეს მიწის ნაკვეთის ყიდვაა, რომელიც გაურჯელად შემდეგ შეიძლება იჯარით გაიცეს. ახლა ზედმეტი ღირებულების ძირითად ფორმად მიწის რენტა გამოდის, ხოლო დანარჩენი მისგან წარმოებული. მთელი საზოგადოება იცვლ „ხელფასზე ზის“, რომელსაც მხოლოდ მიწა აწარმოებს. ტიურგო კვლავ ფიზიოკრატიის ჰაერით სუნთქავს.

როგორც ცნობილია, დიდი მოაზროვნეების შეცდომებიც კი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება ითქვას ტიურგოზეც. კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა ფორმების განხილვისას იგი აყენებს უმნიშვნელოვანეს საკითხებს კაპიტალების კონკურენციის შესახებ, მოგების ნორმის ბუნებრივი გათანაბრების შესახებ გამოყენების ერთი სფეროდან მეორეში კაპიტალის გადასვლის შესაძლებლობის შედეგად. ამ პრობლემების გადაწყვეტაში შემდგომი მნიშვნელოვანი ხაბიჯი არსებითად უკვე რიკარდომ გადადგა. ფრანგული და ინგლისური კლასიკური ეკონომიის ამ ძიებას თანდათან მივყავართ იმ დასკვნებამდე, რომლებიც მოგვცა მარქსმა „კაპიტალის“ მე-3 ტომში მოგებისა და წარმოების ფასის, სასესხო კაპიტალისა და სარგებლის, მიწის რენტის თეორიებით.

მინიხტრი

ბურბონის მეფეები მემკვიდრეებს აფორიზმებს უტოვებდნენ. ლეგენდის თანახმად ჰენრიხ IV-მ თქვა, რომ პარიზი ღირს წირვად. ლუდოვიკო XIV-მ აბსოლუტური მონარქიის არსი გამოხატა განთქმულ ფორმულაში: „სახელმწიფო — ეს მე ვარ“. ლუდოვიკო XV-მ წარმოთქვა არანაკლებ განთქმული ფრაზა: „ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულა“. ლუდოვიკო XVI-ს არ დაუტოვებია აფორიზმი, შეიძლება იმის გამოც, რომ ჩქარა მოჰკვეთეს თავი, ან შეიძლება იმის გამოც, რომ მეტად, უმნიშვნელო პიროვნება იყო. როგორც მირაბო (მარკიზ-ფიზიოკრატის შვილი) ამბობდა, მეფე ლუდოვიკო XVI-ის ოჯახში ერთადერთი მამაკაცი იყო დედოფალი მარია ანტუანეტა.

ლუდოვიკო XV 1774 წელს გარდაიცვალა ყვავილით. მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები მკაცრი რეაქციითა და ფინანსების კრიზისით აღიხიშნა. დესპოტის სიკვდილს რაღაც „ლიბერალური

ხიავი“ მოაქვს, თუნდაც ხელისუფლების ზღურბლზე ახალი დესპოტი იდგეს. ასე იყო ლუდოვიკო XVI-ის, ხოლო რუსეთში პავლე I-ის და ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ. მოხუცი მეფის სიკვდილით საფრანგეთმა თავისუფლად ამოისუნთქა. ფილოსოფოსებს იმედი ჰქონდათ, რომ 20 წლის მეფე, ადამიანი თვინიერი და დამყოლი, ბოლოს და ბოლოს გზას გაუხსნიდა „გონების ერას, — განახორციელებდა მათ იდეებს“. ამ იდეებს ახალი საზრდო მისცა ტიურგოს მაღალმა თანამდებობებმა — იგი ჯერ ზღვათა მინისტრი გახდა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ ფინანსების გენერალური კონტროლიორის პოსტი დაიკავა და ფაქტიურად მთელი საშინაო საქმეების ხელმძღვანელობა იკისრა. ბევრჯერ დაიწერა, რომ ტიურგო შემთხვევით გახდა მინისტრი — თითქოს მისმა მეგობარმა აბატმა ვერიმ ჩაუჩურჩულა გრაფინია შორეპას, რომელმაც აიძულა თავისი მეუღლე, მეფის ახალი ფავორიტი და ა. შ. ეს მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი. ნამდვილად ტიურგოს დანიშვნა ინტრიგების შედეგი იყო. სასახლის კარის ბებერი შელა შორეპა ვარაუდობდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა ტიურგოს პოპულარობა და კარგად ცნობილი პატიოსნება, ტიურგოს იდეები და პროექტები მას ნაკლებ აფიქრებდა.

მაგრამ ეს არ არის მთელი ისტორია. როგორც არასოდეს, ქვეყანაში იგრძნობოდა რაღაც ცვლილებების აუცილებლობა. ეს სათავეში მდგომ ფეოდალურ არისტოკრატიასაც კი ესმოდა. საჭირო იყო ახალი ადამიანი, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული სახელმწიფო საქმეების პირადი ინტერესებისათვის გამომყენებელ მსახურთა ხროვასთან, არ იქნებოდა გასვრილი ხაზინის ქურდობით. სწორედ ასეთი ადამიანი იყო ტიურგო. მან იკისრა ქვეყნის ფინანსებისა და მეურნეობის ავგეას თავლის გაწმენდა და თავს არ იტყუებდა ამ ამოცანის სიადვილის ილუზიებით. მან მთელი შეგნებით შემოიდგა მხრებზე ტვირთი და ატარა ისე, რომ არ მოხრილა მის ქვეშ. მისი გზა იყო გაბედული რეფორმების გზა, რომელიც ტიურგოს აუცილებლად მიაჩნდა საერთო-საკაცობრიო აზრისა და პროგრესის თვალსაზრისით.

მარქსი წერდა: „ტიურგო უდიდესი ადამიანი იყო, რადგან თავის დროებას შეესატყვისებოდა“.[1] ხოლო მეორე ნაშრომში: „იგი იყო ერთ-ერთი ინტელექტუალური გმირებიდან, რომელთაც დაამხეს ძველი რეჟიმი“.[2]

რა გააკეთა ტიურგომ მინისტრად ყოფნის დროს? წარმოუდგენლად ბევრი რამ. თუ მივიღებთ მხედველობაში მის ხანმოკლე მოღვაწეობას და იმ დიდ სიძნელეებს, რასაც იგი აწყდებოდა; ძლიერ ცოტა, თუ ვიმსჯელებთ საბოლოო გრძელვადიანი შედეგებით. მაგრამ ტიურგოს სწორედ წარუმატებლობას ჰქონდა რევოლუციური მნიშვნე-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 3, стр. 530.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 15, стр. 384.

ლობა. თუ ისეთმა ადამიანმა, როგორიც ტიურგო იყო, ვერ შეძლო რეფორმების გატარება, მაშინ რეფორმები შეუძლებელი ყოფილა. ამიტომ ტიურგოს რეფორმებიდან პირდაპირი გზაა 1789 წ. ბასტილიის, აღებასა და 1792 წ. ტიულრის სასახლის იერიშამდე.

ყველაზე არსებითი, რის გადაჭრასაც პირველი დღიდანვე მოჰკიდა ხელი ტიურგომ, იყო სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღება. მას ჰქონდა გრძელვადიანი პროგრამა ისეთი რადიკალური რეფორმებისა, როგორიცაა საგადასახადო სისტემის ლიკვიდაცია და მიწის საკუთრებიდან შემოსავლების დაბეგვრა. ამ პროგრამის გამოქვეყნებას არ ცდილობდა ტიურგო, რადგან კარგად იცოდა, როგორ რეაგირებას მოახდენდნენ მასზე დაინტერესებული წრეები. მანამდე კი მან დიდი გულმოდგინებით გაატარა მრავალრიცხოვანი კერძო ღონისძიება აღკვეთა ყველაზე მყვირალა შეუსაბამობები და უსამართლობა საგადასახადო სისტემაში, მრეწველებსა და ვაჭრებს შეუმსუბუქა გადასახადების ტვირთი, შეავიწროვა გადასახადების გამომსყიდველები. მეორე მხრივ ტიურგო ცდილობდა შეეზღუდა ბიუჯეტის ხარჯი, რომელთაგან მთავარი იყო სამეფო კარის შენახვა. აქ მისი სურვილი მალე დაეჯახა მფლანგველ მარია ანტუანეტას კაპრიზულ და თავნება სურვილს. ტიურგომ შეძლო რამდენადმე გაეუმჯობესებინა ბიუჯეტი და აღედგინა სახელმწიფო კრედიტი. სამაგიეროდ სწრაფად იზრდებოდა მინისტრის მტრების რიცხვი და მათი აქტიურობა.

ტიურგოს მხიშვნელოვანი ეკონომიკური ღონისძიება იყო ხორბლითა და ფქვილით თავისუფალი ვაჭრობის შემოღება და მონოპოლიის ლიკვიდაცია, რომელიც ძველი მინისტრის მხარდაჭერით ხელში ჩაიგდეს გაქნილმა შემთხვევითმა პირებმა. მაგრამ პრინციპში ამ პროგრესულმა ღონისძიებამ მას დიდი სიძნელეები შეუქმნა. 1774 წ. შემოსავალი არ იყო უხვი, ამიტომ მომდევნო წლის გაზაფხულზე პურის ფასი შესამჩნევად გაიზარდა. ზოგიერთ ქალაქში, განსაკუთრებით პარიზში, ადგილი ჰქონდა სახალხო მღელვარებას. მართალია, ამის დამტკიცება ვერავინ შეძლო, მაგრამ არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მღელვარება უმეტესწილად პროვაცირებული და ორგანიზებული იყო ტიურგოს მტრების მიერ, მისი მდგომარეობის შესარყევად. მინისტრმა მძლავრი ხელით ჩაახშო არეულობა. შესაძლებელია, იგი ვარაუდობდა, რომ ხალხმა ვერ გაიგო საკუთარი ინტერესი და მას უნდა აეხსნა ეს ინტერესი ყოველგვარი საშუალებით. ყოველივე ეს ტიურგოს წინააღმდეგ გამოიყენეს მისმა მტრებმა, რომელთა რიცხვში საიდუმლოდ გადავიდა მორეპა: იგი სულ უფრო მეტად უფრთხოდა ტიურგოს და შურდა მისი.

ტიურგო კი უკანმოუხედავად წინ მიდიოდა. 1776 წ. დასაწყისში მან მიაღწია იმას, რომ მეფემ მოიწონა ექვსი ედიქტი, რომლებიც ყველა წინათ მიღებულ ღონისძიებაზე უფრო მეტად არყევდნენ ფეო-

დალიზმს. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ორი: გლეხობის საგზაო ბეგარისა და ხელოსანთა ამქრებისა და გილდიების გაუქმების შესახებ. ტიურგოს მეორე ედიქტი წარმოადგენდა მრეწველებისა და კაპიტალისტური მეწარმეების წოდების სწრაფი ზრდის აუცილებელ პირობას. ედიქტები წააწყდნენ გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომლის ცენტრი პარიზის პარლამენტი გახდა — ისინი კანონად მხოლოდ პარლამენტის ეგრეთ წოდებული რეგისტრაციის შემდეგ იქცეოდნენ. ბრძოლა ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. რეგისტრაციას ტიურგომ მხოლოდ 12 მარტს მიაღწია და კანონები ძალაში შევიდა.

ეს იყო პიროსის გამარჯვება. ძველი წეს-წყობილების ყველა ძალა ახლა შემჭიდროვდა მინისტრი-რეფორმატორის წინააღმდეგ: სასახლის კარის მსახურთა ის ჯგუფი, რომელნიც სახელმწიფო საქმეებს თავისი ინტერესებისათვის მართავდნენ; უმაღლესი სამღვდელოება; თავადაზნაურობა; მოსამართლეთა ფენა და ამქრული ბურჟუაზია.

ხალხს რაღაც ზომით მაინც ესმოდა ტიურგოს რეფორმების დემოკრატიული აზრი. გლეხებს უხაროდათ სამეფო გზების საძულველი ბეგარის მოშორება, მაგრამ არც კი ჰქონდათ გაგებული მისი სახელი. უფრო გათვითცნობიერებული პარიზელი ქარგლები და შეგირდები ზეიმობდნენ და კუპლეტებში ადიდებდნენ ტიურგოს. მაგრამ ხალხი ძეტად დაბლა და შორს იყო, მტრები კი — გვერდით და ზემოთ. შეგირდების მხიარული კუპლეტები ფიზიოკრატების საქმიან სტატიებთან ერთად იძირებოდა ღვარძლიანი პამფლეტების. გამჭირდავი ლექსებისა და კარიკატურების მღვრიე ნაკადში, რომელმაც პარიზს გადაუარა. პასკვილის შემქმნელნი ტიურგოს სახავდნენ ხან როგორც საფრანგეთის ბოროტ გენიას, ხან როგორც ველურ და არაპრაქტიკოს ფილოსოფოსს, ხან როგორც მარიონეტს „ეკონომისტების სექტის“ ხელში. ისინი არ ესხმოდნენ თავს მხოლოდ ტიურგოს მოუსყიდავ პატიოსნებას: ასეთ ბრალდებას არავინ არ დაიჯერებდა.

მთელ ამ კომპანიას წარმართავდა და აფინანსებდა სამეფო კარის მსახურთა ხროვა. სხვა მინისტრები აწყობდნენ შეთქმულებებს ტიურგოს წინააღმდეგ. დედოფალი ისტერიულად მოითხოვდა ლუდოვიკოსაგან მის გაგზავნას ბასტილიაში. მეფის ძმამ გამოსცა ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი პასკვილი.

ამ ალიაქოთში უდრეკად მყარი, ამაყი და განმარტოებული ტიურგო ჭეშმარიტად წარმოადგენდა დიდებულ და ტრაგიკულ ფიგურას.

მისი დაცემა გარდუვალი გახდა. ბოლოს და ბოლოს ლუდოვიკო XVI-მ ველარ გაუძლო იმ მოწოლას, რომელსაც იგი დიდი ხანია განიცდიდა სხვადასხვა მხრიდან. მეფემ ვერ გაბედა, პირდაპირ ეთქვა თავისი მინისტრისათვის გადადგომის შესახებ: ბრძანება საქმეების ჩაბარებაზე ტიურგოს მოუტანა მეფის შიკრიკმა. ეს მოხდა 1776 წლის 12 მარტს. მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა უმრავლესობა, კერ-

ძოდ ზემოთ აღნიშნული ედიქტები, მალე მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმდა. თითქმის ყველაფერი ძველებურად წარიმართა. ტიურგოს თანამოაზრენი და თანაშემწეები, რომლებიც მან მიიზიდა სამუშაოზე სახელმწიფო აპარატის სამსახურში, მასთან ერთად წავიდნენ, ხოლო ზოგიერთი გაასახლეს პარიზიდან. ფიზიოკრატების და ენციკლოპედისტების იმედები ჩაიფუშა:

ადამიანი

ტიურგო თუმცა 50 წლისაც არ იყო, მაგრამ მისი ჯანმრთელობა ძლიერ იყო შერყეული. მას განსაკუთრებით აწუხებდა ნეკრესის ქარის შეტევები. იმ 20 თვიდან, რომლის განმავლობაში იგი მინისტრი იყო, შვიდი თვე მან ლოგინში გაატარა, მაგრამ მუშაობა არ შეუწყვეტია არც ერთ დღეს: იგი კარნახობდა კანონთა პროექტებს, მოხსენებებს, წერილებს, ღებულობდა ჩინოვნიკებს, ინსტრუქტაჟს აძლევდა თანაშემწეებს. მეფის კაბინეტში ის არასოდეს არ შეუყვანიათ პორტშეზით.

მას სძულდა ავადმყოფობა, და თუმცა დაჟინებით ებრძოდა მას, ხშირად სიარული ნსოლოდ ყავარჯნებით შეეძლო, რომლებსაც მწუხარე იღიმრით „ჩემს თათებს“ უწოდებდა. იგი გარდაიცვალა ღვიძლის ავადმყოფობით. ეს მოხდა 1781 წლის მაისში, მისი გადადგომიდან ზუსტად ხუთი წლის შემდეგ.

მეგობრები გახაცვიფრა იმ სულიერმა სიმშვიდემ, რომლითაც იგი შეხვდა მეფის შერისხვას და თავისი რეფორმის კრახს. მას ხუმრობაც კი შეეძლო, როცა ცენზორები მის წერილებს ხსნიდნენ. იგი თითქოს სიამოვნებით გახერიდა საზოგადოებას პირადი ცხოვრებისათვის: 15 წლის განმავლობაში, როცა იგი ინტენდანტი და მინისტრი იყო, მას დრო არ რჩებოდა წიგნებისათვის, მეცნიერებისათვის და მეგობრებთან ურთიერთობისათვის — ახლა მას ეს დრო ჰქონდა.

1776 წ. ივნისში თავის მეგობარსა და მდივანს კაიარს სწერს: „მოცლილობა და სრული თავისუფლება წარმოადგენენ მთავარ წმინდა პროდუქტს ორი ხლისა, რომელიც მე სამინისტროში გავატარე. მე ვეცდები გამოვიყენო იგი (მოცლილობა და თავისუფლება — ა. ა.) სასიამოვნოდ და სასარგებლოდ“.

ტიურგოს უკანასკნელი წლების წერილებში მრავალჯერაა ნახსენები მისი ბიბლიოთეკა, რომელიც მან სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე მოაწყო მის ახალ ნაყიდ სახლში. მრავალ წერილში იგი ძსჯელობს ლიტერატურისა და მუსიკის საკითხებზე, ლაპარაკობს თავის მეცადინეობაზე ფიზიკასა და ასტრონომიაში.

1778 წ. წარწერებისა და მხატვრული სიტყვიერების წლიურ პრეზიდენტად აკადემიკოსთა რიცხვში ზეიმით შეუყავს თავისი ახალი მე-

გობარი — ფრანკლინი. ფრანკლინისათვის, როგორც აჯანყებული ამერიკული კოლონიების ელჩისათვის, იგი წერს თავის უკანასკნელ ეკონომიკურ თხზულებას — „მემუარები გადასახადების შესახებ“. ამერიკული საქმეები ამ წლებში მას, ისევე როგორც მთელ ფრანგულ საზოგადოებას, ძლიერ აღელვებს. მისთვის ყოველთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით იგი იმედოვნებს, რომ ოკეანესმიღმა რესპუბლიკა თავიდან აიცილებს მიხრწნილი ფეოდალური ევროპის შეცდომებსა და მანკიერებებს.

ტიურგო ხშირი სტუმარია თავისი ძველი მეგობრის ჰერცოგ დ' ანვილის და ფილოსოფოს ჰელვეციუსის ქვრივის სალონებისა, სადაც იკრიბებოდნენ ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე და განათლებული ადამიანები. ადამიანური აზროვნების უდიდესი თაყვანისმცემლის გონება უკანასკნელ დღემდე მახვილი და ნათელი იყო. ტიურგო ცხოვრებაში რამდენადმე მკაცრი და ცივი ადამიანი იყო. მოუქნელობისა და გადაჭარბებული პირდაპირობის გამო მას ხშირად უსაყვედურებდნენ. ალბათ ამის გამო მასთან ურთიერთობა უძნელდებოდათ ზოგჯერ ახლობელ ადამიანებსაც კი და აფრთხობდა ნაკლებად ნაცნობებს.

მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ადამიანების პირფერობა, არასერიოზულობა და არათანამიმდევრულობა. სამეფო კარის ჩვევები ტიურგოს არ ჰქონდა და ვერც შეითვისა. ვერსალის ფრანტებს, წერდა მისი ბიოგრაფი, აკრთობდათ და აშინებდათ მარტო მისი გარეგნობაც კი — „გამჭოლი მუქი თვალები, მასიური შუბლი, დიდებული ნაკვთები, თავის დაჭერა და ღირსება რომაულ ქანდაკებასავით“.

ვერსალში იგი უცხო კაცი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ძრავალმხრივი ნიჭის მფლობელს არ ჰქონდა ის ნიჭი, რომლის შესახებაც ამბობდა ტალეირანი: ენა უნდა გამოიყენო არა იმისათვის. რომ გაძოაძყლავნო შენი აზრები, არამედ იმისათვის, რომ დამალო ისინი.

ტიურგოს პიროვნება შესანიშნავია იმით, რომ იგი თავისთავში ათავსებდა ღრმა მეცნიერი-ნოვატორის ტალანტს პრაქტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის ბრწყინვალე ნიჭთან. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში ასეთს იშვიათად ვხვდებით.

მეათე თავი

ადამ სმიტი — შოტლანდიელი ბრძენი

ადამ სმიტის შრომებში აისახა და თანამიმდევრულად გამოიხატა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ათეულობით წიგნით და ასეულობით სტატიით შეივსო ლიტერატურა სმიტის შესახებ. ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია საგარეო ძიებებთან — 1976 წ. იუბილესთან, როცა გამოქვეყნებიდან 200 წელი შეუსრულდა „ხალხთა სიმდიდრეს". მთავარი კი ისაა, რომ სმიტი აქამადაც ეკონომიკური მეცნიერების მაცოცხლებელ ფიგურად რჩება.

ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელი ეკონომისტი და პუბლიცისტი ვოლტერ ბეჯგოტი ჯერ კიდევ 1876 წ. წერდა: „ადამ სმიტის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ თითქოს უსასრულოდ ბევრი ითქვა, თვით სმიტის შესახებ კი — ძლიერ ცოტა. სხვათა შორის საქმე მარტო ის კი არ არის, რომ იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე თავისებური ადამიანთაგანი, არამედ ისიც, რომ შეუძლებელია მისი წიგნის გაგება, თუ არ გვექნება წარმოდგენა მასზე, როგორც ადამიანზე".[1]

ბეჯგოტის შემდეგ სმიტმცოდნეობამ, რა თქმა უნდა, წინ წაიწია. ძიუსედავად ამისა, ინგლისელი მეცნიერი ალექსანდრე გრეი 1948 წ. ამბობს: „ადამ სმიტი XVIII ს-ში იმდენად აშკარად გამოჩენილი მეცნიერი იყო და იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა XIX ს-ში თავის ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში, რომ რამდენადმე უცნაურად გვეჩვენება მისი ცხოვრების წვრილმანების ცუდი ცოდნა... მისი ბიოგრაფი თითქმის უნებურად იძულებულია მასალების უქონლობა შეავსოს იმით, რომ წერს არა იმდენად სმიტის ბიოგრაფიას, რამდენადაც მისი დროის ისტორიას"[2].

ეპოქის მოთხოვნილებანი ბადებს საჭირო ადამიანს. ინგლისურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელიც განპირობებული იყო თვით კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებით, ისეთ სტადიას მიაღწია, როცა აღმოცენდა სისტემის შექმნის აუცილებლობა, ეკონომიკური ცოდნის მოწესრიგებისა და განზოგადების აუცილებლობა. სმიტი იყო ის ადამიანი და მეცნიერი, რომელსაც შეეძლო ასეთი ამოცა-

---

[1] W. Bagehot, Historical Essays. N. Y., 1966, p. 79.
[2] A. Gray, Adam Smith L. 1948, p. 3.

ნის ეალაგრა. ეს შოტლანდიელი თავის თავში წარმატებით ახამებდა აბსტრაქტული აზროვნების ნიჭს კონკრეტულ ნივთებზე ცოცხლად მოყოლის უხაოთან, ენციკლოპედიურ ცოდნას — განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებასთან და მეცნიერულ სინდისთან. სხვა მეცნიერების იდეების გამოყენების უნარს — დიდ დამოუკიდებლობასა და აზრის კონკრეტულობასთან. მეცნიერულ და მოქალაქეობრივ გამბედაობას — პროფესორულ სიდინჯესა და სისტემატურობასთან.

ეკონომიკური მეცნიერების მშვენიერება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ადამიანებისათვის გარეგნულად მარტივი და ყოველდღიური, მაგრამ ცხოვრებისათვის აუცილებელი მოვლენების არსის გაგების, ახდა უკიდურეს შემთხვევაში განსჯის შესაძლებლობას. როგორი მარტივია თითქოს ფული. არ არის ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდეს ის ხელთ და არ იცოდეს რა არის იგი. მაგრამ ფულში ძრავალი საიდუმლოებაა. ეკონომისტებისათვის ეს პრობლემა უსასრულოდ რთულია, და უეჭველია, იგი კიდევ დიდხანს იქნება მათი ფიქრის საგანი.

სმიტი ცოცხლად გრძნობდა ყოველდღიური მეურნეობრივი მოვლენების რომანტიკას. ყიდვისა და გაყიდვის, მიწის იჯარისა და მუშის დასაქმების, გადასახადების გადახდისა და თამასუქების განაღდების აქტებს მისი კალამი აძლევდა სრულიად განსაკუთრებულ აზრსა და ინტერესს. თურმე ამის გარეშე ვერ გაიგებ იმასაც კი, თუ რა ხდება სახელმწიფოს მართვის პოლიტიკის „კეთილშობილურ“ მაღალ სფეროში. სმიტს უნდა უმადლოდეს პოლიტიკური ეკონომია იმას, რომ ბაირონისა და პუშკინის დროს ასეთ ინტერესს იჩენდნენ მისადმი.

მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ სმიტი, მართალია, გამოხატავდა მზარდი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იგი არ იყო მისი ბრმა აპოლოგეტი. იგი არა მარტო სუბიექტურად იღვწოდა მეცნიერული მიუკერძოებლობისა და განსჯის დამოუკიდებლობისაკენ, არამედ დიდ ნაწილში მიაღწია კიდეც მას. ასეთმა თვისებებმა მას მისცეს შესაძლებლობა, შეექმნა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის სისტემა. მარქსის გამოთქმით, „ეს იყო ცდა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში შეღრისა“.[1] სმიტის წიგნი — კაცობრიობის ადამიანური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი — XVIII ს-ის ეკონომიკური აზროვნების მწვერვალია.

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II. თბ., 1968, გვ. 215.

უკვე საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ სმიტის პოლიტიკური ეკონომიის გაგება შეიძლება მხოლოდ იმის მხედველობაში მიღებით, რომ იგი შოტლანდიელი იყო, და ამასთან ტიპური, მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათით.

„შოტლახდიელები სრულიადაც არ არიან ინგლისელები" — ასე იწყებს შეორე დიდი შოტლანდიელის — პენიციილინის პირველადმოჩენის, ალექსანდრე ფლემინგის ბიოგრაფიას ფრანგი მწერალი ანდრე მორუა. რას წარმოადგენს შოტლანდიური ეროვნული ხასიათი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, განსაკუთრებით თუ შეეცდებით, ჩამოაშოროთ სინამდვილე შოტლანდიელების შესახებ უძირო ტრადიციულ წარმოდგენებს, რომელნიც სუკუნეების მანძილზე დაგროვდა მათი საუძრეთელი მეზობლის — ინგლისელების ფოლკლორში. თვლიან, რომ ეს მცირე ხალხი (სმიტის დროს შოტლანდიელები ძაბლოებით მილიონნახევარი იყვნენ) გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, ძომჭირნეობით და ანგარიშიანობით. თვლიან, რომ შოტლახდიელები ფხიზელი, სიტყვაძვირი და გამრჯენი არიან. და ბოლოს, თვლიან, რომ მათ აქვთ განყენებულ თემებზე, მსჯელობის „წაფილოსოფოსების" უნარი.

ალბათ ყოველივე ეს რაღაც ზომით შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ შეუძლებელია ამით აიხსნას სმიტის ხასიათი და მისი შეხედულებების თავისებურებანი. როგორც ჩანს, შოტლანდიის გავლენა მასზე უფრო ღრმა და უფრო რთულია. იგი აიხსნება არა მხოლოდ ეროვნული ხასიათის საკმაოდ ზედაპირული აბსტრაქციით, არამედ სმიტის დროინდელი ქვეყნისა და ხალხის კონკრეტული მდგომარეობით.

1707 წ. ინგლისსა და შოტლანდიას შორის დაწესდა სახელმწიფო უხია. ეს შეესაბამებოდა ინგლისისა და შოტლანდიელი მრეწველების, ვაჭრებისა და მდიდარი ფერმერების ინტერესებს, რომელთა გავლენაც იმ დროისათვის შესამჩნევად გაძლიერდა. ორ ქვეყანას შორის შოიხსნა საბაჟო ბარიერები. გაფართოვდა შოტლანდიური ჯირუტყვის გაყიდვა ინგლისში, გლაზგოელი ვაჭრები შეუშვეს სავაჭროდ იხკლისის კოლონიებთან ამერიკაში. ამ სიკეთისათვის შოტლანდიის ბურჟუაზია მზად იყო ცოტათი შეეზღუდა პატრიოტიზმი: ახალ შეერთებულ საშეფოში შოტლანდიას უნდა შეესრულებინა აუცილებლად დაქვემდებარებულის როლი. შოტლანდიის არისტოკრატიის დიდი ნაწილი კი უნიის წინააღმდეგი იყო. ისინი ეყრდნობოდნენ თავის ერთგულ მებრძოლ მთიელებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების გადმონაშთებიანი ფეოდალური წესებით ცხოვრობდნენ. მათ რამდენიმეჯერ მოაწყვეს აჯანყება, მაგრამ ეკონომიკურად განვითარე-

ბული შოტლანდიის ვაკის მოსახლეობა მათ არ უჭერდა მხარს და აჯანყებაც ყოველთვის მარცხდებოდა.

უხიის შემდეგ შოტლანდიამ დაიწყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარება, თუმცა ზოგი დარგი ზარალდებოდა ინგლისელების კოხკურენციით, ზოგი კი — ჯერ კიდევ შენარჩუნებული ფეოდალური წესებით. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა გლაზგო — ქალაქი და პორტი, — რომლის ირგვლივ აღმოცენდა მთელი სამრეწველო რაიონი. სოფლებიდან და მთიანი სამრეწველო რაიონებიდან ჩამოსული იაფი სამუშაო ძალისა და გასაღების ფართო ბაზრების არსებობა შოტლანდიაში, ინგლისსა და ამერიკაში ხელს უწყობდა მრეწველობის ზრდას. მსხვილი მიწათმფლობელები და მდიდარი ფერმერი მოიჯარენი ამჯობინებდნენ სოფლის მეურნეობას. 70 წლის მანძილზე, 1707 წ. უნიასა და 1776 წ. „ხალხთა სიმდიდრეს“ გამოქვეყნებას შორის, შოტლანდია მკვეთრად შეიცვალა. თუმცა ეკონომიკური პროგრესი შეეხო მხოლოდ შოტლანდიის ვაკეს, მაგრამ სწორედ აქ, ქალაქებს: კერკოლდს, გლაზგოსა და ედინბურგს შორის სამკუთხედში გაატარა სმიტმა მთელი თავისი სიცოცხლე.

სიმწიფის ასაკში იყო სმიტი, როცა ეკონომიკამ შოტლანდიის ბელი მჭიდროდ დაუკავშირა ინგლისის ბედს; ყალიბდებოდა ერთიანი ბურჟუაზიული ერი. ეს განსაკუთრებით თვალნათლივი იყო სმიტისათვის. რომელიც ყველაფერს უყურებდა საწარმოო ძალების განვითარებისა და „ხალხთა სიმდიდრის“ თვალსაზრისით. რაც შეეხება შოტლანდიურ პატრიოტიზმს, მისთვის ამას, როგორც მრავალი განათლებული შოტლანდიელისათვის, ჰქონდა „კულტურული“, ემოციური და არა პოლიტიკური ხასიათი.

ეკლესიისა და რელიგიის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მეცნიერებაზე თანდათან მცირდებოდა. ეკლესიამ დაკარგა კონტროლი უნივერსიტეტებზე. შოტლანდიის უნივერსიტეტები ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებისაგან გამოირჩეოდა თავისუფალი აზროვნების სულისკვეთებით, საერო მეცნიერების დიდი როლით და პრაქტიკული მიმართულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გლაზგოს უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა და ასწავლიდა სმიტი. მის გვერდით მუშაობდნენ და მასთან მეგობრობდნენ ორთქლის მანქანის გამომგონებელი ჯემს უატი და თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჟოზეფ ბლეკი. დაახლოებით 50-იან წლებში შოტლახდია შევიდა დიდი კულტურული აღმავლობის ფაზაში, რომელიც ვლინდება მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ტალანტების ბრწყინვალე კოჰორტა, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოშვა პატარა შოტლანდიამ, მეტად შთამბეჭდავია. დასახელებულთა გარდა მასში შედიან ეკონომისტი — ჯემს სტიუარტი და ფილოსოფოსი — დავიდ იუმი, ისტორიკოსი — უილიამ რობერტსონი,

სოციოლოგი და ეკონომისტი — ადამ ფერგიუსონი. სმიტი კარგად იცხობდა ისეთ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ: გეოლოგი — ჯემს ხატონი, სახელგანთქმული ექიმი — უილიამ ხანტერი, არქიტექტორი — რობერტ ადამი. ყველა ამ ადამიანის და მათი შრომების მნიშვნელობა სცილდებოდა არა მარტო შოტლანდიას, არამედ ბრიტანეთის საზღვრებსაც.

ასეთი იყო გარემო, ატმოსფერო, სადაც მომწიფდა სმიტის ტალანტი. რა თქმა უნდა, სმიტი სრულიადაც არ იყო მხოლოდ შოტლანდიური კულტურის ნაყოფი, მისი ეკონომიკური დაკვირვებანი კი საკმაოდ გასცდა შოტლანდიის ფარგლებს. ინგლისურმა მეცნიერებამ და კულტურამ, უწინარეს ყოვლისა ინგლისურმა ფილოსოფიამ და ეკონომიკურმა აზრმა, არანაკლები გავლენა იქონიეს მის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე წმინდა შოტლანდიურმა. პრაქტიკული აზრით მთელი მისი წიგნი მიმართულია იქითკენ, რომ გარკვეული (ანტიმერკანტილისტური) გავლენა მოახდინა შეერთებული სამეფოს ლონდონის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს გავლენის კიდევ ერთი — ფრანგული ხაზი. შოტლანდიაზე, რომელსაც მარია სტიუარტის დროიდან საფრანგეთთან ჰქონდა ტრადიციული კავშირ-ურთიერთობა, ფრანგული კულტურის გავლენა უფრო ძლიერ იგრძნობოდა, ვიდრე ინგლისზე. სმიტმა კარგად იცოდა მონტესკიეს და ვოლტერის თხზულებანი, აღფრთოვანებული მიესალმა რუსოს პირველ შრომებსა და „ენციკლოპედიის“ ტომებს.

პროფესორი სმიტი

ადამ სმიტი დაიბადა 1723 წ. პატარა ქალაქ კერკოლდში, ედინბურგის მახლობლად. მისი მამა, საბაჟოს ჩინოვნიკი, გარდაიცვალა ვაჟიშვილის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე. ადამი ერთადერთი შვილი იყო ახალგაზრდა ქვრივისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მას შესწირა. ბავშვი სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, ერიდებოდა თანატოლებთან ხმაურიან თამაშს. ოჯახი ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ ხამდვილ გაჭირვებასაც არ განიცდიდა. საბედნიეროდ კერკოლდში კარგი სკოლა და მასწავლებელი იყო, რომელიც სხვების მსგავსად ბავშვებს არ უჭედავდა თავს მხოლოდ ციტატებით ბიბლიიდან და ლათინური უღლებით. გარდა ამისა, ადამი ბავშვობიდანვე გარემოცული იყო წიგნებით. ასეთი იყო პირველი ჩანასახები იმ უსაზღვრო სწავლულობისა, რითაც გამოირჩეოდა სმიტი.

მართალია, სმიტს, ცნობილი მიზეზების გამო, არ მიუღია ისეთი ბრწყინვალე განათლება, როგორც არისტოკრატ ტიურგოს. კერძოდ, მას არ ჰყავდა ფრანგული ენის კარგი მასწავლებელი და ვერც ისწავლა ამ ენაზე სათანადოდ ლაპარაკი, თუმცა კითხულობდა თავისუფლად.

ძველ ენებს, რომელთა გარეშე XVIII ს-ის განათლებული კაცი იოლად ვერ წავიდოდა, მნიშვნელოვანწილად ითვისებდნენ უკვე უნივერსიტეტში (განსაკუთრებით ძველ ბერძნულს).

სმიტი ადრიერ ახალგაზრდა, 14 წლისა (ეს იმდროინდელ ჩვეულებაში იყო) შევიდა გლაზგოს უნივერსიტეტში. ყველა უნივერსიტეტისათვის აუცილებელი ლოგიკის კლასის (პირველი კურსი) შემდეგ იგი გადავიდა ზნეობრივი ფილოსოფიის კლასში, ამით მან არჩევანი ჰუმანიტარულ მიმართულებაზე შეაჩერა. თუმცა, იგი ასევე მეცადინეობდა მათემატიკასა და ასტრონომიაში და ყოველთვის გამოირჩეოდა ამ დარგების ჩინებული ცოდნით. სტუდენტებს შორის 17 წლის სმიტს უკვე ჰქონდა რამდენადაც უცნაური კაცის რეპუტაცია. მას შეეძლო ხმაურიან კომპანიაში უ ბად, ღრმად ჩაფიქრებულიყო და ლაპარაკი დაეწყო თავის თავთან, დაევიწყებინა მის გარშემო მყოფნი. ეს მცირე უცხაურობანი მას ძთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. სმიტმა 1740 წ. წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მიიღო სტიპენდია სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის ოქსფორდის უნივერსიტეტში. სტიპენდიას აძლევდნენ ერთ-ერთი მდიდარი ქველმოქმედის მემკვიდრეობიდან. ოქსფორდში მან გაატარა ექვსი წელი.

პროფესორები და ზედამხედველები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს სტუდენტთა მიერ წიგნების კითხვას და კრძალავდნენ თავისუფალ თემებზე დაწერილ წიგნებს. ოქსფორდში სმიტი მძიმე პირობებში ცხოვრობდა, თავის მეორე უნივერსიტეტს იგი ყოველთვის უსიყვარულოდ იხსენებდ. იგი ნაღვლობდა და ამასთან ერთად სშირად ავადმყოფობდა. მისი მეგობრები კელავაც მხოლოდ წიგნები იყო. სმიტის საკითხავი წიგნების წრე ძლიერ ფართო იყო, მაგრამ არავითარ განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკური მეცნიერებისადმი იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ ამჟღავნებდა.

ინგლისში ცხოვრების გაგრძელების უნაყოფო პერსპექტივამ და პოლიტიკურმა მოვლენებმა (სტიუარტების მომხრეების აჯანყება 1745—1746 წწ.) აიძულა სმიტი 1746 წ. გაზაფხულზე კერკოლდში წასულიყო, სადაც ორი წელი იცხოვრა და გააგრძელა თვითგანათლება. ედინბურგში მისი ერთ-ერთი გამგზავრების დროს მან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჰენრი ჰიუმზე (შემდგომში — ლორდი კეიმსი), მდიდარ მემამულეზე და მეცენატზე, რომ მან ახალგაზრდა მეცნიერს შესთავაზა ლექციების კურსის წაკითხვა ინგლისურ ლიტერატურაში. სმიტის ლექციების თემატიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა, შემდგომში შეიცვალა. მისი ძირითადი შინაარსი გახდა ბუნებითი სამართალი; ეს ცნება XVIII ს-ში შეიცავდა არა მხოლოდ იურისპრუდენციას, არამედ პოლიტიკურ მოძღვრებასაც, სოციოლოგიასაც, ეკონომიკასაც. სმიტის მიერ პოლიტიკური ეკონომიით პირველი საგანგებო დაინტერესებაც ასევე ამ დროს მიეკუთვნება.

როგორც ჩანს, 1750—1751 წწ. იგი უკვე გამოთქვამდა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითად იდეებს. ყოველ შემთხვევაში, 1755 წ. იგი წერდა და განსაკუთრებით შენიშნავდა, რომ ეს აზრები საფუძველი იყო მისი ლექციებისა ედინბურგში: „სახელმწიფო მოღვაწენი და პროექტიორები (ე. ი. პოლიტიკოსები — ა. ა.) ადამიანს ჩვეულებრივ უყურებენ როგორც პოლიტიკური მექანიკის რაღაც მასალას. პროექტიორები არღვევენ ადამიანური საქმეების ჩვეულებრივ მსვლელობას. ბუნებას წომ უნდა მივანდოთ თავისი თავი და მივცეთ მას არული თავისუფლება თავისი მიზნების მისაღწევად და საკუთარი პროექტების გახსახორციელებლად... იმისათვის, რომ სახელმწიფო ავამაღლოთ ბარბაროსობის ყველაზე დაბალი საფეხურიდან კეთილდღეობის ძალ საფეხურამდე, საჭიროა მხოლოდ მშვიდობა, მსუბუქი გადასახადები და შემწყნარებლობა მართვაში; ყოველივე დახარჩეხს საგახთა ბუნებრივი მსვლელობა შეასრულებს. ყველა მთავრობა, რომელიც ძალდატანებით წარმართავს მოვლენებს სხვა გზებით, ან ცდილობენ შეაჩერონ საზოგადოების განვითარება, ბუნების საწინააღმდეგონი არიან. რომ შეინარჩუნონ ხელისუფლება, ისინი იძულებულნი არიან განახორციელონ ჩაგვრა და ტირანია"[1].

ეს XVIII ს. პროგრესული ბურჟუაზიის ენაა მისი მკაცრი დამოკიდებულებით სახელმწიფოსადმი, რომელსაც ჯერ მთლიანად არ მოუშორებია თავისი ფეოდალური სამოსელი. ნაწყვეტში იგრძნობა სმიტისათვის დანახასიათებელი ვაჟკაცური ენერგიული სტილი. ეს უკვე ის სმიტია, რომელიც „ხალხთა სიმდიდრეში" მრისხანე სარკაზმით შეეხება „იმ ცბიერ და ეშმაკ ქმნილებას, ხალხურ მეტყველებაში სახელმწიფო მოღვაწეს ანუ პოლიტიკოსს რომ ეძახიან, რომლის გადაწყვეტილებებს ცვალებადი და გარდამავალი მომენტები განსაზღვრავენ".[2] ვფიქრობთ, აქ ბურჟუაზიული იდეოლოგიის არა მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულებაა იმდროინდელი სახელმწიფოსადმი, არამედ უბრალო ინტელიგენტის ღრმა მტრობაა ბიუროკრატებისა და პოლიტიკანებისადმი.

1751 წ. სმიტი გლაზგოში გადავიდა პროფესორის ადგილის დასაკავებლად უნივერსიტეტში. თავდაპირველად მან მიიღო ლოგიკის, შემდეგ კი ზნეობრივი ფილოსოფიის, ე. ი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა. გლაზგოში სმიტმა 13 წელი დაჰყო და წელიწადში ორ-სამ თვეს რეგულარულად ატარებდა ედინბურგში. მოხუცებულობაში იგონებდა, რომ ეს იყო მისი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი. იგი ცხოვრობდა მისთვის კარგად ცნობილ ახლობელთა წრეში, სარგებლობდა პროფესორების, სტუდენტების და გამოჩენილი მოქალაქეების პატი-

---

[1] ციტირებულია: W. R. Scott. Adam Smith as Student and Professor Glasgow. 1937, p., 53—54.

[2] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов. М., 1962, стр. 341.

ვისცემით. შეეძლო დაუბრკოლებლად მუშაობა და მისგან ცხოვრებაში ბევრს ელოდნენ. შემოკრებილ მეგობართა წრეში თანდათანობით შეიძინა ბრიტანელი მარტოხელას და „კლაბმენის“ (კლუბის ადამიანის) თვისებები, რომლებიც მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შერჩა.

1759 წ. სმიტმა გამოაქვეყნა თავისი პირველი დიდი მეცნიერული ნაშრომი: „ზნეობრივი გრძნობების თეორია“. ეს წიგნი სმიტის ფილოსოფიური და ეკონომიკური იდეების ჩამოყალიბების ეტაპია.

მის მოძღვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია თანასწორობის ანტიფეოდალურ იდეას. ბუნებაში ერთი ადამიანი მეორის თანასწორია, ამიტომ მორალის პრინციპი ყველას თანაბრად უნდა ეხებოდეს.

მაგრამ სმიტი ადამიანთა ქცევის აბსოლუტური, „ბუნებითი“ კანონებიდან გამოდიოდა და მეტად ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ეთიკა თავის საფუძვლებში განისაზღვრება მოცემული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობილებით. ამიტომ მან უარყო რელიგიური მორალი და „თანდაყოლილი ზნეობითი გრძნობა“, მათ ადგილას დააყენა სხვა აბსტრაქტული პრინციპი — „სიმპათიის პრინციპი“. იგი ფიქრობდა, ადამიანის ყველა გრძნობა და საქციელი სხვა ადამიანების მიმართ აეხსნა „მათ ტყავში შეძვრომის“ უნარით, წარმოსახვით თავისი თავი დაეყენებინა სხვა ადამიანთა ადგილას და მათ მაგივრად შეეგრძნო. როგორი ნიჭიერებითა და ზოგჯერ მახვილგონივრულადაც არ უნდა დამუშავებულიყო ეს იდეა, იგი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მეცნიერული მორალისტური ეთიკის საფუძველი. „ზნეობრივი გრძნობის თეორია“ არ გასცდენია XVIII საუკუნეს. მან კი არ მოუტანა უკვდავება სმიტს, პირიქით, „ხალხთა სიმდიდრის“ ავტორის დიდებამ დაიცვა იგი მივიწყებისგან.

ამასობაში უკვე „თეორიაზე“ მუშაობის მსვლელობაში სმიტის მეცნიერული ინტერესების მიმართულება შესამჩნევად შეიცვალა. იგი სულ უფრო ღრმად სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიას. აქეთკენ მას უბიძგებდა არა მარტო შინაგანი მიდრეკილებანი, არამედ იმ დროის მოთხოვნილებანიც. სავაჭრო-სამრეწველო გლაზგოში ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებული სიძლიერით იჭრებოდნენ ცხოვრებაში. არსებობდა პოლიტიკური ეკონომიის თავისებური კლუბი, სადაც მსჯელობდნენ ვაჭრობასა და ბირჟაზე, ხელფასსა და საბანკო საქმეზე, მიწის იჯარის პირობებსა და კოლონიებზე. მალე სმიტი ამ კლუბის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახდა. იუმთან ნაცნობობამ და მეგობრობამ ასევე გააძლიერა სმიტის ინტერესი პოლიტიკური ეკონომიისადმი.

გასული საუკუნის დასასრულს ინგლისელმა მეცნიერ-ეკონომისტმა ედვინ კენანმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი მასალები, რომლებმაც შუქი მოჰფინეს სმიტის იდეების განვითარებას. ეს იყო გლაზგოს უნივერსიტეტის რომელიღაც სტუდენტის მიერ გაკეთებული სმიტის ლექციის ჩანაწერები, რომელნიც შემდგომ ოდნავ რედაქტირე-

ბული და გადაწერილია. ამ ლექციების შინაარსი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ეს ლექციები იკითხებოდა 1762—1763 წწ. აქედან ნათელი ხდება, რომ ზნეობრივი ფილოსოფიის კურსი, რომელსაც სმიტი უკითხავდა სტუდენტებს, ამ დროისათვის უკვე გარღაქმნა არსებითად სოციოლოგიისა და პოლიტიკური ეკონომიის კურსად. იგი გამოთქვამს მრავალ შესანიშნავ მატერიალისტურ აზრს. მაგალითად, „მანამდე, ვიდრე არ არსებობს საკუთრება, არ შეიძლება იყოს სახელმწიფოც, რომლის მიზანი სწორედ ისაა, რომ დაიცვას სიმდიდრე და მდიდრები ღარიბებისაგან“.[1] ლექციის ეკონომიკურ ნაწილში აღვილად შეიმჩნევა იმ იდეების ჩანასახი, რომლებმაც განვითარება პოვეს „ხალხთა სიმდიდრეში“.

XX საუკუნის 30-იან წლებში იპოვეს სხვა საინტერესო დოკუმენტი: „ხალხთა სიმდიდრის“ პირველი თავის მონახაზი. ინგლისელი მეცნიერები ამ დოკუმენტს 1763 წ. ათარიღებენ. იგი ასევე შეიცავს მომავალი წიგნის ძრავალ მნიშვნელოვან იდეას: შრომის დანაწილების, მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ცნებას და ა. შ. ამ ნაშრომში არის აგრეთვე. მერკანტილიზმის მეტად მწვავე კრიტიკა და პრინციპის laissez faire დასაბუთება.

ამრიგად, ბლაზგოში ყოფნის ბოლო ხანებში სმიტი უკვე ღრმა და ორიგინალური ეკონომიკური მოაზროვნე, ჯერ კიდეე არ იყო მზად თავისი მთავარი შრომის შესაქმნელად. საფრანგეთში სამი წლის მოგზაურობამ (აბალგაზრდა ჰერცოგ ბაკლიუს აღმზრდელად) და ფიზიოკრატებთან პირადმა ნაცნობობამ დაასრულა ეს მომზადება.

სმიტი საფრანგეთში

აღწერილი მოვლენებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჟან ბატისტ სეი ეკითხებოდა მოხუც დიუპონს, დაწვრილებით მოეთხრო 1765—1766 წწ. სმიტის პარიზ ყოფნის შესახებ. დიუპონმა უპასუხა, რომ სმიტი იყო ხოლმე ექიმი კენეს „ანტრესოლის კლუბში“. მაგრამ ფიზიოკრატების შეკრებაზე იგი წყნარად იჯდა და მეტწილად დუმდა, ისე, რომ შეუძლებელი იყო მასში „ხალხთა სიმდიდრის“ მომავალი ავტორის შეცნობა. აბატი მორელე, მეცნიერი და მწერალი, რომელსაც შოტლანდიელი პარიზში დაუმეგობრდა, თავის მემუარებში გვიამბობს“: „მუსიე ტიურგო... დიდად აფასებდა მის (სმიტის — ა. ა.) ტალანტს. ჩვენ ძრავალჯერ შეეხვდით ერთმანეთს. იგი წარუდგინეს ჰელვეციუსს. ჩვენ ვლაპარაკობდით ვაჭრობის თეორიის, ბანკების, სახელმწიფო კრედიტის და მის მიერ ჩაფიქრებული დიდი თხზულების

[1] A. Smith, Lectures on Justice, Police Revenue and Arms,ed by E. Cannan, Oxford, 1896, p. 15.

Ჩრავალი საკითხის შესახებ“[1]. წერილებიდან ცნობილია, აგრეთვე, რომ სმიტი დაუახლოვდა მათემატიკოსს და ფილოსოფოსს დ’ ალამბერს და უმეცრებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ დიდ მებრძოლს ბაროს ჰოლბახს. სმიტმა მოინახულა ვოლტერი მის მამულში ჟენევის მახლობლად და რამდენჯერმე ესაუბრა. იგი ვოლტერს უდიდეს ფრანგად თვლიდა ცოცხლებს შორის და იმედი არ გასცრუებია მასზე.

თუ ზნეობრივ სიძნელეებს არ მივიღებთ მხედველობაში, სმიტი კარგად იყო ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ პარიზის ფილოსოფოსებთან შესახვედრად. ჯერ კიდევ 1755 წ. მან ჟურნალ „ედინბურგულ მიმოხილვა“-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მოწმობს ავტორის მიერ ფრანგული კულტურის განსაკუთრებულ ცოდნას. მისი ლექციებიდან ჩანს, რომ მას დაწვრილებითი წარმოდგენა ჰქონდა ჯონ ლოს იდეებსა და მოღვაწეობაზე და წაკითხული ჰქონდა ჯონ ლოს სისტემის შესახებ რამდენიმე ფრანგი ავტორის ნაშრომი. შესაძლებელია, ის ნაკლებად იცნობდა ფიზიოკრატების შრომებს, თუმცა კითხულობდა კენეს სტატიებს „ენციკლოპედიაში“. ძირითადად მან მათი იდეების შესახებ ცოდნა მიიღო უკვე პარიზში, პირადი ურთიერთობიდან და ფიზიოკრატიული ლიტერატურიდან, რომელიც სწორედ ჭარბად გამოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ სმიტი საფრანგეთში დროულად მოხვდა: ის უკვე საკმაოდ მომწიფებული მეცნიერი და ადამიანი იყო, რომ ფიზიოკრატების გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო, ამასთან ერთად მას ჰქონდა უნარი, შეეთვისებინა ყოველივე სასარგებლო კენესა და ტიურგოს მოძღვრებიდან.

ფიზიოკრატიასთან და, განსაკუთრებით, ტიურგოსთან სმიტის დამოკიდებულების საკითხს თავისი ისტორია აქვს. სმიტმა უფრო ღრმად ჩაიხედა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში. იგი მისდევდა ინგლისური ტრადიციების მიმართულებას და თავისი ეკონომიკური თეორია ააგო შრომითი ღირებულების ფუნდამენტზე, მაშინ როდესაც ფიზიოკრატებს საერთოდ არ ჰქონდათ, არსებითად, ღირებულების თეორია. ამან მას საშუალება მისცა. ფიზიოკრატებთან შედარებით ეადაედგა ნაბიჯი და აღნიშნა, რომ ყოველი მწარმოებლური შრომა, და არა მხოლოდ სამიწათმოქმედო, ქმნის ღირებულებას. ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაზე სმიტს უფრო ნათელი წარმოდგენა აქვს, ვიდრე ფიზიოკრატებს.

ამასთან ერთად ბევრ დარგში ფიზიოკრატები უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე სმიტი. ეს განსაკუთრებით ეხება კენეს გენიალურ იდეებს კაპიტალისტური კვლავწარმოების მექანიზმის შესახებ. სმიტი არათანამიმდევრულია თავის თეზისში ყველა სახის მწარმოებლური შრომის თანასწორუფლებიანობის ეკონომიკური ტოლფასოვნების შესახებ. მან

[1] A. Morellet, Mémozires sur le XVIII siècle et sur la révo-lution française, t. I. P., 1822, p. 244.

აშკარად ვერ შეძლო, თავი დაეღწია იმ წარმოდგენისათვის, რომ ღირებულების შექმნის თვალსაზრისით სამიწათმოქმედო შრომა მაინც უპირატესობას იმსახურებს: თითქოს აქ ადამიანთან ერთად თვით ბუნებაც „მუშაობს“.

სმიტის დამოკიდებულება ფიზიოკრატებისადმი სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე მერკანტილიზმისადმი. მერკანტილისტებში იგი იდეურ მოწინააღმდეგეებს ხედავდა, და მიუხედავად თავისი პროფესიორული თავშეკავებულობისა, მისთვის არ იშურებდა მკვეთრ კრიტიკულ ეპითეტებს (ოოგყერ არცთუ ისე გონიერსაც კი). ფიზიოკრატებში იგი მოკავშირეებსა და მეგობრებს ხედავდა. რომლებიც იმავე მიზნისაკენ მიდიოდნენ, მხოლოდ რამდენადმე სხვა გზით. მისი „ხალხთა სიმდიდრის“ დასკვნა მეტყველებს, რომ „გადმოცემული თეორია, მისი ყველა არასრულყოფილებით, ალბათ, უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პოლიტიკური ეკონომიის აქამდე გამოქვეყნებული რომელიღაც თეორია“[1]. სხვა ადგილას იგი წერს, რომ „ფიზიოკრატიას არ მიუყენებია და ალბათ არც მიაყენებს მცირედ ზიანსაც კი დედამიწის არც ერთ ნაწილს“[2]. უკანასკნელი შენიშვნა შეიძლება ხუმრობად მივიჩნიოთ. ასე ხუმრობს ადამ სმიტი: თითქოს შეუმჩნეველად, აღუშფოთველი სერიოზულობის შენარჩუნებით.

სმიტის წიგნში საფრანგეთი პირდაპირ და არაპირდაპირ ფიგურირებს არა მხოლოდ ფიზიოკრატიულ იდეებთან დაკავშირებით, არამედ დიდ ნაწილში სხვა დაკვირვებებსა (მათ შორის პირადიც), მაგალითებსა და ილუსტრაციებში. მთელი ამ მასალის საერთო ტონი კრიტიკულია. ადამ სმიტისათვის საფრანგეთი მისი ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილებით და ბურჟუაზიული განვითარებისათვის ბორკილებით — იდეალური „ბუნებითი წესრიგის“ ფაქტობრივ წესრიგთან წინააღმდეგობის ყველაზე ნათელი მაგალითია. არ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მისი წყობილება საერთოდ და მთლიანად გაცილებით მეტად უახლოვდება „ბუნებით წესრიგს“ თავისი პიროვნების, სინდისის და, რაც მთავარია, მეწარმეობის თავისუფლებით.

რას წარმოადგენდა საფრანგეთში სამი წლის ცხოვრება პირადად სმიტისათვის, როგორც ადამიანისათვის? პირველი, მისი მატერიალური მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ჰერცოგ ბაკლიუს მშობლებთან შეთანხმების თანახმად მას უნდა მიეღო წელიწადში 300 გირვანქა, არა მხოლოდ მოგზაურობის დროს, არამედ პენსიის სახითაც სიკვდილამდე. ამან სმიტს მისცა საშუალება, მომდევნო 10 წელი ემუშავა მხოლოდ თავის წიგნზე. გლაზგოს უნივერსიტეტში იგი უკვე აღარ

---

[1] A. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, стр. 491.

[2] იქვე, გვ. 480.

დაბრუნდა. მეორე, ყველა მისი თანამედროვე აღნიშნავდა სმიტის ხასიათის შეცვლას: იგი უფრო მობილიზებული, საქმიანი და ენერგიული გახდა; გამოიმუშავა სხვადასხვა ადამიანთან, მათ შორის ძლიერთა ამა ქვეყნისა, ურთიერთობის გარკვეული ჩვევა. სხვათა შორის მაღალი საზოგადოების პეწი მან ვერ შეითვისა და ნაცნობების უმეტესთა თვალში იგი ახირებული, დაბნეული პროფესორი იყო. სმიტის დაბნეულობა მალე შეეზარდა მის დიდებას და თითქოს მისი შემდგენელი ნაწილი გახდა.

6 „ეკონომიკური ადამიანი"

სმიტმა პარიზში თითქმის ერთი წელი გაატარა — 1765 წ. დეკემბრიდან 1766 წ. ოქტომბრამდე. მაგრამ პარიზის სალონებში მას არ ეკავა ისეთი ადგილი, როგორც მის მეგობარ იუმს წინა სამი წლის განმავლობაში, ხოლო ფრანკლინს — 10 წლის შემდეგ. სმიტი არ იყო შექმნილი იმისათვის, რომ საზოგადოებაში ბრწყინვალე თვისებებით ყოფილიყო გამორჩეული და ეს მასაც კარგად ჰქონდა შეგნებული.

მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნაცნობობას ჰელვეციუსთან, ადამიანთან, რომელსაც დიდი პირადი მომხიბვლელობა და შესანიშნავი გონება ჰქონდა. თავის ფილოსოფიაში ჰელვეციუსი ცდილობდა ეთიკა გაეთავისუფლებინა ეკლესიურ-ფეოდალური ხუნდებისაგან და ევოიზმი ადამიანის ბუნებრივ თვისებად და საზოგადოების პროგრესის ფაქტორად გამოაცხადა. ახალი, არსებითად ბურჟუაზიული, ეთიკა ემყარებოდა ანგარებიან ინტერესს, საკუთარი სარგებლობისაკენ თითოეულის ბუნებრივ მისწრაფებას, რომელიც შეზღუდულია სხვა ადამიანების ასეთივე მისწრაფებებით. ჰელვეციუსი საზოგადოებაში ანგარებიანი ინტერესის როლს ადარებდა ბუნებაში საყოველთაო მიზიდულობის კანონის როლთან. ამასთანაა დაკავშირებული ადამიანის ბუნებრივი თანასწორობა: თითოეულ ადამიანს მისი წარმოშობისა და მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, უნდა მიეცეს თანაბარი უფლება იღვწოდეს თავისი სარგებლობისათვის და ამით მოგებული დარჩება მთელი საზოგადოება.

სმიტმა განავითარა ეს იდეები და მიუსადაგა პოლიტიკურ ეკონომიას. სმიტის მიერ შექმნილი წარმოდგენა ადამიანის ბუნებასა და ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობაზე საფუძვლად დაედო კლასიკური სკოლის შეხედულებებს. ცნება „homo oeconomicus" („ეკონომიკური ადამიანი") აღმოცენდა რამდენადმე მოგვიანებით, მაგრამ მისი გამომგონებლები სმიტს ეყრდნობოდნენ. ცნობილი ფორნულირება „უხილავი ხელის" შესახებ, შესაძლოა ყველაზე მეტად ციტირებული აღგილია „ხალხთა სიმდიდრიდან".

სმიტის აზრთა მსვლელობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მთავარ მოტივს წარმოადგენს ანგა-

რებიანი ინტერესი. მაგრამ ადამიანს თავისი ინტერესისაკენ მისწრაფება შეუძლია, თუკი იგი მოემსახურება სხვა ადამიანებს და გასაცვლელად სთავაზობს თავის შრომას და შრომის პროდუქტებს. ასე ვითარდება შრომის დანაწილება. ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს და ერთდროულად ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას, თუმცა თითოეული მათგანი ეგოისტია და მხოლოდ თავისი ინტერესებითაა გატაცებული. ადამიანების ბუნებრივი მისწრაფება — გაიუმჯობესონ მატერიალური მდგომარეობა, — ეს ისეთი მძლავრი სტიმულია, რომ ნისი დაუბრკოლებელი მოქმედების პირობებში მას შესწევს უნარი, საზოგადოებაში შექმნას კეთილდღეობა. უფრო მეტიც — როგორც იტყვიან, ბუნებას თუ კარიდან გააგდებ, ფანჯრიდან შემოვა: ამ სტიმულს უნარიც კი შესწევს, „დაძლიოს ასეული საწყენი დაბრკოლება, რომლებითაც უგუნური ადამიანური კანონები ასე ხშირად ართულებენ მის საქმიანობას“[1]. აქ სმიტი მკვეთრად გამოდის მერკანტილიზმის წინააღმდეგ, რომელიც ზღუდავს ადამიანის „ბუნებით თავისუფლებას“ — ყიდვისა და გაყიდვის, დაქირავებისა და დამქირავებლის, წარმოებისა და მოხმარების თავისუფლებას.

თითოეული ცალკეული ადამიანი ისწრაფვის ისე გამოიყენოს თავისი კაპიტალი (როგორც ვხედავთ, არსებითად საქმე ეხება არა უბრალოდ ადამიანს, არამედ კაპიტალისტს), რომ მის პროდუქტს ჰქონდეს ყველაზე დიდი ღირებულება. იგი ჩვეულებრივად ამ დროს არც ფიქრობს საზოგადოებრივ სარგებლობაზე და ვერ აღიქვამს, როგორია ზემოქმედება მასზე... მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საკუთარი ინტერესი, მაგრამ „ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვაში, იგი უხილავი ხელით (ხაზგასმა ჩემია — ა. ა.) წარიმართება მიზნისაკენ, რომელიც სულაც არ ჰქონდა გათვალისწინებული... მიჰყვება საკუთარ ინტერესებს, იგი ხშირად უფრო ქმედითად ემსახურება საზოგადოებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ფიქრობს ამის გაკეთებას“[2].

„უხილავი ხელი“ — ეს ობიექტური ეკონომიკური კანონების სტიქიური მოქმედებაა. ეს კანონები მოქმედებენ ადამიანების ნება-სურვილის გარეშე და ხშირად მათი ნება-სურვილის წინააღმდეგაც. სმიტმა ასეთი ფორმით შემოიტანა ცნება ეკონომიკური კანონის შესახებ და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მან ამით, არსებითად, პოლიტიკური ეკონომია მეცნიერულ საფუძვლებზე დააყენა. პირობებს, რომლის დროსაც უფრო ეფექტურად ხორციელდება პირადანგარებიანი ინტერესის და ეკონომიკური განვითარების სტიქიური კანონების სასიკეთო მოქმედება, სმიტი ბუნებრივ წესრიგს უწოდებს.

[1] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, стр. 393.

[2] იქვე, გვ. 332.

ბიტისა და მომდევნო თაობის პოლიტეკონომებისათვის ეს ცნება თითქოსდა ორაზროვანია. ერთი მხრივ ეს ეკონომიკური პოლიტიკის, ი. პოლიტიკის laissez faire (იხ. ქვევით) პრინციპი და მიზანია. მეორე მხრივ ეს თეორიული კონსტრუქციაა, „მოდელია" ეკონომიკური სინამდვილის შესასწავლად.

ფიზიკაში. როგორც ბუნების შემეცნების მეტად საჭირო იარაღი, გამოიყენება იდეალური აირისა და იდეალური სითხის აბსტრაქციები. რეალური აირები და სითხეები არ იქცევიან „იდეალურად", ან ასეთ-ად იქცევიან მხოლოდ გან'ზღვრულ პირობებში. მაგრამ ამ დარღვევებისაგან აბსტრაჰირებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოვლენათა „წმინდა სახით" შესასწავლად. თითქმის ამის მსგავსია პოლიტიკურ ეკონომიაში „ეკონომიკური ადამიანის" და თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის აბსტრაქცია. რეალური ადამიანი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს პირად ანგარებიან ინტერესზე. სწორედ ისევე, როგორც კაპიტალიზმის დროს არასოდეს არ იყო და არც შეიძლება იყოს აბსოლუტური თავისუფალი კონკურენცია. მაგრამ მეცნიერება ვერ შეძლებდა შეესწავლა მასობრივი ეკონომიკური მოვლენები და პროცესები, თუ მას არ ექნებოდა გარკვეული დაშვებები, რომელნიც უსაზღვროდ რთული და მრავალსახოვანი სინამდვილის გამარტივებას და მოდელირებას ახდენენ, გამოყოფენ მასში მთავარ ნიშნებს. ამ თვალსაზრისით „ეკონომიკური ადამიანის" და თავისუფალი კონკურენციის აბსტრაქცია სავსებით გამართლებული იყო და მან ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იგი განსაკუთრებით შეესაბამებოდა XVIII და XIX საუკუნეების. კაპიტალიზმის სინამდვილეს.

მოვიტანოთ ორი მაგალითი მარქსისტული ეკონომიკური თეორიიდან.

ღირებულების კანონი მოქმედებს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საქონლურ მეურნეობაში, როგორც წარმოების სტიქიური რეგულატორი და მამოძრავებელი. თუ, მაგალითად, მოცემული საქონელმწარმოებელი რაღაც ტექნიკური სიახლეების დანერგვის წყალობით ამცირებს სამუშაო დროს, რასაც იგი ხარჯავს საქონლის ერთეულის გამოშვებაზე, მაშინ მცირდება ამ საქონლის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. მაგრამ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელიც განისაზღვრება სამუშაო დროის სახოგადოებრივი საშუალო დანახარჯებით, სხვა თანაბარ პირობებში არ იცვლება. ჩვენი დაოსტატებული საქონელმწარმოებელი თავისი საქონლის თითოეულ ერთეულს გაიდის წინანდელ ფასში, რომელიც პრინციპში განისაზღვრება საზოგადოებრივი ღირებულებით და მიიღებს დამატებით შემოსავალს, რადგანაც, ვთქვათ, სამუშაო დღის განმავლობაში იგი აწარმოებს 25%-ით მეტი საქონლის ერთეულს, ვიდრე სხვები. ცხადია.

საქონელმწარმოებელი კონკურენტები შეეცდებიან, თვითონაც გამოიყენონ ახალი ტექნიკა. ასეთია „ტექნიკური პროგრესის სტიმულირების“ მექანიზმის პირველი საფუძვლები. ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებელი აღწერილი სტიქიური ფაქტორების მოქმედების შედეგად შემცირდება საქონლის ეროვნულზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯები და საზოგადოებრივი ღირებულება. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ თითოეული საქონელმწარმოებელი აქ მოქმედებს როგორც „ეკონომიკური ადამიანი“, რომელიც ცდილობს თავისი შემოსავლების მაქსიმალიზაციას, ხოლო პირობები, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება — ეს თავისუფალი კონკურენციის პირობებია.

მეორე მაგალითი — მოგების საშუალო ნორმის წარმოქმნა თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის პირობებში. წარმოუდგენელია, რომ რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოგების ნორმა მწარმოებლის სხვადასხვა დარგში არსებითად განსხვავებული იყოს. მოგების ნორმის გათანაბრება ობიექტური აუცილებლობაა. მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ გათანაბრებას, მდგომარეობს დარგებს შორის კონკურენციასა და კაპიტალების გადასვლაში ერთ დარგიდან, სადაც მოგების ნორმა შედარებით დაბალია, მოგების უფრო მაღალი ნორმის მქონე დარგებში. ესეც გასაგებია — კაპიტალისტი მხოლოდ ცალმხრივაა წარმოდგენილი, როგორც მოგებისაკენ ლტოლვის განსახიერება. კაპიტალის გადასვლის შეუზღუდავი შესაძლებლობის შესახებ პირობა თანაბარმნიშვნელოვანია პირობისა თავისუფალი კონკურენციის შესახებ. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ყოველთვის არსებობს კაპიტალის თავისუფალი გადასვლის შემზღუდველი ფაქტორები, და მარქსი მათ კარგად იცნობდა. მაგრამ ეს ფაქტორები წეტანილი უნდა ყოფილიყო მოღელში მხოლოდ მისი „იდეალური სახით“ განხილვის შემდეგ.

კაპიტალისტი, მარქსის გამოთქმით, პერსონიფიცირებული კაპიტალია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ეკონომიისათვის არა აქვს მნიშვნელობა თითოეული ცალკეული კაპიტალისტის პირადი თავისებურებებს. მეცნიერებისათვის ეს იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში გამოიხატება კაპიტალის საზოგადოებრივი ურთიერთობა. აქ იკვეთება რაღაც კავშირი სმიტის აზრებთან. მაგრამ დასკვნა სრულიად განსხვავებულია. სმიტთან კაპიტალისტი, რომელიც იღვწის თავისი სარგებლობისათვის, შეუგნებლად განამტკიცებს კაპიტალიზმს. მარქსთან იგი მოქმედებს საერთოდ, იმდაგვარადვე და არა მხოლოდ ვანავითარებს კაპიტალიზმის საწარმოო ძალებს, არამედ ობიექტურად ამზადებს ძის კანონზომიერ დასასრულს. ამასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, მეორე პრინციპული განსხვავება. მარქსი ადამიანს იხილავს ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან, როგორც საზოგადოე-

ბრივი განვითარების ხანგრძლივი პროცესის პროდუქტს. ეს ადამიანი, როგორც პოლიტიკური ეკონომიის პროდუქტი არსებობს მხოლოდ მოცემული კონკრეტული კლასობრივი საზოგადოების ჩარჩოებში და მოქმედებს მისი კანონების შესაბამისად. სმიტისათვის კი მისი „ეკონომიკური ადამიანი“ ადამიანური ბუნების მუდმივი და ბუნებრივი გამოხატულებაა. ეს განვითარების პროდუქტი კი არა, უფრო მისი ამოსავალი პუნქტია. ადამიანის ბუნების ასეთ არაისტორიულ გაგებას სმიტი იზიარებდა ეპოქის ყველა დიდ მოაზროვნესთან ერთად, კერძოდ ჰელვეციუსთან.

„ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფციით სმიტმა დააყენა კოლოსალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი ადამიანების სამეურნეო საქმიანობის მოტივებისა და სტიმულების შესახებ. და მან ამ კითხვას გასცა თავისი დროისათვის ნაყოფიერი და ღრმა პასუხი, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მისი „ბუნებრივი ადამიანის“ მიღმა იმალება ბურჟუაზიული საზოგადოების ნამდვილი ადამიანი.

მოტივებისა და სტიმულების პრობლემას წააწყდა სოციალიზმიც, რომელიც მეცნიერული თეორიიდან სოციალურ-ეკონომიკურ სინამდვილედ იქცა. კაპიტალიზმის დამხობასთან, ადამიანის მიერ ადამიანის სრულ ლიკვიდაციასთან ერთად გაქრა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის წმინდა ბურჟუაზიული სტიმულები.

მაგრამ, რით შეიძლება შეიცვალოს ადამიანების გატაცება გამდიდრებით, რომელიც საბოლოო ანგარიშით, როგორც ჯერ კიდევ ადამ სმიტი ლაპარაკობდა, წინ ეწევა კაპიტალისტურ წარმოებას? შეიძლება მხოლოდ სოციალისტური შეგნებით, შრომითი ენთუზიაზმით, პატრიოტიზმით? კაპიტალისტები ხომ აღარ არიან. — ქარხნები, ფაბრიკები და მინდვრები ეკუთვნის ხალხს, ადამიანები მუშაობენ თავიანთი თავისათვის.

მართლაც, სოციალიზმი წარმოშობს შრომისა და საქმიანობის ახალ, მძლავრ სტიმულებს. ამაშია მისი უდიდესი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. მაგრამ მხოლოდ ამ ახალ სტიმულებზე დაყრდნობა ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის დაღუპვას. ისინი არ ჩნდებიან ჯადოსნურად, არამედ ვითარდებიან საზოგადოების და თვით ადამიანების, მათი ფსიქოლოგიის, მორალის, შეგნების ღრმა გარდაქმნების მსვლელობაში. საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი, მატერიალური ინტერესი შრომითი სტიმულის მნიშვნელოვან კანონზომიერებად რჩება. ლენინის იდეების საფუძველზე შემუშავებული სამეურნეო ანგარიშის პრინციპები სოციალისტური მეურნეობრიობის ძირითად მეთოდად იქცა. ეს პრინციპი ვითარდება და ღრმავდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

Laissez faire

Laissez faire ანუ, როგორც სმიტი გამოთქვამდა, ბუნებრივი თავისუფლების პოლიტიკა პირდაპირ გამომდინარეობს მისი შეხედულებებიდან ადამიანსა და საზოგადოებაზე. თუ თითოეული ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას საბოლოო ანგარიშით მივყავართ საზოგადოების კეთილდღეობასთან, ცხადია, რომ ასეთი საქმიანობა არაფრით არ უნდა შეიზღუდოს.

სმიტის აზრით, საქონლისა და ფულის, კაპიტალის შრომის თავისუფალი მოძრაობის დროს საზოგადოების რესურსები გამოყენებული იქნება ყველაზე რაციონალურად, ოპტიმალურად. მისი ეკონომიკური მოძღვრების ალფა და ომეგა იყო კონკურენციის თავისუფლება. იგი წითელ ზოლად გასდევს მთელ „ხალხთა სიმდიდრეს". ამ პრინციპს სმიტი უსადაგებდა ექიმებს, უნივერსიტეტის პროფესორებსაც და... მღვდლებსაც კი. თუ ყველა სარწმუნოებისა და სექტის ღვთის მსახურთ მიეცემათ ერთმანეთს შორის თავისუფალი კონკურენციის საშუალება, არც ერთ ჯგუფს არ ექნება პრივილეგია, და მით უმეტეს მონოპოლია. მაშინ ისინი ყველაზე ნაკლებად იქნებიან ზიანის მომტანნი (ეს კი, როგორც იგი ადვილად ვიგრძნობ, არის მათი უმაღლესი ეფექტურობა).

სმიტის როლი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან აღმოაჩინა laissez faire-ს პრინციპი, არამედ იმაში, რომ იგი დაასაბუთა საფუძვლიანობით და სისტემატურობით. თუმცა ეს პრინციპი საფრანგეთში დაიბადა, მაგრამ უნდა განვითარებინა ლოგიკურ დაბოლოებამდე და ეკონომიკური თეორიისათვის საფუძვლად უნდა დაედო ბრიტანელს. ინგლისი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ სამრეწველო ქვეყნად იქცა, უკვე ობიექტურად იყო დაინტერესებული ვაჭრობის თავისუფლებით. საფრანგეთში ფიზიოკრატიული თეორიის მოდა ღიღ ნაწილში განათლებული და ლიბერალური არისტოკრატიის კაპრიზი იყო, და ძლიერ მალე გაიარა. ინგლისში სმიტის „მოდა" გადაიქცა ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული თავადაზნაურობის რწმენის სიმბოლოდ. ინგლისის ბთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მთელი მომდევნო საუკუნეების მანძილზე, გარკვეული აზრით, სმიტისეული პროგრამის განხორციელება იყო.

პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ სმიტის სიცოცხლეშივე იყო გადადგმული. შემორჩენილია ასეთი საინტერესო მოთხრობა: სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სმიტი, უკვე სახელგანთქმული, 1787 წ. ლონდონში ყოფნის დროს ერთ-ერთ ცნობილ დიდებულს ესტუმრა. სტუმრების მისაღებ ოთახში დიდი საზოგადოება იყო შეკრებილი. პრემიერ-მინისტრ უილიამ პეტის ჩათვლით. როცა სმიტი შემოვიდა, ყველა ფეხზე ადგა. თავისი პროფესორული ჩვეულების თანახმად მან ხელი აწია

და თქვა: „ბატონებო, გთხოვთ დაბრძანდეთ“. პეტიმ ამაზე უპასუხა: „თქვენს შემდეგ დოქტორო. აქ ჩვენ ყველა თქვენი მოწაფეები ვართ“. შესაძლებელია, ეს მხოლოდ ლეგენდაა. მაგრამ იგი ახლოსაა სიმართლესთან. პეტიმ მართლაც გაატარა ვაჭრობაში რიგი ღონისძიებებისა, რომელნიც თავისი არსით „ხალხთა სიმდიდრის“ — იდეების შესაბამისი იყო.

სმიტი არსად არ აყალიბებს თავის პროგრამას პუნქტებად, თუმცა ამის გაკეთება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. სმიტის მიხედვით laissez faire კონკრეტულად ნიშნავს შემდეგს:

პ ი რ ვ ე ლ ი, იგი მოითხოვს ყველა ღონისძიების გაუქმებას, რომელნიც ზღუდავენ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, სამუშაო ძალის მობილობას. პირველ რიგში საქმე ეხება ისეთ ფეოდალურ გადმონაშთებს, როგორიცაა აუცილებელი ხელოსნური მოსწავლეობა და კანონი ახალშენების შესახებ. ნათელია, რომ ამ მოთხოვნის ობიექტური ახსნა კაპიტალისტებისათვის მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა იყო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ეპოქა, რომელზეც სმიტი წერდა: ბრიტანელ მუშათა კლასი ამ დროს იტანჯებოდა არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც მისი სათანადოდ განუვითარებლობისაგან. ამიტომ სმიტის მოთხოვნა პროგრესული და ჰუმანურიც კი იყო.

მ ე ო რ ე, სმიტი მიწებით სრული თავისუფალი ვაჭრობის მოპრძოლე იყო და მოითხოვდა სამემკვიდრეო მიწების დანაწილების შემზღუდველი კანონების გაუქმებას. სმიტი მომხრე იყო იმისა, რომ მიწები გადასულიყო იმ მესაკუთრეთა ხელში, რომელთაც ექნებოდათ მისი უფრო ეკონომიკურად გამოყენების უნარი, ან მიწების ბრუნვაში მოქცევის მიდრეკილება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში;

მ ე ს ა მ ე, სმიტი მოითხოვდა მრეწველობაში და შინავაჭრობაში მთავრობის რეგლამენტაციების ნაშთების გაუქმებას. აქციზები (არაპირდაპირი გადასახადები), რომლითაც საშინაო ბაზარზე იბეგრება ზოგიერთი საქონლის გაყიდვა, მხოლოდ ბიუჯეტის შემოსავლებისათვის და არა მეურნეობაზე ზემოქმედებისათვის უნდა იყოს შემოღებული. ინგლისში უკვე აღარ იყო ბაჟები ქვეყნის შიგნით საქონლების გადატანაზე. მით უფრო მწვავედ და აქტიურად ჟღერდა ეს კრიტიკა საღრანგეთისათვის;

მ ე ო თ ხ ე, სმიტმა დეტალურად გააკრიტიკა ინგლისის მთელი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და შეიმუშავა საგარეო ვაჭრობის თავისუფლების პროგრამა. ეს მისი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ყველაზე უშუალოდ მერკანტილიზმის წინააღმდეგია მიმართული. ამ

დაიბადა ფრიტრედერობა[1], რომელიც XIX ს-ის ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზიის დროშად იქცა.

სმიტის კრიტიკის ცეცხლში მოხვდა მერკანტილისტური პოლიტიკის მთელი არსენალი: მისწრაფება აუცილებელი აქტიური საგადასახადო ბალანსისაკენ, განსაზღვრული საქონლის შემოტანისა და გატანის აკრძალვა, მაღალი საიმპორტო ბაჟები, პრემიები ექსპორტისათვის, მონოპოლიური სავაჭრო კომპანიები. იგი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვიდა ინგლისის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. პირდაპირ განაცხადა, რომ იგი არა ერის, არამედ ერთი მუჭა ვაჭრუკანების ინტერესებითაა ნაკარნახევი. სმიტის აზრით, მრეწველობის მოშთობისა და ვაჭრობის შეზღუდვის პოლიტიკა, რომელსაც ინგლისი ახორციელებდა ირლანდიაში და განსაკუთრებით ჩრდილოამერიკულ კოლონიებში. ბეცი და უაზროა. იგი წერდა: „აეკრძალოს ერს, თავისი შრომის პროდუქტიდან გამოყოს ყოველივე ის, რაც მას შეუძლია, ან თავისი კაპიტალი და სამრეწველო შრომა დახარჯოს იმგვარად, როგორც მას უფრო მომგებიანად მიაჩნია, ეს არის კაცობრიობის ყველაზე უწმინდესი უფლების აშკარა დარღვევა"[2].

ეს გამოქვეყნდა 1776 წ., როცა ინგლისი უკვე აჯანყებული კოლონისტების წინააღმდეგ აწარმოებდა ომს. სმიტი ამერიკის რესპუბლიკანიზმისადმი სიმპათიით იყო განწყობილი, თუმცა იგი უზადო ბრიტანელად რჩებოდა და ემხრობოდა არა კოლონიების ჩამოშორებას, არამედ ინგლისსა და კოლონიებს შორის ყოველმხრივი თანასწორუფლებიანი კავშირის შექმნას. არანაკლებ გაბედულად გამოთქვამდა იგი თავის აზრს ძარცვისა და ჩაგვრის იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ოსტ-ინდოეთის კომპანია ინდოეთში ახორციელებდა. ასევე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სმიტს თავის წიგნში აქვს ბევრი გესლიანი და მკაცრი სიტყვა ეკლესიისა და საუნივერსიტეტო განათლების სისტემაზე. მართალია, იგი ინგლისში არც სიცოცხლის და არც თავისუფლების დაკარგვის რისკს არ ეწეოდა, არ ელოდა ციხე და არც განსაკუთრებით ეშინოდა მისი, სადაც სხვადასხვა დროს მოხვდა ზოგი მისი მეგობარი: ვოლტერი, დიდრო, მორელე და მირაბოც კი. მაგრამ მან იცოდა, თუ რა საგრძნობი იქნებოდა ანგლიკანური ხუცესების უნივერსიტეტის ხელისუფალთა და გაზეთის მჯღაბნელების სიძულვილი და თავდასხმა. მას ეშინოდა ყოველივე ამისა და არც ფარავდა ამ შიშს.

სმიტის პიროვნების მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ბუნებით ფრთხილმა და წინდახედულმა ადამიანმა მაინც დაწერა და დაბეჭდა თავისი გაბედული წიგნი.

---

[1] ინგლისურიდან „Free Trade" — თავისუფალი ვაჭრობა.

[2] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, стр. 424.

მეთერთმეტე თავი

ადამ სმიტი — სისტემის შემქმნელი

„ხალხთა სიმდიდრე“

1767 წ. გაზაფხულზე სმიტი განმარტოვდა კერკოლდში და იქ მეტ-ოდმივად ცხოვრობდა თითქმის ექვსი წელი, რომელიც მთლიანად წიგნზე მუშაობას შესწირა. ერთ-ერთ წერილში ის ჩივის, რომ ერთფეროვნული ცხოვრება და ერთ საგანზე ძალებისა და ყურადღების უზომო კონცენტრაცია არყევს მის ჯანმრთელობას. 1773 წ. ლონდონში გამგზავრებისას სმიტი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ საჭიროდ ჩათვალა, სიკვდილის შემთხვევაში ფორმალურად იუმისათვის გადაეცა თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობის უფლება. სმიტს ეგონა, თან დამთავრებული ხელნაწერი მიჰქონდა, სინამდვილეში მას თითქმის სამი წელი კიდევ დასჭირდა შრომის დასამთავრებლად. „ხალხთა სიმდიდრე“ მეოთხედი საუკუნით იყო დაშორებული ედინბურგის ლექციებში გამოთქმული პირველი ეკონომიკური ცდებიდან. ეს წიგნი ნაშრომიტად მთელი მისი ცხოვრების საქმე იყო.

„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ გამოქვეყნდა ლონდონში 1776 წ. მარტში. გამომცემელი იყო უილიამ სტრეხენი — პარლამენტის ლიბერალური წევრი და ბენჟამენ ფრანკლინის მეგობარი. მაშინვე ვერ გაირკვა, თუ რა დიდი მომავალი ჰქონდა ამ წიგნს. დასაწყისში მხოლოდ რამდენიმემ შეძლო სმიტის შრომის შეფასება. მაგრამ მალე მასში წამოყენებულმა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სიმწვავემ ფართო მკითხველის ყურადღება მიიპყრო.

სმიტის თხზულება ხუთი წიგნისაგან შედგება. მისი თეორიული სისტემის საფუძვლები, სადაც დასრულებული და განზოგადებულია წინა საუკუნის ინგლისელი და ფრანგი ეკონომისტების მრავალი იდეა, გადმოცემულია პირველ ორ წიგნში. პირველი არსებითად შეიცავს ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების ანალიზს, რომელსაც სმიტი მოგებისა და მიწის რენტის კონკრეტულ ფორმაში იხილავს. მეორე წიგნის სათაურია „კაპიტალის ბუნების, მისი დაგროვებისა და გამოყენების შესახებ“. დანარჩენი სამი წიგნი წარმოადგენს სმიტის თეო-

რიის დამატებას ნაწილობრივ ისტორიაში, ძირითადად კი ეკონომიკურ პოლიტიკაში. მცირე მოცულობის მესამე წიგნში საკითხი ეხება ევროპის ეკონომიკის განვითარებას ფეოდალიზმის დროს და კაპიტალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში. ვრცელი მეოთხე წიგნი პოლიტიკური ეკონომიის ისტორია და კრიტიკაა; რვა თავი ეძღვნება მერკანტილიზმს, ერთი — ფიზიოკრატებს. მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი, მეხუთე წიგნი ეთმობა ფინანსებს — სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავლებს. მაგრამ სწორედ ამ სამ წიგნში, კონკრეტული მასალების სიმრავლეში დაფარულია სმიტის ზოგიერთი ყველაზე დამახასიათებელი მოსაზრებანი ძირეული ეკონომიკური პრობლემების შესახებ.

„ხალხთა სიმდიდრე" უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წიგნია პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. როგორც უოლტერ ბეჯოტი შენიშნავს, ეს არა მხოლოდ ეკონომიკური ტრაქტატი, არამედ „ძლიერ საინტერესო წიგნია ძველი დროის შესახებ". იგი შესამჩნევად განსხვავდება კენეს ნაშრომი ანალიზური ესკიზებისაგან, ტიურგოს თეორემებისა და რიკარდოს „პრინციპებისაგან" მათი ღრმა აბსტრაქციის გაუხეშებული ატმოსფეროთი.

სმიტმა თავის თხზულებაში ჩააქსოვა უდიდესი ერუდიცია, ფხიზელი დაკვირვების უნარი და ორიგინალური იუმორი. „ხალხთა სიმდიდრეში" შეიძლება მრავალი საინტერესო რამის ამოკითხვა კოლონიებისა და უნიველრსიტეტების. სამხედრო საქმისა და ბანკების, ვერცხლის საბადოებისა და კონტრაბანდის ...და სხვა მრავალის შესახებ. თანამედროვე თვალსაზრისით მრავალი მათგანი სრულიადაც არ ეხება ეკონომიკურ თეორიას. მაგრამ სმიტისათვის პოლიტიკური ეკონომია იყო სწორედ ასეთი, თითქმის ყოვლისმომცველი მეცნიერება საზოგადოების შესახებ.

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის ძირითადი მეთოდი აბსტრაქციის მეთოდია. ეკონომიკაში გამოვყოფთ რიგს ძირითადი ამოსავალი კატეგორიებისას და მათ პრინციპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით. შესაძლებელია, შემდგომ სულ უფრო რთული და კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენების გაანალიზება. ადამ სმიტი ავითარებდა ამ მეცნიერულ მეთოდს. იგი შეეცადა აეგო თავისი სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაუდო ისეთი კატეგორიები, როგორიცაა შრომის დანაწილება, გაცვლა, საცვლელი ღირებულება. შემდეგ იგი აახალიზებდა ძირითადი კლასების შემოსავლებს. მისი მრავალრიცხოვანი გადახვევები და აღწერები შეიძლება ამ აზრით განხილულ იქნეს როგორც ფაქტიური ილუსტრაციები, რომელთაც გარკვეული დამაჯერებლობა და ფასეულობა გააჩნიათ. მაგრამ სმიტს არ შეეძლო მეცნიერული კვლევის ამ მაღალ დონეზე დარჩენა. აღწერილობა, ზედაპირული წარმოდგენები ხშირად იტაცებდნენ მას და იგი სცილდე-

ბოდა თავის უფრო ღრმა ანალიზურ მიდგომას. ეს გაორება ობიექტურად განპირობებული იყო ეპოქით და სმიტის ადგილით მეცნიერებაში, სუბიექტურად — მისი ინტელექტის თავისებურებით.

მარქსი ამასთან დაკავშირებით წერდა: „სმიტი დიდი გულუბრყვილობით მუდმივ წინააღმდეგობაში ტრიალებს. ერთი მხრივ იგი კვალდაკვალ მიჰყვება ეკონომიკურ კატეგორიათა შინაგან კავშირს, ანუ ბურჟუაზიული ეკონომიკური სისტემის ფარულ სტრუქტურას. მეორე მხრივ, იგი ამის გვერდით აყენებს კავშირს, როგორც იგი, მაშასადამე, წარმოუდგება უცხო დამკვირვებელს, ასევე იმ ადამიანს, რომელიც პრაქტიკულად გატაცებულია ბურჟუაზიული წარმოების პროცესით და პრაქტიკულად დაინტერესებულია ამით. გაგების ეს ორივე წესი, რომელთაგანაც ერთი ბურჟუაზიული სისტემის შინაგან კავშირში, ასე ვთქვათ, მის ფიზიოლოგიაში იკრება, მეორე კი მხოლოდ აავიწერს, აკატალოგებს, გვიამბობს და ცნებათა სქემატურ განსაზღვრებაში ათავსებს იმას, რაც გარეგნულად ვლინდება სასიცოცხლო პროცესში, იმ სახით, როგორც იგი მეღავნდება და ზედაპირზე გვევლინება, — გაგების ორივე ეს წესი სმიტის სისტემაში არა მარტო თავსდება ერთიმეორის გვერდით, არამედ ისინი ერთმანეთს გადაეხლართვიან და მუდამ ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან"[1].

მარქსი შემდგომ ლაპარაკობს, რომ სმიტის გაორებას ჰქონდა გამართლება, რადგან მისი ამოცანა მართლაც ორგვარი იყო. იგი ცდილობდა ეკონომიკური ცოდნის სისტემაში მოყვანას და არა მარტო აბსტრაქტულად უნდა გაეანალიზებინა შინაგანი კავშირები. არამედ უნდა აღეწერა კიდეც ბურჟუაზიული საზოგადოება, უნდა შეერჩია განმარტებებისა და ცნებების ნომენკლატურა. სმიტის ამ გაორებას. ძირითადი მეცნიერული პრინციპების განხორციელებაში არათანამიმდევრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარებისათვის. დავიდ რიკარდო ალბათ პირველი იყო. ვინც შოტლანდიელს აკრიტიკებდა და ანალიტიკოს სმიტს იცავდა აღმწერი სმიტისაგან. ამასთან ერთად „ხალხთა სიმდიდრეზე" დაყრდნობა შეეძლოთ იმ ავტორებსაც, რომლებმაც რიკარდოსაგან განსხვავებით, განავითარეს სმიტის ზედაპირული, ვულგარული წარმოდგენანი.

სმიტს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა პოლიტიკური ეკონომიის საგანზე, როგორც მეცნიერებაზე, რომელმაც თავისი მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა. პოლიტიკურ ეკონომიას ორი მხარე აქვს: უპირველეს ყოვლისა ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი მატერიალური დოვლათის წარმოების გაცვლის, განაწილების და მოხმარების ობიექტურ კანონებს მოცემულ ფორმაციაში. სმიტი, როცა აყალიბებს შესაალში თავისი

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, თბ., 1968, გვ. 214—215.

ვამოკვლევის პირველი ორი წიგნის თემატიკას, არსებითად გადმოსცემს პოლიტიკური ეკონომიის ამ შინაარსს. იგი განიხილავს მათში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის მიზეზებს, საზოგადოებაში სხვადასხვა კლასებსა და ჯგუფებს შორის პროდუქტის განაწილების ბუნებით წესრიგს, კაპიტალის ბუნებას და მისი თანდათანობითი დაგროვების წესებს.

ეს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურისადმი პოზიტიური, ანალიტიკური მიდგომაა. შეისწავლება ის, რაც სინამდვილეშია, როგორც და რატომაც ეს სინამდვილე ვითარდება. მნიშვნელოვანია, რომ სმიტი პოლიტიკურ ეკონომიაში უპირველეს ყოვლისა ხიდავს სოციალური პრობლემების ანალიზს, საზოგადოების კლასებს შორის ურთიერთობას...

მაგრამ არსებობს მეორე მხარეც: სმიტის აზრით პოლიტიკურმა ეკონომიამ ობიექტური ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს პრაქტიკული ამოცანები: დაასაბუთოს და რეკომენდაცია მისცეს ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც შეეძლება „უზრუნველყოს ხალხი უხვი შემოსავლით ან საარსებო საშუალებებით, ან უფრო ზუსტად, უზრუნველყოს იგი მათი მოპოვების შესაძლებლობით...“[1]. მაშასადამე, პოლიტიკურმა ეკონომიამ საქმე ისე უნდა წარმართოს, რომ საზოგადოებაში მოქმედებდეს ისეთი წესები, რომლებიც შექმნის საწარმოო ძალების განვითარების მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს.

ეს ნორმატიული, პრაქტიკული მიდგომაა. ასეთი მიდგომის დროს ეკონომისტი ცდილობს უპასუხოს კითხვას — როგორ უნდა „გაიზარდოს სიმდიდრე“.

როგორც წესი, ორივე მეთოდი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ყოველ ეკონომიკურ კონცეფციაში ერთიმეორეს ავსებენ. მაგრამ როგორც ჩვენ ქვევით დავინახავთ, მრავალი დიდი მეცნიერისათვის შემდგომში დამახასიათებელი იყო ან პირველი, ან მეორე მიდგომის უპირატესი გამოყენება: თუ სეის სკოლა ყოყოჩობდა თავისი „პოზიტივიზმით“, დეკლარაციულად უარს ამბობდა ნორმატიულ რეკომენდაციებზე, სისმოხდი პირიქით, პოლიტიკურ ეკონომიაში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდა მეცნიერებას იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნას საზოგადოება მისი თვალსაზრისით სასურველი მიმართულებით. სმიტი კი მისთვის დამახასიათებელი მრავალმხრივობით მეტად ორგანულად აერთიანებდა ორივე მიდგომას.

---

[1] А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, стр. 313.

სმიტი თავის წიგნს იწყებს შრომის [illegible] საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ფაქტორად მიიჩნევს. თვით იარაღებისა და მანქანების გამოგონებასა და სრულყოფას იგი შრომის დანაწილებას უკავშირებს. სმიტს მოაქვს თავისი ცნობილი მაგალითი ქინძისთავების მანუფაქტურის შესახებ, სადაც მუშების სპეციალიზაცია და მათ შორის ოპერაციების დანაწილება იძლევა წარმოების რამდენიმეჯერ გადიდების შესაძლებლობას. შემდგომ მთელ წიგნში, როგორც „ხალხთა სიმდიდრის" უკანასკნელი რუსული გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი — ვ. ს. აფანასევი აღნიშნავს: „შრომის დანაწილება წარმოადგენს თავისებურ ისტორიულ პრიზმას, რომელშიც სმიტი იხილავს ეკონომიკურ ინტერესებს". ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ შრომის დანაწილებას უკავშირდება სმიტის წარმოდგენა „ეკონომიკური ადამიანის" და სამეურნეო საქმიანობის მოტივების შესახებ. ამასვე ეყრდნობა იგი, როცა მსჯელობს ღირებულების, ფულის ფუნქციების, და მრავალ სხვა პრობლემაზე.

სმიტი ამბობს, რომ საზოგადოების „სიმდიდრე", ე. ი. პროდუქტების წარმოება და მოცულობა, ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: 1. მწარმოებლური შრომით დასაქმებული მოსახლეობის წილზე და 2. შრომის ნაყოფიერებაზე. სმიტმა შორსმჭვრეტელურად შენიშნა, რომ მეორე ფაქტორს შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს. დააყენა კითხვა, თუ რით განისაზღვრება შრომის ნაყოფიერება და თავისი დროისათვის სრულიად კანონზომიერი პასუხიც გასცა. შრომის დანაწილებით. მართლაც, კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ სტადიაზე, როცა მანქანები იშვიათობა იყო და ხელით შრომა სჭარბობდა, სწორედ შრომის დანაწილება იყო მისი ნაყოფიერების ზრდის მთავარი ფაქტორი.

შრომის დანაწილება ორი სახისაა: ერთ მანუფაქტურაში დასაქმებული მუშები სპეციალიზდებიან სხვადასხვა ოპერაციებზე და ერთობლივად აწარმოებენ მზა პროდუქტს, მაგალითად, იმავე ქინძისთავებს — ეს ერთი სახეა. სრულიად სხვაა შრომის დანაწილება საზოგადოებაში. სხვადასხვა საწარმოებსა და დარგებს შორის. მწყემსი გამოზრდის პირუტყვს და ყ ი დ ი ს მას სასაკლაოზე, ყასაბი კლავს პირუტყვს და ტყავს მ ი ჰ ყ ი დ ი ს დაბაღს, უკანასკნელს გამოყავს ტყავი და მას მიჰყიდის მეწაღეს...

სმიტი შრომის დანაწილების ამ ორ სახეს ერთმანეთში ურევდა და მათ შორის ვერ ხედავდა პრინციპულ განსხვავებას: პირველ შემთხვევაში არა გვაქვს საქონლის ყიდვა-გაყიდვა, მეორე შემთხვევაში — გვაქვს. მთელი საზოგადოება მას წარმოედგინა რაღაც გიგანტურ მანუფაქტურად, ხოლო შრომის დანაწილება „ხალხთა სიმდიდ-

რის“ ინტერესებისათვის ადამიანების ეკონომიკური თანამშრომლობის საყოველთაო ფორმად. ეს დაკავშირებულია მის საერთო შეხედულებასთან ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე, რომელიც მას მიაჩნდა ერთადერთ შესაძლებელ, ბუნებრივ და მუდმივ საზოგადოებად. სინამდვილეში შრომის დანაწილება, რომელიც სმიტმა ნახა, იყო სპეციფიკურად კაპიტალისტური, რაც კიდეც განსაზღვრავდა მის ძირითად ნიშნებსა და შედეგებს. იგი არა მარტო ხელს უწყობდა საზოგადოებრივ პროგრესს, არამედ ამასთან ერთად აღრმავებდა და აძლიერებდა შრომის კაპიტალისადმი დამორჩილებას.

ამ საკითხშიც, როგორც სხვა მრავალში, სმიტისათვის დამახასიათებელია გაორება. წიგნის დასაწყისში იგი ქებას ასხამს კაპიტალისტური შრომის დანაწილებას, სხვა ადგილას კი, თითქოს სხვათა შორის, აღნიშნავს მის უარყოფით გავლენას მუშაზე: „შრომის დანაწილების გახვითარებით მათი დიდი უმრავლესობის საქმიანობა, ვინც შრომით ცხოვრობს, ე. ი. ხალხის მთავარი მასისა დაიყვანება ძლიერ მცირე მარტივ ოპერაციებამდე, ხშირად კი ერთზე ან ორზე... ამრიგად, მისი (მუშის — ა. ა.) მოხერხებულობა და ცოდნა მის სპეციალურ პროფესიაში წარმოადგენს მისი გონებრივი, სოციალური და სამხედრო თვისებების საფუძველზე შენაძენს. მაგრამ ყოველ განვითარებულ ცივილიზებულ საზოგადოებაში ასეთ მდგომარეობაში გარდუვლად უხდა აღმოჩნდნენ მშრომელი ღარიბები, ე. ი. ხალხის მთავარი მასა, თუკი მთავრობა ძალას არ ზოგავს ამის თავიდან ასაცილებლად“[1]. მუშა იქცევა კაპიტალის, კაპიტალისტური წარმოების უმწეო დახამატად, სწორედ იმად, რასაც მარქსმა ნაწილობრივი მუშა უწოდა.

ყურადღებას იპყრობს სმიტის ციტატის უკანასკნელი ფრაზა. იგი **საკმაოდ მოულოდნელად** ეღერს laissez faire უდავო მომხრისაგან. საქმე ისაა, რომ სმიტი აქ გრძნობს კაპიტალიზმის საშიშ ტენდენციას: თუ ყველაფერს მიანდობ ბუნებრივ მსვლელობას, მაშინ წარმოიშობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაგვარების საშიშროება. სმიტს ამის ხელშეშლელ ძალად მხოლოდ სახელმწიფო მიაჩნია.

სმიტმა ასახა შრომის დანაწილება და საქონლების გაცვლის პროცესი, იგი აყენებს საკითხს ფულის შესახებ, ურომლისოდაც რეგულარული გაცვლა შეუძლებელია. მოცულობით მცირე, მეოთხე თავში იგი კეთილსინდისიერად მოგვითხრობს ფულის ბუნებისა და მთელი საქონლის სამყაროდან მისი როგორც განსაკუთრებული საქონლის — საყოველთაო ეკვივალენტის გამოყოფის ისტორიის შესახებ. ფულსა და კრედიტს სმიტი შემდეგში არაერთხელ უბრუნდება, მაგრამ ეს ეკონომიკური კატეგორიები მთლიანად მასთან მოკრძალებულ როლს

[1] A. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов, стр. 556, 557.

ასრულებენ. ფულში სმიტი ხედავდა მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას, რომელიც აადვილებს ეკონომიკური პროცესების მსვლელობას, და მას „მიმოქცევის ბორბალს“ უწოდებდა. კრედიტს იგი იხილავს მხოლოდ როგორც კაპიტალის აქტივიზაციის საშუალებებს და მას საკმაოდ მცირე ყურადღებას უთმობდა. სმიტის შეხედულებების ღირსება იყო ის, რომ მას ფული და კრედიტი წარმოებიდან გამოყავდა და ხედავდა წარმოების მიმართ მათ დამორჩილებულ როლს. მაგრამ, ამასთანავე, ეს შეხედულებები ცალმხრივი და შეზღუდული იყო. იგი სათანადოდ ვერ აფასებდა იმ დამოუკიდებლობას, რომელსაც იძენენ ფულადი-საკრედიტო ფაქტორები, და მათ დიდ უკუგავლენას წარმოებაზე.

„ხალხთა სიმდიდრის“ პირველი ოთხი თავი საკმაოდ ადვილი საკითხავი და თავისი შინაარსით რამდენადმე თავშესაქცევი, წარმოადგენს სმიტის მოძღვრების ცენტრალური ნაწილის — ღირებულების თეორიის თავისებურ შესავალს. სმიტი მასზე გადასვლის დროს მკითხველისაგან მზრუნველობით მოითხოვს „ყურადღებას და მოთმინებას“ საკითხის „განსაკუთრებული აბსტრაქტული ხასიათის“ გამო.

ზოგადი ღირებულება

სმიტის პირველი კრიტიკოსები ძალიან ხშირად მისივე მეთოდებითა და იდეებით სარგებლობდნენ. ამის გამო სმიტის გავლენა, განსაკუთრებით რიკარდოს გავლენასთან შესისხლხორცებული, უდიდესი იყო XIX ს-ის 60-იან წლებამდე. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: ერთი მხრივ აღმოცენდა მარქსიზმი, მეორე მხრივ, 70-იან წლებში გაჩნდა და სწრაფად დამკვიდრდა სუბიექტური სკოლა პოლიტიკურ ეკონომიაში.

სმიტს „მკაცრად“ დაუწყეს მოპყრობა და, ბუნებრივია, პირველი მისი მსხვერპლი იყო მისი ღირებულების თეორია. რა თქმა უნდა, ეს ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ კიდევ ალფრედ მარშალი, XIX ს-ის მეორე ხახევრის უდიდესი ინგლისელი ბურჟუაზიული მეცნიერი, რომელსაც რიკარდოელობასთან ჰქონდა შენარჩუნებული კავშირი და ცდილობდა, როგორღაც შეერიგებინა იგი ახალ სუბიექტურ იდეებთან, სმიტის შესახებ წერდა, რომ მისი „მთავარი შრომა იყო, მთლიანობაში მოეყვანა და განევითარებინა მისი ფრანგი და ინგლისელი თანამედროვეებისა და წინამორბედების მოსაზრებანი ღირებულების შესახებ“[1].

გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერის პოლ დუგლასის პოზიცია, რომელიც წერდა 40 წლის შემდეგ, უკვე განსხვავებულია. იგი სმიტს ადასაშაულებს იმაში, თითქოს მან წინამორბედებს მოაშორა სწორედ

[1] ციტირებულია J. Schumpeter. History of Economic Analysis, p. 307.

ყველაზე ძვირფასი და თავისი ღირებულების თეორიით ინგლისური პოლიტიკური ეკონომია ჩიხში მოაქცია, საიდანაც მან მთელი საუკუნის მახძილზე ვერ შეძლო გამოსვლა. შუმპეტერმა თავის „ეკონომიკური ანალიზის ისტორიაში“ განამტკიცა სმიტისადმი გარეგნულად მოკრძალებული, მაგრამ არსებითად მეტად სკეპტიკური დამოკიდებულება. იგი საერთოდ ეეჭვობს, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სმიტი შრომითი ღირებულების თეორიის მიმდევარია. და ბოლოს, ეკონომიკური აზრის ისტორიის ამერიკულ სახელმძღვანელოში (ჯ. ფ. ბელ-ის) ნაკლებია: „სმიტის წვლილმა ღირებულების თეორიაში გარკვევის ნაცვლად უფრო დახლართა საქმე. შეცდომები, უზუსტობანი და წინააღმდეგობანი — აი მისი აზროვნების უბედურება“[1].

ყოველივე აქედან ერთი რამ უდავოდ ნათელია: სმიტის ღირებულების თეორიას ნამდვილად გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგრამ როგორც მარქსმა გვიჩვენა, ეს ნაკლი და წინააღმდეგობანი ეკონომიკური თეორიისათვის კანონზომიერი და თავისებურად სასარგებლო იყო. სმიტი ცდილობდა, ნაბიჯი გადადგა შრომითი ღირებულების თეორიის ამოსავალი, უმარტივესი ფორმულირებიდან, რომელშიც იგი შეიძლება მხოლოდ ზოგად ადგილად ჩანდეს, კაპიტალიზმის დროს თავისუფალი კონკურენციის პირობებში სასაქონლო-ფულადი გაცვლის და ფასწარმოქმნის რეალური სისტემისაკენ. ამ კვლევის დროს იგი წააწყდა გადაუჭრელ წინააღმდეგობებს. მარქსი ამის საბოლოო ღრმა მიზეზად თვლიდა იმას, რომ სმიტს (და რიკარდოსაც) კაპიტალიზმზე არ ჰქონდათ ისტორიული შეხედულება, რომ კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობას თვლიდნენ მარადიულად და ერთადერთ შესაძლებლად. გარდა ამისა, სმიტმა იცოდა მხოლოდ „საზოგადოების პირველყოფილი მდგომარეობა“, რომელიც მას მითის სახით წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, იგი დიდი მეცნიერული სიღრმით მიუდგა ღირებულების პრობლემას.

სმიტმა უფრო დიდი სიზუსტით, ვიდრე მანამდე სხვამ, განსაზღვრა და გამიჯნა სახმარი ღირებულების და საცვლელი ღირებულების ცხებები. მან უარყო ფიზიოკრატების დოგმა და შრომის დანაწილების შესახებ მის მოძღვრებაზე დაყრდნობით აღიარა ყველა სახის მწარმოებლური შრომის ერთნაირობა ღირებულების შექმნის თვალსაზრისით... ამით იგი მიხვდა, რომ საცვლელ ღირებულებას საფუძვლად უდევს, მარქსის გამოთქმით, ღირებულების სუბსტანცია, ე. ი. შრომა როგორც ადამიანის ყოველივეარი საწარმოო საქმიანობა. ამან გზა გაუკაფა მარქსის აღმოჩენას შრომის ორადი ხასიათის, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული შრომის შესახებ. სმიტს ესმოდა, რომ კვალიფიციური და რთული შრომა დროის ერთეულში ქმნის უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე არაკვალიფიციური და მარტივი

[1] J. F. Bell. A History of Economic Thought, p. 188.

შრომა და შეიძლება დაყვანილ იქნეს უკანასკნელამდე რაღაც კოეფიციენტის დახმარებით. მას გარკვეული ზომით ასევე ესმოდა, რომ საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება არა ცალკეული მწარმოებლის შრომის ფაქტიური დანახარჯებით, არამედ იმ დანახარჯებით, რომელნიც საშუალოდაა აუცილებელი საზოგადოების მოცემული მდგომარეობის დროს.

ნაყოფიერი იყო სმიტის კონცეფცია საქონლის ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ. ბუნებრივ ფასად მას არსებითად მიაჩნდა საცვლელი ღირებულების ფულადი გამოხატულება და თვლიდა, რომ ხანგრძლივ ტენდენციაში ფაქტობრივი საბაზრო ფასები ისწრაფვიან მისკენ როგორც რყევის ცენტრისაკენ. თავისუფალი კონკურენციის პირობებში მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების დროს საბაზრო ფასები ბუნებრივს ეძთხვევა. მან ასევე ჩაუყარა საფუძველი ფაქტორების ანალიზის დასაწყისს, რომლითაც შეუძლიათ გამოიწვიონ ღირებულებისაგან ფასების ხანგრძლივი გადახრა, რომელთაგან ძას ჩნიშვნელოვნად მონოპოლიან მიაჩნდა.

სმიტის ღრმა ალღო გამოვლინდა იმაშიც, რომ მან, სულ ცოტა, დააყენა პრობლემა, რომელიც ღირებულების და ფასის წარმოქმნის თეორიის ცენტრში იდგა მთელი მომდევნო საუკუნის მანძილზე. მარქსის კატეგორიებში ლაპარაკია ღირებულების წარმოების ფასად გარდაქმნაზე. სმიტმა იცოდა, რომ მოგება ტენდენციაში კაპიტალის პროპორციული უნდა იყოს და ჩასწვდა მოგების საშუალო ნორმის ბუნებას. ძისი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მან ეს მოვლენები ვერ დაუკავშირა და ვერ შეუთავსა შრომითი ღირებულების თეორიას.

ამჟამად ძნელია დარწმუნების რაღაც ხარისხით მსჯელობა შინაგან გოხებრივ პროცესებზე, რომელნიც მიმდინარეობდნენ სმიტის ტვინში და რომლებმაც მიიყვანეს იგი დასკვნებამდე, რაც მან გააკეთა, და წიხაალმდეგობამდე, რომელიც, როგორც ჩანს, მან ვერ შენიშნა მართლაც. როგორც მარქსი წერდა, ჩვენ სმიტთან ვპოულობთ „არა მარტო საწინააღმდეგო კონცეფციების ნიშნებს ღირებულების ცნების შესახებ და არა მარტო ორ, არამედ სამ და, სწორად თუ ვიტყვით, ოთხ მძაფრად საწინააღმდეგო შეხედულებას ღირებულების შესახებ, რომლებიც ძვიღობიახად თავსდებიან ერთიმეორის გვერდით და ერთმანეთში“.[1] როგორც ჩანს, ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ სმიტმა ვერ იპოვა მეცხიერული ლოგიკის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი კავშირები შრომითი ღირებულების თეორიასა, როგორც იგი იმ დროს ჩამოყალიბდა და როგორც იგი მის მიერ იყო დაფიქსირებული, და კაპიტალისტური ეკონომიკის კონკრეტული პროცესების სიმრავლეს შორის. მან ვერ იპოვა ეს კავშირები და დაიწყო ამოსავალი კონცეფციის ვარირება და მისადაგება.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 275.

უპირველეს ყოვლისა, ღირებულებასთან ერთად, რომელიც განისაზღვრება საქონელში განხორციელებული აუცილებელი შრომის რაოდენობით (პირველი და ძირითადი შეხედულება), მან შემოიტანა მეორე ცხება, სადაც ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც შეიძლება იყიდო მოცემული საქონლით. მარტივი საქონლური მეურნეობის პირობებში, როცა არ არსებობს დაქირავებული შრომა და საქონლის მწარმოებლები მუშაობენ მათი საკუთარი წარმოების საშუალებებით, ეს სიდიდის მიხედვით ერთი და იგივეა. ვთქვათ, ფეიქარი მაუდის ნაჭერს ცვლის ჩექმებზე. შეიძლება ითქვას, რომ მაუდის ნაჭერი წყვილი ჩექმა ღირს, და შეიძლება, რომ იგი ღირს მეჩექმის შრომის ის დრო, როცა იგი ამზადებდა ამ ჩექმებს. მაგრამ რაოდენობრივი დამთხვევა არ წარმოადგენს იგივეობის დამადასტურებელს, რადგან მოცემული საქონლის ღირებულება შეიძლება რაოდენობრივად განისაზღვროს მხოლოდ ერთადერთი წესით — სხვა საქონლის გარკვეული რაოდენობით.

სმიტს ფეხქვეშ ნიადაგი მთლიანად გამოეცალა მაშინ, როცა შეეცადა ღირებულების თავისი ეს მეორე განმარტება გამოეყენებინა კაპიტალისტური წარმოების მიმართ. თუ მეჩექმე მუშაობს კაპიტალისტისათვის, მაშინ მის მიერ წარმოებული ჩექმის ღირებულება და „მისი შრომის ღირებულება", რასაც იგი თავისი შრომისათვის ღებულობს — სავსებით სხვადასხვა რამაა. გამოდის, დაქირავებელმა რომ იყიდა მუშის შრომა (როგორც მარქსმა გვიჩვენა, სინამდვილეში იყიდება სამუშაო ძალა, შრომის უნარი), ღებულობს უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე იხდის ამ შრომისათვის.

სმიტმა ამ მოვლენის ახსნა ვერ შეძლო შრომითი ღირებულების თეორიის პოზიციიდან და გააკეთა სწორი დასკვნა, რომ ღირებულება შრომით განისაზღვრება მხოლოდ „საზოგადოების პირველყოფილ მდგომარეობაში", როცა არ იყვნენ კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები, ე. ი. მარქსის ტერმინით, მარტივი საქონლური წარმოების დროს. კაპიტალიზმისათვის სმიტმა ააგო ღირებულების თეორიის მესამე[1] ვარიანტი: მან გადაწყვიტა, რომ საქონლის ღირებულება მარტივად ყალიბდება წარმოების ხარჯებისაგან, რომელნიც მოიცავს მუშების ხელფასისა და კაპიტალისტების მოგების მარტივ ჯამს. იგი გაამხნევა იმანაც, რომ ღირებულების ამ თეორიით, ეგონა, ახსნა კაპიტალზე საშუალო მოგების არსებობა — „მოგების ბუნებრივი ნორმა", როგორც იგი უწოდებდა. სმიტი მარტივად აიგივებდა ღირებულებას წარმოების ფასთან, მათ შორის ვერ ხედავდა რთულ შუალედურ რგოლებს.

ეს იყო „წარმოების ხარჯების თეორია", რომელსაც მომდევნო

[1] მეოთხე შეხედულება — ღირებულების გაგება სუბიექტური აზრით, როგორც შრომის ტ ვ ი რ თ ი ს შედეგი, სმიტს აქვს მხოლოდ ყველაზე ჩანასახოვანი ფორმით.

საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა. ამ შემთხვევაში სმიტი კაპიტალისტის პრაქტიკულ თვალსაზრისზე დადგა, რომელსაც ხამდვილად ჰგონია, რომ მისი საქონლის ფასი ძირითადად წარმოების ხარჯებით და საშუალო მოგებით განისაზღვრება, და ყოველ მოცემულ მომენტში ასევე მოთხოვნილებით და მიწოდებით. ღირებულების ასეთი კოხცეფცია გასაქანს იძლეოდა იმისათვის, რომ ძალომა. კაპიტალი და მიწა ღირებულების თანაბარუფლებიან შემქმნელებად ხარმოესახათ. სმიტიდან ასეთი დასკვნა მალე გააკეთეს კიდეც სეიმ და სხვა ეკონომისტებმა, რომელთა მიზანიც იყო პოლიტიკური ეკონომიის გამოყენება კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების ინტერესების დასაცავად.

კლასები და შემოსავლები

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღირებულების თეორიამ პასუხი უნდა გასცეს ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხს: ფასების მთავარი საფუძვლის შესახებ და შემოსავლების მთავარი წყაროს შესახებ. სმიტმა პირველ კითხვას ხაჭილობრივ სწორი პასუხი გასცა, მაგრამ ვერ შეძლო მისი რეალობასთან დაკავშირება და გადავიდა ვულგარულ პოზიციაზე. შრომითი ღირებულების თეორიის განვითარებისას მან წვლილი შეიტანა მეორე საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტაშიც, მაგრამ აქაც ასევე არათანამიმდევრული იყო.

რას გულისხმობდა სმიტი „საზოგადოების პირველყოფილ მდგომარეობაში"? თუმცა მას იგი თითქმის მითად წარმოედგინა, მაგრამ ეს იყო მითი დიდი შინაარსით. ჰქონდა თუ არა მას მხედველობაში საზოგადოება კერძო საკუთრების გარეშე? საეჭვოა. ასეთ „ოქროს საუკუნეს" სმიტი ვერ ხედავდა კაცობრიობის ვერც წარსულში და ვერც მომავალში. მას უფრო წარმოედგინა საზოგადოება კერძო საკუთრებით, მაგრამ კლასების გარეშე. შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ და იყო თუ არა ასეთი რამ ისტორიაში — სრულიად სხვა საკითხია.

წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც მილიონი ფერმერია, რომელთაგან თითოეულ ვათგანს სწორედ იმდენი მიწა და შრომის იარაღი ვააჩნია და იმდენ პროდუქციას აწარმოებს საკუთარი მოხმარებისა და გაცვლისათვის, რომ მისმა ოჯახმა შეძლოს არსებობა. გარდა ამისა, ამ საზოგადოებაში მილიონი დამოუკიდებელი ხელოსანია, რომელთაგან თითოეული მუშაობს თავისი შრომის იარაღებით და ნედლეულით. დაქირავებული შრომა ამ საზოგადოებაში არ არსებობს.

კენეს თვალსაზრისით ამ საზოგადოებაში ორი კლასია, სმიტის თვალსაზრისით — ერთი. სმიტის მიდგომა სწორია, რადგან კლასები განსხვავდებიან არა მეურნეობის დარგების მიხედვით, რომლებშიც

დასაქმებული არიან მისი შემადგენელი ადამიანები, არამედ ამ ადამიანების დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი. ასეთ პირობებში, ლაპარაკობს სმიტი, საქონლის გაცვლა წარმოებს შრომითი ღირებულების მიხედვით, და შრომის მთელი პროდუქტი (ანუ მისი ღირებულება) ეკუთვნის მუშაკს: მას საბედნიეროდ ჯერ კიდევ ვერავის გაუყოფს. მაგრამ ასეთი დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. მიწა მიწის მფლობელთა საკუთრებად იქცა, ხოლო სახელოსნოები და ფაბრიკები კაპიტალის დაგროვების შედეგად კაპიტალისტ-მეპატრონეთა ხელში აღმოჩნდა. ასეთია თანამედროვე საზოგადოება. იგი შედგება სამი კლასისაგან: დაქირავებული მუშებისა, კაპიტალისტებისა და მიწისმფლობელებისაგან. სმიტი საკმაოდ რეალისტი იყო, რომ ასევე დაენახა სხვადასხვა შუალედური ფენები და ჯგუფები. მაგრამ პრინციპული ეკონომიკური ანალიზის დროს შეიძლება მას გადავუხვიოთ და სამკლასიან მოდელს დავემყაროთ.

აბრიგად, ახლა მუშები, როგორც წესი, სხვის მიწაზე და სხვისი კაპიტალის დახმარებით მუშაობენ და ამიტომ მისი შრომის მთელი პროდუქტი მათ უკვე არ ეკუთვნით. მიწათმფლობელის რენტა ამ პროდუქტიდან ანუ მისი ღირებულებიდან პირველი გამონაქვითია. მეორე გამონაქვითს შეადგენს კაპიტალისტ-მეპატრონის მოგება, რომელიც ქირაობს მუშებს და სამუშაოდ მათ იარაღებსა და მასალებს აძლევს

ამ მსჯელობაში სმიტი მიუახლოვდა ზედმეტი ღირებულების ცნებას, როგორც კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების მიერ შრომის ექსპლოატაციის გამოხატულებას. მაგრამ როგორც ყველა მარქსამდელმა ეკონომისტმა, ძან ვერ გამოყო ზედმეტი ღირებულება განსაკუთრებული კატეგორიინ სახით და იხილავდა მას მხოლოდ იმ კონკრეტულ ფორმებში, როგორსაც ისინი ბურჟუაზიული საზოგადოების ზედაპირზე ღებულობენ: მოგება, რენტა, სასესხო სარგებელი. სმიტის აზროვნების ეს ნაკადი — დაკავშირებული შრომითი ღირებულების თეორიასთან — მისი მოძღვრების პროგრესული ელემენტია.

მეორე ნაკადი გამომდინარეობდა ღირებულების განხილვიდან, როგორც შემოსავლების: ხელფასის, მოგებისა და რენტის ჯამისა. მართლაც, მოგება და რენტა არ შეიძლება გ ა მ ო ი ქ ვ ი თ ო ს საქონლის სრული ღირებულებიდან, თუ თვით ისინი ქ მ ნ ი ა ნ ამ ღირებულებას. აქ შემოსავლების განაწილების სულ სხვა სურათი მიიღება: წარმოების (ეს ტერმინი მოგვიანებით აღმოცენდა) ყოველი ფაქტორი, ე. ი. შრომა, კაპიტალი და მიწა მონაწილეობენ საქონლის ღირებულების შექმნაში და, ბუნებრივია, თავის წილზე აქვთ პრეტენზია. აქედან არც ისე შორია „კაპიტალის ღვთიურ უფლებამდე", რომელიც XIX ს-ის ეკონომისტ-აპოლოგეტებმა წამოაყენეს.

სმიტმა ღირებულება წარმოადგინა როგორც შემოსავლების ჯამი

და გადაწყვიტა გამოეკვლია, თუ როგორ განისაზღვრება თითოეული შემოსავლის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნორმა, ე. ი. თითოეული საქონლის, და ასევე მთელი ერთობლივი პროდუქტის ღირებულება რომელი კანონების მიხედვით განაწილდება საზოგადოების კლასებს შორის.

როცა სმიტი იხილავს სამი ძირითადი შემოსავლიდან თითოეულს, იგი გარკვეული ზომით კვლავ უბრუნდება ზედმეტი ღირებულების თავის თეორიას. ხელფასის შესახებ მისი შეხედულება დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული. რა თქმა უნდა, სმიტის ხ ე ლ ფ ა ს ი ს თეორია ბევრ რამეში არადამაკმაყოფილებელია, რამდენადაც მას არ ესმოდა ურთიერთობათა ნამდვილი ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალისტებისათვის მუშების მიერ თავისი სამუშაო ძალის მიყიდვასთან. მას მიაჩნდა, რომ თვით შრომა წარმოადგენს საქონელს, და მას, მაშასადამე, აქვს ბუნებრივი ფასი. მაგრამ ამ ბუნებრივ ფასს იგი პრინციპში ისევე განსაზღვრავდა, როგორც მარქსი განსაზღვრავდა საშუშაო ძალის ღირებულებას — მუშისა და მისი ოჯახის არსებობისათვის საჭირო აუცილებელი საშუალებების ღირებულებით. ამასთან, სმიტი აკეთებდა ზოგიერთ რეალისტურად მნიშვნელოვან დამატებას:

პირველი, მას უკვე ესმოდა, რომ სამუშაო ძალის ღირებულება (მისი ტერმინოლოგიით „ბუნებრივი ხელფასი") განისაზღვრება არა მარტო საარსებო საშუალებათა ფიზიკური მინიმუმით, არამედ დამოკიდებულია ადგილისა და დროის პირობებზე, შეიცავს ისტორიულ და კულტურულ ელემენტებს. სმიტს მოყავდა მაგალითი ტყავის ფეხსაცმლის შესახებ, რომელიც ინგლისში უკვე აუცილებელ საგნად იქცა, როგორც კაცების, ისე ქალებისათვის, შოტლანდიაში — მხოლოდ კაცებისათვის, საფრანგეთში კი ასეთი არ არსებობდა არც ერთი სქესისათვის. შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მეურნეობის განვითარებასთან ერთად მოთხოვნილებათა წრე ფართოვდება და სამუშაო ძალის ღირებულება საქონლურ გამოხატულებაში აუცილებლად უნდა გაიზარდოს;

მეორე, სმიტი ნათლად ხედავდა, რომ დაბალი ხელფასის, ფიზიკურ მინიმუმთან მისი სიახლოვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მუშების სუსტი პოზიციები კაპიტალისტების მიმართ. ამაზე იგი ძლიერ მკვეთრად წერდა. დასკვნა, რომლის გაკეთება არ არის რთული, იმაში მდგომარეობს, რომ მუშების ორგანიზებულობას და ერთსულოვნებას შეუძლია მწარმოებელთა სიხარბის შეზღუდვა;

და, ბოლოს, მესამე, ხელფასის ტენდენციას იგი ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობას უკავშირებდა და განასხვავებდა სამ შემთხვევას: ეკონომიკურ პროგრესს, ეკონომიკურ რეგრესს და უცვლელ მდგომარეობას. მისი აზრით, პირველ შემთხვევაში ხელფასი უნდა გაიზარდოს, რადგან მზარდი ეკონომიკის დროს შრომაზე დიდია მოთხოვნა.

კაპიტალისტური მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ დაგვანახა, რომ ეკონომიკური აღმავლობის პირობები ნამდვილად ამსუბუქებს ხელფასის გადიდებისათვის მუშების ბრძოლას.

სმიტმა დაასრულა პოლიტიკურ ეკონომიაში მოგების როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური კატეგორიის გამოყოფა. იგი კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას, რომ ეს მხოლოდ ხელფასია „ზედამხედველობისა ხელმძღვანელობის" განსაკუთრებული სახის შრომისათვის. იგი უჩვენებს, რომ მოგების სიდიდე განისაზღვრება კაპიტალის მოცულობით და სულაც არ არის დამოკიდებული ამ შრომის სავარაუდო სიმძიმეზე. აქ, და რამდენიმე სხვა ადგილას, სმიტი მოგებას ფაქტიურად განიხილავს როგორც ექსპლოატატორულ შემოსავალს, როგორც ზედმეტი ღირებულების ძირითად ფორმას.

ამ შეხედულებასთან კვლავ მშვიდობიანად თანაარსებობს ზედაპირული შეხედულება მოგებაზე როგორც კაპიტალისტების ბუნებრივ გასამრჯელოზე რისკისათვის, მუშის საარსებო საშუალებათა ავანსირებისათვის, ეგრეთ წოდებული „თავშეკავებისათვის". სმიტის თეორიის ასეთ წინააღმდეგობებს მკითხველი უკვე უნდა მიეჩვიოს.

კაპიტალი

მარქსამდელი პერიოდის ეკონომისტები, მათ შორის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებიც, კაპიტალს განიხილავდნენ როგორც იარაღების, ნედლეულის, საარსებო საშუალებებისა და ფულის დაგროვილ მარაგს. გამოდიოდა, რომ კაპიტალი არსებობდა ყოველთვის და იარსებებს მუდმივად, რადგან ასეთი მარაგის გარეშე შეუძლებელია, როგორიც არ უნდა იყოს წარმოება. მარქსი ამას უპირისპირებდა კაპიტალს როგორც ისტორიულ კატეგორიას, რომელიც აღმოცენდება მხოლოდ იმ პირობებში, როცა სამუშაო ძალა საქონლად იქცევა, როცა საზოგადოებაში მთავარ ფიგურებად ხდებიან წარმოების საშუალებების მფლობელი კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა, რომელსაც არაფერი გააჩნია, გარდა შრომის უნარისა. კაპიტალი ამ საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოხატავს. იგი ყოველთვის არ არსებობდა და სრულიადაც არ არის მუდმივი. თუკი შეიძლება მაინც კაპიტალი განვიხილოთ როგორც საქონლისა და ფულის მასა, მაშინ მხოლოდ იმ აზრით, რომ მასში განხორციელებულია კაპიტალისტის მიერ მოთავსებული დაქირავებული მუშის აუნაზღაურებელი (ზედმეტი) შრომა და რომ გამოიყენება ისინი ასეთი შრომის ახალი ულუფის მითვისებისათვის.

სმიტი სტრიქონებში, რომელთა შესახებ მარქსმა თქვა, რომ სმიტმა აქ დაიხახა ზედმეტი ღირებულების ჭეშმარიტი წარმოშობა, წერს: „როგორც კი კაპიტალი მოგროვდება კერძო პირთა ხელში, ზოგი მათ-

გახი, რასაკვირველია, ამ კაპიტალს გამოიყენებს, სამუშაოზე დააყენონ ბეჯითი ადამიანები, რომლებსაც ისინი მიაწოდებენ მასალასა და საარსებო საშუალებებს, რათა მოგება ნახონ მათი შრომის პროდუქტების გაყიდვით, ანუ იმით, რასაც მათი შრომა ჰმატებს მასალის ღირებულებას".[1] აქ სმიტი აღნიშნავს კაპიტალის აღმოცენების ისტორიულ პროცესს და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ექსპლოატატორულ ხასიათს, რომელსაც იგი წარმოშობს. მაგრამ მეორე წიგნში კაპიტალის სპეციალურ ანალიზზე გადასვლისას, სმიტი თითქმის მთლიანად თავს ანებებს ამ ღრმა თვალსაზრისს. სმიტის მიერ მოცემული კაპიტალის „ტექნიკური" ანალიზი უახლოვდება ტიურგოსას. მაგრამ სმიტი უფრო სისტემატურად და დაწვრილებით, ვიდრე ტიურგო და სხვა რომელიმე, განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, კაპიტალის დაბანდების სხვადასხვა სფეროები, სასესხო კაპიტალი და სასესხო სარგებელი.

სმიტი მაშინ მუშაობდა „ხალხთა სიმდიდრეზე", როცა სამრეწველო გადატრიალება ინგლისში ის-ის იყო იწყებოდა და ახალი ტექნიკა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და „სიმდიდრის ზრდაში" ჯერ კიდევ ერთობ შეზღუდულ როლს ასრულებდა. ის მეტ სარგებლობას შრომის დანაწილებიდან უფრო ელოდა, ვიდრე ახალი მანქანების დანერგვიდან. მიუხედავად ამისა, მან თავის წიგნში მთელი ძალით გამოხატა სამრეწველო რევოლუციის ეპოქის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა — კაპიტალის დაგროვების პრობლემა. მას ესმოდა, რომ შრომის დანაწილების ეფექტურობა შეიძლება განუზომლად მაღალი იყოს, თუ იგი კაპიტალდაბანდებების საფუძველზე განხორციელდება ახალ საწარმოო ნაგებობებში, მოწყობილობებში, ტრანსპორტის საშუალებებში. სმიტი მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავდა: დაგროვება ერის სიმდიდრის წყაროა, ყოველი ძომპირნე ერის კეთილისმყოფელია, ყოველი მფლანგველი — ერის მტერი.

თანამედროვე ინგლისელი მეცნიერების გაანგარიშებით, XVIII ს-ის მეორე ხახევრის ინგლისში დაგროვების ნორმა (ეროვნული შემოსავლის დაგროვებადი ნაწილი) საშუალოდ 5%-ს არ აღემატებოდა. ალბათ მისი ზრდა დაიწყო დაახლოებით 1790 წლიდან, როცა სამრეწველო რევოლუცია ძლიერ გაჩაღდა. რა თქმა უნდა, 5% ძალიან მცირეა. ჩვენს დროში განვითარებადი ქვეყანა (ეს ცოტა ხნის წინ შემოღებული ტერმინი, ალბათ სმიტის დროის ინგლისს მიესადაგება) მდგომარეობას ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელად თვლის, თუ დაგროვების ნორმა 12—15%-ზე დაბალი არ არის; 10% — საგანგაშო ნიშანია, 5% — კი უბედურებისა. რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გაიზარდოს

[1] ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I., თბ., 1938, გვ. 56.

დაგროვების ნორმა! ასე ეღერს სმიტის ლოზუნგი თანამედროვე ენაზე.

ვის შეუძლია დაგროვება და ვინ უნდა დააგროვოს? რა თქმა უნდა, კაპიტალისტებმა — შეძლებულმა ფერმერებმა, მრეწველებმა, ვაჭრებმა. არსებითად ამაში ხედავდა სმიტი მათ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფუნქციას. ის ჯერ კიდევ გლაზგოში წაკითხულ ლექციებში სიამოვნებით მიუთითებდა იქაური კაპიტალის რაინდების „ასკეტიზმზე“: მთელ ქალაქში ძნელი იყო ისეთი მდიდრის მოძებნა, რომელსაც ერთზე მეტი მამაკაცი მოსამსახურე ჰყავდა. მწარმოებლური მუშაკის დამქირავებელი ადამიანი მდიდრდება, მსახურის დამქირავებელი — ღარიბდება, წერდა სმიტი. ეს მიესადაგება მთელ ერსაც: უნდა ისწრაფოდეს, რათა ძინიმუმამდე შემცირდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ არის დასაქმებული მწარმოებლური შრომით. მწარმოებლური შრომის სმიტისეული კონცეფცია მკვეთრადაა მიმართული საზოგადოებაში ფეოდალური ელემენტების და ყოველივე მათთან დაკავშირებულის: სახელმწიფო ბიუროკრატიის, მხედრიონის და ეკლესიის წინააღმდეგ. მარქსი აღნიშნავდა, რომ კრიტიკული დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, რომელნიც ტვირთად აწვა წარმოებას და ხელს უშლიდა დაგროვებას, გამოხატავდა ამ ეპოქის, როგორც ბურჟუაზიის, ასევე მუშათა კლასის, თვალსაზრისს.

სმიტი წერდა: „ — ხელმწიფე... ყველა მისი მოსამართლე-მოხელით და საშხედრო ოფიცრები, მთელი არმია და ფლოტი არაპროდუქტულ მშრომელებს წარმოადგენენ. ისინი მსახურნი არიან საზოგადოებისა და შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით. მათი სამსახური, რაგინდ საპატიო, სასარგებლო ან აუცილებლად საჭირო იყოს, არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შეიძლებოდეს თანატოლი ზომის სამსახურის მიღება შემდეგში. ხელმწიფოს დაცვა, უშიშროება და დაფარვა, რაც შედეგი არის მათი შრომისა ამ წლებში, ვერ იყიდის მის დაცვას, უშიშროებას და დაფარვას მომავალ წელს. ერთსა და იმავე კლასს უნდა მიეკუთვნოს როგორც ზოგი ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი პროფესია, ისე ზოგი ფრიად ფუქსავატიც: მღვდლები, იურისტები. ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახიობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და სხვ“[1].

ამრიგად, მეფე და ჯამბაზები — ერთ კომპანიაში! ოფიცრები და ღვთის მსახურნი არსებითად პარაზიტები არიან! „ყოველი ჯურის მწერალი“, რომელსაც თვით ავტორიც მიეკუთვნება, მეცნიერული კეთილსინდისიერება აიძულებს, ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე აღიაროს თავი არამწარმოებლურ მუშაკად. უდავოა, ამ წინადადებებში

[1] ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 377.

არის ირონია, საკმაოდ გაბედული და ბოროტი, მაგრამ მას საკმაოდ კარგად ფარავს პროფესორის სერიოზულობა და ობიექტურობა. ასეთია ადამ სმიტი.

სმიტელობა

სმიტის მოძღვრებას ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა ინგლისსა და საფრანგეთში — ქვეყნებში, სადაც XVIII ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში სამრეწველო განვითარება ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა და სადაც ბურჟუაზიამ მნიშვნელოვან წილად ხელთ იგდო სახელმწიფო ხელისუფლება.

მაგრამ ინგლისში სმიტის მიმდევრებს შორის, რიკარდომდე, არ იყო რამდენადმე დიდი დამოუკიდებელი მოაზროვნე. სმიტის პირველი კრიტიკოსები იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიწათმფლობელების ეკონომიკურ ინტერესებს გამოხატავდნენ. მათ შორის გამოჩენილნი იყვნენ თ. მალთუსი და გრაფი ლოდერდეილი.

საფრანგეთში სმიტის მოძღვრებას დასაწყისში ცივად ხვდებოდნენ გვიანი ფიზიოკრატები. შემდეგში რევოლუციამ ეკონომიკურ თეორიებს ჩამოაშორა ყურადღება. გარდატეხა მოხდა XIX ს-ის პირველ წლებში. 1802 წ. გამოქვეყნდა „ხალხთა სიმდიდრის“ პირველი სრულყოფილი თარგმანი შესრულებული ჟერმენ გარნეს მიერ, რომელსაც დართული ჰქონდა მისივე კომენტარები. 1803 წ. გამოქვეყნდა სეისა და სისმონდის წიგნები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ორივე ეკონომისტი ძირითადად სმიტის მიმდევარი იყო. სეი შოტლანდიელის სულისკვეთების ისეთ ინტერპრეტაციას იძლეოდა, რომელიც ბურჟუაზიას უფრო აწყობდა, ვიდრე „წმინდა“ სმიტი. მაგრამ იმ ზომით, რომლითაც სეი ენერგიულად უჭერდა მხარს კაპიტალისტურ სამრეწველო განვითარებას, მისი მრავალი იდეა ახლო იყო სმიტის შეხედულებებთან.

თუ სმიტელობა პროგრესი იყო ინგლისსა და საფრანგეთში, მაშინ იგი უფრო მეტად იყო საგრძნობი იმ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური რეაქცია ბატონობდა და ბურჟუაზიული განვითარება ის-ის იყო იწყებოდა — გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში და, რა თქმა უნდა, რუსეთშიც. არსებობს ცნობები, რომ ესპანეთში სმიტის წიგნი თავდაპირველად აკრძალა ინკვიზიციამ. გერმანიაში რეაქციონერ პროფესორებს დიდი ხნის განმავლობაში არ სურდათ ეცნოთ სმიტი. და მიუხედავად ამისა, სწორედ პრუსიაში — უმსხვილეს გერმანულ სახელმწიფოში — სმიტის იდეებმა გარკვეული გავლენა იქონიეს მოვლენათა მსვლელობაზე: ადამიანები, რომლებიც ნაპოლეონის ომების პერიოდში იქ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ რეფორმებს ატარებდნენ, გარკვეულად მისი მიმდევრებიც იყვნენ.

სმიტელობასა და სმიტის გავლენაზე საუბრისას მხედველობაში მისაღებია ის, რომ სმიტის არათანამიმდევრულობა, მის წიგნში სხვადასხვა და პირდაპირი საწინააღმდეგო კონცეფციების არსებობა საშუალებას იძლეოდა გამოეყენებინათ ისინი სრულიად განსხვავებული შეხედულებებისა და პრინციპების ადამიანებს და თავის წინამორბედად და მასწავლებლად ეღიარებინათ იგი. XIX ს-ის 20—40-იანი წლების იხგლისელი სოციალისტები, რომლებიც ცდილობდნენ, რიკარდოს მოძღვრება ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოებრუნებინათ, თავს თვლიდნენ, და მართლაც იყვნენ, ადამ სმიტის სულიერ მემკვიდრეებად. ეს ადამიანები ძირითადად ემყარებოდნენ სმიტის დებულებებს შრომის სრული პროდუქტის და მისგან კაპიტალისტისა და მიწათმფლობელის სასარგებლოდ გამოქვითვის შესახებ. მეორე მხრივ, სმიტის მიმღევრად თვლიდა თავს სეის სკოლა საფრანგეთში. იგი სმიტის აზროვნების მეორე ნაკადს ემყარებოდა: პროდუქტისა და მისი ღირებულების შექმნაში წარმოების ფაქტორების თანამშრომლობას. იგი სმიტისაგან ღებულობდა, აგრეთვე, ფრიტრედერობას, მაგრამ მას უხეშ, ჩარჩულ ხასიათს აძლევდა.

თეორიული გავლენის ისტორიულად მნიშვნელოვანი ხაზი გრძელდება სმიტიდან რიკარდომდე და მარქსამდე.

თეორიის თვალსაზრისით და კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით სმიტელობას გააჩნდა სხვადასხვა ასპექტი. იყვნენ სმიტელები, რომლებიც სმიტისაგან არსებითად ბოლოდ ერთს ღებულობდნენ: საგარეო ვაჭრობის თავისუფლებას, პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. კონკრეტული სიტუაციებისაგან დამოკიდებულებით ამ გამოსვლებს ობიექტურად შეეძლოთ ჰქონოდათ როგორც პროგრესული, ისე საკმაოდ რეაქციული ხასიათი. მაგალითად, პრუსიაში, თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებად გამოდიოდნენ კონსერვატორულ იუნკერთა წრეები: ისინი დაინტერესებულნი იყვნენ იაფფასიანი უცხოური სამრეწველო საქონლის შემოტანით და თავისი მარცვლეულის დაუბრკოლებელი გატანით.

ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ სმიტისათვის მისი ფრიტრედერობა მხოლოდ ეკოხომიკური და პოლიტიკური თავისუფლების დიდი ანტიფეოდალური პროგრამის ნაწილი იყო. სმიტის უდიდესი როლი ცივილიზაციის ისტორიაში განისაზღვრება იმით, რომ მისი იდეა (ძალიან ხშირად XVIII საუკუნის სხვა მოწინავე მოაზროვნეთა იდეებთან მჭიდრო მთლიანობაში) საგრძნობია XIX ს-ის პირველი ნახევრის მრავალ პროგრესულ და განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სმიტის ცხოვრების შესახებ ცოტა დარჩა სათქმელი. „ხალხთა სიმდიდრის“ გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ ჰერცოგ ბაკლიუს და სხვა გავლენიანი ნაცნობების და პატივისმცემლების ზრუნვით მან მიიღო ძოტლანდიის ერთ-ერთი საბაჟოს კომისრის მეტად ხელსაყრელი თანამდებობა ედინბურგში 600 გირვანქა სტერლინგის წლიური ჯამაგირით. ეს იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო: რობერტ ბერნსი, რომელიც ამავე უწყების სააქციზო ნაწილში მსახურობდა, ჯერ 50, ხოლო შემდეგ 70 გირვანქას ღებულობდა. საბაჟოს სამმართველოში სმიტი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, სადაც იგი თვალყურს ადევნებდა ბაჟების აკრეფას, ლონდონთან აწარმოებდა მიმოწერას და დროდადრო გზავნიდა ჯარისკაცებს კონტრაბანდისტების დასაჭერად. იგი დასახლდა ედინბურგში და იქირავა ბინა ქალაქის ძველ უბახში — ძველებურად მოკრძალებულად ცხოვრობდა, ბევრ ფულს ხარჯავდა ქველმოქმედებაზე. ერთადერთი მნიშვნელოვანი რაც, რაც მას დარჩა სიკვდილის შემდეგ, საკმაოდ დიდი და შესანიშნავი ბიბლიოთეკა იყო.

მსგავსი სახელმწიფო თანამდებობანი, როგორიც სმიტს ეკავა, XVIII ს-ში მხოლოდ პროტექციით მიიღწეოდა და წარმოადგენდა საუცხოო სინეკურას. მაგრამ სმიტი კეთილსინდისიერებით და გარკვეული პედანტიზმით, თავის მოვალეობებს სერიოზულად ეპყრობოდა და საკმაოდ დიდ დროს ანდომებდა სამსახურს. მხოლოდ ეს უკვე (პლუს ასაკი და ავადმყოფობა) გამორიცხავდა ღრმა მეცნიერული მუშაობის გაგრძელებას. ისე ჩანდა, თითქოს სმიტი ამისაკენ განსაკუთრებითაც კი არ ისწრაფოდა. მართალია, თავდაპირველად იგი მეტად გატაცებული იყო თავისი მესამე დიდი წიგნის — კულტურისა და მეცხიერების საყოველთაო ისტორიის მსგავსის, — დაწერით (მისი სიკვდილის შემდეგ დარჩა და მალე გამოქვეყნდა საინტერესო მონახახები მიძღვნილი ასტრონომიისა და ფილოსოფიის ისტორიისა და სამხატვრო ხელოვნებისადმიც კი), მაგრამ მან მალე უარი თქვა ამ ჩანაფიქრზე. მას საკმაოდ დიდ დროს ართმევდა მისი თხზულებების ახალი გამოცემები. სმიტის სიცოცხლეში ინგლისში ექვსჯერ გამოიცა „ზნეობრივი გრძნობების თეორია“ და ხუთჯერ „ხალხთა სიმდიდრე“. „ხალხთა სიმდიდრის“ მესამე გამოცემას (1784 წ.) სმიტმა დაურთო მნიშვნელოვანი დამატება; კერძოდ დაწერა თავი — „დასკვნა მერკანტილისტური სისტემის შესახებ“. გარკვეული ზომით ის თვალს ადევნებდა თავისი წიგნების საზღვარგარეთულ გამოცემებსაც.

შოტლანდიის დედაქალაქი, ლონდონის შემდეგ, ქვეყნის მეორე კულტურული ცენტრი იყო და ბევრ რამეში არ ჩამორჩებოდა მას. მეორე მხრივ ეს იყო პატარა, მყუდრო ქალაქი. მრავალწლიანი ჩვეუ-

ლებების ერთგულ სმიტს აქაც ჰქონდა თავისი კლუბი, სადაც რეგულარულად ხვდებოდა მეგობრებისა და ნაცნობების ვიწრო წრეს. სმიტი ევროპაში სახელგანთქმული ადამიანი გახდა. მოგზაურნი ლონდონიდან და პარიზიდან, ბერლინიდან და პეტერბურგიდან ილტვოდნენ გაეცნოთ შოტლანდიელი ბრძენი. სმიტის ამ პერიოდის ერთ-ერთი ნაცნობობა საინტერესოა რუსული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ედინბურგში ცხოვრობდა და თვალ-ყურს ადევნებდა თავისი ვაჟის უნივერსიტეტში სწავლას თავადის ქალი ვორონცოვა-დაშკოვა, თავისი დროისათვის მეტად განათლებული ადამიანი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მომავალი დირექტორი, რუსული ენის შესწავლის სრულყოფისათვის შექმნილი რუსეთის აკადემიის პირველი პრეზიდენტი. მისი მემუარებიდან ვგებულობთ, რომ სხვა ედინბურგელ მეგობრებს შორის სმიტიც დადიოდა მასთან.

სმიტი გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა, საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო. ჰქონდა უბრალო სახე სწორი ნაკვთებით, მონაცრისფრო-მწვანე თვალები, მსხვილი სწორი ცხვირი. იცვამდა მეტად სადად. სიცოცხლის ბოლომდე პარიკს ატარებდა. უყვარდა მხარზეგადებული ბამბუკის ხელჯოხით სიარული. ჰქონდა თავის თავთან ლაპარაკის ჩვევა, ისე, რომ ერთხელ ქუჩაში მოვაჭრე ქალმა გიჟად მიიჩნია და ძეზობელ ქალს უთხრა: „ღმერთო ჩემო, აი საცოდავი, რა წესიერად კი აცვია!“

სმიტი გარდაიცვალა ედინბურგში 1790 წ. ივლისში, 68 წლის ასაკში. მანამდე თითქმის ოთხი წელი მძიმე ავადმყოფი იყო.

სმიტს მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ზოგჯერ სამოქალაქო მამაცობაც ჰქონდა, მაგრამ იგი სულაც არ იყო მებრძოლი. იგი ჰუმანური იყო და არ უყვარდა უსამართლობა, სიმკაცრე და ძალმომრეობა, მაგრამ ძალიან ადვილად ეგუებოდა ყოველივე ამას. მას სჯეროდა გონების და კულტურის მიღწევებისა, მაგრამ ძლიერ აფიქრებდა მათი ბედი უხეშ და დახავსებულ ქვეყანაში. მას ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა ჩინოვნიკ-ბიუროკრატები, მაგრამ თვითონ გახდა ერთ-ერთი მათგანი.

სმიტი დიდ თანაგრძნობას უწევდა მშრომელ ღარიბებს, მუშათა კლასს. იგი დაჭირავებული შრომისათვის შესაძლებელი მაღალი ხელფასის მიცემის მომხრე იყო, რადგან მისი სიტყვებით: „საზოგადოებას არ შეუძლია ყვაოდეს და ბედნიერი იყოს, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბი და უბედურია“. უსამართლობაა სიღატაკეში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი შრომით ინახავენ მთელ საზოგადოებას. მაგრამ, ამასთან ერთად, სმიტი გულისხმობდა, რომ საზოგადოებაში „ბუნებითი კანონები“ განწირავენ მუშებს უმძიმესი მდგომარეობისათვის. და ფიქრობდა, რომ „მუშათა ინტერესი მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების ინტერესთან, მაგრამ მუშა მაინც

ძოკლებულია უნარს, შეიგნოს ეს ინტერესი ან მისი კავშირი საკუთარ ინტერესთან".[1]

სმიტს ბურჟუაზია მიაჩნდა აღმავალ, პროგრესულ კლასად და ობიექტურად გამოხატავდა მის ინტერესებს, ამასთან არა ვიწრო და დროებით, არამედ ფართო და ხანგრძლივ ინტერესებს. მაგრამ თვითონ ინტელიგენტი — რაზნოჩინელი იყო და კაპიტალისტებისადმი როგორც ასეთისადმი, არ ჰქონდა არავითარი სიმპათია. მისი აზრით ძოგების წყურვილი ამ ადამიანებს აბრმავებს და ამძვინვარებს. თავისი ძოგებისთვის ისინი მზად არიან საზოგადოების ინტერესების ყოველი საწინააღმდეგო ძოქმედებისათვის. ისინი მთელი ძალებით ცდილობენ თავიანთი საქონლის ფასების გადიდებას და თავიანთი მუშების ხელფასის შემცირებას. მრეწველები და ვაჭრები განუხრელად ცდილობენ თავისუფალი კონკურენციის დათრგუნვასა და შეზღუდვას საზოგადოებისათვის საზიანო მონოპოლიის შექმნას.

საერთოდ, სმიტისათვის კაპიტალისტი პროგრესის, „ერის სიმდიდრის" ზრდის ბუნებრივი და უპიროვნებო იარაღია. სმიტი ბურჟუაზიას იცავს იმდენად, რამდენადაც ბურჟუაზიის ინტერესი ემთხვევა საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდის ინტერესებს. ეს თვალსაზრისი სძიტიდან რიკარდოს გადაეცა და მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

სმიტი უდიდესი ფიგურაა მარქსამდელ მსოფლიო ეკონომიკურ ძეცხიერებაში. ძისი მოძღვრება და პიროვნება დღესაც იქცევს ყურადღებას და იწვევს ინტერესს. 1976 წ. იუბილე, რომელიც აღინიშნა მეცნიერული კონცეფციებით და პუბლიკაციებით როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში, დიდი მოაზროვნის მრავალი იდეის უკვდავებისა და აქტუალურობის კიდევ ერთი დამადასტურებელია.

---

1 ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I. თბ., 1938, გვ. 293.

მეთორმეტე თავი

დავიდ რიკარდო — სიტელი გენია

1799 წ. ლონდონის ბირჟის ახალგაზრდა შეძლებული საქმოსახი ცხოვრობდა კურორტ ბათაში, სადაც მისი ცოლი მკურნალობდა. საკარო ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს, მან შემთხვევით გადაფურცლა ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრე", რამაც დააინტერესა და ითხოვა, წიგნი მისთვის სახლში გაეგზავნათ. ასე დაინტერესდა პირველად რიკარდო პოლიტიკური ეკონომიით.

ამ ისტორიას მოგვითხრობს თვით რიკარდო, მაგრამ ეს ისეთივე ანეკდოტურია, როგორც მოთხრობები ნიუტონის ვაშლსა და უატის ჩაიდახზე. იგი განათლებული ადამიანი იყო და არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა სმიტის წიგნის შესახებ. მეცნიერებით დაინტერესებულ რიკარდოს უკვე ჰქონდა ფართო პრაქტიკული ეკონომიკური ცოდნა, აგრეთვე აბსტრაქტული აზროვნების გარკვეული ჩვევა. მიუხედავად ამისა, ბათის ბიბლიოთეკაში ნაპოვნს, რასაკვირველია, შეეძლო მისი ინტერესის გაღვივება.

რიკარდო აგრძელებდა ფულის მოხვეჭას, ოღონ სულიერ სამყაროს მინერალოგიაში პოვებდა. მაგრამ მალე მისი საქმიანობის, შრომის, დასვენების და სიხარულის მთავარ შინაარსად იქცა პოლიტიკური ეკოხომია. იმ ღირსებათა შორის, რომელთაც რიკარდო ფლობდა მართლაც ყველაზე მეტად გვაოცებს მეცნიერებით თავდავიწყებამდე მისული გატაცება, ჭეშმარიტების მუდმივი და უანგარო ძიება. რიკარდო თავმდაბალი ადამიანი იყო და მთელი სიცოცხლე მეცნიერებაში თავს რამდენადმე დილეტანტად თვლიდა. მაგრამ ამ „დილეტანტმა" დაასრულა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შექმნა.

•რიკარდოს მნიშვნელოვანი დამსახურება იყო მეცნიერული კვლევის მეთოდების შემუშავება ეკონომიკურ მეცნიერებაში. ჯერ კიდევ თანამედროვენი ლაპარაკობდნენ რიკარდოს მიერ „პოლიტიკური ეკონომიის ახალი მეცნიერების" შექმნაზე და, გარკვეული აზრით, ისინი არ ცდებოდნენ: მართლაც, მის შრომებში პოლიტიკურმა ეკონომიამ მნიშვნელოვნად პირველად მოიპოვა მეცნიერების როგორც საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის შესახებ ცოდნის სისტემის ნიშნები.

რიკარდო ცდილობდა, ეპოვა პასუხი კითხვაზე, რომლებიც აღელვებდნენ და აღელვებენ ეკონომისტებს — როგორია საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის ზრდისათვის უფრო მეტად ხელსაყრელი (ოპტიმალური) წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივი პირობები. ამ პრობლემის შესახებ მან წამოაყენა რიგი იდეებისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. რიკარდოს თეორიული შეხედულებების მნიშვნელოვანი განმასხვავებელი იყო ერთიანი საერთო კონცეფციის არსებობა, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკური სინამდვილის ფაქტების უზარმაზარი მრავალფეროვნების მეცნიერულ ახსნას. რიკარდო ცდილობდა გამოეკვლია ეკონომიკა როგორც რთული სისტემა და განესაზღვრა წონასწორობის ძირითადი პირობები. ეს დაკავშირებული იყო მის რწმენასთან, — რომ ეკონომიკაში მოქმედებენ ობიექტური კანონები და არსებობენ მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ კანონების როგორც გაბატონებული ტენდენციების მოქმედებას. „თვითრეგულირების" მექანიზმების პრობლემა ეკონომიკაში იხარჩუნებს თავის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

დიდი როლი შეასრულეს რიკარდოს შრომებმა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი კონკრეტული დარგების განვითარებაში, როგორიცაა ფულის მიმოქცევა და კრედიტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, გადასახადები. მიწის რენტისა და საერთაშორისო შრომის დანაწილების შესახებ რიკარდომ წამოაყენა იდეა, რომელიც ეკონომიკური აზრის ოქროს ფონდში შევიდა. უდიდესი თეორეტიკოსი რიკარდო, ამასთან ერთად, ახლოს იყო თავისი დროის და თავისი ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებთან. იგი ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში დახელოვნებული მოპაექრე და ნიჭიერი პუბლიცისტი იყო. რიკარდოს ახასიათებდა მეცნიერული ეთიკის მაღალი პრინციპები, რომლებიც პატივისცემასა და მიბაძვას იმსახურებდნენ.

იმ ეპოქისათვისაც კი, როცა რიკარდო ცხოვრობდა და როცა ეკონომისტის პროფესია ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არსებობდა, მისი გზა მეცნიერებაში უჩვეულო იყო და გაოცებას იწვევდა. რიკარდოს ერთ-ერთი მიმდევარი 1821 წ. აღშფოთებული წერდა „...შესაძლებელია თუ არა, რომ ერთმა ინგლისელმა და ისიც არა მეცნიერების აკადემიის სამყაროდან კომერციული და საზოგადოებრივი საზრუნავით შეწუხებულმა მოახდინოს ის, რაც იოტის ოდენადაც კი ვერ წაწია წინ ევროპის ყველა უნივერსიტეტის და მთელი საუკუნის მეცნიერულმა აზრმა"[1].

---

[1] ციტირებულია M. Blaug. Ricardian Economics. A. Historical Study. New Haven, 1958, p. V.

ინგლისი მეოთხედი საუკუნე ომობდა ჯერ იაკობინელებთან, შემდეგ გენერალ ბონაპარტესთან, ბოლოს, იმპერატორ ნაპოლეონთან. ომი დამთავრდა 1825 წ. ვატერლოოსთან ბრძოლით. ახლა ინგლისს შეეძლო გამარჯვების ხაყოფით სარგებლობა. დაიმსხვრა კონტინენტური ბლოკადა, რომლითაც ნაპოლეონი ინგლისის ვაჭრობის მოშთობას იმედოვნებდა. ევროპის ბაზრებმა გზა გაუხსნეს ინგლისის საქონელს — იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოს და ნაირფეროვანს.

ომი მიმდინარეობდა ინგლისის ნაპირებიდან დაშორებით, ევროპის კონტინენტზე, კოლონიებში, ზღვებსა და ოკეანეებზე. ეს არ უშლიდა ხელს ინგლისის გამდიდრებას. XVIII ს-ის უკანასკნელი მესამედი და XIX ს-ის პირველი მესამედი ინგლისში სამრეწველო რევოლუციის ეპოქაა. კაპიტალიზმი მანუფაქტურული სტადიიდან შევიდა მანქანური ინდუსტრიის სტადიაში. კუსტარული სახელოსნოების ადგილი დაიკავეს ფაბრიკებმა, სადაც ასობით ადამიანი მუშაობდა. სოკოებივით მომრავლდნენ პირქუში, გაჭვარტლული საფაბრიკო ქალაქები. სამრეწველო გადატრიალების ცენტრში იყო ბამბეულის მრეწველობა. მასთან ერთად იზრდებოდნენ მისთვის მანქანებისა და სათბობის მწარმოებელი დარგები. დაიწყო ქვანახშირისა და რკინის საუკუნე. ორთქლი მამოძრავებელი ძალის მთავარი წყარო ხდებოდა. 1822 წ. რიკარდო კონტინენტზე სამოგზაუროდ გემით გაეშურა, ხოლო მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ რელსებზე პირველმა ორთქლმავალმა გაიარა.

იცვლებოდა სასოფლო-სამეურნეო ინგლისი. ქრებოდა საკუთარ თუ იჯარით აღებულ მიწებზე არსებული წვრილი, დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობები, ისინი ადგილს უთმობდნენ მსხვილ მიწათმფლობელობას და კაპიტალისტური ფერმერი მოიჯარეების მეურნეობას. იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი, რომელიც ამასთან ერთად ავსებდა მეშახტეების, მიწისმთხრელების, კალატოზების, საფაბრიკო მუშების რიგებს.

ინგლისი მდიდრდებოდა, მაგრამ სიმდიდრესთან ერთად იზრდებოდა უთანაბრობა განაწილებაში. კლასობრივი განსხვავებანი უფრო მკვეთრი და აშკარა ხდებოდა. მუშებისათვის ეს იყო საზარლად ულმობელი სამყარო — ის სამყარო, რომელმაც შეაძრწუნა ახალგაზრდა ენგელსი, როცა იგი 1842 წ. ინგლისში პირველად ჩავიდა: სამუშაო დღე 12—13 საათს და ზოგჯერ მეტ ხანსაც გრძელდებოდა. ხელფასი მინიმუმსაც კი ძლივს უზრუნველყოფდა. უმუშევრობა და ავადმყოფობა მუშასა და მის ოჯახს შიმშილისათვის სწირავდა... მანქანები ფაბრიკანტს აძლევდა ქალებისა და ბავშვების კიდევ უფრო იაფი შრო-

მის გამოყენების შესაძლებლობას, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობაში.

მუშათა ყოველგვარი გაერთიანებები და კავშირები კანონით იყო აკრძალული და ამბოხებად ითვლებოდა. ცხოვრების საშინელი პირობების წინააღმდეგ მუშათა პირველი გამოსვლები უიმედობისა და გაშმაგების სტიქიური აფეთქება იყო. ლუდიტები გულუბრყვილოდ თვლიდნენ მანქანებს თავისი უბედურების მიზეზად და ამსხვრევდნენ მათ. 1811—1812 წწ. მათმა მოძრაობამ საკმაოდ ფართო მასშტაბები მიიღო. ბაირონმა ლორდთა პალატაში ეულად აიმაღლა ხმა სასოწარკვეთილი ღარიბების დასაცავად. რა თქმა უნდა, რიკარდოს არ შეეძლო მოსწონებოდა ლუდიტების მოქმედება, მაგრამ იგი მხარს უჭერდა მუშათა კავშირების ლეგალიზაციას და თავის თხზულებებში პირველმა მოგვცა მანქანების გამოყენების სოციალური შედეგების მეცნიერული ანალიზი. 1819 წ. მანჩესტერში არმიამ დახვრიტა მუშათა დიდი დემონსტრაცია.

მაგრამ მაინც XIX საუკ. დასაწყისში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ანტაგონიზმი არ იყო ისეთი მტკიცე, როგორც შემდგომში. ბურჟუაზია ჯერ კიდევ აღმავალი კლასი იყო, მისი ინტერესები შეესაბამებოდა საწარმოო ძალების განვითარების ინტერესებს. მუშათა კლასი სუსტი და არაორგანიზებული იყო. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობასა და პოლიტიკაში უფრო ობიექტი იყო, ვიდრე სუბიექტი.

ბურჟუაზიის ინტერესებს სერიოზულად ჯერ მხოლოდ მიწათმფლობელების ხელყოფა ემუქრებოდა. პურზე ფასების გადიდებამ გაზარდა მიწის რენტა და ომის შემდეგ მათ მიაღწიეს იმას, რომ ტორების პარლამენტმა მიიღო პურის კანონები, რაც მკვეთრად ზღუდავდა იხგლისში უცხოეთიდან ხორბლის შემოტანას და ხელს უწყობდა პურზე მაღალი ფასების შენარჩუნებას. ეს არ იყო ხელსაყრელი ფაბრიკანტებისათვის, რადგან მათ თავისი მუშებისათვის უნდა მიეცათ უფრო მაღალი ფულადი ხელფასი, რათა ისინი არ დახოცილიყვნენ შიმშილით. პურის კანონების ირგვლივ ბრძოლა ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ეკონომისტების, და კერძოდ რიკარდოს, თეორიული პოზიციები. ამ ბრძოლაში მიწათმფლობელების ინტერესებს გარკვეული ზომით მაშინ ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო ბურჟუაზიის და მუშათა კლასის ერთობლივი ინტერესები.

ასეთი იყო ისტორიული ვითარება, რომელშიც ჩამოყალიბდა რიკარდოს მოძღვრება და თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია ინგლისურმა კლასიკურმა სკოლამ. ეს გარემოება ნაწილობრივ ხსნის, თუ რატომ შეეძლო რიკარდოს ღრმა მეცნიერული ობიექტურობითა და

მიუკერძოებლობით გაეანალიზებინა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით კი ურთიერთობა კაპიტალსა და შრომას შორის. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რიკარდოს როგორც მეცნიერის პიროვნებას.

უველაზე მდიდარი ეკონომისტი

ინგლისში ასებობს ასეთი სახუმარო გამოთქმა: ვინ არის ეკონომისტი? ადამიანი, რომელსაც გროშიც კი არ გააჩნია და სხვებს აძლევს ისეთ რჩევებს, რომლებსაც თუ მიჰყვებიან, მაშინ ისინიც ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. რიკარდომ მოიპოვა მილიონნიანი ქონება და ზოგჯერ შეგობრებს, კერძოდ კი მალთუსს, ფულის დაბანდების ისეთ რჩევებს აძლევდა, რომ მას არ ჰქონოდა საყვედურის საფუძველი.

რიკარდოს წინაპრები, ესპანელი ებრაელები, გამოექცნენ ინკვიზიციის დევნას და ჰოლანდიაში დასახლდნენ. XVIII ს. 60-იან წლებში ეკონომისტის მამა ინგლისში გადასახლდა, სადაც ჯერ საქონლით საბითუმო ვაჭრობას ეწეოდა, შემდეგ კი ხელი მიყო თამასუქებით და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. დავიდი მისი 17 შვილიდან მესამე იყო. იგი დაიბადა ლონდონში 1772 წ. აპრილში, სწავლობდა ჩვეულებრივ დაწყებით სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ორი წლით გაგზავნეს ამსტერდამში, სადაც თავისი ბიძის კანტორაში ეცნობოდა კომერციის საიდუმლოებას.

დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ხნის მანძილზე რიკარდო კვლავ სწავლობდა, მაგრამ 14 წლის ასაკში მისი სისტემატური განათლება დამთავრდა. თუმცა მამის ნებართვით მას შეეძლო გაკვეთილების მიღება შინამასწავლებლებისაგან. მაგრამ მალე გამომჟღავნდა, რომ ჭაბუკის ინტერესები სცილდებოდა იმ ფარგლებს, რასაც მამა აუცილებლად თვლიდა საქმოსნისათვის. ეს მას არ მოეწონა და გაკვეთილები შეწყდა. 16 წლის დავიდი უკვე მამის უახლოესი თანაშემწეა კანტორაში და ბირჟაზე. დაკვირვებული. საზრიანი, ენერგიული — იგი მალე ცნობილი კაცი გახდა სიტის ბირჟაზე და საქმიან კანტორებში. მამა მას დამოუკიდებელ საქმეებს ანდობდა და ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა.

მაგრამ მამის დესპოტიზმი და კონსერვატიზმი დავიდისათვის მძიმე ასატანი იყო. იგი გულგრილი იყო რელიგიისადმი, სახლში კი მას აიძულებდნენ, მკაცრად დაეცვა იუდაიზმის დოგმები და შეესრულებინა მისი წესები. კონფლიქტი გამოაშკარავდა — 21 წლის რიკარდომ მამას განუცხადა, რომ მას ქრისტიანზე დაქორწინება აქვს განზრახული. სარძლო ქალიშვილი იყო კვაკერი ექიმისა, ისეთივე ტირანისა ოჯახში, როგორიც მოხუცი რიკარდო იყო. ქორწი-

ნება მოხდა ორივე ოჯახის ნება-სურვილის წინააღმდეგ. ქრისტიანზე დაქორწინება რიკარდოსათვის იუდაური თემიდან გაძევებას ნიშნავდა. რიკარდო არ გადავიდა კვაკერების თემში, შეჩერდა უნიტარიანელობაზე — ყველაზე თავისუფალ და მოქნილ სექტათაგანზე, რომელიც ჩამოშორდა სახელმწიფო ინგლისურ ეკლესიას. როგორც ჩანს, ეს იყო მისი ათეიზმის უბრალოდ მართებული საფარი.

ამ რომანტიკული ისტორიის ბედნიერი დაბოლოება შეიძლებოდა დაჩრდილულიყო სიღარიბით, რადგან ახალგაზრდებმა, ბუნებრივია, ვერაფერი მიიღეს მშობლებისაგან. 25 წლის რიკარდო კი უკვე სამი შვილის მამა იყო. (მას სულ რვა შვილი ჰყავდა). მან, გარდა საბირჟო სპეკულაციისა, სხვა საქმე არ იცოდა. ახლა კი ამ საქმეს მისდევდა არა როგორც მამის ხელქვეითი, არამედ დამოუკიდებლად. მას ბედმა გაუღიმა, ხელი შეუწყო აგრეთვე კავშირებმა, რეპუტაციამ და ნიჭმა. ხუთი წლის შემდეგ ის უკვე გამდიდრდა და მსხვილ ოპერაციებს აწარმოებდა.

ჩვენს დროში ინგლისის, აშშ და სხვა ქვეყნების საფონდო ბირჟებზე უმთავრესად იყიდება მსხვილი კერძო კომპანიების აქციები. XVIII საუკუნის ბოლოს აქციონერული საზოგადოებანი ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა იყო. ინგლისის ბანკის, ოსტ-ინდოეთის კომპანიის და რამდენიმე სხვა საზოგადოების აქციების გარიგებანი შეადგენდნენ საბირჟო ოპერაციების უმნიშვნელო წილს. რიკარდო მასში თითქმის არ მონაწილეობდა. მისთვის და სხვა მრავალი მოხერხებული საქმოსნისათვის ოქროს მადანს წარმოადგენდა სახელმწიფო ვალი და სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გარიგებანი. ომის პირველი 10 წლის მანძილზე — 1793 — 1802 წწ. კონსოლიდირებული სახელმწიფო ვალი 238 მლნ. გირვანქა სტერლინგიდან გაიზარდა 567 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე და 1816 წ. 1 მლრდ-ს გადააჭარბა. გარდა ამისა, ლონდონში ვრცელდებოდა უცხოური სესხები. ობლიგაციების კურსი იცვლებოდა სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენით. აქციების კურსით თამაში ახალგაზრდა საქმოსნის გამდიდრების მთავარ წყაროდ იქცა.

როგორც თანამედროვენი მოგვითხრობენ, რიკარდო გამოირჩეოდა ფენომენური შორსმჭვრეტელობითა და ალღოთი, სწრაფი რეაქციით და, ამასთან ერთად, დიდი სიფრთხილით. ის არასოდეს არ კარგავს სიმშვიდეს, გულგრილობას და ფხიზელი შეფასების უნარს. იცოდა, როდის გაეყიდა, ზოგჯერ თითოეული ობლიგაციის მოკრძალებული მოგებით კმაყოფილდებოდა, მოგებას კი სწრაფი ბრუნვის ხარჯზე ზრდიდა.

ამ წლებში დაიწყო ოპერაციები, რომელთაგან შემდგომში აღმოცენდა ინვესტიციური საბანკო საქმე, მასთან ერთად კი ისეთი ფინანსური მაგნატების სიმდიდრე და ბატონობა, როგორიცაა როშტილ-

დები და მორგანები. მცირე ჯგუფებად გაერთიანებული მდიდარი ფინანსისტები მთავრობისაგან გასავრცელებლად ნარდად იღებდნენ ახლად გამოშვებულ სესხებს. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი მისგან ბითუმად ყიდულობდნენ ახალი სესხის ყველა ობლიგაციას, შემდეგ კი მას ცალობით ყიდდნენ. ასეთი ოპერაციებიდან დიდ მოგებას ღებულობდნენ, თუმცა ხშირად ეს დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან: შესაძლებელი იყო ობლიგაციების კურსის მოსალოდნელი დაცემა. სესხი ხელთ ხვდებოდა იმ ფინანსისტთა ჯგუფს, რომელიც ხაზინის მიერ გამართულ საჯარო ვაჭრობაზე სახელმწიფოსათვის ყველაზე მომგებიან ფასს დაასახელებდა. 1806 წ. რიკარდოს ორ სხვა საქმოსანთან ერთად გამოსვლას საჯარო ვაჭრობაზე წარმატება არ მოჰყოლია და სესხი მიიღო სხვა ჯგუფმა. შემდეგ წელს რიკარდომ და მისმა ჯგუფმა მოიპოვა 20 მილიონიანი სესხის გავრცელების უფლება. ამის შემდეგ 10 წლის მანძილზე იგი უცვლელად მონაწილეობს საჯარო ვაჭრობაში და რამდენიმეჯერ ავრცელებს სესხს.

1809—1810 წწ. დავიდ რიკარდო ლონდონის ფინანსური სამყაროს უმსხვილესი ფიგურაა. ლონდონის ყველაზე არისტოკრატიულ კვარტალში ყიდულობს მდიდრულ სახლს, ხოლო შემდეგ ჰოლსტერშირში დიდ მამულს გეთკომბ-პარკს, სადაც რიკარდო თავის ქალაქგარეთა რეზიდენციას აწყობს. ამის შემდეგ რიკარდო თანდათან ჩამოშორდა აქტიური მოღვაწეობის ბიზნესის სამყაროს და იქცა მსხვილ მიწათმფლობელად და რანტიედ. მისმა ქონებამ 1 მლნ. გირვანქას მიაღწია, რაც იმ დროისათვის უდიდეს თანხას წარმოადგენდა.

ესაა ბიოგრაფია ნიჭიერი ფინანსისტის, მოხერხებული საქმოსნის, სიმდიდრის რაინდისა. რა შუაშია აქ მეცნიერება?

მაგრამ ეს ბირჟის მგელი და ოჯახის პატივცემული მამა იყო ადამიანი ბავშვური ცნობისმოყვარული გონებით და ცოდნის დაუცხრომელი სურვილით. 26 წლის რიკარდო, რომელმაც მოიპოვა ფინანსური დამოუკიდებლობა და მცირე სიმდიდრეც კი, მოულოდნელად ეწაფება მეცნიერებას, — ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, — რომლის შესწავლის საშუალება სიჭაბუკეში მას ზოგიერთ გარემოებათა გამო არ ჰქონდა. რა კონტრასტია! დღის პირველ ნახევარში ბირჟაზე და კანტორაში — ასაკისთვის შეუფერებლად თავდაჭერილი და გულგრილი საქმოსანი; საღამოს თავის სახლში — სიმპათიური და გატაცებების მქონე ყმაწვილი, რომელიც გულუბრყვილო სიამაყით ნათესავებს და ნაცნობებს უჩვენებს ცდებს ელექტროობაში და თავისი მინერალების კოლექციას.

რიკარდოს ნათელი ინტელექტი ვითარდებოდა ამ საქმიანობის გავლენით. მათ ხელი შეუწყეს იმ თვისებათა გამომუშავებას, რომელთაც ესოდენ დიდი როლი შეასრულეს მის ეკონომიკურ შრომებში: მისი აზროვნება გამოირჩეოდა მკაცრი, თითქმის მათემატიკური ლოგი-

ყურობით და სიზუსტით. ამ დროს რიკარდო პირველად გაეცნო პოლიტიკურ ეკონომიას როგორც მეცნიერებას. მასში ჯერ კიდევ მთლიანად იყო გაბატონებული სმიტი და ახალგაზრდა რიკარდოს არ შეეძლო არ მოქცეულიყო მის გავლენაში. ამასთან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მალთუსმა, რომლის „ცდები ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“, პირველი გამოცემა, გამოვიდა 1798 წ. მოგვიანებით, როცა პირადად გაეცნო მალთუსს, რიკარდო მას სწერდა, რომ ამ თხზულების წაკითხვისას მალთუსის იდეები „ისეთი ნათელია და ისე კარგადაა გადმოცემული, რომ მათ გააღვიძეს ჩემში ინტერესი, რომელიც ჩამორჩებოდა მხოლოდ ადამ სმიტის განთქმული შრომით გამოწვეულ ინტერესს“[1].

საუკუნის დასაწყისში ლონდონში გამოჩნდა ახალგაზრდა შოტლანდიელი ჯემს მილი — სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გონებაძახვილი პუბლიცისტი და მწერალი. რიკარდო გაეცნო მას, ნაცნობობა გადაიზარდა ახლო მეგობრობაში, რომელიც რიკარდოს გარდაცვალებამდე გაგრძელდა. პირველ წლებში მილი დამრიგებლის როლს ასრულებდა. მან რიკარდო დააახლოვა მეცნიერებისა და მწერლების წრესთან, ხელი შეუწყო მის პირველ თხზულებათა პუბლიკაციას. შემდგომში, გარკვეული აზრით, როლები შეიცვალა. რიკარდოს მთავარი შრომების გამოქვეყნების შემდეგ მილმა თავი რიკარდოს მოწაფედ და მიმდევრად გამოაცხადა. თუმცა თავის ნაშრომებში იგი ავითარებდა რიკარდოს მოძღვრების არამნიშვნელოვან მხარეებს და კრიტიკოსებისაგან მას ვერ იცავდა საუკეთესოდ. მიუხედავად ამისა, აქ მილი არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ: რიკარდოს ტალანტის გულწრფელი თაყვანისმცემელი, იგი არ ეშვებოდა, მოითხოვდა სისტემატურად ეწერა, გადაეკეთებინა, გაშოქვეყნებინა. ზოგჯერ მილი მსუბუქ კომიკურ როლში გამოდიოდა, რიკარდოს აძლევდა „გაკვეთილებს“ და მოითხოვდა მისგან მათ ჩაბარებას. 1815 წ. ოქტომბერში იგი რიკარდოს სწერს: „მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ ამჟამად უკვე შეგიძლიათ რაიმე შემატყობინოთ იმის შესახებ, თუ როგორ წასწიეთ წინ თქვენი წიგნი. მე ახლა ვთვლი, რომ ეს ნაშრომი თქვენი გარკვეული აღთქმაა“[2].

ზოგჯერ ნიჭიერ ადამიანებს ასეთი მეგობრები ძლიერ სჭირდებათ!

რიკარდო ყოველთვის იტანჯებოდა თავის ძალებში დაურწმუნებლობით, გარკვეული ლიტერატურული გაუბედაობით. მას არ ჰქონდა აგრეთვე, ისეთი მოვალეობის გრძნობა, „მოწოდება“, რომლითაც სმიტი მრავალ წელს მუშაობდა თავის წიგნზე. თავისი ბიზნესის საზღვ-

---

[1] ციტირებულია J. H. Hollander. David Ricardo. A W. Centenary Estimate. Baltimore, 1910, p. 47—48.

[2] ციტირებულია D. Ricardo. The Works and Correspondece, ed by Cambridge, 1952, p. 309.

რებს მილმა რიკარდო იყო დამყოლი და რამდენადმე გაუბედავიც კი-ეს ვლინდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანურ ურთიერ-თობებში. 1812 წ. იგი გაემგზავრა კემბრიჯში, სადაც მისი უფროსი ვაჟი — ოსმანი უნივერსიტეტში სწავლების პირველ კურსს გადიოდა. და იმ უჩვეულო გარემოში, იგი 40 წლის მდიდარი და პატივ-ცემული ადამიანი გაუბედავად და უხერხულად გრძნობს თავს. რიკარ-დო მეუღლეს წერილით ატყობინებს თავისი მოგზაურობის შედეგებს და აღნიშნავს: „მე ვცდილობ გადავლახო ჩემი ხასიათისათვის ჩვეუ-ლი გაუბედაობა და კარჩაკეტილობა, რათა გამოვიყენო ყველა შესაძ-ლებლობა და ოსმანისათვის უზრუნველვყო რამდენიმე სასიამოვნო ნაცნობობა“[1].

მისადგომებთან

ფულის მიმოქცევის პრობლემა

როგორც მარქსი წერს, 1844 და 1845 წწ. საბანკო აქტების შე-სახებ პარლამენტში გამართული პაექრობის დროს მომავალმა პრე-მიერმა გლადსტონმა ერთხელ შენიშნა, რომ სიყვარულსაც კი არ გაუსულელებია იმდენი ადამიანი, რამდენიც ფულის რაობაზე ფიქრ-მა გაასულელაო[2].

XIX ს-ის დასაწყისში ფულსა და ბანკებთან დაკავშირებული საკითხები პარტიისა და კლასობრივი ინტერესებისათვის გაცხოველ-ებული პოლემიკისა და ბრძოლის ცენტრში აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ რიკარდომ, რომელმაც კარგად იცოდა საკრედიტო-ფულადი მი-მოქცევა, ამ სარბიელზე გამოსცადა თავისი ძალა როგორც ეკონომისტმა და პუბლიცისტმა. იმ დროს იგი 37 წლისა იყო.

1797 წ. ინგლისის ბანკს ნება დაერთო შეეჩერებინა ბანკნოტე-ბის ოქროზე გადახურდავება. ბანკნოტები დაუხურდავებელ ქაღალდის ფულად იქცა. 1809—1811 წწ. გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიასა და პამფლეტში რიკარდო ამტკიცებდა, რომ ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ამ ქაღალდის ფულში არის მისი გაუფასურების შედეგი და გა-მოვლენა მის გადამეტებულ გამოშვებასთან დაკავშირებით. მისი მო-წინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ოქროს ფასის ზრდა აიხსნება სხვა მიზეზებით, კერძოდ კი ოქროზე მოთხოვნილების გადიდებით საზღვარგარეთ გასატანად. ამ თხზულებებში გამოვლინდა რიკარ-დოს — დახელოვნებული პოლემისტის, ავტორის ტალანტი, რომელ-საც აქვს უნარი, ძლიერი ლოგიკით და თანამიმდევრულობით წარმოად-გინოს არგუმენტთა რიგი. ეს სრულიადაც არ იყო აკადემიური დის-

[1] ibid: vol. 10. p. 140.
[2] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 71.

კუსია. მათ მიღმა, ვინც უარყოფდა ბანკნოტების გაუფასურებას, იდგნენ ინგლისის ბანკის მესვეურნი, პარლამენტის კონსერვატორიული უმრავლესობა, მინისტრები, მთელი „სამხედრო პარტია“ საბოლოო ანგარიშით მასში გამოხატულებას პოულობდა მიწათმფლობელების იხტერესები, რომლებთათვისაც ომსა და ინფლაციას გაზრდილი რენტა მოჰქონდა. რიკარდო კი, როგორც საერთოდ მთელ თავის მოღვაწეობაში, გამოხატავდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელნიც იმ დროისათვის პროგრესული იყო. პოლიტიკურად იგი უახლოვდებოდა ვიგების (ლიბერალების) ოპოზიციას. რიკარდო არ იფარგლებოდა ფულის მიმოქცევის არსებული სისტემის კრიტიკით, არამედ შეიმუშავა პოზიციური პროგრამა. მან იგი შეავსო რამდენადმე უფრო გვიანდელ თხზულებებში. ის, რასაც იგი სთავაზობდა, იყო კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების მოთხოვნების მაქსიმალურად შესაბამისი ფულადი სისტემა. და უნდა ითქვას, რომ რიკარდოს იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდებოდა XIX საუკუნის განმავლობაში. 1819-დან 1914 წლამდე ინგლისში მოქმედებდა ოქროს სტანდარტი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იდეები იყო: 1. მტკიცე ფულადი მიმოქცევა ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა; 2. ასეთი სიმტკიცე შესაძლებელია მხოლოდ ოქროზე დამყარებული ფულადი სისტემის დროს; 3. მიმოქცევაში ოქრო, მნიშვნელოვანი ზომით, ან მთლიანადაც კი, შეიძლება შეიცვალოს ქაღალდის ფულით, რომელიც ძყარი პარიტეტით გადახურდავდება ოქროზე, რაც ერს დიდ ეკონომიას აძლევს. თავის უკანასკნელ ნაშრომში, რომლის დასრულება მან ვერ მოასწრო, რიკარდო აყენებს წინადადებას, ჩამოერთვას ინგლისის ბანკს, რომელიც კერძო კომპანიას წარმოადგენდა, ბანკნოტების ემისიის და სახელმწიფო სახსრების მართვის უფლება. მისი აზრით, ამ ძიზნებისათვის საჭიროა ახალი ეროვნული ბანკის შექმნა. იმ დროისათვის ეს უკიდურესად გაბედული წინადადება იყო.

ფულის რიკარდოსეული თეორია ასახავდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის როგორც ძალას, ისე სისუსტეს. რიკარდო შეეცადა ფულის თეორიისათვის საფუძვლად დაედო შრომითი ღირებულების თეორია, მაგრამ მან ეს გააკეთა არათანამიმდევრულად და ფაქტობრივად უარყო იგი კონკრეტული ეკონომიკური პროცესების ანალიზის დროს.

ოქროს ფული, ისევე როგორც ყველა საქონლის ღირებულება, ძირითადად განისაზღვრება მათ წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯებით. საქონელიც და ფულიც მიმოქცევაში შედის მოცემული ღირებულებით. ესე იგი, მოცემული საქონლის მასის მიმოქცევის მომსახურებისათვის საჭიროა ფულის განსაზღვრული რაოდენობა. თუ მაგალითად, მთელი წლიური საქონლის მასა წარმოადგენს 1 მლრდ.

საშუალო შრომის სამუშაო დღეებს, და ერთ გრამ ოქროში განივთეებულია 1 საშუშაო დღე, მაშინ მიმოქცევას ესაჭიროება 1 მლრდ. გრამი ოქრო. მაგრამ დავუშვათ, რომ ყოველ გრამ ოქროს წლის განმავლობაში შეუძლია 10 გარიგებას მოემსახუროს, გააკეთოს 10 ბრუნვა. მაშინ საკმარისი იქნება 10-ჯერ ნაკლები ოქრო — 100 მლნ. გრამი. ამას უნდა დავუმატოთ, აგრეთვე, რომ ოქრო შეიძლება დაიზოგოს კრედიტით განხორციელებულ გარიგებათა ხარჯზე. ასეთია ძირითად ხაზებში ის კონცეფცია, რომელიც მოგვიანებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა მარქსმა.

მაგრამ რიკარდო არ წავიდა ასეთი გზით. ის გამოდიოდა იქიდან, რომ მოცემულ ქვეყანაში შეიძლება მიმოქცევაში იყოს სხვადასხვაგვარად აქ მოხვედრილი ოქროს ნებისმიერი რაოდენობა. მიმოქცევაში საქონლის მასა უბრალოდ ხვდება ფულის მასას, და ამგვარად ყალიბდება საქონლის ფასები. თუ ოქროს ფული მეტი მოხვდება, მაშინ ფასები მაღალია, თუ ცოტა — დაბალი. ფულის ეს რაოდენობრივი თეორია ჩვენთვის ნაცნობია იუმიდან. რიკარდო ცდილობს, ის როგორმე შეათანხმოს შრომითი ღირებულების თეორიასთან, მაგრამ ამას იგი. გასაგებია, კარგად ვერ ახერხებს.

რიკარდოს აზროვნება დამძიმებული იყო დაუხურდავებელი ქაღალდის ფულის მიმოქცევის გამოცდილებით. მართლაც, ქაღალდის ფულის მსყიდველობითი ძალა ძირითადად განისაზღვრება მისი რაოდენობით. რამდენიც არ უნდა იყოს გამოშვებული ასეთი ფული, ის მთლიანად წარმოადგენს სრულფასიანი ოქროს ფულის იმ რაოდენობას, რაც აუცილებელია მიმოქცევისათვის. მაგალითად, როცა ქაღალდის დოლარები ორჯერ მეტი ხდება, ვიდრე აუცილებელია ოქროსი, თითოეული ქაღალდის დოლარი ორჯერ უფასურდება.

მაგრამ, რატომ გადაიტანა რიკარდომ ქაღალდის ფულის მიმოქცევის გავლენა ოქროზე? იმიტომ, რომ იგი ვერ ხვდებოდა მათ შორის პრინციპულ სხვაობას. არსებითად იგი ოქროსაც ღირებულების ნიშნად თვლიდა. იგი ფულში მხოლოდ მიმოქცევის საშუალებას ხედავდა და არ იღებდა მხედველობაში მისი ფუნქციების სირთულესა და მრავალფეროვნებას.

რიკარდო ფიქრობდა, რომ ფულის მისეული თეორია ხსნიდა ბერყეობას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი ასე მსჯელობდა: თუ მოცემულ ქვეყანაში აღმოჩნდება ძლიერ ბევრი ოქრო, მაშინ იქ იზრდება საქონლის ფასები და მომგებიანი ხდება საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა. ქვეყნის სავაჭრო ბალანსში წამოიჭრება დეფიციტი, რომლის გადახდა ოქროთი მოხდება. ოქრო ქვეყნიდან გადის, ფასები ეცემა, უცხოური საქონლების მოზღვავება ჩერდება, და ყველაფერი წონასწორდება. ქვეყანაში ოქროს უკმარისობის შემთხვევაში ყველაფერი საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს. ამ-

რიგად, მოქმედებს ავტომატური მექანიზმი, რომელიც ათანაბრებს სავაჭრო ბალანსებს და ოქროს ანაწილებს ქვეყნებს შორის. აქედან რიკარდო აკეთებდა თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლო დასკვნებს. შეშფოთებას არ უნდა მივეცეთ, ამბობდა იგი, თუ საქონლების შემოტანა სჭარბობს გატანას და ოქრო გადის ქვეყნიდან. ეს სრულიადაც არ არის შემოტანის შეზღუდვის საფუძველი. სინამდვილეში ქვეყანაში ძლიერ ბევრია ოქრო და ძლიერ მაღალია ფასები. თავისუფალი იმპორტი ხელს უწყობს მათ შემცირებას.

ინგლისში თავისუფალი ვაჭრობის მოთხოვნა რიკარდოს დროს. ისევე როგორც სმიტის დროსაც, პროგრესული იყო. მაგრამ მისი თეორია ავტომატური გათანაბრების შესახებ ცუდად ასახავდა სინამდვილეს. ჯერ ერთი, იგი ემყარებოდა ფულის რაოდენობრივ თეორიას და დაუსაბუთებლად ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში ფულის რაოდენობის შეცვლა პირდაპირ განსაზღვრავს ფასების დონეს; მეორე, ოქრო ქვეყნებს შორის გადაადგილდება არა მხოლოდ საქონელთა ფასების შეფარდებითი გავლენით. რიკარდოს კრიტიკოსები უსაფუძვლოდ არ უთითებდნენ, რომ, მაგალითად, ნაპოლეონის ომების წლებში ინგლისიდან ოქრო გადიოდა არა იმიტომ, რომ ინგლისში ფასები მაღალი იყო, (პირიქით, ფასები სამრეწველო საქონელზე იქ მნიშვნელოვნად დაბალი იყო), არამედ ეს დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ დიდ სამხედრო გადასახდელებთან, მოუსავლიან წლებში პურის შესყიდვასთან და ა. შ. მესამე, თუ გათანაბრება, რომლის შესახებ რიკარდო წერდა, საბოლოო ანგარიშით მაინც მიმდინარეობს, იგი სრულიადაც არ ხორციელდება მშვიდად და ჰარმონიული პროცესის სახით, არამედ მწვავე კრიზისებით და სახალხო მეურნეობისათვის დიდი დანაკარგების ფასად. ეს კახოხზომიერება ძთელი ძალით გამოვლინდა მხოლოდ რიკარდოს გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო ათწლეულებში ციკლური ეკონომიკური კრიზისების მსვლელობაში.

მიუხედავად რიკარდოს ფულის თეორიის ყველა ნაკლისა, მან მაინც მხიშვხელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. მრავალი საკითხი წამოაყენა, რომელთა შესახებ წინათ არსებობდა ბუნდოვანი წარმოდგენა და რომელთა მნიშვნელობა შემდგომში იზრდებოდა: ფულის მიმოქცევის სიჩქარის შესახებ; „ფულზე მოთხოვნილების“ შესახებ, ე. ი. ფაქტორების შესახებ, რომელნიც განსაზღვრავენ ფულზე მეურნეობის მოთხოვნილებას; ოქროზე ქაღალდის ფულის გადახურდავების როლის შესახებ; ოქროს საერთაშორისო მოძრაობის მექანიზმის და სავაჭრო და საგადასახადო ბალანსებზე საქონელთა ფასების დონის გავლენის შესახებ.

1809 წ. რიკარდო როგორც ეკონომისტი ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო. 1811 წ. იგი უკვე აღიარებული ავტორიტეტია, ბანკნოტების დახურდავების აღდგენისათვის მოძრაობის ლიდერია. ნაწი-

ლობრივ მილის მეშვეობით და ნაწილობრივ სხვა გზებით რიკარდო ეცნობა გამოჩენილ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს. მის სტუმართმოყვარე სახლში იწყება რეგულარული შეკრებები, სადაც უსასრულოდ კამათობენ პოლიტიკის, ეკონომიკის, ლიტერატურის მწვავე საკითხებზე. რიკარდო, თავის მხრიდან განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე, აღმოჩნდა ამ წრის ადამიანების ცენტრში. მიზეზი არა მარტო მისი გონებაა, არამედ აგრეთვე ტაქტი, სიდინჯე და თავდაჭერილობა.

ინგლისელმა მწერალმა ქალმა, მარია ეჯუორტმა დატოვა რიკარდოს როგორც თანამოსაუბრის გამჭრიახი დახასიათება: „მისტერ რიკარდოს მისი დინჯი თავდაჭერილობით, აქვს შორსმჭვრეტელი გონება, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია: საუბრის დროს იგი ყოველთვის წამოჭრის ხოლმე ახალ თემას. მე არასოდეს არ მიკამათია და არც მიპაექრია ისეთ ადამიანთან. რომელიც უფრო პატიოსნად ედავებოდეს და გამარჯვებაზე უფრო მეტად ჭეშმარიტებისაკენ ილტვოდეს. იგი მის წინაღმდეგ წაძოყენებულ ნებისმიერ არგუმენტს სავსებით ღირსეულად აფასებს და წუთზე მეტითაც კი დაჟინებით არ მოითხოვს თავისი აზრის გატანას, ვიდრე ამ საკითხზე მას რწმენა აქვს. მისთვის თითქოს სულ ერთია. თუ ვინ აღმოაჩენს ჭეშმარიტებას — თქვენ, თუ ის, ოღონდ კი აღმოჩხდებოდეს. მასთან საუბრის დროს ყოველთვის რაღაცას ღებულობ: რწმუნდები, რომ შენ არა ხარ მართალი, ან მართალი ხარ. და იწყებ საქმეში უკეთესად გარკვევას, თანაც ამ საუბრის დროს ყოველთვის საუკეთესო განწყობილება გაქვს შენარჩუნებული“[1]

რიკარდო გაეცნო თ. რ. მალთუსს. ამ ორი ადამიანის მეგობრობა მეცხიერების ისტორიაში საინტერესო პარადოქსია. იგი მეტად მჭიდრო იყო, რიკარდო და მალთუსი ხშირად ხვდებოდნენ, სტუმრად დადიოდხენ ერთმანეთთან და დაუსრულებლად სწერდნენ ერთმანეთს. ამავე დროს, ძალიან წარმოსადგენია უფრო განსხვავებული ბუნების ადამიანები. მათი მეგობრობის მთელი ისტორია — ეს კამათისა და უთანხმოების ისტორიაა. ისინი ძალიან იშვიათად თანხმდებოდნენ რამეში და არცაა გასაკვირი: მალთუსის პოლიტიკური ეკონომია ემორჩილება მიწათმფლობელების კლასის ინტერესებს, რაც რიკარდოსათვის სრულიად მიუღებელი იყო. თავის მხრივ, მალთუსისათვის მიუღებელი იყო რიკარდოს ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები: შრომითი ღირებულების თეორია, რენტის წარმოსახვა როგორც პარაზიტული შემოსავლისა, ვაჭრობის თავისუფლება, პურის კანონების გაუქმების მოთხოვნა.

ალბათ ასეთი მეგობრობა იმით აიხსნება, რომ რიკარდოსათვის დამახასიათებელი თავისებურება იყო მაღალი დონის მეცნიერული

[1] ციტირებულია D. Ricardo. The Works and Correspondence, vol. 10, 1955, p. 168—169.

ობიექტურობა და თვითკრიტიკა, ყოველთვის უკმაყოფილება მიღწეულით და მისი გაძოხატვით. მალთუსის მიერ მწვავე კრიტიკაში რიკარდო ეძებდა თავისი. იდეების სრულყოფის, ნებისყოფის და განვითარების გასაღებს. მეორე მხრივ, მალთუსის კრიტიკით თვით მიდიოდა წინ.

ზედარებითი დანახარჯების პრინციპი

რიკარდო ბევრს ფიქრობდა საერთაშორისო ვაჭრობის ნაკადების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. ეს გასაგებია: ინგლისისათვის საგარეო ვაჭრობა ყოველთვის ასრულებდა (და ამჟამადაც ასრულებს) ეანსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს. მან დააყენა კითხვები: მოცემული ქვეყნიდან რატომ გადის სწორედ ერთი სახის და შემოდის მეორე სახის საქონელი? და რას იძლევა საგარეო ვაჭრობა წარმოების ზრდისათვის, ეკონომიკური პროგრესისათვის?

ადამ სმიტი ასეთ კითხვებზე მარტივად და საერთოდ საკმაოდ ზედაპირულად პასუხობდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ ღვინის წარმოება შოტლანდიაში, მაგრამ შრომის დანახარჯები უზომოდ მაღალი იქნება. მაგალითად, უფრო მომგებიანია შოტლანდიაში შვრიის წარმოება და მისი გადაცვლა პორტუგალიურ ღვინოზე, სადაც ღვინის წარმოება ნაკლებ შრომის დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო შვრიისა — მეტს. უდავოდ მოგებული რჩება ორივე ქვეყანა. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა რიკარდოს: ნუთუ ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი აშკარა შემთხვევების პირობებში, როცა ამას თვით ბუნება კარნახობს?

იგი ასე მსჯელობდა: თუ წარმოვიდგენთ კიდეც, რომ შოტლანდია აწარმოებს შვრიასაც და ღვინოსაც ნაკლები დანახარჯებით, მაგრამ შვრიის წარმოებაში მისი უპირატესობა მეტია, ვიდრე ღვინის წარმოებაში, მაშინ დანახარჯების გარკვეული შეფარდებისას და გაცვლის გარკვეული პროპორციების პირობებში, მისთვის მაინც მომგებიანი იქნება მ ხ ო ლ ო დ შვრიის წარმოება, ხოლო პორტუგალიისათვის მ ხ ო ლ ო დ ღვინისა. სწორედ ეს არის შეფარდებითი დანახარჯების, ანუ შედარებითი უპირატესობის პრინციპი. რიკარდოს ამ პრინციპის საფუძვლად შრომითი ღირებულების თეორია მიაჩნდა და მის დამტკიცებას ცდილობდა რიცხობრივი მაგალითის დახმარებით: მას საერთოდ ძალიან უყვარდა ასეთი მაგალითები და სისტემატურად იყენებდა მათ.

შევეცდებით მოვახდინოთ რიკარდოს იდეის ილუსტრაცია რიცხობრივი მაგალითით, რომელიც შეძლებისდაგვარად მიახლოებულია XIX ს-ის დასაწყისის სინამდვილესთან. წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისსა და საფრანგეთში იწარმოება მხოლოდ: ორი საქონელი — მაუდი და ხორბალი. ინგლისში ერთი მეტრი მაუდის **წარმოება მოითხოვს** საშუალოდ 10 საათის შრომას, ხოლო 1 ტონა ხორბლისა — 20 საათს. საფრანგეთში რიცხვები შეადგენენ მაუდისათვის 20 საათს, ხორბლისა—

თვის — 30 საათს. ღირებულების კახოხის შესაბამისად ინგლისში 1 ტონა ხორბალი გაიცვლება 2 მეტრ მაუდზე, საფრანგეთში კი — 1,5 მეტრზე. შევნიშნავთ, ორმ მოცემულ მაგალითში ინგლისს ორივე საქონლის წარმოებაში აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია, მაგრამ შეფარდებითი კი — მხოლოდ მაუდის წარმოებაში. ხორბლის წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია საფრანგეთს. ეს შეიძ-ება აიხსნას კიდევ ასე: საფრანგეთში მაუდის წარმოება 2-ჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე ინგლისში, ხორბლისა კი მხოლოდ 1,5-ჯერ. ეს მ ხ ო ლ ო დ შეფარდებითი უპირატესობაა.

დავუშვათ, რომ ორივე ქვეყანა მიჰყვა რიკარდოს რჩევას და დასპეციალდნენ: ინგლისი — მაუდის წარმოებაში, საფრანგეთი — ხორბლის მოყვანაში. შეიძლება-ვიფიქროთ, რომ მაუდის ხორბალზე გაცვლის შეფარდება იქნება სადღაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის და შეადგენს, ვთქვათ, 1,7 (ე. ი. 1,7 მეტრი მაუდი 1 ტონა ხორბალზე). შემდგომი მსჯელობა უმჯობესია ცხრილის სახით გამოვსახოთ.

	ინგლისი	საფრანგეთი
სამუშაო საათების ერთობლივი დანახარჯები 1 მ მაუდზე და 1 ტ ხორბალზე	30	50
სპეციალიზაციამდე		
მაუდის წარმოება და მოხმარება (მ)	1	1
ხორბლის წარმოება და მოხმარება (ტ)	1	1
სპეციალიზაციის შემდეგ		
მაუდის წარმოება (მ)	3	—
ხორბლის წარმოება (ტ)	—	1,67
მაუდის მოხმარება (მ)	1	0,67×1,7=1,14
ხორბლის მოხმარება შესაძლებელი გაცვლის ფარგლებში (ტ)	0,67	
მაუდის არარეალიზებული ნაშთი (მ)	3—2, 14=0.86	

ამის შედეგად, თითქოსდა გაცვლის პირველ ეტაპზე, საფრანგეთს 50 საათიანი შრომის დროს აქვს წ მ ი ნ დ ა მ ო გ ე ბ ა 0,14 მ რაოდენობის მაუდის მოხმარებისათვის, მისთვის ეკვივალენტურ 2,8 ს ა მ უ შ ა ო ს ა ა თ ი თ. მაგრამ ერთი შეხედვით მდგომარეობა ინგლისისათვის არც თუ სავსებით ნათელია: ერთი მხრივ, მასგააჩნია არარეალიზებული მაუდის ნაშთი 0,86 მ რაოდენობით, მეორე მხრივ, მარცვლეულის დეფიციტი — 0,33 ტ. რაოდენობით. ამაში არაფერია გასაკვირი. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის ჩასათვლელად, რომ გაცვლა უსათუოდ უნდა განხორციელდეს შრომის მოცემული დანახარჯების (30 საათი ინგლისისათვის, 50— საფრანგეთისათვის) ფარგლებში. იმისათვის, რომ ინგლისმა მოახდინოს დარჩენილი მაუდის რეალიზაცია, გაცვლაში უნდა ჩაერთოს საფრანგეთის ხორბლის დამატებითი რაოდენობა. ეს სრულიადაც არ არის დანაკარგი საფრანგეთისათვის, რადგან ეს ხორბალიც იცვლება ინგლისურ მაუდზე წინანდელი თანაფარდობით. ვღებულობთ, რომ 0,86 მ. მაუდი იცვლება 0,51 ტ ხორბალზე (0,86:1,7). ეს 0,18 ტ მეტია ჩვენ-მიერ აღმოჩენილ „დეფიციტზე". ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ 30 საათიანი საზოგადოებრივი შრომის პირობებში ინგლისს აქვს ასევე წ მ ი ნ დ ა მ ო გ ე ბ ა 0,18 ტ ხორბლის რაოდენობით, რაც მისთვის 3,6 ს ა მ უ შ ა ო ს ა ა თ ი ს ეკვივალენტურია. ამრიგად, საკმაოდ ზუსტადაა დამტკიცებული, რომ სპეციალიზაციის შედარებითი უპირატესობის არსებობისას, ძირითადად გაცვლა შეიძლება მომგებიანი იყოს ორივე ქვეყნისათვის.

უნდა ითქვას, რომ რიკარდომ საგარეო ვაჭრობის თეორიას მიუძღვნა სულ რამდენიმე გვერდი. როგორც ბევრ სხვა დარგში, მან გამოთქვა და დაასაბუთა ფუნდამენტური იდეა და ეკონომისტთა თა-

ობებს მისცა მისი განვითარებისა და მოდერნიზაციის საშუალება.

თავისი ობიექტური ფორმით შეფარდებითი დანახარჯების პრინციპი სამართლიანია არა მხოლოდ კაპიტალიზმისათვის. თავისი ძირითადი არსის მიხედვით იგი მისაღებია საერთაშორისო შრომის დანაწილებისათვის საერთოდ. კანონზომიერია, რომ უკანასკნელ წლებში სოციალისტური ქვეყნებისათვის საერთაშორისო შრომის დანაწილებისა და წარმოების სპეციალიზაციის პრობლემის მნიშვნელობის გაძლიერებასთან ერთად ეკონომისტ-მარქსისტთა ყურადღებას იპყრობს შეფარდებითი დანახარჯების პრინციპი.

მარქსი მიუთითებს, რომ პრინციპში სპეციალიზაცია შეიძლება შეფარდებით მომგებიანი იყოს ჩამორჩენილი ქვეყნისათვისაც, რადგან ასეთი ქვეყანა „მაინც უფრო იაფად იღებს საქონელს, ვიდრე თვით მას შეეძლო ეწარმოებინა."[1] ამასთან ერთად უკვე ტიკარდო შეფარდებითი დანახარჯების პრინციპთან თავისი თეორიის შესაბამისად აკეთებს დასკვნებს თავისუფალი ვაჭრობის პირობებში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ჰარმონიული განვითარების შესახებ. მისი აზრით, ვაჭრობა ყველა ცივილიზებულ ერებს ერთ მსოფლიო თემად აერთიანებს, თუკი ხორბალს, ღვინოს და სხვ. სასოფლო-სამეურნეო საქონელს აწარმოებენ მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები, ხოლო ლითონის ნაწარმს და სხვა სამრეწველო საქონელს — ინგლისი. ამრიგად, მართლდებოდა ინგლისის როგორც მსოფლიოს მთავარი სამრეწველო სახელმწიფოს, „ბუნებრივი" უპირატესობა. შემდგომში შედარებითი დანახარჯების პრინციპის გამოყენება დაიწყო ზოგ შემთხვევაში ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ნედლეულისა და სურსათის წარმოებაზე ცალმხრივი სპეციალიზაციის, როგორც ინდუსტრიალიზაციის საწინააღმდეგო მოსაზრების, გასამართლებლად.

ცვლილება განიცადა თავისუფალი ვაჭრობის, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის, მთელმა იდეამ. თუმცა თავისუფალი ვაჭრობა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ინგლისის ბურჟუაზიისათვის, მაგრამ მისი ძირითადი მიმართულებანი იმ დროისათვის პროგრესული იყო: იგი მიმართულია თვით ინგლისში და სხვა ქვეყნებში ფეოდალიზმის ლიკვიდაციისაკენ კაპიტალისტური მსოფლიო ბაზრის შექმნისაკენ. თანამედროვე პირობებში თავისუფალი ვაჭრობის იდეა, ყოველ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნების მიმართ, ხშირად რეაქციულია. თვით დასავლეთი ევროპისა და აშშ-ის მრავალი ეკონომისტი აღიარებს, რომ თავისუფალ ვაჭრობას შეეძლო განვითარებადი ქვეყნებისათვის დაეკისრებინა სანედლეულო დანამატის მუდმივი როლი და მხოლოდ მი-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I., თბ., 1959, გვ. 302.

ს. ჩამორჩენის კონსერვაცია მოეხდინა. პირიქით, მხოლოდ აქტიური ჩარევა საგარეო ვაჭრობის სფეროში (როგორც მეურნეობის სხვა სფეროში), კერძოდ უცხოური საქონლის შემოტანის ბაჟით დაბეგვრა, ასეთი საქონლის ექსპორტისათვის ხელშეწყობა დაეხმარებოდა ამ ქვეყნებს თავი დაეღწიათ ჩამორჩენისაგან.

მთავარი წიგნი

რიკარდოს მთავარი თხზულება სრულიად სხვაგვარად წარმოიშვა, ვიდრე სმიტის „ხალხთა სიმდიდრე". მშფოთვარე ეპოქამ არ მისცა მას ბევრი დრო გულმოდგინე მუშაობისათვის.

რიკარდოს მეცნიერული ინტერესები ძლიერ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცხოვრების მწვავე საკითხებთან. ასეთ საკითხს წარმოადგენდა პურის კანონები, რომელთა გამოც ბანკებისა და ფულის პრობლემამაც კი უკანა პლანზე გადაინაცვლა. რიკარდო, ამ დროს ლიბერალური ბანკის უკვე გამოჩენილი ეკონომისტი და პუბლიცისტი, ჩაება ამ ბრძოლაში. მისი გამოსვლის უბრალო საბაბს მალთუსთან პოლემიკა წარმოადგენდა, რომელიც იცავდა პურის კანონებს და ხორბალზე მაღალ ფასებს. ამ პოლემიკაში ჩამოყალიბდა რიკარდოს თეორიული სისტემა: 1814—1817 წწ. დაწერილ მის ნაშრომებში უმაღლესი გამოხატულება პოვა ინგლისის კლასიკურმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

სმიტის სისტემას უკვე არ შეეძლო ეკონომიკური რეალობის სრული ახსნის პრეტენზია ჰქონოდა. 40 წლის განმავლობაში ძლიერ ბევრი რამ შეიცვალა. დასრულდა ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების გამოყოფა, მოხდა მათი ეკონომიკური ინტერესების კრისტალიზაცია. პურის კანონების ირგვლივ ბრძოლა აშკარად მიმდინარეობდა ძირითადი კლასების, უმთავრესად სამრეწველო ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელების, პოზიციებიდან. ეკონომიკური მეცნიერების ცენტრში აღმოჩნდა კლასებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილების პრობლემა. სმიტისათვის ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. რიკარდოსათვის კი ეს, არსებითად, პოლიტიკური ეკონომიის საგანია. იგი წერდა: „იმ კანონების გარკვევა, რომელნიც ამ განაწილებას განაგებენ, პოლიტიკური ეკონომიის მთავარ პრობლემას შეადგენს: რაგინდ დიდად გამდიდრებულიყოს მეცნიერება ტიურგოს, სტიუარტის, სმიტის, სეის, სისმონდის, და სხვათა ნაწერების მეოხებით, მაინც ეს უკანასკნელნი ძალიან მცირედ დამაკმაყოფილებელ განმარტებას იძლევიან რენტის მოგებისა და ხელფასის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ."[1]

---

[1] დავიდ რ ი კ ა რ დ ო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. XV.

რიკარდო ცდილობდა, წ ა რ მ ო ე ბ ი ს პირობებისა და ინტერესებიდან გამომდინარე დაედგინა გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს კანონები. რას ნიშნავდა ეს კონკრეტულად? უპირველეს ყოვლისა, მან თავის სისტემას საფუძვლად დაუდო თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქონლის ღირებულება შრომით იქმნება წარმოების პროცესში და იზომება ამ შრომის რაოდენობით. შემდეგ, წარმოებას იგი იხილავდა კონკრეტულ კაპიტალისტურ ფორმაში ოა ეხებოდა საკითხს, თუ როგორ იქმნება ღირებულება და ნაწილდება შემოსავლები ისეთ პირობებში, როცა წარმოების საშუალებები იმყოფება ლენდლორდების (მიწა) და კაპიტალისტების (ფაბრიკები, მანქანები, ნედლეული) ხელში. და ბოლოს, კაპიტალიზმის მთავარ ფუნქციას იგი ხედავდა მატერიალური დოვლათის წარმოების ზრდაში.

1815 წ. დასაწყისში რიკარდომ გამოაქვეყნა პატარა პამფლეტი სათაურით — „ცდა კაპიტალიდან მიღებულ მოგებაზე ხორბლის დაბალი ფასის გავლენის შესახებ". მასში შეკუმშული ფორმით პირველად იყო გადმოცემული კლასების ეკონომიკური ურთიერთობისა და კაპიტალიზმის განვითარების რიკარდოსეული თეორია. რიკარდო აკეთებდა შემდეგ ძირითად დასკვნას: თუ ეკონომიკურ განვითარებას თავის ნებაზე მივუშვებთ, მაშინ მოსახლეობის ზრდასა და მოსახლეობის სულ უფრო ნაკლებად ნაყოფიერი მიწების დამუშავებაზე გადასვლასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები გაიზრდება. აქედან მთელი მოგება დარჩებათ მიწათმფლობელებს, მაშინ როდესაც მოგების ნორმა კაპიტალზე შემცირდება. ამით დაზარალდებიან მუშებიც, რადგან მათ შრომაზე წამოყენებული იქნება შედარებით უფრო დაბალი მოთხოვნა. რა შეიძლება იყოს ამ ტენდენციის საწინააღმდეგო? კერძოდ, იაფი ხორბლის იმპორტი საზღვარგარეთიდან. აქედან ნათლად ჩანს პურის კანონებით მოტანილი ზიანი: ის ხელსაყრელია მხოლოდ პარაზიტი ლენდლორდებისათვის.

მუშაობის მსვლელობაში რიკარდო აწყდება მთავარ წინააღმდეგობას — ღირებულების (მის არსს ჩვენ ქვევით გადმოვცემთ) პრობლემას. სმიტის თეორია მას არ აკმაყოფილებს, მაგრამ მისი შეცვლა ჯერ კიდევ არ შეუძლია. ძიება მტანჯველი ხდება. ერთ-ერთი წერილით იგი იტყობინება, რომ ორი კვირის მანძილზე მოსვენება არ ჰქონია, ვიდრე არ მოისაზრა რაღაც მნიშვნელოვანი. რიკარდოს ამდროინდელი წერილები საერთოდ აღსავსეა უკმაყოფილებითა და მეოცნებეობით. მილი ცდილობს მის გამხნევებას ყოველგვარი საშუალებით, თვით პირმოთნებითაც კი: „თქვენ უკვე ხართ საუკეთესო მ ე ც ნ ი ე რ ი პოლიტიკურ ეკონომიაში, თქვენ იქნებით საუკეთესო მწერალიც". დაუკმაყოფილებლობა რიკარდოს არ უშლის ხელს ფენომენალური ტემპით შექმნას წიგნი.

1817 წლის აპრილში 750 ეგზემპლარიანი ტირაჟით უკვე გამო-

ქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები". რიკარდოს ნაშრომს სიჩქარის ყველა კვალი ამჩნევია. იგი გამომცემლებს ხელნაწერს ნაწილ-ნაწილ უგზავნის, ერთდროულად წერასაც აგრძელებს და ასწორებს კიდეც დარჩენილ ნაწილს. რიკარდოს სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა წიგნის ორი გამოცემა. ისინი ნაკლებად განსხვავდებოდნენ პირველი გამოცემისაგან, პირველი თავის — „ღირებულების შესახებ" — გამოკლებით, სადაც რიკარდო მტკიცედ ისწრაფოდა სიზუსტისა და დამაჯერებლობისაკენ.

წიგნის მესამე გამოცემა შედგება 32 თავისაგან, რომელიც მკაფიოდაა დაყოფილი სამ ნაწილად. რიკარდოს სისტემის საფუძვლები გადმოცემულია პირველ შვიდ თავში. უფრო მეტიც, ყველაზე მთავარი მოცემულია პირველ ორ თავში — ღირებულებისა და რენტის შესახებ. მარქსი აღნიშნავს, რომ რიკარდო აქ ჩასწვდა თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ზუსტ არსს და იძლევა „რაღაც სრულიად ახალ გასაოცარ შედეგებს... აქედან წარმოდგება ის დიდი თეორიული სიამოვნება, რასაც ეს ორი პირველი თავი გვგვრის"...[1] შვიდი თეორიული თავის შემდეგ (არათანამიმდევრობით) მოდის დაბეგვრის საკითხებისადმი მიძღვნილი 14 თავი. დანარჩენი 11 თავი შეიცავს ძირითადი თავების დასრულების შემდეგ წარმოშობილ სხვადასხვა დამატებას, სხვა ეკონომისტების, ძირითადად სმიტის, მალთუსისა და სეის მისამართით გამოთქმულ აზრებს და კრიტიკულ მოსაზრებებს.

თავის პოლიტიკურ ეკონომიაში რიკარდომ მიიღო ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპი — საქონლის ღირებულების განსაზღვრა შრომით, სამუშაო დროის დანახარჯებით. მისმა შრომითი ღირებულების თეორიამ, მარქსამდელი მეცნიერების ფარგლებში, მიიღო ყველაზე განვითარებული ფორმა. რიკარდო აშკარად გამოდიოდა ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასების ინტერესთა დაპირისპირებულობისაგან. ამით მან, როგორც მარქსი წერდა, ხელი ჩაჰკიდა ისტორიული განვითარების უმთავრეს საფუძველს.

რიკარდოს ამოსავალი პრინციპები აღიქვა, გარდაქმნა და განავითარა მარქსიზმმა, მაგრამ ისინი არ აწყობდა ბურჟუაზიას და მის დამცველ ეკონომიკურ მეცნიერებას. ძალიან მალე რიკარდოს ერთგულებამ შრომითი ღირებულების თეორიისადმი გამოიწვია მის მიმართ ბრალდებები გადაჭარბებულ აბსტრაქტულობასა და სქოლასტიკურობაში, ხოლო კლასობრივმა მიდგომამ — ბრალდებები ცინიზმისა ერის შიგნით შუღლის განვითარებაში.

რიკარდოსათვის მართლაც უცხო იყო ყოველგვარი სანტიმენტალურობა. მისი პოლიტიკური ეკონომია ულმობელი იყო, რადგან ასე-

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, თბ., 1968, გვ. 219.

ვე ულმობელი იყო ის სამყაროც, რომლის ახსნასაც იგი ცდილობდა. ამიტომ არ იყვნენ მართალი თვით ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც სისმონდი იყო, რომელნიც რიკარდოს ცალკეული ინდივიდების ჰუმანიზმისა და კეთილდღეობის პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ. რიკარდოს, ისევე როგორც სმიტის, შეხედულებათა მეცნიერულობა იმით განისაზღვრება, რომ იგი კლასთა ინტერესებს იხილავდა წარმოების განვითარების, ერის სიმდიდრის ზრდის თვალსაზრისით. ასევე იცავდა იგი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი ამ უმაღლეს პრინციპს შეესაბამებოდნენ. რიკარდო მართლაც ასახავდა წარმოების პროცესში მუშების როგორც ცოცხალი იარაღის მდგომარეობას. კაპიტალისტი ირჩევს იმას, რაც მისთვის ხელსაყრელია — დაიქირავოს მუშები თუ დააყენოს ახალი მანქანები. და გრძნობა აქ სრულიად არაფერ შუაშია. მარქსი წერდა: „ეს სტოიციზმია, ეს ობიექტურია, ეს მეცნიერულია. რამდენადაც ეს შესაძლებელია თავისი მეცნიერების მიმართ შ ე ც ო დ ე ბ ი ს გარეშე, რიკარდო მუდამ ფილანთროპია, როგორც იყო იგი კიდეც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი“[1].

რიკარდო, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა, რომ ქველმოქმედებას კაცობრიობის მანკიერების განკურნვა შეუძლია. მაგრამ ცხოვრებაში იგი კეთილი და გულუხვი ადამიანი იყო. თუმცა მისი სიმდიდრის პატრონს შეეძლო თავისათვის უფლება მიეცა, ფილანთროპი ყოფილიყო. მარია ეჯუორტი გვიამბობს, რომ გეთკომბ-პარკის მახლობლად იგი ათვალიერებდა სკოლას, სადაც მისი ფულით და ქალბატონ რიკარდოს მფარველობით ღარიბთა 130 ბავშვი სწავლობდა. რიკარდო აძლევდა ფულს საავადმყოფოებს და თავშესაფრებს. ეხმარებოდა მრავალრიცხოვან ღარიბ ნათესავებს.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, თბ., 1968, გვ. 151.

მეცამეტე თავი

სისტემის დასასრული: დავიდ რიკარდო

ღირებულების თავსატეხი

რიკარდო შეუპოვრად მუშაობდა ღირებულების ბუნების ნათლად გარკვევის მიზნით. თავისი ძველი შეხედულებები მან მრავალჯერ მიიჩნია არადამაკმაყოფილებლად და უხდებოდა მათი გადასინჯვა. როცა ეგონა, რომ გადაწყვიტა ერთი რიგის სიძნელენი, მის წინაშე წამოიჭრებოდა სხვები. მის უკანასკნელ ნაშრომს, რომელიც ავადმყოფობამ და სიკვდილმა შეწყვიტა, ჰქონდა სათაური — „აბსოლუტური და შეფარდებითი ღირებულება". აბსოლუტურ ღირებულებად რიკარდოს მიაჩნდა ის, რასაც მარქსმა უწოდა ღირებულების სუბსტანცია — საქონელში ჩართული შრომის რაოდენობა. შეფარდებით ღირებულებად — საცვლელი ღირებულება, სხვა საქონლის რაოდენობა, რომელიც ბუნებრივი კანონების ძალით უნდა გაიცვალოს მოცემული საქონლის ერთეულზე. რიკარდოს სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ იგი აღიარებდა აბსოლუტურ ღირებულებას და ამავე დროს, არც კი ცდილობდა ჩასწვდომოდა მის ბუნებას, გამოეკვლია ამ ღირებულებაში განივთებული თვით შრომის ხასიათი. რაც მას ყოველთვის ინტერესებდა — ეს იყო მხოლოდ საქმის რაოდენობრივი მხარე: როგორ განისაზღვრება თვით საცვლელი ღირებულების სიდიდე და რით შეიძლება მისი გაზომვა. აქედან გამომდინარეობდა მისი „ღირებულების იდეალური საზომის" ძიება — ქიმერისადმი, მოუხელთებელი ჩრდილების დევნა.

ზოგჯერ რიკარდო სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა იმის გამო, რომ ვერ ახერხებდა თავისი ღირებულების თეორიისა და ეკონომიკის მთელი რეალური პროცესის შეთანხმებას. თავისი სისუსტის ერთ-ერთი ასეთი მომენტის დროს იგი წერდა წერილში, რომ ბოლოს და ბოლოს იქნება საჭიროა, განზე გადავდოთ ღირებულების პრობლემა და მ-ს გარეშე გამოვიკვლიოთ განაწილების კანონები. მაგრამ სისუსტის ეავლის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდებოდა თავ-ს მთავარ ამოცანას და ჩიხიდან გამოსავალს ეძებდა.

ისევე როგორც სხვა მრავალ საკითხში, რიკარდომ აქაც დაიწყო

იქიდან, სადაც სმიტი გაჩერდა. მან უფრო მკვეთრად გამიჯნა საქონლის ორი ფაქტორი — სახმარი და საცვლელი ღირებულება. ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება, გარდა არაკვლავწარმოებადი დოვლათის უმნიშვნელო რიცხვისა (მაგალითად, ძველი ოსტატების მიერ შესრულებული სურათები ან სახელგანთქმულ სარდაფებში დაძველებული ღვინოები), განისაზღვრება მათ წარმოებაზე შრომის შეფარდებითი დანახარჯებით.

ჩვენ ვიცით, რომ სმიტი თავის ღირებულებით თეორიაში არ იყო თანამიმდევრული. მას მიაჩნდა, რომ ღირებულების შრომით, სამუშაო დროით განსაზღვრა შეესაბამება მხოლოდ „საზოგადოების პრიმიტიულ მდგომარეობას", როცა არ იყო კაპიტალი და დაქირავებული შრომა. თანამედროვე საზოგადოებაში კი ღირებულება ფაქტობრივად განისაზღვრება შემოსავლების ჯამით ხელფასის, მოგებისა და რენტის სახით, რომელიც მიიღება საქონლის წარმოებიდან და რეალიზაციიდან. ასეთი არათანამიმდევრულობა მიუღებელი იყო რიკარდოს ლოგიკური გონებისათვის. მას არ აწყობდა სმიტისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება. ისეთი ფუნდამენტური კანონი, როგორიც ღირებულების კანონია, არ შეიძლება მთლიანად იცვლებოდეს საზოგადოების განვითარებასთან ერთად. არა, თქვა რიკარდომ, ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით არის აბსოლუტური, საყოველთაო კანონი.

თეზისი განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომითი ღირებულების კანონის სრული გამოსაყენებლობის შესახებ რიკარდოს დიდი მეცნიერული დამსახურება იყო. სმიტისა და მისი მიმდევრების შეხედულებიდან გამომდინარეობდა, რომ კერძოდ ფულადი ხელფასის გადიდებამ (ან შეცვლამ საერთოდ) საქონლის ღირებულებასა და ფასში შესაბამისი ცვლილება უნდა გამოიწვიოს. რიკარდომ გადაჭრით უარყო ეს მტკიცება: „საქონლის ღირებულება, ანუ ყოველი სხვა საქონლის რაოდენობა, რომელშედაც ეს საქონელი გაიცვლება, დამოკიდებულია შრომით მის შეფარდებითს რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა მის საწარმოებლად, და არა მეტ ან ნაკლებ გასაძრჯელოზე, რომელსაც ამ შრომისათვის იხდიან".[1]

თუ შრომის ნაყოფიერების ყოველგვარი ცვლილების გარეშე გაიზრდება ხელფასი, საქონლის ღირებულება ამით არ შეიცვლება. სხვა თანაბარ პირობებში ეს ვაელენას არ მოახდენს ფასებზეც, რაც მხოლოდ ღირებულების ოქროში გამოხატულებაა. მაშ რა შეიცვლება? ღირებულების განაწილება მუშის ხელფასსა და კაპიტალისტის მოგებას შორის. თავისუფალი კონკურენციის პირობებში კაპიტალისტებს

---

[1] დავიდ რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. 1.

თავის საქონელზე ფასების გადიდებით არ შეუძლიათ ხელფასის ზრდის კომპენსირება.

ამ პრობლემას დიდი მომავალი ჰქონდა. იგი დასაწყისიდანვე მწვავე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელფასის ამაღლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლასთან. მარქსი სწორედ რიკარდოს ეყრდნობოდა, როცა სპეციალური ანალიზი გაუკეთა საკითხს ხელფასის, ფასისა და მოგების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს დაკავშირებული იყო კონკრეტულ ამოცანასთან — მოეგერიებინა მუშათა მოძრაობისათვის საზიანო პოზიცია, რომლის არსი ის იყო, რომ ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლა უაზრობაა, რადგან ეს ზრდა ფასების ამაღლებით, სულ ერთია, მალე ნულამდე დაიყვანება. მარქსი აღნიშნავდა, რომ „ხელფასის დონის საყოველთაო მომატება მოგების საერთო ნორმის შემცირებას იწვევს, ოგრამ საერთოდ გავლენას რა აადენს საქონლის ფასებზე“.[1]

ეს დებულება დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომისტები და პოლიტიკოსები დასავლეთში მუშათა ფულადი ხელფასის გადიდებას ხშირად სიძვირის ზრდისა და ინფლაციის ერთადერთ ან მთავარ მიზეზად თვლიან. ასასთან ერთად მხედველობაში მიიღება, რომ რიკარდოსი და მარქსის შეხედულებანი გამოთქვა კონკრეტულ პირობებში, როცა კაპიტალიზმს ახასიათებდა ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელნიც დღეს არ გააჩნია, ან შეიცვალა. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო: პირველი, თავისუფალი კონკურენცია, რომელიც გამორიცხავდა თითოეული ცალკეული მეწარმისათვის თავისი საქონლის საბაზრო ფასზე ზემოქმედების შესაძლებლობას; და, მეორე, ოქროს სტანდარტის ბაზაზე მყარი ფულადი მიმოქცევის გაბატონებული მდგომარეობა, რაც ზღუდავდა საკრედიტო-ფულადი მასის მზარდი ფასების დონესთან შეგუების შესაძლებლობას.

როგორც ცნობილია, თანამედროვე კაპიტალიზმისათვის, პირიქით, დამახასიათებელია ბაზრებისა და ფასების მნიშვნელოვან რაოდენობაზე მონოპოლიების კონტროლის ბატონობა და ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ცალმხრივი ელასტიკურობა მათი მოცულობის გადიდების მიმართულებით. ასეთ პირობებში მეწარმეებს აქვთ გაზრდილი ხელფასის საქონლის ფასებზე გადატანის შესაძლებლობა, რითაც ბუდმივად სარგებლობენ მოგების შენარჩუნებისა და შემდგომი გადიდებისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი გადატანის შესაძლებლობა უსაზღვროა და დამოკიდებულია ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. ხელფასებისა და ფასების შეთანაწყობის პრობლემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონოპოლიების

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 512.

მიერ ფასების გადიდება, რომელსაც ჩვეულებრივ „ასაბუთებდნენ“ ფულადი ხელფასის ზრდით, თანამედროვე ინფლაციის ფაქტორს წარმოადგენს.

ხელფასისა და მოგების შესახებ ურთიერთდამოკიდებულების დასკვნას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რიკარდოს შეხედულებებში კაპიტალიზმის პერსპექტივების შესახებ და მის პოლიტიკურ პროგრამაში. რიკარდოს აზრით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს აქვთ ზრდის ქრონიკული ტენდენცია. ამან უნდა გამოიწვიოს ფულადი ხელფასის ზრდა: რადგან მუშები ყოველთვის ღებულობენ მხოლოდ მშიერ მინიმუმს, თუ არც ეს ექნებათ, ისინი მართლაც დაიხოცებიან. მაგრამ კაპიტალისტთა მოგება შესაბამისად მცირდება, რადგან მათ არ შეუძლიათ სამრეწველო საქონლის ფასების გადიდება. პურის სიძვირე ბღალავს მრეწველთა ინტერესებს და გარკვეულ საფეხურზე მათ უკარგავს კაპიტალის დაგროვების სტიმულებს. ეს კი, რიკარდოს თვალსაზრისით, სამყაროს თავისებური ეკონომიკური დასასრულია.

რიკარდო აღიქვამდა მთავარ სიძნელეებს, რომლებითაც შეეჯახა შრომითი ღირებულების თეორიას. პირველი მათგანი მდგომარეობდა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის გაცვლის ახსნაში. მუშის შრომა ქმნის საქონლის ღირებულებას, ამ შრომის რაოდენობა კი განსაზღვრავს ღირებულების სიდიდეს. მაგრამ თავისი შრომის სანაცვლოდ მუშა ხელფასის სახით უფრო ნაკლებ ღირებულებას ღებულობს, გამოდის, რომ ამ გაცვლაში ირღვევა ღირებულების კანონი. ეს კანონი რომ ხორციელდებოდეს, მაშინ მუშამ უნდა მიიღოს მისი შრომით შექმნილი პროდუქტის სრული ღირებულება, ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტის მიერ მოგების მიღება. წარმოიქმნა წინააღმდეგობა: ან თეორია არ შეესაბამება სინამდვილეს, ან ღირებულების კანონი სისტემატურად ირღვევა გაცვლის უმნიშვნელოვანეს სფეროში.

ეს წინააღმდეგობა გადაჭრა მარქსმა, დაასაბუთა, რომ მუშა კაპიტალისტს მიჰყიდის არა შრომას, რომელიც მხოლოდ პროცესია, საქმიანობაა, ადამიანის ენერგიის ხარჯვაა, არამედ თავის სამუშაო ძალას, ე. ი. შრომის უნარს, მას ყიდულობს კაპიტალისტი და ჩვეულებრივ პირობებში მუშას უხდის სამუშაო ძალის ღირებულებას, რადგან ეს ღირებულება სრულიადაც არ განისაზღვრება იმით, რასაც ქმნის შრომა, არამედ იმით, რაც აუცილებელია მუშის ცხოვრებისა და მის მსგავსთა კვლავწარმოებისათვის. ამრიგად, გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის ხორციელდება ღირებულების კანონის სრული შესაბამისობით, რაც სრულიადაც არ გამორიცხავს კაპიტალისტის მიერ მუშის ექსპლოატაციას.

მეორე სიძნელე ის იყო, თუ როგორ შეუთავსდება ღირებულების კანონი იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტების მოგება რეალურ ცხოვრებაში განისაზღვრება არა მათ საწარმოებში შექმნილი საქონლის ღირე-

ბულებით, არამედ გამოყენებული კაპიტალის სიდიდით. თუ ღირებულება იქმნება მხოლოდ შრომით და საქონელი იცვლება დაახლოებით ღირებულების მიხედვით, მაშინ წარმოების ცალკეული დარგები სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. დარგებსა და საწარმოებს, სადაც მრავალი სამუშაო ძალა და მცირე მანქანები, მასალები, ნედლეულია გამოყენებული, უნდა ჰქონდეთ მაღალი ღირებულების საქონელი, თავის საქონელს უნდა ყიდდნენ მაღალ ფასებში და, მაშასადამე, უნდა მიიღონ მაღალი მოგება. იგივე შეიძლება ითქვას დარგების შესახებ, სადაც კაპიტალი სწრაფად ბრუნავს და სწრაფად იძლევა მოგებას. პირიქით, დარგებსა და საწარმოებში, სადაც წარმოების საშუალებებზე დიდი რაოდენობის კაპიტალს აბანდებენ, ან სადაც ნელია კაპიტალის ბრუნვა, საქონლის ღირებულება, ფასები და მოგება დაბალი უნდა იყოს.

მაგრამ ეს შეუძლებელია! ეს კაპიტალიზმის სინამდვილეს ეწინააღმდეგება. კარგადაა ცნობილი, რომ თანატოლ კაპიტალებს აქვთ ერთნაირი მოგების ნორმის მოტანის ტენდენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალები წავლენ მცირე მომგებიანი დარგებიდან. გამოდის, რომ შრომითი ღირებულების კანონი შეუთავსებელია საშუალო ნორმის რეალურად მოქმედ კანონთან.

ადამ სმიტი გაეცალა ამ წინააღმდეგობას, ფაქტობრივად უარყო შრომითი ღირებულება და ღირებულება გამოიყვანა შემოსავლებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი იყო საშუალო მოგება. რიკარდოს არ შეეძლო ამის გაკეთება, რადგან თავისი კონცეფცია უფრო თანამიმდევრულად დაუკავშირა შრომითი ღირებულების თეორიას. იგი შეეცადა, ამ თეორიის ჩარჩოებში ძალით ჩაეტენა ტოლ კაპიტალზე ტოლი მოგების ფაქტი. ჩარჩოები რომ ნამსხვრევებად არ ქცეულიყო, იგი ოსტატობითა და შეუპოვრობით, რომელნიც საუკეთესო გამოყენებას იმსახურებდნენ, ცდილობს შეამციროს კაპიტალის შემადგენლობისა და ბრუნვაში განსხვავების მნიშვნელობა. რიკარდო არსებითად რამდენადმე გულუბრყვილოდ ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა, რომ თუ საშუალო მოგება სახეს უცვლის ღირებულების კანონს, — მეტად უმნიშვნელოდ, და ეს უმნიშვნელოც არ არის მხედველობაში მისაღები.

რა თქმა უნდა, რიკარდო ცდილობდა დაემტკიცებინა ისეთი რამ, რისი დამტკიცებაც შეუძლებელი იყო. როცა საქონელი კაპიტალისტურად იწარმოება, ღირებულების კანონი მოქმედებს (რიკარდო ამაში მართალია), მაგრამ არ შეუძლია იმოქმედოს ისე, როგორც მარტივი საქონელწარმოების დროს (და ის ამაში არ არის მართალი). ღირებულება გარდაიქმნება წარმოების ფასად, რომელიც შეიცავს საშუალო მოგებას კაპიტალზე და ამ გზით გათანაბრდება განსხვავება კაპიტალების შედგენილობასა და ბრუნვაში. ამას ახორციელებს კაპიტალისტური დარგთაშორისი კონკურენციის მექანიზმი. ეს ღირებულების კა-

ნონის უარყოფა კი არაა, არამედ მისი განვითარებაა. ასეთი იყო ამ საკითხზე მარქსის უნოგადესი პასუხი.

წარმოების ფასი პრინციპულად ახალი კატეგორიაა, ვიდრე ღირებულება. იგი შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დაემთხვეს უკანასკნელს. რიკარდო კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ერთი და იგივეა, გადასრა შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში. ძლიერ მალე ეს პოზიცია მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა მისი კრიტიკისათვის თეორიული მოწინააღმდეგეების მხრიდან.

- რიკარდოს პოზიციას ჰქონდა თავისი ისტორიული ახსნა და გამართლება. მის თვალწინ იყო ეკონომიკა, სადაც სამრეწველო რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ერთი მხრივ, კაპიტალის სტრუქტურასა და ბრუნვაში განსხვავება წარმოების სხვადასხვა დარგში მთლიანად არ იყო გამოვლენილი. მეორე მხრივ, არ იყო კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის საკმაო თავისუფლება. ამ პროცესებს აბრკოლებდა ფეოდალიზმის ძლიერი ელემენტები, საერთოეროვნული ბაზრის განუვითარებლობა და სხვა ფაქტორები. მოგების საშუალო ნორმის ჩამოყალიბება დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. რიკარდო თავისი ნაშრომის მრავალ ადგილას არსებითად მოგების გასაშუალების ტენდენციას გულისხმობს, მაგრამ მოგების საშუალო ნორმა აშკარა სახით არ შეაქვს თავის ანალიზში.

ნამცხვრის გაყოფა

რიკარდოს არსებითად მათემატიკური აზროვნება ჰქონდა. ის დრო, როცა ეკონომიკამ და მათემატიკამ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, ჯერ კიდევ შორს იყო და ამიტომ მის შრომებში არ არის ფორმულები და განტოლებები. მაგრამ მისი აზროვნების ხერხი და გადმოცემა მანერა გვაკონებენ მათემატიკურ დამტკიცებათა სიზუსტეს. რიკარდოს ჰქონდა განსაკუთრებული ნიჭი, რთულ ეკონომიკურ კომპლექსში ეამოეყო მარტივი ელემენტები და პრინციპები და განევითარებინა ისინი ლოგიკურ დაბოლოებამდე, ყველაფრისაგან, რაც მას მიაჩნდა არაძირითადად, არაგადამწყვეტად. აბსტრაჰირებით, მისი აზროვნების სიზუსტე და ლოგიკურობა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მის თანამედროვეებზე.

ფრანგი კურნო, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების პიონერი, ჯერ კიდევ 1838 წ. აღნიშნავდა რიკარდოს აზროვნების ამ თავისებურებას და ამასთან ერთად არც თუ უსაფუძვლოდ მიუთითებდა რიკარდოს ვეებერთელა რიცხობრივი მაგალითებიანი „მათემატიკურ" სისუსტეზე: „არსებობენ ავტორები, როგორც სმიტი და სეი, რომლებმაც პოლიტიკური ეკონომიის შესახებ თავის თხზულებებში წმინდა ლიტერატურული სტილის მთელი სილამაზე შეინარჩუნეს. მაგრამ არ-

სებობენ სხვანიც, როგორიც რიკარდოა, რომლებიც მსჯელობენ ყველაზე უფრო აბსტრაქტულ საკითხებზე, ან ისწრაფვიან უდიდესი სიზუსტისაკენ, ვერ აუარეს გვერდი ალგებრას და მხოლოდ ჩქმალავენ დამტახჯველი მოცულობის არითმეტიკული გაანგარიშებებით".[1]

მაგრამ მის მათემატიკურ მიდგომას თავისი მანკიერება ჰქონდა. განაწილებაში, ისევე როგორც ღირებულებაში, რიკარდო უპირველეს ყოვლისა რაოდენობრივ მხარეს ხედავდა. მას აინტერესებდა წილი და პროპორციები და ნაკლებად აინტერესებდა თვით განაწილების ბუნება, მისი კავშირი საზოგადოების წყობასა და განვითარებასთან.

რიკარდო ძირითადად სმიტის შეხედულებებს ავითარებდა ხელფასის, მოგების და რენტის, როგორც საზოგადოების სამი მთავარი კლასის პირველადი შემოსავლების, შესახებ. ხელფასის განსაზღვრა როგორც მუშისა და მისი ოჯახის საარსებო საშუალებაა ღირებულებისა, რიკარდომ წინამორბედებისაგან შეითვისა. მას ეგონა, რომ აუმჯობესებდა ამ თეორიას, როცა მას საფუძვლად მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია მიუყენა: მან გადმოიღო მისი ძირითადი პრინციპები, რაც, ალბათ, მალთუსთან მისი თანხმობის ერთადერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. რიკარდო ეყრდნობოდა მალთუსს, და თვლიდა, რომ ხელფასი ფიზიკური მინიმუმის მკაცრ საზღვრებში ჩერდება არა კაპიტალიზმის სპეციფიკური კანონების ძალით, არამედ ბუნებრივი საყოველთაო კანონის ძალით: როგორც კი საშუალო ხელფასი მცირეთი გადააჭარბებს საარსებო საშუალებათა მინიმუმს, მუშები აჩენენ და ზრდიან მეტ ბავშვს, შრომის ბაზარზე კონკურენცია იზრდება, ხოლო ხელფასი კვლავ მცირდება.

მალთუსისა და რიკარდოს შეხედულებანი საფუძვლად დაედო ეგრეთ წოდებულ „ხელფასის რკინის კანონს", რომელიც მოგვიანებით ფერდინანდ ლასალმა და სხვა წვრილბურჟუაზიულმა სოციალისტებმა წამოაყენეს. ამ კანონს მივყავართ თავისი ეკონომიკური ინტერესებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის უსარგებლობის იდეამდე, რამდენადაც ხელფასი თითქოს ფორმალურადაა დაკავშირებული საარსებო საშუალებათა ფიზიკურ მინიმუმთან. მართალია, დასავლეთში მარქსს ხშირად ადანაშაულებდნენ და ადანაშაულებენ „რკინის კანონისადმი" ერთგულებაში, სინამდვილეში მარქსიზმისათვის უცხოა ასეთი რამის წარმოდგენა.

• რიკარდოს თეორია მნიშვნელოვანი ზომით სტატიკური იყო. იგი აღნიშნავდა და ადიდებდა კიდეც შრომის ნაყოფიერების ზრდას, მაგრამ ამასთან ერთად ვერ შენიშნა, რომ ამ პროცესის მსვლელობასთან ერთად იცვლება თვით მუშათა კლასი. კერძოდ, ფართოვდება მუშათა მოთხოვნილების ნორმალური, საზოგადოებრივად აუცილებელი

---

[1] A. A. Cournot. Recherches sur les principes mathematiques de la thèorie des richesses. P., 1838, p. IX.

ძოთხოვნილების წრე და მასთან ერთად იზრდება მუშათა კლასის ორგანიზებულობა და ერთსულოვნება, თავისი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის მისი ბრძოლის უნარი.

"საზოგადოებაში ეროვნული შემოსავლის განაწილება რიკარდოს წარმოედგინა როგორც ნამცხვრის გაყოფა, რომლის სიდიდე საერთოდ უცვლელი რჩება. მისგან თავის მცირე წილს ღებულობენ მუშები. დარჩენილი მთლიანად ხვდება კაპიტალისტებს, რომლებიც იძულებულნი არიან, ის გაუნაწილონ მიწათმფლობელებს, თანაც უკანასკნელთა წილი განუხრელად იზრდება.

იმ აზრს, რომ რენტა (ასევე სარგებელი, რომელსაც მრეწველი უხდის ფულის გამსესხებელ კაპიტალისტს) წარმოადგენს მხოლოდ მოგების ნაწილს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით მოგებას აღიარებდნენ როგორც შემოსავლის პირველად, ძირითად ფორმას, რომლის საფუძველს წარმოადგენდა კაპიტალი, ე. ი. არსებითად როგორც ზედმეტი ღირებულება.

ეროვნული შემოსავლის წარმომქმნელი თითოეული საქონლისა და ყველა საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის ობიექტური დანახარჯებით. ეს ღირებულება იშლება ხელფასად და მოგებად (რენტის ჩათვლით). აქედან რიკარდოს გამოყავდა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ინტერესების პრინციპული დაპირისპირება. ძრავალჯერ წერდა იგი, რომ ხელფასი და მოგება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ უკუდამოკიდებულებით: თუ ხელფასი იზრდება, მაშინ მოგება ეცემა, და პირიქით. ამის გამო კაპიტალიზმის თავგამოდებულმა აპოლოგეტმა — ამერიკელმა კერიმ რიკარდოს თეორიას უწოდა კლასებს შორის განხეთქილებისა და მტრობის სისტემა.

მაგრამ რიკარდოს კვლავ მხოლოდ პროპორციები, საქმის რაოდენობრივი მხარე აინტერესებდა. ბუნება, გენეზისი და პერსპექტივები იმ ურთიერთობებისა, რომლებიც ხელფასსა და მოგებას შორის წარმოშობენ დაპირისპირებულობას, მას არ აინტერესებდა. ამიტომაც მას არ შეეძლო აეხსნა „ზედმეტი ღირებულების საიდუმლოება", თუმცა ძხოლოდ მიუახლოვდა მას, რადგან იცოდა, რომ კაპიტალისტი მუშას ართმევს მისი შრომით შექმნილი ღირებულების ნაწილს.

მიწის რენტის ბუნებისა და სიდიდის ანალიზი რიკარდოს ერთ-ერთი ბრწყინვალე მეცნიერული მიღწევა იყო. თავის წინამორბედებთან შედარებით მან სმიტის თეორია შრომითი ღირებულების თეორიის მყარ საფუძველზე ააგო. მან ახსნა, რომ რენტის წყაროს ბუნების რაღაც განსაკუთრებული გულუხვობა კი არა, მიწაზე დახარჯული შრომა წარმოადგენს. რადგან მიწის რესურსები განსაზღვრულია, ამიტომ მუშავდება მიწის არა მხოლოდ კარგი, არამედ საშუალო და ცუდი ნაკვეთებიც. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება განისაზღვრება შრომის დანახარჯებით მიწის შედარებით ცუდ ნაკვეთებზე.

რიკარდოს გაგებით, ცუდი არსებითად ის ნაკვეთებია, რომელზეც კაპიტალისა და შრომის დანახარჯები მეწარმისათვის უზრუნველყოფენ მხოლოდ საშუალო მოგებას და არა მეტს. თუ ასეთ ნაკვეთებს არ მოაქვთ საშუალო მოგება მაინც, მაშინ მათ არ დაამუშავებენ. თანამედროვე დაძკვიდრებული ტერმინოლოგიით ეს არის ზღვრული ნაკვეთი, კაპიტალის ზღვრული დაბანდება. ყველა ნაკვეთი, რომელიც ზღვრულზე უკეთესია ნაყოფიერებით თუ ადგილმდებარეობით, საშუალოზე მეტ მოგების ნორმას იძლევა, ამასთან ამ ნამეტობის სიდიდე განსხვავებულია. მაგრამ ფერმერებს, რომლებიც ასეთ მიწებს იჯარით იღებენ, არა აქვთ ეკონომიკური საფუძველი — პრეტენზია განაცხადონ მაღალი მოგების ნორმაზე: თუ მიწათმფლობელი დარწმუნდება, რომ მის რომელიღაც ნაკვეთზე მოიჯარე განსაკუთრებით მაღალ მოგებას ღებულობს, იგი შეეცდება იჯარის შეწყვეტას და ახალი მოიჯარის პოვნას, რომელიც საშუალო მოგებით დაკმაყოფილდება, ამიტომ მიწათმფლობელს რჩება საშუალოზე ზევით მთელი მოგება რენტის სახით, რომლის რაოდენობა მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვითაა დიფერენცირებული.

რიკარდოს მიაჩნდა, რომ ყველაზე უცუდეს მიწებს არ მოაქვთ რენტა. მარქსმა გვიჩვენა, რომ ეს არაა სწორი: მიწაზე კერძო საკუთრების პირობებში მიწათმფლობელი უსასყიდლო იჯარით არ მისცემს ყველაზე ცუდ ნაკვეთსაც კი. რიკარდოსეულ რენტას მარქსი დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ს (ე. ი. მიწის ბუნებრივ განსხვავებასთან დაკავშირებულს) უწოდებს, იმ განსაკუთრებულ კი, რიკარდოს მიერ შეუმჩნეველს, — ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რენტას. მან ასევე გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები იმგვარად ყალიბდება, რომ უცუდესი მიწის მოიჯარეს მაინც აქვს მოგების, რაღაც ნამეტი საშუალო ნორმის ზევით. ეს მას აძლევს შესაძლებლობას, გადაუხადოს მიწათმფლობელს აბსოლუტური რენტა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველა ეს კანონზომიერება მოქმედებს როგორც ტენდენცია და სრულიაღაც არ არის აუცილებელი შეეხოს ყოველ ცალკეულ მიწათმფლობელს და მოიჯარეს.

საით მიდის კაპიტალიზმი

ტრაგიზმს, რომელსაც რიკარდო კაპიტალისტურ წყობილებაში ხედავდა, ამ წყობილების მომავლით გამოწვეულ მის პესიმიზმს ჰქონდა ღრმა საფუძველი და სახავდა კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილ ტენდენციებს. მართალია, უსაქმურმა მიწათმფლობელებმა ვერ შთანთქეს ინგლისი. „დაგროვების უკმარისობის“ ავადმყოფობა, რომელიც ინგლისის კაპიტალიზმს რიკარდომ უწინასწარმეტყველა, არც ისეთი საშიში აღმოჩნდა. მუშათა კლასმა არ დაიწყო თავის პირქუშ მალთუ-

სიანურ-რიკარდოიანულ ბედთან შეგუება. კაპიტალისტური წყობილების ტრაგიზმი უფრო სხვაგვარი აღმოჩნდა, ვიდრე რიკარდო ფიქრობდა.

დიდი მოაზროვნე მაინც სავსებით მართალი იყო, როცა თვლიდა, რომ კაპიტალიზმს აქვს ტენდენცია, პროლეტარიატი იყოლიოს წარმოების დანამატის მდგომარეობაში და მუშათა ხელფასი მშიერ მინიმუმამდე დაიყვანოს. იგი მართალი იყო, აგრეთვე, იმაშიც, რომ ეშინოდა მსხვილი მიწათმოქმედების ეკონომიკურ პროგრესზე უარყოფითი გავლენისა. თუ ინგლისის გამოცდილება არა, ბევრი სხვა ქვეყნის გამოცდილება მაინც დღემდე ადასტურებს ამ საშიშროებას.

რიკარდოს პესიმიზმს ანელებდა სულ მცირე ორი მოსაზრება: პირველი, იგი ფიქრობდა, რომ ვაჭრობის თავისუფლებას, განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან ხორბლის შემოტანის თავისუფლებას, შეუძლია და უნდა არსებითად შეცვალოს კიდეც მდგომარეობა იმით, რომ შეაჩერებს რენტის ზრდას და მოგების დაცემას. მეორე, რიკარდო უსიტყვოდ აღიარებდა საერთო ჰარბწარმოებისა და ეკონომიკური კრიზისების შესაძლებლობის პრინციპს, რომელმაც მოგვიანებით მიიღო „სეის კანონის“ სახელწოდება. ყოველ შემთხვევაში, იგი ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმს ამ მხრივ საფრთხე არ ელის.

რიკარდო ამბობდა, რომ უსაზღვროა საზოგადოების მოთხოვნილება საქონელზე და მომსახურებაზე. თუ კაცობრიობის სტომაქს არ შეუძლია დაიტიოს საკვების გარკვეულ რაოდენობაზე მეტი, „მოწყობილობისა და მორთულობის“ სხვადასხვა ნივთებზე მოთხოვნილებას კი არა აქვს საზღვარი. ხომ არ ურევდა რიკარდო ერთმანეთში მოთხოვნილებას და გადახდისუნარიან მოთხოვნას? არა, ის არც ამდენად მიამიტი იყო და ესმოდა, რომ მოთხოვნილება, რომელიც არ არის განმტკიცებული ჯიბეში არსებული ფულით, ეკონომიკურად ცოტა რამეს ნიშნავს. მაგრამ, როგორც სეი, ასევე რიკარდოც ფიქრობდა, რომ თვითწარმოება, რომელიც შემოსავლებს წარმოშობს, ამავე საქონლებსა და მომსახურებაზე ავტომატურად ქმნის გადახდისუნარიან მოთხოვნას და ეს მოთხოვნა გარდუვლად უზრუნველყოფს ყველა საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას.

მას კაპიტალისტური მეურნეობა მიაჩნდა იდეალურად აწყობილ მექანიზმად, სადაც გასაღებასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე სწრაფად და მარტივად წყდება: ჰარბი რაოდენობით საქონლის მწარმოებლები დაუყოვნებლივ ღებულობენ ბაზრიდან შესაბამის გაფრთხილებას და გადაირთვებიან სხვა საქონლის წარმოებაზე. საერთო ჰარბწარმოების შეუძლებლობის შესახებ თეზისს რიკარდო ამგვარად გამოთქვამდა: „პროდუქტებს ყოველთვის პროდუქტებით ყიდულობენ ან სამსახურით; ფული მარტოოდენ საშუალებაა, რომლითაც გაცვლა-გამოცვლა სრულდება. რომელიმე ცალკეული საქონელი შეიძლება ძალ-

ზე ბლომად იყოს წარმოებული; იგი შეიძლება ისე ჭარბად მოიპოვებოდეს ბაზარზე, რომ არ ანაზღაურებდეს დახარჯულ კაპიტალს. მაგრამ ამას ადგილი ვერ ექნება ყველა საქონლის შესახებ".[1]

როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი მელანი, რომლითაც ეს სტრიქონები იწერებოდა, რომ ცხოვრებამ ვადაჭრით დაიწყო მათი უარყოფა: უკვე 1825 წ. ინგლისში ჭარბწარმოების პირველმა კრიზისმა იქუხა. შეიძლება რიკარდოს, თავისი მეცნიერული მიუკერძოებლობით და თვითკრიტიკით, გადაესინჯა კიდეც თავისი შეხედულებანი შემდგომში, მაგრამ ის უკვე აღარ იყო ცოცხალი.

"ამრიგად, რიკარდოს შრომებში უსრულესი ასახვა პოვა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის (კლასიკური სკოლა) სისტემამ. შევეცდებით გადმოვცეთ მისი ძირითადი ნიშნები:

1. კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელი იყო მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდის გამოყენებით ჩასწვდომოდა ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სიღრმეს. იგი ამ პროცესებს დიდი ობიექტურობით, მიუკერძოებლობით აანალიზებდა. ეს შესაძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც სამრეწველო ბურჟუაზია, რომლის ინტერესებსაც საბოლოო ანგარიშით კლასიკური სკოლა გამოხატავდა. იმ დროისათვის პროგრესული ძალა იყო, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბრძოლა კი ჯერ კიდევ განუვითარებელი ფორმით არსებობდა;

2. კლასიკური სკოლის მოძღვრებას საფუძვლად ედო შრომითი ღირებულების თეორია, მასზე შენდებოდა პოლიტიკური ეკონომიის მთელი შენობა. მაგრამ კლასიკური სკოლა უძლური აღმოჩნდა აეხსნა კაპიტალიზმის კანონები შრომითი ღირებულების თეორიიდან, გამომდინარე ისეთი ფორმით, როგორითაც ეს თეორია განავითარეს მისმა წარმომადგენლებმა. კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელი იყო წარმოდგენა კაპიტალიზმზე, როგორც ერთადერთ შესაძლებელ, მუდმივ და ბუნებრივ საზოგადოებრივ წყობილებაზე;

3. კლასიკური სკოლა წარმოებისა და განაწილების პრობლემებს იხილავდა ძირითადი კლასების მდგომარეობის თვალთახედვით. ამან შესაძლებლობა მისცა მას, ახლოს მისულიყო იმ დასკვნასთან, რომ კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების შემოსავლების წყაროს მუშათა კლასის ექსპლოატაცია წარმოადგენს. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ბუნების ახსნა მან ვერ შეძლო, რადგან არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა სამუშაო ძალაზე როგორც საქონლის სპეციფიკაციაზე.

4. კლასიკური სკოლის წარმოდგენა საზოგადოებრივი კაპიტალის კეთილდღეობის შესახებ ემყარებოდა ეკონომიკურ სისტემაში ბუნებრივ წონასწორობას. ეს დაკავშირებული იყო რწმენასთან, რომ

---

[1] დავიდ რ ი კ ა რ დ ო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. 241.

არსებობენ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სტიქიური ეკონომიკური კანონები. მაგრამ კაპიტალისტური ეკონომიკის თვითრეგულირების კონცეფცია აგრეთვე მის წინააღმდეგობებსაც ჩიღბავდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლასიკოსების მიერ საყოველთაო ჭარბწარმოებისა და კრიზისების შესაძლებლობის უარყოფას;

5. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მხარს უჭერდა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მაქსიმალურ შეზღუდვას, ვაჭრობის თავისუფლებას. მასში ეკონომიკური ლიბერალიზმი დიდ ნაწილში პოლიტიკურ ლიბერალიზმთან, ბურჟუაზიული დემოკრატიის ქადაგებასთან იყო შეხამებული.

პარლამენტის წევრი

„პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ სრულიადაც არ იყო ბესტსელერი. ეს იყო წიგნი ეკონომისტებისათვის და არა ფართო საზოგადოებისათვის. მაგრამ მისი გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ მაკ-კულოხმა გამოსცა დიდად სახოტბო რეცენზია, სადაც შეეცადა, რიკარდოს იდეები უფრო პოპულარული ფორმით გადმოეცა და გამოყო მასში გამოთქმები ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხების შესახებ. მალთუსი უკვე წერდა საკუთარ „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებს“, სადაც თეორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ეკამათებოდა რიკარდოს.

იმავე 1819 წ., როცა მეორე გამოცემა გამოვიდა, რიკარდომ საბოლოოდ დატოვა ბიზნესის სფერო და უარი თქვა ბირჟის წევრობაზე. მის ქონებას ამ დროს წარმოადგენდა მიწები, უძრავი ქონება და საიმედო, სპეკულაციური ქაღალდები. რიკარდოს შვილები იზრდებოდნენ როგორც მდიდარი მიწათმფლობელის, ინგლისელი ჯენტლმენის მემკვიდრენ

პარლამენტური მოღვაწეობა მეტად ბუნებრივი იყო რიკარდოს მდგომარეობისა და მიდრეკილების ადამიანისათვის. მეგობრები მას ამ სარბიელზე ურჩევდნენ მოღვაწეობის დაწყებას. თემთა პალატაში მოსახვედრად მას მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა — რომელიმე გაღარიბებული ლენდლორდისაგან, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანთაგანი „დამპალი ადგილის“ პატრონისაგან, ეყიდა პარლამენტის სავარძელი. მან ასეც გააკეთა. მიყრუებული ირლანდიის მივარდნილი პროვინციიდან არჩეული რიკარდო არასოდეს არ ყოფილა იქ და თვალით არ უნახავს თავისი ამომრჩევლები, რაც იმ დროის სულისკვეთებას სავსებით შეესაბამებოდა.

პარლამენტში მან მხოლოდ ორი წელი დაყო, მაგრამ იგი მეტად თვალსაჩინო როლს ასრულებდა იქ. რიკარდო ფორმალურად არ ეკუ-

-თვნოდა არც ტორების მმართველ პარტიას და არც ვიგების ოპოზიციას. უკანასკნელი მისთვის უფრო ახლოს იყო და მემარცხენეებსა და ოპოზიციის რადიკალურ წრეებში იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ პალატაში მას დამოუკიდებელი პოზიცია ეკავა და ხშირად აძლევდა ხმას ვიგების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რიკარდოს პარლამენტურ მოღვაწეობაში ეკონომიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. იგი განაგრძობდა ბრძოლას პურის კანონების წინააღმდეგ, თავისუფალი ვაჭრობისათვის, სახელმწიფო ვალის შემცირების, საბანკო საქმისა და ფულის მიმოქცევის გაუმჯობესებისათვის. მის სიტყვებს შორის ჩვენ ვპოულობთ გამოსვლებსაც პრესის თავისუფლებისათვის, კრებების უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ. ადამ სმიტის მსგავსად რიკარდოც პოლიტიკაში მაქსიმალურად სრული ბურჟუაზიული დემოკრატიის მომხრე იყო.

მას ჰქონდა რამდენადმე მკვეთრი, მაღალი ხმა უჩვეულოდ გამოკვეთილი დიქციით. ერთნი მის ხმას სასიამოვნოდ თვლიდნენ, მეორენი არასასიამოვნოდ. მაგრამ ყველა მოწმე იმ აზრისაა, რომ, როცა რიკარდო ლაპარაკობდა, პალატა ყურადღებით უსმენდა. რიკარდო არ იყო ბრწყინვალე ორატორი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მაგრამ მისი თხზულებებისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პრობლემების სოციალურ არსში ჩაწვდომის მისწრაფება, ზუსტი ლოგიკურობა და გერგილიანობა რიკარდოს მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვებისათვისაც იყო დამახასიათებელი.

სესიის განმავლობაში რიკარდოს პარლამენტი თითქმის მთელ დროს ართმევდა. ამ თვეებში იგი ლონდონში ცხოვრობდა. იგი დილიდანვე სახლში კითხულობდა დოკუმენტებს, წერდა წერილებს, ადგენდა გამოსვლის გეგმებს, ღებულობდა მოთხოვნებს. და ზოგჯერ ვესტმინსტერში კომიტეტის სხდომებზე მიენგზავრებოდა. დღის მეორე ნახევარში იმართებოდა პალატის სხდომები, და მისი ერთ-ერთი ყველაზე აკურატული წევრი იყო რიკარდო. 1819—1823 წწ. მისი თითქმის ყველა ნაშრომი დაკავშირებული იყო პარლამენტში მოღვაწეობასთან. მათგან უმთავრესნი მიძღვნილია პურის კანონებისა და სახელმწიფო ვალისადმი.

მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში გეთკომბ-პარკში, რომელიც მას სულ უფრო მეტად მოსწონდა. იგი იქ წერდა პასუხებს მალთუსის წიგნზე, ამზადებდა „საფუძვლების“ მესამე გამოცემას, ფიქრობდა ღირებულების, მიწის რენტის, მანქანების გამოყენების ეკონომიკური შედეგების შესახებ. გრძელდებოდა ინტენსიური მიმოწერა მალთუსთან, მილთან, მაკ-კულოხთან, სეისთან. ამ წლებში რიკარდო მთელი ევროპის ეკონომიკური მეცნიერების ცენტრში იდგა. მის სახლში ეკონომისტების რეგულარულმა შეკრებებმა გამოიწვია 1821 წ. ლონდონის პოლიტიკური ეკონომიის კლუბის ჩამოყალი-

ბება, სადაც რიკარდო საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი იყო. იგი ამ ფუნქციას დიდი ტაქტით და მოკრძალებით ასრულებდა.

ადამიანური სახე

რიკარდო მოულოდნელად გარდაიცვალა თავის ტვინის ანთებით 1823 წ. სექტემბერს გეთკომბ-პარკში. იგი მხოლოდ 51 წლისა იყო.

როგორი ადამიანი იყო რიკარდო ცხოვრებაში?

მის გარეგნობას შემდეგნაირად აღწერდნენ: საშუალოზე დაბალი; ხმელ-ხმელი, მაგრამ კარგი ტანწყობისა და ძლიერ მოძრავი; ჭკვიანი, კეთილი და გულწრფელი გამომეტყველების სახე; მუქი, ყურადღებიანი და გამჭოლი თვალები; უბრალო და კეთილგანმწყობი მანერები. რაც ჩვენ ვიცით იმის მიხედვით, ეს იყო სიმპათიური და ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანი. მას ორგანულად არ შესწევდა მეგობრებთან ჩხუბის უნარი, თუმცა მეცნიერებისა და პოლიტიკის საკითხებში ის ხშირად მათ არ ეთანხმებოდა.

რიკარდოს ძლიერ ჰქონდა განვითარებული მეოჯახე ადამიანის და დიდი ოჯახის უფროსის თვისებები. არა მხოლოდ მისი შვილები, არამედ უმცროსი ძმები და დები და აგრეთვე ცოლის ნათესავები მასში ხედავდნენ უფროს, ბრძენ და სამართლიან ადამიანს.

რიკარდო ღრმად განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ ცოდნისა და ინტერესების მოცულობით ის ადამ სმიტის გონებას ბევრად ჩამორჩებოდა. მისი ინტერესების სფერო ნაკლებად მოიცავდა ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას და ისტორიასაც კი. ძნელია, ამას რიკარდოს ნაკლი ვუწოდოთ. მისი ისტორიული მისიის შესრულება მეცნიერებაში მოითხოვდა ერთ დარგში უდიდეს ინტელექტუალურ კონცენტრაციას. მას რომ მიზნად ჰქონოდა ყოვლისმცოდნედ გახდომა, ალბათ ვერ შეძლებდა იმას, რაც პოლიტიკურ ეკონომიაში მოკლე ხნის მანძილზე გააკეთა.

დავიდ რიკარდოს მიერ მსოფლიოს მის ნაირსახეობაში აღქმის შესახებ ჩვენ ყველაზე უკეთ შეგვიძლია ვიმსჯელოთ „ჟურნალის" მიხედვით, რომელსაც იგი ნათესავებთან ანგარიშ-წერილების სახით აწარმოებდა 1822 წ. საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს. ეს მისი წერილების ერთადერთი დიდი სერიაა, სადაც პოლიტიკური ეკონომია მთავარ თემას არ წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ეს „ჟურნალი" კარგად აღიზარდავს საკმაოდ ჩვეულებრივ ადამიანს საშუალო ინგლისელი ჯენტლმენის აღქმითა და შეხედულებებით, მრავალწლიანი ომის დამთავრების შემდეგ მრავალჯერ რომ ისწრაფოდა კონტინენტისაკენ. „ჟურნალში" ჭარბადაა საყოფაცხოვრებო წვრილმანი, უწყინარი იუმორი, ნაცნობი დაკვირვებულობა, მაგრამ მეტი არაფერი. რიკარდო კეთილსინდისიერად ათვალიერებს ტაძრებს, მუზეუმებს და სასახლეებს, მაგ-

რამ ეს მხოლოდ სავალდებულო პროგრამის შემსრულებელი ტურისტის შეხედულებებია. ყველაფერი, რასაც ის ნახულობს, არ იწვევს მასში არც ძლიერ ესთეტიკურ შეგრძნებებს, არც ისტორიულ და კულტურულ ასოციაციებს, არც ღრმა ფიქრებს. ეკონომისტის თვალსაზრისითაც კი დაკვირვება შეიძლება უფრო მღიდარი და საინტერესო ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ეს საოჯახო დოკუმენტია, რომელიც სრულიადაც არ იყო გამიზნული პუბლიკაციისათვის და რომლის ავტორს არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა, გარდა იმისა, ნათესავებისათვის კეთილსინდისიერი ინფორმაცია მიეწოდებინა. მაგრამ დოკუმენტი, რომელიც წიგნური ტექსტის თითქმის 200 გვერდს მოიცავს, გვიხატავს წიგნის ავტორს, იმის მიუხედავადაც, რაზე ან ვისზე წერდა იგი.

რიკარდო და მარქსი

1871 წ. რუსმა მეცნიერმა ნ. ი. ზიბერმა გამოაქვეყნა კიევის უნივერსიტეტში დაცული თავისი სამაგისტრო დისერტაცია სათაურით: „ფასეულობისა და კაპიტალის რიკარდოს თეორია უგვიანეს დამატებებთან და განმარტებებთან კავშირში". ეს შრომა არსებითად პირველი სერიოზული და თანამგრძნობი რეაქცია იყო რუსეთში გამოცემული „კაპიტალის" პირველ ტომზე ოთხი წლით ადრე.

მარქსი კარგად იცნობდა მას და „კაპიტალის" მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში 1873 წ. წერდა: „...ბ—ნმა ნ. ზიბერმა, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორმა კიევის უნივერსიტეტში, თავის შრომაში — „Теория ценности и капитала Д. Рикардо" — ნათელყო, რომ ჩემი თეორია ღირებულების, ფულის და კაპიტალის შესახებ არსებითად სმიტისა და რიკარდოს მოძღვრების აუცილებელი შემდეგომი განვითარებაა".[1]

ზიბერმა ხელი ჩასჭიდა და ნიჭიერად ახსნა მარქსის მოძღვრების მნიშვნელოვანი თვისება: იგი უფრო ადრე შექმნილი ყველაზე ღრმა და მოწინავე ეკონომიკური თეორიის საფუძველზე აღმოცენდა. თავისი წიგნის მეორე გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა 1885 წ. ზიბერი რიკარდოსა და მარქსის სახელებს სათაურშიც კი აკავშირებდა: „დავიდ რიკარდო და კარლ მარქსი მათს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გამოკვლევებში". ზიბერი არ ღებულობდა მარქსის რევოლუციურ დიალექტიკას და ბევრად უარესად ხედავდა საქმის მეორე მხარეს: მარქსის პრინციპულ განსხვავებას რიკარდოსა და სმიტისაგან.

მარქსის მიერ რიკარდოს თეორიის კრიტიკა თავისთავად კეთილსინდისიერებისა და კონსტრუქციულობის განსაცვიფრებელ ნიმუშს წარ-

---

1 მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I. თბ., 1954, გვ. 19.

მოადგენს. რიკარდოსადმია მიძღვნილი „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ვრცელი ტექსტის თითქმის მესამედი. მარქსი თავის კრიტიკაში მრავალჯერ იყენებს ასეთ ხერხს: იგი გვიჩვენებს, როგორ უნდა ემსჯელა რიკარდოს, თუ იგი თანამიმდევრულად განავითარებდა თავის სწორ ამოსავალ წანამძღვრებს. მარქსი ხსნის კლასიკური სკოლის ობიექტურ, ისტორიულად განპირობებულ შეზღუდულობას.

რიკარდო იყო გენია, მაგრამ არც ერთ გენიას არ ძალუძს ეპოქისა და კლასის მიერ დადგენილი საზღვრების გადალახვა. მარქსი იმიტომ კი არ აკრიტიკებს რიკარდოს, რომ იგი ბურჟუაზიული ეკონომისტი იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი მეცნიერული კონცეფცია, რომელიც ბურჟუაზიულის გარდა სხვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო, არათანამიმდევრულია.

რა გააკეთა მარქსმა სმიტის და რიკარდოს მოძღვრების საფუძველზე?

მარქსმა შრომითი ღირებულების თეორია ღრმა და ლოგიკურად მწყობრ სისტემად აქცია, რომლის საფუძველზე ააგო პრინციპულად ახალი პოლიტიკური ეკონომიის მთელი შენობა. მან შრომითი ღირებულების თეორია გაათავისუფლა წინააღმდეგობებისა და გამოუვალი მდგომარეობიდან, რაც რიკარდოს აწვალებდა. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქონელში განივთებული შრომის ორადი ხასიათის — აბსტრაქტული და კონკრეტული შრომის ანალიზს. შრომითი ღირებულების თეორიიდან გამომდინარე, მარქსმა შექმნა აგრეთვე ფულის თეორია, რომელიც ხსნიდა ლითონისა და ქაღალდის ფულის მიმოქცევის მოვლენებს.

მარქსმა სამუშაო ძალის როგორც საქონლის ბუნების ახსნით გამოაელინა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ისტორიული პირობები და შეძლო თავისი ზედმეტი ღირებულების თეორიის აგება შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე და მასთან სრული შესატყვისობით. პირველად იყო მეცნიერულად ახსნილი, თუ კაპიტალსა და შრომას შორის „სამართლიანი“, ეკვივალენტური გაცვლის ფარგლებში როგორ ხორციელდება სინამდვილეში მუშათა კლასის ექსპლოატაცია.

მარქსთან ზედმეტი ღირებულება კაპიტალის მიერ აუნაზღაურებელი შრომისა და მისი პროდუქტის მითვისების საყოველთაო ფორმად იქცა. ამ იდეის ჩანასახები, რომელნიც რიკარდოს ჰქონდა, ყოველმხრივ განვითარდა და ერთიან სისტემაში იქნა მოყვანილი. შრომითი შემოსავლების კონკრეტულმა ფორმებმა — მოგებამ, რენტამ და სასესხო სარგებელმა—ამ სისტემაში თავისი ადგილები დაიკავეს. განაწილების პრობლემის კლასობრივი ხასიათი დიდი ძალით და რელიეფურად გამოვლინდა.

საშუალო მოგებისა და წარმოების ფასის თეორიით მარქსმა, როგორც უკვე ითქვა, გადაჭრა რიკარდოს „საბედისწერო“ შეცდომა. მაგ-

რამ ეს კიდევ ცოტაა—ამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობის დასკვნა გაკეთა: მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კაპიტალისტი უშუალოდ „თავის“ მუშას უწევს ექსპლოატაციას, ყველა კაპიტალისტი მაინც მიღებულ ზედმეტ ღირებულებას თითქოს ერთ ქვაბში დებს და იყოფენ მას კაპიტალის მიხედვით. ეკონომიკურად კაპიტალისტების მთელი კლასი როგორც ერთიანი, მთლიან მუშათა კლასს უპირისპირდება.

მარქსმა გამოიყენა მიწის რენტის შესახებ რიკარდოს მოძღვრების მეცნიერული ელემენტები და შექმნა ღრმა კონცეფცია, რომელმაც ახსნა რენტა როგორც მიწათმფლობელების შემოსავალი და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებანი.

მარქსმა უარყო რიკარდოსა და სეის შეხედულება საერთო ჭარბწარმოების და კრიზისების შეუძლებლობის შესახებ. მან პირველმა დაამუშავა კვლავწარმოების თეორიის საფუძვლები და უჩვენა კაპიტალისტურ ეკონომიკაში პერიოდული კრიზისების გარდუვალობა.

რიკარდოს სოციალურმა პესიმიზმმა, რომელიც მას ნაწილობრივ მალთუსისაგან გადაედო, ადგილი დაუთმო მარქსის მიერ აღმოჩენილი კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონს, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს მთელი მისი მოძღვრებიდან. მარქსმა გვიჩვენა, როგორც კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების კიდევ არსებული შესაძლებლობანი, ასევე მისი სოციალიზმით შეცვლის აუცილებლობაც.

პოლიტიკურ ეკონომიაში რიკარდო კლასიკოსია, ისევე როგორც მისი თანამედროვე ჰეგელი ფილოსოფიაში. რიკარდოს შრომების ცოდნის გარეშე ისევე ძნელია მარქსის გაგება, როგორც ჰეგელის ცოდნის გარეშე.

ჩვენს დროში რიკარდო არ არის მხოლოდ ისტორიის კუთვნილება. მისი ზოგიერთი დებულება მნიშვნელობას ინარჩუნებს ეკონომიკური ძეცხიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საუკუნე-ნახევრის მანძილზე ძლიერ შეიცვალა.

მეთოთხმეტე თავი

რიკარდოსთან და მის შემდეგ

რიკარდოს ნაშრომებში მოხაზულ იქნა პოლიტიკური ეკონომიის საგანი (ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი მატერიალური დოვლათის წარმოებასთან კავშირში) და დამუშავებულ იქნა მისი მეთოდი (მეცნიერული აბსტრაქცია). თითქოსდა მან გარკვეული ზომით შეიძინა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ხიშნები. გეომეტრიის მსგავსად იგი ახლა ემყარებოდა ფუძემდებლური პოსტულატების სისტემას და მისგან გამომდინარე თეორემებს. მაგრამ პოლიტიკური ეკონომია, გეომეტრიისაგან განსხვავებით, კლასობრივი მეცნიერებაა. როგორიც არ უნდა იყოს მეცნიერის სუბიექტური განსაზღვრა, მისი იდეები ყოველთვის მეტ-ნაკლებად უშუალოდ განსაზღვრული კლასის ინტერესებს ემსახურება. რიკარდოს მოძღვრება აშკარად და გაბედულად ბურჟუაზიული იყო, მაგრამ სწორედ ეს სიაშკარავე და გაბედულება ბურჟუაზიას აღარ აწყობდა მაშინ, როცა იხგლისში კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა: 30—40-იან წლებში ჩარტიზმის პერიოდში იგი მთელი საზოვადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი გახდა.

ამ ახალ პირობებში რიკარდოს მიმდევრებმა, რომლებსაც საუკუნის შუა ხანებამდე და უფრო გვიანაც ინგლისურ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში წამყვანი ადგილი ეკავათ, დაიწყეს მისი მოძღვრების ყველაზე გაბედული და რადიკალური მხარეების უარყოფა, ამ მოძღვრების შეგუება ბურჟუაზიის ინტერესებთან. ისინი ეწეოდნენ რიკარდოს ან ძარტივ კომენტირებას, ან შეჰქონდათ მასში აპოლოგეტური სულისკვეთების შესწორებანი.

1851 წ. ძარქსი ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ახალი ინგლისური ეკონომიკური ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად ენგელსს სწერდა: „არსებითად ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს დროიდან ამ მეცნიერებას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ, მიუხედავად ცალკეული, ზოგჯერ უაღრესად მახვილგონიერი გამოკვლევების მიღწევებისა“[1].

---

[1] კ. ძარქსი, ფ. ენგელსი, წერილები კაპიტალის შესახებ, თბ., 1952, გვ. 37.

სპეციალური ეკონომიკური გამოკვლევების სიუხვე ასახავდა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას და მეურნეობის ცალკეული მხარეების შესწავლის ობიექტურ აუცილებლობას. ეკონომიკური მეცხიერების ჩანასახი ხორცს ისხამდა. განვითარების დიდი გზა გაიარა სტატისტიკამ, კერძოდ წარმატებით მუშავდებოდა ინდექსების მეთოდი. აღწერდნენ და აანალიზებდნენ მრეწველობის ცალკეული დარგების ზრდას. მიმდინარეობდა კონკრეტული გამოკვლევები აგრარული ეკონომიკის, ფასების მოძრაობის, ფულის მიმოქცევის, საბანკო საქმის დარგებში. შეიქმნა ფართო ლიტერატურა მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ. საუკუნის შუა ხანებში პოლიტიკურმა ეკონომიამ უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში უკვე მყარი ადგილი დაიკავა.

ეს ყოველივე ეხება ბურჟუაზიულ, ოფიციალურ მეცნიერებას. მაგრამ ამასთან ერთად 20—40-იან წლებში ინგლისში აქტიურად გამოდიოდნენ მწერლები, რომელთაც მარქსმა უწოდა პოლიტეკონომიის პროლეტარული მოწინააღმდეგენი. რიკარდოს მოძღვრებიდან ისინი იმ ელემენტებს იღებდნენ, რომელთა მობრუნება ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეიძლებოდა.

XIX ს-ის 20—40-იანი წლების ინგლისურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მარქსის ეკონომიკური მოძღვრების განვითარებაში. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ამ ეპოქის ინგლისელი ეკონომისტების შეხედულებების კრიტიკული ანალიზისადმი. მარქსის მოძღვრება იქედებოდა ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზატორებთან ბრძოლაში, რომელთა შორის, ერთი მხრივ, თვალსაჩინო ადგილი ეკავათ რიკარდოს აშკარა მოწინააღმდეგეებს მალთუსის მეთაურობით, მეორე მხრივ — რიკარდოს „მიმდევრებს“, რომლებმაც იგი აპოლოგეტური სულისკვეთებით დაამუშავეს. მარქსმა ზედმეტი ღირებულების თეორია შექმნა ინგლისური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ვულგარულ ელემენტებთან მწვავე და ღრმა მეცნიერული კრიტიკის მსვლელობაში. ამ კრიტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომითი ღირებულებისა და ფასწარმოქმნის თეორიის, მოგების თეორიის, კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის დასაბუთებაში.

XIX საუკუნე

ალექსანდრ ბლოკმა პოეტური აზროვნების სილრმითა და ხატოვანებით დასურათა ბურჟუაზიის ვამარჯვების საუკუნის ნიშნები.

მეცხრამეტე, რკინის საუკუნე,
ჭეშმარიტად მკაცრი საუკუნე!
შენთან ერთად ღამის უფაოსკვლავი წყვდიადში
უმწეოდ მიგდებული ადამიანი!

გონებამკვრეტი ცნებების ღამეს,
მატერიალური მცირე საქმეები,
უმწეო ჩივილი და წყევლა
უსისხლო სულისა და სუსტი სხეულის!
ქოლერის შემცველელად შენთან ერთად მოვიდნენ
ნევრასტენია, მოწყენილობა და სევდა.
საუკუნე კედლებზე შუბლების მსხვრევისა
ეკონომიკური დოქტრინების,
კონგრესების, ბანკების, ფედერაციის,
ადღეგრძელოების, ლამაზი სიტყვების,
საუკუნე აქციების, რენტის და ობლიგაციების,
და ნაკლებად ნამდვილი გონების...
საუკუნე ბურჟუაზიული სიმდიდრისა
(მზარდი უნილავი ბოროტებისა!)
თანასწორობისა და ძმობის ნიშნით
აქ მწიფდებოდა შავი საქმეები...[1].

რომანტიკული პროტესტი ამ ჩარჩული საუკუნის წინააღმდეგ ახალი არ არის. ბაირონი ინგლისელი მდიდრების შესახებ წერდა:

მათი ღმერთი, მათი მიზანი, მათი სიხარული უბედურ დღეებში,
მათი სიცოცხლე და სიკვდილი არის შემოსავალი, შემოსავალი, შემოსავალი.

„ბურჟუაზიული სიმდიდრის საუკუნე“ ცინიზმითა და პირფეროებით ისე არსად არ გამომჟღავნებულა, როგორც ინგლისში. საშინელი სიღარიბე გაუგონარი სიმდიდრის გვერდით. ფაქტობრივი უუფლებობა ბრიტანული თავისუფლებისა და კონსტიტუციის საბურვლით. აღმაშფოთებელი უმეცრება მეცნიერების სწრაფი განვითარების გვერდით. ასეთია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისი.

ფული იქცეოდა საზოგადოებაში ადამიანების გამაერთიანებელ ერთადერთ და ყოვლისმომცველ კავშირად. ამიერიდან ადამიანი ფასდებოდა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, აქვს თუ არა მას კაპიტალი და როგორია ამ კაპიტალის სიდიდე. ღარიბი, რომელიც ჯერ კიდევ 50—100 წლის წინათ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მამა-პაპათა მიწასთან, რომელსაც შეეძლო უკიდურეს შემთხვევაში თემის დახმარების იმედი ჰქონოდა, ზოგჯერ კი ლენდლორდის მფარველობისაც, აწ უკვე არაფრით არ იყო არაფერთან დაკავშირებული და არც არაფრის იმედი უნდა ჰქონოდა. იგი ახლა პროლეტარი იყო, რომლის ერთადერთი ქონება მუშა ხელები იყო, ხოლო არსებობის ერთადერთი წყარო — ამ ხელების მიყიდვა კაპიტალისტებისათვის.

პროლეტარიატისათვის ფაბრიკანტი კაპიტალის უსახო მჩაგვრელი ძალაა, პროლეტარი ფაბრიკანტისათვის — ცოცხალი მანქანაა, მოგების ამოქაჩვის იარაღია. მათი „ადამიანური ურთიერთობანი“ დაყვანილია ხელფასის ყოველკვირეულ გადახდამდე, უკიდურეს შემთხვევაში ქველმოქმედებამდე, საზიზღარ პირმოთნეობამდე, რომელიც ამ

[1] А. Блок. Сочинения в двух томах, т. I. М., ГИХЛ, 1955, стр. 484.

დროს შეიძლებოდა თითქმის ინგლისური ეროვნული ხასიათის თვისებად მიჩნეულიყო.

ფაბრიკანტები მოითხოვდნენ და მიაღწიეს მუშათა კლასის ექსპლოატაციის სრულ თავისუფლებას. „ანარქია პლუს კონსტებელი“, ასე უწოდა ამ სისტემას თომას კარლეილმა, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ ხახევარში ბურჟუაზიული წესრიგის მგზნებარე კრიტიკოსი იყო. იგი გულისხმობდა, რომ საბელმწიფო კაპიტალისტებს აძლევს ფულის კეთებისა და ერთმანეთს შორის მათი სურვილის შესაბამისი კონკურენციის სრულ თავისუფლებას, მაგრამ ამ „თავისუფლებისა“ და კერძო საკუთრების დაცვის ფუნქციას პოლიციის საშუალებით ახორციელებს.

იმავე კარლეილს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა პოლიტიკური ეკონომიის შესახებ: dismal science (პირქუში მეცნიერება). რა ჰქონდა მას მხედველობაში? პირველი, რიკარდოს პოლიტიკური ეკონომია, როგორც ვიცით, პირწმინდად იყო მოკლებული სანტიმენტალურობას. იგი არ ფარავდა მუშათა მძიმე მდგომარეობას, მაგრამ მას ბუნებრივად თვლიდა. მეორე, ამ მიმართულებით მალთუსთან მჭიდრო კავშირში, იგი უბედურების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა დასაბამიდანვე არსებულ გარღვევას მოსახლეობასა და ბუნებრივ რესურსებს შორის და ამიტომ პირქუშად უყურებდა მომავალს.

მაგრამ ინგლისელი სქელჯიბიანებისათვის პოლიტიკური ეკონომია სრულიადაც არ იყო პირქუში მეცნიერება. ისინი ფიქრობდნენ, რომ სმიტისა და რიკარდოს მიერ დაფუძნებული მეცნიერება მათ უნდა დაეხმაროს უფრო სწრაფი გამდიდრების ხერხების მოძებნაში. ამგვარად გაგებული პოლიტიკური ეკონომიის პოპულარობა იუმორისტულ ფორმებს ღებულობდა. მარია ეჯუორტი გვიამბობს, რომ 20-იან წლებში ლონდონის ქალთა საზოგადოებაში ძლიერ მოდური გასდა პოლიტიკური ეკონომიის თემებზე საუბარი. „დიდარი ადამიანები, როცა გუვერნიორს (აღმზრდელს) ქირაობდნენ, მათგან ზოგჯერ მოითხოვდნენ, რომ მათი ბავშვებისათვის ესწავლებინათ ეს მეცნიერება. ერთი გუვერნიორი, რომელსაც მიაჩნდა, რომ იგი სავსებით საკმარისადაა შეიარაღებული ფრანგულის, იტალიურის, მუსიკის, ხატვის, ცეკვების და ა. შ. ცოდნით და განცვიფრებული იყო ასეთი მოთხოვნით, ‘ძეყოყმანებულმა უპასუხა: „არა, ქალბატონო, მე არ შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკურ ეკონომიას ვასწავლი, მაგრამ თუ თქვენ ამას საჭიროდ თვლით, მე შეეცდები შევისწავლო იგი“. — „არა, ძვირფასო, თუ თქვენ მას არ ასწავლით, თქვენ მე არ გამომადგებით“.

ინგლისის ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა ისეთი ფილოსოფია, რომელიც პირდაპირ ებჯინებოდა „მეცნიერებას გამდიდრების შესახებ“. ასეთი ფილოსოფია გახდა უტილიტარიზმი ეთიკაში და პოზიტივიზმი გნოსეოლოგიაში (შემეცნების თეორია).

უტილიტარიზმის მამამთავარი იყო ჯერემი ბენტამი. ბენტამის უტილიტარიზმი (სარგებლიანობის ფილოსოფია, ლათინურიდან utilitas) ისტორიულად დაკავშირებულია ბუნებაზე და ადამიანის ქცევაზე შეხედულებებთან, რომელსაც ავითარებდნენ ჰელვეციუსი და სმიტი. თავისი ბუნებით ადამიანი ეგოისტია. ყოველგვარი გადაწყვეტილების არსი, მათ შორის ეკონომიკურისაც, ისაა, რომ იგი გონებაში უპირისპირებს ერთმანეთს მასთან დაკავშირებულ პლუსებს და მინუსებს (სიამოვნებას და ტანჯვას, სარგებელს და ზარალს), და ცდილობს პირველის მაქსიმალიზებას, მეორის — მინიმალიზებას. მას უმაღლესი მიღწევა მაშინ აქვს, როდესაც არჩევანი თავისუფალი და გონიერია. საზოგადოების, სახელმწიფოს, კანონმდებლობის ამოცანა მდგომარეობს ამისათვის შესაძლებელი ხელსაყრელი პირობების შექმნაში. საზოგადოება ინდივიდების მხოლოდ ჯამია. რაც მეტი იქნება თითოეულის სარგებლობა, სიამოვნება, ბედნიერება, მით მეტი იქნება საზოგადოებაში „ბედნიერების ერთობლიობა“. ბენტამმა გამოიყენა ყბადაღებული ლოზუნგი: „უდიდესი ბედნიერება უმეტესი რაოდენობის ადამიანებისათვის“. ამ ფილოსოფიიდან გამომდინარეობდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიერ მთლიანად შეთვისებული ინდივიდუალიზმის პრინციპი: კონკურენციულ ბრძოლაში თითოეული იბრძოდეს თავისი თავისათვის. კაპიტალისტს უნდა ჰქონდეს სამუშაო ძალის ყიდვის, მუშას — მისი გაყიდვის შესაძლებლობა. იგულისხმება, რომ ისინი ამ გარიგებას თავისი სარგებლობის ურთიერთმაქსიმალიზების პირობებში ახორციელებენ.

„ადამიანი-მთვლელის“ ეს იდეა რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მიიღო პოლიტიკური ეკონომიის სუბიექტურმა სკოლამ. მისთვის ხომ მთავარი ეკონომიკური პრობლემა — ეს ადამიანის მიერ სხვადასხვა საქონლის მოხმარებით მიღებული დაკმაყოფილების ხარისხის შედარებაა, ხელფასის სარგებლიანობის შეფარდებაა შრომის „ანტისარგებლიანობასთან“ (სიმძიმესთან) და ა. შ.

თავდაპირველად ბენტამის უტილიტარიზმი, საერთოდ, პროგრესული იყო, რადგან მან წამოჭრა ბურჟუაზიული თავისუფლების იდეა. მაგრამ, როცა ბენტამისტების მოკრძალებული იდეა ძირითადად განხორციელდა ცხოვრებაში და როცა, მეორე მხრივ, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, უტილიტარიზმს ფეხქვეშ ხიადაგი გამოეცალა და კაპიტალიზმის აპოლოგეტიკად იქცა.

პოზიტივიზმი (ლათინურიდან „Positivus“ — დადებითი) იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში ინგლისში. იგი დაკავშირებული იყო იმ ტრადიციებთან, რომლებიც იუმის აგნოსტიციზმიდან მომდინარეობდა. ამ წარმოდგენათა თანახმად მეცნიერების ამოცანა მხოლოდ ფაქტების

აღწერა და სისტემატიზაციაა, ამ ფაქტებიდან გამოსვლა უნაყოფო „მეტაფიზიკაა“. ეს შეგნებულად დაშვებული ბურჟუაზიული ანგარებიანი საუკუნის პროზაიკული ფილოსოფიაა. უდიდესი ფილოსოფოსი — პოზიტივისტი იყო ჯონ სტიუარტ მილი. პოზიტივიზმის ფილოსოფია თვით მილისა და მისი დროის (XIX ს-ის შუა წლები), ეკონომიკური თეორიის, და ასევე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარების საფუძველი გახდა.

მალთუსი და მალთუსიანელობა

მალთუსი ოდიოზური ფიგურაა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. 185 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“, მაგრამ ამ ავტორის იდეები და სახელი დღესაც მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური დისკუსიის ობიექტია. მალთუსიღან იღებს სათავეს მალთუსიანელობა — ხალხთმოსახლეობის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ყველა უბედურება ჭარბმოსახლეობას უნდა მიეწეროს, და საზოგადოებრივი წყობილება აქ არაფერ შუაშია. ამჟამად მალთუსიანელობა დიდ როლს ასრულებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის განვითარებადი ქვეყნებისათვის იდეოლოგიურ ბრძოლაში. რეაქციული მალთუსიანელები ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნებისათვის ცენტრალური პრობლემაა მოსახლეობის სიჭარბე და მისი მეტისმეტი სწრაფი ზრდა; ამ პრობლემის გადაჭრამ და თავისი არსით ბურჟუაზიული რეფორმების მინიმუმის განხორციელებამ შეუძლია გაუხსნას მათ „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“ (იგულისხმება კაპიტალისტური). მარქსისტები ამბობენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაციისათვის აუცილებელია განვითარების არაკაპიტალისტური გზა, ძირეული სოციალური გარდაქმნები, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიათ გასაქანი მისცენ ხალხების შებოჭილ ენერგიას. ამ პირობებში და ჩარჩოებში ეფექტური შეიძლება იყოს შობადობისა და მოსახლეობის ზრდის რეგულირების ცნობილი პოლიტიკა. ამ პოზიციების დაპირისპირება თვალნათელია.

თომას რობერტ მალთუსი დაიბადა 1766 წ. ლონდონის მახლობელ სოფელში და იყო გახათლებული სკვაიერის (მემამულის) მეორე შვილი. რადგან ქონება ინგლისურ ოჯახებში არ იყოფა შვილებს შორის, მას არ ჰიუღია მემკვიდრეობა, მაგრამ მიიღო კარგი განათლება — ჯერ ოჯახში, შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ინგლისის ეკლესიაში მიეცა სასულიერო წოდება და ჰიიღო სოფლის მრევლის მეორე მღვდლის მოკრძალებული ადგილი. 1793 წ. იგი გახდა აგრეთვე კოლეჯის წევრი (მასწავლებელი) და საერთოდ იქ დარჩა ქორწინებამდე, 1804 წლამდე.

ახალგაზრდა მალთუსი დიდ დროს ატარებდა მამასთან, სახლში, რომელთანაც უსასრულოდ საუბრობდა და კამათობდა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ თემებზე. უცნაურია, მაგრამ მოხუცი იყო ენთუზიასტი და ოპტიმისტი, ყმაწვილი კაცი კი — სკეპტიკოსი და პესიმისტი. მამასთან კამათის დროს არგუმენტებს რომ ეძებდა, მალთუსი წააწყდა XVIII ს-ის რამდენიმე ავტორთან იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე იზრდება საარსებო საშუალებები, რომ მოსახლეობა თუ მის ზრდას არაფერი შეაფერხებს, გაორდება ყოველ 20—25 წელში. მალთუსისათვის აშკარა იყო, რომ საკვების წარმოება არ შეიძლება ასეთივე სწრაფი ტემპებით იზრდებოდეს. მაშასადამე, ბუნების ძალები კაცობრიობას არ აძლევენ სიღარიბიდან გამოსვლის შესაძლებლობას. ღარიბების მეტისმეტი ნაყოფიერება — აი საზოგადოებაში მათი უბადრუკი მდგომარეობის მიზეზი. და გამოსავალი ამ ჩიხიდან არ ჩანს. ვერავითარი რევოლუცია ამას ვერ უშველის.

1798 წ. მალთუსმა ანონიმურად გამოაქვეყნა მცირე მოცულობის პამფლეტი სათაურით: „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ საზოგადოების მომავალ სრულყოფასთან კავშირში". თავის შეხედულებებს იგი გადმოსცემდა მკვეთრად, უკომპრომისოდ, ცინიკურადაც კი. მაგალითად, მალთუსი წერდა: „ადამიანი, რომელიც უკვე დაკავებულ სამყაროს მოევლინა, თუ მისი გამოკვება არ ძალუძთ მშობლებს, რისი მოთხოვნაც მას დასაბუთებულად შეუძლია, და თუ საზოგადოება არ საჭიროებს მის შრომას, მას არა აქვს უ ფ ლ ე ბ ა რაიმე გამოკვებაზე: დედამიწაზე იგი არსებითად ზედმეტია. დიდ ცხოვრებისეულ ნადიმებში მისთვის ადგილი არ არის. ბუნება უბრძანებს მას, გაეცალოს. და არც დააყოვნებს განაჩენის სისრულეში მოყვანას".[1]

მალთუსი, როგორც ჩანს, ინგლისელი ჯენტლმენების იმ მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებსაც მტკიცედ სწამდათ თავისი კლასისა და თავისი ერის უპირატესობა, რომლებსაც სძულდათ ღარიბებზე, უბედურებზე და ხეიბრებზე ყოველგვარი წუწუნი, რომლებსაც აღუშფოთველი გულგრილობით, თეთრ ხელთათმანებში და სადღესასწაულო სერთუკებში გამოწყობილთ შეუძლიათ დაესწრონ ფაბრიკის მუშების აჯანყებას და სიპაების დასჯას. ასეთი ადამიანები სიმკაცრეს თვლიან გონიერულ აუცილებლობად, ხოლო ჰუმანურობას — მავნე გამოგონებად.

თუმცა მალთუსი, როგორც მისი თანამედროვენი გვიამბობენ, გულღია და სასიამოვნო ადამიანიც კი იყო: ამას ერთგვარად რიკარდოსთან მისი მეგობრობაც ამტკიცებს. იგი გამოირჩეოდა გასაოცარი

---

1 მალთუსმა აუცილებლად ჩათვალა, „ცდის" მომდევნო გამოცემებიდან ამოეღო მარტო ეს ადგილი. ციტატა მოტანილია J. M. Keynes. Essays and Sketches in Biography. N. Y., 1956, p. 26.

სიდარბაისლით და სულიერი სიმშვიდით. იგი არასოდეს არავის უნახავს გაჯავრებული, ძლიერ გახარებული, ან ძლიერ დადარდიანებული. ასეთი ხასიათი მას აძლევდა შესაძლებლობას, გულგრილად (შეიძლება მოჩვენებითაც კი) აეტანა ის კილვა, რაც მას ხვდებოდა თავისი მკვეთრი შეხედულებების გამო.

საფრანგეთის რევოლუციის ხალხზე გავლენით შეშინებულ ინგლისის მმართველ კლასებს მალთუსის წიგნმა სულზე მოუსწრო. მალთუსი თვით იყო გაკვირვებული მისი წარმატებით და დაიწყო მეორე გამოცემის მომზადება. იგი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც აგროვებდა მასალებს თავისი თეორიის დასასაბუთებლდ. მეორე გამოცემა მკვეთრად განსხვავდებოდა პირველისაგან. ეს იყო ვრცელი ტრაქტატი ისტორიული ექსკურსებით. ზოგი ავტორის კრიტიკით და ა. შ. მალთუსის სიცოცხლეში სულ გამოიცა „ცდის“ ექვსი გამოცემა, თანაც ბოლო გამოცემის მოცულობა 5-ჯერ აღემატებოდა პირველს.

1805 წ. მალთუსმა მიიღო ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ ახლახან დაარსებულ კოლეჯში თანამედროვე ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორის კათედრა. იგი კოლეჯში ასრულებდა მღვდლის მოვალეობასაც. 1815 წ. მალთუსმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი მიწის რენტის შესახებ, 1820 წ. წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, რომელიც ძირითადად რიკარდოსთან პოლემიკას შეიცავდა. მალთუსის ლექციები და გამოსვლები მშრალი იყო და დოქტრინობისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. ამასთან ერთად. მისი მოსმენა ძნელი იყო, რადგან მას თანდაყოლილი დეფექტიანი მეტყველება ჰქონდა. პოლიტიკური შეხედულებებით მეტად ზომიერი ვიგი იყო, როგორც მასზეა ხაოქვამი ინგლისურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში, — ყოველთვის საშუალო ხაზისაკენ ისწრაფვოდა. იგი 1834 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით.

ადამიანები და მათი დედამიწა

არ იქნებოდა სწორი მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია სისულელედ ან უხამს აპოლოგეტიკად ჩაგვეთვალა. თავიანთ აზროვნებაზე მისი გავლენის შესახებ ლაპარაკობენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა რიკარდო და ჩარლზ დარვინი. მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ ის ასახავს, თუმცა მახინჯი ფორმით, კაპიტალიზმის რეალურ მანკიერებებს და წინააღმდეგობებს.

ამრიგად, მალთუსი ამბობდა, რომ მოსახლეობას აქვს უფრო სწრაფი მატების ტენდენცია, ვიდრე არსებობის საშუალებებს. ამის „დასამტკიცებლად“ იგი მკითხველს მთელი სიძლიერით ტენიდა თავში თავის უბადაღებულ პროპორციებს: ყოველ 25 წელში მოსახლეობას შეუძლია გაორმაგდეს და, მაშასადამე, გაიზარდოს, როგორც გეომეტ-

რიული პროგრესიის რიცხვთა რიგი: 1, 2, 4, 8, 16, 32, 64... მაშინ როდესაც არსებობის საშუალებებს თითქოს შეუძლიათ, უკეთეს შემთხვევაში, დროის იმავე მონაკვეთში გაიზარდოს მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7... „ორი საუკუნის შემდეგ ხალხთმოსახლეობა შეფარდებაში იქნება საარსებო საშუალებებთან როგორც 256 9-სთან; სამი საუკუნის შემდეგ როგორც 4098 13-თან, ხოლო ორი ათასი წლის შემდეგ ეს შეფარდება იქნება უსაზღვრო და უთვალავი".[1]

შესაძლებელია, მალთუსი არ იყო ცუდი ფსიქოლოგი, და გრძნობდა ასეთი მარტივი და თვალში საცემი ილუსტრაციების ძალას. მკითხველს ჰქონდა მიდრეკილება, დაევიწყებინა, რომ ეს მხოლოდ ტენდენციაა და მას თმები ყალყზე უდგებოდა ასეთი აპოკალიფსური შეხედულებებით მსოფლიოზე, სადაც ადამიანებს დასადგომიც კი აღარ ექნებოდათ, არა თუ საცხოვრებელი და სამუშაო. ავტორი რამდენადმე ახელებდა მის წარმოდგენას, როცა ამბობდა, რომ სინამდვილეში ეს შეუძლებელია: ბუნება თვით ზრუნავს, რომ ეს ტენდენცია რეალობად არ იქცეს. როგორ ახერხებს იგი ამას? ომების, ავადმყოფობების, სიღარიბის და მანკიერების მეოხებით. ყოველივე ამას მალთუსი თვლიდა ადამიანის ბუნებრივ (არსებითად ღვთაებრივ) სასჯელად მისი ცოდვებისათვის, სქესის დაუოკებელი ინსტინქტისათვის. ხუთუ არ არის სხვა გამოსავალი? არის, ამბობს მალთუსი თავის წიგნში, მისი მეორე გამოცემიდან დაწყებული: სქესობრივი თავშეკავება, გვიანი ქორწინება, დაუქორწინებლობა, ქვრივობა. მაგრამ თვით მალთუსს დიდად არ სწამდა ამ ღონისძიებათა ეფექტიანობისა და კვლავ უბრუნდებოდა ხალხთმოსახლეობის ძალდატანებითი და მკაცრი შემცირების გარდუვალობას. საყურადღებოა, რომ, ამავე დროს, მალთუსი გმობდა ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, რომელთა შესახებ პრესაში უკვე იმართებოდა მსჯელობა. შობადობის ასეთ შეზღუდვას იგი უარყოფდა და თვლიდა როგორც ბუნების, ე. ი. ღმერთის კომპენტენციაში შეჭრას. მალთუსის სისტემაში ჭარბი მოსახლეობა არა მარტო კაცობრიობის შერისხვაა, არამედ თავისებური სიკეთეცაა, ღვთაებრივი მათრახია, რომელიც შეუფუცხუნებს ბუნებით ზარმაც მუშას. მხოლოდ კონკურენცია სხვა მუშებისა, რომლებიც ყოველთვის ძალზე ბევრია, აიძულებს მას, დაბალ ხელფასზე იმუშაოს გულმოდგინედ.

მალთუსის თეორია უკიდურესად მოუქნელი და დოგმატურია. იგი ცდილობს კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრული სტადიისათვის შეზღუდული და ამასთან სრულიად არასარწმუნო გამოცდილება გაასაღოს საყოველთაო კანონად, რომელიც ძალაშია ნებისმიერ საზოგადოებრივ ეპოქასა და ყველა საზოგადოებრივ წყობილებაში.

---

[1] Т. Р. Мальтус, Опыт о законе народонаселения, т. I, СПб, 1868, зз. 102.

უპირველეს ყოვლისა, არ არის სწორი ის, რომ დაუოკებელი გამრავლების ტენდენციის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ არსებობის საშუალებების უკმარისობით და მალთუსისეული „დემონებით“ — ომებით, ავადმყოფობებით და ა. შ. მალთუსი ამტკიცებდა, რომ საარსებო საშუალების ზრდა დაუყოვნებლივ იწვევს რეაქციას შობადობასა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის სახით, ვიდრე ეს კვლავ არ გაანეიტრალებს აღნიშნულ ზრდას. სინამდვილეში ეს ტენდენცია არა თუ არ არის აბსოლუტური, არამედ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე აშკარად უთმობს ადგილს პირდაპირ საწინააღმდეგო ტენდენციას: საარსებო საშუალებათა გადიდება და ცხოვრების დონის ამაღლება ხელს უწყობს შობადობასა და მოსახლეობის ზრდის ტემპების დაქვეითებას. დასავლეთის თანამედროვე მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება რამდენიმეჯერ დაბალია, ვიდრე აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ღარიბ ქვეყნებში. უკანასკნელი 25—30 წლის მანძილზე, როგორც ცნობილია, იაპონიამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია, იმავე წლებში შობადობა კი თითქმის ორჯერ შემცირდა. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის ფიზიოლოგიური ნაყოფიერება სრულიადაც არ განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის რეალურ ტემპებს.

სოციალიზმი მთლიანად წყვეტს „საბედისწერო“ კავშირს ჭარბმოსახლეობასა და მასების სიღატაკეს შორის. ახალი საზოგადოებრივი წყობილება ქმნის მატერიალური დოვლათის არნახული სწრაფი ზრდისა და მისი უფრო თანაბარი განაწილების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, იგი ადამიანებს აძლევს უზრუნველყოფას, პირად თავისუფლებას, მამაკაცთა და ქალთა ნამდვილ თანასწორობას, კულტურული დონის სწრაფ ზრდას, ამით გზას უხსნის მოსახლეობის გონივრულ და ჰუმანურ რეგულირებას. სწორედ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს იქმნება კაცობრიობის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უდიდესი პრობლემის — მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ო პ ტ ი მ უ მ ი ს პრობლემის — გადაჭრის შესაძლებლობა, ე. ი. მოსახლეობის ისეთი ზრდის უზრუნველყოფა, რომლითაც მიღწეული იქნება წარმოებისა და მოხმარების მაქსიმალიზაცია და საბოლოო ანგარიშით ადამიანების კეთილდღეობა და ბედნიერება.

ახლა მივმართოთ მალთუსის მიხედვით მოსახლეობისა და რესურსების მუდმივი რბოლის მეორე მონაწილეს — საარსებო საშუალებებს მათი არითმეტიკული პროგრესიით. აქ მალთუსი კიდევ უფრო მეტად მტყუნდება.

სინამდვილეში იგი დაახლოებით ასეთ სურათს ხატავდა. წარმოიდგინეთ მიწის ნაკვეთი, რომლითაც იკვებებოდა ერთი ადამიანი, წლის მანძილზე იგი ხარჯავს 200 კაც-დღის შრომას და თავისი ნაკვეთიდან ღებულობს, ვთქვათ, 10 ტონა ხორბალს, რომელიც მხოლოდ მას ყო-

ფნის. მოდის მეორე ადამიანი (შეიძლება იზრდება ვაჟიშვილი) და იმავე ხაკვეთზე ხარჯავს კიდევ 200 კაც-დღეს. განა გაიზრდება ხორბლის მოსავალი სწორედ ორჯერ, 20 ტონამდე? მალთუსი ამაზე უარყოფით პასუხს იძლევა; კარგია, თუკი იგი გაიზრდება 15 ან 17 ტონამდე. თუკი მოვა მესამე, მაშინ ახალ 200 კაც-დღეზე ისინი მიიღებენ კიდევ ნაკლებ უკუგებას. რომელიმეს მოუხდება წასვლა.

ასე მეტად პრიმიტიულადაა გადმოცემული ეგრეთ წოდებული კლებადი უკუგების (შემოსავლიანობის) კანონი, ანუ ეგრეთ წოდებული ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს მალთუსის მოძღვრებას. არსებობს თუ არა ასეთი კანონი? როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების რაღაც აბსოლუტური და საყოველთაო კანონი, უეჭველია — არა. ცხადია, ეკონომიკაში განსაზღვრულ პირობებში შეიძლება აღმოცენდეს ისეთი სიტუაციები და მოვლენები, როცა დანახარჯების მატება არ იძლევა პროდუქციის პროპორციულ მატებას. მაგრამ ეს სრულიადაც არაა საყოველთაო კანონი. უფრო სწორად, ეს ეკონომისტებისა და ინჟინრებისათვის სიგნალია იმისა, რომ მეურნეობის მოცემულ სექტორში ყველაფერი არ არის რიგზე.

ზემოთ მოტანილი მაგალითი გამოხატავს მხოლოდ პირობით სიტუაციას და ყოველ შემთხვევაში არ ამოწურავს ადამიანის მიერ ბუნების რესურსების გამოყენების პრობლემას. შრომა, რომლის შესახებაც იქაა ლაპარაკი, რეალურ ცხოვრებაში გამოიყენება განსაზღვრულ ხარმოების საშუალებებთან შეერთებულად. თუ ეს შეერთება სწორადაა შერჩეული, მოცემული რაოდენობის სამუშაო საათების უკუგება არ შეცირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს, ე. ი. შრომის შეიარაღებას სულ უფრო მწარმოებლური იარაღებითა და მეთოდებით. მოცემული ნაკვეთი შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე მეზობელ ნაკვეთთან და უკუგება, სრულიად შესაძლებელია, გაიზარდოს წარმოების მასშტაბების გადიდებასთან ერთად, უკეთესი ორგანიზაციის, სპეციალიზაციის, ტექნიკის უფრო ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე.

თანამედროვე ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა გაითვალისწინეს „კლებადი უკუგების კანონის“ ეს საწინააღმდეგო მოსაზრებანი და მალთუსთან შედარებით მკვეთრად შეავიწროვეს მისი მოქმედების სფერო. ისინი ამბობენ, რომ ეს „კანონი“ მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა წარმოების დანარჩენი ფაქტორების უცვლელ რაოდენობას დაემატება მოცემული ფაქტორის მზარდი რაოდენობა. წარმოების ძირითად ფაქტორებად, როგორც ცნობილია, მიჩნეულია შრომა, კაპიტალი და მიწა. როგორც ვნახეთ, ზემოთ მოტანილი მაგალითი სწორედ ასეთ სრულიად არარეალისტურ სიტუაციას აგვიწერს: მასში ნა-

ვარაუდევია, რომ მიწა და კაპიტალი (დანარჩენი წარმოების საშუალებები) უცვლელია და იცვლება მხოლოდ შრომის რაოდენობა. მიუხედავად ამისა, მალთუსიანელები ამა თუ იმ ფორმით ამჟამადაც იყენებენ „კლებადი ნაყოფიერების კანონს“. ეკონომისტ-მარქსისტები უარყოფენ „კანონს“, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ხუჭავენ თვალს წარმოების დანახარჯებზე უკუგების (პროდუქციის მატებაზე ნატურალური ფორმით) თვით პრობლემის რეალურობასა და მნიშვნელობაზე. ეს უკუგება შეიძლება განსხვავებული იყოს ჩამოთვლილი (და მრავალი სხვა) ფაქტორების მიხედვით. კაპიტალდაბანდების თითოეულ მანეთზე, შრომის თითოეულ კაც-საათზე, მიწის ყოველ ჰექტარზე უკუგების გადიდება — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიული გამოცდილება უარყოფს მალთუსსა და მის პროგნოზებს. ამაზე არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი თავის შრომებში აგრარული საკითხის შესახებ: XIX ს-ის მეორე ნახევარში ტექნიკურმა პროგრესმა სოფლის მეურნეობაში შესაძლებლობა შექმნა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის შეფარდებითი (ზოგიერთ შემთხვევაში აბსოლუტურადაც კი) შემცირების პირობებში. არანაკლებ მკვეთრი ცვლილებები მიმდინარეობს იმავე მიმართულებით ჩრდილო ამერიკისა და დასავლეთი ევროპის სოფლის მეურნეობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ კაპიტალიზმს, როგორც სისტემას, საფრთხეს უქმნის არა საარსებო საშუალებების „ნაკლებწარმოება“, არამედ ის საზოგადოებრივი წინააღმდეგობები, რომლებსაც წარმოშობს ეს სისტემა.

ჭარბმოსახლეობაზე ყურადღების მიქცევით მალთუსმა ასახა კაპიტალიზმისათვის ნამდვილად დამახასიათებელი პროლეტარიატის ნაწილის „ზედმეტ ადამიანებად“ გადაქცევის, უმუშევართა მუდმივი სარეზერვო არმიის შექმნის ტენდენცია. მხოლოდ ეს ჭარბმოსახლეობა, მალთუსის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენს ადამიანთა არა აბსოლუტურ სიჭარბეს ბუნებრივ რესურსებთან შედარებით, არამედ კაპიტალიზმის კანონებით შექმნილ მუშათა შეფარდებით სიჭარბეს.

მალთუსის თეზისებების ობიექტური აზრი მნიშვნელოვან წილად გამოიხატება მიწის მესაკუთრეების ინტერესთა დაცვაში. მალთუსი აღიარებდა კონტრასტს თავისთავსა და რიკარდოს შორის და თვით შენიშნა პარადოქსი: „ცოტა უცნაურია, რომ მისტერ რიკარდო, რომელიც მხიშვნელოვან რენტას ღებულობს, სათანადოდ ვერ აფასებს მის ეროვნულ მნიშვნელობას, მაშინ, როცა მე, რომელსაც რენტა არასოდეს არ მიმიღია და არც იმედი მაქვს მიღებისა, შესაძლებელია დამა-

დანაშაულონ ძისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასებაში".[1] თუ ეს რამის მთქმელია, მხოლოდ იმისა, რომ ვულგარულ-სოციალურ მიდგომას არ შეუძლია ადამიანის ფსიქოლოგიისა და იდეების ახსნა: მთელი ეს რთული სფერო არ განისაზღვრება მხოლოდ მისი სოციალური მდგომარეობით (თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რიკარდო ძხოლოდ გ ა ხ დ ა მეძამულე, მალთუსი კი წარმოშობით ი ყ ო მემამულე და ძხოლოდ დაბადების შემთხვევითობამ აქცია იგი მღვდლად და პროფესორად).

ამ კლასობრივმა პოზიციამ და პირადმა თვისებებმა შექმნეს მეცნიერებაში მალთუსის რიკარდოსაგან დიდად განსხვავებული შეხედულებები. კერძოდ, იქ, სადაც რიკარდო წინააღმდეგობებსა და პრობლემებს, ასე ვთქვათ, შორიდან, ზემოდან უყურებდა, რომლებიც მას კერძო ‘ემთხვევად და წარმავალად მიაჩნდა, მალთუსი მათზე ჩერდებოდა და აკვირდებოდა. ასეთი იყო პრობლემა კრიზისებისა, რომელსაც რიკარდო უგულებელყოფდა, მალთუსი კი არა.

როგორც უკვე ითქვა, ამ დარგში, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ისტორიულად ორ ძირითად მიმართულებად იყოფოდა. სმიტი და რიკარდო ფიქრობდნენ, რომ კაპიტალიზმის ძირეულ პრობლემას წარმოადგენს დაგროვება, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას, მაშინ როდესაც მოთხოვნისა და რეალიზაციის მხრივ ვერავითარ სერიოზულ სიძნელეს ვერ ხედავდნენ. მალთუსი (სისმონდისთან ერთად) ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა და ეკონომიკური თეორიის ცენტრში პირველად დააყენა რეალიზაციის პრობლემა. ამით მან გამოავლინა კაპიტალისტური გახვითარების წინააღმდეგობების შეგრძნების არაჩვეულებრივი ალღო. რიკარდო ვარაუდობდა, რომ სასურველი რაოდენობის საქონლის და მომსახურების რეალიზაცია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს კაპიტალისტების (საწარმოო დანიშნულების საქონელზე მოთხოვნის ჩათვლით) და მუშების ერთობლივი მოთხოვნის ხარჯზე. პრინციპში ის მართალი იყო. მაგრამ ასეთი რეალიზაციის შესაძლებლობა, რომ სინამდვილეში იგი მომდინარეობს შეუფერხებლად, კონფლიქტების გარეშე, სრულიადაც არაა. რეალიზაციის მსვლელობა წყდება ჭარბწარმოების კრიზისებით, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება. რეალიზაციისა და კრიზისების პრობლემის გადაწყვეტას მალთუსი ეძებდა იმ საზოგადოებრივი კლასების და ფენების არსებობაში, რომლებიც არ მიეკუთვნებოდა არც კაპიტალისტებს, არც მუშებს. მხოლოდ მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, ამბობდა იგი, შეუძლია უზრუნველყოს მთელი წარმოებული საქონლის მასის რეალიზაცია. ამრიგად, მალთუსის აზრით, საზოგადოების მხსნელები არიან ისევ ის მიწათმფლობელები

[1] T. R. Malthus. Principles of Political Economy. Oxford, 1951, p. 216—217.

და მათი მოსამსახურენი, ოფიცრები, მღვდლები, რომლებსაც სმიტმა თავის დროზე პირდაპირ პარაზიტები უწოდა.

კეინსელობა — XX ს-ის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ბოლოდროინდელი მიმართულება — აღორძინდა და შეიარაღდა მალთუსის იდეით რეალიზაციისა „ეფექტიანი მოთხოვნის" ფაქტორების საკითხის შესახებ. შემთხვევით არ წერდა კეინსი, რომ კაპიტალიზმისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი ეკონომიკური მეცნიერება თავის დროზე წავიდოდა არა რიკარდოს, არამედ მალთუსის მიერ დასაბული გზით. ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე არსენალში თვალსაჩინო ადგილი უკავია სხვადასხვა შუალედური ფენების მიერ საქონლის მოხმარებას და ამ მოხმარების როგორც ანტიკრიზისული ღონისძიების მხარდაჭერას სახელმწიფოს მიერ.

რიკარდოელობა

ჯემს მილისა და მაკ-კულოხის თხზულებანი 20-იან და 30-იან წლებში წარმოადგენდნენ რიკარდოს მოძღვრების სიტყვასიტყვითი შინაარსის ყველაზე უფრო გულმოდგინე გადმოცემას და პოპულარიზაციას. რაც შეეხება ამ მოძღვრების სულისკვეთებას, ის მათ არ ესმოდათ და არ შეეძლოთ განვითარებინათ. რიკარდოს უახლოესი თანამიმდევრების უბადრუკობას აღიარებენ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებიც. შუმპეტერი წერს, რომ რიკარდოს მოძღვრება „მათ ხელში დაჭკა, დაუყოვნებლივ უნაყოფოდ და მკვდრად იქცა".[1] მაგრამ ამის მიზეზს იგი, არსებითად, თვით რიკარდოს მოძღვრების უნაყოფობაში ხედავს.

რაშია დიდი ეკონომისტის მემკვიდრეობის მეტად თავისებური ბედის ნამდვილი მიზეზი? რიკარდომ დატოვა იდეების ღრმა სისტემა, მაგრამ მასთან ერთად ჭყეტელა წინააღმდეგობები და პრობლემები. თვით მას უფრო უკეთ, ვიდრე სხვა ვინმეს, ჰქონდა შეგნებული ეს. რიკარდოს ხამდვილად განვითარებისათვის საჭირო იყო მისი მოძღვრების საფუძვლების შეთვისება, ამ წინააღმდეგობათა მეცნიერული გადაწყვეტის მოძებნა.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ რიკარდოს ორგვლივ მყოფ ადამიანებს პირადად არ შესწევდათ ასეთი ამოცანების გადაჭრის უნარი. მაგრამ ამით პრობლემა არ ამოიწურება. როგორი დიდიც არ უნდა იყოს პიროვნების როლი მეცნიერებაში, იგი ემორჩილება იმავე კანონებს, რასაც პიროვნების როლი ისტორიაში საერთოდ: ეპოქა, ისტორიული აუცილებლობა წარმოშობს მომწიფებული ამოცანების გადაჭრის უნარის მქონე ადამიანებს. საქმე ისაა, რომ იმ კონკრეტულ პირობებში რიკარდოს მოძღვრების შემოქმედებითი გან-

[1] J. Schumpeter. History of Economic Analysis N. Y., 1954. p. 472.

ვითარება მოითხოვდა სხვაგვარი იდეოლოგიის პოზიციებზე გადასვლას, ეს, არსებითად, შეუძლებელი იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფარგლებში. ამიტომ რიკარდოს ნამდვილ მემკვიდრედ მარქსიზმი გახდა.

გავიხსენოთ ორი მთავარი წინააღმდეგობა, რომელთაც რიკარდო წააწყდა. პ ი რ ვ ე ლ ი. მან ვერ შეძლო აეხსნა თუ კაპიტალის შრომაზე გაცვლა (უბრალოდ რომ ვთქვათ, მუშების დაქირავება კაპიტალისტის მიერ) როგორ შეეთავსება მის შრომითი ღირებულების თეორიას. თუ მუშა მთლიანად ღებულობს „თავისი შრომის ღირებულებას" (ჩვენ ვიცით, რომ ეს გამოთქმა არამართალზომიერია, მაგრამ რიკარდო სწორედ ასე ამბობდა), ე. ი. თუ მისი ხელფასი ტოლია მისი შრომით შექმნილი საქონლის ღირებულებისა, მაშინ ცხადია, რომ მოგების ახსნა შეუძლებელია. თუ მუშა ღებულობს არასრული „შრომის ღირებულებას", მაშინ სადღაა აქ ეკვივალენტების გაცვლა, ღირებულების კანონი? მ ე ო რ ე. მან ვერ შეძლო შრომითი ღირებულების შეთავსება თანაბარი კაპიტალის მიერ თანაბარი მოგების მოვლენასთან. თუ ღირებულება იქმნება მხოლოდ შრომით, მაშინ საქონელი, რომელზეც იხარჯება თანაბარი რაოდენობის შრომა, უნდა იყიდებოდეს დაახლოებით ერთნაირ ფასში, მიუხედავად მათ საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალების სიდიდისა. მაგრამ ეს მიანიშნებდა კაპიტალზე მოგების განსხვავებული ნორმების არსებობას, რაც აშკარად შეუძლებელია, როგორც ხანგრძლივი მოვლენა.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ გადაჭრა ეს წინააღმდეგობანი მარქსმა. ვნახოთ, რა გზით წავიდნენ 20—30-იანი წლების ინგლისელი ეკონომისტები. ამავე დროს, ჩვენ არ გავარჩევთ ცალკეულ ავტორებს დეტალებში, მხოლოდ ვუჩვენებთ საერთო ტენდენციას. რიკარდოს მოწაფეებმა ვერ მოუძებნეს ამ წინააღმდეგობებს გადაჭრა და შეეცადნენ შემდეგნაირად აეცლოთ გვერდი მათთვის.

კაპიტალი დაგროვილი შრომაა. ამ, მუდამ ერთი და იმავე, სავსებით რიკარდოიანული შეხედულებიდან იწყებდნენ მილი და მაკკულოხი. მაშასადამე, საქონლის ღირებულებაში, რომელიც შექმნილია შრომით და კაპიტალის დახმარებით, უნდა შევიდეს ამ უკანასკნელის ღირებულება. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ საქონლის ღირებულებაში შეღის მანქანების, სათბობის და ა. შ. გადატანილი ღირებულება, მაშინ ეს მართალია. მაგრამ ჩვენ მცირედითაც კი ვერ მივუახლოვდით პასუხს კითხვაზე — საიდან ჩნდება მოგება? კაპიტალისტი ხომ ავანსად არ გაიღებს კაპიტალს, ე. ი. იყიდის ამ წარმოების საშუალებებს მხოლოდ იმისათვის, რომ მათი ღირებულება კვლავწარმოებული იყოს მზა საქონელში.

არა, ამბობენ ეკონომისტები, ჩვენ ეს არა გვაქვს მხედველობაში. ფაბრიკაში მუშაობს მუშა, მაგრამ მუშაობს მანქანაც, ანალოგიით შე-

იძლება ვთქვათ, რომ „მუშაობს“ აგრეთვე ბამბაც, ქვანახშირიც და ა. შ. ყველა ეს ხომ დაგროვილი შრომაა. მუშაობისას ისინი ქმნიან ღირებულებას. მათ მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილი არის მოკება, ბუნებრივია, მას მიიღებს კაპიტალისტი თანაც კაპიტალის პროპორციულად.

ეს — რიკარდოსეული წინააღმდეგობების ფსევდოგადაწყვეტაა. ამ საქმის მიხედვით მუშა ღებულობს „შრომის სრულ ღირებულებას“, რადგან ის, რაც მას დააკლდა ახლად შექმნილი ღირებულებიდან, შექმნა არა მან, არა მისმა ცოცხალმა შრომამ, არამედ კაპიტალში განივთებულმა წარსულმა შრომამ. ამ ერთობლივი შრომით შექმნილი საქონლის ღირებულებას საქონლის რეალიზაციისას კაპიტალისტისათვის მოაქვს საშუალო მოგება კაპიტალზე. ასეთი კონცეფცია სპობს რიკარდოს მოძღვრების მეცნიერულ საფუძველს — შრომითი ღირებულების თეორიას, რომლისგანაც მხოლოდ ცარიელი გარეგნობა რჩება. საქონლის ღირებულება ახლა ყალიბდება კაპიტალისტის დანახარჯებისაგან წარმოების საშუალებებზე, მისი დანახარჯებისაგან ხელფასზე და მოგებისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღირებულება წარმოების ხარჯებისა და მოგების ჯამის ტოლია.

მაგრამ თქვენ იტყვით, რომ ეს ბანალურობაა, ტრუიზმია. სრულიადაც არ არის საჭირო კაპიტალისტად ყოფნა იმის მისახვედრად, რომ კაპიტალისტი თავისი საქონლის ფასების განსაზღვრის დროს სწორედ ამას აკეთებს: ახდენს ხარჯების კალკულირებას და უმატებს მან შესაფერის მოგებას. საქმე ისაა სწორედ, რომ ეს თეორია აღწერს ყველაზე ზედაპირულ, ჩვეულებრივ მოვლენებს და არ იჭრება სიღრმეში. ხოლო იქ, სადაც მოვლენის გარეგნობის მიღმა არ იხსნება მისი არსი, მთავრდება მეცნიერება.

რა კარგია ეს სქემა კაპიტალისტებისათვის! მართლაც, მუშა ღებულობს ხელფასს, მისი შრომის სამართლიან ანაზღაურებას. კაპიტალისტი ღებულობს მოგებას — ასევე კანონიერ ანაზღაურებას კაპიტალისტის კუთვნილი შენობების, მანქანების, მასალების „შრომისათვის“. ამას შეიძლება თამამად დავუმატოთ, რომ მიწის მესაკუთრე სრულიად საფუძვლიანად ღებულობს რენტას: მიწაც ხომ ასევე „მუშაობს“. კლასთა ანტაგონიზმი, რომელიც აშკარად ჩანდა რიკარდოს მოძღვრებაში, აქ ქრება და ადგილს უთმობს შრომის, კაპიტალისა და მიწის მშვიდობიან თანამშრომლობას. მსგავსი სქემა უფრო ადრე საფრანგეთში წამოაყენა სეიმ, მხოლოდ მას არ შეუწუხებია თავი ცდებით აეყვანა იგი შრომითი ღირებულების თეორიამდე. შრომა — ხელფასი; კაპიტალი — მოგება; მიწა — რენტა. წარმოების ფაქტორებისა და შესაბამისი შემოსავლების შემაერთებელი ეს ტრიადა ინგლისის პოლიტიკურ ეკონომიაში დამკვიდრდა XIX საუკუნის შუა ხანებისათვის.

ღირებულების ამ თეორიაში, რომელსაც ხშირად წარმოების ხარჯების თეორიას უწოდებენ, იყო აშკარად სუსტი ადგილი. საქონლის ღირებულებას ხსნიდნენ ხარჯებით, ე. ი. წარმოებაში მონაწილე საქონლის ღირებულებით. არსებითად ფასებს ხსნიდნენ ფასებით. მაოთლაც. ერთი იარდი ქსოვილი ღირს ამდენი შილინგი და პენსი იმიტომ, რომ შრომა ღირს ამდენი, მანქანები — ამდენი, ბამბა — ამდენი და ა. შ. შაგრამ რატომ ღირს მანქანები ამდენი და არა მეტი ან ნაკლები? და ასე შემდეგ. საკითხს ფასის ძირითადი საფუძვლის შესახებ, რომელიც ყოველთვის ცენტრალური იყო პოლიტიკური ეკონომიისათვის, აქ გვერდი ჰქონდა ავლილი, ხოლო მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი შემოსავლების საბოლოო წყაროს შესახებ, წყდებოდა აპოლოგეტურად.

იმისათვის, რომ როგორმე გადაელახათ ეს სიძნელე, 30—50-იანი წლების ეკონომისტებმა გადადგეს შემდგომი ნაბიჯები, რითაც სულ უფრო მეტად შორდებოდნენ რიკარდოს და სულ უფრო მეტად იკავებდნენ გზას ჯევონსისა და მარშალის კონცეფციებისაკენ. ერთი მხრივ, ხარჯებს გახიხილავდნენ არა როგორც ობიექტურ ღირებულებას, როძელიც საბოლოო ანგარიშით მაინც შრომის დანახარჯებზეა დამოკიდებული, არამედ როგორც მუშისა და კაპიტალისტის სუბიექტურ მსხვერპლს. ძეორე მხრივ, ღირებულებას სულ უფრო ნაკლებად თვლიდნენ ძხოლოდ ერთი ცვლადის წარმოების ხარჯების ფუნქციად. და უფრო ძეტად მრავალი ცვლადის, განსაკუთრებით მოცემულ საქონელზე მოთხოვნისა და მყიდველისათვის მისი სარგებლობის ფუხქციად. ღირებულებას აღარ უყურებდნენ როგორც ფასების რყევის ბუხებრივ საფუძველს, ცენტრს. ახლა საქმე ეხებოდა იმას, რომ უშუალოდ აეხსნათ ფასები, ფასები კი, რა თქმა უნდა, ყალიბდება და იცვლება მრავალი ფაქტორის გავლენით.

რიკარდოს ვულგარიზაციისაკენ შემდგომი ნაბიჯი გადაიდგა კაპიტალისტური ძოგების ახსნისას კაპიტალისტთა ეგრეთ წოდებული „თავშეკავებით". ეს კონცეფცია მეტწილად დაკავშირებულია ინგლისელი ეკონომისტის ნ. უ. სენიორის სახელთან. მოგების ახსნა იმით. რომ ძას წარძოშობს ძომუშავე მანქანები, შენობები და მასალები ძრავალ ეკოხომისტს არადამაკმაყოფილებლად ეჩვენებოდა. ამიტომ წამოყენებული იყო თეორია, რომ მოგება წარმოიშობა კაპიტალისტის „თავშეკავებით", რომელსაც შეეძლო დაეხარჯა თავისი კაპიტალი მოხმარებაზე, მაგრამ მან თავი შეიკავა ამისაგან.

წარმოვიდგინოთ ორი კაპიტალისტი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია 10 ათასი გირვანქა სტერლინგი ფულადი კაპიტალი. პირველი. დავუშვათ, კაპიტალს აბახდებს ლუდის ქარხანაში, ზის კანტორაში და თვალყურს ადევნებს მუშაობას. წლიური შედეგი: მოგება ათასი გირვანქა ანუ კაპიტალის 10%. მეორე კაპიტალისტსაც ასევე გააჩნია 10

ათასი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ის ვერ იტანს ლუდის სუნს და კანტორის წრიალს. ამასთან ერთად, მას არ სურს თავისი ფული დახარჯოს ახალი სახლის აშენებაზე, ეკიპაჟის შეძენაზე და ა. შ. იგი მიმართავს პირველ კაპიტალისტს წინადადებით: „შეუერთე ჩემი 10 ათასი შენს კაპიტალს, გააფართოვე შენი ქარხანა და გადამიხადე წლიურად 5% — 500 გირვანქა". პირველი კაპიტალისტი თანხმდება. ცხადია, სხვის კაპიტალს, მსგავსად საკუთარისა, მისთვის მოაქვს ზუსტად ისეთივე მოგების ნორმა: როგორც იტყვიან, ფულს სუნი არ უდის. მაგრამ ამ მოგების ნახევარს იგი აძლევს კაპიტალის მესაკუთრეს.

შეეძლო თუ არა მეორე კაპიტალისტს თავისი ფულის დახარჯვა ჩანაფიქრილ და ნებისმიერ სხვა საკეთეზე, თუნდაც სამეძაო სახლში სტუმრობაზე? — კითხულობენ „თავშეკავების" თეორიის ავტორები. შეეძლო. მაგრამ ის თავს იკავებს, იგი ამჯობინებს მოიცადოს ერთი წელი და მიიღოს თავის კაპიტალზე სარგებელი, მოიცადოს ორი წელი და კვლავ მიიღოს სარგებელი (მასთან კაპიტალი ხომ ხელუხლებელი რჩება და სურვილის მიხედვით წინანდებურად შეუძლია მისი დახარჯვა!). ადამიანს თავისი შინაგანი ბუნების გამო ახასიათებს, აწმყოს სიკეთე ამჯობინოს მომავლის სიკეთეს. ჩვენი კაპიტალისტი თანახმაა მომავლის სიკეთისათვის უარი თქვას აწმყოს სიკეთეზე, მსხვერპლს გაიღებს და იძენს ეასამრჯელოს მიღების უფლებას.

როგორია პირველი კაპიტალისტის ბედი? მასაც შეეძლო გაეყიდა თავისი ლუდის ქარხანა და დაეხარჯა ფული. ის ამას არ აკეთებს და ამიტომ ჯილდოზე ზუსტად ისეთივე უფლება აქვს თავშეკავებისათვის. მაგრამ ის გამოირჩევა თავისი თანამოძმისაგან იმით, რომ „თვით" ხარშავს ლუდს. ამის გამო მეთვალყურის, მმართველის, ხელმძღვანელის შრომისათვის მან უნდა მიიღოს თავისებური ხელფასი. მაშასადამე, საკუთარ კაპიტალზე ის არსებითად მიიღებს არა ათას გირვანქა მოგებას, არამედ ორ გახსხვავებულ შემოსავალს: სარგებელს თავშეკავებისათვის — 500 გირვანქას და კიდევ ხელფასს — 500 გირვანქას მმართველობისათვის.

მოგება როგორც ეკონომიკური კატეგორია აქ საერთოდ ქრება. ალფრედ მარშალი თავისებურად ლოგიკური იყო, როცა ნახევარი საუკუნის შემდეგ შეცვალა ტრიადა (შრომა, კაპიტალი, მიწა) ოთხი ფაქტორის კომბინაციით: შრომა — ხელფასი, მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, „ორგანიზაცია" — მეწარმის შემოსავალი. „თავშეკავება" (abstinence), რომელიც არცთუ წესაფერისად ჟღერდა (თითქოს მილიონერი თავს იკავებს თავისი ფულის ხარჯვისაგან და მთლიანად არ იკმაყოფილებს თავის საჭიროებებს!) მან შეცვალა უფრო წესაფერისი სიტყვით — „ლოდინით" (waiting). მაშინვე ჰქონდა ადგილი ცდებს, ამ თეორიის საფუძველზე აეხსნათ, თუ როგორ ეანისაზღვრება თი-

თოეული ფაქტორის გასამრჯელოს ზომა. სხვა ეკონომისტები გამოყოფდნენ კაპიტალის კიდევ ერთ ელემენტს — რისკს, და შესაბამისად კაპიტალისტის გასამრჯელოს კიდევ ერთ ფორმას — თავისებური გასამრჯელო შიშისათვის. დღემდე კამათობენ, შედის თუ არა რისკისათვის გასამრჯელო სასესხო სარგებლის ან მეწარმის შემოსავლის (ან ორივეს) შემადგენლობაში.

პრობლემის როგორი გადაწყვეტა მოგვცა მარქსმა? მოგების განაწილება სარგებლად და მეწარმის შემოსავლად სავსებით რეალურია, და კრედიტის ეახვითარებასთან ერთად ეს მოვლენა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამის შედეგად საკუთარი კაპიტალის გამომყენებელი კაპიტალისტიც მოგებას პირობითად ყოფს ორ ნაწილად: კაპიტალის, როგორც ასეთის, ნაყოფად (მარქსმა მას უწოდა კ ა პ ი ტ ა ლ ი-ს ა კ უ თ რ ე ბ ა) და უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული კაპიტალის ნაყოფად (კ ა პ ი ტ ა ლ ი-ფ უ ნ ქ ც ი ა). მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალი ორივე ფორმით — თავშეკავებით ან შრომით — ქმნის ღირებულებას და კანონიერად ითვისებს მის მიერ შექმნილ ნაწილს. კაპიტალის ეს ორერთიანობა კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის, ზედმეტი ღირებულების წარმოების აუცილებელი პირობაა. როცა ზედმეტი ღირებულება შექმნილია და კონკურენციის პროცესით გადაქცეულია საშუალო მოგებად, საკითხი დგება მისი გაყოფის შესახებ კაპიტალის მესაკუთრესა და ამ კაპიტალის ფაქტობრივად გამომყენებელ კაპიტალისტს შორის (თუმცა ეს ორი სხვადასხვა პირია). მაგრამ ეს საკითხი მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი თვალსაზრისით: როგორ იყოფენ ერთმანეთს შორის ორი სახის კაპიტალისტი მუშის ფასგადაუხდელი შრომის ნაყოფს.

სააქციო საზოგადოებათა, განსაკუთრებით კი თანამედროვე მსხვილი კომპანიების პრაქტიკა უარყოფს თეზისს იმის შესახებ, რომ მოგება საბოლოო ანგარიშით დაიყვანება სასესხო სარგებელსა და „მართვის ხელფასზე". ისინი იხდიან სასესხო სარგებელს ნასესხებ კაპიტალზე, დივიდენდებს გასცემენ აქციონერებზე (ესეც სასესხო სარგებლის სახეა) და ძლიერ დიდ ხელფასებს აძლევენ დაქირავებულ მმართველებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ წარმოებას, მიმოქცევას და ა. შ. მაგრამ, გარდა ამისა, მათ აქვთ გაუნაწილებელი მოგება, რომელიც დაგროვებაში მიდის. ამის გარდა კომპანიები სახელმწიფოს უხდიან გადასახადებს. მოგების ბურჟუაზიული თეორიების თვალთახედვით საკმაოდ ძნელია ახსნა იმისა, თუ საიდან ჩნდება ფული გაუნაწილებელი მოგებისათვის და გადასახადებისათვის.

ჯონ სტიუარტ მილი

XIX ს-ის 50—60-იან წლებში ინგლისმა მიაღწია თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების მწვერვალს მსოფლიოში, ბურ-

ჟუაზიას შეეძლო და იძულებული იყო მუშათა კლასისათვის მცირედით მაინც ვაჭრობენინა აყვავების ნაყოფი, მით უმეტეს, რომ ემიგრაციამ რამდენადმე შეასუსტა ინგლისში შეფარდებითი ჰარბმოსახლეობის ზეგავლენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მუშათა კლასის უმაღლეს კვალიფიცირებულ ჯგუფს, ეგრეთ წოდებულ „მუშათა არისტოკრატიას“. მაგრამ საუკუნის დასასრულს გაუმჯობესდა შრომის პირობები, ამაღლდა მთლიანად მუშათა კლასის ცხოვრების დონე. იზრდებოდა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებაც. მაგრამ იგი სულ უფრო მეტად მიმართული იყო წმინდა ეკონომიკური ინტერესების სფეროსაკენ, რაც საერთოდ აწყობდა კიდეც ბურჟუაზიას. გარკვეული ზომით იგი ხელს უწყობდა მუშათა კლასს: მიღებული იყო მთელი რიგი საფაბრიკო კანონებისა, ლეგალიზებული იყო პროფკავშირები, რომელნიც მალე ძნიშვნელოვან ძალად გადაიზარდა, ყოველივე ეს არ იყო უბრძოლველად მიღწეული. უფრო შორსმჭვრეტელ, ლიბერალურ ბურჟუაზიას ეხებოდა გადაელახა უმოქმედო მდიდრებისა და ლენდლორდების წინააღმდეგობა. არსებითად ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა ბურჟუაზიის ნამდვილი ინტერესებისათვის, ოღონდ უფრო პერსპექტიული, ფართო, მოქნილი ინტერესებისათვის. ისტორიამ ეკისკვნა, რომ ინგლისის ბურჟუაზიის თვალსაზრისით ეს იყო ეონივრული კურსი.

ლიბერალური ბურჟუაზიის მრავალი წარმომადგენლის შეგნებაში ეს იდეოლოგია და ბრძოლა შესაძლოა, სულ სხვაგვარად გამოხატულიყო. მაგ წარმოეგინათ (თუმცა შესაძლებელია სუბიექტურად სრულიად პატიოსნად), რომ ლაპარაკია ჰუმანიზმისა და პროგრესის მუდმივ იდეალებზე, ამ პროგრესისათვის ადამიანების თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე, თავისუფლებაზე და შემწყნარებლობაზე, როგორც აბსოლუტურ ფასეულობაზე. ვფიქრობთ, ამგვარად უნდა აიხსნას ჯონ სტიუარტ მილის ფსიქოლოგია და სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობა. უსულგულო ნაღდი ფულის სამყარო სრულიად არ იყო მისთვის სასიამოვნო, მაგრამ იგი იმედოვნებდა, რომ ამ ცხოვრების ყველა ბნელი მხარე თანდათანობით წარსულს ჩაბარდებოდა. ის დაინტერესებული იყო სოციალიზმითაც კი, რა თქმა უნდა ევოლუციურით, შერყევებისა და კლასობრივი ბრძოლის გარეშე. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მილი „საძულველი შუაგულის“ იდეების მატარებელი, კომპრომისებისა და ეკლექტიკების ოსტატი იყო. იგი ცდილობდა კაპიტალის პოლიტიკური ეკონომიის შესამებას მუშათა კლასის მისწრაფებასთან იმ უფლებებისათვის, რომელთა იგნორირება უკვე შეუძლებელი იყო.

საინტერესოა ჯონ მილის პიროვნება — იგი დაიბადა ლონდონში 1806 წ. იყო ჯემს მილის — ფილოსოფოსის, ეკონომისტის, რიკარდოს მეგობრის — უფროსი ვაჟიშვილი. ულმობლობამდე მკაცრმა და დოგ-

მატურობამდე პრინციპულმა ჯემს მილმა გადაწყვიტა აღზრდის საკუთარი სისტემა გამოეყენებინა შვილის მიმართ. ბავშვის „სამუშაო დღე“ ზუსტად იყო განაწილებული. მერვე წლისათვის ბიჭუნას მიერ წაკითხული წიგნების სია იწვევს გაოცებას. მან არ იცოდა არც სათამაშოები, არც ზღაპრები, არც თანატოლებთან თამაში. — ყოველივე ეს შეცვალა მამასთან ერთად სეირნობის დროს წაკითხული წიგნების შესახებ ანგარიშის ჩაბარებამ, ხოლო მოგვიანებით — პატარა და-ძმებთან მეცადინეობამ. ბავშვი ნამდვილ ვუნდერკინდად გადაიქცა, რომელიც მუდამ აოცებდა თავისი ცოდნით მამა მილის მეგობრებსა და ნაცნობებს. კითხვისა და გონებრივი შრომის ჩვეულება უკვე მისი ნატურის შემადგენელ ნაწილად იქცა. იგი დამოუკიდებლად სწავლობს უმაღლეს მათემატიკას, ბუნებისმცოდნეობას. მაგრამ მისი საყვარელი საგანი მაინც ისტორია იყო. იგი წერს თხზულებებს, წაკითხულის შინაარსს და ზოგჯერ უძველესი და ახალი ავტორების შესახებ აკეთებს კრიტიკულ კომენტარებს. მამის სიმკაცრე არა თუ მცირდება, პირიქით, ძლიერდება. ჯემს მილი ბიჭუნასაგან მოითხოვდა მომწიფებულ და დამოუკიდებელ აზროვნებას, მას უყვარს შესასრულებლად შეუძლებელი დავალებების მიცემა. ვაჟიშვილმა ყოველთვის უნდა იფიქროს, რომ რაც მან იცის, შეუძლია და გაეკეთება, მეტად ცოტაა. და შვილიც ფიქრობს ასე, იმიტომ, რომ იგი თითქმის ჩამოშორებულია თავისი ასაკის ბავშვებისა და მოზარდების საზოგადოებას. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ფართო სარბიელზე გამოვიდა, იგი შეიცნობს თავის უპირატესობასაც და ტრაგიკულ ნაკლსაც...

13 წლის მილი-უმცროსი მამასთან ერთად გადის პოლიტიკური ეკონომიის კურსს. მამა მას ლექციებს უკითხავს, ისინი დეტალურად განიხილავენ რთულ საკითხებს, შვილი წერს რეფერატებს. მოგვიანებით ჯონ სტიუარტ მილი მოგვითხრობს: „რადგანაც მუდმივად ვმონაწილეობდი მამის მეცნიერულ მუშაობაში, მე ვიცნობდი მის ყველაზე ახლო მეგობარს — დავიდ რიკარდოს, თავისი კეთილმოსურნე მონაწილეობით, თავისი გულკეთილობით და შემწყნარებლობით მან მეტად დაიახლოვა ახალგაზრდობა. მას შემდეგ, რაც მე მეცადინეობა დავიწყე პოლიტიკურ ეკონომიაში, იგი მეპატიჟებოდა თავისთან და სეირნობის დროს მესაუბრებოდა ამ მეცნიერების პრობლემების შესახებ“[1].

1822 წ. მილმა გამოაქვეყნა თავისი პირველი შრომები პოლიტიკურ ეკონომიაში — ორი მცირე სტატია ღირებულების შესახებ. იგი ოცნებობდა პოლიტიკური კარიერის შესახებ, მაგრამ მამამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მომდევნო წელს ჯონმ დაიკავა ყველაზე დაბალი კლერკის ადგილი ოსტ-ინდოეთის კომპანიის განყოფილებაში, რო-

[1] J. St. Mill. Autobiography. L., 1944, p. 38.

შელსაც გახაგებდა ჯემს მილი და დაიწყო აღმასვლა სამსახურებრივ კიბეზე. პირველ წლებში სამსახური ძალიან არ უშლიდა ხელს მჩქეფარე ინტელექტუალურ მოღვაწეობას. მიჩვეული იყო დღე-ღამეში ემუშავა 14 საათი და განაგრძობდა კითხვასა და წერას თავისათვის და დასაბეჭდად, ამეცადინებდა და-ძმებს. მილი თვით უწოდებდა თავის თავს მოაზროვნე მანქანას, მაგრამ ხელოვნურს. წმინდა ინტელექტუალურმა ატმოსფერომ ვერ შეძლო ახალგაზრდისათვის შეეცვალა მთელი ცხოვრების სირთულე — გრძნობების, სურვილების, შთაბეჭდილებების ბუხებრივი სამყარო. ამის შედეგი იყო ნერვული კრახი, იმედის გაცრუება, ფიქრები თვითმკვლელობაზე.

1830 წ., როცა მილი გაეცნო და დაუმეგობრდა ქალბატონ ჰარიეტ ტეილორს, შეძლებული ლონდონელი ვაჭრის 22 წლის ლამაზსა და ჭკვიან მეუღლეს, ორი შვილის დედას, განიკურნა შავი მელანქოლიისაგან. მილმა და ტეილორმა შექმნეს მეცნიერთა და ლიბერალურად განწყობილ ადამიანთა წრე. თანდათანობით იგი გახდა მილის უახლოესი თანამშრომელი, მისი თხზულებების პირველი მკითხველი და კრიტიკოსი.

30-იან წლებში მილი გამოსცემდა პოლიტიკურ ჟურნალს, რომელიც საყვირი იყო „ფილოსოფიური რადიკალებისა"—ვიგების ყველაზე მემარცხენე დაჯგუფებისა იმდროინდელ პარლამენტში. 1843 წ. გამოიცა მისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება — „ლოგიკის სისტემა", 1844 წ. — „ცდები პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხზე". ეს შრომა შეიცავს ძირითადად იმ ახალს, რაც მილიმ შეიტანა მეცნიერებაში, მაშინ როცა მისი დიდი მოცულობის „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" (1848 წ.) ოსტატურ კომპილაციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, — ან, უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამის წყალობით, — მილის წიგნს არნახული წარმატება ჰქონდა, მისი სიცოცხლის მანძილზე შვიდჯერ გამოიცა, ითარგმნა მრავალ ენაზე.

ქმრის გარდაცვალებამ ჰ. ტეილორსა და მილის 1851 წ. მისცა ქორწინების შესაძლებლობა. მძიმედ ავადმყოფმა ქალბატონმა მილმა კიდევ რვა წელს იცოცხლა. მილი, რომელსაც თავადაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, წარმოადგენდა თავდადებისა და სტოიციზმის ნიმუშს. როცა კითხულობ მილის „ავტობიოგრაფიას" და მიმოწერას, მისი პირადი ნაცნობების მოგონებებს, განიცდი წინააღმდეგობრივ გრძნობებს. ის სუსტი ადამიანი იყო; შესაძლებელია, ამაში დამნაშავეა მისი აღზრდა. არსებითად მთელი მისი ცხოვრება 20 წლის მანძილზე შუდმივად იყო მძიმე, ზოგჯერ მტანჯველი და დამამცირებელი კომპრომისების პერიოდი. იგი ერთდროულად ებრძოდა მაღალი საზოგადოების წესებს და მისი მეტისმეტად ძლიერი რღვევაც არ უნდოდა. ეს ძეტად დამახასიათებელია მილის პიროვნებისათვის. პირად ცხოვ-

რებაში, ისევე როგორც მეცნიერებასა და პოლიტიკაში, მილს არ შეეძლო ხიხაღმდეგობებს გამკლავებოდა, ერთი დარტყმით გადაეჭრა კვახქები. იგი ამჯობინებდა ეცხოვრა ფრთისქვეშ თავამოდებული სირაქლემას მსგავსად. მან თავისთვის შეიქმნა განსაკუთრებული, იზოლირებული ინტელექტუალური სამყარო და მასში მეტად თუ ნაკლებად მშვიდად გრძნობდა თავს. როგორც ერთხელ კარლეილმა შენიშნა, ეს იყო უბედური ადამიანი, რომელსაც თავისი თავი ძლიერ ბედნიერი ეგონა.

მეორე მხრივ, მილის მორალურ სახეს არ შეიძლება პატივისცემით არ მოეპყრო. ის თავისებურად პრინციპული და თანამიმდევრული იყო. უნდა გვახსოვდეს, რომ მილი და ჰარიეტ ტეილორი ლიტერატურულ ბოჰემას კი არ ეკუთვნოდნენ, არამედ ვიქტორიანული ეპოქის რესპექტაბელურ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც შეუბრალებელი იყო „ზრდილობის წესების“ დარღვევისადმი.

1858 წ. დასრულდა მილის სამსახური ოსტ-ინდოეთის კომპანიაში. მომდევნო წლებში მილმა გამოაქვეყნა რამდენიმე პოლიტიკური და ფილოსოფიური თხზულება, მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიაში იგი ფაქტობრივად უკვე აღარ მუშაობს, თუ არ ჩავთვლით „პრინციპების“ ახალ გამოცემებს. იგი ავითარებდა ბურჟუაზიული დემოკრატიის იდეებს („თავისუფლების შესახებ“), გამოდიოდა ქალის უფლებების დასაცავად („ქალების დამორჩილების შესახებ“). მილი რამდენიმე წელი იყო პარლამენტის წევრი. მორიგ არჩევნებში დამარცხების შემდეგ იგი საფრანგეთს გაემგზავრა, სადაც გარდაიცვალა 1873 წ.

კომპრომისების პოლიტიკური ეკონომია

მარქსმა და ჩერნიშევსკიმ თითქმის ერთდროულად მოგვცეს ერთმანეთის მსგავსი ზოგადი დახასიათება მილის, როგორც პოლიტეკონომისა. მარქსს მოყავს ციტატა, სადაც მილი ლაპარაკობს კაპიტალიზმის დროს განაწილების უსამართლობაზე და „კაპიტალის“ პირველ ტომში მიუთითებს: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავ, რომ თუ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ჯ. სტ. მილი და მისი მსგავსნი, ღირსნი არიან განკიცხვისა იმ წინააღმდეგობებისათვის, რომელიც არსებობს მათ ძველებურ ეკონომიკურ დოგმებსა და მათ თანამედროვე ტენდენციებს შორის, სამაგიეროდ სრულიად უსამართლო იქნებოდა მათი ერთ ხროვაში არევა ვულგარულ ეკონომისტ-აპოლოგეტებთან“[1].

მილი მეცნიერულია იმდენად, რამდენადაც იგი ეყრდნობა სმიტისა და რიკარდოს მიერ ჩაყრილ საფუძველს და რამდენადაც იგი ნამდვილ პროცესებს შეგნებულად არ აყალიბებს ბურჟუაზიის გულის მოსაგებად. მაგრამ მილი არ ავითარებს კლასიკოსებს, პირიქით, უსაფა-

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I., თბ., 1954, გვ. 770.

გებს მათ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის უკვე ჩამოყალიბებულ დონეს. იგი მალთუსის, სეის და სენიორის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ამასთან დაკავშირებით მარქსი წერდა მილის ეკლექტიზმზე, იმაზე, რომ მას არ გააჩნია თანამიმდევრულად მეცნიერული მსოფლმხედველობა და მილის თხზულებებს ახასიათებდა როგორც „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრებას“. მილიმ განვითარებული ფორმა მისცა „კომპრომისულ პოლიტიკურ ეკონომიას“, რომელიც კაპიტალის ინტერესების მუშათა კლასის მოთხოვნებთან შეხამებას ცდილობდა.

მილის „პრინციპების“ მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ იგი XIX საუკუნის შუა ხანებში ტრაქტატის საუკეთესო ნიმუშია, სადაც პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება მთლიანობაშია განხილული. 1890 წ. მარშალის „ეკონომიკის პრინციპების“ გამოქვეყნებამდე ეს იყო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა. შუმპეტერი აღტაცებულია ვიქტორიანული ეპოქის თავისუფალი სულით, თხზულებას, რომელშიც გამოხატულია მუშათა კლასისადმი გარკვეული სიმპათია, გაკიცხულია ფულის კულტი და არ არის უარყოფილი სოციალიზმი, შეუძლია იქცეს ბურჟუაზიის სახარებად. საქმე მხოლოდ თავისუფალ სულში არ არის. მილის წიგნში მთავარი ის კი არ იყო, რომ ის კაპიტალიზმს აკრიტიკებდა, არამედ ის, რომ იგი მასში ხედავდა სრულყოფის და რაღაც ბურჟუაზიისათვის უვხებელ ეკოლუციურ სოციალიზმთან მშვიდობიანი შეჭრდის პერსპექტივებს. ჯონ სტიუარტ მილის დამსახურება ბურჟუაზიის წინაშე ალბათ უფრო მეტია, ვიდრე დამსახურება მრავალი შუბლმაგარი კონსერვატორისა და პირდაპირი აპოლოგეტისა, რომელნიც ყოველთვის საკმარისად მრავლად იყვნენ. მილი XX ს-ის ინგლისის ლეიბორიზმის ეკონომიკური და სოციალური იდეების წინამორბედია.

არცთუ იშვიათად ჩვენს ლიტერატურაში ფიგურირებს რიკარდოს ძემდგომი XIX ს.-ის ეკონომიკური მეცნიერების ევოლუციის მეტისმეტად ზუსტი და გამარტივებული სქემა. იგი წარმოდგენილია როგორც ვულგარიზაციის უწყვეტი და „გლუვი“ პროცესი: ინგლისში ეს არის რიკარდო — მაკ-კულოხი — სენიორის ხაზი; საფრანგეთში კი — ფიზიოკრატები (და ადამ სმიტის გავლენა) — სეი — ბასტიას ხაზი. ამ სქემაში მილისათვის თავისი მერყეობებითა და კომპრომისებით უბრალოდ აღარ არის ადგილი.

მაგრამ, როგორც კარგადაა ცნობილი, მარქსი მრავალჯერ იზიარებდა აზრს იმის შესახებ, რომ XIX ს-ის 20-იანი წლების შემდეგ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია გაიყო ორ დიდ ნაკადად: ერთ მხრივ, აშკარა აპოლოგეტიკა, მეორე მხრივ — საშუალო გზის მოძებნის ცდა „კაპიტალის ღვთაებრივ უფლებასა“ და მუშების ინტერესს

შორის. ამასთან, ორივე მიმართულება არ იყო ერთგვაროვანი. მეორე მათგანი იძლეოდა ობიექტური მეცნიერული კვლევის გარკვეულ შესაძლებლობებს. ასეთი გამოკვლევა შეიძლებოდა აუცილებელიც კი ყოფილიყო რეფორმისტული პროგრამების დასაბუთებისათვის.

„ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის" ცნებას მარქსი მჭიდროდ უკავშირებდა წარმოების (ყბადაღებული ტრიადის) ფაქტორების თეორიას და აპოლოგეტურ განხილვას შემოსავლებისა — ხელფასის, მოგებისა და რენტისა როგორც იმ ფაქტორების ბუნებრივი ნაყოფი და გასამრჯელო, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციასთან. საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებმაც მოამზადეს „ზედმეტი ღირებულების თეორიების" ახალი გამოცემა, ამასთან დაკავშირებით მოათავსეს ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი მარქსის ხელნაწერის ნაწილი სამტომეულის გამოცემის ბოლოს სათაურით: „შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია". კერძოდ კ. მარქსი წერს: „ვულგარულ ეკონომისტებს — ისინი მკაცრად უნდა განვასხვავოთ მკვლევარ ეკონომისტებისაგან, რომლებიც ჩვენი კრიტიკის საგანს წარმოადგენენ (ხაზგასმა ჩემია — ა. ა.), ფაქტობრივად პოლიტიკური ეკონომიის ენაზე გამოთქვამენ კაპიტალისტური წარმოების ტყვეობაში მყოფ პირთა და ამავე წარმოების მატარებელთა ისეთ წარმოდგენებს, მოტივებს და ა. შ., რომლებშიც კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ თავისი ზერელე გარეგნული სახით აირეკლება"[1]. მაგრამ შემოსავლებისა და მისი წყაროების პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობის მიუხედავად, პოლიტიკური ეკონომია ამით არ ამოიწურება. ისეთი საკითხები, როგორიცაა დაგროვება და მოხმარება, კრიზისები, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ მეცნიერებაში. საჭირო გახდა ეკონომიკური სინამდვილის ბევრი დარგის კონკრეტული გამოკვლევები. მილი ძირითადად იზიარებდა შემოსავლებზე ვულგარულ თვალსაზრისს, მაგრამ მაინც არ შეიძლება მისი შეხედულებების ამით შემოფარგვლა.

მილის მთავარი ეკონომიკური თხზულებანი შედგება ხუთი წიგნისაგან (ნაწილისაგან). ისინი შესაბამისად ეძღვნება წარმოებას, გადანაწილებას, გაცვლას, კაპიტალიზმის პროგრესს და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლს. ყოველივე ეს დაწერილია ჩინებული ინგლისური ენით, მკაფიოდ, ლოგიკურად, ძლიერ გამართულად! აქ ნასახიც კი არ არის რიკარდოს გენიალური წინააღმდეგობებისა, არამედ არის ცდა სხვადასხვა შეხედულებების უბრალოდ ეკლექტიკური გაერთიანებისა.

ღირებულების თეორია, რომლითაც იწყებოდა რიკარდოსა და სმიტის წიგნები, შეტანილია მესამე წიგნში. ეს არაა შემთხვევითი: მი-

---

[1] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. III, თბ., 1975, გვ. 539.

ლისათვის შრომითი ღირებულების თეორია სრულიადაც არ არის ეკონომიკური მოძღვრების საფუძველი, თუმცა ფორმალურად იგი მას არ უარყოფს. მილის მიხედვით ღირებულება მცირეთია დამოკიდებული წარმოებაზე როგორც ასეთზე, იგი წარმოადგენს მხოლოდ გაცვლის, მიმოქცევის სფეროს მოვლენას. ღირებულება მხოლოდ შეფარდებაა. დამახასიათებელი ბოცემული საქონლის სხვა საქონელზე, კერძოდ ფულზე გაცვლისათვის. ეს შეფარდება მყარდება ბაზარზე.

ბურჟუაზიული კლასიკოსებისათვის პეტიდან რიკარდომდე საკითხი საერთოდ ასე იდგა: საცვლელ ღირებულებათა და ფასების ძირითად საფუძველს წარმოადგენს შრომის დანახარჯები, ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმედება კი იწვევს მხოლოდ ამ საფუძვლიდან ამა თუ იმ გადახრას. მილი ფაქტობრივად იშორებს ფასების ძირითად საფუძველს. მის აზროვნებაში რიკარდოსეული ნაკადი იგრძნობა იმაში, რომ საქონელთა ძირითადი მასისათვის მას მისაღებად მიაჩნია წარმოების ხარჯებით ფასების განსაზღვრა. ეს საქონელი „ბუნებრივად და მუდმივად იცვლება ერთმანეთზე მისი წარმოებისათვის გადახდილი ხელფასის შედარებითი რაოდენობის შესაბამისად, და შედარებით მოგების რაოდენობისა, რომელიც უნდა მიიღონ ამ ხელფასის გადამხდელმა კაპიტალისტებმა“[1].

ბაგრამ როცა ცდილობს, თავი დააღწიოს ჩიხს, რომელშიც ექცეოდნენ რიკარდოს უახლოესი მოწაფეები ღირებულების ასეთნაირად გახხილვისას, იგი ფაქტობრივად სცილდება მას და მიდის თვალსაზრისამდე, რომ საქონლის საცვლელი ღირებულება (და ფასი) უბრალოდ მყარდება იმ წერტილში, სადაც თანაბრდება მოთხოვნა და მიწოდება. ორივე მიდგომის შერიგებას მილი ცდილობდა იმაზე მითითებით, რომ ხარჯები უნდა განვიხილოთ როგორც საქონლის მიწოდების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

როგორც უკვე ითქვა, ღირებულების ეკლექტიკური განხილვა შემდგომში შეითვისა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. კლასიკოსების საკითხი ფასების ძირითადი საფუძვლის შესახებ, არსებითად შეიცვალა სხვა კითხვით: როგორ განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის წონასწორობის პირობების შესაბამისი ფასები. მარქსისეული კოხცეფცია იძლევა პასუხს ამ კითხვაზე, მას არ სწყვეტს, არამედ, პირიქით, ემყარება შრომითი ღირებულების მყარ საფუძველს (კონკურენციისა და წარმოების ფასის თეორია). მილმა კი გადადგა ნაბიჯი პირველი კითხვის მეორისაგან ჩამოსაშორებლად. ეს იყო მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ფასწარმოქმნის ფორმალური ანალიზის ჩანასახი, რომელიც საუკუნის ბოლოს განავითარეს სხვა ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა.

---

[1] St. Mill. Principles of Political Economy with Some of their Applications to Cocial Philosophy L., 1873, p. 291.

მილის ღირებულების თეორია თითქმის მთლიანადაა მოკლებული იმ სოციალურ შინაარსს, რაც მას აქვს სმიტთან და რიკარდოსთან. ეს უკვე იქიდანაც კი ჩანს, რომ იგი განაწილებისა და შემოსავლების საკითხებს გადმოსცემს ღირებულების განხილვამდე. სმიტისა და რიკარდოსათვის ეს სრულიად შეუძლებელი იყო, რადგან საკითხი ეხებოდა სწორედ შექმნილი და შრომით გაზომილი ღირებულების განაწილებას სწორედ ამიტომ ისინი მიუახლოვდნენ ზედმეტი ღირებულების გაგებას, როგორც ეამონაქვითისა პროდუქტის სრული ღირებულებიდან კაპიტალისტისა და მიწათმფლობელის სასარგებლოდ.

ასეთი შიდგომა მთლიანად უცხო არ იყო მილისათვის. რიკარდოს გავლენით იგი წერს — კაპიტალისტის მოგება წარმოდგება იქიდან, რომ შრომა უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მისი შენახვა ჯდება. მაგრამ ეს ძაინც რჩება მხოლოდ მასწავლებლის მიმართ სიტყვიერ ხარკად. სინამდვილეში იგი ღებულობს მოგების ახსნას კაპიტალისტის ეავშეკავებით. რაც შეეხება განაწილების რაოდენობრივ მხარეს, სამი ფაქტორიდან თითოეულის წილს, ე. ი. არსებითად კლასებს, მილს ამ საკითხზე საერთოდ არ ჰქონდა ნათელი კონცეფცია. მას უნდოდა მიჰყოლოდა რიკარდოს პოზიციებს და ამბობდა, რომ რენტის წილი განისაზღვრება მიწის კლებადი ნაყოფიერების კანონით და უცუდესი მიწების დამუშავებაზე გადასვლით, და ამიტომ აქვს ზრდის ტენდენცია. ხელფასის წილი პრაქტიკულად სტაბილურია, რადგან განისაზღვრება ეგრეთ წოდებული მუშათა ფონდით. მოგება ფაქტობრივად წარმოადგენს ხაშთს, რომელიც რაოდენობრივად ძეტად განუსაზღვრელია.

მუშის ფონდის თეორია ბატონობდა მთელ რიკარდოსშემდგომ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში თითქმის XIX ს-ის ბოლომდე. ჰის მომხრეებს დიდი ქვეყნის სახალხო მეურნეობა წარმოედგინათ, როგორც ფერმა, რომლის პატრონი იმარაგებს პროდუქტებს მთელი წლისათვის თავისი მოჯამაგირეების გამოსაკვებად. რაც მოიმარაგა, იმაზე მეტის მიცემა მათთვის არ შეუძლია. ფერმერიც ასევე არ მოიმარაგებს იმაზე მეტ საჭმელს, რაც აუცილებლად სჭირდებათ მოჯამაგირეებს ძის ხაკვეთზე მუშაობისათვის. ამ მოდელის საზოგადოებაში გადატანით აღმოჩნდა, რომ იგი ყოველთვის განაგებს საცხოვრებელი საშუალებების ძლიერ შეზღუდულ და ფაქტობრივად სტაბილურ ფონდს, რომელსაც იმარაგებენ („ზოგავენ") კაპიტალისტები, რათა შეინახონ თავიანთი მუშები. ხელფასი განისაზღვრება ამ ფონდის მარტივი გაყოფით მუშათა რიცხვზე. მიღებული სურათი ჰგავდა ზემოთ ხსენებულ „ხელფასის რკინის კანონს": თუ მუშათა ფონდი მუდმივი სიდიდეა, მაშინ არავითარ ძალას არ ძალუძს მუშათა კლასს მისცეს მისი მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესება, უკიდურეს შემთხვევაში მუშათა ერთ ჯგუფს შეუძლია მოიგოს მხოლოდ მეორის ხარჯზე. როგორც შენიშნავს მუშათა ფონდის შესახებ სტატიის ავტორი პალგრეივი „პოლიტიკური ეკონომიის

ლექსიკონში“ (ეს სოლიდური გამოცემა გამოქვეყნდა XIX ს-ის ბოლოს), ამ თეორიაში უნდა დავინახოთ ოფიციალური მეცნიერებისადმი ინგლისელი მუშების მტრობის ერთ-ერთი მიზეზი.

თავისი თავის ერთგული, ჯონ სტიუარტ მილი, ერთ გვერდზე იძლეოდა მუშათა ფონდის თეორიის ფორმულირებას, მეორეზე კი ლაპარაკობდა კაპიტალიზმის დროს მუშათა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი აწევლების შესაძლებლობაზე. 1869 წ. ერთ-ერთ თავის სტატიაში მან პირდაპირ უარი თქვა ამ თეორიაზე, მაგრამ „პრინციპების“ ახალ ვამოცემაში ძალაში დატოვა ძველი პოზიცია.

კომპრომისები, შეურიგებელთა შერიგებ-საკენ მიდრეკილება ბოლომდე ახასიათებდა ამ ადამიანს.

მეთხუთმეტე თავი

ეკონომიკური რომანტიზმი: სისმონდი

შვეიცარიელი ეკონომისტის სისმონდის შრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. შრომაში — „ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის (სისმონდი და ჩვენებური სისმოხდისტები)" — ვ. ი. ლენინი წერდა: „პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში სისმონდის განსაკუთრებული ადგილი უკავია, განზე დგას რა მთავარი მიმდინარეობისაგან, რომ იგი წვრილი წარმოების თავდადებული მომხრეა და პროტესტით გამოდის მსხვილი მეწარმეობის დამცველებისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ..."[1].

სისმონდისა და მისი იდეების როლი, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრება იმით, რომ სამრეწველო რევოლუციისა და კაპიტალიზმის ტრიუმფული მსვლელობის ეპოქაში იგი პირველი გამოვიდა როგორც ამ საზოგადოებრივი სისტემისა და მისი ეკონომიკური მექანიზმის ღრმა და გამჭრიახი კრიტიკოსი. ეს იყო კრიტიკა წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან, მაგრამ სწორედ ასეთმა იდეოლოგიურმა პოზიციამ მისცა შესაძლებლობა, კაპიტალიზმის განვითარებაში დაენახა წინააღმდეგობები და პრობლემები, რომელთაც უგულებელყოფდა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი წარმომადგენელი რიკარდო. სისმონდი იყო მარქსამდელი პერიოდის პირველი დიდი ეკონომისტი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა გაბატონებული დოგმა კაპიტალიზმის ბუნებრივობისა და მარადიულობის შესახებ. პოლიტეკონომიას იგი უყურებდა არა როგორც მეცნიერებას ბურჟუაზიული სიმდიდრისა და მისი გადიდების საშუალებების შესახებ, არამედ როგორც მეცნიერებას სოციალური მექანიზმის სრულყოფის და კაცობრიობის ბედნიერების ინტერესების შესახებ. სისმონდის თხზულებანი აღსავსეა ახალდაბადებული პროლეტარიატისა და და სხვა მშრომელი მასების მძიმე ბედისადმი გულწრფელი თანავრძნობით. მან აღადგინა, ახლებურად გაიაზრა ძველი რომაული

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 147.

ტერმინი და შემოიტანა თვით სიტყვა „პროლეტარიატი“ ახალი დროის სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში.

სისმონდის თხზულებებში, რომელიც გამოირჩევა ნათელი და სხარტი ლიტერატურული სტილით, აისახა მისი როგორც ჰუმანისტისა და რადიკალის პიროვნება, რომელიც გულწრფელად თანაუგრძნობდა მშრომელ ხალხს და ეძებდა მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

სისმონდი არ იყო მარქსის წინამორბედი იმ აზრით, როგორც რიკარდო. მარქსის ეკონომიკური მოძღვრების ბირთვია ზედმეტი ღირებულების თეორია და ამ დარგში სისმონდი ნაკლებ ორიგინალურია. იგი არსებითად ვერ გასცილდა სმიტს. მაგრამ სისმონდის მიერ მოცემულმა კრიტიკამ, კრიზისების მისმა ანალიზმა, უეჭველია, გარკვეული როლი შეასრულა მარქსიზმის ფორმირებაში. კ. მარქსის მრავალ თხზულებაში ჩვენ ვხვდებით ჟენეველი ეკონომისტის იდეების ღრმა და შინაარსიან შეფასებას.

ჟენევის მოჟალაქე

ჟან შარლ ლეონარ სისმონდ დე სისმონდი დაიბადა 1773 წ. ჟენევის გარეუბანში. მისი წინაპრები წარმოშობით ჩრდილოეთ იტალიიდან იყვნენ, დიდხანს ცხოვრობდნენ საფრანგეთში, ხოლო მოგვიანებით, კალვინიზმის მიღების შემდეგ რელიგიური დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, გადასახლდნენ ჟენევაში. ეკონომისტის მამა კალვინისტების მოძღვარი იყო; მისი ოჯახი შეძლებული იყო და მიეკუთვნებოდა ჟენევის არისტოკრატიას.

XVIII ს-ში ჟენევა იყო პატარა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც შვეიცარიის დანარჩენ კანტონებთან მხოლოდ საკმაოდ მერყეევი კაშირებით იყო დაკავშირებული. თავისი დიდი თანამემამულის და ერთგვარად მასწავლებლის — რუსოს მსგავსად, სისმონდი, მისი ერთ-ერთი ბიოგრაფის სიტყვებით. ღაბადებით და გრძნობებით ჟენეველი იყო, ხოლო ფრანგი — აზროვნების ბუნებით და შრომების მიმართულებით. სისმონდის ყველა მეცნიერული შრომა დაწერილია ფრანგულად და, როგორც წესი, პარიზშია გამოცემული და იგი შეიძლება მივიჩნიოთ კიდეც ფრანგული ეკონომიკური აზრის წარმომადგენლად.

სისმონდის იდეათა ფესვები ერთგვარად შეიძლება დავინახოთ იმ შშვიდობიან პატრიარქალურ გარემოში, რომელშიც მან გაატარა თაკისი ბავშვობა და ყრმობა. მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა რწმენა, რომ ბედნიერება ყველაზე ხშირად შედის პატიოსანი მშრომელი ხელოსნებისა და ფერმერების ოჯახებში და გაურბის დიდ ქალაქებს, მის ფაბრიკებს, სავაჭრო კანტორებს და ბანკებს. მაგრამ

სწორედ ეს პატრიარქალური ცხოვრება ბარდებოდა წარსულს, რომელსაც ანგრევდა სამრეწველო გადატრიალება, ხელოსნობა ადგილს უთმობდა საფაბრიკო წარმოებას, ხოლო თავისი ოსტატობით და მცირე ქონებით გაამაყებული დამოუკიდებელი ხელოსნობა — ღატაკ პროლეტარს.

18 წლის სისმონდი, რომელსაც განათლების მიღება არ ჰქონდა დასრულებული, იძულებული იყო გამგზავრებულიყო ლიონს და იქ დაეწყო მუშაობა კანტორის მოსამსახურედ ვაჭართან, რომელთანაც მისი მამა მეგობრობდა. იაკობინელთა რევოლუციამ მალე ლიონამდეც მიაღწია, შემდეგ კი მოიცვა ჟენევაც, რომელიც ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელ საფრანგეთთან. სისმონდის ოჯახმა დაიწყო ხეტიალი. 1793 წ. დასაწყისში ისინი ინგლისში ჩავიდნენ. სადაც იცხოვრეს წელიწადნახევარი. დაბრუნების შემდეგ მათ კვლავ მოუხდათ გაქცევა — ამჯერად ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც მალე ასევე ოკუპირებული იყო ფრანგების მიერ. ხუთი წლის მანძილზე სისმონდი — უმცროსი ტოსკანაში იყო მმართველი პატარა ფერმისა, რომელიც გაქცევის დროს გადარჩენილი ფულით შეიძინეს. ამ მშფოთვარე წლებში იგი რამდენიმეჯერ მოხვდა სხვადასხვა ციხეში როგორც პოლიტიკურად საეჭვო პიროვნება. სისმონდის ოჯახი სამშობლოში მას შემდეგ დაბრუნდა, როცა ჟენევა (1798 წ.) საფრანგეთის ოფიციალურ ნაწილად იქცა. სადაც პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ „აღადგინა კანონიერება და წესრიგი“.

ახალგაზრდა სისმონდის ნიჭი და მიდრეკილება ამ დროისათვის საკმაოდ გამოიკვეთა. 1803 წ. იგი აქვეყნებს ნაშრომს პოლიტიკურ ეკონომიაში — „კომერციული სიმდიდრის შესახებ“, რომელშიც იგი ადამ სმიტის მოწაფე და მისი იდეების მქადაგებელია.

სისმონდი შედის მეცნიერებისა და მწერლების წრეში, რომელნიც შემოკრებილნი იყვნენ მწერლისა და საზოგადოებრივი მოღვაწის, პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არაჩვეულებრივი ქალის — ქალბატონ დე სტალის ირგვლივ. სისმონდი დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ქალბატონ დე სტალის მამულში, თან ახლდა მას მოგზაურობაში. სტალთან და მასთან დაახლოებული მწერლების ლიტერატურულმა რომანტიზმმა, როგორც ჩანს, ვარკვეული გავლენა მოახდინა სისმონდზე. სისმონდის საქმიანობის ძირითადი დარგი ისტორია იყო. მან დაწერა „იტალიის რესპუბლიკების ისტორიის“ მრავალტომეული. 1813 წელს სისმონდი პარიზს გაემგზავრა, სადაც თვალს ადევნებდა ნაპოლეონის დაცემას, ბურბონების რესტავრაციას და ასი დღის ტრაგედიას. ამ მოვლენებმა იგი ნაპოლეონის მოწინააღმდეგიდან მის მომხრედ აქცია: იმედოვნებდა, რომ ახალი იმპერია განახორციელებდა თავისუფლებისა და ბედნიერების საკმაოდ ბურუსით მოცულ მის იდეალს.

ნაპოლეონის საბოლოო დამარცხების შემდეგ სისმონდი დაბრუნდა ჟენევაში, რომელიც კვლავ შვეიცარიის ნაწილი გახდა. ამ წლებში ჩამოყალიბდა სისმონდის სოციალურ-ეკონომიკური იდეები, რომელნიც მან გადმოსცა 1819 წ. გამოქვეყნებულ წიგნში — „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები ანუ სიმდიდრისა და მისი ხალხთმოსახლეობასთან დამოკიდებულების შესახებ". ეს სისმონდის მთავარი წვლილია ეკონომიკურ მეცნიერებაში. წიგნმა მალე ევროპაში ცნობილ ეკონომისტად გახადა იგი. 1827 წ. სისმონდიმ გამოაქვეყნა მისი მეორე გამოცემა, სადაც უფრო გამახვილებული იყო მისი პოლემიკა რიკარდოს სკოლასთან ინგლისში და სეის სკოლასთან საფრანგეთში. 1825 წ. ეკონომიკურ კრიზისს იგი თავისი სიმართლის და საყოველთაო ჰარბწარმოების შეუძლებლობის შესახებ მცდარი შეხედულებების დამადასტურებლად თვლიდა. ეს წიგნი, როგორც სისმონდი წერდა, აღმოცენდა არა იმდენად სხვა მეცნიერთა ნაშრომების გაღრმავებული შესწავლის შედეგად, რამდენადაც ცხოვრებისეული დაკვირვებებიდან, რომლებმაც დაარწმუნა იგი „ოლიგოდოქსული" მეცნიერების თვით საფუძვლების მცდარობაში.

სისმონდიმ განაცხადა, რომ წარმოება არაა თვითმიზანი, რომ ეროვნული სიმდიდრე, არსებითად, არ არის სიმდიდრე, რადგან ნოსახლეობის დიდ უმრავლესობას მისგან ხვდება უბადრუკი ნამცეცები. მსხვილი მრეწველობის გზა დამღუპველია კაცობრიობისათვის. სისმონდი მოითხოვდა, პოლიტიკურ ეკონომიას თავისი აბსტრაქტული სქემების მიღმა დაენახა ადამიანი. სისმონდის წიგნი აღსავსე იყო კეთილშობილური ჰუმანიზმითა და კაპიტალიზმის მანკიერებათა მკვეთრი კრიტიკით.

1819 წ. სისმონდი ახალგაზრდა ინგლისელ ქალზე დაქორწინდა. შვილი არ ჰყოლიათ. დარჩენილი ცხოვრება მან მშვიდად გაატარა თავის პატარა მამულში ჟენევის მახლობლად. თავდავიწყებით მუშაობდა გრანდიოზულ „ფრანგების ისტორიაზე". გამოცემული იყო 29 ტომი, მაგრამ მან ეს შრომა ვერ დაასრულა. სისმონდიმ გამოაქვეყნა, აგრეთვე, რიგი სხვა ისტორიული და პოლიტიკური თხზულებებისა.

სიცოცხლეში სისმონდი უფრო ისტორიკოსად ითვლებოდა, ვიდრე ეკონომისტად. ეს იყო დაუღალავი მშრომელი. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საწერ მაგიდასთან ატარებდა ყოველდღიურად რვა საათს და ხშირად მეტსაც კი. მისი გართობა იყო სეირნობა და საუბარი მრავალრიცხოვან მეგობრებთან და სტუმრებთან, რომლებიც სიამოვნებით იყრიდნენ თავს მის სტუმართმოყვარე ოჯახში. სისმონდი გარდაიცვალა 1842 წ. 69 წლის ასაკში.

სისმონდის მიერ კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკა არ უნდა გავიგოთ პრიმიტიულად. საეჭვოა, რომ სისმონდის მედუქნე და კუსტარი ხელოსანი წარმოდგენილი ჰყოლოდა ქმნილების მწვერვალად. მაგრამ ის არ იცნობდა სხვა კლასს, რომელთანაც შეეძლო დაეკავშირებინა თავისი იმედები კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის. იგი ხედავდა სამრეწველო პროლეტარიატის უბედურებას და ცოტას არ წერდა მის მძიმე მდგომარეობაზე, მაგრამ სრულად არ ესმოდა მისი ისტორიული როლი. სისმონდის მოღვაწეობა დაიწყო ეპოქაში, როცა ყალიბდებოდა უტოპიური და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იდეები. თუმცა იგი არ იყო სოციალისტი, მაგრამ კაპიტალიზმის სისმონდისეულ კრიტიკას ეპოქამ მისცა სოციალისტური ხასიათი. სისმონდი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ფუძემდებელი აღმოჩნდა უპირველეს ყოვლისა საფრანგეთში და გარკვეული ზომით ინგლისშიც. მარქსმა და ენგელსმა ეს უკვე აღნიშნეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

სისმონდიმ თავისი თეორიის ცენტრში დააყენა ბაზრების, რეალიზაციის და კრიზისების პრობლემები და მჭიდროდ დაუკავშირა იგი ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის განვითარებას მშრომელი მასების პროლეტარებად გადაქცევის ტენდენციით. ამით მან ზუსტად მიაღწია მიზანს, ხელი ჩაჰკიდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც შემდგომში საშიშ სნეულებად იქცა. სისმონდიმ ვერ გადაჭრა კრიზისების პრობლემა, მაგრამ მან ამ პრობლემის დაყენებით გადადგა ნაბიჯი წინ თავის თანამედროვეებთან შედარებით. ვ. ი. ლენინი, როცა მეცნიერების საგანძურში სისმონდის წვლილს აფასებდა, წერდა: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ გამოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი დავალებანი წინამორბედებთან შედარებით“[1].

წინააღმდეგ სმიტი-რიკარდოს სკოლისა, რომელიც კაპიტალიზმის ძირეულ პრობლემად დაგროვებას თვლიდა და უგულებელყოფდა რეალიზაციის პრობლემას. სისმონდიმ წინა პლანზე წამოწია წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის და ამასთან დაკავშირებით ბაზრის და რეალიზაციის პრობლემა. რიკარდოსა და მისი მიმდევრებისათვის ეკონომიკური პროცესი იყო წონასწორული მდგომარეობის უსასრულო სერია, ხოლო ერთი ასეთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდა ავტომატური „შეგუების“ გზით. სისმონდი, პირიქით, ყურადღებას ამახვილებდა ამ გადასვლებზე, ე. ი. ეკონომიკურ კრიზისებზე. როგორც ცნობი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.

ლია, მოთხოვნის მიწოდებასთან ავტომატური შეგუების და საერთო ჭარბწარმოების შეუძლებლობების თეზისმა, პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში მიიღო „სეის ბაზრების კანონის“, ან უბრალოდ, „სეის კანონის“ სახელწოდება. სისმონდი მისი მტკიცე მოწინააღმდეგე იყო.

კაპიტალიზმის სისმონდისეული მოდელი შემდეგში მდგომარეობდა. რადგანაც წარმოების მამოძრავებელ ძალასა და მიზანს მოგება წარმოადგენს, კაპიტალისტები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოგება გამოსწოვონ თავის მუშებს. გამრავლების ბუნებრივი კანონების შედეგად შრომის მიწოდება ქრონიკულად სჭარბობს მოთხოვნას, რაც კაპიტალისტებს ხელფასის მშიერ დონეზე შეჩერების შესაძლებლობას აძლევს. ამ პროლეტარების მყიდველობითი უნარი უკიდურესად დაბალია და შემოიფარგლება პირველი აუცილებლობის საგნების მცირე რაოდენობით. ამასთან მათ შრომას შეუძლია შექმნას სულ უფრო მეტი და მეტი საქონელი. მანქანების დანერგვა მხოლოდ აძლიერებს დისპროპორციას: ისინი ზრდიან შრომის ნაყოფიერებას და იმავდროულად წარმოებიდან დევნიან მუშებს. ამის შედეგად იქმნება აუცილებლობა, რომ საზოგადოებრივი შრომის სულ უფრო მეტი რაოდენობა დასაქმებული იყოს მდიდრებისათვის ფუფუნების საგნების წარმოებაში. მაგრამ უკანასკნელთა მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე შეზღუდული და მერყევია. აქედან თითქმის შუალედური რგოლების გარეშე სისმონდის გამოყავს ჭარბწარმოების კრიზისების გარდუვალობა.

საზოგადოება, სადაც არსებობს ცოტად თუ ბევრად „წმინდა“ კაპიტალიზმი და ჭარბობს ორი — კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების კლასი, განწირულია ულმობელი კრიზისებისათვის. სისმონდი, მალთუსის მსგავსად, ხსნას „მესამე პირებში“ — შუალედურ კლასებსა და ფენებში — ეძებს. მაგრამ მალთუსისაგან განსხვავებით, სისმონდისათვის ეს, უპირველეს ყოვლისა, წვრილი საქონელმწარმოებლები — გლეხები, კუსტარები და ხელოსნებია. გარდა ამისა, სისმონდის მიაჩნია, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარება შეუძლებელია ფართო საგარეო ბაზრის გარეშე, რომელსაც იგი ცალმხრივად განიხილავდა — როგორც უფრო განვითარებული ქვეყნების საქონლის გასაღებას ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში. საგარეო ბაზრების არსებობით ხსნიდა ის იმას, რომ ინგლისი ჯერ კიდევ არ გაგუდულა სიმდიდრის ტვირთისაგან.

სისმონდი უარყოფდა ა. სმიტის დებულებას, — რომ საზოგადოებრივი ინტერესი საუკეთესოდ იქნება უზრუნველყოფილი, თუ საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა მიეცემა, მაქსიმალური თავისუფლებით იღვწოდეს პირადი ეკონომიკური სარგებლობისათვის. თავისუფალ კონკურენციას, მიუთითებდა სისმონდი, დამღუპვი-

ლი ეკონომიკური და სოციალური შედეგები გააჩნია: მოსახლეობის ძირითადი მასის გაღატაკება უმცირესთა ხელში სიმდიდრის კონცენტრაციის პირობებში, მძიმე ეკონომიკური კრიზისები. ამასთან დაკავშირებით იგი გამოდიოდა სოციალური რეფორმების პროგრამით, მაგრამ მათი გატარებისათვის მოითხოვდა „მხოლოდ თანდათანობით და არაპირდაპირ ღონისძიებებს კანონმდებლობის მხრიდან, მეპატრონისა და მუშის ურთიერთობაში მხოლოდ სრული სამართლიანობის განხორციელებას, რომელიც დააკისრებდა პირველს მთელ პასუხისმგებლობას იმ ბოროტებისათვის, რომელსაც იგი აყენებს მეორეს[1]. რეფორმები, რომელთა რეკომენდაციას იძლეოდა სისმონდი, გულისხმობდა სოციალურ უზრუნველყოფას მეწარმეთა ხარჯზე, სამუშაო დღის შეზღუდვას, ხელფასის მინიმუმის დაწესებას. ის წერდა აგრეთვე საწარმოთა მოგებაში მუშათა მონაწილეობის სასურველობის შესახებ. თავისი დროისათვის ეს ღონისძიებანი პროგრესული იყო, ზოგჯერ კი საშიშ სოციალისტურადაც კი ჩანდა. როგორც ცნობილია, მსგავსი რეფორმები შემდგომში სავსებით მისაღები აღმოჩნდა კაპიტალისტებისათვის და სრულიადაც არ შეურყევია მათი ბატონობა.

ბევრ რამეში სისმონდი იყურებოდა არა წინ, არამედ უკან. კაპიტალიზმის უბედურებისაგან თავის ხსნას ეძებდა იგი ძველი წესწყობილების ხელოვნურ შენარჩუნებაში, მცირე პირთა ხელში სიმდიდრის კონცენტრაციის არდაშვებაში. რა თქმა უნდა, სისმონდის არ სურდა შუა საუკუნეებისაკენ, ფეოდალიზმისაკენ დაბრუნება. მაგრამ მას სურდა, რომ კაპიტალიზმის არაადამიანური მსვლელობა შეჩერებულიყო საზოგადოებრივი ინსტიტუტების დანერგვით, რომლებიც ახალი სახით დაუბრუნდებოდნენ „ძველ კეთილდღეობას". მუშების უზრუნველყოფის შესაქმნელად იგი სთავაზობდა ძველი ხელოსნური ამქრების მსგავსი სისტემის შემოღებას. მას სურდა ინგლისში წვრილი მიწის საკუთრების აღორძინება. ეს ეკონომიკური რომანტიზმი უტოპიური და არსებითად რეაქციული იყო, რადგან იგი უარყოფდა კაპიტალიზმის განვითარების პროგრესულ არსს და თავის შთაგონებებს წარსულიდან ღებულობდა.

მრავალი მოვლენის მიმართ სისმონდი მოწინავე მოაზროვნე იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდებოდა მის მიერ ისტორიული პროცესის როგორც ნაკლებად პროგრესული საზოგადოებრივი წყობილების უფრო პროგრესული წყობილებით შეცვლის გაგებაში. კამათში რიკარდოსა და მის თანამიმდევრებთან, რომლებიც საზოგადოების განვითარების პერსპექტივას, გარდა კაპიტალიზმისა, ვერაფერში

[1] Ж. Сисмонд де Сисмонди. Новое начало политической экономии, или о богатстве в его отношении к народонаселению, т. 2. М., 1937, стр. 176.

ხედავდნენ, სისმონდი თავის ოპონენტებს უსვამდა კითხვას: იმის საფუძველზე, რომ კაპიტალიზმი მის მიერ შეცვლილ ფორმაციებზე უფრო პროგრესულია, „შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ ახლა უკვე მივაღწიეთ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ძირითად მანკიერებას დაქირავებული შრომის სისტემაში... როგორც ჩვენ ის აღმოვაჩინეთ მონობის, ფეოდალიზმის, ამქრული კორპორაციის სისტემაში... უეჭველია, დადგება დრო, როცა ჩვენი შვილიშვილები ჩაგვთვლიან ბარბაროსებად იმის გამო, რომ მშრომელი კლასები არ დავიცავით. მსგავს ბარბაროსებად, როგორადაც ისინი, ისევე როგორც ჩვენ. ჩათვლიან ერებს, რომელთაც ეს კლასები მონებად აქციეს"[1]. ამ შესანიშნავი გამოთქმიდან ჩანს, რომ სისმონდიმ იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის შეცვლა შედარებით მაღალი და ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილებით, რომლის თავისებურებებზე, მას, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

კრიზისები

„ამრიგად, ხალხი თითქოს წინააღმდეგობრივი ხასიათის საფრთხეშია ჩავარდნილი. ისინი შეიძლება გაღატაკდნენ იმის გამო, რომ ხარჯავენ ძალიან ბევრს, და იმის გამოც, რომ ხარჯავენ ძალიან ცოტას"[2]. გასაოცარია სისმონდის განჭრიახობა. საკითხის ამგვარად დაყენება აზრადაც არ მოუვიდოდათ სმიტსა და რიკარდოს! მათი თვალსაზრისით, ერი, ისევე როგორც ცალკეული ადამიანი, შეიძლება გაკოტრდეს მხოლოდ იმის გამო, რომ დანახარჯი სჭარბობს შემოსავალს და ამიტომ „შემოეჭმება კაპიტალი". მაგრამ როგორ შეიძლება გაკოტრება, თუ ძალიან ცოტას ხარჯავს?

მართლაც სისმონდის ამ აზრში დიდი ჭეშმარიტებაა ჩაქსოვილი, ამასთან ისეთიც, რომელიც სავსებით მისაღებია თანამედროვე კაპიტალისტისათვისაც კი. გარკვეული ზომით სწორია, რომ კრიზისები იწყება მაშინ, როცა ერი „ძალიან ცოტას ხარჯავს". საწყობებში გროვდება საქონელი, რომელსაც არავინ ყიდულობს. მცირდება წარმოება, ეცემა დასაქმება და შემოსავლები. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო არსენალი ითვლის ღონისძიებებს მიმართულს იქითკენ, რომ ხალხი წაახალისოს, რათა მათ მეტი დახარჯონ. ან იგი თვით იწყებს ფულის გაძლიერებულ ხარჯვას, რომელსაც ღებულობენ სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით. თუ მეურნეობაში გადახდისუნარიანი მოთხოვნის ნაკლებობაა, რათა გაიწოვოს წარმოებული საქონლის მასა, მაშინ საჭიროა ამ მოთხოვნის გაღვივება ან ხელოვნურადაც კი შექმნა. ეს თანამედროვე ანტიკრიზისული რეგულირების ანბანური ჭეშმარიტე-

[1] Ж. Сисмонд де Сисмонди. Новые начала политической экономии, или о богатстве в его отношении к народонаселению, т. 2, стр. 209.
[2] იქვე, გვ. 201.

ბაა. თუ ის თეორიულად ვერ ხსნის კრიზისების მიზეზებს, სამაგიეროდ ასახავს გამოცდილებითა და მისი განზოგადებით წარმოშობილ პრაქტიკულ მეთოდებს, რომლებიც გარკვეულ ფარგლებში შეიძლება ეფექტური იყოს კრიზისთან ბრძოლაში.

მაგრამ სისმონდის თეორიული სისტემა შეიცავდა ღრმა შეცდომებს, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით მიიყვანეს რეაქციულ უტოპიამდე — პატრიარქალურობის, ჩამორჩენილობის, ხელით შრომის დაცვამდე. მსგავსად სმიტისა, სისმონდისაც საზოგადოების შრომის პროდუქტი დაყავდა შემოსავლების — მოგების, რენტის და ხელფასის ჯამამდე. აქედან გამომდინარეობდა უცნაური წარმოდგენა, რომელსაც მარქსმა სმიტის დოგმა უწოდა და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ერის წლიური პროდუქტი მის ნატურალურ ფორმაში შეიძლება დაყვანილ იქნეს სამომხმარებლო საქონლის მასამდე. შემოსავლების უდიდესი ნაწილი ხომ მოხმარებაზე იხარჯება. ყველა დანარჩენი, რასაც სახალხო მეურნეობა აწარმოებს, შეიძლება რამენაირად უგულებელყო „ანალიზის სიწმინდისათვის". მარქსის თქმით, სისმონდი ამ „საარაკო დოგმას" ანიჭებდა განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საფუძვლად დაედო ეკონომიკური კრიზისების მიზეზებზე მის წარმოდგენას.

სინამდვილეში კი საზოგადოების წლიური პროდუქტი შედგებარა მხოლოდ მოხმარების საგნებისაგან, არამედ მოიცავს, აგრეთვე, წარმოების საშუალებებს — მანქანებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ქვანახშირს, ლითონს და სხვ. მასალებს. თუმცა მათი ნაწილი შემდეგ განსახიერდება მოხმარების საგნებში. მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელია მოხდეს მომავალ წელს ან უფრო გვიანაც. გარდა ამისა, მოცემული წლის ფარგლებშიც არ შეიძლება ლაპარაკი ქსოვილის რეალიზაციაზე, ასევე უნდა ვილაპარაკოთ ბამბის რეალიზაციაზეც, რომლისაგანაც აწარმოებენ ქსოვილს და ა. შ.

წარმოების გართულებასთან, ახალი დარგების განვითარებასთან, მანქანების გამოყენების ზრდასთან ერთად წარმოების საშუალებების წილი წლიურ პროდუქტში გარკვეულ ზღვრამდე იზრდება. ის განსაკუთრებით დიდია დაგროვების მაღალი ნორმის დროს, ე. ი. პროდუქტთან შედარებით დიდი კაპიტალდაბანდების მოცულობის დროს. მეურნეობის მოთხოვნა წარმოების საშუალებებზე ქმნის განსაკუთრებულ ბაზარს, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საზოგადოების მოხმარების უნარზე. ამის გამოც კრიზისები არ შეიძლება იყოს უწყვეტი. ისინი ყოველთვის პერიოდულია. გარკვეულ ზომამდე კაპიტალი თავის თავს იცავს, თითქოს შეკრულ წრეში მოძრაობს: იღებენ ქვანახშირს, მაგრამ გამოიყენებენ არა ოჯახის ღუმელებში, არამედ ბრძმედებში. ადნობენ ლითონს, მაგრამ მისგან აკეთებენ არა დანებსა და ჩანგლებს, არამედ, დავუშვათ, მანქანებს სამთამადნო

მრეწველობისათვის. კაპიტალისტური მეურნეობის სტიქიური ხასიათი სრულიადაც არ ამქღავნებს უცბად, რომ იწარმოება ზედმეტი ქვანახშირიც, ზედმეტი ლითონიც, ზედმეტი მანქანებიც.

არ არის სწორი კრიზისების მიზეზთა ძებნა მხოლოდ მოსახლეობის ძირითადი მასის სიღარიბეში, რომელსაც არა აქვს გადახდისუნარიანი მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე. თეორიაც და ისტორიული გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ წარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზრდა ხალხის მასების ცხოვრების მეტად დაბალი დონის პირობებშიც. ეს განსაკუთრებით ნათელია, როცა მეურნეობაში საწარმოო მოთხოვნას კვლავ ემატება მნიშვნელოვანი სამხედრო მოთხოვნა. და ბოლოს, შეიძლება გავიხსენოთ, რომ განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქამდე კრიზისები არ ყოფილა, თუმცა ადგილი ჰქონდა ხალხის მასების გაღატაკებას, ყოველ შემთხვევაში არანაკლებს, ვიდრე XIX საუკუნეში.

წარმოებასა და მოხმარებას შორის წინააღმდეგობა დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ კრიზისებში, მაგრამ წინააღმდეგ სისმონდისა, ეს არ არის მთავარი. როგორც მარქსმა გვიჩვენა, ის არის გამოვლენა უფრო ზოგადი წინააღმდეგობისა — წინააღმდეგობისა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ამ წინააღმდეგობის არსი ისაა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოება განსაზოგადოებულია, ე. ი. ძირითადად წარიმართება ფართო ბაზრისათვის მომუშავე მსხვილი სპეციალიზებული საწარმოების მიერ. მაგრამ ეს წარმოება ემორჩილება არა საზოგადოების მიზნებსა და ინტერესებს, არამედ საწარმოთა მფლობელ კაპიტალისტთა მოგებას. მსხვილი საზოგადოებრივი წარმოება ვითარდება საკუთარი კანონებით, მისთვის სულ ერთია ის, რომ კაპიტალისტები მასში მიზანს კი არა, გამდიდრების საშუალებას ხედავენ. ამ კონფლიქტის გადაჭრა კრიზისებით ხდება.

ყოველი კაპიტალისტი ცდილობს, გაზარდოს წარმოება თავის საწარმოში, ამავე დროს, მუშათა ხელფასს აჩერებს შესაძლებლად დაბალ დონეზე. მეორე მხრივ, ყოველი კაპიტალისტი ზრდის თავის საქონლის წარმოებას და არ ითვალისწინებს საერთო მდგომარეობას მოცემულ და სხვა დარგებში. ამის შემდეგ კი საქონელი შეფარდებით ჭარბი რაოდენობით იწარმოება (გადახდისუნარიან მოთხოვნასთან შედარებით), და ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პროპორციები ირღვევა. მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის როლის ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში გადაწყვეტილებას კაპიტალდაბანდებების შესახებ შეუთანხმებლად და თვითნებურად ღებულობენ კერძო მეწარმეები. არ არის არავითარი რწმენა იმისა, რომ ისინი განახორციელე-

ბენ საჭირო კაპიტალდაბანდებებს ყველა გამოსაყენებელი რესურსის გამოყენებისათვის.

კრიზისი წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის მოძრაობის ბუნებრივ და გარდაუვალ ფორმას, ერთი დროებითი წონასწორული მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის ფორმას. კიბერნეტიკის ენაზე რომ ვთქვათ, კაპიტალისტური მეურნეობა არის თვითმომართვადი სისტემა ძლიერ რთული ურთიერთკავშირებით და ცენტრალური რეგულირების გარეშე. ამ სისტემის ოპტიმალური (მოცემული მომენტისათვის) ფუნქციობის რეჟიმზე მომართვა მიმდინარეობს ცდებისა და შეცდომების გზით. კრიზისები კი წარმოადგენენ, რბილად რომ ვთქვათ, ამ „ცდებსა და შეცდომებს"; მათი ფასი კი საზოგადოებისათვის ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მეტად დიდია.

სისმონდიზმის ისტორიული გენი

XIX ს-ის 90-იან წლებში სისმონდის სახელი და იდეები აღმოჩნდა იმ ბრძოლის ცენტრში, რომელსაც ლიბერალური ნაროდნიკობის წინააღმდეგ ეწეოდნენ რუსი რევოლუციური მარქსისტები ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ამ ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ფორმირებაში. ნაროდნიკები აბტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმს რუსეთში არა აქვს განვითარების საფუძველი იმის გამო, რომ მას არ შეუძლია გადაჭრას რეალიზაციის პრობლემა: ხალხი მეტად ღარიბია იმისათვის, რომ შეიძინოს საქონლის ის მასა, რომლის შექმნაც მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას შეუძლია. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ადრე დაადგნენ კაპიტალისტური განვითარების გზას, რუსეთს არ შეუძლია ჰქონდეს საგარეო ბაზრების იმედი, რომელიც უკვე დიდი ხანია დაპყრობილია. ნაროდნიკებმა წამოაყენეს წინადადება რუსეთის განვითარების „განსაკუთრებული" გზის შესახებ: კაპიტალიზმს გვერდის ავლით თემურ-ტლეხური „სოციალიზმისაკენ". ეს წვრილბურჟუაზიული უტოპია, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ემყარებოდა თეორიულ შეხედულებებს, რომელნიც მეტად ახლო იყო სისმონდის შეხედულებებთან, რომელიც აგრეთვე წინასწარმეტყველებდა კაპიტალიზმის კრახს „ნაკლებმოხმარების" გამო და იმედს კუსტარებსა და გლეხობაზე ამყარებდა.

XX ს-ის დასაწყისში მარქსიზმის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემა გახდა კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიის კანონზომიერებანი. ამ პრობლემის ფარგლებში წამოიჭრა საკითხები კაპიტალის დაგროვების ახალ ფორმებსა და ტენდენციებზე, იმპერიალიზმის პირობებში ამ პროცესის წინააღმდეგობებზე 1913 წ. გა-

მოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, როზა ლუქსემბურგის წიგნი: — „კაპიტალის დაგროვება". რადგანაც სისმონდი იყო პირველი მეცნიერი, რომელიც იხილავდა კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების შესაძლებლობასა და საზღვრებს, მისი იდეების ანალიზმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ამ წიგნში. რ. ლუქსემბურგმა რიკარდოსა და სეის სკოლასთან კამათში აჩვენა სისმონდის თეორიის ძლიერი მხარეები.

მაგრამ რ. ლუქსემბურგმა თავის თეორიულ კონცეფციაში ფაქტობრივად აღიარა სისმონდის თეზისი კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების აღმავალი განვითარების შეუძლებლობის შესახებ „წმინდა კაპიტალისტურ" საზოგადოებაში. სისმონდის მსგავსად, რ. ლუქსემბურგი, არსებითად ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის აღმავალი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის კაპიტალიზმამდელი ფორმების დაშლის საფუძველზე. ამ პროცესის დასრულება კაპიტალიზმს „მოგუდვით" ემუქრება. აქედან გამომდინარეობდა მის მიერ იმპერიალიზმის არასწორი გაგება. რ. ლუქსემბურგს იმპერიალიზმი ფაქტობრივად ფაყავდა კოლონიების დამორჩილების პოლიტიკამდე. თვლიდა, რომ ეს პოლიტიკა ნაკარნახევი იყო კაპიტალის ქვეყნებისათვის გასაღების საშინაო ბაზრების შევიწროებით და რეალიზაციის პრობლემების გამწვავებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარქსისტული აზრის წინაშე დადგა კაპიტალიზმის ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობისა და პერსპექტივების შეფასების ამოცანა. ამ-ეკონ სწორი შეფასება ძლიერ მნიშვნელოვანია ანტიიმპერიალისტური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკისათვის.

როგორც აღნიშნულია, საბჭოთა ეკონომისტების კოლექტიურ შრომაში „40-იანი წლების დასასრულს და 50-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ ფართო გავრცელება პოვა არასწორმა კონცეფციამ ისეთ საკითხზე, როგორიცაა კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მასშტაბებისა და შესაძლებელი ტემპების შესახებ. ამ კონცეფციის ავტორები, არსებითად, უგულებელყოფენ ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია პროგრესისა და ერთ წერტილზე გაყინვის ტენდენციებს შორის ბრძოლა, რომ მეორე ამ ტენდენციათაგანის არსებობა არ გამორიცხავს კაპიტალიზმის უფრო სწრაფ განვითარებას წინანდელთან შედარებით... ორიენტაციამ კაპიტალიზმის საწარმოო ძალების „თვითდახშობაზე", 1929—1933 წწ. კრიზისების მსგავს უმძიმეს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებზე, ობიექტურად შეიყვანა ახალ განვითარებაში, რომელიც ჩამოყალიბდა 50-იან წლებში მსოფლიო არენაზე კლასობრივი ძალების მდგომარეობის არასწორი შეფასებიდან. იგი ამართლებდა გარკვეულ პასიურობას რაღაც ექსტრაორდინალური კატაკლიზმების მოლოდინისათვის, რომელ-

იც თითქოს მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომი განვითარების საქმეში წარმატების აუცილებელი პირობაა"[1].

თანამედროვე კაპიტალიზმის საწარმოო ძალების „თვითდახშობის" შესახებ წარმოდგენა უარყოფილია მარქსისტების მიერ, რაც აისახა სკკპ პროგრამაში, ჩვენი პარტიის ყრილობების მასალებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობლივ დოკუმენტებში. კაპიტალიზმი ისტორიულად განწირულია არა იმის გამო, რომ მას საერთოდ მეტი განვითარება აღარ შეუძლია. ის განწირულია იმის გამო, რომ ეს განვითარება წარმოშობს წინააღმდეგობების კომპლექსს, რომელნიც კანონზომიერად და ულმობლად ქმნიან კაპიტალიზმის უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობილებით — სოციალიზმით რევოლუციური შეცვლის მატერიალურ და პოლიტიკურ წანამძღვრებს.

სისმონდის იდეებს იყენებს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. მის შეხედულებათა ნაკვალევი, გარკვეული მსგავსება „სულისა", რომელშიც განხილულია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, შეიძლება ვნახოთ ბურჟუაზიულ ავტორებთან, რომლებიც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორთოდოქსული დოქტრინების წინააღმდეგ გამოდიოდნენ XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში. ზოგი გამოსვლა შეიცავდა თვით ბურჟუაზიული წყობილების მეტ-ნაკლებად მწვავე სოციალურ კრიტიკას. მეორენი იფარგლებოდნენ „ნეოკლასიკური" სკოლის შეხედულებების კრიტიკით ეკონომიკური კრიზისების შესახებ და ამ პრობლემას წინა პლანზე აყენებდნენ. ზოგ შემთხვევაში ორი კრიტიკული მიმართულება ერთიანდებოდა. ასეთი შეერთების მნიშვნელოვან მაგალითს ინგლისელი ჰობსონის ეკონომიკური თეორია წარმოადგენს.

ჰობსონი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ჩარჩოებში რჩებოდა და გამოდიოდა XIX ს-ის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის კაპიტალიზმისა და ამ ეპოქის, უპირველეს ყოვლისა კი ინგლისური, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკით. სისმონდის მსგავსად ჰობსონი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოება სრულიადაც არ ემორჩილება მოსახლეობის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზანს, არამედ ზრდის სიმდიდრეს, რომლის ნაყოფითაც სარგებლობა ამ მასას არ შეუძლია. იგი ისურვებდა, რომ წარმოებისა და სიმდიდრის შეფასება მომხდარიყო „ადამიანური სარგებლიანობის" პოზიციებიდან. ჰობსონი გამოდიოდა სოციალური რეფორმების პროგრამით, რომელშიც ხელფასის მინიმუმისა და კაპიტალისტებზე მაღალი პროგრესული გადასახადების დაწესებასთან ერთად, იყო მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესება მონოპოლიებზე. მას აქვს ასეთი

[1] Политическая экономия современного монополистического капитализма. Под ред. Н. Н. Иноземцева и др. т. 2. М., 1975 г, стр. 392—394.

ფორმულირება: „საზოგადოების გარდაქმნის ყოველი სქემისათვის აუცილებელია კერძო მოგების მოტივების შეცვლა წარმოების პროცესების მსვლელობის პირდაპირი საზოგადოებრივი კონტროლით“[1].

გარკვეული მსგავსება სისმონდის იდეებთან შეიძლება დავინახოთ ჰობსონის კრიზისების თეორიაშიც, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ჭარბწარმოების საერთო კრიზისები არა თუ შესაძლებელია, არამედ გარდუვალიცაა. ჰობსონი კრიზისების მიზეზად თვლის ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური სტრუქტურიდან გამომდინარე მუდმივ მისწრაფებას უზომო დაგროვებისაკენ და ასევე მსყიდველუნარიანობის ასეთივე მუდმივ ჩამორჩენას. ამის შედეგად აღმოცენებულ კაპიტალის სიჭარბეს და კაპიტალდაბანდებაზე და სამომხმარებლო საქონელზე ქვეყნის შიგნით მოთხოვნილების უკმარისობას. ჰობსონი თვლიდა უფრო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მსხვილ კაპიტალს ეკონომიკური ექსპანსიის ძირითად მიზეზად.

დაგროვებისა და კრიზისების თეორიაში კეინსს ჰობსონი მიაჩნდა ერთ-ერთ თავის უახლოეს წინამორბედად. ამასთან დაკავშირებით შრავალმა ბურჟუაზიულმა ავტორმა წამოაყენა საკითხი კეინსსა და სისმონდის შორის იდეური კავშირების არსებობის შესახებ. მაგრამ ეს კავშირები, როგორც ჩანს, შეზღუდულია იმით, რომ კეინსი ეგრეთ წოდებული მოხმარებისაკენ უკიდურესი მიდრეკილების დაცემას იხილავდა პოტენციურად ჭარბი დაზოგვისა და ეფექტიანი მოთხოვნის უკმარისობის ერთ-ერთ მიზეზად. სისმონდის ასეთი გაფართოებული „გავლენა“ პრაქტიკულად შეიძლება აღმოჩნდეს კრიზისების ყველა ეკონომიკურ თეორიაში, სადაც რაღაც როლს მაინც ასრულებს პირადი მოხმარებისა და სამომხმარებლო მოთხოვნის პრობლემა.

ობიექტურად განპირობებული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ევოლუცია ფართო მასშტაბით. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მიედინება იმ მიმართულებით, რომლის ცნობილი ნიშნებიც განვერიტა სისმონდიმ. ფრანგი ეკონომისტი ა. ჟამსი წერდა: „მაკროეკონომია და არა მიკროეკონომია. მისწრაფება ეკონომიკური მოვლენების შესწავლისადმი დინამიკის თვალსაზრისით, ხშირი განმეორების და უთანაბრობის „ნორმალურობის“ რწმენა, უარის თქმა laissez faire-ის იდეაზე და სახელმწიფოს ჩარევის იდეის გავრცელება — ასეთია ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიმართულებანი XX ს-ის შუა ხანებში, განსხვავებით მისი დასაწყისისაგან“.[2] არსებითად ყოველი ჩამოთვლილი ელემენტი (სხვა ტერმინებით და ხში-

---

[1] ციტირებულია წიგნიდან: Б. Селигман, «Основные течения современной экономической мысли», М., 1968, стр. 131.

[2] Э. Жамс. История экономической мысли XX в. М., 1959, стр.

რად სხვა დასკვნებით) შეიძლება ჩანასახოვან მდგომარეობაში შევამჩნიოთ სისმონდის შრომებში.

მაგრამ ჟენეველი მეცნიერის მემკვიდრეობას და მის ისტორიულ მნიშვნელობას სხვა მხარეებიც გააჩნია: სისმონდის შრომებში მრისხანე სოციალური პროტესტის სულისკვეთებაა. ეს არ შეეძლო მემკვიდრეობით მიეღო ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებას მის მთავარ მიმართულებებში.

მეთექვსმეტე თავი

სეის სკოლა და კურნოს წვლილი

ოფიციალურ ეკონომიკურ მეცნიერებას XIX ს. პირველი ნახევრის საფრანგეთში სეის სკოლა წარმოადგენდა. დასაწყისში მასში ძლიერი იყო ანტიფეოდალური მიმართულება. მაგრამ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბძოლის გამწვავების კვალობაზე ოფიციალური მეცნიერების იდეოლოგიური მახვილი სულ უფრო მეტად მუშათა კლასის, სოციალიზმის წინააღმდეგ წარიმართებოდა. სეის სკოლა აქებდა მეწარმე კაპიტალისტს, ქადაგებდა კლასობრივი ინტერესების ჰარმონიას. გამოდიოდა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი მთავარი პრინციპი იყო laissez faire.

მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიის შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სეის აპოლოგეტური შეხედულებების კრიტიკას, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტის მოგება წარმოიქმნება კაპიტალის მიერ მუშათა ყოველგვარი ექსპლუატაციის გარეშე. სეის სახელთანაა დაკავშირებული ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის დაყენება, როგორიცაა საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის მექანიზმი. სეის კრიტიკამ, რომელიც უარყოფდა ჭარბწარმოების კრიზისების კანონზომიერებას, ამ დარგშიც შეასრულა შესამჩნევი როლი მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრების განვითარებაში.

ეკონომიკური მეცნიერების სპეციალურ დარგებში საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, შესამჩნევი პროგრესი აღინიშნებოდა. ისტორიულ პერსპექტივაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კურნოს ცდას, გამოეყენებინა ეკონომიკურ თეორიაში ანალიზის მათემატიკური მეთოდები.

XIX ს-ის პირველ ნახევარში საფრანგეთში მიმდინარეობდა სამრეწველო რევოლუცია, დაიწყო მანქანური ინდუსტრიის განვითარება. კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის ურთიერთობა ხდებოდა საზოგადოებრივი კავშირების მთავარი ფორმა, უწინარეს ყოვლისა ქალაქად და, გარკვეული ზომით, სოფლადაც. ბურჟუაზიამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად შეცვალა თავადაზნაურობა, როგორც საზოგადოების გაბატონებული კლასი.

ეს ეპოქა მხატვრულად აისახა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ-ყველაზე საოცარ ქმნილებაში — ბალზაკის „ადამიანურ კომედიაში“. როგორც ყველა დიდ მწერალს, ბალზაკს აინტერესებდა ა დ ა მ ი ა ნ ი. მაგრამ იგი თავისი შემოქმედებით არა მხოლოდ სტიქიურად გამოხატავდა იმ პრინციპს, რომ ადამიანი ყოველთვის არსებობს მხოლოდ გარკვეული ეპოქისა და კონკრეტული სოციალური ჯგუფის ჩარჩოებში, არაპედ შეგნებულად დაუდო იგი საფუძვლად გრანდიოზულ ნაწარმოებს. ბალზაკი წერდა, რომ „ადამიანური კომედია“ — ეს ერთსა და იმავე დროს ადამიანის გულის ისტორია და სოციალური ურთიერთობის ისტორიაა. მან დახატა ბურჟუაზიის აღმავლობის პროცესი სრულიად სხვადასხვა ასპექტში: ნუსინგენის საბანკო სახლიდან, რომელიც ჯანასახიერებდა უმაღლეს „ფინანსურ ბურჟუაზიას“, სოფლის მევახშეებსა და კულაკებამდე „გლეხებში“. ცხოვრებისეული სიმართლისა და ხელოვნების ერთგულმა ბალზაკმა დახატა თავადაზნაურობის დაშლაც. მუშათა კლასი მას ჯერ კიდევ ხელოსნებად და ქარგლებად ესახებოდა და ეს ბევრად შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ეიმ ეპოქის პარიზში პოლიტიკური ცხოვრება ჩქეფდა. იდეებს, რომელთა სამშობლო პარიზი იყო, ევროპასა და ამერიკაში ისეთივე პატივისცემითა და ინტერესით ღებულობდნენ, როგორც ფრანგულ მოდებს. სეის სკოლის კონცეფციები ხშირად უნარიანი პუბლიცისტების გადმოცემით ფართოდ ვრცელდებოდა საფრანგეთის ფარგლებს გარეთ, კერძოდ განსაზღვრავდნენ ოფიციალური მეცნიერების სახეს 30—50-იანი წლების რუსეთში.

სეი როგორც ადამიანი და მეცნიერი

ჟან ბატისტ სეი დაიბადა 1767 წ. ლიონში ბურჟუაზიულ ჰუგენოტურ ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო, მაგრამ მალე სამსახურის დაწყება სავაჭრო კანტორაში მოუხდა. სეი ბევრს მუშაობდა თვითგანათლებისათვის. პოლიტიკური ეკონომიის დაუფლებისათვის ის პირველ რიგში სმიტის „ხალხთა სიმდიდრეს“ ჩაუჯდა.

სეი აღტაცებით შეხვდა რევოლუციას. იგი პატრიოტული გზნებით მოხალისედ წავიდა რევოლუციურ არმიაში, რომელიც ევროპის მონარქებს ეომებოდა საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრებზე. მაგრამ იაკობინელთა დიქტატურა სეისათვის მეტისმეტი აღმოჩნდა. იგი არმიიდან დაბრუნდა პარიზში, სადაც საკმაოდ სოლიდური ჟურნალის რედაქტორი გახდა. კონსერვატიული ბურჟუაზიის ძალაუფლება, რომელიც ამ წლებში გაბატონდა იაკობინელთა დამხობის შემდეგ, სეის საერთოდ აწყობდა. თუმცა იგი აკრიტიკებდა კიდეც მთავრობის ბევრ მოქმედებას.

ბონაპარტის კონსულობამ სეის თავდაპირველად შემდგომი დაწინაურება მოუტანა. მან მიიღო ტრიბუნატის წევრის პოსტი ფინანსე-

ბის კომიტეტში. ერთდროულად სეი მუშაობდა დიდ თხზულებაზე, რომელიც 1803 წ. გამოვიდა შემდეგი სათაურით: „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი, ანუ მარტივი გადმოცემა წესისა, რომლითაც წარმოიქმნება, ნაწილდება და მოიხმარება დოვლათი“. ეს წიგნი, რომელიც სეიმ შემდგომში მრავალჯერ გადააკეთა და შეავსო ახალი გამოცემისათვის (ავტორის სიცოცხლეში ხუთჯერ გამოვიდა), მის ძთავარ ნაწარმოებად დარჩა.

სეის „ტრაქტატი“ იყო, როგორც იგი თვლიდა, უსარგებლო აბსტრაქციებისა და სირთულისაგან გამარტივებული, სქემატიზებული და გაწმენდილი გადმოცემა სმიტისა. (შრომითი ღირებულების თეორიამ, რომელსაც შოტლანდიელი მთლად თანმიმდევრულად არ მისდევდა, ადგილი დაუთმო „პლურალისტურ“ გაგებას, სადაც ღირებულება დამოკიდებულებაშია ზოგიერთ ფაქტორთან: საქონლის სუბიექტურ სარგებლიანობასთან, მისი წარმოების ხარჯებთან, მოთხოვნასა და მიწოდებასთან.) სმიტის იდეები კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის შესახებ (ე. ი. ზედმეტი ღირებულების თეორიის ელემენტები) სეისთან სრულიად გაქრა და ადგილი დაუთმო „წარმოების ფაქტორების თეორიას, რის შესახებაც სპეციალურად ქვემოთ გვექნება საუბარი. სეი მისდევდა სმიტს მის ეკონომიკურ ლიბერალიზმში. იგი მოითხოვდა „იაფ სახელმწიფოს“ და გამოდიოდა ეკონომიკაში მისი ჩარევის მინიმუმამდე დაყვანის მომხრედ. ამ მხრივ იგი ფიზიოკრატულ ტრადიციას უერთდებოდა. სეის ეკონომიკურ ლიბერალიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წიგნისა და ავტორის ბედისათვის.

იგი კონფლიქტში აღმოჩნდა ნაპოლეონის პოლიტიკასთან, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკის მკაცრი რეგულირებისაკენ და დიდხანს იყო შერისხული. ბურბონების რესტავრაციამ კვლავ განამტკიცა მისი მდგომარეობა საზოგადოებაში და მეცნიერებაში.

სეი ფხიზელი გონებისა და კომერციული ანგარიშიანობის თავისი კულტით შექმნილი იყო ზუსტად ბურჟუაზიული პოზიციების კონსოლიდაციის ეპოქისათვის. მან დაიწყო პოლიტიკურ ეკონომიაში საჯარო ლექციების კითხვა, რომლებიც ერთობ პოპულარული იყო. როგორც თავის თხზულებებში, იგი აქაც ამარტივებდა პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებს, დაყავდა იგი ოპივატელის გონების დონემდე. გაწაფული სისტემატიზატორი და პოპულარიზატორი იგი მსმენელებს სიცხადისა და მისაწვდომობის ილუზიას უქმნიდა.

(1828—1829 წწ. სეიმ გამოსცა „პრაქტიკული პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი“, რომელშიც „ტრაქტატთან“ შედარებით თეორიულად რაიმე ახალს არ იძლეოდა. კოლეჯ დე ფრანსში მან დაიკავა სპეციალურად მისთვის შექმნილი პოლიტიკური ეკონომიის კათედრა. სეი გარდაცვალა 1832 წ. პარიზში.)

სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულებში სეიმ არსებითად შეწყვიტა ყოველგვარი მეცნიერული ძიება და მხოლოდ თავის ძველ იდეებს იმეორებდა დაუსრულებლად.

[მარქსისტებისათვის სეი, უწინარეს ყოვლისა, XIX ს. ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დამაარსებელია.] მან გამოიყენა სმიტის სუსტი მხარეები და რიკარდოსთან პირდაპირ პოლემიკაში კაპიტალიზმის კანონზომიერებათა ღრმა ანალიზისაკენ მათი ლტოლვა შეცვალა ეკონომიკურ მოვლენებზე ზედაპირული სრიალით. მიუხედავად ამისა (ვარკვეული აზრით სწორედ ამიტომ), სეის უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ბურჟუაზიული მეცნიერების ისტორიაში. [მან პირველმა ნათლად გამოთქვა აზრი წარმოების ფაქტორების — შრომის, კაპიტალის და მიწის — თანაბარუფლებიანი მონაწილეობის შესახებ პროდუქტის ღირებულების შექმნაში.] მას შემდეგ, რაც ეს იდეა განვითარდა, ბევრი ავტორის ნაშრომებში 70—90-იანი წლების ეკონომისტებს ისღა დარჩათ, შეექმნათ ერთიანი თეორია იმ პრინციპებზე, რომელთა საფუძველზე ანაზღაურდება თითოეული ფაქტორის „მომსახურება“.

წარმოების ფაქტორები და შემოსავლები

[შრომა — ხელფასი, კაპიტალი — მოგება, მიწა — რენტა. კიდეკ ერთხელ გავიხსენოთ ეს ტრიადა, ანუ სამერთიანი ფორმულა, რომელიც ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში.]

სეის წარმოების ფაქტორების თეორია იყო ცდა მთავარ კითხვაზე პასუხისა, რომელსაც ძლიერ ეძებდნენ სმიტიცა და რიკარდოც. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მატერიალური დოვლათის წარმოება სულ უფრო მეტად ხორციელდება განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის კუთვნილი წარმოების საშუალებების გამოყენებით ცხადია, საქონლის ღირებულება რამენაირად უნდა შეიცავდეს ელემენტს, რომელიც კაპიტალისტთა კლასის წილად მოდის. როგორ აღმოცენდება ეს წილი და რით განისაზღვრება იგი?

[სმიტისა და რიკარდოსათვის (როგორც ვნახეთ რიკარდოელებისათვისაც თვით მილი უმცროსამდე) ეს იყო ერთსა და იმავე ღროს ღირებულებისა და განაწილების პრობლემა. სეისთან საქმე მარტივადაა. არსებითად, მასთან განაწილების თეორია გამოყოფილია ღირებულების თეორიისაგან, ამასთან ეს უკანასკნელი მას საერთოდ ნაკლებად აინტერესებს. ამის შედეგად წარმოების პროცესისაგან რჩება მხოლოდ ერთი მხარე — სარგებლიანობის, სახმარი ღირებულების შექმნა. საკითხის ასე დაყენებისას მართლაც ცხადია, რომ ყოველნაირი წარმოებისათვის აუცილებელია ბუნებრივი რესურსების, შრომის საშუალებებისა და იარაღების, სამუშაო ძალის, ე.

მიწის, კაპიტალისა და შრომის შეერთება. ამ სიცხადეს ხაზს უსვამს სეი.

უნდა შევედავოთ, რომ ეს ყოველგვარი წარმოების პროცესის საერთო ნიშანია და ამიტომ მას არ შეუძლია აგვიხსნას კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკა. მაგრამ ასეთი შეპასუხება აზრადაც კი არ შეიძლებოდა მოსვლოდა სეის, რადგანაც კაპიტალისტური წარმოების წესი მისთვის უფრო მეტად, ვიდრე სმიტისათვის იყო ერთადერთი წარმოსადგენი, მუდმივი და იდეალური. კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების არსებობა მას მიაჩნდა მზის ამოსვლისა და ჩასვლის მსგავს ბუნების თავისებურ კანონად.

[სეის თეორიაში მოგება წარმოდგენილია, როგორც კაპიტალის ბუნებრივი ნაყოფი, ხოლო რენტა — როგორც მიწის ბუნებრივი ნაყოფი. ერთიცა და მეორეც სრულიად დამოუკიდებელია საზოგადოებრივი წყობილებისაგან, კლასობრივი სტრუქტურისაგან, საკუთრების ფორმებისაგან. კაპიტალს მოაქვს მოგება, როგორც ვაშლის ხეს — ვაშლი, სოლო მოცხარის ბუჩქს — მოცხარის ნაყოფი.

ეს კოხცეფცია უარყოფს კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების მიერ მუშათა ექსპლუატაციას და ეკონომიკურ პროცესს წარმოსახავს, როგორც წარმოების თანასწორუფლებიანი ფაქტორების ჰარმონიულ თანამშრომლობას. სეის მიმდევრებს შორის უკვლაზე მეტად ცნობილ ფრედერიკ ბასტიას მთავარ ნაწარმოებს სწორედ ასე ეწოდება: „ეკონომიკური ჰარმონიები“.

წარმოების ფაქტორების თეორიამ იმ სახით, რა სახითაც სეი და მისი მოწაფეები გადმოსცემდნენ, თვით ბურჟუაზიულ მეცნიერებაშიც კი დაიმსახურა მეტისმეტად გაუბრალოებულისა და ზედაპირულის რეპუტაცია.

მართლაც, პასუხები, რასაც სეი იძლეოდა თავისი დროის ეკონომიკური მეცნიერების ძირეულ საკითხებზე, ძირითადად ამ საკითხებისათვის გვერდის ავლა იყო. როგორ წარმოიქმნება ღირებულება და საბოლოო ჯამში რით განისაზღვრება ფასები? როგორ იქმნება წარმოებული ღირებულების განაწილების პროპორციები — შემოსავლები, რაც წარმოების თითოეული ფაქტორის წილად მოდის? სეის და მისმა მოწაფეებმა არსებითად ვერ შეძლეს ამის შესახებ რამის თქმა, გარდა ბანალური საერთო მსჯელობისა.

[თავის თხზულებებში სეი ცალ-ცალკე იხილავს შემოსავლების თითოეულ სახეს, მაგრამ საინტერესოა მოგების მისებური გაგება. როგორც უკვე ვიცით, მოგება იყოფა სასესხო სარგებლად და მეწარმის შემოსავლად. პირველს ითვისებს კაპიტალისტი, როგორც კაპიტალის მესაკუთრე, მეორეს — კაპიტალისტი, როგორც საწარმოს ხელმძღვანელი. სეისათვის მეწარმის შემოსავალი უბრალოდ ხელფასის სახეობა კი არაა, რომელიც შეუძლია მიიღოს დაქირავებულ მმართველსაც. ესაა გასამრჯელო განსაკუთრებული და ძალიან მნიშვ-

ხელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციისათვის, რომლის არსია წარმოების ყველა ფაქტორის რაციონალური შეერთება.

ძეწარმის შემოსავალი, წერდა სეი, ესაა „მისი სამრეწველო ნიჭიერების, მისი ტალანტის, საქმიანობის, წესრიგის სულის და ხელმძღვანელობის გასამრჯელო“.[1] სმიტიც დიდად აფასებდა კაპიტალისტის როლს, რომელიც ზოგავს და აბანდებს ფულს წარმოებაში. მაგრამ იგი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მეწარმის მაორგანიზებელ საქმიანობას. და აქ საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ ორივე ეკონომისტის ხასიათები განსხვავებული იყო — სმიტი ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის, სეი — უფრო მეტად მეცხრამეტე საუკუნეს, შედარებით მსხვილი საწარმოებისა და დიდი მასშტაბების კაპიტალის დაგროვების ეპოქას. ისეთ პირობებში, როცა დაქირავებული შრომა უერთდება წარმოების საშუალებათა მზარდ მასას, წარმოების ფაქტორების ოპტიმალური შეთანაწყობისა და მისი ორგანიზაციის პრობლემები უდიდეს მნიშვნელობას იძენს. სეის თეორიამ ჩახასახის ფორმით ასახა ეს ობიექტური მოთხოვნილება.

მეწარმის შემოსავლის ახსნა მეწარმის მაორგანიზებელი როლით აიტაცა მარშალმა. შუმპეტერმა გამოიყენა სეის მეორე შოტივი — მეწარმის, როგორც ნოვატორის, ტექნიკური პროგრესის მატარებლის როლი. ბოლოს, ამერიკელი ნაიტი წერდა, რომ მეწარმე ეწევა „გაურკვევლობის ტვირთს“, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, რისკს, რისკისაც განსაკუთრებულად უნდა დაჯილდოვდეს; ნართაულად ესეც აქვს სეის.

წარმოების პროცესში ბუნების ელემენტების — განივთებული და ცოცხალი შრომის — შეერთების პრობლემა არსებობს იმ განმარტებისაგან დაძოუკიდებლად, რასაც იძლეოდა სეის სკოლა და იძლევა თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. ეს უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემაა.

მოცემულ ძუნანს, ვთქვათ მარცვლეულის მოსავლის გადიდებას 50%-ით, შეიძლება სხვადასხვანაირად მივაღწიოთ: ნათესი ფართობების გადიდებით ან შრომისა და მატერიალური დანახარჯების (კაპიტალის) ზრდით იმავე ფართობზე, დამატებითი კაპიტალით შრომის იმავე რაოდენობისას, ან დამატებითი შრომით. რასაკვირველია, რეალურ ცხოვრებაში ამოცანა გადაწყდება მატების ელემენტების (ფაქტორების) კომბინაციის გზით. მაგრამ რა პროპორციითაა უკეთესი მათი კომბინირება? ოგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული მდგომარეობა მოცემულ ქვეყანაში ან რაიონში, განსაკუთრებით რესურსის თითოეული სახეობის დეფიციტურობის ხარისხი? თუ არის დიდი თავისუფალი ფართობები — ეს ერთი საქმეა. ოლ იგი არაა, მაგრამ არის დაუსაქმებელი მუშახელის მასა — ეს მეორეა და ა. შ. ცხადია, რომ ყველა ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელთაც ცხოვრება აყენებს ეკონომიკური მეცნიერების წინაშე. ისინი შეიძლება დაისაბუთოს როგორც ცალკეულ საწარმოს მასშტაბით (მიკროეკონომიკური თვალსაზრისით), ისე ქვეყნის მასშტაბით (მაკროეკონომიკური თვალსაზრისით).

---

1 Ж. Б. Сэй. Трактат политической экономии, М., 1896, стр. 58.

ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ან საზოგადოებრივი პროდუქტი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წლის განმავლობაში წარმოებული სახმარი ღირებულებია, სასარგებლო პროდუქტების მასა. ამ სიდიდეთა ფულადი შეფასება არის მთელი ამ დაუსრულებლად მრავალფეროვანი ერთობლიობის: ცემენტის და შარვლის, ავტომობილისა და შაქრის... ფიზიკური მოცულობის ერთიანი საზომით გაზომვის ხერხი. უცვლელ ფასებში გამოხატული შემოსავლისა და პროდუქტის ცვლილება ასახავს პროდუქციის, ე. ი. სიმდიდრის, კეთილდღეობის მოცულობის მატებას. ასეთი განხილვისას სრულიად დასაბუთებულია საკითხი ეროვნული შემოსავლის (ან პროდუქტის) წილზე, რომელიც წარმოებაში მონაწილე თითოეულ ფაქტორზე მოდის და ამ სიდიდეთა წილის მატებაზე, რასაც თითოეული ამ ფაქტორის ზატება იძლევა. ფაქტორების დანახარჯებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. რასაკვირველია, თითოეული ამ ფაქტორის დამოუკიდებლობის ეარეული პროდუქციის (როგორც სახმარ ღირებულებათა ჯამის) შექმნაში ამ ფაქტორების გაყოფადობის შესახებ და სხვ. არის გამარტივებული დაშვება, მაგრამ თუ გვახსოვს ეს დაშვებები და ეითვალისწინებთ შეზღუდვებს, რაც ანალიზზე რეალური პირობების გავლენითაა გამოწვეული, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ეფექტით გამოვიყენოთ წარმოების „ფაქტორული" ანალიზი. ამ ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ამჟამად, არის საწარმოო ფუნქციათა მეთოდი. ზოგადად ეიძლება ჩავთვალოთ, რომ წარმოების მოცულობა (მოცემული საქონლის ან საქონლთა რიგის, მოცემულ საწარმოში ან მოცემულ ქვეყანაში ფ. ა. შ.) არის ცვლადთა რიგის ფუნქცია, რომელთა რიცხვი შეიძლება იყოს ნებისმიერად დიდი. მათემატიკურ სიმბოლოებში ეს შეიძლება ჩაიწეროს: $Y = F(X_1, X_2 \ldots X^n)$ სადაც Y პროდუქციაა, X_1, X_2, X_n სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, მეშათა რიცხოვნობა, მათი კვალიფიკაციის დონე, ჩარხების რიცხვი, ნედლეულის ხარისხი და ა. შ.

შემოთავაზებული იყო ამ ფუნქციის სახეობათა სიმრავლე არგუმენტების სხვადასხვა კომბინაციით. ყველაზე უფრო ცნობილია კობა-დუგლასის ფუნქცია, 20-იანი წლების ამერიკელი მეცნიერების სახელების მიხედვით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს: $Y = Ak^{\alpha}L^{\beta}$.

აქ იგულისხმება, რომ წარმოების მოცულობა განიზომება ორი ფაქტორით: k (კაპიტალის, ე. ი. გამოყენებული წარმოების საშუალებების რაოდენობით) და L (შრომის რაოდენობით). ხარისხის მაჩვენებლები α და β გვეუბნება, რამდენი პროცენტით, იზრდება პროდუქცია, თუ გავადიდებთ შესაბამისად 1%-ით კაპიტალისა და შრომის რაოდენობას ყოველთვის მეორე ფაქტორის რაოდენობის ფიქსირებულად დატოვებისას.

სიდიდე პროპორციულობის კოეფიციენტი: იგი შეიძლება განეიხილოთ აგრეთვე როგორც სიდიდე, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალისა და შრომის რაოდენობაში გამოუხატველ წარმოების ყველა ხარისხობრივ ფაქტორს.

ბევრი მეცნიერი ცდილობდა, განევითარებინა და სრულყოფილი გაეხადა კობა-დუგლასის ფუნქცია, შეეტანა მასში დინამიკური ელემენტები, განსაკუთრებით გაეთვალისწინებინა ტექნიკური პროგრესი. კერძოდ, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზრომეს ჰოლანდიელი ი. ტინბერგენისა, რომელიც ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა 1969 წ. არაებობს სტატისტიკურ-მათემატიკური გამოკვლევები, რომელთა ავტორები იძლევიან პროდუქციის ზრდაში ძირითადი ფაქტორების (მათ შორის „ტექნიკური პროგრესის" ფაქტორის) რაოდენობრივი წილის მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ შეფასებას.

ჩვენ უკვე რამდენჯერმე წავაწყდით სეის „ბაზრის კანონს“, ანუ, უბრალოდ, „სეის კანონს“, რეალიზაციისა და კრიზისების პრობლემა, რომელსაც იგი ეუბება, უდიდეს როლს ასრულებს კაპიტალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. „სეის კანონის“ ისტორია ვარკვეულად გვაგონებს მალთუსის „ხალხთმოსახლეობის კანონის“ ისტორიას. „ტრაქტატის“ პირველ გამოცემაში სეიმ ოთხი გვერდი დაწერა გასაღებაზე. აქ ერთობ ბუნდოვანი ფორმით იყო გამოთქმული აზრი, რომ საქონლის საერთო ჭარბწარმოება მეურნეობაში და ეკონომიკური კრიზისები ძირითადად შეუძლებელია. ყოველი წარმოება თვით წარმოქმნის შემოსავლებს, რომლებითაც შეიძინება შესაბამისი ღირებულების საქონელი. ერთობლივი მოთხოვნა ეკონომიკაში ყოველთვის ტოლია ერთობლივი მიწოდებისა. შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ნაწილობრივი დისპროპორციები: ერთი საქონელი იწარმოება მეტისმეტად ბევრი, მეორე — მეტისმეტად მცირე. მაგრამ ეს სწორდება საყოველთაო კრიზისის გარეშე. მალთუსის ძირითადი იდეის მსგავსად, ეს მარტივი დებულება მხოლოდ გარეგნულად ჩანს, რომ თავისთავად ცხადია. მეორე მხრივ, თვალში საცემია მისი უზომო აბსტრაქტულობა, რაც სეის აზრს არსებითად უშინაარსოს ხდის.

მალე „სეის კანონის“ ირგვლივ (მაშინ იგი ჯერ კიდევ არ ატარებდა ამ გახმაურებულ სახელს) გაიშალა ცხარე დისკუსია. მასში მონაწილეობდნენ იმ ეპოქის დიდი მეცნიერ-ეკონომისტები, მათ შორის რიკარდო, სისმონდი, მალთუსი და ჯემს მილი. სეი იცავდა და ასაბუთებდა თავის იდეას და „ტრაქტატის“ ყოველი შემდგომი გამოცემისას აზვიადებდა „კანონის“ შინაარსის გადმოცემას, მაგრამ მაინც ვერ მისცა მას რამდენადმე დასრულებული ფორმა.

„სეის კანონის“ შინაარსიანი ნაწილი, ცხადია, იმის დაშვებაა, რომ საქონლის ფასებს კაპიტალისტურ ეკონომიკაში ეკაჩნია აბსოლუტური მოქნილობა და მყისიერი რეაქცია ცვლილებაზე მეურნეობის კოხიუნქტურაში. მათ თვითონ აქვთ უნარი, გამოასწორონ დისპროპორციები, რაც შეიძლება აღმოცენდეს საქონლის წარმოებაში. ჩვენ უკვე ვხახეთ, ასეთი თვალსაზრისი როგორ გამოვლინდება რიკარდოსთან.

ჩვენი დროის დასავლეთის მეცნიერებაში დისკუსია „სეის კანონის“ შესახებ — ესაა ძირითადად დისკუსია ეგრეთ წოდებული ნეოკლასიკური და კეინსიანური მიმართულებების მომხრეებს შორის პოლიტიკურ ეკონომიაში. პირველნი, თუმცა არ მიუთითებენ „კანონზე“, ფაქტობრივად დგანან პოზიციებზე, რომლებიც საერთოდ და მთლიანად სეისაგან მომდინარეობს. ისინი ამბობენ, რომ მოქნილი ფასების, ხელფასის და სხვ. ძირითადი ელემენტების მეშვეობით ეკო-

ნომიკას შეუძლია სტიქიურად აიცილოს სერიოზული კრიზისები. ამიტომ ისინი ჩვეულებრივ გამოდიან ეკონომიკაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს დიდი ჩარევის წინააღმდეგ. ამრიგად, ეკონომიკურ პოლიტიკაში შეხედულების აზრით ნეოკლასიკური მიმართულება ხშირად „ნეოლიბერალიზმისაკენ“ ისწრაფა.

პირიქით, კეინსი და მისი მიმდევრები მიუთითებენ თავისუფლად გახვითარებად კაპიტალისტურ ეკონომიკაში კრიზისების გარდუვალობაზე და აკრიტიკებენ „სეის კანონს“. კეინსი წერდა, რომ პროფესიული ეკონომისტების ეროგულებამ ამ „კანონისადმი“, რომელსაც უარყოფს ცხოვრება, მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვეულებრივი ადამიანის მხრივ „შესამჩნევი გახდა სულ უფრო და უფრო ნაკლები მიდრეკილება — ეპყრობოდნენ ეკონომისტებს ისეთივე პატივისცემით, როგორც მეცნიერთა სხვა ჯგუფებს, რომელთა თეორიული დასკვნები, როცა მათ პრაქტიკაში იყენებენ, ეთანხმება დაკვირვებებს“.[1] კეინსიანური მიმართულება გამოდის ეკონომიკაში სახელმწიფოს ფართოდ ჩარევის მომხრედ.

ბანახანილველ ეპოქაში, ე. ი. XIX ს. პირველ ნახევარში „სეის კანონმა“ — ანუ იმან, რაც მასში ესმოდათ მაშინდელ ეკონომისტებს, — შეასრულა ორგვარი როლი. ერთი მხრივ, იგი ასახავდა სეის სკოლისათვის დამახასიათებელ რწმენას ბურჟუაზიული საზოგადოებისა და შეურნეობის ნინასწარ ღადგენილ ჰარმონიაში. ეს სკოლა ვერ ხედავდა, ან არ სურდა დაენახა წინააღმდეგობანი, რომლებსაც გარდუვალად მივყავართ ჭარბწარმოების კრიზისებთან. „სეის კანონი“ ეუბნებოდა, რომ საერთოდ ეწარმოება უშუალოდ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და იცვლება ფულის სრული პასიური როლით ამ გაცვლაში. ეს უსასრულოდ შორსაა სინამდვილისაგან. მაგრამ „სეის კანონში“ იყო თავისი დროისათვის პროგრესული მხარეც. იგი მიმართული იყო კაპიტალიზმის წინსვლითი განვითარების შეუძლებლობის შესახებ სისმონდის თეზისის წინააღმდეგ. მასში, თუმცა ძალიან არაზუსტი ფორმით, გამოთქმული იყო თეზისი, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარების მსვლელობაში თვით იქმნის ბაზარს და პრინციპში არ საჭიროებს რეალიზაციის პრობლემის ეადაერისათვის ყოველგვარ „მესამე პირებს“. ბურჟუაზია სარგებლობდა სეის არგუმენტებით და აყენებდა ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შემცირების, მეწარმეობისა და ვაჭრობის თავისუფლების პროგრესულ მოთხოვნებს.

---

[1] Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, стр. 32.

1873 წ. კ. მარქსმა დაწერა „კაპიტალის“ მეორე გამოცემის (პირველი ტომის) პოლოსიტყვაობა, რომელშიც მოგვცა XIX ს. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარების მოკლე ნარკვევი. იგი მიუთითებდა კლასიკური სკოლის მიღწევებზე საუკუნის დასაწყისში და ცხარე დისკუსიებზე 20-იან წლებში და შემდეგ აღნიშნავდა: „1830 წელს დაიწყო გადამწყეტი კრიზისი.

ბურჟუაზიამ საფრანგეთსა და ინგლისში პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრო. ამ დროიდან დაწყებული კლასობრივი ბრძოლა პრაქტიკულად და თეორიულად სულ უფრო მკაფიო და საშიშ ფორმებს იღებს. მასთან ერთად მეცნიერული ბურჟუაზიული ეკონომიის სასიკეთილო ზარმაც დაკრა. ამიერიდან საქმე შეეხებოდა უკვე არა იმას, სწორია თუ არა ესა თუ ის თეორემა, არამედ — სასარგებლოა იგი კაპიტალისთვის თუ საზიანო, ხელსაყრელია მისთვის თუ არახელსაყრელი, შეეთანხმება იგი პოლიციურ მოსაზრებებს თუ არა. უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მჯღაბნელების მყვირალა პოლემიკა იჭერს, მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს კი — არაკეთილსინდისიერი, ბლიქვნელური აპოლოგეტიკა“ [1]

ეს ყველაზე მეტად სეი-ბასტიას სკოლას ეხება. მარქსი განაგრძობს, რომ 1848 წ. შემდეგ ვულგარულმა ეკონომიამ ახალი ცვლილებები გახიცადა, რის შედეგადაც „ბრძენნი, ვამორჩენის მოტრფიალესი, პრაქტიკოსი ადამიანები, შემოკრბნენ ბასტიას, ვულგარულ-ეკონომიკური აპოლოგეტიკის ამ ყველაზე ბანალური და ამიტომ ყველაზე იღბლიანი წარმომადგენლის, დროშის ირგვლივ“.[2]

ბურჟუაზიული პრაქტიკის სამსახურით გატაცებულმა სეის სკოლამ ფაქტობრივად არაფერი-გააკეთა ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის. ამაზე მიუთითებენ არა მხოლოდ მარქსისტები, არამედ, ეკონომიკური აზრის ყველაზე სერიოზული ბურჟუაზიული ისტორიკოსებიც. სკოლის ცენტრად, საუკუნის თითქმის ბოლომდე, იყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრა კოლეჯ დე ფრანსში, რომელიც სეის ეკავა თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში. მისი ერთ-ერთი მემკვიდრე იყო შედარებით დიდი ეკონომისტი მიშელ შევალიე, რომელიც, ბასტიასთან ერთად, სკოლაში ფრიტრედერული მიმართულების ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი და პრაქტიკული მოღვაწე იყო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. სკოლის წევრები უშვებდნენ სეის ძიერ შთაგონებულ და მის მანერაზე დაწერილ წიგნებს პოლიტიკურ ეკონომიაში. თავის დროზე ისინი პოპულარობით სარგებლობდნენ, ბაერამ მეცნიერებაში თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 15.
[2] იქვე, გვ. 16.

ამ სკოლას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ჟერომ ადოლფ ბლანკი, რომელიც რევოლუციონერის, უტოპიური კომუნისტის ლუი ოგიუსტ ბლანკის ძმა იყო. ბლანკი ეკონომისტი, პირიქით, ყველაზე რესპექტაბელური ბურჟუაზიული პროფესორი იყო. იგი ცნობილია უმთავრესად „პოლიტიკური ეკონომიის ისტორიით ევროპაში" (1839 წ.), ეკონომიკური აზრის ისტორიის ერთ-ერთი პირველი კაპიტალური კურსით, რომელიც დიდ ხანს ითვლებოდა თავისებურ ნიმუშად და ითარგმნა ბევრ, მათ შორის რუსულ, ენაზე.

უხდა მოვიხსენიოთ შარლ დიუნუაიე, კიდევ ერთი ფიცხი „ოპტიმისტი", „ეკონომიკური თავისუფლების" ქომაგი, ყოველგვარი კრიტიკისაგან არსებული კაპიტალისტური სისტემის დამცველი. დიუნუაიეს მეშვეობით შეიძლება კარგად დავასურათოთ ზემოთ გადმოცემული განსხვავება ნორმატიულ და პოზიტიურ მიდგომას შორის პოლიტიკურ ეკონომიაში. მას წმინდად სწამდა კაპიტალიზმის შინაგანი ძალებისა, უარყოფდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში და პოზიტიური მიდგომის მომხრე იყო. ამ საკითხზე თავისი შეხედულება მან აფორიზმულად გამოთქვა: „მე არაფერს ვბრძანებ; მე არაფერს ვთავაზობ; მე გადმოვცემ".

/სეის სკოლა და მისი შეხედულებები ჩამოყალიბდა 30—40-იან წლებში გააფთრებულ ბრძოლაში სოციალისტურ იდეებთან, რომლებიც ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში/ შემდგომ ჩვენ გავეცნობით დიდი სოციალისტ-უტოპისტების სენ-სიმონისა და ფურიეს მოძღვრების ეკონომიკურ ნაწილს, რომელთა მოწაფეები და მიმდევრები იყვნენ სეის სკოლის მთავარი იდეური მოწინააღმდეგენი.

კურნო: ცხოვრება და მოღვაწეობა

მრავალი ეკონომიკური მოვლენა და პროცესი თავისი ბუნებით რაოდენობრივი ხასიათისაა. ეკონომიკურ სიდიდეებს შორის ჩვეულებრივი რაოდენობრივი კავშირები არსებობს: თუ იცვლება ერთი მათგანი, მაშინ რომელიღაც კანონით იცვლება მეორეც ან სხვებიც, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პირველთან. ვთქვათ, თუ იზრდება ფასი მოცემულ საქონელზე, მაშინ ყველაზე მეტად მოსალოდნელია მასზე მოთხოვნის რამდენადმე შემცირება. ამ დამოკიდებულების ხასიათი შეიძლება, ალბათ, რაღაც ფუნქციით გადმოიცეს. დაახლოებით ასეთმა მოსაზრებებმა აიძულა ზოგიერთი მოაზროვნე, უკვე XVIII ს-ში ჩაფიქრებოდა საკითხს,— ხომ არაა საჭირო მათემატიკის გამოყენება ეკონომიკური მოვლენების შესასწავლად. ეს ცდები იყო. შემდგომში თეორიული ეკონომიის განვითარებამ ისინი უფრო ახლოს მიიყვანა ამ მეცნიერების ზოგიერთი ძირეული პრობლემის მათემატიკურ ფორმალიზაციასთან.

„პირველი მეცნიერი, რომელიც შეგნებულად და თანმიმდევრულად იყენებდა მათემატიკურ მეთოდებს ეკონომიკურ გამოკვლევებში, იყო ფრანგი ანტუან ოგიუსტენ კურნო.[1] კურნოს ნაწარმოები, რომელმაც შემდეგ მას დიდება მოუტანა, 1838 წ. გამოვიდა და ეწოდებოდა „სიმდიდრის თეორიის მათემატიკური პრინციპების გამოკვლევა". რადგანაც მის სიცოცხლეში წიგნს თითქმის არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია, ეკონომიკური აზრის ისტორიის შესახებ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ კურნო იყო ნიჭიერი უიღბლო, „მეცნიერებისათვის წამებული". ეს არაა მთლად სწორი. კურნოს ჰქონდა უმაღლესი სკოლის პროფესორის და სასწავლო დაწესებულების ადმინისტრატორის წყარი და უზრუნველყოფილი ცხოვრება. იგი იყო ძრავალი მათემატიკური თხზულების ავტორი, რომელთაც თავის დროზე წარმატება ხვდათ. კურნო კარგ ურთიერთობაში იყო ყველა რეჟიმთან, რომლებიც ერთიმეორეს ცვლიდნენ საფრანგეთში მისი სანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე და ეკავა გამოჩენილი ადგილი ოფიციალურ მეცნიერებაში და სახელმწიფო სამსახურში.

ამასთან ერთად ისიც მართალია, რომ კურნო მტკივნეულად განიცდიდა მისი მეცნიერული დამსახურებების აღიარებლობას. ბევრად უფრო ღრმა აზრით, იგი ცდილობდა მათემატიკისა და ფილოსოფიის მეშვეობით ეპოვა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების რაღაც სინთეზი. სიცოცხლის ორი უკანასკნელი ათწლეულის მისი ნაწარმოებები ძიძღვნილია ძირითადად ბუნებისმეტყველების ფილოსოფიისადმი. ფორმულების გამოუყენებლად კურნო შეეცადა ადრეთვე 60-იანი და 70-იანი წლების ორ ნაშრომში დაბრუნებოდა ეკონომიკურ მეცნიერებას, მაგრამ მათ ვერ მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. კურნოს ამ ნაშრომებს არა აქვს მისი პირველი წიგნის ორიგინალურობა და, მისგან განსხვავებით, სამუდამოდ დარჩნენ ბიბლიოთეკების თაროებზე დამტვერილი. ისინი ხელახლა არასოდეს აღარ გამოცემულა. კურნოს ბიოგრაფი წერს: „აშკარა კონტრასტია მის ბრწყინვალე სამსახურებრივ კარიერასა და სიცოცხლეში მისი როგორც მეცნიერის სრულიად არასაკმაო აღიარებას შორის ...სევდიანად და ამაყად ლაპარაკობს იგი თავის ჩანაწერებში, რომ რაც არ უნდა ნაკლებად გასაღებულიყო მისი თხზულებანი, განსაკუთრებით საფრანგეთში, ისინი მაინც შეიცავდნენ მეტ-ნაკლებად ახალ იდეებს, რომელთაც შეეძლოთ უფრო მეტად, ვიდრე ადრე, გაეშუქებინა მეცნიერებათა საერთო სისტემა".[1]

კურნო დაიბადა 1801 წ. პატარა ქალაქ გრეში (აღმოსავლეთ საფრანგეთში) შეძლებულ წვრილბურჟუაზიულ ოჯახში, რომლის წევრთა შორის იყვნენ კარგად განათლებული ადამიანები. მისი ბაბუა ნოტა-

---

[1] ციტატა წიგნიდან: Цит. по H. Reichardt. Augustin A. Cournot. Sein Beitrag zur exacten Wirtschaftswissenschaft. Tübingen, 1954, S. 8.

რიუსი იყო და დიდი გავლენა მოახდინა ბიჯის აღზრდაზე. 15 წლამდე კურნო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ დაახლოებით 4 წელიწადს თავის სახლში ცხოვრობდა და თვითგანათლებით იყო დაკავებული და, ერთხანს, დადიოდა კოლეჯში ბეზანსონში. 1821 წ. იგი შევიდა უმაღლესი ხორძალური სკოლის ბუნების განყოფილებაზე პარიზში, სადაც სრულად გამოვლინდა მისი გატაცება მათემატიკით. მაგრამ მალე მთავრობამ სკოლა დროებით დახურა სტუდენტთა ანტიროიალისტური განწყობილების მიზეზით და კურნო, მიუხედავად მისი აპოლიტიკურობისა, ერთხანს სხვა სტუდენტებთან ერთად პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა.

1823 წლიდან 1833 წლამდე კურნო მარშალ სენ-სირის ოჯახში ცხოვრობდა, როგორც მისი ვაჟიშვილის აღმზრდელი და მარშლის მდივანი, რომელიც მემუარებს წერდა იმპერიის პერიოდზე. მთელი ამ წლების მანძილზე კურნო ბევრს მუშაობდა მეცნიერებებში, ესწრებოდა ლექციებს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში, გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია. 1829 წ. მან მიიღო დოქტორის ხარისხი პარიზის უნივერსიტეტისაგან მათემატიკური ნაშრომისათვის. იგი დაუახლოვდა ბევრ გამოჩენილ მეცნიერს, განსაკუთრებით მათემატიკოს პუასონს, რომელიც კურნოს თელიდა თავის ერთ-ერთ უნიჭიერეს მოწაფედ და სიკვდილამდე მფარველობდა მას. პუასონის პროტექციის წყალობით კურნოს მიიღო პროფესორის ადგილი ლიონში და დაიწყო იქ უმაღლესი მათემატიკის სწავლება. ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს გრენობლში აკადემიის (უნივერსიტეტის) რექტორად. სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც საქმიანმა ადმინისტრატორმა. 1838 წ. კი მიიღო კიდევ უფრო მაღალი პოსტი სახალხო განათლების სისტემაში — გახდა სასწავლო დაწესებულებების გენერალური ინსპექტორი; 40-იან წლებში გამოვიდა კურნოს მთავარი მათემატიკური შრომები.

[განსაკუთრებით დიდია კურნოს დამსახურება ალბათობის თეორიის ეახვითარებაში და მის ფილოსოფიურ განმარტებაში.] როგორც აღნიშნავენ. საბჭოთა მეცნიერები, რომლებმაც მოამზადეს რუსულ ენაზე მისი მათემატიკური შრომის პირველი გამოცემა, „ალბათობის თეორიის დარგში კურნოს იდეებმა მრავალი ათწლეულით გაუსწრეს მის ეპოქას და მხოლოდ ამჟამად... ხდება საყოველთაოდ აღიარებული და საფუძვლად ედება ამ დისციპლინის ლოგიკას და ფილოსოფიას“.[1]

ბიოგრაფებისათვის თავისებური გამოცანაა — ამ მრავალფეროვან შრომებს შორის და ასე მოულოდნელად როგორ გამოჩნდა კურნოს ეკონომიკური თხზულება. არ შეიმჩნევა რაიმე ნიშანი იმისა, რომ მანამდე იგი ამჟღავნებდა ინტერესს პოლიტიკური ეკონომიისადმი. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კურნო იყო ენციკლოპედი-

[1] Ог. Курно, Основы теории шансов и вероятностей, М., «Наука», 1970, стр:6 .

ური გონებისა და ფართო ინტერესების ადამიანი. როგორც ჩანს, იგი კითხულობდა იმ დროისათვის ერთობ პოპულარულ სეის შრომებს. შესაძლებელია, სეის მეშვეობით იგი გაეცნო სმიტისა და რიკარდოს ხაწარმოებებს. ამას უნდა დავუმატოთ საღი აზროვნება და თავისებური ეკონომიკური ინტუიცია, რაც ძლიერ იგრძნობოდა კურნოს წიგნში. ეკონომიკური მეცნიერების დებულებების უზუსტობით, მერყეობით, დაუმტკიცებლობით უკმაყოფილო იგი შეეცადა მიეყენებინა მისთვის მკაცრი ლოგიკა და მათემატიკური მეთოდები. კურნო, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ მისი წიგნი მიიქცევდა სხვა მკვლევართა ყურადღებას და წაახალისებდა მათ აზრებს ამ მიმართულებით, მაგრამ მას იმედის გაცრუება ელოდა.

კურნოს წარმატებული სამსახურებრივი კარიერა 1862 წლამდე გრძელდებოდა. მეორე რესპუბლიკის პერიოდში (1848—1851 წწ.) იგი იყო უმაღლესი განათლების კომისიის წევრი, მეორე იმპერიის დროს — სახალხო განათლების საიმპერიო საბჭოს წევრი. რვა წელიწადს იყო ორი უნივერსიტეტის რექტორი დიჟონში, სადაც თავისი პრინციპულობითა და ფართო თვალთახედვით სტუდენტებისა და პროფესორების პატივისცემა დაიმსახურა. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ კურნო დასახლდა პარიზში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პედანტურად გაბოზომილად ცხოვრობდა: დგებოდა და წვებოდა ყოველთვის ერთსა და იმავე დროს და დღის პირველ ნახევარს უთმობდა მუშაობას. ერთი შეხედვით იგი მკაცრი და პირქუში ჩანდა. მაგრამ მეგობრებთან და კარგ ნაცნობებთან გულზიარი და ლაპარაკის მოყვარული იყო, არ აკლდა იუმორი. კურნო გარდაიცვალა პარიზში 1877 წ.

კურნოს ნაშრომი

კურნოს ეშინოდა, რომ მისი ეკონომიკურ-მათემატიკური წიგნი შეიძლებოდა ერთობ რთული მოსჩვენებოდა ჩვეულებრივ მკითხველს და, ამავე დროს, არ მიიქცევდა პროფესიონალი მათემატიკოსების ყურადღებას. მაგრამ იგი წერდა, რომ „არის ადამიანთა დიდი კლასი... რომელიც საფუძვლიანი ძათემატიკური მომზადების შემდეგ ხელს ძოკიდებდა იმ მეცნიერებებს, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებს საზოგადოებას (ძხედველობაშია ალბათ ტექნიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები — ა. ა.). საზოგადოების სიმდიდრის თეორიებმა უნდა მიიპყროს მათი ყურადღება. მაგრამ ამ თეორიების განხილვისას ისინი ნამდვილად იგრძნობენ, როგორც მე ვიგრძენი, აუცილებლობას, მათთვის ცნობილი სიმბოლოებით გახადონ განსაზღვრული და ზუსტი ის ანალიზი, რომელიც ჩვეულებრივად განსაზღვრულია და ხშირად ბნელია იმ ავტორებთან, რომლებიც საკმარისად თვლიან შემოიზღუდონ ჩვეულებრივ ენის შესაძლებლობებით“.[1]

[1] A. A. Cournot. Recherches sur les principes mathématiques de la théorie des richesses. P., 1838, p. X.

კურნო, შესაძლოა, იყო პირველი, მომდევნო ეპოქისათვის დამახასიათებელი მათემატიკოსის, ინჟინრის, ბუნებისმეტყველი მეცნიერის ტიპი, რომელიც გატაცებული საზოგადოებრივი მეცნიერებების თავისებური და მწვავე პრობლემებით, ცდილობს გამოიყენოს მათ მიმართ მათემატიკის ზუსტი ენა. როგორც მის შემდეგ მრავალი მათემატიკოსი, ისიც იღებდა ძირითადად ეკონომიკურ მეცნიერებას და მის ამოცანებს ისეთად, როგორადაც ნახულობდა არსებულ ლიტერატურაში.

თავის ნაშრომში კურნომ გამოიკვლია, არსებითად, ერთი დიდი საკითხი: საქონლის ფასისა და მასზე მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა საბაზრო სიტუაციაში, ე. ი. მყიდველთა და გამყიდველთა ძალების სხვადასხვა განლაგებისას. ამით მან გამოავლინა სწორი ალღო ეკონომიკურ გამოკვლევებში მათემატიკის გამოყენების სასიათისა და საზღვრების მიმართ. მას არ ჰქონდა პრეტენზია მათემატიკის შეშველობით პრინციპული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დამუშავებაზე, შემოიზღუდა ამოცანით, რომლის პირობები მეტხაკლებად გამოსადეგი იყო მათემატიკური ფორმალიზაციისათვის.

მოთხოვნისა და ფასის თანაფარდობის საკითხის კვლევისას კურნომ. უპირველეს ყოვლისა, ფაქტობრივად პირველად შემოიტანა მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ცნება — მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს ე ლ ა ს ტ ი კ უ რ ო ბ ა. როგორც უკვე ითქვა, ყოველდღიური გამოცდილება ლაპარაკობს, რომ მოცემულ საქონელზე ფასის აწევისას მასზე მოთხოვნა მცირდება, ფასის შემცირებისას მოთხოვნა იზრდება. კურნომ აღნიშნა მოთხოვნა Д-თი, ფასი — p-თი და ეს „მოთხოვნის კანონი“ ჩაწერა ფუნქციის სახით: $D=F(p)$.

კურნომ მიუთითა, რომ სხვადასხვა საქონლისათვის ეს დამოკიდებულება სხვადასხვახაირია. მოთხოვნა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ფასების შედარებით უმნიშვნელო ცვლილებისას, — ესაა მოთხოვნის მაღალი ელასტიკურობის შემთხვევა. და, პირიქით, მოთხოვნამ შეიძლება მცირე რეაგირება მოახდინოს ფასების შეცვლაზე, — ესაა მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის შემთხვევა. კურნო აღნიშნავდა, რომ უკანასკნელი ეხება, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, ფუფუნების ზოგიერთ საგანსაც, და ყველაზე უპირველესი მოთხოვნილების საგანსაც. მაგალითად, ვიოლინოს ან ასტრონომიული ტელესკოპის ფასი შეიძლება ორჯერ დაეცეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამან გამოიწვიოს მოთხოვნის შესამჩნევი გადიდება: იგი შეზღუდულია მოყვარულთა ვიწრო წრით, რომელთათვისაც ფასი არ არის მთავარი. მეორე მხრივ, შეშახე ფასი შეიძლება ორჯერ გაიზარდოს, მაგრამ მოთხოვნა შეცირდება ბევრად უფრო ნაკლები ზომით, რადგან ადამიანები მზად არიან, უფრო ადვილად შეამცირონ სხვა ხარჯები, ვიდრე იცხოვრონ გაუთბარ სახლებში. ამრიგად, მოთხოვნის ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე და, მაშასადამე, გამოსახოს სხვადასხვა შრუდით. კურნოს ნაკლებად ცხადი, მაგრამ მათემატიკურად უმნიშვნელოვანესი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ფუნქცია უწყვეტია, ე. ი. რომ ფასის ყოველგვარ უსასრულოდ მცირე ცვლილებაა შეესაბამება მოთხოვნის უსასრულოდ მცირე ცვლილება. მას უსაფუძვლოდ არ მიაჩნდა, რომ ეკონომიკურად ეს პრინციპი მით უფრო სრულად ხორციელდება, რაც უფრო „ფართოა ბაზარი, რაც მეტია შესაძლო კომბინაციები მოთხოვნილებათა მდგომარეობისა და მომხმარებელთა კაპრიზებისაც კი“. გარკვეული გამონაკლისებით, რომლებიც არ შეუძლიათ როლის შესრულება ეკონომიკურ მოვლენათა სფეროში, შეიძლება მო-

ვიღებთ ეწოდებული ფუნქციების დიფერენცირება. კურნომ პირველად აჩვენა უმაღლესი მათემატიკის (მათემატიკური ანალიზის) გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკის მიმართ კონკრეტულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პერსპექტიულ. მაგალითზე — საქონლის მოთხოვნისა და ფასის ურთიერთდამოკიდებულების მაგალითზე.

ძოვეული საქონლის გარკვეული რაოდენობისაგან მთლიანი ამონაგები, ზემოთ შოლეხილი აღნიშვნებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაიწეროს როგორც წარმოებული pD ან pF(p). კურნო ახდენს ამ ფუნქციის დიფერენცირებას და ეძებს მის მაქსიმუმს, იმ ვარაუდით, რომ ყოველი საქონელმწარმოებელი არის „ეკონომიკური ადამიანი" და ცდილობს თავისი მოგების მაქსიმალიზაციას. აქედან გარდაქმნების გზით კურნო ხახულობს მთლიანი ამონაგების (შემოსავლის) მაქსიმუმის შესაბამის ფასს.

ეს ფასი დამოკიდებულია მოთხოვნის ფუნქციის სახეზე, ე. ი. მისი ელასტიკურობის ხასიათზე. ცხადია, აგრეთვე, რომ არა ყველაზე მაღალი ფასი იძლევა ამონაგების მაქსიმუმს, არამედ რომელიღაც კონკრეტული ფასი, რომელსაც ცდილობს მიეახლოვდეს გამყიდველი გამოცდითა და შეცდომებით. კურნო იწყებს ანალიზს, მისი აზრით, უმარტივესი შემთხვევიდან — ბუნებრივი მონოპოლიიდან. დავუშვათ, ამბობს იგი, ვიღაცა არის თავისი თვისებებით უნიკალური მინერალური წყლის ხელის ბატონი. რა ფასი უნდა დააწესოს მფლობელმა ამ წყალზე, რომ უზრუნველყოს შემოსავლის მაქსიმუმი? კურნო შეეცადა გაეცა პასუხი ასეთ კითხვაზე და გადადის უფრო რთულ შემთხვევაზე, შემოყავს დამატებითი ფაქტორები (წარმოებისა ხარჯები, კონკურენცია, სხვა შეზღუდვები).

იგი იხილავს დუოპოლიის (ორი მეტოქე მონოპოლისტი), კონკურენტების შეზღუდული რიცხვისა და, ბოლოს, თავისუფალი კონკურენციის შემთხვევებს. ამრიგად, კურნოს მოდელი იგება უკუმიმართებით XIX საუკუნეში განვითარების ნამდვილი ისტორიული პროცესის მიმართ, რომელიც მიმდინარეობდა თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიისაკენ.

მთელი ანალიზი ემყარება ერთიანი მეთოდის გამოყენებას — მოთხოვნის ფუნქციების მნიშვნელობათა ექსტრემალურ განსაზღვრას, რომლებიც საბაზრო სიტუაციისაგან დამოკიდებულებით სხვადასხვა სახეს ღებულობენ. ამ გამოკვლევის მათემატიკური სიზუსტე და ლოგიკურობა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. კურნოს ნაშრომი მკვეთრად განსხვავდება მისდროინდელი ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის ეამოჩენილი წარმომადგენლების ნაწარმოებებისაგან. კურნოს ენა მათთვის სრულიად უცნობი იყო, როგორც უცხო ენა. არაა საკვირველი, რომ მას ვერ გაუგეს.

კურნოს კონცეფციას პრინციპული ნაკლოვანებები გააჩნია. ყველაზე გავრცელებული აზრით იგი უნდა გავიგოთ როგორც ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური: კურნო უგულებელყოფს კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციას, კრიზისებს და კაპიტალიზმის სხვა ძირეულ კანონზომიერებებს. თავის მოდელში კურნო იხილავს მხოლოდ უშუალოდ ფასებს, რომლებიც. მისი აზრით, მიმოქცევის სფეროში მყარდება და თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს წარმოებასთან. თავის მსჯელობაში მონოპოლიასა და კონკურენციაზე იგი ამახინჯებს რეალური კაპიტალისტური ეკონომიკის მრავალ მნიშვნელოვან ელემენტს. კურ-

ნოს „წმინდა პოლიტიკური ეკონომია“, რომელიც ყურადღებას აშორებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, სუბიექტური სკოლის ერთ-ერთი წყარო გახდა. სწორედ მისმა წარმომადგენლებმა, მალე კურნოს სიკვდილის შემდეგ, „ხელახლა“ აღმოაჩინეს იგი და თავიანთ წინამორბედად წარმოსახეს. გარკვეულად ეს ასეც არის. ამგვარად ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია არა კურნოს შეხედულებების კანონზომიერი შეზღუდულობა, არამედ კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების კვლევის მის მიერ შექმნილი მეთოდოლოგია. ამ მხრივ ის ნამდვილი პიონერი იყო, რომელმაც გაკვალა ახალი გზები მეცნიერებაში.

კურნოს ესმოდა, რომ მისი მათემატიკური მოდელი შეიძლებოდა გამხდარიყო შემეცნების უფრო ძვირფასი იარაღი, თუკი შესაძლებელი იქნებოდა მისი შევსება ემპირიული მასალით, რომელიც ციფრობრივი ფორმით ასახავდა ეკონომიკურ რეალობას.

ტიუნენი და საზღვრითი ანალიზი

კურნოსთან თითქმის ერთდროულად (რამდენადმე ადრეც) გერმანელმა იოჰან ფონ ტიუნენმა აავო სხვა ეკონომიკური მოდელი და ნაწილობრივ გააკეთა ის, რაზეც ლაპარაკობდა კურნო, — შეავსო იგი ემპირიული მასალით. ტიუნენი იყო ჩრდილოეთგერმანელი იუნკერი (მებატონე) და მთელი ცხოვრება მშვიდად მისდევდა სოფლის მეურნეობას თავის პატარა მამულში, მაგრამ ეს მებატონე იყო ჭეშმარიტი მოაზროვნე. ტიუნენი წყვეტდა სავალალო ეკონომიკურ ამოცანას. ის ვარაუდობდა იზოლირებული სამეურნეო ოლქის არსებობას წრის სახით აბსოლუტურად ერთნაირი ნაყოფიერების ნიადაგით და ქალაქით (ერთადერთ წყაროდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნისა) ამ წრის ცენტრში. ამ მოდელის კვლევაში იგი იმ საინტერესო დასკვნამდე მივიდა, რომ ოპტიმალური იქნება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განლაგება კონცენტრული რკალების სახით კლებადი იხტეხსიეობით. ტიუნენი გასაოცარი შრომისმოყვარეობითა და აკურატულობით აწარმოებდა დანახარჯებისა და შედეგების აღრიცხვას თავის მეურნეობაში. იგი ანგარიშობდა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საქონელზე მოცემული ფასის პირობებში ქალაქიდან რა მანძილზე უთასაბრდება სატრანსპორტო ხარჯები წმინდა ამონაგებს (საერთო ამონაგები წარმოების ხარჯების გამოკლებით) და წარმოება ხდება არარენტაბელური. თუ კურნოს წიგნი იყო აბსტრაქტული მათემატიკური ეკონომიის დასაწყისი, ტიუნენის გაანგარიშებებს ზოგჯერ თვლიან ეკონომეტრიკის პირველ სახედ — მათემატიკური ეკონომიისა, რომელიც შეიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას და ემპირიული, ფაქტობრივ რაოდენობრიობებზე დაფუძნებული, მოდელების დამუშავებას.

ტიუნენის ერთადერთი თხზულების სახელწოდებაა „იზოლირებული სახელმწიფო და მისი ურთიერთობა სოფლის მეურნეობასა და ეროვნულ ეკონომიასთან“. პირველი ტომი 1826 წ. გამოვიდა, მეორე ტომის ერთი ნაწილი — 1850 წ. მეორე ტომის მეორე ნაწილი და მესამე ტომი გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1863 წ. ტიუნენი ძლივს შენიშნეს და საკადრისად ვერ დააფასეს თანამედროვეებმა.

ემპირიული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შექმნა ტიუნენის ერთადერთი მიღწევა არ იყო — იგი შეეცადა გაეგრძელებინა შემოსავლების განაწილების კვლევა იქ, სადაც იგი სმიტმა, — ტიუნენისათვის უდიდესმა ავტორიტეტმა, — დატოვა. საინტერესოა, რომ მან, როგორც ჩანს, საერთოდ არაფერი იცოდა რიკარდოს შრომების შესახებ და დამოუკიდებლად განავითარა დიფერენციული რენტის თეორია შრომითი ღირებულების საფუძველზე. იგი მიდიოდა იმ გზით, რომელიც ახლოს იყო ინგლისელის გზასთან, მაგრამ უფრო თანმიმდევრულად და ფართოდ გამოიყენა საზღვრითი მიდგომა ეკონომიკური მოვლენების კვლევისადმი.

ჯევონს მსგავსად, ტიუნენი ისწრაფოდა ზუსტად მიჰყოლოდა იმ ერთიან მეთოდოლოგიას, რომელიც მან შეიმუშავა შესანიშნავი ინტუიციით და რომელიც ათეულწლობით უსწრებდა ეკონომიკური ანალიზის ტექნიკის განვითარებას. ყოველგვარი ეკონომიკური პროცესი ვითარდება თანდათანობითი მცირე ნამატის გზით, სანამ არ მიიღწევა გარკვეული ზღვარი, გარკვეული უკიდურესი სიტუაცია, როცა ხდება რაღაცა თვისებრივი ცვლილება. ჩვეულებრივ ამგვარად ხსნიდა იგი თანდათანობით დაახლოებას, თანდათანობით რაღაცა წონასწორობის ან ოპტიმალური მდგომარეობის სტიქიურ მოსინჯვას. იგი იყენებდა ასეთ ხერხს, მაგალითად, შრომისა და კაპიტალის ურთიერთშენაცვლების პროცესების (ე. ი. მუშახელის და მანქანებისა) და წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების მიმართ.

ეს იყო ნაყოფიერი მეთოდი და იგი არ იყო უცხო მარქსისათვის. მსგავსი მსჯელობის მეშვეობით მარქსი ხსნიდა, მაგალითად, როგორ მყარდება საშუალო დარგთაშორისი მოგების ნორმა კაპიტალების გადასვლით დარგიდან დარგში.

შემდგომში მცირე ნამატებისა და საზღვრითი სიტუაციების მეთოდმა ეკონომიკურ მეცნიერებაში მარჟინალიზმის სახელწოდება მიიღო (ფრანგული marge-დან და ინგლისური margin-დან, რაც ორივე ენაზე ნიშნავს კიდეს, ზღვარს, საზღვარს), როგორც მარქსისტულ, ისე არამარქსისტულ მეცნიერებაში არსებობს წარმოდგენა, რომ მარჟინალიზმი განსაკუთრებული მიმართულებაა თეორიაში, რომელიც პრაქტიკულად სუბიექტურ სკოლას ემთხვევა. ეს სკოლა გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩოდიოდა შრომითი ღირებულების თეორიისა და

მასზე დაფუძნებული გახაწილების თეორიის წინააღმდეგ, ეკონომიკური მოვლენებისადმი სოციალური მიდგომის წინააღმდეგ. ეს წარმოდგენა არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. მარჟინალიზმი უფრო ანალიზის მეთოდია, რომელიც გამოიყენება ეკონომიკაში ოპტიმალური ქცევის პრინციპების კვლევისათვის, ოპტიმალური მდგომარეობისა და გადაწყვეტილებებისადმი მიახლოებისათვის.

ჰერმან ლემანმა,[1] ეკონომისტმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, აღნიშნა, რომ XIX ს. პირველ ნახევარში საზღვრით ანალიზს ავითარებდნენ როგორც სუბიექტური სკოლის წინამორბედნი, ასევე ავტორები, რომლებიც იდგნენ შრომითი ღირებულების თეორიისა და სოციალური მიდგომის პოზიციებზე. მეორე ჯგუფის მთავარ წარმომადგენლებად იგი თვლიდა რიკარდოს და ტიუნენს. „ეს განსხვავება ეულგარულ-ეკონომიკურ საზღვრით ანალიზსა და კლასიკურ შრომით ღირებულებასთან დაკავშირებულ მსგავს ანალიზს შორის, რომელიც ჯერ კიდევ მცირე ყურადღებას იქცევს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქედან, როცა სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში მზარდ როლს ასრულებს კავშირი ეკონომიკური მოვლენების ოპტიმიზაციასა და ღირებულების მარქსისტულ თეორიას შორის"[2].

ეფიქრობთ, ავტორი აქ შეეხო განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემას. მისი განვითარება მოითხოვს ანალიზის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების, კერძოდ, საზღვრითი მიდგომის გამოყენებას. ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტული ეკონომიკური თეორიის, როგორც მსოფლმხედველობის პრინციპული საფუძვლების, შენარჩუნებასა და განვითარებას.

სარგებლიანობა

ისტორიულად საქმე ისე იყო, რომ ეკონომიკური კვლევის მათემატიკურმა მეთოდებმა გავრცელება იწყეს სწორედ ისეთ პერიოდში, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ყალიბდებოდა სუბიექტურ-ფსიქოლოგიური სკოლა. ღირებულების კატეგორია ადგილს უთმობდა სუბიექტურ სარგებლიანობას. ობიექტურ-სოციალური მიდგომა იდევნებოდა ეკონომიკური მეცნიერებიდან.

დაძაბული ყურადღება სამეურნეო დოქტრინის სარგებლიანობის პრობლემისადმი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ მეცნიერების მხოლოდ უარყოფით ნიშნად. საზღვრით მეთოდთან შეთანაწყობით ამან შესა-

---

[1] ავტორი თავს ვალდებულად თვლის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს ჰ. ლემანს ამ წიგნის წინა გამოცემის ღრმა ანალიზისათვის, რაც მან მოგვცა ოვერ ნაშრომებში. მისი კრიტიკული შენიშვნები არსებითად დამეხმარა წინამდებარე გამოცემის მომზადებაში.

[2] H. Lehmann. Ricardos und Tünen Grenzanalyse auf der Grundlage der klassischen Arbeitswerttheorie, „Wirtschaftswissenschaft", 1976. N 1, S. 57.

ძლებლობა შეექმნა დამუშავებულიყო ეკონომიკური კვლევის ახალი და საჭირო ძეთოდები. სარგებლიანობის თეორეტიკოსებმა დასვეს საკითხები, რომლებიც უცხო იყო ოფიციალური რიკარდოს შემდგომდროინდელი პოლიტიკური ეკონომიისათვის: ადამიანის მოთხოვნილებების ეკონომიკური ბუნებისა და მათი დაკმაყოფილების ხასიათის შესახებ, მოთხოვნილებათა გაჯერების კვალობაზე დაკმაყოფილების ხარისხის ცვლილების შესახებ, დოვლათის სარგებლიანობის შედარების შესახებ ერთი ადამიანისათვის დროში და სხვადასხვა ადამიანისათვის სივრცეში, დოვლათის სამომხმარებლო არჩევის ფსიქოლოგიის შესახებ, მოთხოვნილებათა დალაგების (მნიშვნელობის მიხედვით) შესახებ და ბევრი სხვა.

XIX ს. 70-იან წლებამდე მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ დაეყენებინათ და გამოეკვლიათ ასეთი საკითხები, გაუგებრობისა და ეჭვგრილობის კედელს აწყდებოდნენ. ასეთია ნიჭიერი გერმანელი ეკონომისტის ჰერმან ჰერინგ ჰოსენის ბედი, რომელმაც 1854 წ. გამოაქვეყნა წიგნი — „საზოგადოებრივი გაცვლის კანონებისა და აქედან გამომდინარე ადამიანური საქმიანობის წესების განვითარება". ჰოსენი, ავადმყოფური და ნერვული ადამიანი, ისე გულნატკენი იყო მისი ხაშრომის მიმართ კოლეგებისა და საზოგადოების სრული გულგრილობით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შეეცადა მაღალიანიდან ამოეღო და მოესპო წიგნის მთელი ტირაჟი. ჰოსენი გარდაიცვალა 1858 წ. 47 წლის ასაკში. ოცი წლის შემდეგ მისი წიგნის ეგზემპლარი შემთხვევით აღმოაჩინა ჯევონსმა, რომელმაც მალე გამოაცხადა ეს სრულიად დავიწყებული გერმანელი ახალი ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლად.

თავისი დროის ტრადიციული ეკონომიკური მეცნიერებიდან ჰოსენმა აიღო უტილიტარიზმის ფილოსოფია გონიერი ეგოიზმის მისი პრინციპებით, სარგებლისა და მსხვერპლის, სიამოვნებისა და ტანჯვის სუბიექტური შეპირისპირებით. დანარჩენში მან მთლიანად უკუაგდო რიკარდოსშემდგომდროინდელი თეორია და სხვა მიმართულებები, რომლებიც მაშინდელ მეცნიერებაში იყო. კურნოს შრომას, როგორც ჩანს, ის არ იცნობდა.

თუ რიკარდოსათვის, და მილი უმცროსისათვისაც კი, პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალური პრობლემაა შემოსავლების განაწილება საზოგადოების კლასებს შორის, ჰოსენისათვის — დოვლათის შეზღუდული რაოდენობის რაციონალური მოხმარება ინდივიდუალის მიერ. თუ რიკარდო ცდილობდა პასუხი გაეცა კითხვაზე, საით მიდის კაპიტალიზმი, ჰოსენი ფიქრობდა იმაზე, რით განისაზღვრება არჩევანი, რომელსაც ადამიანი აკეთებს ზედმეტ ფინჯან ჩაისა და კიდევ ერთ ვაშლს შორის.

არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხასიათის კითხვები უსარგებ-

ლოა ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეს ხომ ერთ-ერთი გზაა სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემისაკენ, კანონზომიერებებისაკენ, რომლებიც განსაზღვრავენ მომხმარებლის მიერ საქონლის არჩევანს. მაგრამ ჰოსენს მიაჩნდა, რომ ის უნდა იყოს მთელი ეკონომიკური ნეცნიერების საფუძველი. იგი წინადადებას იძლეოდა, პოლიტიკურ ეკონომიას გადარქმეოდა სახელი და წოდებულიყო Genusslehre, ე. ი. მოძღვრება დაკმაყოფილების (ანუ სიამოვნების) შესახებ. ჰოსენი უგულებელყოფდა წარმოების მთელ სოციალურ სტრუქტურას და თავის მსჯელობას იწყებდა რობინზონადიდან. შემდეგ მას იზოლირებული ინდივიდუუმის ქცევის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები გადაჰქონდა რეალური ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანზე.

ჰოსენმა ჩამოაყალიბა ორი, მოვლიანებით დიდად ცნობილი, კანონი, რომლებიც განიხილავდნენ ინდივიდუუმის მიერ მოხმარებული დოვლათის სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ შეფასებას. ჰოსენის პირველი კანონი, რომელსაც აქვს საკმაოდ აბსტრაქტული ბეშმარიტების თვისება, იუწყება: მოცემული დოვლათის თითოეული დამატებითი ერთეულით დაკმაყოფილების სიდიდე განუსრელად ეცემა და გაჯერებისას (საზღვრით შეფასებული) აღწევს ნულს. ჰოსენის მეორე კანონი ხაკლებადაა ნათელი, ბაგრამ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ასრობრივი დამშვება და ანალიზის იარაღი. იგი ლაპარაკობს: სოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება ხელმისაწვდომი დოვლათის შეზღუდული რაოდენობისას მიიღწევა მაშინ, როცა თითოეული დოვლათის მოხმარება ჩნდება იმ წერტილში, სადაც სიამოვნების (სარგებლიანობის) ინტენსიურობა გამოთანაბრდება, ერთნაირი ხდება ყველა დოვლათისათვის. ესეც საზღვრითი და თანაც ოპტიმალური სიტუაციაა.

ჰოსენის კანონებში იგულისხმება მომხმარებლის ქცევის აბსოლუტური ცოდნა და რაციონალურობა, ყველა პროცესის შეუფერებელობა და თანდათანობითობა, დოვლათის განუსაზღვრელი გაყოფადობა და ბრავალი სხვა, რომელიც ყოველივის არ უპასუხებს რეალობას. ისინი მოკლებული არიან სოციალურ ნინაარსს და სრულიად არაისტორიულია: ითვლება, რომ ისინი თანაბარი ზომით ეხებიან ანტიკური მონისა და თანამედროვე რანტიეს მოხმარებას.

ჰოსენის კანონები საფუძვლად დაედო მომდევნო საუკუნის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მთელ მიკროეკონომიკურ თეორიას. ეკონომისტ-მათემატიკოსებმა შემდეგში იგი მიიყვანეს დიდ ფორმალურ სრულყოფამდე. იგი მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს და იმსახურებს ზესწავლას, რამდენადაც ასახავს ეკონომიკური რეალობის გახსაზღვრულ შეზღუდულ ნიშნებს. იტალიელი მეცნიერი მარქსისტის ანტონიო პეზენტის პოლიტიკური ეკონომიის ფუნდამენტუ-

რი კურსი, რომლის რუსულ ენაზე თარგმანიც გამოქვეყნდა, შეიცავს ფართო დანართს — „მიკროეკონომიკა. სუბიექტური მიდგომა ეკონომიკაში“.[1]

სარგებლიანობის კატეგორია შეიძლება განვიხილოთ როგორც სახმარი ღირებულების კატეგორიის განვითარება. თუ სახმარ ღირებულებას გავიგებთ ტექნოლოგიურად, მაშინ მას უნდა იკვლევდეს მასალათმცოდნეობა, საქონელმცოდნეობა და სხვა მსგავსი დისციპლინები და არა პოლიტიკური ეკონომია. მაგრამ სახმარი ღირებულებისა და სარგებლიანობის კატეგორიებს უთუოდ აქვს ასპექტები, რომლებიც გვაიძულებენ, გახვიხილოთ ისინი პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოებში. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში. სწორედ სოციალიზმმა, რომელმაც გამოაცხადა საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად სრული დაკმაყოფილება მთავარ მიზნად, კანონზომიერად უნდა განიხილოს დოვლათის სარგებლიანობა როგორც მისი წარმოებისა და მოხმარების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი. სარგებლიანობის მაქსიმიზაცია ხდება საზოგადოებრივი მეურნეობრიობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად.

სარგებლიანობის კატეგორიის სწორი გაგებისა და გამოყენებისათვის მარქსისტულ ეკონომიკურ ანალიზში მნიშვნელოვანია, ალბათ, ორი პრინციპი: ჯერ ერთი, არ შევცვალოთ სარგებლიანობით ღირებულება; მეორეც, არ განვიხილოთ სარგებლიანობა მხოლოდ სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგიურის მხრივ, არამედ გავიგოთ იგი როგორც სიმდიდრის ობიექტური და საზოგადოებრივი შეფასება. სარგებლიანობის კატეგორიასთანაა დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა ეფექტიანობა და ხარისხი.

როგორც სხვა სფეროებში, სარგებლიანობის, მოხმარებისა და მოთხოვნის თეორიის ამოცანა ისაა, რომ პოლიტიკური ეკონომიის იდეოლოგიური ფუნქციიდან გამომდინარე ბურჟუაზიული მეცნიერების ნაშრომებში გამოვყოთ მეცნიერული ელემენტები და ანალიზის ნაყოფიერი ტექნიკა ჩვენთვის მიუღებელი მხარეებისაგან.

მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში

ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების როლის შესახებ დისკუსიას არანაკლებ ასწლიანი ისტორია აქვს. გამოითქვა ყოველნაირი შეხედულება დაწყებული „ანტიმათემატიკური ობსკურანტიზმიდან“ და დამთავრებული იმის მტკიცებით, რომ მათემატიკის გარეშე საერ-

[1] А. Пезенти, Очерки политической экономии капитализма, т. 2. М., 1976, стр. 33—582.

მთოდ არ შეიძლება იყოს რომელიმე ეკონომიკური მეცნიერება. ამჟამად ასეთ უკიდურეს პოზიციებს საეჭვოა, რომ მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. მაგრამ მათემატიკის ადგილი, ფორმები, საზღვრები ეკონომიკური ცოდნის სხვადასხვა სფეროში რჩება და უეჭველია, შემდგომშიც იქნება დისკუსიის საგანი. ძირითადად საკითხი მათემატიკური მეთოდების შესახებ ეკონომიკაში, ისევე როგორც ყოველი მეცნიერული საკითხი, წყდება, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკის კრიტერიუმის საფუძველზე, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თვით ცხოვრების მიერ. მეურნეობის ობიექტურმა საჭიროებებმა განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე ეკონომიკას წაუყენეს მათემატიზაციის მოთხოვნები. როცა მთავარი საწარმოო ერთეული იყო პატარა ფირმა, მის ხელმძღვანელებს მოეთხოვებოდათ მხოლოდ პრაქტიკული საზრიანობა. მაგრამ თანამედროვე მსხვილი საწარმოს წარმოების, გასაღების, ფინანსების მართვა სრულიად სხვა საქმეა. აქ მეცნიერების გარეშე იოლად ვერ გასვალ და ამ მეცნიერებად მნიშვნელოვანი ზომით ხდება ეკონომიკური კიბერნეტიკა, ე. ი. მათემატიკური დისციპლინა. რომელიც სწავლობს კავშირებს, მართვას და კონტროლს ეკონომიკურ სისტემებში. უშუალო სამეურნეო მოთხოვნილებებმა გამოიწვია განსაზღვრული კლასის ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ახალი მათემატიკური მეთოდების აღმოცენებაც. ეკონომიკური ამოცანის ძირითადი ტიპია წარმოების, კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალური რესურსების და სხვ. რომელიღაც პროგრამის ოპტიმალური, ყველაზე რაციონალური ვარიანტის არჩევა. ასეთ ამოცანათა მეცნიერული გადაწყვეტა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მხოლოდ თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით. იგი გამოდის სისტემის: ეკონომიკა — მათემატიკა — ეგმ როგორც მესამე კომპონენტი, რომელიც უკვე ასრულებს მნიშვნელოვან როლს ეფექტიანობის ამაღლებაში და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება მეურნეობრიობაში დიდი ხანია გასცდა ცალკეული საწარმოს და თვით მსხვილი საწარმოო-საფინანსო კომპლექსების ფარგლებს, როგორიც არის თანამედროვე კონცერნები კაპიტალისტურ ქვეყნებში. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პრაქტიკული საჭიროებები ბურჟუაზიულ მეცნიერებს უბიძგებს მთელი მეურნეობის (მაკრომოდელების) ფუნქციობის მათემატიკური მოდელების შემუშავებისაკენ. დაინტერესებელია, რომ ასეთი მოდელებისა და გამოკვლევების ავტორთა შორის ჩვენ ვხვდებით უკანასკნელი ათწლეულების დასავლეთის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტების გვარებს. ამ ნაშრომების საერთო ნიშნებია, ერთი მხრივ, ტრადიციული საერთო-ეკონომიკური მეთოდოლოგიის მომარჯვება, მეორე მხრივ — მათემატიკის

ფართოდ გამოყენება დაწყებული უმარტივესი სიმბოლიკიდან და ალგებრიდან, დამთავრებული თანამედროვე რთული მეთოდებით. ეს ნაშრომები ჩვეულებრივ ეკონომეტრიკული ხასიათისაა, ე. ი. შეიცავენ ან გულისხმობენ მოდელის შევსებას სტატისტიკით.

მათემატიკური მოდელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზირებაში, ხოლო პროგნოზების ბუმი კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვე სიტუაციის არც შემთხვევითი და არც წარმავალი ნიშანია. სახალხომეურნეობრივი პროგრამების შედგენა და სახელმწიფოს მიერ მათი რეალიზაციის კონტროლზე გადასვლა ხორციელდება მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით. მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ჰეცნიერული მეთოდებისადმი დიდ ინტერესს იჩენს განვითარებადი ქვეყნები, რომელთათვისაც ზრდის ტემპების ამაღლებას და ოპტიმალური პროპორციების შემუშავებას ეკონომიკაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ეჭვი არ არის, რომ სოციალისტურ გეგმიან მეურნეობაში ხელმძღვანელობის მეცნიერული მეთოდები მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების მომარჯვებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველაზე ეფექტიანად და ნაყოფიერად.

საბჭოთა მეცნიერები შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ დასავლეთის სპეციალისტთა იმ ეკონომიკურ-მათემატიკური ნაშრომების შესწავლისადმი, რომლებშიც ჰარბობს სახალხომეურნეობრივი პროცესების კონკრეტული შემეცნების ელემენტები. ასეთ ნაშრომებში წყდება ეკონომიკური კომპლექსების მართვის დონის ამაღლების, წარმოების, მატერიალური მომარაგების, გასაღების რაციონალური ორგანიზაციის ამოცანები.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების დარგში ყველაზე დისკუსიურია საკითხი მათემატიკის გამოყენების შესახებ პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ გამოკვლევებში, სადაც მიზნადაა დასახული, გამოვავლინოთ მოცემული საზოგადოებრივი სისტემის, ეს იქნება კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი, ძირეული თვისებრივი, სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებანი. მათემატიკა ლოგიკის, აბსტრაქციის, ექსპერიმენტის მსგავსად არის შემეცნების მეთოდი და იარაღი. თავისთავად იგი ნეიტრალურია, ისევე როგორც ნეიტრალურია, ვთქვათ, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები. თეორიულ ეკონომიკურ გამოკვლევას ყოველთვის საფუძვლად უდევს მსოფლმხედველური კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს თვისებრივ ანალიზს და წინ უძღვის მათემატიკის ყოველგვარ გამოყენებას, აყალიბებს ამოცანის პირობებსა და შეზღუდვებს. მარქსისტული ეკონომიკური გამოკვლევა განსხვავდება არამარქსისტულისაგან, დამოუკიდებლად იმისაგან, გამოყენება თუ არა ერთშიც და მეორეშიც მათემატიკა. მისი გამოყენების

საკითხი განისაზღვრება მეცნიერული მიზანშეწონილობით.

უნდა გავიხსენოთ, რომ კ. მარქსს მათემატიკის გამოყენება ეკონომიკურ თეორიაში შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდა. ბევრი რაოდენობრივი კანონზომიერება მარქსის თეორიაში ალგებრული ფორმულების მეშვეობითაა გამოხატული, რომლებიც ხშირად პირდაპირ და უკუპროპორციულობას შეიცავენ. ცნობილია მარქსის გამოთქმა იმის შესახებ, რომ მეცნიერება მხოლოდ მაშინ აღწევს სრულყოფას, როცა მას ეხერხება მათემატიკის გამოყენება[1]. 1873 წ. მარქსი სწერდა ენგელსს, რომ შესაძლებლად მიაჩნდა ეკონომიკური ციკლების შესახებ საიმედო სტატისტიკური მასალის მათემატიკური დამუშავებით გამოეყვანა კრიზისების მთავარი კანონები[2]. ცხადია, აქ ლაპარაკია არა კრიზისების მიზეზებზე, არამედ მათი მოძრაობის კანონზომიერებებზე.

ცოდნის ყველა სფეროს მათემატიზაცია და კიბერნეტიკული, სისტემურ-ინფორმაციული მიდგომის განვითარება გარდუვალად დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ მეცნიერებაზე.

---

[1] იხ. Воспоминания о Марксе и Энгельсе. М., 1956, стр. 66.

[2] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ. თბ., 1952 გვ. 240.

მეჩვიდმეტე თავი

ეკონომიკური ნაციონალიზმი: ფრიდრიხ ლისტი

გერმანიამ კაცობრიობას მისცა მარქსი. მაგრამ თუ ახალი მსოფლმხედველობის შექმნისას მარქსი ემყარებოდა გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, გერმანულ პოლიტიკურ ეკონომიას მცირე რამ შეეძლო შიეცა მისთვის. 1859 წ. ფ. ენგელსი წერდა: „მეცნიერების ყველა დარგში გერმანელებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ისინი დანარჩენი განათლებული ხალხების თანასწორი არიან. მეტწილ დარგებში კი მათ თავიანთი უპირატესობაც გვიჩვენეს. მხოლოდ ერთ მეცნიერებას არ მოეპოვებოდა გერმანელის სახელი თავის კორიფეებს შორის — ეს მეცნიერებაა პოლიტიკური ეკონომია. ამის მიზეზი ადვილი გასაგებია. პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების თეორიულ ანალიზს, და ამასთან იგი განვითარებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას გულისხმობს, ურთიერთობას, რომელიც რეფორმაციულმა და გლეხთა ომებმა, განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანმა ომმა, შეუძლებელი გახადეს გერმანიაში მთელი საუკუნეების მანძილზე“[1].

ლისტი და გერმანული ისტორია

XVIII საუკუნისაგან გერმანულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მემკვიდრეობით მიიღო კამერალისტიკა — შუასაუკუნეობრივ უნივერსიტეტებში აღმოცენებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი ჯამის აღწერილობითი გადმოცემის მეთოდი სახელმწიფოს მართვის თეორიასა და პრაქტიკაზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობით. ოფიციალური ეკონომიკური დოქტრინა იყო მერკანტილიზმი — მაშინაც კი, როცა ინგლისში და საფრანგეთში კარგა ხანია მივიწყებას მიეცა. XIX ს. დასაწყისში გერმანიაში ფესვს იდგამს სმიტის იდეები და ამის შედეგად აღმოცენდა თავისებური ნარევი სმიტელობისა ძველმოდურ კამერალისტიკასთან.

ესაა მღელვარე პოლიტიკური მოვლენებისა და ეკონომიკური

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტომი I, თბ. 1975, გვ. 628.

გარდაქმნების პერიოდი. ნაპოლეონის დაპყრობებმა იმ სამეფოებსა და სამთავროებში, რომლებიც გერმანიას შეადგენდნენ, გამოიწვია ფეოდალურ ურთიერთობათა მსხვრევა. გაუქმდა ყმა გლეხთა პირადი დამოკიდებულება. იშლებოდა ქალაქური ხელოსნური ამქრები. ბევრ გერმანულ სახელმწიფოში, განსაკუთრებით მათ შორის ყველაზე დიდში — პრუსიაში, ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიული რეფორმატორები მოექცნენ. მაგრამ ნაპოლეონის ომების შემდეგაც გერმანია რჩებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ და პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყნად. მთავრებმა და მებატონეებმა შეძლეს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პატრიოტული აღმავლობის გამოყენება თავიანთი ინტერესებისათვის. გაიმარჯვა რეაქციამ, რომლის ძალა დაუმარცხებელი ჩანდა თვით 1848 წლამდე, რომელმაც შეარყია გერმანია, ისევე როგორც მთელი ევროპა.

ეკონომიკური განვითარების დონით გერმანია ძლიერ ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთსაც კი. 1840 წლისათვის გერმანიის მოსახლეობა დაახლოებით ინგლისის მოსახლეობას უდრიდა (27 მილიონამდე), მაგრამ გერმანია მოიპოვებდა 14-ჯერ ნაკლებ ქვანახშირს, ადნობდა 8-ჯერ ნაკლებ თუჯს, გადაამუშავებდა 16-ჯერ ნაკლებ ბამბას, ვიდრე ინგლისი. მიუხედავად ამისა, გერმანიის სამრეწველო ზრდა საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1834 წ. შეიქმნა საბაჟო კავშირი — გერმანული სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაჭდებული ფეოდალიზმისა და პატრიარქალურობის ხუნდები, რომ გერმანიამ მიიღო მრეწველობა და მუშათა კლასი, რომელმაც ფეიქართა სილეზიის აჯანყებით (1844 წ.) ჭრისხანედ აჩვენა თავისი ძალა გაბატონებულ კლასებს. გერმანიის ბურჟუაზია, რომელმაც ვერ მოასწრო გამოევლინებინა თავი როგორც პროგრესულ კლასს, ახალი და გაბედული იდეების მატარებელს, სწრაფად დაექანა მებატონეებთან და მთელ რეაქციულ ძალებთან კავშირისაკენ. მალე ამ კავშირიდან აღმოცენდა კაიზერებისა და ბისმარკების გერმანული იმპერია.

პოლიტიკური ეკონომია გერმანიაში 20—40-იან წლებში ვითარდებოდა როგორც პრუსიული მონარქიისა და სხვა მთავრების მოსამსახურე. კამერალისტიკის სკოლიდან გამოსული მეცნიერები წერდნენ სახელმძღვანელოებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ინგლისურ-ფრანგული ნიმუშების ცუდ გადამღერებას ერთგულ-ქვეშევრდომულ გერმანულ ყაიდაზე და შეიცავდნენ მხოლოდ ცნობათა ჯამს, აუცილებელს ჩინოვნიკის თანამდებობაზე გამოცდისათვის.

მაგრამ ახალი დროება მაინც მოითხოვდა სიახლეს. მაშინ გამოჩნდა ფრიდრიხ ლისტი, რომლის ძალა იმდენად ეკონომიკური თეორიის განვითარებაში კი არ იყო, რამდენადაც ეკონომიკური პოლიტი-

კის მწვავე საკითხების გაბედულ დაყენებაში შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნის პირობებში. ლისტმა გამოხატა გერმანული ბურჟუაზიის მისწრაფებები — პროგრესული იმ ზომით, რა ზომითაც ისინი დაკავშირებული იყვნენ გერმანიის ერთიანობასა და სამრეწველო განვითარებასთან, რეაქციული იმ აზრით, რომ მათი განხორციელება უკავშირდებოდა ნახევრად ფეოდალურ მონარქიას. ბევრ საკითხში ლისტმა შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის პროფესიულ-ჩინოვნიკური მეცნიერების ჩვეულებრივ დონეზე მაღლა. მისი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც იგი მიდიოდა პრინციპულად სხვა გზებით, ვიდრე ინგლისელი კლასიკოსები, რომლებიც აგრეთვე ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს გამოხატავდნენ, მაგრამ სხვა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

სამსახური, საპატიმრო, ემიგრაცია

ფრიდრიხ ლისტი დაიბადა 1789 წ. ვიურტემბერგის ქალაქ რეიტლინგენში (სამხრეთი გერმანია). მისი მამა შეძლებული ხელოსანი — დაბალი იყო. ოჯახი ქალაქის დიდებულებს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ეკავა შთამომავლობითი საპატიო ადგილი საშუალო წოდებაში. ლისტმა სასკოლო განათლება 15 წლისამ დაამთავრა, რის შემდეგაც ორ წელიწადს მამას ეხმარებოდა სახელოსნოში. ქარგლებს შორის მან მალე მოიპოვა ზარმაცისა და ფანტაზიორის რეპუტაცია. მაშინ ოჯახურმა საბჭომ გადაწყვიტა, სასწავლებლად მიებარებინათ იგი კანცელარიის მწერლისათვის. აქ ახალგაზრდა ლისტმა მიაღწია დიდ წარმატებებს და დაიწყო აღმასვლა სამსახურებრივი თანამდებობების კიბეზე ვიურტემბერგის სამეფოში, რომელიც 1814 წლამდე საფრანგეთის იმპერიის ვასალი იყო. სამსახურის ათი წლის მანძილზე ლისტს ეკავა მრავალი სხვადასხვა პოსტი უცნაური და სხვა ენებზე ძნელად სათარგმნი სახელწოდებებით. წელიწადნახევარს სწავლობდა სამართალს ტიუბინგენის უნივერსიტეტში და მოანგარიშე მრჩევლის ჩინით (Rechnungsrat) დაამთავრა სამსახურებრივი კარიერა სამეფოს დედაქალაქ შტუდგარდტში. 1817 წ. ლიბერალი მინისტრის ვანგენხეიმის პროტექციით იგი დაინიშნა „სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკის“ პროფესორად ტიუბინგენის უნივერსიტეტში.

ბრწყინვალე კარიერა! 28 წლის ლისტის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა შემთხვევითი არ იყო. ამ დროისათვის მას ჰქონდა არა მხოლოდ უნარიანი ჩინოვნიკის რეპუტაცია, არამედ აგრეთვე ლიბერალური მიმართულების პუბლიცისტის სახელიც. საფრანგეთის რევოლუციისა და გერმანული განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებზე აღზრდილი ლისტი გამოვიდა რადიკალური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების გაბედულ მომხრედ.

ლისტს გააჩნდა ლიტერატორისა და ორატორის დიდი ტალანტი. პოლიტიკური მგზნებარება, გაბედულება და აზრის სინათლე, სიტყვის ხატოვნება, გესლიანი ირონია, — ყველაფერი, რითაც გამოირჩევა მომწიფებული თხზულებანი, უკვე გამოჩნდა ამ პირველ სტატიებში. 1847 წ. სექტემბერში ეკონომისტების ბრიუსელის კონგრესზე მოსაწყენი პროტექციონისტ ორატორის სმენისას მარქსმა წამოიძახა ადგილიდან, რომ მას შეეძლო უბრალოდ უკეთესად გაემეორებინა ლისტის სიტყვა, რომელშიც უკიდურეს შემთხვევაში იყო „სიმწვავე, სიცოცხლე და მამაცობა“[1].

ბუნებით ეს იყო გატაცების, ექსპანსიური, არაჩვეულებრივად ენერგიული ადამიანი. ვიურტემბერგში პოლიტიკური ბრძოლის მიუტოვებლად აგრძელებდა თავის ლიტერატურულ და პროფესორულ საქმიანობას და 1819 წ. ლისტი გადაეშვა ახალი ბრძოლის მორევში, ამჯერად უკვე საერთოგერმანულ ასპარეზზე. იგი აარსებს სავაჭრო-სამრეწველო კავშირს, რომლის მთავარი ამოცანაა გერმანიის ეკონომიკური ერთიანობისათვის ბრძოლა.

მაგრამ იმავე 1819 წ. ლისტის თავზე ღრუბლებმა იწყო ჩამოწოლა. უნივერსიტეტის პროფესორები მის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავენ, ხელისუფლებასთან ასმენენ, ბრალს დებენ „საშიშ პოლიტიკურ ტენდენციებში“. ვანგენხეიმს უკვე აღარ შეუძლია ლისტის დაცვა: იგი გადამდგარია სამსახურიდან. ვიურტემბერგში რეაქცია იმარჯვებს. ლისტს ადანაშაულებენ მის საქმიანობაში სავაჭრო-სამრეწველო კავშირში: როგორც სახელმწიფო მოსამსახურეს, მას წინასწარ უნდა გამოეთხოვა უფროსების სანქცია. ლისტი უპასუხებს ამაყი და ღირსების გრძნობით სავსე განცხადებით უნივერსიტეტიდან გადადგომის შესახებ. ამასობაში რეიტლინგენის მოქალაქეები ლისტს ირჩევენ ვიურტემბერგის ახალ პარლამენტში — წოდებათა პალატაში. მთავრობამ მიაღწია არჩევნების გაუქმებას იმ საბაბით, რომ არჩეულს ჯერ კიდევ არ შესრულებოდა 30 წელი. ასეთი იყო კონსტიტუციის მოთხოვნა. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ლისტი მეორედ აირჩიეს პალატაში.

ლისტის საპარლამენტო მოღვაწეობა იყო ბობოქარი და ხანმოკლე. მალე არჩევის შემდეგ პალატაში მან წარადგინა მის მიერ დაწერილი რეიტლინგენის მოქალაქეთა პეტიცია, სადაც წამოყენებული იყო დემოკრატიული რეფორმების ფართო პროგრამა. ეს დოკუმენტი დაწერილი იყო მკვეთრი მეამბოხე ენით და მალე გამოიწვია მთავრობის მხრივ ლისტის დევნა. „სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ წამქეზებლობის“ ბრალდებით იგი სამართალში მისცეს, ჩამოართვეს დეპუტატის მანდატი და 10 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. ლისტი არ

[1] G. Fabiunke. Zur historischen Rolle des deutschen Nationalökonomen Friedrich List (1789—1846). Berlin (DDR), 1955, S. 31.

დაელოდა დაპატიმრებას და გაიქცა საზღვარგარეთ. სადაც მეზობელ ქვეყანაში ხეტიალში გაატარა ორ წელზე მეტი.

მეფის მოწყალების იმედით იგი ვიურტემბერგში დაბრუნდა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. მთავრობამ გადაწყვიტა, მოეშორებინა მოუსვენარი პატიმარი და ძლიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, რომელსაც ამ დროისათვის მთელს გერმანიაში იცნობდნენ. ამერიკაში ემიგრაციაზე თანხმობის სანაცვლოდ ლისტი ვადამდე გაათავისუფლეს. 1825 წ. ივნისში იგი მეუღლითა და ბავშვებით ნიუ-იორკში ჩავიდა.

დასაწყისში ლისტმა ხელი მოჰკიდა ფერმერობას, შემდეგ რედაქციას უკეთებდა გერმანულ გაზეთს, გახდა მრეწველი მეწარმე. ლისტი ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში და შეიმუშავა ეკონომიკური პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომელსაც საფუძვლად ედო პროტექციონიზმი. იგი მრავალ საერთოს ხედავდა აშშ-ის და გერმანიის მდგომარეობაში: ორივე ქვეყანაში სამრეწველო განვითარება ინგლისის კონკურენციას აწყდებოდა.

1832 წ. ლისტი ჩამოვიდა ევროპაში, როგორც ამერიკელი მოქალაქე და აშშ-ის კონსული გახდა ლაიფციგში. ეს იყო სარკინიგზო ციებცხელების პერიოდი, რომელმაც მთელი დასავლეთი ევროპა მოიცვა. ლისტი დიდი ხანია გატაცებული იყო ამ ახალი საქმით, რომელშიც იგი ხედავდა არა მხოლოდ ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, არამედ აგრეთვე გარანტიას ომის წინააღმდეგ (ამ უცნაურ ილუზიას იგი იზიარებდა ისეთ ადამიანებთან ერთად, როგორიც იყვნენ ჰაინრიხ ჰაინე და ლუდვიგ ბერნე. ლისტი მეგობარი იყო ორივე სახელგანთქმული გერმანელი მწერლისა). ლისტმა დააარსა გერმანიაში ერთ-ერთი პირველი სააქციო საზოგადოება ლაიფციგ-დრეზდენის რკინიგზის აგებისათვის. პოლიტიკურ ინტრიგებსა და ფინანსურ აფერებში ჩართულს, მას იმედები გაუცრუვდა დამფუძნებლის პრაქტიკულ საქმიანობაში და 1837 წ. პარიზში წავიდა, თუმცაღა რკინიგზების დიად მომავალზე რწმენა ლისტმა სიკვდილამდე შეინარჩუნა.

„ნაციონალური სისტემა“ და სიცოცხლის აღსასრული

პარიზში, თავის მესამე და ბოლო ემიგრაციაში, ლისტმა სამი წელიწადი გაატარა. მგზნებარებითა და ენერგიით, რომელთა გარეშე მას არაფრის გაკეთება შეეძლო ცხოვრებაში, შეუდგა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას და თავის საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების გადმოცემას. მისი შრომის შედეგი იყო ჯერ ვრცელი ხელნაწერი სახელწოდებით — „პოლიტიკური ეკონომიის ბუნებრივი სისტემა“, წარდგენილი საფრანგეთის აკადემიის მიერ გამოცხადებულ

კონკურსზე და გამოქვეყნებული მხოლოდ XX საუკუნეში, და, შემდეგ, მისი მთავარი ნაშრომი — „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა“, გამოცემული აუგსბურგში 1841 წ. დასაწყისში.

თავისი წიგნი ლისტს გააზრებული ჰქონდა როგორც ვრცელი შრომის პირველი ტომი, რომელსაც უნდა მოეცვა პოლიტიკური ეკონომიის ყველა პრობლემა. ამიტომ წიგნს ჰქონდა ქვესათაური: „საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო პოლიტიკა და გერმანული საბაჟო კავშირი“. მაგრამ ლისტის პრეტენზიული ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. „ნაციონალურ სისტემას“ მცირე წარმატება არ ჰქონია და უახლოეს წლებში საჭირო გახდა კიდევ ორი გამოცემა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და სავაჭრო პოლიტიკის პრობლემების ირგვლივ ცხარე დისკუსიებში და სერიოზული გავლენა მოახდინა გერმანულ ეკონომიკურ აზრზე.

ლისტი ავითარებდა თავის აკვიატებულ იდეას: გერმანიის გაერთიანებისა და აყვავების გზაა მრეწველობის ზრდა. გერმანიის მრეწველობა კი საჭიროებს ძლიერი უცხოური კონკურენციისაგან დაცვას მაღალი საიმპორტო ბაჟებით და სავაჭრო პოლიტიკის სხვა საშუალებებით. ყველაზე მეტად ეს იდეა აწყობდა გერმანიის დასავლეთისა და სამხრეთის მზარდ სამრეწველო ბურჟუაზიას. ლისტის წიგნმა გამოძახილი პოვა დემოკრატიულ ინტელიგენციაში. მონარქიზმისა და თავადაზნაურთა წინაშე ლისტის მიერ მუხლის მოყრის მიუხედავად, მისი წიგნის საერთო სულისკვეთება იყო პროგრესული ბურჟუაზიული რეფორმების სულისკვეთება. მის მიერ შემოთავაზებული რეფორმები იყო ფრთხილი და ნახევრული. მაგრამ 40-იანი წლების დამყაყებულ გერმანიაში ეს იდეები თითქმის რევოლუციურად ჟღერდა.

წიგნმა უშეცდომოდ იპოვა თავისი მტრებიც. ლისტის იდეები ეხებოდა პრუსიის იუნკერთა ანგარებით ინტერესებს, რომელთაც პური გაჰქონდათ ინგლისში და მზად იყვნენ, ხალისით დათანხმებოდნენ ინგლისური სამრეწველო საქონლის უბაჟო შემოტანას გერმანიაში, ინგლისში პურის თავისუფალი იმპორტის სანაცვლოდ. „ვაჭრობის თავისუფლებით“ დაინტერესებული იყო აგრეთვე ჩრდილოეთგერმანული ქალაქების სავაჭრო ბურჟუაზიის ძველი კასტა. ლისტის სიცოცხლის ბოლო წლებში ამ წრეებმა გააჩაღეს მის წინააღმდეგ ცილისწამების, შეურაცხყოფის, ანონიმური მუქარის კომპანია. ამასთან ერთად ლისტმა ცოტა მტერი არ შეიძინა თავისი საქმიანობით რკინიგზების აგებისათვის და გესლიანი პუბლიცისტური გამოსვლებით, რომლებშიც იგი ეხებოდა მემამულეებსაც, უნივერსიტეტის პროფესურასაც, ეკლესიასაც და დროდადრო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ლისტი უმთავრესად აუგსბურგში ცხოვრობდა, მისდევდა ჟურნალისტიკას და მეცნიერულ მუშაობას.

სწორედ ამ წლებში დაწერა მან ის თხზულებანი, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს, გასულიყო იგი დიდმპყრობელური შოვინისტებისა და გერმანული იმპერიალიზმის წინამორბედთა თანრიგში. ლისტი ამტკიცებდა, რომ ჰარბადდასახლებულმა გერმანიამ უნდა მოახდინოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (ახლანდელი უნგრეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, სლოვაკიის ტერიტორია) „თავისუფალი" მიწების კოლონიზაცია, რომლებიც მაშინ ნაწილობრივ ავსტრია-უნგრეთის, ნაწილობრივ თურქეთის ძალაუფლების ქვეშ იყო. იგი წერდა, რომ დიდგერმანელი ერის დასაყრდენი, კერძოდ სამხედრო დასაყრდენი, უნდა იყოს დამოუკიდებელი საშუალო გლეხობა, თავისებური კულაკობა.

ამ იდეებთან დაკავშირებით ლისტმა რამდენადმე კიდეც შეცვალა თავისი დამოკიდებულება ინგლისისადმი, რომელსაც იგი ყოველთვის თვლიდა გერმანიის გაერთიანებისა და საბრეწველო განვითარების წინააღმდეგად. ახლა მას ეჩვენებოდა, რომ ინგლისს შეუძლია ბზარი დაუჭიროს გერმანიას მისი ძლიერი კონკურენტი მეზობლების — საფრანგეთისა და რუსეთის — წინააღმდეგ. 1846 წ. იგი ინგლისშიც კი წავიდა, რათა ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრებში გამოერკვია ასეთი დაახლოების ნიადაგი. ეს მგზავრობა სრული მარცხით დამთავრდა.

ამასობაში ლისტის ბუნებით კარგი ჯანმრთელობა შესამჩნევად ზეირყა. მან ვერ მიაღწია თავისი ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფასაც. მას ძალა უკვე აღარ ჰყოფნიდა მუდმივი ბრძოლებისათვის, რომელსაც იგი ეწეოდა და მჩქეფარე საქმიანობისათვის, რასაც იგი მიეჩვია. 1846 წ. შემოდგომაზე ლისტმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე.

ერის სამრეწველო აღზრდა

პოლიტიკურ ეკონომიაში ლისტი გამოვიდა როგორც კრიტიკოსი კლასიკური სკოლისა, რომლის განსახიერებადაც მისთვის ადამ სმიტი იყო. მაგრამ მისი კრიტიკა ფაქტობრივად არ ეხებოდა კლასიკოსების ეოძღვრების საფუძვლებს — ღირებულებისა და შემოსავლების თეორიას. ეკონომიკური თეორიის ეს სფეროები ლისტს განსაკუთრებით არ აინტერესებდა. მთელი მისი ყურადღება კონცენტრირებული იყო ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე, უფრო მეტიც, — უმთავრესად საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის საკითხებზე.

ლისტმა პოლიტიკური ეკონომიის სმიტისეული სისტემა კოსმოპოლიტურად მონათლა. იგი ბრალს დებდა ამ სისტემას იმაში, რომ იგი ვერ ხედავდა ცალკეული ქვეყნების სამეურნეო განვითარების ეროვნულ თავისებურებებს და დოგმატურად თავს ახვევდა მათ ეკონომი-

ჟური პოლიტიკის ერთიან „ბუნებრივ“ კანონებსა და წესებს. ლისტი წერდა: „ჩემ მიერ წამოყენებული სისტემის დამახასიათებელი განსხვავებაა ეროვნულობის მტკიცება. მთელი ჩემი შენობა ეფუძნება ერის ბუნებას, როგორც საშუალო წევრისა ინდივიდუუმსა და კაცობრიობას შორის“[1].

სხვადასხვა ერი, ამბობს ლისტი, განვითარების სხვადასხვა სტადიაზეა. ასეთ პირობებში ვაჭრობის სრულმა თავისუფლებამ მათ შორის შეიძლება კიდეც უზრუნველყოს რაღაცა აბსტრაქტული სარგებელი მთლიანად მსოფლიოს მეურნეობისათვის საცვლელი ღირებულებების თვალსაზრისით, ე. ი. არსებითად შრომის დანახარჯთა მიხედვით, მაგრამ ხელს შეუშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას ჩამორჩენილ ქვეყნებში. თავის კონცეფციას იგი ზოგჯერ საწარმოო ძალთა თეორიას უწოდებდა სმიტის „საცვლელი ღირებულების თეორიის“ საპირისპიროდ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საწარმოო ძალებში ლისტს მთლიანად ის არ ესმოდა, რაც შემდეგში ამ ტერმინში ჩადო მარქსმა. ლისტისათვის საწარმოო ძალები უბრალოდ საზოგადოებრივი პირობების ერთობლიობაა, რომელთა გარეშე შეუძლებელია „ერის სიმდიდრე“.

წარმოებაში რომ ჩაერთოს უქმად მდებარე რესურსები, დაძლეულ იქნეს ჩამორჩენილობა, დასაშვებია და აუცილებელია იმ დარგების განვითარება, რომლებშიც შრომის ნაყოფიერება მოცემულ მომენტში დაბალია, ვიდრე საზღვარგარეთ. ლისტი წერდა: „ღირებულებათა ეს დანაკარგი, ცხადია, უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ფასი ერის სამრეწველო აღზრდისათვის“[2]. მრეწველობის განვითარება ლისტის შეხედულებების თავი და ბოლო იყო. იგი წერდა, რომ ერი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისდევს, ჰგავს ადამიანს, რომელსაც მუშაობისათვის მხოლოდ ერთი ხელი გააჩნია. ლისტი აყენებდა წინადადებას, მრეწველობის ზრდის დაჩქარება განხორციელებულიყო პროტექციონიზმის მეშვეობით — სახელმწიფო ღონისძიებების სისტემით, რომელიც დაიცავდა ეროვნულ მრეწველობას უცხოური კონკურენციისაგან, იმ დონემდე, ვიდრე იგი არ დადგებოდა საკუთარ ფეხზე და შეძლებდა უცხოეთისათვის კონკურენციის გაწევას როგორც „თანასწორი“. ვაჭრობის თავისუფლების განხორციელება მას გადაჰქონდა საკმაოდ განუსაზღვრელ მომავალში, როცა ყველა ძირითადი ერი იქნებოდა განვითარების დაახლოებით ერთ დონეზე.

თანამედროვე ვითარებისა და შეხედულებების შუქზე აქტუალურად ისმის, მაგალითად, ლისტის შემდეგი გამონათქვამი: „შეიძლება მივიღოთ წესად, რომ ერი მით უფრო მდიდარი და მძლავრია, რაც უფრო მეტ სამრეწველო ნაწარმს გაიტანს საზღვარგარეთ, რაც უფრო

---

[1] F. List. Werke, Schriften, Briefe, Band 6. Berlin, 1930, S. 34.
[2] ibid., S. 37.

ეტ ნედლეულს შემოიტანს და რაც უფრო მეტს მოიხმარს ტროპიკული ზონის პროდუქტებს"[1]. საკმარისია მივუთითოთ იაპონიის გამოცდილებაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგარეო ვაჭრობის სწორედ ასეთი ტიპი და რომელიც ბოლო წლებში სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად კაპიტალისტური სამყაროს მეორე სამრეწველო სახელმწიფო გახდა აშშ-ის შემდეგ.

დიდი მომავალი ხვდა წილად ლისტის აზრებს ყოველგვარი ეკონომიკური გადაწყვეტილების, მაგალითად წარმოების ახალი დარგის შექმნაზე გადაწყვეტილების განხილვის აუცილებლობის შესახებ არა მხოლოდ უშუალო ეფექტიანობის თვალსაზრისით (რაც ჩვეულებრივ პირობებში რენტაბელობის თანაბარია), არამედ აგრეთვე ამ გადაწყვეტილების ხანგრძლივი და არაპირდაპირი შედეგების თვალსაზრისითაც. ასეთი სიტუაციები კარგად არის ცნობილი ყველა ეკონომისტისათვის და არა მხოლოდ ეკონომისტისათვის. თუ, მაგალითად, პოცემულ ადგილზე შენდება ახალი საწარმო, შეიძლება აღმოცენდეს მნიშვნელოვანი დამატებითი სახალხომეურნეობრივი სარგებლობა, რომელიც უშუალოდ არაა გათვალისწინებული მოცემული წარმოების რენტაბელობაში: ამ მხარის მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სამუშაო ძალის საშუალო კვალიფიკაციის ამაღლება, ბუნებრივი რესურსების ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში, რომლებიც ადრე არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო და სხვ.

ეკონომიკური და სოციალური ხასიათის არაპირდაპირმა სარგებლობამ, რომელიც გამომდინარეობს ყოველნაირი სამეურნეო გადაწყვეტილებიდან, მარშალის დროიდან მიიღო „გარეგანი ეკონომიის" (external economiés) მეცნიერული სახელწოდება. საპირისპირო ეფექტი — კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული არაპირდაპირი დანაკარგები, — აგრეთვე, არაიშვიათად გვაქვს და ეწოდება external diseconomiés. ლ. რობინსი თავის ავტორიტეტულ ნაშრომში — „ეკონომიკური განვითარების თეორია ეკონომიკური აზრის ისტორიაში" — ლაპარაკობს: „მარშალამდე დიდი ხნით ადრე ასეთი სახის ეფექტი იყო საწარმოო ძალთა განვითარების საკითხზე ლისტის სხვადასხვა გამოკვლევის ცენტრში. ლისტი იყო ბობოქარი, ტრაგიკული პიროვნება, იგი იყო რომანტიკული ცრურწმენებით სავსე და მიდრეკილება ჰქონდა საშინელი გაზვიადებისადმი, ხოლო თავისი ინტელექტუალური მოწინააღმდეგეების, განსაკუთრებით ადამ სმიტის, იდეების მისებური დამახინჯება თითქმის კომიკურია თავისი მცდარობის გამო. მაგრამ ხმაურისა და მძვინვარებისაგან განთავისუფლებული მისი თეზისი შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს: მრეწველობის გარკვეული დარგების სტიმულირებას კონკრეტულ ისტორიულ

[1] F. List. Werke, Sriften, Briefe, Band 6, S. 54.

პირობებში შეუძლია გამოიწვიოს საწარმოო პოტენციალის ზრდა, რომელიც არ შეიძლება გაიზომოს გარკვეული პროდუქციის ღირებულებით ან კაპიტალის ღირებულების გადიდებით. ჩემი შეხედულებით მისმა გაზვიადებებმა და დამახინჯებებმა მცირე ზიანი არ მოიტანა, განსაკუთრებით იმ ზომით, რითაც ისინი ხელს უწყობდნენ ეკონომიკური ნაციონალიზმის გავრცელებას ევროპაში. მაგრამ ამ საფუძველზე არ შეიძლება უარი ვთქვათ მისი ძირითადი თეზისის გარკვეულ ანალიტიკურ მნიშვნელობაზე"[1].

ლისტის თეორია იყო პასუხის ცდა უმნიშვნელოვანეს კითხვაზე: რა გზით შეიძლება კაპიტალიზმის ჩარჩოებში ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რომლებიც მათი ისტორიისა და მეურნეობის თავისებურებების ძალით „მსოფლიო საზოგადოების" ბოლო რიგებში აღმოჩნდნენ? ეკონომისტების მრავალი სხვა იდეის მსგავსად, იგი შეიძლებოდა გამოყენებულიყო და გამოიყენებოდა როგორც რეაქციული, ისე პროგრესული მიზნებისათვის. თანამედროვე პირობებში დამახასიათებელია ლისტისადმი ინტერესის გაცხოველება განვითარებად ქვეყნებში, რომელთა წინაშე დგას ეროვნული მრეწველობის განვითარების ამოცანები მსოფლიო ბაზარზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიების ბატონობის პირობებში.

ლისტის შრომების ორიგინალურობა და მეცნიერული ღირებულება სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სიძნელეებისა და ფაქტორების შესახებ სამეურნეო-პოლიტიკური პრობლემის სერიოზულ დამუშავებაშია.

პროტექციონიზმი და ვაჭრობის თავისუფლება

კაპიტალი თავისი ბუნებით კოსმოპოლიტურია. მაგრამ მისი ეს ნიშანი მოქმედებს დიალექტიკურ ერთიანობაში მებრძოლ ნაციონალიზმთან, რომელიც აგრეთვე ორგანულად ახასიათებს კაპიტალიზმს. როგორც გოეთესთანაა ნათქვამი: „მაგრამ ორი სული ცხოვრობს ჩემში!" ეს ერთიანობა და კონფლიქტი თან სდევს კაპიტალიზმის მთელ განვითარებას. მოქმედებენ ისინი თანამედროვე პირობებშიც. თუ კლასიკოსებმა მეტი ძალით გამოხატეს კაპიტალიზმის პირველი ტენდენცია, ლისტმა გამოხატა მეორე.

ნაშრომის — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" წინასიტყვაობაში კ. მარქსი მოგვითხრობს, 1842—1843 წწ., როცა „რაინის გაზეთს" რედაქტორობდა, ფაქტებისა და აუცილებლობის ზეგავლენით თუ როგორ მართავდა ეკონომიკურ პრობლემებს. მოვლენათა შორის,

---

[1] L. Robbins. The Theory of Economic Development in the History of Economic Thought. L., 1968. p. 116—117

რომლებმაც პირველი ბიძგი მისცა მას, ხელი მოეკიდა ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის, იყო კამათი ვაჭრობის თავისუფლებისა და მფარველობითი ბაჟების შესახებ[1]. ამ კამათში ფრიდრიხ ლისტი ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა. საინტერესო დეტალი: „რაინის გაზეთის" რედაქტორად მარქსის გახდომამდე გამომცემლები ცდილობდნენ, ამ ადგილზე მოეწვიათ ლისტი, მაგრამ მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უარი თქვა[2].

შემდეგში მარქსი და ენგელსი თავიანთ პრაქტიკულ და ლიტერატურულ საქმიანობაში იძულებული იყვნენ არაერთგზის მიემართათ ვაჭრობის თავისუფლებისა და პროტექციონიზმის პრობლემებისათვის. ამასთან ისინი იხილავდნენ ლისტის იდეებსაც. მარქსიზმის ფუძემდებლები მაღალ შეფასებას არ აძლევდნენ ლისტს როგორც თეორეტიკოსს, აკრიტიკებდნენ მისი მოძღვრების ბურჟუაზიულ-აპოლოგეტიკურ არსს და მაინც თვლიდნენ მას იმ ეპოქის ყველაზე გამოჩენილ გერმანელ ეკონომისტად.

დისკუსია ვაჭრობის თავისუფლების შესახებ ასახავდა ბრძოლას ბურჟუაზიის კლასის შიგნით, აგრეთვე სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზიას შორის. ვაჭრობის თავისუფლება და პროტექციონიზმი მხოლოდ კლასობრივი პოლიტიკის ორი ნაირსახეობაა, თანაბრად მიმართული კაპიტალისტთა მოგების გადიდებისაკენ მუშათა კლასის ექსპლუატაციის გზით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატსა და მის პარტიებს შეუძლიათ განზე გადგნენ თვით პრობლემისაგან და მთლიანად დაუთმონ იგი ბურჟუაზიულ ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს. მუშათა კლასისათვის სრულიადაც არაა განურჩეველი, რა ტემპით და რა ფორმებში ვითარდება მრეწველობა ქვეყანაში. მრეწველობის განვითარება კი დიდად არის დამოკიდებული სავაჭრო პოლიტიკაზე.

ვაჭრობის თავისუფლების პოლიტიკა მუშათა კლასის თვალსაზრისით პროგრესულია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას მსოფლიო მასშტაბით, მის საწარმოო ძალთა ზრდას. უწინარეს ყოვლისა, მას შეუძლია გარკვეულ პირობებში ხელი შეუწყოს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ საბოლოო ანგარიშით საქმის არსი ისაა, რომ კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარება, ამავე დროს, ავითარებს მის წინააღმდეგობებს, უფრო მაღალ საფეხურზე აყავს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის და ამით ამზადებს კაპიტალიზმის როგორც სისტემის დაღუპვას. 1847 წ. კ. მარქსი ამბობდა, რომ ჩვენ მომხრე ვართ თავისუფალი ვაჭრობის, რადგან მისი შემო-

---

[1] იხ. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. Ე.

[2] G. Fabiuke. Zur historischen Rolle des deutschen Nationalökonomen Friedrich List (1789—1846), S. 35.

ღებით ყველა ეკონომიკური კანონი თავიანთი საოცარი წინააღმდეგობებით იმოქმედებენ უფრო ფართო სფეროში, უფრო დიდ ტერიტორიაზე, მთელი მსოფლიოს ტერიტორიაზე, ამიტომ ყველა ამ წინააღმდეგობის გადახლართვა ერთ კვანძში, სადაც ისინი შეეჯახებიან, წარმოშობს ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ პროლეტარიატის გაუთავისუფლებით დამთავრდება[1].

მაგრამ პოზიცია ვაჭრობის თავისუფლებისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად, რომელიც მიესადაგება ყოველნაირ სიტუაციას და ყოველგვარ კონკრეტულ პირობებს. გასული საუკუნის შუა ხანებში გერმანიაში ვაჭრობის თავისუფლებას შეეძლო მხოლოდ გაემარადისებინა ქვეყნის სამრეწველო ჩამორჩენილობა, ხელი შეეწყო ფეოდალიზმის ნაშთების კონსერვაციისათვის. პროტექციონიზმი შეიძლება საბოლოო ანგარიშით სასარგებლო ყოფილიყო მუშათა კლასისათვის, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარებისა და ფეოდალური წყობილების დაძლევის საშუალება. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ ლისტი და მისი მიმდევრები მოითხოვენ მფარველობას არა წვრილი კუსტარული წარმოებისათვის, არამედ მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობისათვის, სადაც ხელით შრომა გამოიდევნება მანქანების მიერ, ხოლო პატრიარქალური წარმოება იცვლება თანამედროვეთი. მაგრამ ამ გზის ბოლოს მარქსი ხედავდა არა მძლავრი გერმანული კაპიტალიზმის ზეიმს, არამედ სოციალურ რევოლუციას. მსგავსი მიზეზებით ენგელსი ცოტა უფრო გვიანდელ ეპოქაში ძირითადად პროგრესულად თვლიდა შეერთებული შტატების პროტექციონისტულ სავაჭრო პოლიტიკას.

ისტორიული სკოლა

ეროვნული სული, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ბედი — ამ და ამის მსგავსი ცნებებით იყო გამსჭვალული XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. გერმანიის მთელი საზოგადოებრივი აზრი. რა შეიძლება იყოს უფრო მეტად ეროვნული, ვიდრე ი ს ტ ო რ ი ა ა? ისტორიით გატაცება თავისებური რეაქცია იყო აგრეთვე გასული საუკუნის რაციონალისტურ ფილოსოფიაზე, რომელიც ყველაფერს, რაც მანამდე იყო, ე. ი. ფეოდალიზმსა და მის ინსტიტუტებს განიხილავდა ბუნების საწინააღმდეგო მოვლენებად, წარმოშობილს უვიცობით, ცანათლების ეკვარობით.

ლისტმა ძლიერი გავლენა მოახდინა პოლიტიკური ეკონომიის გერმანულ ისტორიულ სკოლაზე, რომელიც შეიძლება დაყვანილ იქნეს სამ მომენტამდე: 1) ლისტის მიყოლებით „ისტორიკოსები“ პოლიტიკურ ეკონომიას განიხილავდნენ არა როგორც მეცნიერებას მე-

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, соч, т. 4, стр. 266—267.

ურნეობის განვითარების საერთო კანონების შესახებ, არამედ როგორც მეცნიერებას ეროვნული მეურნეობის შესახებ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდნენ სახელმწიფოს განმსაზღვრელ როლს; 2) ისინი კრიტიკულად ეკიდებოდნენ კლასიკურ სკოლას და მის მიმდევრებს, გამოდიოდნენ, კერძოდ, მათი თეორიების კოსმოპოლიტურობისა და აბსტრაქტულობის წინააღმდეგ; 3) ისინი გამოდიოდნენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტადიების კონცეფციიდან.

მაგრამ ისინი ლისტზე შორს წავიდნენ, შექმნეს განსხვავებული ისტორიული მეთოდი პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეცნიერების განვითარებაში, განსაკუთრებით გერმანიასა და აშშ-ში. ~~ისტორიული სკოლის~~ იდეები უფრო გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ძირეულ ~~განსხვავებებს~~ ~~ინ~~ პოლიტიკური ეკონომიისას, რომელიც წარმოდგენილი იყო ბურჟუაზიული რიკარდოელებით ინგლისში და სეის სკოლით საფრანგეთში. ღირებულებისა და შემოსავლების მათი თეორიები თავისუფლად შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა ან აბდაუბდად, ან უშინაარსო გაუბრალოებად. მათთვის მართლაც უცხო იყო ისტორიზმი. შეხედულება საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც ევოლუციურ პროცესზე. ადამიანი — მრიცხველის. (ეონიერი) ეგოისტის აბსტრაქცია, რომელიც განთავისუფლებულია ყველა სხვა თვისებისაგან, არადამაჯერებელი იყო. ამ ეკონომისტების, განსაკუთრებით ინგლისელების „კოსმოპოლიტიზმი“ ასახავდა ინგლისის გაბატონებულ როლს მსოფლიო ბაზარზე. „ისტორიკოსებს“ უნდოდათ, რომ ეკონომიკური მეცნიერების ცენტრში დამდგარიყო კონკრეტული ადამიანი, თავისი რთული ფსიქიკითა და მორალით, ეროვნული და ისტორიული ნიშნებით.

მაგრამ XIX ს-ის პირველი ნახევრის ფეოდალურ-ბურჟუაზიული გერმანიის პირობებში და პრუსიელი პროფესორების კალმის ქვეშ ამ კანონზომიერ პროტესტს გარდუვალად უნდა მიეღო რეაქციული ხასიათი.

ისტორიული სკოლა უარს ამბობდა მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდზე. როგორც პოლიტიკურ ეკონომიაში გამოკვლევის ძირითად მეთოდზე. იგი უარს ამბობდა საზოგადოებრივი განვითარების საყოველთაო ობიექტური კანონზომიერებების შემეცნებაზე, აბსოლუტურ პრინციპამდე აყავდა ეროვნული თავისებურებანი. ეკონომიკური მეცნიერების განსაკუთრებული სფერო იცელებოდა განუსაზღვრელი და მერყეევი სფეროთი, რომელიც მოიცავდა ისტორიას, ეთიკას, სამართალს, ფსიქოლოგიას, პოლიტიკას, ეთნოგრაფიას.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში არის თავისი შტამპები: ისტორიული სკოლა წარმოდგენილია სამების სახით როშერის, ჰილდებრანდისა და კნისის შემადგენლობით, თითქოს ისინი ერთად მუ-

შეიტანეს. უფრო სერიოზულ გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ ამ სამ ავტორს შორის დიდი გასხვავებაა, რომ ისინი არ შეადგენენ „სკოლას“ პირადი და პირდაპირი ურთიერთობის აზრით, რომ მათ გარდა იმავე მიმართულებით მუშაობდა მრავალი სხვა. ნამდვილად ყველაფერი უფრო რთულად იყო.

მიუხედავად ამისა, თეორიის მთავარ საკითხებში სამივე პროფესორი საერთო მიმართულებას მისდევდა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ. ვილჰელმ როშერმა თავის ადრეულ ნაშრომში (1843 წ.) — „პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით“ — გადმოსცა მომავალი ისტორიული მეთოდის ზოგიერთი ძირითადი დებულება. მაგრამ როშერმა მიიღო ინგლისელი და ფრანგი კლასიკოსი-ეკონომისტების ბევრი დებულება, რომლებიც მას აწყობდა. ამის შედეგად გამოვიდა უსაფუძვლო ნაზავი. ასეთია როშერი თავის მომდევნო ნაშრომებშიც.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე როშერმა მთელი ბიბლიოთეკა დაწერა, რომელშიც, კერძოდ, შედის ორი დიდი მეცნიერული გულმოდგინებით შესრულებული ნაშრომი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში. თითქმის 50 წელიწადს იყო იგი პროფესორი ლაიფციგში და სარგებლობდა პატივისცემით მთავრობისა და მეცნიერთა წრეებში.

ბრუნო ჰილდებრანდის ცხოვრება მის პირველ ნახევარში მშფოთვარე იყო. ჰესენის რეაქციული მთავრობის დევნის გამო (ერთ-ერთი გერმანული სახელმწიფო) იგი იძულებული იყო, შვეიცარიაში გაქცეულიყო, სადაც ასწავლიდა ციურიხისა და ბერნის უნივერსიტეტებში ჰილდებრანდმა დააარსა პირველი სტატისტიკური სამსახური შვეიცარიაში. იგი 1861 წ. დაბრუნდა გერმანიაში და სიცოცხლის ბოლომდე იყო პროფესორი იენაში. ისტორიულ სკოლასთან მას აკავშირებდა უმთავრესად მისი წიგნი „ეროვნული ეკონომია აწმყოსი და მომავლისა“, რომელიც 1848 წ. გამოქვეყნდა. ჰილდებრანდი უფრო მკვეთრად და სისტემატურად, ვიდრე როშერი, აკრიტიკებდა კლასიკურ სკოლას და უფრო აგრესიულად ნერგავდა ისტორიულ მეთოდს. მან დიდი გავლენა მოახდინა ისტორიული სკოლის განვითარებაზე უფრო გვიანდელ ეპოქაში.

კარლ კნისის საქმიანობა ბევრად სცდება განსახილველი ეპოქის ფარგლებს, რადგან იგი 60—90-იან წლებში მუშაობდა. მაგრამ ისტორიული სკოლის სულით გამსჭვალული მისი მთავარი ნაშრომი — „პოლიტიკური ეკონომია ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით“ — 1853 წ. გამოქვეყნდა. კნისი 30 წელიწადზე მეტ ხანს იყო პროფესორი ჰაიდელბერგში.

70-იან წლებში გერმანელ მეცნიერთა უფრო ახალგაზრდა თაობამ გუსტავ შმოლერის მეთაურობით შექმნა ეგრეთ წოდებული ახალი ისტორიული სკოლა. კნისისა და შმოლერისაკენ ისწრაფოდნენ ადა-

მიანები, რომლებიც ეძებდნენ მესამე გზას — სუბიექტური სკოლის („ნეოკლასიკოსები“) და სოციალიზმის გარდა. მათ ბევრი მიმდევარი ჰყავდათ ანგლოსაქსურ ქვეყნებში.

ისტორიული სკოლის მეცნიერებმა ბევრი გააკეთეს კონკრეტული ეკონომიკური გამოკვლევების დარგში. მათ ფართოდ შეჰქონდათ თავიანთ ნაშრომებში ისტორიული და სტატისტიკური მასალა. მაგრამ მათი უბედურება იყო აღწერილობითობა, მცოცავი ემპირიზმი, ზედაპირულობა. გერმანიის იმპერიაში იგი გახდა თავისებური სახელმწიფოებრივი მეცნიერული მიმართულება და იქცა მარქსიზმის მტრად, მარქსიზმისა, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა გერმანიაში.

გაჭიანურებული ზემოხვევა: როდბერტუსი

კარლ როდბერტუსის წერილიდან ი. ცელერისადმი: „თქვენ დაინახავთ, რომ ამით უკვე ძალიან კარგად ისარგებლა მარქსმა... რასაკვირველია, ჩემ უხსენებლად“[1]. მეორე წერილში როდბერტუსი აცხადებს, რომ მარქსზე ადრე აჩვენა ზედმეტი ღირებულების წარმოშობა და ეს გააკეთა უფრო მოკლედ და უფრო ნათლად. ეს წერილები გამოქვეყნდა როდბერტუსის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მარქსის გარდაცვალებამდე.

როდბერტუსის ბრალდებები, გამოთქმული, მართალია, მხოლოდ პირად წერილებში, ცნობილი იყო მარქსისათვის. მაგრამ იგი დაკმაყოფილდა ენგელსის მოწმობით, მხოლოდ ირონიული შენიშვნით ამის შესახებ. მალე მარქსის სიკვდილის შემდეგ გერმანელი კათედერსოციალისტები, პროფესორები, რომლებიც ქადაგებდნენ კლასთა მშვიდობიან თანაარსებობას მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების ეგიდით, შეეცადნენ აღედგინათ ეს საკითხი. მათი მიზანი იყო მარქსის მოძღვრებისათვის სახელის გატეხა და მისი გავლენის დასუსტება. ამიტომ ენგელსმა ავტორისეულ ხელნაწერში დარჩენილი „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოცემისას თავისი წინასიტყვაობა მიუძღვნა უმთავრესად როდბერტუსის პრიორიტეტის შესახებ მონაჩმახის უარყოფას. პასუხი იყო ამომწურავი და საბოლოო. შუმპეტერმა ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა: „მე არ ვფიქრობ, რომ არსებობს სერიოზული საფუძველი, შევედავოთ ენგელსის მიერ უარყოფას თეზისისას, რომ მარქსმა „ისესხა როდბერტუსისაგან“[2].

ამასთან ერთად მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომებში და წერილებში ჩვენ ვპოულობთ როდბერტუსის მიერ საზოგადოებრივ მეცნ-

---

1 ციტატა კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, 1957. გვ. 7-ის მიხედვით.
2 J. S c h u m p e t e r. History of Economic Analysis. p. 504

ნიერებაში შეტანილი წვლილის, მისი მეცნიერული გამბედაობის და მეცნიერული კეთილსინდისიერების მაღალ შეფასებას. როდბერტუსი ანალიზს უკეთებდა კაპიტალიზმს სოციალიზმის პოზიციებიდან, მაგრამ ბევრი რამ ანათესავებდა მას უტოპისტებთან, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში მან სენ-სიმონის ძლიერი გავლენა განიცადა.

როდბერტუსი დაიბადა 1805 წ. გრეიფოვალდში, გერმანიის ჩრდილოეთში, სწავლობდა სამართალს გეტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, მსახურობდა სასამართლოს მოხელედ. მალე სამსახური დატოვა, ევროპა შემოიარა და 1836 წ. დასახლდა მის მიერ ნაყიდ მამულ იაგეცოვში, პომერანიაში, სადაც პატარა წყვეტილებით სიკვდილამდე იცხოვრა. ენგელსი 1883 წ. ერთ-ერთ წერილში როდბერტუსზე ლაპარაკობდა: „ეს ადამიანი ის-ის იყო ახლოს მივიდა ზედმეტი ღირებულების აღმოჩენასთან, მაგრამ ამ საქმეში მას ხელი შეუშალა მისმა მამულმა პომერანიაში“[1]. რა თქმა უნდა, სრულიადაც არაა აუცილებელი, მემამულე ვალდებული იყოს გამოხატოს მემამულეთა კლასის იდეოლოგია. მაგრამ როდბერტუსი როგორც კი მემამულე გახდა, ნამდვილად განიცადა ევოლუცია მარჯვნივ.

1842 წ. როდბერტუსმა გამოაქვეყნა წიგნი „ჩვენი სახელმწიფო-სამეურნეო წყობილების შემეცნებისათვის“. სწორედ აქ „კინაღამ აღმოაჩინა“ ზედმეტი ღირებულება. მაგალითად, იგი წერს: „თუ შრომის ნაყოფიერება იმდენად დიდია, რომ მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებათა გარდა მას შეუძლია აწარმოოს კიდევ ბევრი სახმარი დოვლათი, მაშინ ეს ნამეტი ხდება რენტად, ე. ი. უშრომლად მითვისება სხვა პირთა მიერ, როცა არსებობს კერძო საკუთრება მიწასა და კაპიტალზე. სხვა სიტყვებით: რენტის მიღების პრინციპია კერძო საკუთრება მიწასა და კაპიტალზე“[2].

როდბერტუსს ჯეროვნად უნდა მივუზღოთ—ცუდად არ არის ნათქვამი. მაგრამ ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მან კარგად შეითვისა სმიტი და რიკარდო და აიღო მათგან რიგი მეცნიერული, ღრმა დებულებებისა. ცხადია, ამით იგი პრინციპულად განსხვავდება ისტორიული სკოლის წარმომადგენლებისა და თანამედროვე სხვა მათი მსგავსი გერმანელი ეკონომისტებისაგან. მაგრამ მეტი არაფერი.

მარქსიც შორდება სმიტსა და რიკარდოს, მაგრამ იქ, სადაც როდბერტუსთან ჩვენ ვხედავთ ინგლისელი კლასიკოსებისაგან აღებულ ცალკეულ, თუმცა სასარგებლო აგურებს, მარქსმა ააგო პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის მწყობრი შენობა. გარდა ამისა, რო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, 1952, გვ. 292.
[2] К. Родбертус. К познанию нашего государственно-хозяйственного строя. Пять теорем. М., 1935, стр. 115.

გორც დამაჯერებლად გვიჩვენა ენგელსმა, მარქსი 1859 წლამდე არ იცნობდა როდბერტუსის შრომებს.

მოგებისა და მიწის რენტის ჩათვლა მუშათა აუნაზღაურებელი შრომის ნაყოფად სრულიადაც არ ნიშნავს, შექმნა ზედმეტი ღირებულების მეცნიერული თეორია. ინგლისელი სოციალისტი რიკარდოელები ამ საკითხში როდბერტუსზე შორს მიდიოდნენ, მაგრამ მათაც არ შეუქმნიათ ასეთი თეორია. როდბერტუსი არ განიხილავდა თავის „რენტას“ როგორც ზედმეტი პროდუქტის საყოველთაო ფორმას კაპიტალიზმის დროს. მან არ ახსნა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის განსაკუთრებული ბუნება. ის არ იყო თანმიმდევრული „რენტის“, როგორც ექსპლუატატორული შემოსავლის, განხილვაში. ბოლოს როდბერტუსი რიკარდოზე შორს არ წასულა მოგების გაშუალების საკითხში — უმნიშვნელოვანეს საკითხში, რომელიც წარმოების ფასის მარქსის თეორიამ გადაწყვიტა.

როგორც ყველა სოციალისტი და დემოკრატი, როდბერტუსი აღტაცებით შეხვდა 1848 წ. მოვლენებს. იგი იყო პრუსიის ლანდტაგის და პირველი საერთოგერმანული პარლამენტის წევრი ფრანკფურტში, მემარცხენე ცენტრისტული ფრაქციის ლიდერი, რადიკალური რეფორმების მომხრე. მოკლე დროის განმავლობაში მას ეკავა მინისტრის პოსტი განზემანის პრუსიის ლიბერალურ მთავრობაში. გამარჯვებული კონტრრევოლუციისა და ხელისუფლებასთან კომპრომისისათვის მზადმყოფი ბურჟუაზიისათვის როდბერტუსი ერთობ მემარცხენე აღმოჩნდა და იძულებული გახდა წასულიყო თავის მამულში პომერანიაში. ამის შემდეგ იგი აქტიურად აღარ მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როდბერტუსის ეკონომიკური იდეები, ზემოთ დასახელებული ნაშრომის გარდა, გადმოცემულია უმთავრესად ოთხ „სოციალურ წერილში“, რომლებიც დიდ ტომს შეადგენენ. პირველი ორი წერილი გამოქვეყნდა 1850 წ., მესამე — 1851 წ., მეოთხე — ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

თავის თხზულებაში როდბერტუსი აგრძელებდა იმას, რაც ცუდად გამოუვიდა მას თავის დროზე პრაქტიკულ პოლიტიკაში. იგი ხატავდა კაპიტალიზმის ბევრ საშიშ მხარეს, განსაკუთრებით მის ტენდენციას — შეენარჩუნებინა ხალხთა მასების სიღატაკე. როგორც თვით წერდა, აუცილებელია ვეძებოთ საშუალება „დავიცვათ კაპიტალი... საფრთხისაგან, რაც მისივე ბრალია“. იგი მოუწოდებდა კაპიტალისტებს. მიეცათ მუშათა კლასისათვის იმ ნაყოფის გარკვეული ნაწილი, რაც შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მოჰქონდა. ასეთ პირობებში, თვლიდა იგი, შეიძლება მიღწეულ იქნეს „კომპრომისი“ შრომასა, მიწასა, და კაპიტალზე საკუთრებას შორის.

ყველა თავისი წინააღმდეგობისა და ნაკლოვანების მიუხედავად კარლ როდბერტუსს ღირსეული ადგილი უკავია სოციალისტური და დემოკრატიული აზრის ისტორიაში. მის შრომებს სრულიად საფუძვლიანად დიდ ყურადღებას აქცევენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერები[1].

---

[1] იხილე G. Rudolph. Ökonomie und utopisch-sozialistische Aspekte von Karl Rödbertus-Jagetzow (1805—1875). Beiträge zur Marx-Engels Forschung Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften der DDR. Berlin, 1975, S. 92—130.

მეთვრამეტე თავი

დეკაბრისტების ეკონომიკური იდეები. ნიკოლოზ ტურგენევი

XIX საუკუნის რუსული კულტურის მკვლევარი მ. ო. გერშენზონი წერდა: „აღწერეთ საზოგადოებრივი აზრის ისტორია მის ცოცხალ კონკრეტულობაში, და არა სქოლასტიკურ სქემებში, და იყავით დარწმუნებული, რომ ყოველი ჭაბუკი თავისით და ხარბად დაეწაფება მას“.[1] რამდენადმე მაღალფარდოვანი, მაგრამ ძლიერ სწორი ნათქვამია. მართლაც, დეკაბრისტების — რუსი თავადაზნაურული რევოლუციონერების ეპოქას და მოღვაწეობას ეს სხვაზე უფრო მეტად ეხება. საუკუნენახევარზე მეტმა განვლო. 1825 წლის ამბებიდან, მაგრამ მისი მონაწილენი ჩვენთვის სულ უფრო ახლობელნი და ძვირფასნი ხდებიან. დეკაბრისტებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი უსაზღვროა. პესტელი, ლუნინი, მურავიოვ-აპოსტოლი საბჭოთა მწერლების საუკეთესო წიგნების გმირებად იქცნენ უკანასკნელ წლებში.

დეკაბრისტების ეკონომიკური იდეები მხოლოდ მათ ბრძოლასთან, პრაქტიკულ რევოლუციონურ მოღვაწეობასთან მჭიდრო ერთიანობაში არსებობს. დეკაბრისტების ლიდერები და იდეოლოგები მაღალი კულტურის, შესანიშნავი ზნეობრივი პრინციპების, დიდი მოქალაქეობრივი ძამაცობის მქონე ადამიანები იყვნენ. მათთვის პოლიტიკური ეკონომია მხოლოდ მეცნიერება კი არა, რევოლუციური, ანტიბატონყმური და განმათავისუფლებელი შეხედულებების სისტემა იყო. დეკაბრისტების ინტერპრეტაციებში დასავლეთევროპულ მოაზროვნეთა იდეები „მემარცხენდებიან“, პოლიტიკურად ნეიტრალურობიდან ლიბერალები, ხოლო ლიბერალებიდან რევოლუციონერები ხდებიან.

ბატონყმობა და კაპიტალიზმი

ამ ეპოქაში პოლიტიკური ეკონომია უპირატესად თავადაზნაურული მეცნიერება იყო. ის უჩვეულოდ პოპულარულია და მით ინტერესდებოდა განათლებული თავადაზნაურობა, რომელთა პოლიტიკური შეხედულებები მეტად სხვადასხვა — ბატონყმური რეაქციიდან — რევოლუციურ დემოკრატიამდე, იყო. ეს იმით აიხსნება, რომ მეტის

[1] М. О. Гершензон, История молодой России, М., 1923, стр. 4.

მეტად გამწვავდა ქვეყნის საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების ძირეული საკითხები, პოლიტიკური ეკონომიის ახალგაზრდა მეცნიერება კი მათზე პასუხის გაცემას ჰპირდებოდა. რუსეთი გლეხური ქვეყანა იყო, სადაც ბატონობდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობა, მაგრამ კაპიტალიზმი სულ უფრო მეტად ხდებოდა ცხოვრებისეულ რეალობად და შესაცნობ აუცილებლობად. საკითხმა ორი საზოგადოებრივი წყობის თანაფარდობის, მათი ბედის შესახებ დიდი აქტუალობა შეიძინა.

ეკონომიკური პროგრესი დაკავშირებული იყო მეურნეობის ახალი, არსებითად კაპიტალისტური, ანდა თუნდაც კაპიტალისტური ნიშნების მქონე, ფორმების განვითარებასთან. მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური ფორმები იწყებს კრიზისს, ამას ყველა ხედავდა, ბატონყმობის ყველაზე უფრო აშკარა დამცველნიც კი. თვით არაკჩეევი, რომლის სახელი რეაქციის სიმბოლოდ იქცა, და ნიკოლოზის ფინანსთა მინისტრი კანკრინი თხზავდნენ ბატონყმობის შერბილების პროექტებს. ლიბერალური შეხედულებების დიდებული წარმომადგენელი მორდვინოვი ენერგიულად იცავდა მრეწველობისა და ბანკების განვითარებას, თუმცა ამასთან ერთად წინადადებას აყენებდა, არ აჩქარებულიყვნენ ბატონყმობის ლიკვიდაციის საქმეში.

მოწინავე თავადაზნაურობა, საიდანაც წარმოდგნენ დეკაბრისტები, განასახიერებდნენ იმდროინდელ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ძალას. ამიტომ დეკაბრისტების პროგრამა თავისი სოციალური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო და ითვალისწინებდა კაპიტალისტური განვითარების მთავარ დაბრკოლებებს — ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოსპობას.

თავის თხზულებებში, მათ შორის პასუხებში დაკითხვებზე და „მეფის სახელზე“ ციხიდან გაგზავნილ წერილებში, დეკაბრისტები ხედავდნენ არა მხოლოდ რუსეთში გამეფებულ პოლიტიკური უუფლებობისა და ჩაგვრის სურათს, არამედ ეკონომიკის ერთ წერტილზე გაყინვისა და გლეხთა მასების გაღატაკების სურათსაც. ჩამოხრჩობილთაგან ერთ-ერთმა — პ. კაზოვსკიმ განუცხადა ნიკოლოზ I-ს, რომ შეთქმულების მიზეზი იყო სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობა და აღწერა ბატონყმობის სიმძიმე, გამაჩანაგებელი გადასახადები, ვაჭრობის დაცემა. ს. ტრუბეცკოი, ა. ბესტუჟევი და მრავალი სხვა მიუთითებდნენ გლეხების მრავალრიცხოვან აღშფოთებაზე (ბუნტზე) როგორც ბატონყმური წყობილების კრიზისის მთავარ დამამტკიცებელ საბუთზე.

სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში მებატონეებმა დაიწყეს მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება არა საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ საშინაო და საზღვარგარეთის ბაზრებისათვის. ფულადი შემოსავლების გაზრდი-

სათვის მებატონეები ართმევდნენ გლეხებს მიწების ნაწილს და აძლიერებდნენ საბატონო ბეგარას, ე. ი. გლეხების იძულებით შრომას ბატონის მიწაზე. „მემამულე, — ლაპარაკობს ვ. ი. ლენინი, — პურის წარმოებას იწყებს არა თავისთვის, არამედ გასაყიდად. ეს იწვევს გლეხის შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას...“[1]. ასეთი მეურნეობა მკვეთრად ზღუდავდა უფრო სრულყოფილი აგროტექნიკის დანერგვას, მიწის დამუშავების რამდენადმე რთული იარაღების გამოყენებას.

ცენტრალურ, ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ რუსეთში ჭარბობდა ღალის სისტემა, რომლის დროსაც გლეხობა ეწეოდა სოფლის მეურნეობას და რეწვას და მებატონეებს უხდიდნენ ფულად ღალას. ამ ღალის მოცულობა ზღვარდებული არ იყო არც კანონით და არც ხელშეკრულებით, არამედ თვითნებურად წესდებოდა ბატონის მიერ. თუ საბატონო ბეგარის დროს მებატონე ცდილობდა გლეხისათვის ყოველთმია მთელი ზედმეტი შრომა ნატურით, აქ უკვე იგი ართმევდა ზედმეტი პროდუქტის ფულად ეკვივალენტს, ზედმეტ ღირებულებას. ორივე სისტემა მიმართული იყო იქითკენ, რომ გლეხისაგან წაეღოთ შესაძლო მაქსიმუმი, მისთვის დაეტოვებინათ მხოლოდ სიცოცხლისათვის ყველაზე აუცილებელი. გლეხის ხსნა შეეძლო მხოლოდ კონტროლის სიძნელეს ან „სულის მფლობელთა“ დაუდევრობას.

მრეწველობის „ძველი“ დარგები (განსაკუთრებით მეტალურგიული, ლითოხდამმუშავებელი და შალის) ძველებურად ემყარებოდნენ იძულებით შრომას. „ახალი“, განსაკუთრებით ბამბეულის, უმეტესად ვითარდებოდა ნებით დაქირავებული შრომის საფუძველზე. XIX ს-ის პირველი მეოთხედის ბოლოს ნებით დაქირავებულნი შეადგენდნენ მრეწველობის ყველა მუშაკის მხოლოდ ერთ მესამედს.[2] მაგრამ ძალიან ხშირად ეს მუშებიც იყვნენ მეღალე ყმა-გლეხები და მათი დაქირავების „თავისუფლება“ მეტად პირობითი იყო.

შრომის ნაყოფიერება როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაშიც დაბალი იყო. რუსეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნად რჩებოდა. საუკუნის შუა ხანებში იგი მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებდა 14-ჯერ ნაკლებ თუჯს, ვიდრე ინგლისი და 3-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საფრანგეთი. ბამბის სართავი თითისტარების საერთო რაოდენობა 20-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ინგლისში, 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში.[3]

მიუხედავად ამისა, გზას იკაფავდა სამრეწველო განვითარება. იზრდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, მეურნეობაში ფართოვდებოდა ფულადი ურთიერთობა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 596.

[2] История русской экономической мысли России, т. I, часть первая, 1958, стр. 11.

[3] И. Г. Блюмин. Очерки экономической мысли России в первой половине XIX века, М.-Л., 1940, г. стр. 7—8.

XIX საუკუნე რუსეთში მეფის მკვლელობით და სასახლის კარის გადატრიალებით დაიწყო. 1801 წ. მარტში მოკლეს პავლე I, იმპერატორი გახდა მისი შვილი ალექსანდრე I, რომლის სახელს უკავშირდებოდა იმედები ლიბერალურ რეფორმებზე. მართლაც წვიმასავით წამოვიდა ბრძანებულებები, რომლებიც აუქმებდნენ ან არბილებდნენ წინამორბედი მეფეების ყველაზე საზიზღარ და უაზრო წესებს. ლაპარაკი იყო რაღაც კონსტიტუციის მაგვარის შესახებ და გლეხობის განთავისუფლებაზე, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ გასცილებია. იგი დამთავრდა პირველ რიგში სახელმწიფო საბჭოს—თვითმპყრობელთან საკათბირო ორგანოს შექმნით, მეორეში — რამდენიმე ბატონის დასჯით სისასტიკისათვის და მკაცრად დასჯის გამო და 1803 წ. მკვდრად შობილი კანონით „თავისუფალ მხვნელ-მთესველთა შესახებ“, რომელიც რაღაც შესაძლებლობას ქმნიდა მებატონეების მიერ თავიანთი გლეხების ნებაყოფლობითი განთავისუფლებისათვის.

მაგრამ „ალექსანდრეს დღეების მშვენიერი დასაწყისი“, როგორც ალექსანდრ პუშკინმა, იყო ლიბერალიზმისა და თავისუფალი აზროვნების ხანმოკლე პერიოდი. ამ აზრთა მიმართულების ერთ-ერთი გავლენა იყო დასავლეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ნაწარმოებთა, კერძოდ კი წიგნებისა პოლიტიკურ ეკონომიაში, რუსულ ენაზე გამოცემა. მათ შორის იყო 1802—1806 წწ. ოთხ ტომად გამოცემული ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრე“. სმიტის წიგნის თარგმნა ერთობ რთული საქმე იყო: რუსულ ენაზე ის-ის იყო ყალიბდებოდა მეცნიერული ეკონომიკური ტერმინოლოგია, ხოლო საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელსაც იგი აანალიზებდა ბევრ რამეში, უცხო იყო რუსეთისათვის. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი ნაშრომის პირველმა თარგმანმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო სრულყოფილი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული ეკონომიკური აზრის განვითარებაში. იგი იყო ერთადერთი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. სმიტის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით ჟურნალებში გამოქვეყნდა აგრეთვე სტატიები პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. უნივერსიტეტებში დაიწყეს პოლიტიკური ეკონომიის სწავლება. მაგრამ ამ მეცნიერების პირველი პროფესორები, როგორც წესი, იყვნენ გერმანელები, ხშირად ისეთებიც, რომლებმაც რუსული ენაც კი არ იცოდნენ. 1801 წ. ქრისტიან-ავგუსტ შლეცერი პირველად კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის კურსს მოსკოვის უნივერსიტეტში, ხოლო 1805 წ. მან გამოსცა ამ მეცნიერების პირველი სახელმძღვანელო რუსეთში.

ალექსანდრე I-ის ლიბერალიზმმა მნიშვნელოვანი გახუნება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში, მაგ-

რამ რუსეთის შინაგანი განვითარების მსვლელობა შეწყვიტა ნაპოლეონის თავდასხმამ და 1812 წ. სამამულო ომმა. მრავალმა მომავალმა დეკაბრისტმა, რომელთაც შეთვისებული ჰქონდათ პირველი „თავისუფალი აზრები“ სკოლის მერხის წიგნებიდან, გაიარა ომის მკაცრი სკოლა და თავისი „განათლება“ დაასრულა 1813—1815 წწ. საზღვარგარეთულ ლაშქრობაში.

ომმა გამოიწვია სახალხო სულისკვეთების, პატრიოტიზმის მძლავრი აღმავლობა. მაგრამ ყმა-გლეხები, რომლებიც ომში ჯარისკაცებად მსახურობდნენ და იბრძოდნენ პარტიზანებად, ყმა-გლეხებად დარჩნენ. როცა ახალგაზრდა თავადაზნაური ოფიცრები დაბრუნდნენ სამშობლოში, ძწვავედ განიცდიდნენ, რომ შეურყეველი დარჩა მონობა და მასთან ერთად დესპოტიზმის, თვითმპყრობელური ხელისუფლებისა და ხალხის უუფლებობის სხვა საყრდენებიც. ნ. ი. ტურგენევი გვიამბობს: „მე სამშობლოში 1816 წ. ბოლოს დავბრუნდი. ბიძგი, რომელიც გონებას მისცა ეს-ეს არის მომხდარმა ახალმა მოვლენებმა, ან უფრო სწორად, მათ მიერ გამოწვეული აგზნება ნათელი იყო. სწორედ სამშობლოში რუსეთის არმიის დაბრუნების მომენტიდან ლიბერალურმა იდეებმა, როგორც მაშინ ამბობდნენ, გავრცელება იწყეს რუსეთში. გარდა რეგულარული ჯარისა, სახალხო ლაშქრის დიდმა მასებმა ასევე ნახეს საზღვარგარეთის ქვეყნები. ყველა რანგის ეს ლაშქარი საზღვრის გამოვლით უბრუნდებოდა თავის კერას და ყვებოდნენ იმის შესახებ, რაც მათ ევროპაში ნახეს. თვით მოვლენები ყოველგვარ ადამიანურ ხმებზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ეს ნამდვილი პროპაგანდა იყო“.[1]

გახათლებული თავადაზნაურობა იმ დროს იყო ერთადერთი საზოგადოებრივი გარემო, რომელშიც შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო არსებული წყობილების შეცნობილი და ორგანიზებული ოპოზიცია. ოფიცრებმა, რომლებმაც 1814—1818 წწ. შექმნეს ამ ოპოზიციის პირველი ჯგუფები, უჯრედები, პატრიოტულად იყვნენ განწყობილი, მაგრამ ქვეყნის ბედნიერებას არა მხოლოდ სამხედრო დიდებაში, არამედ ხალხის ნახევრადაღმოსავლური დესპოტიზმის უღლისაგან განთავისუფლებაშიც ხედავდნენ.

1816 წ. პეტერბურგში აღმოცენდა პირველი საიდუმლო საზოგადოება, რომელიც ხსნის კავშირის სახელს ატარებდა. მისი პროგრამა მოიცავდა წარმომადგენლობითი მმართველობის შემოღებას კონსტიტუციური მონარქიის ფორმით და ბატონყმობის მოსპობას. 1818 წ. ჩამოყალიბდა კეთილდღეობის კავშირი — უფრო ფართო და განშტოებული ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენდა როგორც გარდაქმნებისათვის ბრძოლა, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობა. 1821 წ. დასაწყისში კეთილდღეობის კავშირი ფორმალურად გაუქმდა, მაგრამ

[1] Н. И. Тургенев, Россия и русские, т. I, М., 1915, стр. 59.

შალე მის ადგილზე აღმოცენდა ორი ფარული საზოგადოება — ჩრდილოეთის და სამხრეთის.

ალექსანდრე I-ის სიკვდილმა 1825 წ. 1 ნოემბერს და ტახტის მემკვიდრეობისთვის დაბნეულობამ უბიძგა ორივე საზოგადოებას აქტიური მოქმედებისაკენ შეიარაღებულ აჯანყებამდეც კი. მაგრამ თავადაზნაურულ რევოლუციონერებს მასებში არ ჰქონდათ მყარი დასაყრდენი, მათი მოქმედება არ იყო საკმაოდ მომზადებული და ორგანიზებული. 1825 წ. 14 დეკემბერს (ძველი სტილით) მეფე ნიკოლოზ I-მა შეძლო ჩაეხშო ჩრდილოეთის საზოგადოების მიერ წამოწყებული აჯანყების ცდა პეტერბურგში. ორი კვირის შემდეგ დამარცხდა სამხრეთის საზოგადოების გამოსვლაც.

ცარიზმი მკაცრად გაუსწორდა დეკაბრისტებს. ხუთი ხელმძღვანელი ჩამოახრჩეს, 120 კაცზე მეტი გადაასახლეს კატორღაში, ჩასვეს საპატიმროებში, ჩამოაქვეითეს ჯარისკაცის ჩინამდე. რეპრესიებს განიცდიდა აგრეთვე რამდენიმე ათასი ჯარისკაცი, რომლებიც მხარს უჭერდნენ აჯანყებულ ოფიცრებს.

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა დეკაბრისტების გმირობას და თავის მრავალ შრომაში წერდა მათ შესახებ. ის მათ თვლიდა რუსი რევოლუციონერების პირველ თავადაზნაურულ თაობად, რომელმაც გზა გაუკაფა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რაზნოჩინული რევოლუციონერების თაობას. ამის საფუძველზე XIX საუკუნის ბოლოს გაიშალა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა. „1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა...“[1]

დეკაბრისტების შეხედულებების და მისწრაფებების მთავარ წყაროს წარმოადგენდა იმდროინდელი რუსეთის პრობლემები და პიროობები, მაგრამ ამასთან ერთად ისინი ემყარებოდნენ დასავლეთის მოწინავე საზოგადოებრივ იდეებს. განმანათლებლური საუკუნის უდიდეს მოაზროვნეებს — ვოლტერს, მონტესკიეს, რუსოს, დიდროს — მრავალი დეკაბრისტი თავის მასწავლებელს უწოდებს. მათს ყურადღებას იპყრობდა XIX ს-ის დასაწყისის პოლიტიკური თხზულებები, რომლებშიც მუშავდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების პრინციპები. დასავლეთური მასონობა, პატრიოტულ საიდუმლო საზოგადოებათა პრაქტიკა გერმანიაში, — ახალგაზრდა ოფიცრები ცდილობდნენ, ყოველივე ეს გამოეყენებინათ რუსეთში, ესარგებლათ მათი გამოცდილებით თავის საქმიანობაში. XIX ს-ის 20-იან წლებში ესპანეთსა, იტალიასა და საბერძნეთში სამხედრო აჯანყებების გამოცდილებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დეკაბრისტების სამხედრო-პოლიტიკურ ტაქტიკაზე.

დეკაბრისტების საქმის გამოძიების დროს, რომელიც 1826 წლის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 19.

მთელი პირველი ხახუვრის მანძილზე გრძელდებოდა, თითოეულ მეამბოხეს აძლევდა განსაკუთრებულ ანკეტას, სადაც გამოყოფილი იყო კითხვა „თავისუფალი ფიქრისა და ლიბერალური აზრების“ წყაროების ‘ესახებ. დეკაბრისტების მიერ დასახელებულ ავტორებს შორის მრავალგზის ფიგურირებს ადამ სმიტი, უფრო ხშირად კი მოიხსენიება თხზულებანი პოლიტიკურ ეკონომიაში. ამ მეცნიერებას ნ. ი. ტურგენევი იხილავდა როგორც „ევროპის ხალხების კონსტიტუციური თავისუფლების“ დასაბუთებას. დეკაბრისტების მარცხენა ფრთის ბელადი და იდეოლოგი პესტელი ფარული საზოგადოების ახალგაზრდა წევრებს ურჩევდა, შეესწავლათ სმიტი და პოლიტიკური ეკონომია. 1816 წ. პესტელი, „ხსნის კავშირის“ რამდენიმე სხვა წევრი და მათი ახლობლები პეტერბურგელ პროფესორს კ. ფ. გერმანს უსმენდნენ პოლიტიკური ეკონომიის კურსს, რომელიც ძირითადად ხელმძღვანელობდა სმიტით და ავითარებდა ლიბერალურ იდეებს.

მაგრამ დეკაბრისტები სრულიადაც არ იყვნენ მხოლოდ მოწაფეები. ხ. ი. ტურგენევის, პ. ი. პესტელის, მ. ფ. ორლოვის, ნ. ი. მურავიოვის და ზოგიერთ სხვა შეთქმულთა და მათთან ახლოს მყოფი მოაზროვნე ადამიანების თხზულებებში ჩვენ ვნახულობთ ეკონომიკური პრობლემების დამოუკიდებელ დამუშავებას, რომელიც ჩვეულებრივ შერწყმული იყო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებთან.

დეკაბრისტების ყურადღების ცენტრში იდგა გლეხობის საკითხი. ისინი სერიოზულად სწავლობდნენ აგრარულ ურთიერთობებს რუსეთში და ცდილობდნენ გამოენახათ ეკონომიკური ბაზა თავისი მთავარი საპროგრამო მოთხოვნის — ბატონყმობის მოსპობისათვის. ისინი გამოიყენდნენ იქიდან, რომ კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში კანონზომიერი და პროგრესულია, მაგრამ მათ შორის იყო მნიშვნელოვანი უთანხმოება ბატონყმობის გაუქმების პირობებისა და მიწათმფლობელობისა და მიწაზე მეურნეობის მომავალი ფორმების შესახებ.

„ჩრდილოეთის საზოგადოების“ გამოჩენილი მოღვაწენი, მათ შორის ტურგენევი და მურავიოვი იხრებოდნენ გლეხების პირადი განთავისუფლებისაკენ მიწების გარეშე, მხოლოდ მცირე საკარმიდამო ნადელით. ამას შეეძლო გზა გაეხსნა სოფლის მეურნეობაში „ინგლისური ნიმუშით“ განვითარებისათვის, მსხვილი მემამულური მიწათმოქმედების შენარჩუნებით, მსხვილი მოიჯარე გლეხების და უმიწო სოფლის პროლეტარიატის წარმოქმნით.

პირიქით, „სამხრეთის საზოგადოების“ ლიდერის პესტელის აგრარული პროექტი, ფიქსირებული მის მიერ შედგენილ „რუსკოე პრავდაში“ (კონსტიტუციურ სიგელში), გულისხმობდა გლეხების უზრუნველყოფას მიწებით, მემამულეთა მიწის ნაწილის კონფისკაციის გზითაც კი. პესტელს ეშინოდა მიწის საკუთრების კონცენტრაციისა და

სახავდა აკრეთვე მიწაზე თემური საკუთრების მნიშვნელოვანი ელემენტების შენარჩუნებას. სათემო მიწა გაუსხვისებელი უნდა ყოფილიყო და სამართლიანად უნდა განაწილებულიყო თემის წევრებს შორის დროებითი სარგებლობისათვის.

პესტელის შრომებში გვხვდება შესანიშნავი აზრები კაპიტალიზმისა და მისი უარყოფითი მხარეების შესახებ, რაც მას განასხვავებს დეკაბრისტების დიდი ნაწილისაგან, რომლებიც იმით იფარგლებოდნენ, რომ კაპიტალიზმს იხილავდნენ როგორც ფეოდალიზმის საპირისპიროს, როგორც თანასწორობის, თავისუფლებისა და პროგრესის გონიერ წყობილებას. მაგალითად, პესტელი ლაპარაკობს: „ამჟამინდელი საუკუნის განმასხვავებელი ნიშანია ხალხებსა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის აშკარა ბრძოლა, რომლის დროსაც აღმოცენებას იწყებს სიმდიდრის არისტოკრატია, ფეოდალურ არისტოკრატიაზე გაცილებით უფრო მავნე...“ აღნიშნავდა მსხვილი ბურჟუაზიის ფორმირებას და სხვა ადგილას მიუთითებდა, რომ ამ პროცესის აუცილებელი თანამგზავრია ღარიბებისა და ღატაკების რიცხვის ზრდა, პესტელი აცხადებს, რომ „სიმდიდრის არისტოკრატია“, რომელიც სიმდიდრეს ფლობს, მასში პოულობს იარაღს თავისი შეხედულებებისათვის, რომელთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი სრულიად უძლურია და რომელთა მეშვეობითაც მას მთელი ხალხი, როგორც ითქვა, თავისგან სრულიად დამოუკიდებლად აქცევს“.[1]

თავისი აგრარული პროექტითა და კაპიტალიზმის თავისი კრიტიკით პესტელი გარკვეული ზომით გამოხატავდა რუსი გლეხობის „სტიქიურ-სოციალისტურ“ მისწრაფებებს. დეკაბრისტებს შორის იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც უახლოესი წინამორბედი გერცენისა, რომელიც დიდად აფასებდა პესტელს და იგი მკვეთრად ჰყავდა გამორჩეული დეკაბრისტების იდეურ ბელადებს შორის. როგორც გერცენი შენიშნავდა, სამხრეთის დეკაბრისტების ბელადი „სოციალიზმის გაჩენამდე უფრო ადრე იყო სოციალისტი“.[2] რა თქმა უნდა, პესტელის ეს ტენდენციები არ უნდა გავაზვიადოთ. მისი პროექტები ძირითადად მიმართული იყო რუსეთის კაპიტალისტური განვითარებისაკენ.

ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, დეკაბრისტები მჭიდროდ უკავშირებენ პოლიტიკურ თავისუფლებას. ისინი მოითხოვდნენ წოდებრივი შეზღუდვების გაუქმებას, მეწარმეობის თავისუფლებას, გადასახადებით დაბეგვრის საყოველთაოობას. რუსეთის დაჩქარებული მეურნეობრივი განვითარება მათთვის მნიშვნელოვანი მიზანი იყო. მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებში ჰქონდათ აზ-

---

[1] Избранные социально-экономические и философские произведения декабристов, т. 2, М., 1951, стр. 98.

[2] А. И. Герцен, Собр. соч. т. III, М., 1955, стр. 444.

რთა გარკვეული სხვადასხვაობა, განსაკუთრებით მრეწველობის მფარველობისა და იმპორტული ტარიფების შესახებ. ტურგენევი თანამიმდევრულ ფრიტრედერულ პოზიციებზე იდგა და თვლიდა, რომ არ უნდა ხდებოდეს მრეწველობის ხელოვნური სტიმულირება, ხოლო ტარიფები უნდა ისახავდნენ წმინდა ფისკალურ მიზნებს — მისცენ ხაზინას შემოსავალი. პესტელი აღიარებდა ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს, მაგრამ მაინც ტარიფული პროტექციონიზმის და მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობის პოზიციაზე იდგა. ეს უთანხმოებანი არ იყო ისეთი მწვავე, როგორც გლეხობის საკითხი.

დეკაბრისტები, და საერთოდ იმ ეპოქის რუსი ეკონომისტები, ნაკლებად ამუშავებდნენ პოლიტიკური ეკონომიის წმინდა თეორიულ საკითხებს (ღირებულება და ფასწარმოქმნა, შემოსავლები, კაპიტალი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოება). ეს პრობლემები მათ ეჩვენებოდათ მეტად აბსტრაქტულად და შორეულად რუსული სინამდვილიდან. როგორც ი. გ. ბლიუმინი აღნიშნავს, — „მოძღვრება (სმიტისა — ა. ა.) ღირებულების და ზედმეტი ღირებულების თეორიის ჩანასახის შესახებ, ბურჟუაზიული საზოგადოების ფიზიოლოგიაში მისი შეპრის ცდები შეუმჩნეველი რჩებოდა ეპოქის ყველაზე მოწინავე ადამიანებისათვის — დეკაბრისტებისათვისაც კი. რუსეთში არ არსებობდა საფუძველი მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის შეთვისებისათვის: არ იყო განვითარებული კაპიტალიზმი“.[1]

რიკარდოს თეორიული ნოვატორობა რუსეთში თითქმის სრულიად ვერ შეამჩნიეს და ვერ აღიქვეს, რამდენადაც იგი სწორედ თეორიის საკითხებს ეხებოდა. რიკარდოსადმი ინტერესი გააღვიძა მხოლოდ ჯ. სტ. მილის თარგმანმა, რომელიც შეასრულა ჩერნიშევსკიმ 1860 წ. და ნ. ი. ზიბერის შრომამ, რომელიც რიკარდოს იხილავდა უკვე მარქსის „კაპიტალის“ იდეებთან კავშირში (70-იანი წლები).

მოთხრობა ძმები ტურგენევების შესახებ

ასე ეწოდება საბჭოთა მწერლის ა. კ. ვინოგრადოვის 1932 წ. გამოქვეყნებულ პოპულარულ ისტორიულ რომანს. ვინოგრადოვმა რომანზე მუშაობის დროს გამოიყენა ტურგენევის დიდი არქივი, რომელიც XX ს-ის დასაწყისში მეცნიერებათა აკადემიას გადასცა საფრანგეთში მცხოვრებმა ნ. ი. ტურგენევის შვილმა პეტრე ნიკოლოზის ძემ (პერმა). ეს არქივი წარმოადგენს რუსული ლიტერატურის ნამდვილ საგანძურს, რომელსაც კარგად იცნობენ რუსეთის ისტორიის, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის და ლიტერატურის მკვლევრები. ტურგენევების ოჯახი ასი წლის განმავლობაში რუსეთისა და დასავლეთი ევ-

[1] И. Г. Блюмин. Очерки экономической мысли в России в первой половине XIX века. М.,-Л., 1940, стр. 58—59.

როპის ისტორიული მოვლენებისა და კულტურული ცხოვრების ცენ-ტრში იმყოფებოდა.

ნიკოლოზ ივანეს ძე ტურგენევი დაიბადა 1789 წ. სიმბირსკში ტურგენევები ეკუთვნოდნენ უძველეს, მაგრამ არცთუ ძალიან მდიდარ, აზნაურთა გვარს, მათი საგვარეულო მიწები სიმბირსკის გუბერნიაში იყო.

მომავალი დეკაბრისტის მამა — ივანე პეტრეს ძე ტურგენევი გა-მოჩენილი მოსკოველი მასონი, განმათავისუფლებელ და თავისუფლად მოაზროვნე ნოვიკოვის მეგობარი იყო, რომელთანაც ერთად იზიარებ-და მეფის გულისწყრომით გამოწვეულ სასჯელს ეკატერინეს მეფობის უკანასკნელ წლებში. ტურგენევების ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა ლიბერალიზმით, განათლებისა და მეცნიერების სიყვარულით.

პავლე I-ის დროს ტურგენევი-მამა გახდა მოსკოვის უნი-ვერსიტეტის დირექტორი. ნ. ი. ტურგენევმა ბავშვობა და სიჭაბუკე მოსკოვში გაატარა. ტურგენევებს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდათ და ყო-ველმა კვალი დაატყო რუსულ კულტურას. ადრე გარდაცვლილი უფ-როსი ძმა ანდრეი ნიჭიერი პოეტი, ახალგაზრდა რუსული რომანტიზმის იმედი იყო; ალექსანდრე ტურგენევი ყველაზე მეტად ცნობილი იყო, ალბათ, როგორც პუშკინის ახლო მეგობარი. 1811 წ. ტურგენევმა ბი-ჭი წაიყვანა ცარსკოე სელოს ლიცეუმში, ხოლო 1837 წ. პოეტის ცხე-დარი შიაცილა სვიატოგორსკის მონასტრის სასაფლაოზე. ის არც მე-ცნიერი იყო, არც მწერალი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები რუსეთის ისტორიაში, ხოლო მისი დღიურები და წე-რილები შესანიშნავია როგორც ეპოქის ძეგლი და როგორც ლიტერა-ტურული ნაწარმოები; მესამე შვილი ნიკოლოზი იყო; უმცროსი, სერ-გეი, ოჯახის გამორჩეული შვილი იყო. მას არაფერი არ გამოუქვეყნებია. მაგრამ მის ხელხაწერებში იგრძნობა ფართო თვალთახედვის მქონე გონიერი და პროგრესული ადამიანი. იგი დიპლომატი და პოლიტიკო-სი იყო და გრიბოედოვის მსგავსად, ახლოს იდგა დეკაბრისტებთან. მაგრამ პირდაპირ არ მონაწილეობდა დეკაბრისტულ მოძრაობაში. მამა-სა და შვილებს აკავშირებდათ გულთბილი მეგობრობა და დიდი სუ-ლიერი სიახლოვე. ტურგენევების ოჯახი წარმოადგენდა ცენტრს, რო-მლის ირგვლივაც იკრიბებოდნენ ჭკვიანი, განათლებული, ლიბერალუ-რი ადამიანები. გარდა პუშკინისა, უნდა დავასახელოთ მწერლები: ვ. ა. ჟუკოვსკი. პ. ა. ვიაზემსკი, პროფესორი ა. ი. კუნიცინი. დიდი მეგობ-რული ოჯახისა და ახლო მეგობრების მუდმივმა წრემ ძლიერი ზემო-ქმედება იქონია ნ. ი. ტურგენევის ხასიათზე.

1798 წლიდან 1806 წლამდე ნიკოლოზ ტურგენევი სწავლობდა უნივერსიტეტის კეთილშობილთა პანსიონში, რომელიც აერთიანებდა საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების თავისებურე-ბებს. სიჭაბუკეში თავისი ძალა პოეზიაშიც მოსინჯა, მაგრამ მალე

დარჩენილა ტალანტის უქონლობაში და შემდგომში მთელი ცხოვრების მანძილზე გარკვეული ანტიპათიით იყო მხატვრული ლიტერატურისადმი. უპირატესობას პოლიტიკურ და მეცნიერულ თხზულებებს აძლევდა. 1807—1818 წწ. იგი მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივში და თავისუფალ მსმენელად ესწრებოდა ლექციებს უნივერსიტეტში. დღიური, რომელსაც ტურგენევი პუნქტუალურად აწარმოებდა ადრეული სიჭაბუკიდან. საბაბს გვაძლევს დარწმუნებით ვთქვათ, რომ 18 წლის ასაკში მისი შემეცნება და ინტერესთა წრე უჩვეულოდ ფართო იყო. ბატონყმობისადმი სიძულვილი ჭაბუკის ერთ-ერთი პირველი შეგნებული რწმენა იყო.

სამი წლის მახლობლზე საზღვარგარეთ, ძირითადად, გეტინგენის უნივერსიტეტში (გერმანია) ყოფნა დაგვირგვინდა ტურგენევის ბრწყინვალე განათლებით. გეტინგენში ის სწავლობდა პროფესორ სატორიუსთან, რომელიც ადამ სმიტის ნიჭიერი ინტერპრეტატორი იყო. ტურგენევი დიდი შოტლანდიელის თაყვანისმცემელი და მიმდევარი გახდა და ჩეტისმეტად გაიტაცა პოლიტიკურმა ეკონომიამ. 1810 წელს მან დაწერა თავისი პირველი ეკონომიკური თხზულება: „მსჯელობა ბანკების შესახებ“. ხოლო 1811 წ. ეააკეთა მონახაზი მომავალი წიგნისა — „გადასახადების თეორიის ცდა“.

ფრანგების შემოსევამ ტურგენევს პეტერბურგის სამოქალაქო სამსახურში მოუსწრო. მთელ რუს ხალხთან ერთად ისიც განიცდიდა სამამულო ომის პატრიოტულ აღტყინებას, მაგრამ რუსეთში ერთ-ერთმა პირველთაგანმა იგრძნო ხალხის განთავისუფლების იმედის ამოღება. 1813 წლიდან 1816 წლამდე ტურგენევი კვლავ საზღვარგარეთ იმყოფება. ის იყო რუსეთის წარმომადგენელი ცენტრალურ მოკავშირეთა შორის ორგანოში, რომელიც მართავდა რუსი, ავსტრიული და პრუსიული ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიას. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ტურგენევმა თავი გამოავლინა როგორც უმაღლესი დონის საქმიანმა ჩინოვნიკმა და დაიმსახურა მეფის ყურადღება. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ალექსანდრე გარკვეულად წყალობდა მას, მაგრამ არ აძლევდა გასაქანს, რადგან კარგად იცნობდა ტურგენევის შეხედულებებს და მის მონაწილეობას საიდუმლო საზოგადოებაში.

ტურგენევი რუსეთში დაბრუნდა რეფორმის პროექტებით და მზად იყო ეცადოლა თავისი ანტიბატონყმური იდეების დასაცავად. ამ მიზნებისათვის იყენებდა თავის სამსახურებრივ პოსტებს სახელმწიფო საბჭოში და ფინანსთა სამინისტროში, სადაც იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აკეთებდა ყველაფერს სასამართლო და ადმინისტრაციული საქმეების უუფლებო და მივიწყებული ადამიანების, განსაკუთრებით ყმა-გლეხების სასარგებლოდ გადასაწყვეტად. იმ წლების რუსეთში უცოდინარი და ზარმაცი ჩინოვნიკების ფონზე ტურგენევის ნიჭი, უანგაროება, ეხერგია, საქმიანი შემართება განსაკუთრებულ საკვირველებად

გამოიყურებოდა. მას შეეძლო თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა მოუქხელი, მსხვილი, გავლენიანი ჩინოვნიკები, რომლებიც ფორმალურად მისი უფროსები იყვნენ, სინამდვილეში კი მისი ნების შემსრულებლებს წარმოადგენდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისი საქმიანობით მას არაფრის შეცვლა არ შეეძლო თვით სისტემაში და ამის გამო იტანჯებოდა. სასოწარკვეთილებასა და მელანქოლიაში ვარდებოდა. პესიმიზმისაკენ გარკვეული მიდრეკილება მისი ხასიათის დამახასიათებელი თვისება იყო.

მან ორლოვთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ საზოგადოება „არზამასში", რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მისი ძმა ალექსანდრე და ჟუკოვსკი. მაგრამ დარწმუნებულმა მათ აპოლიტიკურობასა და ბლეხთა საკითხისადმი უდიდეს გულგრილობაში, დაკარგა მისადმი ინტერესი. 1818 წ. ტურგენევმა გამოსცა წიგნი — „გადასახადების თეორიის ცდა", რომელიც გახდა პირველი ორიგინალური თხზულება პოლიტიკურ ეკონომიაში, დაწერილი „ბუნებრივი რუსის" (ასე გამოთქვა რეცენზენტმა) მიერ, და თანაც მაღალ პროფესიულ დონეზე. მრავალი წლის შემდეგ ტურგენევი წერდა: „ამ წიგნში მე ზოგადად დავახასიათე ეკონომიკურ მეცნიერებათა, და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის, შენწავლის კეთილმყოფელი შედეგები. მე ვცდილობდი დამესაბუთებინა, რომ როგორც ეკონომიკური და ფინანსური, ასევე პოლიტიკური თეორიებიც ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ემყარებიან თავისუფლების პრინციპს... ამიტომ ვიფარგლებოდი გადასახადების თეორიის გადმოცემით. მე ვუშვებდი მრავალ ექსკურსს უფრო ფართოდ პოლიტიკის დარგში. სულობრივმა ხარკმა მომცა შეძახვევა, მელაპარაკა ბატონყმობაზე. მაგრამ მე არ დავაყოვნე ამ შემთხვევის გამოყენება. ამ დამატებებს ჩემს თვალში ჰქონდათ გაცილებით მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ჩემი შრომის ძირითად სავანს, საძულველ მონობას რომ ვგმობდი, ამას მე ვაკეთებდი საკმაოდ გასაგებად და ძლიერი გამოთქმებით, და ჩემი აზრით, რუსულ ენაზე ჯერ კიდევ არასოდეს არ დაბეჭდილა ბატონყმობის შესახებ რაიმე ასე ნათლად და გარკვეულად."[1]

ავტორის ეს განცხადება ნაწილობრივ ხსნის ლიტერატურაში არსებულ კამათს „ცდის" ორიგინალობის ხარისხის შესახებ. გადასახადების საკითხის გადაცემის დროს ტურგენევი მრავალ ადგილას უახლოვდება სარტორიუსის ლექციებს, მაგრამ იფარგლებოდა მკაფიო სისტემატიზმითა და აუცილებელი დამუშავებით. მაგრამ, რა თქმა უნდა, გადასახადების პრობლემების ბატონყმობასთან რაიმე დაკავშირებაზე ლაპარაკი არ არის სარტორიუსთან. რუსული ეკონომიკური მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადების საკითხის

[1] Н. И. Тургенев, Россия и русские, т. I, М., 1915. стр. 70.

შესახებ ძლიერ მარჯვე, ცოცხალი ძალით სავსე გამოთქმებსაც. ამიტომ საეჭვოა, რომ სწორი იყოს ასეთი აზრი: „თუ ამრიგად, ამ წიგნს მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა უეჭველია“.[1] ტურგენევის მეცნიერული მნიშვნელობა, რომელიც გახუყოფელია საზოგადოებრივისაგან, ასევე მეტად არსებითია.

მომდევნო, 1819 წ. გამოქვეყნებული წიგნის მეორე გამოცემამ კიდევ უფრო გაზარდა ტურგენევის ავტორიტეტი იმ წრეებში, სადაც იზრდებოდნენ მომავალი დეკაბრისტები. ახალგაზრდა ოფიცრებს შორის მას პატივისცემით ზოგჯერ le grand Tourguneff (დიდ ტურგენევს) უწოდებდნენ. 1819 წ. იგი შევიდა „კეთილდღეობის კავშირში“ და მალე მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახდა. ტურგენევის მოღვაწეობა ფარულ საზოგადოებაში ექვემდებარებოდა იდეას, რომელიც იქცა მისი ცხოვრების მიზნად — ბატონყმობის მოსპობას.

ერთდროულად იგი ამ მიზნისათვის აგრძელებდა ბრძოლას ლეგალური საშუალებებითაც. მეფეს წარუდგინა წერილი, რომელშიც ფრთხილად ითვალისწინებდა ადრესატის ვინაობას და რომელშიც გაღმოცემული იყო „მონობის“ გაუქმების ფრთხილი და ეტაპობრივი პროგრამა, ეაანგარიშებული მრავალი წლისათვის. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებაში, რომელიც შექმნა ლიბერალური დიდებულების ჯგუფმა, რომლებიც შეთანხმებული იყვნენ გლეხობის პირადი განთავისუფლების ღონისძიებების აუცილებლობაში. ცდილობდა სახელმწიფო საბჭოზე გაეტანა კანონი გლეხობის უმიწოდ გაყიდვის აკრძალვის შესახებ. სცადა ჟურნალის შექმნა, რომელიც გახდებოდა ანტიბატონყმური პროპაგანდის ლიტერატურული ცენტრი. ყველგან მას წარუმატებლობა ელოდა.

დასავლეთ ევროპაში რევოლუციურ მოვლენებთან და რუსეთში არაკჩეევის რეაქციის გაძლიერებასთან ერთად ამ წარუმატებლობამ ტურგენევი დაარწმუნა იმაში, რომ თვითმპყრობელობისაგან რეფორმის მოლოდინი უსარგებლოა და უბიძგებდა მას საიდუმლო საზოგადოებისაკენ. მაგრამ სამხედრო აჯანყების მეთოდები, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მომავალ დეკაბრისტებს შორის, განსაკუთრებით „სამხრეთის საზოგადოებაში“, ორგანულად უცხო იყო ტურგენევისათვის. ის მაინც უწინარეს ყოვლისა ლიბერალურ პოლიტიკურ მოღვაწედ, რეფორმატორად, მეურნეობისა და კანონების მცოდნედ რჩებოდა და არა სამხედრო შეთქმულად. როგორც დეკაბრისტმა ობოლენსკიმ გამოძიებას უჩვენა, ტურგენევს 1823 წელს სთავაზობდნენ „ჩრდილოეთის საზოგადოების“ ერთ-ერთი დირექტორის პოსტს, მაგრამ მან უარი თქვა. უფრო მეტიც, სხვა ჩვენებების მიხედვით, 1824 წ. ტურგენევი გათვალისწინებული იყო „დროებითი მმართველობის“ (მთავრობის) შემადგენლობაში, რომლის შექმნაც ნავარაუდევი იყო სა-

[1] А. Н. Шебурин, М.И. Тургенев, М., 1925, стр. 54.

ხელმწიფო გადატრიალების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში[1]. დაბეჭდებიდან მიღებული ცხობების მიხედვით, ის როგორც თანამეგრძოლი ამხანაგებისათვის, ისე მთავრობისათვის მოძრაობის აღიარებული იდეური ხელმძღვანელი იყო. როცა 1824 წ. გაზაფხულსე პეტერბურგიდან პეტერბურგს ჩამოვიდა საზოგადოებათა გაერთიანების პროექტითა და თავისი აგრარული იდეებით, ის უპირველეს ყოვლისა შეეცადა (წარუმატებლად) ტურგენევის თავის მხარეზე გადაბირებას.

1824 წ. აპრილში ტურგენევმა მიიღო ხანგრძლივი შვებულება და მასთან ერთად სამოქალაქო საქმეების „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" (სამოქალაქო გენერლის) ჩინი, სოლიდური ფულადი „პრემია" და საზღვარგარეთ გაეძგზავრა „გამოსაკანმრთელებლად". პირველი ცნობები დეკემბრის აკანყების შესახებ მან შეიტყო პარიზში, სადაც თავის ძმასთან — ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა. ტურგენევი ახორციელებდა წინასწარ დასახულ გეგმას, იგი გაემგზავრა ინგლისში, სადაც სწავლობდა ამ ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ დაწესებულებებს. მისი დღიურები და წერილები გვიჩვენებენ, რომ პირველ თვეებში მას ცუდად ესმოდა რუსეთში მომხდარი ამბების აზრი და მასშტაბები. მისთვის მოულოდნელი და დიდად თავზარდამცემი იყო, როცა მასთან გამოცხადდა რუსეთის საელჩოს მდივანი და გააცნო მთავრობის მოწერილობა მისი პეტერბურგში სასამართლოზე გამოცხადების შესახებ. ტურგენევმა გამგზავრებაზე უარი განაცხადა ცუდი ჯანმრთელობის მიზეზით და აგრეთვე იმის გამო, რომ ის განმარტებას წერილობით წარადგენდა.

ტურგენევის განმარტებამ ნიკოლოზ I-სა და საგამოძიებო კომისიის წევრებში მძვინვარება გამოიწვია: ის ამტკიცებდა, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა არავითარ საქმიანობაში მთავრობის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ის მათ თვალში იყო ერთ-ერთი ყველაზე საშიში შეთქმულთაგანი. პეტერბურგის მთავრობა ლონდონისაგან მოითხოვდა სახელმწიფო დამნაშავის გადაცემას. გავრცელდა ხმები, თითქოს ტურგენევი შეიპყრეს და რუსეთში ჩამოიყვანეს საიდუმლო აგენტის მეშვეობით. დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში რუსეთის საელჩოებმა ძიელეს მიწერილობა მისი დაპატიმრებისა და გადაცემის მოთხოვნის თაობაზე, მისი ამ ქვეყანაში გაჩერების შემთხვევაში. უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ტურგენევი მიაკუთვნეს პირველი თანრიგის დამნაშავეებს და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. მეფემ მას, ისევე როგორც ყველა ამ თანრიგის დამნაშავეს, სიკვდილით დასჯა მუდმივი კატორღით შეუცვალა.

ტურგენევების ოჯახი საშინლად დაზარალდა. ალექსანდრე იძუ-

[1] В. И. Семевский, Политические и общественные идеи декабристов, СПб, 1909, стр. 492—494.

ლებული იყო თავი დაენებებინა სამსახურისათვის და კარიერაზე ფიქრისათვის. სერგეი ეკვმიტანილი იყო თანამონაწილეობაში და გამოიწვიეს პეტერბურგში იტალიიდან, სადაც ის დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა. თუმცა გამოძახება გააუქმეს, მაგრამ მან მაინც დაკარგა თანამდებობა. მალე სულიერად დაავადდა და 1827 წ. გარდაიცვალა. ჟუკოვსკი, რომელიც ტახტის მემკვიდრის (მომავალი ალექსანდრე II-ის) აღმზრდელი იყო და აგრეთვე გავლენიანი სხვა მეგობრები შეეცადნენ ნიკოლოზ I-საგან პატიება გამოეთხოვათ ნ. ი. ტურგენევისათვის. ეს წარუმატებელი გარჯილობა ექვსი წელი გრძელდებოდა. მეფეს, რომელიც ერთხელ ყველა ფილოსოფოსს ჭლექით დალპობით დაემუქრა, სძულდა მეამბოხე, თავისუფლად მოაზროვნე, ამაყი ტურგენევი. როცა ერთხელ ჟუკოვსკიმ მეფეს უთხრა, რომ იგი თავდებად უდგება ტურგენევის კეთილსაიმედოობას, მან მახრჩობელა გველის ირონიით ჰკითხა ძას: „თვით შენ ვინ დაგიდგება თავდებადო“?

ალექსანდრე ტურგენევი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (იგი გარდაიცვალა 1845 წ.) იყო ძმის ახლო მეგობარი და დასაყრდენი. ძმების უდიდესი მიმოწერა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივაა გამოცემული, წარმოადგენს 20—40-იანი წლების რუსეთისა და დასავლეთი ევროპის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს.

ტურგენევის გამამართლებელი წერილები, რომელსაც იგი წერდა მეფეს, უცნობი იყო XX ს-ის დამდეგამდე, მაგრამ მან მათი ძირითადი შინაარსი გადმოსცა თავის წიგნში — „რუსეთი და რუსები“, რომელიც 1847 წ. ფრანგულ ენაზე გამოიცა. რუსეთში იგი პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ 1906 წ. ტურგენევის მიერ დეკაბრისტული მოძრაობისა და მასში მისი როლის შესახებ მსჯელობამ გამოიწვია მკვეთრი კრიტიკა დეკაბრისტების მხრივ, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ტურგენევმა მ თ ე ლ ი მოძრაობა გამოხატა როგორც „მოზრდილ ცელქთა თავის შექცევა“ (პუშკინმა ასე უწოდა ადრინდელ პეტერბურგელ თავადაზნაურ-ფრონდიორთა შეკრებას), უარყოფდა თვით საიდუმლო საზოგადოებათა არსებობასაც კი 1821 წ. შემდეგ და მათ როლს დეკემბრის აჯანყებაში. ის მოითხოვდა, მის მოღვაწეობას როგორც პატრიოტისა, განმანათლებლისა, რეფორმატორისა, მიდგომოდნენ დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოების კანონების საზომით. მეფის რუსეთის პირობებში, სულ მცირე, ეს გულუბრყვილობა იყო. მისი წერილები და წიგნის თავები უფრო დახელოვნებული ადვოკატის სიტყვას ჰგავს, ვიდრე მომწიფებულ პოლიტიკურ გამოსვლას. დეკაბრიზმის რაინდი სერგეი ვოლკონსკი ტაუ ლად კი არ წუხდა იმაზე, რომ მხოლოდ შემთხვევამ მოაწყო ისე, რომ აჯანყების მომენტში საზღვარგარეთ აღმოჩნდა ტურგენევი და არა პესტელი, რომელსაც ასევე გამიზნული ჰქონდა ევროპაში მოგზაურობა: „ის ცოცხალი დარჩებოდა და ევროპის თვალში ჩვენი სა-

ქმის სხვაგვარი ისტორიკოსი იქნებოდა, ვიდრე ნიკოლოზ ტურგენევი".[1]

შესაძლებელია ეს ასეცაა. მაგრამ ტურგენევის დამსახურება რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩვენთვის შეუდარებლად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სისუსტე. ამ სისუსტეს არ შეუძლია ჩრდილი მიაყენოს მის პირად პატიოსნებას. ის მიუთითებს მხოლოდ, სხვადასხვა ადამიანი თუ როგორ სხვადასხვაგვარად უყურებს ერთსა და იმავე მოვლენას.

ბრძნულად ჟღერს მისი სიტყვები დეკაბრისტების გმირობის ისტორიული შეფასების შესახებ: „თუ ჩვენ ახლა ვისურვებდით შეეჭრილიყავით მომავლის საიდუმლოებაში და წინასწარ გამოგვეცნო შთამომავალთა მსჯელობა იმ დრამის შესახებ, რომელიც გაიშალა ჩვენი თანამედროვეების თვალწინ, ...მაშინ წინასწარმეტყველების გარეშე შეიძლება ადრევე ითქვას, რომ ეს მსჯელობა არ იქნება მსგავსი იმისა, რაც ითქვა ჩვენს დღეებში. შთამომავლობის წინაშე წარდგება დიადი მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამ დრამის მონაწილენი, უანგარო ძალგანწირვა და თავდადებული ერთგულება მათი, ვინც ამ მიზნისაკენ მიისწრაფოდა. თუ ამ სურათზე რაღაც ჩრდილი მაინც გაიელვებს, ის მაინც გაქრება იმ დროს წამოწყებული საქმის სიდიადის წინაშე, გაღებული მსხვერპლის ბრწყინვალების წინაშე, და ასი წლის შემდეგ წამებულთა ქანდაკების კვარცხლბეკი ეშაფოტი იქნება".[2]

პოლიტიკური დევნილი

ლენინგრადში, პუშკინის სახლში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში) დიდი სულიერი მღელვარებით ეათვალიერებ დოკუმენტებს ტურგენევის არქივიდან. ადვილი შესაძლებელია, რომ იგი ჩემამდე არავის აუღია ხელში! ის ფრანგულადაა 5 ორმაგ ფურცელზე, წვრილი, ჯერ მკაფიო, შემდეგ კი სულ უფრო ნაკლებად გასარჩევი კალიგრაფიით დაწერილი ნიკოლოზ ივანეს ძე ტურგენევის მიერ.

„27 თებერვალი 1850 წ. ჩემი ბავშვები ვერ ნახავენ, და, ალბათ ვერ იცნობენ რუსეთს. ალბათ ისინი ვერ ისწავლიან ლაპარაკს რუსულად. მათ არ ექნებათ შემთხვევა, და მე ვფიქრობ, არ დაიწყებენ მის ძებნას, რათა შეიცნონ რუსები და მით უმეტეს რუსეთი..."

ასე იწყებდა ტურგენევი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს, რომელშიც თავისი შვილებისათვის უნდა მოეთხრო ტურგენევების შთამომავლობის — თავისი მამის, ივანე პეტრეს ძის, განსვენებულ ძმების შესახებ... განსაცვიფრებლად ნაღვლიანი სიტყვებია... საგულისხმოა თარიღი: ნიკოლოზ I-ის რეჟიმი რუსეთში არასოდეს ასეთი მყარი, და

[1] С. Г. Волконский, Записки, СПб, 1902, стр. 418.
[2] Н. И. Тургенев, Россия и русские, т. I, М., 1915, стр. 302.

თვით ასეთი მარადიული არ ჩანდა, როგორც 1848—1849 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდგომ წლებში, რომლის დათრგუნვაში ცარიზმმა შეასრულა ევროპის ჟანდარმის როლი. ტურგენევი სამშობლოს ოდესმე ნახვის იმედს კარგავდა.

დევნილობის პირველი წლები ტურგენევმა ინგლისში გაატარა — ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას ეს ქვეყანა მოსწონდა, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ მას იქ ნაკლებ მოელოდა საფრთხე. თანდათან კარგავდა გამართლებისა და რუსეთში დაბრუნების იმედს. მან დაიწყო ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების სერიოზული შესწავლა, გაეცნო ლიბერალურ ფილოსოფოსებს და პოლიტიკოსებს. როგორც გვიჩვენა ვ. მ. ტარასოვამ, რომელმაც პირველმა დეტალურად გამოიკვლია ტურგენევის ამ წლების მოღვაწეობა, ივი არა მარტო აღფრთოვანებული იყო ინგლისური წესრიგით, არამედ ხედავდა ამ ყველაზე მომწიფებული ბურჟუაზიული საზოგადოების წყლულებსაც[1].

1830 წლის რევოლუციამ მას საფრანგეთში დასახლების შესაძლებლობა მისცა. 1831 წ. შემოდგომაზე იგი ჩავიდა პარიზში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ცხოვრობდა იქ. მატერიალურ საშუალებას და არც თუ მცირეს, მას აძლევდა ძმა რუსეთში მათი მამულების შემოსავლების ანგარიშზე. 1833 წ. ტურგენევი დაქორწინდა ფრანგულ-იტალიურ ოჯახში გაზრდილ ქალიშვილზე. ჰყავდა ოთხი შვილი. ბედნიერი იყო ოჯახურ ცხოვრებაში. გარეგნულად ეს იყო შეძლებული ფრანგი რანტიეს ცხოვრება, რომელიც პარიზში ფლობდა ბინას და ბუჟევალში — სახლს. თანდათანობით ტურგენევის პოლიტიკური შეხედულებები უფრო და უფრო ზომიერ-ლიბერალური ხდებოდა. ის ძალიან ადვილად შეეგუა რეაქციის გამარჯვებას და ნაპოლეონ III-ის გაბეფებას.

მაგრამ „მოხუცმა ტურგენევმა“, როგორც მას გერცენი უწოდებდა, შეინარჩუნა თავისი ცხოვრების მთავარი მიზანი, მთავარი იდეალი — რუსი გლეხობის განთავისუფლება. 1855 წ. ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ, აქტიურად ჩაება პოლემიკაში ბატონყმობის პირობების გაუქმების შესახებ და, რა თქმა უნდა, ტურგენევი სრულებითაც არ იდგა მოძრაობის მარცხენა ფლანგზე. 1860 წ. ისევე როგორც ახალგაზრდობისას არ იყო გლეხობის უმიწოდ განთავისუფლების, ბატონყმურ-მემამულური მეურნეობის, პერსპექტივაში სოფლის, შუშების დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ, კაპიტალისტურად სწრაფად გადაქცევის წინააღმდეგი. ტურგენევი იყო როგორც სოფლად ფეოდალური ურთიერთობების ნაშთების, ასევე თემური წყობილების

[1] В. М. Тарасова, В. И. Тургенев в Западной Европе в 30—50 г. XIX века и его общественно-политические связи. Марийский государственный педагогический институт им. Н. К. Крупской. Ученые записки, т. XXVIII, Йошкар-Ола, 1966.

გადმონაშთების შენარჩუნების წინააღმდეგი. საკუთრებისაგან თავისუფალი გლეხის სოფლის პროლეტარად გადაქცევა მას განვითარების საუკეთესო გზად ეჩვენებოდა. იგი ასევე მიწების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის, თავისუფალი იჯარის და დაქირავების მომხრე იყო. ახალგაზრდობაში მის მიერ შეთვისებული laissez faire კეთილისმყოფელი იდეა ამ წლებშიც ტურგენევის აზროვნების საფუძველს შეადგენდა. კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარების მანკიერებას და წინააღმდეგობებს იგი სათანადოდ ვერ აფასებდა, ხოლო სოციალიზმის იდეები, ნებისმიერი ფორმით, მისთვის უცხო იყო.

ტურგენევი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა 1861 წლის რეფორმას. თუმცა მაინც აკრიტიკებდა მას თავისი ლიბერალურ-ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან. ეს უკვე იყო იმ ბრძოლის დასრულება, რომელსაც იგი ნახევარი საუკუნე ეწეოდა. ტურგენევი გლეხობის გახთავისუფლებისათვის ბრძოლის პატრიარქი იყო და ამას აღიარებდნენ იმდროინდელი რუსეთის საუკეთესო ადამიანები. გერცენი და ოგარიოვი, რევოლუციური ემიგრანტები და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლნი 1861 წ. 28 მარტს მას სწერდნენ:

„მოწყალეო ხელმწიფე ნიკოლოზ ივანეს ძე! თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დაიწყო ლაპარაკი რუსი ხალხის განთავისუფლების შესახებ; თქვენ, ახლახან, გულაჩუყებულმა ცრემლიანი თვალებით იხილეთ ამ განთავისუფლების პირველი დღე. ნება მოგვეცით, ჩვენ, თქვენი „კავშირის“ აღზრდილებს, ძმური, ან უკეთესი, შვილური სიყვარულით მთელი გულით მოგილოცოთ, ჩამოგართვათ ხელი და მხურვალე გრძნობებით მოგეხვიოთ. გთხოვთ, ასევე, მისალმება გადასცეთ თავად ვოლკონსკის. ჩვენ ეს სტრიქონები ცხოველი გრძნობიერებით დავწერეთ და ხელს ვაწერთ იმ რელიგიური ერთგულებით, რომელიც ჩვენ მთელი სიცოცხლის მანძილზე შევინარჩუნეთ რუსული თავისუფლების უფროსი მოღვაწეებისადმი. ალექსანდრე გერცენი. ნიკოლოზ ოგარიოვი“.[1]

საგლეხო რეფორმის წინა და მომდევნო წლებში ტურგენევი გერცენის „კოლოკოლ“-ში თანამშრომლობდა და მიმოწერა ჰქონდა მასთან და ოგარიოვთან. ისინი კარგი ნაცნობები იყვნენ და პარიზში ყოფნის დროს გერცენი აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე ტურგენევის სტუმართმოყვარე ოჯახს.

1856 წ. ალექსანდრე II-მ ტურგენევი შეიწყალა, დაუბრუნა აზნაურობა და ჩინები, ნება დართო ეცხოვრა რუსეთში, „სადაც მოისურვებდა, გარდა დედაქალაქებისა, და ზედამხედველობის ქვეშ“[2] მომდევნო წელს ტურგენევი უფროს ვაჟიშვილთან ერთად დაბრუნდა რუ-

---

[1] А. И. Герцен, Собр. соч., т. XXVII, книга I, М. 1963, стр. 143.
[2] Помилование Н. И. Тургенева, П. Е. Щеголев, Декабристы, Очерки, II г. 1920, стр. 95.

ხეთში, რომელიც მას 32 წელი არ ენახა. ამის შემდეგ იგი სამშობლოში კიდევ ორჯერ ჩამოვიდა, მაგრამ საცხოვრებლად არ დარჩა. მას ახლა ერთობ ბევრი რამ აშორებდა რუსეთისაგან. როგორი ილუზიებიც არ უნდა ჰქონოდა ახალ მეფობაზე, იგი, რასაკვირველია, ხედავდა, რომ ცარიზმი ცარიზმად რჩებოდა. ჟანდარმებისათვის ის ძველებურად იყო უმაღლესი დონის საეჭვო ადამიანი, შესაძლებელია დეკაბრისტებზე უფრო საეჭვოც, რომლებიც ციმბირიდან დაბრუნდნენ: ხელისუფალნი მას ყოველთვის თვლიდნენ საერთო-ევროპულ ანტიმონარქიული შეთქმულების მონაწილედ. სულ რამდენიმე წლის წინ ჟანდარმერიის შეფი ა. ფ. ორლოვი (ბედის ირონიით, ტურგენევის უახლოესი შეგობრის — დეკაბრისტის მიხეილ ორლოვის ძმა) სთხოვდა შინავან საქმეთა მინისტრს, მიეღო ყველაზე გადამჭრელი ზომები ტურგენევის წიგნის — „რუსეთი და რუსები"[1] — რუსეთში საიდუმლოდ შემოტანილი ეგზემპლარების წინააღმდეგ. 1857 წ. ჟანდარმების ახალი შეფი შეეკითხა მინისტრს, ხომ არ დაეწესებინათ საიდუმლო მეთვალყურეობა პეტერბურგში ჩამოსული ტურგენევის მიმართ[2].

ჟანდარმებს შეეძლოთ გაეხსენებინათ არა მარტო ტურგენევის აღნიშნული წიგნი, არა მარტო გერცენთან და ოგარიოვთან ურთიერთობა. ტურგენევის სახლში იკრიბებოდნენ აგრეთვე სხვა რუსი ემიგრანტებიც და პოლიციის შეხედულებებით არაკეთილსაიმედო ადამიანები. მას ჰყავდა მეგობრები პოლონელ ემიგრანტთა შორის. როგორც თანამედროვე იტალიელი მკვლევარი აღნიშნავს, ტურგენევს კავშირი ჰქონდა „დასავლეთი ევროპის ყველა ლიბერალურ და დემოკრატიულ წრეებთან". ფართო მასალა ამ კავშირის შესახებ მოტანილია ვ. მ. ტარასოვას ზემოხსენებულ ნაშრომში, რომლის მიხედვითაც ციტირებულია მოცემული სტრიქონები. ტურგენევების სახლში თავშესაფარს აძლევდნენ ადამიანებს — იტალიელებს, პოლონელებს, ესპანელებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

გონებაგახსნილი და სტუმართმოყვარე — ასე შეიძლებოდა გვეთქვა პარიზში მცხოვრები ტურგენევის შესახებ. სხვადასხვა მიმართულების ფრანგი სოციალისტები ხშირად საუბრობდნენ მასთან. მოუსმინა რა თავგამოდებულ სენ-სიმონისტს, რომელიც წინასწარმეტყველებდა სოციალურ-რელიგიურ რევოლუციას, ტურგენევმა უპასუხა მას, რომ ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მათი სექტის და საერთოდ ფრანგების მთავარი მანკი პოლიტიკური ეკონომიის უცოდინრობაა[3]. ძმისადმი

---

[1] М. А. Ломка, Николаевские жандармы и литература 1826—55 гг., СПб, 1908. стр. 173.
[2] П. Е. Щеголев. Указ. соч. стр. 96.
[3] В. М. Тарасова, указ. соч., стр. 129.

მიწერილ სხვა წერილში არანაკლებ სერიოზულ შენიშვნას იძლევა: „მე ერთი მწამს, რომ თუ მსჯელობა არ ემყარება პოლიტიკურ ეკონომიას, ე. ი. ადამიანთა მატერიალურ ყოფას, შეუძლებელია საღი მოსაზრებით მიხვიდე მათი ზნეობრივი მდგომარეობის განსჯამდე".[1]

პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს ტურგენევი თავის გამოქვეყნებულ თხზულებებში ეხებოდა მხოლოდ აგრარულ პრობლემებთან და საკლეხო რეფორმასთან დაკავშირებით რუსეთში. პრაქტიკულად მას მეტი არაფერი გამოუქვეყნებია. მაგრამ ტურგენევის ჯერ კიდევ ხაკლებად შესწავლილ ხელნაწერთა მემკვიდრეობა შეიცავს ბევრ თხზულებას და შენიშვნას ეკონომიკურ საკითხებზე და მეტყველებს მათზე მის ღრმა მუშაობას. ტურგენევი ერთ-ერთი უძველესი წევრი იყო პოლიტიკური ეკონომიის საზოგადოებისა პარიზში და აქტიურად მონაწილეობდა მის კრებებზე.

ტურგენევის ცხოვრებაში უკანასკნელი მძიმე ვამოცდა იყო 1870 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომი და 1871 წ. საფრანგეთში მომხდარი ამბები. ის უკვე 80 წელზე მეტი ხნისა იყო. ტურგენევების ოჯახი ინგლისში გაემგზავრა, ხოლო ბუჟევალის ვილაში პრუსიელები პარპაშობდნენ. კინაღამ არ განადგურდა ფასდაუდებელი არქივი: ამ დამატებითი „ემიგრაციიდან" დაბრუნებულმა ოჯახის პატრონებმა ზოგიერთი დოკუმენტი ბაღში მიმოფანტული ნახეს. 1871 წ. შემოდგომაზე ნიკოლოზ ივანეს ძე ტურგენევი უცაბედად და უწვალებლად გარდაიცვალა: სიკვდილამდე ორი დღით ადრე მან ჩვეულებისამებრ ცხენით ისეირნა, ხოლო ერთი საათით ადრე კითხულობდა სამარინის წიგნს — „რუსეთის განაპირა მხარეები".

ტურგენევების ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო მისი მოგვარე და, შესაძლებელია, შორეული ნათესავიც, მსოფლიოში ცნობილი რუსი მწერალი — ივანე სერგის ძე ტურგენევი. მან სტატია-ნეკროლოგში ოსტატურად გადმოსცა მიცვალებულის სურათი და საქმიანობის ანალიზი. ის წერდა: „რა თქმა უნდა, ვერც ერთი მომავალი რუსი ისტორიკოსი, როდესაც ისინი შეეხებიან XIX საუკუნეში ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების თანამიმდევრულ ფაზისებს, დუმილით ვერ აუვლიან გვერდს ნიკოლოზ ივანეს ძე ტურგენევს".[2]

გადასახადები

გადასახადების პრობლემას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პოლიტიკურ ეკონომიაში. მას დიდ ყურადღებას აქცევდა ადამ სმიტი. რიკარდოს წიგნი პირდაპირ ასე იყო დასათაურებული: „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები". მარქსმა მოგვ-

---

1 В. М. Тарасова, указ. соч., стр. 129.
2 И. С. Тургенев, Полн. собр. соч. и писем, т. 14, М., 1967, стр. 214.

ცა კლასიკური ფორმულა: „გადასახადებშია განსახიერებული ეკონომიკურად გამოხატული სახელმწიფოს არსებობა“.[1]

რადგანაც სახელმწიფოს ფუნქციები ფართოვდება, თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება აგრეთვე გადასახადების ეკონომიკური მნიშვნელობაც. ამჟამად კაპიტალის მთავარ ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის 30—40% ამოიღება სახელმწიფოს მიერ გადასახადების ფორმით და იხარჯება სამხედრო და სამოქალაქო საჭიროებისათვის. დასავლეთში გადასახადი თანამედროვე ადამიანის კოშმარად იქცა. საგადასახადო კანონმდებლობა ისეა არეულ-დარეული, რომ უბრალო ადამიანებს არ შეუძლიათ მათი გაგება. მრავალი ადვოკატი და ფინანსური მრჩეველი ცხოვრობს იმით, რომ მდიდრებს აძლევენ რჩევას, თუ როგორ აარიდონ თავი გადასახადებს. ჩვეულებრივად გადასახადების შესახებ წერენ მძიმედ და მოსაწყენად. მაგრამ არის გამონაკლისიც, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი სოციოლოგისა და სატირიკოსის პარკინსონის[2] პამფლეტი. ავტორი მკაცრად აფრთხილებს სახელმწიფო მოღვაწეებს, რომ „გადასახადებიდან შემოსავალს აქვს საზღვარი, და მის დავიწყებას შეიძლება მოჰყვეს უბედურება“[3].

ამ ფრაზისათვის თამამად შეეძლო ხელი მოეწერა ნიკოლოზ ტურგენევს. იგი წერდა: სახელმწიფოს სიბრძნე იმაში კი არ არის, რომ მოსახლეობისაგან გადასახადებით მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი, არამედ იმაში, რომ ისინი რაც შეიძლება ნაკლებად დამამძიმებელი იყოს ხალხისათვის.

პოლიტიკურ ეკონომიაში ტურგენევი იყო რუსი სმიტელი, რის შესახებ იგი აშკარად და გაბედულად აცხადებდა: „წესი, როგორც პოლიტიკისა[4] საერთოდ, ისე სახალხო მეურნეობისა და ფინანსებისა განსაკუთრებით, მოხაზულია და დამტკიცებული უკვდავი ადამ სმიტისა და მისი მიმდევრების მიერ“[5]. ბუნებრივია, რომ მთელ თავის გამოკვლევას საფუძვლად უდებს საგადასახადო დაბეგვრის სმიტის მიერ დადგენილ ცნობილ პრინციპებს, რომელნიც ამ დროს უკვე კლასიკად იყვნენ ქცეულნი. ეს პრინციპები შემდეგია: 1. გადასახადები უნდა აიკრიფოს ყველა მოქალაქისაგან მისი შემოსავლების ზომის შესაბამისად; 2. გადასახადების გადახდის სიდიდე და პირობები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული გადამხდელისათვის ცნობილი და დამოუკიდებელი ამკრეფის ხელისუფლებისაგან; 3. გადასახადი უნდა აიკრიფოს გადამხდელისათვის ხელსაყრელ დროს; 4. გადასახადის გადახდევინების ხარჯები უნდა იყოს მინიმალური.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 308.

[2] სათაურით „კანონი და მანკიერებანი“ გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე წიგნში: С. Норткот Паркинсон. Закон Паркинсона и другие памфлеты, М., 1976.

[3] მითითებული ოხზულება, გვ. 93.

[4] სხვა ადგილას ტურგენევი პოლიტიკას განსაზღვრავს როგორც „მეცნიერებას სახელმწიფოს წარმოქმნისა და მართვის შესახებ“.

[5] Н. И. Тургенев, Опыт теории налогов, СПб, 1819, стр. 15.

მაგრამ ტურგენევი უბრალოდ არ გადმოსცემს სმიტს, ის ყურადღებას ამახვილებს ამ პრინციპებზე, მოყავს ისტორიული მაგალითები და საკმაოდ ნათლად მიანიშნებს საქმის მდგომარეობაზე რუსეთში. როცა ის ამბობს, რომ პირველი პრინციპი უხეშად ირღვეოდა რეოლუციამდელ საფრანგეთში, სადაც სამღვდელოება და თავადაზნაურობა სულაც არ იხდიდა გადასახადებს, და თითქმის ყველა გადასახადს მთლიანად იხდიდა ღატაკი გლეხობა, მკითხველისათვის ნათელია, რომ რუსეთში ამ დარღვევას კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ხასიათი ჰქონდა. ტურგენევი წერს ასევე, რომ „მთავრობა მოვალეა ეცადოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავიდან ააცილოს გადასახადების სიმძიმე მშრომელ ხალხს".[1] ასე უჩვეულოდ გაბედულად ჟღერს რუსეთისათვის ასეთი სიტყვებიც: „მრავალ სახელმწიფოში გადასახადების შემოღება შეთანხმებულია ხალხის წარმომაღგენლებთან. იქ ამ შეთანხმების სარგებლობა საგრძნობია არა მარტო ხალხისათვის, არამედ მთავრობისათვისაც".[2] რუსეთში ხალხის არავითარი წარმომადგენლობის შესახებ ლაპარაკიც არ იყო, გადასახადებს კი მთავრობა თვითნებურად აწესებდა.

ტურგენევის გადასახადების თეორია საერთოდ მთლიანად ექვემდებარება თავის საერთო ეკონომიკურ შეხედულებებს, რომელიც ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებს. გადასახადები გარდუვალია, წერს იგი, მაგრამ მათ არ უნდა შეავიწროვონ ეკონომიკური თავისუფლება და არ უნდა აბრკოლებდნენ კაპიტალის დაგროვებისა და ნაყოფიერი შრომის მასის ზრდას. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ტურგენევი სმიტის ნამდვილი მიმდევარი და რიკარდოს ღირსეული თანამედროვეა.

ტურგენევი ცდილობს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრინციპებზე და არა ზედაპირულ ფორმებზე დამყარებული გადასახადების კლასიფიცირებას. ის მათ აჯგუფებს შემოსავლის წყაროების მიხედვით: მიწიდან, კაპიტალიდან და შრომიდან; დასძენს, რომ ზოგიერთ გადასახადს იხდის შემოსავლის სამივე წყარო. გადასახადების ჩვეულებრივ დაყოფას პირდაპირად (რომელსაც იხდიან უშუალოდ დაბეგრილი პირები) და არაპირდაპირად (ფასების საშუალებით გადაკისრებულ მომხმარებლებზე — საბოლოო გადამხდელზე) ასევე იზიარებს ის, მაგრამ ამ დაყოფას იგი უმორჩილებს თავის, უფრო ღრმა, კლასიფიკაციას.

ტურგენევს სურდა, რომ მიწიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის ძირითადი ფორმა ყოფილიყო მყარი, უცვლელი გარკვეულ პერიოდში, გადასახადი, რომელიც შემოსავლის ზრდასთან ერთად მაშინვე სწრაფად არ გაიზრდება და ამით სტიმულს მისცემს ახალი კაპიტალების დაბანდებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტულობის

---

[1] Н. И. Тургенев. Опыт теории налогов. стр. 27.
[2] იქვე, გვ. 10.

ამაღლებას. მსგავს სისტემაში ის ხედავდა ინგლისის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სწრაფი ზრდის მიზეზს.

კაპიტალიდან შემოსავალზე (მოგებაზე) გადასახადის შესახებ ტურგენევი ამბობდა, რომ მაღალი კონიუნქტურის (ქვეყნის „წარმატებული მდგომარეობის") დროს კაპიტალისტებს შეუძლიათ საქონელზე ფასების საშუალებით გადააკისრონ ის მომხმარებელს. დაბალი კონიუნქტურის დროს კი იძულებული არიან, გადასახადები გადაიხადონ თვით კაპიტალისტებმა და ეს ამცირებს მათ წარმოებრივ სტიმულს. მეწარმეზე ასევე უარყოფითად მოქმედებს გადასახადები, რომლითაც იბეგრება არა შემოსავალი, არამედ „თვით კაპიტალი" (ბაჟები, რომელსაც იხდიან საწარმოების ყიდვა-გაყიდვაში, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში, გადასახადები მემკვიდრეობისათვის და ა. შ.).

ტურგენევი გამოთქვამს სურვილს, რომ დაქირავებული მუშების ხელფასი საერთოდ არ იბეგრებოდეს გადასახადით. ასეთი გადასახადი არ ამცირებს რეალურ ხელფასს მხოლოდ „წარმატებული მდგომარეობის" პირობებში, როცა მაღალია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და მუშებს შეუძლიათ მიაღწიონ ფულად ხელფასში გადასახადის „ჩართვას". სხვა დანარჩენ პირობებში გადასახადი „დაჩაგრავს ამ უბედურ კლასს", მოსწყვეტს სასიცოცხლო მინიმუმს, ხელს შეუწყობს ღარიბების ფიზიკურ დაღუპვას ან ემიგრაციას. ამავე მიზეზების გამო ტურგენევი წინააღმდეგია პირველი აუცილებლობის საგნების აქციზებით (არაპირდაპირი გადასახადები) დაბეგვრისა: თუ მუშები ვერ შეძლებენ ხელფასით აანაზღაურონ ასეთი საგნების გაძვირება, მათ ელით მეტად მძიმე გაჭირვება.

აქციზები პირველი აუცილებლობის საგნებზე სოციალურად უსამართლოა, არ შეესაბამება სმიტის პირველ პრინციპს: მაგალითად, აქციზი მარილზე ნაკლებად შესამჩნევია მდიდარი ადამიანისათვის, მაგრამ შეიძლება მძიმე ტვირთი იყოს ღარიბისათვის. ახსენებს საფრანგეთს და ალბათ მხედველობაში ჰქონდა რუსეთი, როცა ტურგენევი წერდა: „შეუძლებელია მწარე შეგრძნების გარეშე უყუროთ ღარიბ მოსახლეობას, რომელსაც მთავრობა უკანასკნელ კაპიკს ართმევს, და ეს იმისათვის, რომ ის სარგებლობს ბუნების მიერ უდიდესი სიუხვით ბოძებული ნაწარმოებით, რაც აუცილებელია ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის, იმ სიცოცხლისათვის, რომელიც შეიძლება მისთვის არც ისე საჭიროა, როგორც თვით მთავრობისათვის".[1]

რუსეთში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ყველა გადასახადის ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე იხდიდნენ გლეხები, ან ნახევრადგლეხური მშრომელი ფენები[2]. არაპირდაპირი გადასახადები სახელმ-

[1] Н. И. Тургенев, Опыт теории налогов, стр. 208.
[2] ის. ციფრობრივი მონაცემები წიგნში: П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, стр. 456.

წიფო შემოსავლების 40%-ზე მეტს იძლეოდნენ. დაბეგვრის ძირითადი ობიექტი სპირტიანი სასმელები იყო (1816 წ. ხაზინის მთელი შემოსავლების თითქმის მესამედს შეადგენდა „მოსაკრებლები სასმელებზე"), მას მოსდევდა მარილი[1]. საკითხი გადასახადების შესახებ პირველ რიგში „გლეხობის" საკითხი იყო და მჭიდროდ უკავშირდებოდა ბატონყმობას.

„გადასახადების თეორიის ცდის" პირველი გამოცემის სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი იყო: „მთხზველი თავის თავზე იღებს ამ წიგნის დაბეჭდვის ყველა ხარჯს, ფული კი, რომელიც ამოღებული იქნება მისი გაყიდვიდან, გადაეცემა სასარგებლოდ საპატიმროში მყოფი გლეხებისა, რომლებმაც დროზე არ გადაიხადეს გადასახადის ნაწილი ან მთლიანად გადასახადი". ალბათ ტურგენევმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო სხვებზე უკეთ იცოდა დროზე გადაუხდელი გადასახადების მასშტაბებისა და გადასახადების დროულად არგადამხდელთა მკაცრი ბედის შესახებ სოფლებში და საპატიმროებში. წიგნში იგი ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო ესალმება ალექსანდრე I-ს, რომელმაც თავისი ძალაუფლებით რამდენადმე შეარბილა კანონმდებლობა გადასახადის დროზე არგადამხდელთა სასჯელის შესახებ, მაგრამ იქვე მკაცრად და პრინციპულად ეწინააღმდეგება ფიზიკურ დასჯასა და თავისუფლების აღკვეთას გადასახადების გადაუხდელობისათვის. „თუ ვინმეს არ შეუძლია გადასახადების გადახდა სიღარიბის გამო, რომელშიც იგი იმყოფება არა საკუთარი მიზეზით, მაგრამ ასეთი ადამიანის უბედურებამ, თავისთავად სატანჯველმა არ უნდა გამოიწვიოს სასჯელი, პირიქით, მოითხოვს დახმარებას თანამოქალაქეებისაგან და თვით მთავრობისაგანაც. თუკი სიღარიბე გამომდინარეობს არამუყაითობისგან ან სხვა მანკიერებისაგან, ასეთ შემთხვევაში გამოუსწორებელი გადამხდელი შეიძლება სამეთვალყუროდ გადაეცეს ადგილობრივ ხელისუფალთ და მისი გამოყენება შეიძლება ისე, როგორც ეს საზოგადოებისათვის იქნება სასარგებლო"[2].

ტურგენევის წიგნი განსხვავდება იმ დროისათვის გამორჩეული მკაფიო წყობითა და გასაგები გადმოცემით. მასში მეტად ზუსტადაა დაცული მეცნიერული შრომის სტანდარტები. ამასთან ერთად ის არის მძაფრი პუბლიცისტური ნაწარმოები აღსავსე ჰუმანისტური პროტესტით მეფის რუსეთის ულმობელი სინამდვილის წინააღმდეგ. ტურგენევი იგონებს პეტერბურგის წარჩინებული და გავლენიანი ადამიანების რეაქციას თავის წიგნზე და წერს: „ყოველთვის, როდესაც ჩემს გულის ხადებს გავამხელდი ინტიმურ წრეში, ისინი ვერ პოულობდნენ სხვა თემას, გარდა იმისა, რომ თავს დამსხმოდნენ მე და ჩემს წიგნს. როცა ხედავდნენ, რომ მთავრობა, ე. ი. იმპერატორის ხელისუფლება

[1] იხ. ციფრობრივი მონაცემები წიგნში: П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. I, 1952, стр. 456.
[2] Н. И. Тургенев, Опыт теории налогов, стр. 208.

არ იძვრის და არც ცეცხლებს ყრის, რომ მოსპოს თავხედი რევოლუციონერები". და შემდეგ, „ყველას უკვირდა, რომ ცენზურამ დაუშვა მსგავსი თხზულების გამოქვეყნება".[1]

მთავრობამ ეს შეცდომა გამოასწორა 1825 წლის დეკემბრის შემდეგ. ტურგენევის წიგნების ეგზემპლარებს ეძებდნენ და ანადგურებდნენ. ისინი გამოცემულ იქნა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში.

1828 წ. 14 მარტს ლონდონში მყოფი ალექსანდრე ივანეს ძე ტურგენევი თავის დღიურში წერდა: „ვისადილე მარკიზ ლანსდოვნთან. მოვედი ვილნსონთან ერთად 7 1/2 საათზე და მალე მივაშურეთ მაგიდას. მარკიზმა მე გამაცნო სხვა სტუმრებიც, რომელთა რიცხვში იყო ძმის ნაცნობი ტომსონი, პარლამენტის წევრი და ბანკირი-ლიბერალი. ლანსდოვნის ბეუღლე თავაზიანია და მაგიდასთან თავისუფლად და მხიარულად ვესაუბრებოდი მას. როცა ქალბატონებმა ჩვენ დაგვტოვეს, დაიწყო საერთო საუბარი პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის, პოეტი პუშკინის და ძმის შესახებ. ტომსონს ჰქონია შეხვედრები პუშკინთან ოდესაში, ხოლო ძმასთან ინგლისურ კლუბში და აქ. ლანსდოვნს უთხრა, რომ შინაარსით მისი წიგნი, ეეჭვობ, რომ ერთეერია მხოლოდ რუსეთში და სხვ.[2]"

ჩანაწერი უაღრესად საინტერესოა. იგი ძმებს ტურგენევებს აკავშირებს პუშკინთან პოლიტიკური ეკონომიისა და ისტორიის მეშვეობით. დოკუმენტებში ფიგურირებს ინგლისელი ტომსონი, რომელიც დაკავშირებული იყო დეკაბრისტებთან: იგი ცხოვრობდა პეტერბურგში და მათ ამარაგებდა აკრძალული უცხოური ლიტერატურით. შესაძლებელია ავტორის ძმასთან საუბრის დროს მან რამდენადმე გადაჭარბებით შეაქო ნ. ი. ტურგენევის წიგნი, მაგრამ მისი გამოხმაურება მაინც დამახასიათებელია. საინტერესოა ისიც, რომ მარკიზი ლანსდოვნი (Lansdowne ლანსდაუნი თანამედროვე ტრანსკრიფციით) — უილიამ პეტის შვილიშვილის შვილი და გრაფი შელბერნის (რომელთანაც ღრმაშინაარსიანი მიმოწერა ჰქონდა ადამ სმიტს) შვილიშვილი შთამომავლობით ვიგი და ლიბერალების ლიდერია.

პუშკინი და პოლიტიკური ეკონომია

ეს თემა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. პუშკინის შესახებ არსებულ ვეება ლიტერატურაში ამ საკითხს მხოლოდ გაკვრით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხებიან, მაგრამ მთლიანობაში ის არასოდეს არ განხილულა, თუმცა იგი მნიშვნელოვანია რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

---

[1] П. И. Тургенев, Россия и русские, т. I, стр. 71—72.

[2] ნაწყვეტი გამოქვეყნებული დღიურიდან მ. [illegible] «По страницам дневников и писем А. И. Тургенева (Пушкин и Тургенев)», Альманах «Прометей», № 10, М., «Молодая гвардия», 1974, стр. 399.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პუშკინმა სიტყვების — „პოლიტიკური ეკონომია“ — შეწყობა პირველად მოისმინა და გაიგო, თუ რა სპეციფიკურ ლიბერალურ შინაარსს მოიცავდა იგი, თავისი ლიცეუმელი მასწავლებლის ალექსანდრე პეტრეს ძე კუნიცინისაგან. როგორც ოფიციალურ დოკუმენტებშია ნათქვამი, ადიუნქტ-პროფესორი კუნიცინი. კერძოდ „ასწავლის... უმაღლესი ასაკის კლასებში პოლიტიკურ ეკონომიას თავისი რვეულების მიხედვით და ხელმძღვანელობს ადამ სმიტით“. კუნიცინი იყო ტურგენევის სასწავლებლის ამხანაგი გეტინგენიდან, მისი მეგობარი და თანამოაზრე გლეხობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. კეთილი მოვონება კუნიცინის შესახებ პუშკინმა თავის მრავალ თხზულებაში გამოხატა.

პუშკინის ლიცეუმისა და პეტერბურგის წლები (1811—1820 წწ.) საზოგადოებაში, ლიტერატურაში და უმაღლეს წრეებშიც კი პოლიტიკური ეკონომიის არაჩვეულებრივი, ზოგჯერ პარადოქსული პოპულარობის პერიოდია. ცნობილი ადგილი „ევგენი ონეგინიდან“, რომელიც ციტირებულია მე-12 გვერდზე, პუშკინი არა მხოლოდ ასახავს ამ ფაქტს, არამედ აკლენს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის და მისი მერკანტილიზმიდან მთავარი განსხვავების ჩინებულ ცოდნას. შემთხვევითი არაა, რომ დიდი რუსი პოეტის ამ აფორისტულმა სტრიქონებმა მიიქციეს კ. მარქსის ყურადღება[1]. „ევგენი ონეგინში“ არის ირონიული შეხიშვნები პოლიტიკური ეკონომიის მოდის შესახებ „მაღალი წრის ბანოვანთა“ შორის.

> კიდევაც ნახავ დიაცს მშვენიერს,
> სეის და ბენტამს რომ იშველიებს;
> მათი მსჯელობა თუმცა წრფელია,
> საერთოდ დიდი სისულელეა.[2]

1817—20 წწ. პუშკინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნ. ი. ტურგენევთან, ხშირად ხვდებოდა მას ძმები ტურგენევების სახლში ფონტანკაზე, ლიტერატურული საზოგადოების „არზამასის“ სხდომებზე და სხვ. ადგილებში. მათი საერთო მეგობარი იყო მრავალი მომავალი დეკაბრისტი. 1830 წ. დამწვარ და პუშკინის მიერ ნაწილობრივ აღდგენილ დაშიფრულ ასლში „ონეგინის“ მეათე თავისა, მოცემულია „შეთქმულთა“ ადრეული შეკრებების აღწერა, რომელიც თავდება შემდეგი სტრიქონებით:

> მსოფლიოში მხოლოდ რუსეთმა ნახა,
> თავისი იდეალის მიმდევარმა,
> კოქლმა ტურგენევმა მათ შთააგონა
> და, ეზიზღებოდა რა მას მონობის შათრახი,
> თავადაზნაურთა ბრბოში განვრიტა
> გლეხობის განმათავისუფლებლები.

---

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 239.
2 ა. პუშკინი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 316.

პუშკინმა მიაგნო ცენტრალურ იდეას, რომელიც ასულდგმულებდა ტურგენევის მთელ მოღვაწეობას საიდუმლო საზოგადოებებში და შეხიბნა კიდეც მისი პასიური, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება „კადაჭრელი ზომების“ მიმართ, რასაც სთავაზობდნენ დეკაბრისტთა შორის ნაკლებად საღად მოაზროვნენი.

თავისი პირველი პოლიტიკური ლექსი, ოდა — „თავისუფლება“ პუშკინმა პოეტმა დაწერა 1817 წ. ტურგენევის წრის პირდაპირი გავლენით და მათ სახლშიც კი, რაც დამოწმებულია თვით ნ. ი. ტურგენევის მიერ. ძნელი წარმოსადგენია, რომ პუშკინს არ სცნობოდა წიგნი — „გადასახადების თეორიის ცდა“, თუმცა მის თხზულებებში ვერ ვნახულობთ მასზე მითითებას. თუ ფინანსური წვრილმანები არ იქცევდნენ მის ყურადღებას, სამაგიეროდ მას არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო წიგნის ანტიბატონყმური პათოსისადმი და შესაძლოა დაინტერესებულიყო თავისებური ისტორიული მაგალითით, რომელიც მასშია მითითებული. პუშკინის ადრეული სამოქალაქო ლირიკის უდიდესი ნაწარმოები „სოფელი“, ყველა მკვლევრის შეხედულებით პირდაპირ დაკავშირებულია ტურგენევის წრესთან და დისკუსიებთან პოლიტიკური ეკონომიის იმ საკითხებზე, რომელნიც იქ იხილებოდა.

იღვრება ცრემლი, გაისმის კვნესა,
გახგებამ ხალხს რომ მიუჩინა და მიაკუთვნა;
მაგრამ გულცივ და უსამართლო ბატონებს დღესაც
არ ესმით ხალხის... მებატონემ დაისაკუთრა
შრომა, სახლ-კარი დრო და ოფლი მიწის მონისა.
სხვის გუთანს მისდევს მათრახებით წინ გაგდებული
ბრბო მონებისა, რომ ყანა ხნას — გამდიდრებული,
გულდახურული მებატონისა.[1]

ამ პოეტურ ნაწყვეტში იგრძნობა პოლიტიკური ეკონომიის იმდროინდელი ენაც კი მის ანტიბატონყმურ ვარიანტში. პუშკინი ხმარობს სიტყვა „სხვის“, რაც, ჩვენ მოგვაგონებს სავსებით თანამედროვე ტერმინს „ჩამოშორებას“ (უშუალო მწარმოებლისა წარმოების საშუალებებისაგან). ადრეული დეკაბრისტების მსგავსად პუშკინი გლეხობის განთავისუფლების იმედს უკავშირებდა ძლიერ და შედარებით დამოუკიდებელ სამეფო ხელისუფლებას. ნაწყვეტში, რომელიც ქვეყუხდება სათაურით: „XVIII საუკუნის რუსეთის ისტორიის შესახებ“ (1822 წ.), ის გამოხატავს სავსებით „ტურგენევისეულ“ და ბრძნულ აზრს, რომ „პოლიტიკური ჩვენი თავისუფლება განუყოფელია გლეხობის განთავისუფლებისაგან“.[2]

საბრძოლოში გადასახლებისას პუშკინი მრავალჯერ შეხვედრია პესტელს და მ. ფ. ორლოვს, გამოჩენილ დეკაბრისტებსა და ადამიანებს, რომელთა თხზულებანიც ტურგენევის წიგნებთან ერთად, წარმოად-

[1] ა. პ უ შ კ ი ნ ი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 34.
[2] А. С. П у ш к и н, Собр. соч., в десяти томах, т. 7, 1976, стр. 162.

გენენ დეკაბრისტული ეკონომიკური აზრის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას. კიშინოვის დღიურში 1821 წ. 9 აპრილის თარიღით ვკითხულობთ: „...დილა გავატარე პესტელთან; ჭკვიანი ადამიანია ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით... ჩვენ ვსაუბრობდით მეტაფიზიკის პოლიტიკის, ზნეობის და სხვ. შესახებ. ჩემს ცნობებს შორის ის ერთი ყველაზე ორიგინალურად მოაზროვნეა"[1]. სამწუხაროდ. ჩვენ მეტი არაფერი ვიცით არც ამ საუბრის და არც პუშკინის და პესტელის სხვა შეხვედრების შესახებ.

ძიხეილ თედორეს ძე ორლოვი გადაურჩა დეკაბრისტების უმრავლესობის ხვედრს თავისი ძმის გამოქომაგების წყალობით, რომელსაც ნიკოლოზ I ძლიერ სწყალობდა. მას აკმარეს მოკლევადიანი გადასახლება თავის სოფელში პეტრე-პავლეს საპყრობილეში ნახევარი წლის პატიმრობის შემდეგ. 1833 წ. მან მოსკოვში გამოაქვეყნა წიგნი „სახელმწიფო კრედიტის შესახებ". ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოღებული იყო ცენზურის მიერ და თვით ორლოვიც იძულებული იყო შეგუებოდა ცენზურის მკაცრ შეზღუდვებს. ამის გამო წიგნს განსაკუთრებულად თეორიული და გონებაჭვრეტითი ხასიათი ჰქონდა, ნაკლებად ეხებოდა საქმის მდგომარეობას რუსეთში. მიუხედავად ამისა ეს ნაშრომი, რომელსაც ბევრი საერთო აქვს ტურგენევის „ცდასთან", მეტად საინტერესოა. ორლოვი ცდილობდა ეჩვენებინა ინგლისში კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარების უპირატესობანი და ფართო სახელმწიფო კრედიტს (სესხები, რომელსაც ღებულობს სახელმწიფო კერძო კაპიტალისტებისაგან) სახავდა ასეთი განვითარების იარაღად. მაგრამ მოცემულ კონტექსტში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ პუშკინი, რომელსაც თავის ბიბლიოთეკაში ჰქონდა ორლოვის წიგნის ორი ეგზემპლარი, კითხულობდა მას და მინდორზე დატოვა რამდენიმე მოსწრებული შენიშვნა.

ორლოვის სიტყვებს, რომ კრედიტი გაცვლისათვის გამოგონებული საშუალებაა, პუშკინმა მიაწერა: „რა თქმა უნდა, არავის გ ა მ ო უ გ ო ნ ე ბ ი ა კ რ ე დ ი ტ ი (მინდობილობა). ის თვით წარმოიშვა როგორც პ ი რ ო ბ ა, როგორც ურთიერთობა. იგი დაიბადა პირველი საცვლელი ბრუნვის დროს."[2] პუშკინის ასეთი შეხედულება სავსებით სამართლიანია, ის ასახავს ევოლუციურ და სტიქიურ ხასიათს ეკონომიკური პროცესებისას, რომელთა მსვლელობაში კანონზომიერად აღმოცენდებიან ახალი ფორმები.

ოგორც ჩანს, პუშკინი ასევე არ ეთანხმებოდა ორლოვის თეზისს იმის შესახებ, რომ კერძო და სახელმწიფო კრედიტს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება: პირველ შემთხვევაში სესხის მიმცე-

[1] А. С. Пушкин. Собр. соч. в десяти томах, т. 7., стр. 262.

[2] С. Я. Боровой, Об экономических воззрениях Пушкина в начале 1830-х гг. «Пушкин и его время. Исследования и материалы», вып. I. Л., 1962, стр. 259.

ში (კრედიტორი) ზრუნავს კრედიტის დაბრუნებაზე, მეორეში მისი მიზანია დაიბრუნოს თავისი ფული და დაინტერესებულია მხოლოდ მუდმივი პროცენტული შემოსავლით თავის ფულად კაპიტალზე. პუშკინმა ჩაწერა: „რა თქმა უნდა, კერძო კრედიტის მთავარ აზრს წარმოადგენს არა კაპიტალის დაბრუნება, არამედ მისი გამრავლება სარგებლის საშუალებით". ვფიქრობთ, რომ პუშკინი აქაც უფრო სწორია, ვიდრე ავტორი: საბოლოო ანგარიშით, საკმარისი გარანტიის პირობებში, კრედიტორისათვის არ არსებობს პრინციპული განსხვავება — თავის ფულად კაპიტალს სახელმწიფო ობლიგაციებში თუ კერძო საწარმოს (პირის) ფასიან ქაღალდებში დააბანდებს. ეს მტკიცდება კრედიტის შემდგომი, მათ შორის თანამედროვე განვითარებითაც — კონკურენციით სახელმწიფო და კერძო სესხებს შორის და შემოსავლის (სასესხო სარგებლის) გათანაბრებით ორივეგან.

ამრიგად, პუშკინი რომ არ ყოფილიყო დიდი პოეტი, შეიძლებოდა ის ნიჭიერი ეკონომისტი გამხდარიყო.

დავბრუნდეთ უკან, 1826 წ. ზაფხულს მიხაილოვკაში პუშკინი ღებულობს ცნობას (საბედნიეროდ მცდარს) იმის შესახებ, რომ ტურგენევი გადასცეს მეფის ხელისუფლებას და ბორკილდადებული ინგლისიდან პეტერბურგში გემით ჩამოიყვანეს. იგი ამას გამოეხმაურა მრისხანე და ბრუხარე შეძახილით მათი საერთო მეგობრის ვიაზემსკისადმი ბიწერილ წერილში და ასეთივე ლექსით. სექტემბერში პუშკინი გამოიძახეს მოსკოვში ხიკოლოზ I-თან, რომელმაც მას ამცნო გადასახლებიდან განთავისუფლება და ცდილობდა პოეტის თავის გავლენისათვის დამორჩილებას და მისი კალმის მონარქიის სამსახურისთვის გამოყენებას. „ავანსის" სახით პუშკინს დაევალა მეფისათვის დაეწერა წერილი „ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ". დეკემბერში პუშკინმა მეფესთან დაახლოებული პირის — ბენკენდორფის საშუალებით წარუდგინა წერილი „სახალხო აღზრდის შესახებ". ეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენს თემას ორ ადგილას ეხება.

პუშკინი, რომელსაც თავად ეჭვის თვალით უყურებდნენ, დიდი სამოქალაქო ვაჟკაცობით, შემოვლითი გზით, გამოდის ტურგენევის გასამართლებლად, ცდილობს მეფის დარწმუნებას მის „ზნეობრიობასა" და „ზომიერებაში", და, შესაძლებელია, მიაქციოს თვითმპყრობელის ყურადღება დევნილისადმი, როგორც ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწისადმი, როგორნიც ასე ძლიერ სჭირდება რუსეთს. მეფემ ამ აღვილის გასწვრივ კითხვის ნიშანი დასვა (მთლიანად ტექსტში, რომელსაც წიგნის 5 გვერდი უკავია, არსებობს 40 კითხვისა და ერთი ძახილის ნიშანი დასმული ნიკოლოზის ხელით.).[1]

პუშკინმა დასახა ახალგაზრდობის სწავლების პროგრამა ვიმნა-

[1] А. Цайтлин. Записка Пушкина о народном воспитании «Литературный современник», 1937, № 1, стр. 284.

ზიებში, ლიცეუმებში, უნივერსიტეტების პანსიონებში, სემინარიებში და წერს: „უმაღლესი პოლიტიკური მეცნიერებანი დაიკავებენ დამამთავრებელ წლებს — სამართლის სწავლება, სეისა და სისმონდის სისტემის მიხედვით პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა, ისტორია"[1]. რატომ სთავაზობდა პოლიტიკური ეკონომიის სწავლებას არა სმიტის მიხედვით? უეჭველია, სეის და სისმონდის პუშკინი იხილავდა მხოლოდ როგორც სმიტის მოძღვრების პოპულარიზატორებს და რეკომენდაციას უწევდა მათ არა შოტლანდიელის, არამედ გერმანელი პროფესორების საწინააღმდეგოდ. მის წარმოდგენაში ამ ფრანგების სახელები დაკავშირებული იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიბერალიზმთან. შესაძლებელია, მას ჰუმანიზმი, განსაკუთრებით სისმონდისათვის დამახასიათებელი, ჰქონდა მხედველობაში.

შეიძლება გავიხსენოთ, რომ „ძუნწი რაინდი" — არა მხოლოდ ტრაგედიაა ადამიანური გატაცებების შესახებ, არამედ აგრეთვე ტრაგედიაა ფულის ძალაუფლების შესახებ. ბარონისათვის დაგროვებული ფულის ფასეულობა იმ პოტენციურ ძალაუფლებაშია, რომელსაც ის იძლევა, იმ შესაძლებლობით, რასაც იგი სანაცვლოდ ღებულობს მეტად ეგზოტიკური საგნებისა და ფორმების მოხმარებით:

მოვისურვებ და პალატები აღიმართება,
უმშვენიერეს ბაღნარებში ჩემს დაძახილზე
უცბად მოირბენს ულაძაზეს ნიმფების გუნდი.
ძუზები ჩემს წინ მოიღებენ თავიანთ ალფას,
თვით ქედუხრელი გენიაც კი დამემონება
და სათნოება, და გარჯილი უძილო შრომაც
ისევ ჩემს ჯილდოს და საჩუქარს დაელოდება.
დავუსტვენ მხოლოდ და მორჩილი ზმუილით ჩემსკენ
სისხლით მოსერილი ბოროტება მოიზლაზნება,
ძოვა და ხელებს დამილოშნის, თვალებში მუნჯად
მომაშტერდება, რომ გაიგოს ჩემი გულისთქმა.
ჩემს მეუფებას მონებს ყველა, გულითუძრავი,
ძარტო მე არვის ვემონები ამ საწუთროში,
ყველაზე მაღლა მაქვს საუფლო, ყველაფრის ზევით!
ვიცი, რა ძალით ვარ მორჭმული და მაშოშმინებს
ძარტოდენ ამის გაფიქრებაც...[2]

მკვდარი სიმდიდრის ასეთი დაგროვებისადმი მისწრაფება ნიშნავს, რომ ფული კაპიტალად არ იქცევა. უფრო მეტიც, მფლანგველი შვილი, რომელიც რ ე ა ლ უ რ ა დ დახარჯავდა მამის სიმდიდრეს სასახლეზე, ბაღებზე, მუქთახორებზე, ეკონომიკურად უფრო სასარგებლო იქნებოდა, რადგან მის მიერ მიმოქცევაში გადასროლილი ფული შეიძლება იქცეს ვილაცის კაპიტალად და მოქმედებაში მოიყვანოს უმოქმედო რესურსები. შეუძლებელია ბებერი ძუნწის სიკვდილის განხილვა როგორც ეკონომიკური სასჯელისა უნაყოფო დაგროვების ცოდვებისათვის.

---

[1] А. С. Пушкин, Собр. соч., в десяти томах, т. 7, стр. 311.
[2] ა. პ უ შ კ ი ნ ი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 526.

მხატვრული ნაწარმოების ეს ეკონომიკური დისექცია შეიძლება საკამათოდ, შებღალვადაც კი მოგვეჩვენოს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ფეოდალიზმიდან ახალ, ბურჟუაზიულ წყობილებაზე გადასვლის ეპოქის ცენტრალურმა საზოგადოებრივმა პრობლემამ პუშკინის შემოქმედებაში მრავალმხრივი და რთული ასახვა პოვა. მაგრამ ამასთანაა დაკავშირებული მისი ინტერესი დასავლეთგერმანულ შუასაუკუნეობრივობასთან? ამ თემას უფრო გამოკვეთილად, ვიდრე „ძუნწ რაინდში", ჩვენ ვხედავთ ლექსში — „რაინდული დროების სცენები", 1824 წელს დაწერილ ლექსში — „წიგნის გამყიდველის საუბარი პოეტთან", ბურჟუა ლაპარაკობს:

ამ საუკუნის გაიგეთ სული;
იგი უთუოდ დიდი ჩარჩია;
თავისუფლება ბევრმა არჩია,
მაგრამ იმასაც სჭირდება ფული.[1]

ეს ბოკლე შენიშვნები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს თემას — „პუშკინი და პოლიტიკური ეკონომია", არამედ მოსახავს მხოლოდ მის კონტურებს.

[1] ა. პ უ შ კ ი ნ ი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975, გვ. 52—53.

მეცხრამეტე თავი

უტოპისტების მშვენიერი მითი: სენ-სიმონი და ფურიე

ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ოცნებობდნენ უკეთეს ცხოვრებაზე კაცობრიობისათვის და სწამდათ მისი შესაძლებლობა დედამიწაზე. თავიანთი დროის სინამდვილეს ისინი კრიტიკულად ეკიდებოდნენ. ხშირად მათ უხდებოდათ ბრძოლა ამ სინამდვილესთან და ისინი ხდებოდნენ გმირებად და წამებულებად. ისინი გამოდიოდნენ მათი თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ, აანალიზებდნენ და აკრიტიკებდნენ ამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას. როცა საზოგადოების გარდაქმნის წინადადებას აყენებდნენ, ეს ადამიანები ცდილობდნენ დაეხატათ და დაესაბუთებინათ უფრო სამართლიანი და ჰუმანური წყობილება. მათი იდეები პოლიტიკური ეკონომიის ფარგლებს სცილდება, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ მეცნიერებაშიც.

სოციალისტური და კომუნისტური იდეები ვითარდებოდა XVI—XVIII სს. მრავალ, თავიანთი მეცნიერული და ლიტერატურული ღირსებით და თავიანთი ბედით განსხვავებულ, ნაწარმოებში. მაგრამ ეს იყო უ ტ ო პ ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მხოლოდ წინა ისტორია. მის კლასიკურ პერიოდს იგი გადის XIX ს. პირველ ნახევარში.

ამ დროისათვის ბურჟუაზიული ურთიერთობანი საკმაოდ განვითარდა იმისათვის, რომ დასაბამი მისცემოდა კაპიტალიზმის გაშლილ და ღრმა კრიტიკას. ამავე დროს, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი დაპირისპირებულობა ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამოვლენილი. წარმოდგენილი იყო უფრო საერთო კონფლიქტის სახით, სიმდიდრესა და სიღარიბეს, მკაცრ ძალასა და უუფლებობას შორის. ამიტომ ჯერ კიდევ არ იყო პირობები მეცნიერული სოციალიზმისათვის, რომელმაც პირველად დაასაბუთა პროლეტარიატის ისტორიული მისია. მაგრამ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ერთ-ერთ წყაროდ ჰქონდა უტოპიური სოციალიზმი, რომელმაც თავის მწვერვალებს მიაღწია სენ-სიმონის, ფურიესა და ოუენის შრომებში.

კლოდ ანრი სენ-სიმონი დე რევრუა დაიბადა პარიზში 1760 წ. და გაიზარდა სამემკვიდრეო ციხე-დარბაზში საფრანგეთის ჩრდილოეთში. მან კარგი საოჯახო განათლება მიიღო. თავისუფლებისმოყვარეობა და ხასიათის სიმტკიცე ახალგაზრდა არისტოკრატში ადრე გამოვლინდა 13 წლისამ უარი თქვა პირველ ზიარებაზე, განაცხადა, რომ არ სწამს რელიგიის იდუმალებისა და არ სურს იფარისეველოს. მალე მასში გამომჟღავნდა კიდევ ერთი თვისება, რომელმაც საკმაოდ გააოცა ნათესავები: რწმენა თავისი მაღალი საზოგადოებრივი მოწოდებისა — ამბობენ. რომ 15 წლის სენ-სიმონმა თავის მოსამსახურეს უბრძანა, ყოველდღე იგი შემდეგი სიტყვებით გაეღვიძებინა: „აბრძანდით გრაფო, თქვენ დიდი საქმეები მოგელით“.

მაგრამ დიდ საქმეებამდე ჯერ კიდევ შორსაა და ჯერხანობით სენ-სიმონი, როგორც ეს მიღებულია მათ გვარში, შედის სამხედრო სამსახურში და თითქმის სამ წელიწადს ეწევა მოსაწყენ გარნიზონულ ცხოვრებას. ახალგაზრდა ოფიცერმა მას თავი დააღწია მხოლოდ მაშინ, როცა მოხალისედ გაემგზავრა ამერიკაში აჯანყებული კოლონისტების დასახმარებლად გაგზავნილ საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში.

საფრანგეთში იგი გმირად დაბრუნდა და მალე პოლკის უფროსობა მიიღო. ახალგაზრდა გრაფი სენ-სიმონის წინაშე ბრწყინვალე კარიერა იშლებოდა. მაგრამ მას მალე მოსწყინდა ეს უსაქმო ცხოვრება. ჰოლანდიაში, შემდეგ კი ესპანეთში მოგზაურობამ გამოავლინა სენ-სიმონის ახალი — თავგადასავლის მაძიებლისა და პროექტიორის — სახე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი დაუცხრომელი ენერგია და გამჭრიახი გონება, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ ნახა ნამდვილი დანიშნულება, გამოსავალს ეძებს ამ პროექტიორობაში. ჰოლანდიაში იგი ამზადებს სამხედრო-საზღვაო ექსპედიციას ინგლისელებისაგან ინდოეთის გამოხსნისათვის. ესპანეთში ადგენს დიდი არხის პროექტს ზღვასთან მადრიდის შესაერთებლად.

ენციკლოპედისტების იდეებსა და ამერიკის რევოლუციის გამოცდილებაზე აღზრდილმა სენ-სიმონმა ენთუზიაზმით მიიღო 1789 წ. მოვლენები. თითქმის ორ წელიწადს საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს რევოლუციაში, მაგრამ მხოლოდ „ადგილობრივ დონეზე“: იგი ცხოვრობს პატარა ქალაქში ყოფილი საგვარეულო მამულის ახლოს. მამულის დაკარგვას იგი არ ნანობს, ხოლო გრაფის ტიტულზე და ძველ სახელზე ოფიციალურად უარს ამბობს და ღებულობს მოქალაქე ბონომის სახელს (bonhomme — მიამატი, გლეხკაცი).

1791 წ. მოქალაქე ბონომის ცხოვრებაში ხდება მკვეთრი და ერთი შეხედვით კვლავ უცნაური გარდატეხა. იგი მიემგზავრება პარიზს და

გამოდის მიწების სპეკულაციის სარბიელზე, რამაც ამ პერიოდში უზარმაზარი მასშტაბები მიიღო სახელმწიფოს მიერ მამულებისა და ეკლესიისაგან კონფისკებული საკუთრების გაყიდვასთან დაკავშირებით. პარტნიორად იგი ირჩევს ჯერ კიდევ ესპანეთიდან მის ნაცნობ გერმანელ დიპლომატს ბარონ რედერნს. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 1794 წლისათვის სენ-სიმონი უკვე ძალიან მდიდარია, მაგრამ აქ მას შეეხო იაკობინური რევოლუციის დამსჯელი ხელი. კონტრრევოლუციურმა თერმიდორიანულმა ბადატრიალებამ იხსნა პატიმარი გილიოტინისაგან. თითქმის ერთ წელიწადს საპატიმროში ყოფნის შემდეგ იგი თავისუფლდება და კვლავ სპეკულაციას ჰკიდებს ხელს. 1796 წ. სენ-სიმონისა და რედერნის სიმდიდრე 4 მლნ ფრანკად ფასდება.

მაგრამ იღბლიანი სპეკულანტის კარიერა აქ წყდება. პარიზში ბრუნდება ბარონ რედერნი, რომელიც ტერორის დროს კეთილგონივრულად იმალებოდა საზღვარგარეთ და წამოაყენა თავისი უფლებები ყველა მათ საერთო ქონებაზე, რადგან ოპერაციები მისი სახელით ხორციელდებოდა. ხანგრძლივი დავის შემდეგ სენ-სიმონი იძულებულია დაკმაყოფილდეს 150 ათასი ფრანკის გასამრჯელოთი, რასაც მას აძლევს რედერნი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდი წარმატებებით გატაცებული სენ-სიმონი მისთვის ჩვეული მგზნებარებითა და ენერგიით ხელს ჰკიდებს მათ შესწავლას. თავისი სიმდიდრის დარჩენილ ნაწილს იგი იყენებს იმ სახლის შესანახად, სადაც პარიზის უდიდეს მეცნიერებს ღებულობს. რამდენიმე წლის განმავლობაში სენ-სიმონი მოგზაურობს ევროპაში. დაახლოებით 1805 წლისათვის საბოლოოდ ირკვევა, რომ მისი ფულისაგან აღარაფერია დარჩენილი და იგი სიღარიბის ზღვარზე აღმოჩნდა.

დიდი ორიგინალობის დაღი ატყვია სენ-სიმონის პირველ ნაბეჭდ ნაწარმოებსაც — „ჟენევის მცხოვრების წერილები თანამედროვეებს“ (1803 წ.). ეს უკვე საზოგადოების გარდაქმნის უტოპიური გეგმაა, თუმცა გადმოცემულია ჩანასახოვანი, ბუნდოვანი ფორმით. ამ მცირე თხზულებაში ორი რამაა შესანიშნავი. ჯერ ერთი, სენ-სიმონმა გამოსახა საფრანგეთის რევოლუცია, როგორც კლასობრივი ბრძოლა სამ მთავარ კლასს — მემამულეებსა, ბურჟუაზიასა და არამქონეთა (პროლეტარიატს) შორის. ენგელსმა ამას უწოდა „უაღრესად გენიოსური აღმოჩენა“[1]. მეორეც, მან შორსმჭვრეტელურად მოხაზა მეცნიერების როლი საზოგადოების გარდაქმნაში. მეცნიერებაზე სენ-სიმონი წერდა: „შეხედეთ ადამიანის გონების პროგრესის ისტორიასა და თქვენ დაინახავთ, რომ მისი თითქმის ყველა სანიმუშო ნაწარმოების შემთხვევაში ჩვენ მოვალე ვართ იმ ადამიანებისა, რომლებიც განმარტოებით

---

1. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 306.

ოდგნენ და ხშირად განიცდიდნენ დევნას. როცა მათ აკადემიკოსებად ხდიდნენ, ისინი თითქმის ყოველთვის იძინებდნენ თავიანთ სავარძლებში, ხოლო თუ წერდნენ, მხოლოდ კანკალით და მხოლოდ იმისათვის, რომ გამოეთქვათ რაიმე უმნიშვნელო ჭეშმარიტება".[1] მეორე მხრივ იგი ლაპარაკობდა წინააღმდეგობების შესახებ ნამდვილი მეცნიერების გზაზე. „თითქმის ყოველთვის საქმიანობა, რომელსაც ისინ- (მეცნიერები. ა. ა.) იძულებული არიან ეწეოდნენ, რათა მოიპოვონ საარსებო საშუალებანი. მათი მოღვაწეობის დასაწყისშივე მათ ყურადღებას აშორებს უმნიშვნელოვანეს იდეებს. რა ხშირად მათ აკლდათ ცდები ან მათი შეხედულებების განვითარებისათვის მოგზაურობები! რამდენჯერ ისინი მოკლებული იყვნენ აუცილებელ თანამშრომლებს, რათა მიეცათ თავიანთი მუშაობისათვის მთელი ის გაქანება, როგორის უნარიც მათ გააჩნდათ!"[2]. მეცნიერებს მოუწოდებს გამოვიდნენ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, დაიკავონ ხელმძღვანელთა ადგილი გარდაქმნილ საზოგადოებაში და ავტორი შესძახებს: „მათემატიკოსებო! თქვენ ხომ სათავეში ხართ, დაიწყეთ!".

ეს ციტატები საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ სენ-სიმონის ლიტერატურული სტილი — ენერგიული, პათეტიკური, ზოგჯერ ეგზალტირებული. მისი თხზულებების ფურცლები მოწმობს, რომ მათ ავტორს აწუხებს კაცობრიობის ბედი.

მასწავლებელი

სენ-სიმონის ცხოვრების უკანასკნელი 20 წელი საესეა გაჭირვებით, ბრძოლით და ინტენსიური შემოქმედებით. იგი აღმოჩნდა უსახსროდ, დაიწყო ყოველნაირი სამუშაოს ძებნა და ერთხანს ლომბარდში ქაღალდების გადამწერად მუშაობდა. 1808 წ. სენ-სიმონმა გამოუშვა თავისი მეორე ნამუშევარი — „XIX საუკუნის მეცნიერული შრომების შესავალი".

1810—1812 წწ. სენ-სიმონი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე აღმოჩნდა. იგი წერდა, რომ გაყიდა მთელი თავისი ქონება, ტანსაცმელიც კი, რომ იკვებება მხოლოდ პურითა და წყლით და არა აქვს სათბობი და სანთელი. მაგრამ რაც უფრო უძნელდებოდა ცხოვრება, მით უფრო შეუპოვრად მუშაობდა იგი. სწორედ ამ წლებში საბოლოოდ ყალიბდება მისი შეხედულებები საზოგადოებაზე, რაც მან გადმოსცა მომწიფებულ ნაშრომთა რიგში.

საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სენ-სიმონმა მისი ბროშურით ევროპის ომისშემდგომი წყობის შესახებ. მასში სენ-სიმონმა პირველად წამოაყენა მისი საყვარელი თეზისი: „კაცობრიობის ოქროს საუკუნე

---

[1] К. А. Сен-Симон, Избранные сочинения, т. 1, М. Л, стр. 109.
[2] Там же, стр. 112.

ჩვენ უკან კი არა, წინაა". სენ-სიმონის შემდგომი მოღვაწეობა მიეძღვნა მის დასაბუთებას.

სენ-სიმონის ცხოვრება რამდენადმე მოწესრიგდა. მას გამოუჩნდნენ მოწაფეები და საქმის გამგრძელებლები. მეორე მხრივ, საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნის ქადაგება, მიმართული მისი განათლებული „ბელადების" — ბანკირების, მრეწველების, ვაჭრებისადმი, ამ კლასის ზოგიერთი ადამიანის ყურადღებას იქცევს. სენ-სიმონმა მიიღო შესაძლებლობა, დაბეჭდოს თავისი თხზულებანი და ისინი საკმაოდ ფართოდ გახდა ცნობილი. მდიდარი მიმდევრები მას უზრუნველყოფენ შეძლებული ცხოვრებითა და დაძაბული მუშაობის პირობებით.

მაგრამ, ცხოვრებაში და თავის თხზულებებშიც სენ-სიმონი რჩება მეამბოხედ, ენთუზიასტად, სწრაფვისა და ფანტაზიის ადამიანად. ბანკირებისა და მდიდრების ჯგუფმა, რომელმაც გაიღო ფული სენ-სიმონის ერთ-ერთი თხზულების გამოცემისათვის, საჯაროდ გაემიჯნა მის იდეებსა და განაცხადა, რომ მან ისინი შეაცდინა, ნდობა გაუცრუა. მალე ამის შემდეგ სენ-სიმონი სამართალში მისცეს მეფის გვარის შეურაცხყოფის ბრალდებით: მან დაბეჭდა „იგავი", რომელშიც აცხადებდა, რომ საფრანგეთი არაფერს დაკარგავს თუ უცბად, ჯადოსნურად უკვალოდ გაქრებიან სამეფო გვარის წევრები და, მათთან ერთად ყველა არისტოკრატი, უმაღლესი ჩინოვნიკები, მღვდელები და ა. შ., მაგრამ ბევრს დაკარგავს, თუ გაქრებიან საუკეთესო მეცნიერები, მხატვრები, ოსტატები, ხელოსნები. ხაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა იგი, მიიჩნია ეს მხოლოდ სასაცილო პარადოქსად.

თუ ეს ტრაგიკომიკური ეპიზოდია სენ-სიმონის ცხოვრებაში, თვითმკვლელობის ცდა 1823 წ. მარტში ნამდვილად ტრაგიკულია. მეგობრებისათვის დატოვებულ წერილში სენ-სიმონი ლაპარაკობს მის იმედგაცრუებაზე ცხოვრებაში, რაც გამოწვეულია ადამიანთა სუსტი ინტერესით მისი იდეებისადმი. მაგრამ, როგორც კი გამოკეთდა დაჭრის შემდეგ, იგი კვლავ გატაცებით იწყებს მუშაობას და 1823—1824 წწ. აქვეყნებს თავის ყველაზე დასრულებულ და ჩამოყალიბებულ შრომას — „ინდუსტრიალების კატეხიზისი". 1824 წ. განმავლობაში სენ-სიმონი გამალებული მუშაობს თავის უკანასკნელ წიგნზე — „ახალი ქრისტიანობა", ცდილობს მისცეს მომავალ „ინდუსტრიალების საზოგადოებას" ახალი რელიგია, რომელიც ქრისტიანობისაგან იღებს მხოლოდ მის ამოსავალ ჰუმანიზმს. 1825 წ. მაისში „ახალი ქრისტიანობის" გამოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ კლოდ ანრი სენ-სიმონი გარდაიცვალა.

შეიძლება ითქვას, რომ სენსიმონიზმმა თავის განვითარებაში ოთხი სტადია გაიარა: პ ი რ ვ ე ლ ი წარმოდგენილია სენ-სიმონის შრომებით 1814-1815 წლებამდე. მათში მეცნიერებისა და მეცნიერთა კულტი საკმაოდ აბსტრაქტული ჰუმანიზმია. სენსიმონიზმის სოციალურ-ეკონომიკური იდეები მხოლოდ ჩანასახში არსებობენ.

მ ე ო რ ე სტადია განსახიერებულია სენ-სიმონის სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის მომწიფებულ შრომებში. მათში სენ-სიმონი გადაჭრით უარყოფს კაპიტალიზმის აღიარებას ბუნებრივ და მუდმივ წყობილებად და აყენებს თეზისს მისი კანონზომიერი შეცვლის შესახებ ახალი საზოგადოებრივი წყობილებით, სადაც ადამიანთა თანამშრომლობა შეცვლის ანტაგონიზმსა და კონკურენციას. ეს შეცვლა მოხდება „ინდუსტრიალების საზოგადოების“ მშვიდობიანი განვითარების გზით, რომელშიც მოისპობა ფეოდალებისა და პარაზიტული ბურჟუა-მესაკუთრეების ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება, თუმცა დარჩება კერძო საკუთრება. სენ-სიმონი სულ უფრო მეტად იხრებოდა ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე დაჩაგრული კლასის დაცვისაკენ.

სენ-სიმონის აზრით, მისი თანამედროვე საზოგადოება შედგებოდა ორი ძირითადი კლასისაგან — უსაქმური მესაკუთრეებისაგან და მშრომელი ინდუსტრიალებისაგან. ამ წარმოსახვაში უცნაურად გადაეხლართა ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი დაპირისპირებულობა. სენ-სიმონთან პირველი კლასი შეიცავს მსხვილ მიწათმფლობელებსა და რანტიე კაპიტალისტებს, რომლებიც ეკონომიკურ პროცესში არ მონაწილეობენ. მათ უერთდება რევოლუციისა და იმპერიის წლებში ამაღლებული სამხედრო და მოსამართლეთა ბიუროკრატიის ფენა. ყველა დანარჩენი ინდუსტრიალია, რომლებიც ოჯახებთან ერთად, სენ-სიმონის აზრით, შეადგენენ მაშინდელი საფრანგეთის საზოგადოების მოსახლეობის 96%-მდე. აქ შედის ყველა, ვინც ყოველნაირ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას ეწევა: გლეხები და დაქირავებული მუშები, ხელოსნები და ფაბრიკანტები, ვაჭრები და ბანკირები. მეცნიერები და მხატვრები. მესაკუთრეთა შემოსავალს სენ-სიმონი თვლიდა პარაზიტულად, ინდუსტრიალების შემოსავალს — შრომითად. თუ ამას პოლიტეკონომიური კატეგორიებით გამოვხატავთ, პირველთა შემოსავლებში აერთიანებდა მიწის რენტას და სასესხო სარგებელს, მეორეთა შემოსავალში — მეწარმის მოგებას (ან მთელ მოგებას) და ხელფასს. ამრიგად, სენ-სიმონი ვერ ხედავდა კლასობრივ წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ან, ყოველ შემთხვევაში, არ თვლიდა მას მნიშვნელოვნად. ნაწილობრივ ეს აიხსნებოდა კლასების განუვითარებლობით XIX ს. დასაწყისში, ნაწილობრივ მისი მისწრაფებით — დაექვემდებარებინა მთელი თავისი თეორია ერ-

თიანი მიზნისათვის: ერის დიდი უმრავლესობის შემჭიდროვება საზოგადოების თანდათანობითი მშვიდობიანი გარდაქმნისათვის. სენ-სიმონი ძირითადად გამოდიოდა არა კერძო საკუთრების, არამედ მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და ითვალისწინებდა არა მის მოსპობას მომავალ საზოგადოებაში, არამედ შესაძლებლად თვლიდა მასზე საზოგადოების მხრივ გარკვეული კონტროლის დაწესებას.

სენ-სიმონის სიკვდილიდან 1831 წლამდე პერიოდში მოწაფეთა შრომები, პროპაგანდა და პრაქტიკული საქმიანობა წარმოადგენს სენ-სიმონიზმის მ ე ს ა მ ე სტადიას და, არსებითად, მის აყვავებას. სენსიმონიზმი ხდება ნამდვილად სოციალისტური მოძღვრება, რამდენადაც იგი ფაქტობრივად მოითხოვს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას, დოვლათის განაწილებას შრომისა და უნარის მიხედვით, წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და დაგეგმვას. ყველაზე სრულად და სისტემატურად ეს იდეები გამოხატულია საჯარო ლექციებში, რომელთაც 1828—1829 წწ. კითხულობდნენ პარიზში სენ-სიმონის უახლოესი მოწაფეები: ს. ა. ბაზარი, ბ. პ. ანფანტენი, ბ. ო. როდრიგი. ეს ლექციები შემდგომში გამოიცა სათაურით: „სენ-სიმონის მოძღვრების გადმოცემა".

სენ-სიმონის შეხედულებებს კლასებსა და საკუთრებაზე მოწაფეებმა უფრო აშკარა სოციალისტური მიმართულება მისცეს. ისინი უკვე აღარ იხილავენ ინდუსტრიალებს, როგორც ერთიან და ერთგვაროვან სოციალურ კლასს, არამედ ლაპარაკობენ. რომ ექსპლოატაცია, რასაც ის განიცდის მესაკუთრეთა მხრივ, მთელი თავისი სიმძიმით მუშას აწვება. მუშას, წერენ ისინი, „ექსპლუატაცია ეწევა მატერიალურად, ინტელექტუალურად და მორალურად, ისე როგორც ოდესღაც ექსპლუატაცია ეწეოდა მონას"[1]. კაპიტალისტი მეწარმეები აქ უკვე „მონაწილეობენ ექსპლუატაციის პრივილეგიებში".

სენსიმონისტები ექსპლუატაციას უკავშირებდნენ თვით კერძო საკუთრების ინსტიტუტს. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სისტემის მანკიერებებში ისინი ხედავდნენ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კრიზისებისა და წარმოების ანარქიის მთავარ მიზეზს. მართალია, ეს ღრმა აზრი არაა დადასტურებული კრიზისების მექანიზმის რაიმე ანალიზით, მაგრამ იგი კიდევ ერთი დასაბუთებაა მათი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნისა — კერძო საკუთრების მკვეთრი შეზღუდვა მემკვიდრეობის მიღების უფლების გაუქმებით. ერთადერთი მემკვიდრე უნდა იყოს სახელმწიფო, რომელიც შემდეგ საწარმოო ფონდებს გადასცემს მეწარმეებს იჯარით, მინდობილობით. საწარმოების ხელმძღვანელები ამნაირად გახდებიან ნდობით აღჭურვილ პირებად. ასე კერძო საკუთრება თანდათანობით გარდაიქმნება საზოგადოებრივ საკუთრებად.

---

[1] «Изложение учения Сен-Симона», М., 1961, стр. 254.

სენსიმონისტების ახალი სიტყვა აგრეთვე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ცდილობდნენ მომავალი წყობილების მატერიალური საფუძველი ძველი წყობილების წიაღში მოენახათ. სოციალიზმი, მათი წარმოდგენით, უნდა აღმოცენებულიყო როგორც საწარმოო ძალთა განვითარების კანონზომიერი შედეგი. საზოგადოების ინტერესებისათვის წარმოების მომავალი გეგმაზომიერი ორგანიზაციის ასეთ ჩანასახს კაპიტალიზმის საკრედიტო-საბანკო სისტემაში ხედავდნენ. მართალია, მოგვიანებით სენსიმონისტების ეს ღომა აზრები იქცა წვრილბურჟუაზიული და აშკარა ბურჟუაზიული ხასიათის „საკრედიტო ფანტაზიებად". მაგრამ თვით იდეას იმის შესახებ, რომ სოციალისტურმა საზოგადოებამ შეიძლება გამოიყენოს კაპიტალიზმის მიერ შექმნილი მსხვილი ბანკების მექანიზმი საზოგადოებრივი აღრიცხვის, კონტროლისა და მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის, მარქსიზმის კლასიკოსები გენიალურ მიხვედრად თვლიდნენ.

სენ-სიმონისა და მისი მოწაფეების შრომებში ჩვენ ვნახულობთ პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი კატეგორიების სპეციალურ განხილვას. ისინი არ აანალიზებენ ღირებულების შექმნასა და განაწილებას, ხელფასის, მოგების, რენტის კანონზომიერებებს. ნაწილობრივ ისინი კმაყოფილდებოდნენ ამ ეპოქის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიერ ძიღებული წარმოდგენებით. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათი აზრები ვითარდებოდა პრინციპულად სხვა მიმართულებით და სხვა ამოცანებს ისახავდა. მათი დამსახურება ეკონომიკურ მეცნიერებაში იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გამოვიდნენ ბურჟუაზიული კლასიკოსებისა და სეის ფუძემდებლური დოგმის — კაპიტალისტური წყობილების ბუნებრივობისა და მუდმივობის — წინააღმდეგ. ამით ამ წყობილების მეურნეობის კანონზომიერებების საკითხი გადადიოდა სრულიად სხვა სიბრტყეში. პოლიტიკური ეკონომიის წინაშე დადგა ახალი ამოცანა: ეჩვენებინა, ისტორიულად როგორ აღმოცენდა და ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოების წესი, როგორია მისი წინააღმდეგობანი, რატომ და როგორ უნდა დაუთმოს მან ადგილი სოციალიზმს. სენსიმონისტებს არ შეეძლოთ ამ ამოცანის გადაწყვეტა, მაგრამ მისი დაყენება დიდი მიღწევა იყო.

1831 წლიდან დაწყებული პერიოდი წარმოადგენს სენსიმონიზმის მ ე ო თ ხ ე სტადიას და დაშლას. სენსიმონისტები, რომელთაც მუშათა კლასში არ ჰქონდათ რამდენადმე მყარი პოზიციები, საფრანგეთის პროლეტარიატის პირველი რევოლუციური გამოსვლების წინაშე მთლად დაბნეული აღმოჩნდნენ. კიდევ უფრო დააშორა ისინი მუშათა კლასს და დემოკრატიულ მოსწავლე ახალგაზრდობასაც კი რელიგიურმა სექტანტურმა შეფერილობამ, რაც სენსიმონიზმმა მიიღო ამ წლებში. ანფანტენი გახდა სენსიმონისტური ეკლესიის „უმაღლესი მამა", დაარსდა თავისებური რელიგიური კომუნა, შემოღებულ იქნა სპეციალური

უნიფორმა (ჟილეტი უკან შესაკრავებით). აღმოცენდა მკვეთრი შეუთანხმებლობა მოძრაობის შიგნით სენ-სიმონის მიმდევრების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. კამათი დაიძაბა სქესთა ურთიერთობისა და კომუნაში ქალის მდგომარეობის საკითხზე. 1831 წ. ნოემბერში ბაზარი თავის მომხრე ჯგუფთან ერთად გამოვიდა ეკლესიიდან. მალე ორლეანისტურმა მთავრობამ, რომელიც 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ანფანტენისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ მოაწყო სასამართლო პროცესი, მათ ბრალი დასდო ზნეობრიობის შეურაცხყოფასა და საშიში იდეების ქადაგებაში. ანფანტენს ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა. მოძრაობა ორგანიზაციულად დაიშალა, ზოგიერთი მისი წევრი აგრძელებდა სენსიმონიზმის ქადაგებას დაქსაქსულად და წარუმატებლად, ზოგიერთი სხვა სოციალისტურ მიმართულებას მიემხრო, სხვანი გადაიქცნენ რიგიან ბურჟუებად.

მიუხედავად ამისა, ერთობ დიდი იყო სენსიმონიზმის გავლენა სოციალისტური იდეების შემდგომ განვითარებაზე საფრანგეთში, ნაწილობრივ კი სხვა ქვეყნებშიც. სენსიმონისტების ძალა იმაში იყო, რომ მათ რელიგიის ყველა უაზრობის მიუხედავად, ჰქონდათ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის გაბედული და თანამიმდევრული პროგრამა.

შარლ ფურიეს მცირე ცხოვრება

ფურიეს თხზულებანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურაში ერთადერთი თავისებური მოვლენაა. ეს არის არა მხოლოდ მეცნიერული ტრაქტატები, არამედ ბრწყინვალე პამფლეტები და არაჩვეულებრივი გამჭრიახი ფანტაზიები. მათში ბრწყინვალე სატირა ეხამება უცნაურ მისტიკას, წინასწარმეტყველური ჭვრეტა — თითქმის ბოდვით ჭორს. ფართო და ბრძნული განზოგადებანი — მომავალი საზოგადოების ადამიანების ცხოვრების მომაბეზრებელ რეგლამენტაციას. ფურიეს მთავარი შრომების გამოქვეყნებიდან ას ორმოცდაათი წელი გავიდა. თვით ცხოვრებამ გამოყო ფურიეს შრომებში მისტიკა და უსაფუძვლო ფანტაზიები ჭეშმარიტად გენიალური იდეებისაგან ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნის შესახებ.

შარლ ფურიე დაიბადა 1772 წ. ბეზანსონში. ფურიეს მამა, შეძლებული ვაჭარი, გარდაიცვალა მაშინ, როცა ბიჭი 9 წლის იყო. ერთადერთ ვაჟიშვილს ოჯახში მემკვიდრეობით უნდა მიეღო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი და მამის საქმე. მაგრამ შარლ ფურიე ძალიან ადრე მოექცა კონფლიქტში თავის წრესთან და ოჯახთან. მოტყუება და თაღლითობა, რასთანაც ვაჭრობა იყო დაკავშირებული, მას აღაშფოთებდა უკვე ბავშვობის წლებში.

ფურიემ განათლება მიიღო ბეზანსონში, იეზუიტების სასწავლო დაწესებულებაში, მას მეცნიერების, ლიტერატურის, მუსიკის ჩინებული ნიჭი ჰქონდა. მოგვიანებით იგი ცდილობდა შესულიყო სამხედრო-საინჟინრო სკოლაში, მაგრამ მას ეს არ გამოუვიდა. შემდგომში ფურიეს შეეძლო თავისი ცოდნის შევსება მხოლოდ კითხვით. ფურიეს კანათლებაში დარჩა ხარვეზები, რომლებმაც თავი იჩინეს მის თხზულებებში. კერძოდ, მას საგანგებოდ არასოდეს უსწავლია ინგლისელი და ფრანგი ეკონომისტების შრომები. ფურიე გაეცნო მათ იდეებს საკმაოდ გვიან და არა პირველი წყაროთი — საჟურნალო სტატიებითა და მცოდნე ადამიანებთან საუბრებით. იგი არასოდეს არ ცდილობდა რამდენადმე დაწვრილებით გაეანალიზებინა ეკონომისტთა თეორიები, პრინციპულად უარყოფდა თვით მათ აზრს, თვლიდა ამ თეორიებს ბილწი „ცივილიზაციის წყობილების", ე. ი. კაპიტალიზმის შიშველ აპოლოგეტიკად.

ხანგრძლივი დავისა და ბუნტის ცდის შემდეგ 18 წლის ფურიე იძულებულია დაემორჩილოს ოჯახის გავლენას და დაიწყოს მოწაფედ სამსახური დიდ სავაჭრო სახლში ლიონში. ამ სამრეწველო ქალაქში ეწერა მას ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის გატარება, ხოლო ლიონში საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დაკვირვებამ ხელი შეუწყო მისი სოციალურ-ეკონომიკური იდეების ჩამოყალიბებას. 1792 წ. მიიღო მამის მემკვიდრეობის წილი და ხელი მოჰკიდა საკუთარ სავაჭრო საქმეს.

ფურიეს ახალგაზრდობა რევოლუციის წლებს დაემთხვა. აქამდე დიდი ისტორიული მოვლენები, როგორც ჩანს, მას მცირედ შეეხო, მაგრამ მრისხანე 93-მა წელმა შეატრიალა ახალგაზრდა ვაჭრის მთელი ცხოვრება. იაკობინელთა კონვენტის წინააღმდეგ ლიონის აჯანყების დროს იგი აჯანყებულთა რიგებში აღმოჩნდა, ხოლო კაპიტულაციის შემდეგ — საპატიმროში. მთელი მისი ქონება დაიკარგა. მან მიაღწია საპატიმროდან განთავისუფლებას და მშობლიურ ბეზანსონში წავიდა. კონტრრევოლუციასთან ჭაბუკი ფურიე მიიყვანა, როგორც ეტყობა, არა რწმენამ, არამედ გარემოებებმა. შესაძლოა, იგი ძალით იყო მობილიზებული მეამბოხეთა ჯარში. მალე იგი შევიდა რევოლუციურ არმიაში და წელიწადნახევარს ემსახურა რესპუბლიკას. ჯანმრთელობის გამო ჯარიდან დათხოვნილი (მთელი ცხოვრება ფურიე სუსტი ჯანმრთელობის იყო) იგი მიექირავა სავაჭრო ფირმას კომივოიაჟორად, შემდეგ კი ლიონში გახდა წვრილი სავაჭრო მაკლერი. ამ წლებში მას მოუხდა ხშირი მოგზაურობა საფრანგეთში და აკვირდებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. იგი ხედავდა, რომ სოციალური კიბის ზედა საფეხურზე თავადაზნაურობის ადგილი დაიკავა ახალმა მდიდრებმა — არმიის მომმარაგებლებმა, სპეკულანტებმა, მებირჟეებმა, ბანკირებმა. ახალმა ფაზამ, რომელშიც შევიდა „ცივილიზაციის წყობი-

ლება", მოსახლეობის უზარმაზარი მასებისათვის წარმოშვა მხოლოდ ახალი უბედურება და გაჭირვება.

1803 წ. დეკემბერში ლიონის გაზეთში ფურიემ გამოაქვეყნა პატარა სტატია სათაურით: „საყოველთაო ჰარმონია", სადაც იუწყებოდა თავის „საოცარ აღმოჩენაზე". იგი წერდა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების საფუძველზე აღმოაჩენს (ან უკვე აღმოაჩინა) „სოციალური მოძრაობის კანონები", როგორც სხვა მეცნიერებმა აღმოაჩინეს „მატერიალური მოძრაობის კანონები". უფრო სრულად ფურიეს იდეები გადმოცემული იყო 1808 წ. ლიონში ანონიმურად გამოცემულ წიგნში — „ოთხი მოძრაობისა და საყოველთაო ბედის თეორია".

ამ ნაწარმოების ფორმის მთელ უცნაურობასთან ერთად, იგი შეიცავს ფურიეს „სოციეტარულ გეგმას", ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოების გარდაქმნის გეგმას მომავალ „ჰარმონიულ წყობილებად".

ფურიეს წიგნი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ ამან არ შეამცირა მისი ენთუზიაზმი. იგი აგრძელებდა მუშაობას თავისი იდეების განვითარებაზე. მისი ცხოვრების პირობები რადმენადმე შემსუბუქდა მას შემდეგ, როცა 1811 წ. იგი გადავიდა სახელმწიფო სამსახურში, ხოლო მალე მიიღო დედის ანდერძით მცირე პენსია. 1816 — 1822 წწ. ფურიე პროვინციაში, ლიონის ახლოს ცხოვრობდა. მას გამოუჩნდნენ მომხრეები. პირველად ცხოვრებაში მას შეეძლო ემუშავა შედარებით მშვიდ პირობებში.

ფურიე ცდილობდა დაწვრილებით დაემუშავებინა და დაესაბუთებინა შრომითი ასოციაციების მოწყობა, რომელთაც იგი ფ ა ლ ა ნ გ ე ბ ს უწოდებდა. შენობას, რომელშიც უნდა ეცხოვრათ, ეშრომათ და დაესვენათ ფალანგის წევრებს, ეწოდებოდა ფ ა ლ ა ნ ს ტ ე რ ი. ფურიე იმედოვნებდა, რომ ექსპერიმენტული ფალანგები შეიძლებოდა შექმნილიყო დაუყოვნებლივ, მთელი საზოგადოებრივი წყობილების ცვლილების გარეშე. ფურიე პარიზში ცხოვრობდა და ყოველ დღეს გამოცხადებულ დროს გულუბრყვილოდ ელოდა სახლში მდიდარ შემწირველებს, რომელთა სახსრებით შეიძლებოდა აგებულიყო ფალანსტერი. რა თქმა უნდა, ასეთი მდიდრები არ მოდიოდნენ.

ფურიე კვლავ იძულებულია იმუშაოს პარიზისა და ლიონის კანტორებში, თავის სარჩენი ფულის საშოვრად. მხოლოდ 1828 წ. მეგობრებისა და მიმდევრების მხარდაჭერით მოახერხა მან განთავისუფლებულიყო მისთვის მოძულებული მონობისაგან. იგი განმარტოვდა ბეზანსონში და იქ დაასრულა წიგნი, რომელზეც უკვე რამდენიმე წელი მუშაობდა. ეს წიგნია — „ახალი სამეურნეო და სოციეტარული მსოფლიო" (1829 წ.) — ფურიეს საუკეთესო ნაწარმოები. ამ დროისათვის მისი პირველი ლიტერატურული ცდების შემდეგ მეოთხედი საუკუნე იყო გასული. კაპიტალიზმის განვითარებამ მოიტანა მასალების ახალი

უზარმაზარი მასა მისი კრიტიკისათვის. ამასთან ერთად ფურიე ავითარებდა თავის შეხედულებებს მომავალ საზოგადოებაზე, გადმოსცემდა მას უფრო პოპულარულად და მისტიკისაგან გაწმენდილი სახით.

სიცოცხლის ბოლო წლები ფურიემ პარიზში გაატარა. იგი განაგრძობდა დაძაბულ მუშაობას. ფურიეს გონება მუშაობდა განუწყვეტლივ და დიდი შემოქმედებითი ენერგიით, თუმცა მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. შარლ ფურიე გარდაიცვალა 1837 წ. ოქტომბერში.

1830 წ. შემდეგ უკვე მნიშვნელოვანი ფურიეისტული მოძრაობა არსებობდა. მიუხედავად ამისა, თვით ფურიე ძლიერ მარტო იყო სიცოცხლის ბოლო წლებში. ძლიერდებოდა დაშორება მასა და ბევრ მის მოწაფეს შორის, რომლებიც ცდილობდნენ ფურიეს გაბედული მოძღვრებისათვის უკბილო რეფორმისტული იერი მიეცათ. ბევრისათვის ძნელი ასატანი იყო მისი ხასიათი, რომელშიც სიბერე და ავადმყოფობა აძლიერებდა ეჭვიანობას, მიუნდობლობას. სიჯიუტეს.

ბურჟუაზიული საღი აზრის თვალთახედვით ფურიე, ისევე როგორც სენ-სიმონი, იყო, რა თქმა უნდა, თითქმის შეშლილი. ენამახვილნი ამ საბაბით იყენებდნენ დიდი უტოპისტების გვარებსაც (sait — წმინდა, fou — შეშლილი). მაგრამ იგი იყო ერთი იმ შეშლილთაგანი, რომელზეც ბერანჟემ თქვა:

ბატონებო! თუ წმინდა სიმართლისაკენ
სამყაროს გზის მოძებნა არ შეუძლია, —
პატივი შეშლის, რომელიც მოგვრის
კაცობრიობას ოქროს სიზმარს.

შარლ ფურიეს თვალსაზრისით ნამდვილად შეშლილი იყო ის სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

ეს შეშლილი სამყარო

ფურიე შეეცადა წარმოედგინა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერება. კაცობრიობის ისტორია მისი ალმოცენებიდან ჰარმონიის მომავალ საზოგადოებამდე ფურიესთან შემდეგნაირად გამოიყურება:[1].

პერიოდები, რომლებიც წინ უძღოდა საწარმოო საქმიანობას	1. პირველყოფილი, ედემად წოდებული 2. ველურობა, ანუ გაურჯელობა
დაქუცმაცებული, მოტყუებითი, განმზიდი წარმოება	3. პატრიარქატი, წვრილი წარმოება 4. ბარბაროსობა, საშუალო წარმოება 5. ცივილიზაცია, მსხვილი წარმოება
სოციეტარული, ალალმართალი მიმზიდველი წარმოება	6. გარანტიზმი, ნახევრად ასოციაცია 7. სოციალიზმი, მარტივი ასოციაცია 8. ჰარმონიზმი, რთული ასოციაცია

[1] См. Ш. Фурье. Избранные сочинения. т. III, М., 1954.

ცივილიზაციის პერიოდის შიგნით ფურიე გამოყოფდა ოთხ ფაზას. ორი პირველი არსებითად წარმოადგენს მონათმფლობელურ და ფეოდალურ წყობილებას, მესამე კი — ფურიესდროინდელ თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმს.

როგორც ვხედავთ, ფურიემ არა მარტო გამოყო საერთოდ ძირითადი სტადიები ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, არამედ აგრეთვე დაუკავშირა ისინი წარმოების მდგომარეობას თითოეულ ამ სტადიაზე. ამით მან გზა გაუკაფა მარქსის მიერ შემოტანილ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნებას. ენგელსი წერდა, რომ საზოგადოების ისტორიის გაგებაში ყველაზე ნათლად გამოვლინდა ფურიეს სიდიადე.

რაც შეეხება ცივილიზაციის მეოთხე ფაზას, მისი განხილვა წარმოადგენს ფურიეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი წინასწარმეტყველების მაგალითს: მან თავისებური ფორმით იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის გადასვლა მონოპოლისტურ სტადიაზე, რომელსაც იგი სავაჭრო ფეოდალიზმს უწოდებდა. ფურიე ავლენდა დიალექტიკური აზროვნების არაჩვეულებრივ ნიჭს და გვიჩვენებდა, რომ თავისუფალი კონკურენცია კანონზომიერად იქცევა თავის დაპირისპირებულობად, მივყავართ მონოპოლიასთან, რომელიც მას წარმოედგინა პირველ რიგში „ახალი ფეოდალების“ მიერ ვაჭრობისა და საბანკო საქმის მონოპოლიზაციის სახით.

ფურიემ კაპიტალიზმს, რომელსაც ის უკეღმართ სამყაროს უწოდებდა, წაუყენა თავისი ეპოქისათვის გაბედულებით და სიღრმით უმაგალითო საბრალდებო აქტი, რომელმაც ნაწილობრივ ჩვენი დროისათვისაც კი შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. მაგრამ აქ იყო ფურიეს ძალაც და სისუსტეც. იგი ხატავდა კაპიტალიზმის დანაშაულობებს და ვერ ახსნა მათი ძირეული მიზეზები, რამდენადაც არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოებით ურთიერთობებსა და კლასობრივ სტრუქტურაზე. სენ-სიმონის მსგავსად ფურიე მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშებს ერთ მშრომელ კლასად თვლიდა. მართალია, მან ფაბრიკანტები „სოციალური პარაზიტების“ რიცხვში ჩართო, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი „არანაკლები ნახევრისა“ აწარმოებს ცუდი ხარისხის ნაწარმს და ატყუებს საზოგადოებასა და სახელმწიფოს. აქედან წარმოდგებოდა მისი გულუბრყვილო იდეალისტური რწმენა გონების წყალობით საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნის შესაძლებლობაში. კერძოდ, ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ მისი მოძღვრების მიღების გზით.

დღიური ლუკმის ძებნაში ფურიე იძულებული იყო ხელი მოეკიდა კომერციისათვის, თუმცა პათოლოგიური ზიზღის გრძნობა ჰქონდა კაპიტალისტური ვაჭრობის მიმართ. სავაჭრო და ფულადი კაპიტალი

მას მიაჩნდა ექსპლუატაციისა და პარაზიტიზმის მთავარ მატარებლად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

„კაპიტალისტურ წარმოებას ფურიე ახასიათებდა როგორც ანტისოციალურს, გათიშულს, დაქუცმაცებულს. რა აზრით? ბურჟუაზიული წარმოების ერთადერთი მიზანია მეწარმეთა მოგება და არა საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. /ამიტომ კაპიტალიზმის მუდმივი ნიშანია ინტერესთა ანტაგონიზმი საქონლის ინდივიდუალურ მწარმოებლებსა და საზოგადოებას შორის. მეწარმეთა შორის კონკურენცია სრულიადაც არ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, როგორც ამას ეკონომისტები ამტკიცებენ, არამედ, პირიქით, არღვევს მათ, იმით, რომ ქმნის წარმოების ანარქიას, ქაოსს და ომის ვითარებას ყველასი ყველას წინააღმდეგ. მოგებისადმი გამოდევნება და კონკურენცია წარმოშობს დაქირავებული მუშების საშინელ ექსპლუატაციას. სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის უფსკრულის ზრდაში, სიღატაკეში სიუხვისას ფურიე ხედავდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრების უმნიშვნელოვანეს დამადასტურებელს კონკურენციის თავისუფლების თავისი პრინციპებით.

„ცივილიზაციის წყობილებამ“ შრომა ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედებიდან, სიხარულის წყაროდან წყევლად და საშინელებად აქცია. ამ საზოგადოებაში ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ყოველნაირი გზით ცდილობს თავი დააღწიოს შრომას. შრომა წვრილი მესაკუთრის — გლეხის, ხელოსნის, მეწარმისაც კი — ესაა განუწყვეტელი ბრძოლა კონკურენტებთან, უზრუნველყოფილობის არარსებობა, დამოკიდებულება. მაგრამ შეუდარებლად უფრო მძიმეა დაქირავებული მუშის შრომა, შრომა იძულებითი და უუნარო, მისცეს რაიმე დაკმაყოფილება ადამიანს. წარმოების ზრდასთან, მის კონცენტრაციასა და მსხვილი კაპიტალისადმი მის დამორჩილებასთან ერთად ასეთი შრომა ხდება სულ უფრო გავრცელებული.

ფურიე ამათრახებს არა მხოლოდ კაპიტალიზმის ეკონომიკურ წყობილებას, არამედ აგრეთვე მის პოლიტიკას, მორალს, კულტურას, აღზრდის სისტემას. განსაკუთრებით ბევრს და მკვეთრად წერდა იგი ოჯახის შესახებ, თუ როგორ რყვნის კაპიტალიზმი სქესთა ბუნებრივ, ადამიანურ ურთიერთობას და ქალს აყენებს არათანასწორუფლებიან, დაჩაგრულ მდგომარეობაში.

დავუბრუნდეთ ახლა ცხრილს, სადაც გამოსახულია საზოგადოების განვითარების ფურიესეული პერიოდები. ჩვენ ვხედავთ, რომ ცივილიზაციასა და ჰარმონიზმს შორის ფურიემ მოათავსა ორი გარდამავალი პერიოდი, რომლებსაც მან უწოდა გ ა რ ა ნ ტ ი ზ მ ი და ს ო ც ი ა ნ ტ ი ზ მ ი. იგი მრავალჯერ აცხადებდა, რომ მისი მიზანია ცივილიზაციის წყობილების არა რაიმე კერძო რეფორმა, არამედ ამ წყობილების მოსპობა და პრინციპულად ახალი საზოგადოების შექმნა. მაგ-

რამ რამდენადაც ფურიე გამორიცხავდა გადასვლის რევოლუციურ გზას და ითვალისწინებდა უდიდეს სიძნელეებს, იგი თანახმა იყო წასულიყო კომპრომისზე და უშვებდა, რომ ცივილიზაციის ადამიანებს დასჭირდებათ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დრო ჰარმონიზმის შესაქმნელად.

პირველი გარდამავალი პერიოდის — გარანტიზმის ძირითად ნიშნებს იგი შემდეგნაირად სახავდა: კერძო საკუთრება არსებითად სახეს არ შეიცვლის, მაგრამ დაექვემდებარება კოლექტიურ ინტერესებსა და კონტროლს. აღმოცენდება ნაწილობრივი ასოციაციები, რომლებიც ოჯახების ჯგუფებს აერთიანებენ ერთობლივი შრომისათვის, აგრეთვე კვებისა, დასვენებისათვის და სხვ. ფურიეს როგორც ყველა უტოპია, გარანტიზმიც არ მოითხოვს ფართო ცვლილებებს პოლიტიკურ წყობილებაში, იგი შეიძლება დაიწყოს აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქიის, რესპუბლიკისა და სხვა ნებისმიერი წყობილების დროს.

ფურიე თვლიდა, რომ თვით ცივილიზაციის წყობილებაში უკვე განვითარდა გარანტიზმის ზოგიერთი წანამძღვარი, რომ ამისაკენ მიემართება „ცივილიზაციის წყობილების გენიები". მხოლოდ ადამიანთა შეცდომა, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი მეცნიერებების ზემოქმედება, ხელს უშლის გარანტიზმზე გადასვლას. მეორე მხრივ, გარანტიზმი, როგორც დამყარდება, სწრაფად დაარწმუნებს კაცობრიობას ახალი საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობებში და მოამზადებს მას სრული ასოციაციის წყობილებისათვის.

მაგრამ ფურიეს გარანტიზმს შეიძლება შევხედოთ სხვანაირად: როგორც რეფორმების სისტემას, რომელიც აუმჯობესებს კაპიტალიზმს, „ასატანად" ხდის მას და სრულიადაც არ ამზადებს მას მოსასპობად. მაშინ ფურიეს მოძღვრება იქცევა ჩვეულებრივ რეფორმიზმად, იგი დგება იმ იდეების რიგში, რომლებმაც მოამზადეს ბურჟუაზიული „კეთილდღეობის სახელმწიფოს" თანამედროვე კონცეფციები და პრაქტიკა. თვით ფურიე გააპროტესტებდა მისი იდეების ასეთ განმარტებას, მაგრამ ბევრ ფურიეისტს სწორედ აქეთ მიყავდა საქმე.

XIX ს. 30-იან და ნაწილობრივ 40-იან წლებში ფურიეიზმი იყო მთავარი სოციალისტური მიმართულება საფრანგეთში. იგი უფრო ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, ვიდრე სენსიმონიზმი, რადგანაც არ გააჩნდა რელიგიურ-სექტანტური ფორმა და აყენებდა უფრო ახლობელ და რეალისტურ იდეალებს, განსაკუთრებით საწარმოო-სამომხმარებლო კოოპერატივს ფალანგის სახით. მაგრამ საფრანგეთის მუშათა კლასში ფურიეს მოძღვრებას სუსტი პოზიციები ჰქონდა და გავრცელებული იყო უმთავრესად ინტელიგენტ ახალგაზრდობაში.

1848 წ. რევოლუციამ ფურიეისტებს უბიძგა პოლიტიკური მოღვაწეობის არენაზე, სადაც მათ დაიკავეს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ახლო პოზიციები. ივნისის დღეებში მათ მხარი არ დაუჭირეს სახალხო აჯანყებას და ერთი წლის შემდეგ შეეცადნენ ლუი ბონა-

პარტის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას, მაგრამ ადვილად დათრგუნეს ისინი. საფრანგეთში დარჩენილი ფურიეისტების მცირე ნაწილი მოგვიანებით ეწეოდა კოოპერატიულ საქმიანობას. ფურიეიზმის ისტორიული როლი ამოიწურა. თუ ფურიე, თუმცა შეუცნობლად, ბევრად გამოხატავდა მუშათა კლასის ინტერესებს, მისი მიმდევრები წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის პოზიციებზე დაეშვნენ.

მომავლის სახე

სენ-სიმონმა დატოვა მომავალი საზოგადოებრივი წყობილების გენიალური საერთო ესკიზი, ფურიე ამუშავებდა მის ელემენტებს გამჭრიახი დეტალიზაციით. ორივე უტოპია ბევრით განსხვავდება ერთი. მეორისაგან, მაგრამ აქვთ უმნიშვნელოვანესი საერთო ნიშანი: ისინი ხატავენ სოციალისტურ საზოგადოებას გარკვეული შეზღუდვებით, რომელთაგან მთავარია კერძო საკუთრებისა და არაშრომითი შემოსავლების შენარჩუნება; მაგრამ ორივე სისტემაში კერძო საკუთრებამ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ბუნება და დაემორჩილოს კოლექტივის ინტერესებს, ხოლო არაშრომითმა შემოსავალმა თანდათანობით უნდა შეიძინოს შრომითი შემოსავლის ნიშნები.

ამჟამად სენ-სიმონისა და ფურიეს უტოპიები თითოეული ძვირფასია თავისებურად. სენ-სიმონთან და მის მოწაფეებთან შესანიშნავია ქვეყნის მასშტაბით ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკა და კოლექტივიზმის საწყისებზე მისი მართვის სისტემა. ფურიესთან — სოციალისტური საზოგადოების ცალკეულ უჯრედებში შრომისა და ცხოვრების ორგანიზაციის ანალიზი.

განვიხილოთ ფურიეს უტოპიის ეკონომიკური მხარე. ფურიეს ფალანგა — ესაა საწარმოო-სამომხმარებლო ამხანაგობა, რომელიც თავის თავში ახამებს კომუნის ნიშნებს ჩვეულებრივი სააქციო საზოგადოების ნიშნებთან. ფალანგის მონაწილეთა რიცხვს ბავშვებთან ერთად ფურიე სხვადასხვა ნაშრომში განსაზღვრავს 1500-დან 2000 კაცამდე. მისი აზრით, ასეთ კოლექტივში იქნება ადამიანთა ხასიათების აუცილებელი და საკმაო შენაკრები შრომის ოპტიმალური განაწილებისათვის როგორც ადამიანთა მიდრეკილების თვალსაზრისით, ისე სასარგებლო შედეგის თვალსაზრისით. ფალანგაში ეხამება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოება პირველის სიჭარბით.

წარმოების საშუალებათა ამოსავალ ფონდს ფალანგა ღებულობს აქციონერთა შენატანების ხარჯზე. ამიტომ მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ კაპიტალისტები. ამასთან ერთად, ფალანგაში მიიღებიან ღარიბებიც, რომლებიც დასაწყისში შეიძლება არ იყვნენ აქციონერები და თავიანთი წვლილი შექმნან შრომით. აქციებზე საკუთრება კერძოა. ფალანგაში შენარჩუნებულია ქონებრივი უთანასწორობა. მაგრამ

კაპიტალისტი, რომელიც ფალანგის წევრი ხდება, უკვე აღარ არის კაპიტალისტი ძველი გაგებით. შემოქმედებითი შრომის საერთო ვიოარება მას აბამს უშუალო წარმოების პროცესში. თუ მას აქვს ხელმძღვანელის, ინჟინრის, მეცნიერის ტალანტი, საზოგადოება მის შრომას ამ თვისებაში იყენებს. თუ არა, იგი მუშაობს მისი არჩევანის მიხედვით, ნებისმიერ „სერიაში“ (ბრიგადაში). მაგრამ, რამდენადაც მდიდრებისა და ღარიბების შვილები ერთ ჯანმრთელ გარემოში იზრდებიან, ეს განსხვავება მომდევნო თაობებში შეიძლება წაიშალოს. მსხვილ აქციონერებს ზოგიერთი პრივილეგია აქვთ ფალანგის მართვაში. მაგრამ არ შეიძლება ისინი ჭარბნი იყვნენ ხელმძღვანელ ორგანოში და ამ ორგანოს როლიც საკმაოდ შეზღუდულია.

ფურიე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციას. შრომის კაპიტალისტური დანაწილების უარყოფითი მხარეები მას სურდა მოესპო ადამიანთა ხშირი გადასვლით შრომის ერთი სახეობიდან მეორეზე. თითოეული ადამიანი იქნება გარანტირებული ცხოვრების გარკვეული მინიმუმით, რის შედეგადაც შრომა აღარ იქნება იძულებითი, არამედ გახდება თავისუფალი ცხოველმოქმედების გამოხატულება. აღმოცენდება შრომისადმი სრულიად ახალი სტიმულები: შეჯიბრება, საზოგადოებრივი აღიარება, შემოქმედების სიხარული.

საზოგადოების სიმდიდრე და შემოსავალი სწრაფად გაიზრდება, პირველ რიგში შრომის ნაყოფიერების გადიდებით. გარდა ამისა, გაქრებიან პარაზიტები, იმუშავებს ყველა. ბოლოს, ფალანგა თავს დააღწევს ყოველნაირი დანაკარგების მასას და არამწარმოებლურ დანახარჯებს, რაც გარდუვალია ძველ წყობილებაში. მომავლის საზოგადოება, ფურიეს მიხედვით, ესაა ნამდვილი სიუხვის საზოგადოება. ასკეტიზმი, რასაც ხშირად უკავშირებდნენ და უკავშირებენ მომავალ საზოგადოებაზე წარმოდგენას, სრულიად უცხო იყო ფურიესათვის.

ფალანგაში არ არის დაქირავებული შრომა და ხელფასი. შრომის პროდუქტების განაწილება (ფულადი ფორმით) ხდება ფალანგის წევრებზე განსაკუთრებული სახის დივიდენდების გაცემით შრომის, კაპიტალისა და ტალანტის მიხედვით. მთელი წმინდა შემოსავალი სამ ნაწილად იყოფა: შემოსავლის 5/12 ეძლევა „მუშაობის აქტიურ მონაწილეებს“, 4/12 — აქციების მფლობელებს, 3/12 — „თეორიული და პრაქტიკული ცოდნის“ ადამიანებს. რამდენადაც ფალანგის თითოეული წევრი ჩვეულებრივ ერთდროულად ეკუთვნის ორ, ზოგჯერ კი სამ კატეგორიას, მათი შემოსავალი ყალიბდება რამდენიმე ფორმისაგან. ფალანგის თითოეული წევრის შრომის ანაზღაურება განსხვავებულია მის მიერ შესრულებული სამუშაოს საზოგადოებრივი მნიშვნელობით, მიმზიდველობით და უსიამოვნობით. მაგრამ ჩვეულებრივი (უმთავრესად ფიზიკური) შრომის ანაზღაურება თანაბრდება სხვადასხვა „შრო-

შით სერიებში“ ადამიანის მონაწილეობის წყალობით. თუ, მაგალითად, ადამიანი საშუალოზე რამდენადმე ნაკლებს ღებულობს როგორც მებაღე, სამაგიეროდ საშუალოზე მეტს ღებულობს როგორც მეჯინიბე ან მეღორე.

ფურიე ვარაუდობდა განაწილებაში შრომის ფაქტიური წილის რამდენადმე გადიდებას კაპიტალის ხარჯზე, განსაკუთრებით ტენდენციაში სხვადასხვა ტიპის აქციაზე დიფერენცირებული დივიდენდების შემოღების გზით. „მუშათა აქციებზე“, რომელიც შეზღუდული ოდენობით შეიძინება მცირე დანაზოგებით, იგი წინადადებას იძლეოდა გაცემულიყო მაღალი დივიდენდები, ხოლო კაპიტალისტების ჩვეულებრივ აქციებზე — გაცილებით უფრო დაბალი დივიდენდები. კერძო საკუთრება კი არ მოვსპოთ, არამედ საზოგადოების ყველა წევრი ვაქციოთ მესაკუთრედ და ამით წავართვათ კერძო საკუთრებას ექსპლუატატორული ხასიათი და დამღუპველი სოციალური შედეგები — აი რა უნდოდა ფურიეს.

ფალანგის წევრების ფულადი შემოსავლები იხარჯება საქონელსა და მომსახურებაზე ვაჭრობის მეშვეობით, რომელიც მთლიანად ასოციაციის ხელშია. ორგანიზაცია, რომელიც ფალანგის სახელით გამოდის, ვაჭრობს აგრეთვე სხვა ფალანგებთან. საზოგადოებრივი არბიტრები აწესებენ ფასებს, რომელთა მიხედვითაც საქონელი იყიდება საცალო ვაჭრობაში.

ფურიეს სისტემა სავსეა წინააღმდეგობებით და აშკარა ხარვეზებით. მიუხედავად ფურიეს მისწრაფებისა, ყველაფერი გაითვალისწინოს და რეგლამენტს დაუქვემდებაროს, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრი რამ ფალანგში რჩება ბუნდოვანი და საეჭვო. როგორია სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ხასიათი და მასშტაბები ფალანგაში? როგორ უცვლიან თავიანთი შრომის შედეგებს ერთმანეთს მისი ქვედანაყოფები, კერძოდ როგორ გადაეცემა წარმოების შემდგომ სტადიას ნედლეული და ნახევარფაბრიკატები? თუ აქ ყიდვა-გაყიდვა არ არის და არის მხოლოდ რაღაცა ცენტრალიზებული აღრიცხვა (ასე შეიძლება გაუგო ფურიეს), მაშინ რად უნდა ფალანგას სასაქონლო ბირჟა, რასაც იგი დაწვრილებით აღწერს?

ბუნდოვანია, როგორ წარმოიქმნება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებმაც დიდი როლი უნდა შეასრულონ ფალანგაში (სკოლები, თეატრები, ბიბლიოთეკები, დანახარჯები დღესასწაულებზე და სხვ.). ფალანგაში თითქოს არ არის ასეთი მიზნებისათვის ანარიცხები ერთობლივი შემოსავლიდან, არც გადასახადები პირად შემოსავლებზე. ფურიესთან მხოლოდ გადაკრულადაა ნათქვამი, რომ მდიდრები უხვად შესწირავენ საზოგადოებრივი მიზნებისათვის.

უფრო მნიშვნელოვანია დაგროვებისა და მისი სოციალური ასპექტების საკითხი. რამდენადაც კვლავ არაა გათვალისწინებული ანა-

რიცხები ერთობლივი შემოსავლიდან კაპიტალდაბანდებებზე, დაგროვების ფონდზე, როგორც ჩანს, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს ფალანგის წევრების ინდივიდუალური დანაზოგებიდან, რომლის ფორმაც შეიძლება იყოს აქციების ყიდვა. მაგრამ კაპიტალისტებს თავიანთი მაღალი შემოსავლებიდან (თანაც მოხმარების თანაბრობისას) შეუძლიათ ბევრად მეტი დაზოგონ, ვიდრე ფალანგის სხვა წევრებს. ამიტომ უნდა მოქმედებდეს კაპიტალისა და შემოსავლის კონცენტრაციის ტენდენცია. შესაძლებელია ამის შიშით ფურიემ წამოაყენა აქციების ზემოთ აღწერილი დიფერენციაცია. მაგრამ, ამავე დროს, იგი ზრუნავდა ფალანგის მიმზიდველობაზე კაპიტალისტებისათვის და ითვალისწინებდა „სხვისი“ ფალანგების აქციების ფლობის შესაძლებლობას. უფრო სწორია ითქვას, რომ ეს სისტემა კვლავ და კვლავ წარმოშობდა კაპიტალიზმს და თვით ნამდვილ კაპიტალისტებს.

ფურიეს სისტემის ეს და სხვა მრავალი ნაკლი გვაიძულებს დავასკვნათ: ჯ ე რ ე რ თ ი, უტოპიურ სოციალიზმს მისი აღმოცენების ისტორიული პირობების გამო არ შეეძლო გვერდი აევლო წვრილბურჟუაზიული ილუზიებისათვის და ყოფილიყო თანმიმდევრული საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის პროექტებში. მ ე ო რ ე ც, აშკარად ჩასაფუშადაა განწირული მომავლის ადამიანებისათვის მოქმედებისა და ქცევის სავალდებულო წესის წინასწარ დადგენის, მათი ცხოვრების დაწვრილებით რეგლამენტაციისადმი, დაქვემდებარების ყველა ცდა.

მაგრამ ფურიეს შრომებში პირველ რიგში ვხედავთ არა ილუზიებს და შეცდომებს. მისი გენიოსობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეყრდნობოდა კაპიტალიზმის თავისეულ ანალიზს და გვიჩვენა სოციალისტური საზოგადოების ბევრი ნამდვილი კანონზომიერება. შესანიშნავია ფურიეს აზრები შრომის ორგანიზაციაზე, შრომის გადაქცევაზე ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად, შეჯიბრებაზე. ფურიემ დააყენა ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობის პრობლემა. თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს მისი აზრები მოხმარების რაციონალიზაციაზე, საზოგადოებრივი მოხმარების სფეროს გაფართოების, საოჯახო შრომისაგან ქალის განთავისუფლების, სოციალისტური ეპოქის ადამიანთა სიყვარულის თავისუფლებისა და სილაშაზის, მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის შესახებ.

მეოცე თავი

რობერტ ოუენი და ადრეული ინგლისური სოციალიზმი

„სასტუმრო ოთახში იყო პატარა სუსტი მოხუცი, მთლად გაჭაღარავებული, არაჩვეულებრივად კეთილი სახის, სუფთა, ნათელი, უწყინარი ძესახედაობის — იმ უმანკო ბავშვური მზერით, რაც რჩებათ ადამიანებს ღრმა მოხუცებულობამდე, როგორც დიადი გულკეთილობის გამონაშუქი.

ოჯახის დიასახლისის ქალიშვილები მივარდნენ ჭაღარა ბაბუას: ჩანდა, რომ ისინი მეგობრები იყვნენ.

მე შევჩერდი ბაღის კარებში.

— სწორედ რომ დროზე მოხვედით, — თქვა მათმა დედამ და მოხუცს ხელი გაუწოდა, — დღეს მე შემიძლია გიმასპინძლოთ. ნება მიბოძეთ წარგიდგინოთ ჩვენი რუსი მეგობარი. მე ვფიქრობ, — მან მომმართა და დაუმატა, — თქვენთვის სასიამოვნო იქნება გაეცნოთ ერთ თქვენს პატრიარქთაგანს.

— Robert Owen, — თქვა გულკეთილად მოღიმარე მოხუცმა: — ძალიან, ძალიან მოხარული ვარ.

მე ხელი მოვუჭირე მას ხელზე მამაშვილურად პატივისცემის გრძნობით: უფრო ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, შეიძლებოდა მუხლი მოეყარა და მეთხოვა მოხუცისათვის — ხელი დაედო ჩემთვის...

— მე დიადს ველოდები თქვენი სამშობლოსაგან. — მითხრა ოუენმა, — თქვენთან ველი უფრო სუფთაა, თქვენთან ხუცესები ისე ძლიერნი არ არიან, ცრურწმენა ისე დამყაყებული არაა... ძალები... ძალები კი!"[1].

ასე ჰყვება ა. ი. გერცენი თავისი შეხვედრის შესახებ 1852 წ ოუენთან, რომელიც მაშინ ოთხმოც წელს იყო გადაცილებული.

დიდი გულის ადამიანი

რობერტ ოუენი დაიბადა 1771 წ. პატარა ქალაქ ნიუთაუნში (უელსი) წვრილი მედუქნის, შემდეგში ფოსტის გამგის ოჯახში. ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა უკვე შვიდი წლისა გამოიყენა იგი თავის

[1] А. И. Герцен. Собр. соч., т. XI, М., 1957, стр. 206—207.

თანაშემწედ, კიდევ ორი წლის შემდეგ ოუენის სასკოლო განათლება საძუდაძოდ დამთავრდა. იგი მსახურობდა მოსწავლედ და ნოქრად სტეიმფორდის, ლონდონისა და მანჩესტერის მანუფაქტურების მაღაზიებში. წიგნის კითხვას იგი მხოლოდ ხანდახან ახერხებდა.

მანჩესტერი ამ დროს სამრეწველო რევოლუციის ცენტრი იყო. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა აქ ბამბეულის მრეწველობა. ისეთ ენერგიულ და საქმიან ახალგაზრდას, როგორიც ოუენი იყო, მალე მიეცა შესაძლებლობა, ხალხში გამოსულიყო. დასაწყისში მან ძმისაგან სესხად აიღო ფული და ერთ კომპანიონთან ერთად გახსნა პატარა სახელოსნო სართავი მანქანების დასამზადებლად, რომელიც მაშინ სწრაფად ინერგებოდა მრეწველობაში. შემდეგში საკუთარი პაწაწკინტელა სართავი საწარმო გაიჩინა, სადაც თვითონ ორი-სამი მუშით მუშაობდა. 20 წლისა გახდა მმართველი, შემდეგში კი დიდი საფეიქრო ფაბრიკის თანამფლობელი.

ფირმის საქმეებზე შოტლანდიაში ყოფნის დროს ოუენი გაეცნო გლაზგოს ახლოს დასახლება ნიუ-ლანარკში საფეიქრო ფაბრიკის პატრონის, მდიდარი ფაბრიკანტის, დავიდ დეილის ქალიშვილს. დეილის ქალიშვილზე დაქორწინებამ 1799 წ. ოუენი ნიუ-ლანარკში გადაასახლა, სადაც იგი გახდა თანამფლობელი (რამდენიმე მანჩესტერელ კაპიტალისტთან ერთად) და მმართველი თავისი სიმამრის ყოფილი ფაბრიკისა. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში ოუენი წერს, მან უკვე დიდი ხნის წინათ ჩაიფიქრა თავისი სამრეწველო და სოციალური ექსპერიმენტი და ნიუ-ლანარკში მტკიცე გეგმით ჩავიდა.

ოუენი მაშინ ჯერ კიდევ თავს არ ესხმოდა არც კერძო საკუთრებას, არც კაპიტალისტურ ფაბრიკულ სისტემას. მაგრამ მან ამოცანად დაისახა დაემტკიცებინა და დაამტკიცა კიდეც, რომ საშინელი დაქირავებული მონობა და მუშათა ჩაგვრა სრულიადაც არაა ეფექტიანი წარმოებისა და მაღალი რენტაბელობის აუცილებელი პირობა. მან მხოლოდ შეუქმნა მუშებს შრომისა და ცხოვრების ელემენტარული ადამიანური პირობები და უკუგება როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ისე სოციალური გაჯანსაღების სახით, განსაცვიფრებელი აღმოჩნდა.

ოუენს მუდმივი ბრძოლა უხდებოდა თავის კომპანიონებთან, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ, მათი თვალსაზრისით, სულელური იდეებით და კიდევ უფრო სულელური დანახარჯებით და მოითხოვდნენ, რომ მთელი მოგება განაწილებულიყო პაის მიხედვით. 1813 წ. მან შეძლო მოეძებნა ახალი კომპანიონები, რომლებიც დაეთანხმნენ მიეღოთ მყარი შემოსავალი კაპიტალზე 5%-ის ოდენობით, ხოლო ყველა სხვა დახარჩენში ოუენს მისცეს მოქმედების სრული თავისუფლება. ამ დროისათვის ოუენის სახელი ფართოდ იყო ცნობილი, ხოლო ნიუ-ლანარკი დიდი ოდენობით მნახველს იზიდავდა. მან გაიჩინა ნაცნობები და ხახა მფარველები ლონდონის ყველაზე მაღალ წრეებში: მისი

ძშვიდობიანი საქველმოქმედო მოღვაწეობა ჯერ კიდევ ნაკლებად აწუხებდა ვინმეს. ბევრს კი იგი მწვავე სოციალური პრობლემების გაღაჭრის ცუდ საშუალებად არ მიაჩნდა. ოუენის პირველ წიგნს „ახალი შეხედულება საზოგადოებაზე, ანუ ადამიანური ხასიათის წარმოქმნის პრინციპების შესახებ“ (1813 წ.) კეთილად შეხვდნენ.

მაგრამ ფილანტროპია ოუენს სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა. იგი ხედავდა, რომ გარკვეული წარმატებების მიუხედავად იგი უძლურია გადაჭრას კაპიტალისტური ფაბრიკული სისტემის ძირეული ეკონომიკური და სოციალური საკითხები. შემდეგში იგი წერდა: „მცირე დროში ამ მოსახლეობისათვის მე გავაკეთე ყველაფერი, რის შესაძლებლობასაც ფაბრიკული სისტემა იძლეოდა. და თუმცა საწყალი მუშაკაცი კმაყოფილი იყო, როცა უდარებდა თავის ფაბრიკას სხვა ფაბრიკულ საწარმოებს, ხოლო თავისთავს სხვა მუშებს, რომლებიც ძველი სისტემის პირობებში ცხოვრობდნენ, თვლიდა, რომ მას ეპყრობიან ბევრად უკეთესად, ვიდრე სხვებს, მასზე უფრო მეტად ზრუნავენ და სრულიად კმაყოფილი იყო. მე მაინც მესმოდა, რომ მისი არსებობ. საცოდავია იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა შექმნილიყო მთელი კაცობრიობისათვის იმ უზარმაზარი სახსრების პირობებში, რაც სახელმწიფოს განკარგულებაში იყო“.[1]

კაპიტალისტ-ქველმოქმედიდან კომუნიზმის მქადაგებლად ოუენის გადაქცევას უშუალო ბიძგი მისცა 1815—1817 წწ. დისკუსიებმა ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების, უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდასთან დაკავშირებით. საზოგადოების გარდაქმნა ოუენს წარმოდგენილი ჰქონდა რამდენადმე ფურიეს ფალანგების მსგავსი შრომითი კოოპერატიული თემების მეშვეობით, მაგრამ რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა თანამიმდევრულ კომუნისტურ საწყისებზე. იგი მკვეთრად აკრიტიკებდა ძველი საზოგადოების სამ საყრდენს, რომლებიც ეღობებოდა ამ მშვიდობიან რევოლუციას: კერძო საკუთრებას, რელიგიას და ოჯახის არსებულ ფორმას. ყველაზე სრულად თავისი იდეები ოუენმა გამოთქვა „მოხსენებაში ლანარკის საგრაფოსადმი საზოგადოებრივი გაჭირვებული ცხოვრების შემსუბუქების გეგმის შესახებ“, რომელიც 1821 წ. გამოქვეყნდა.

ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ გამოსვლამ ოუენისაგან მოითხოვა დიდი მოქალაქეობრივი მამაცობა. მან იცოდა, რომ გამოიწვევდა ძლევამოსილთა გაშმაგებას, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა იგი. თავისი საქმის სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული იგი დაადგა გზას, რომლისგანაც მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გადაუხვევია. თავისი ფხიზელი რეალიზმიხა უცნაურობამდე გულუბრყვილოდ სწამდა, რომ მქონებლებს და მდიდრებს ჩქარა უნდა

[1] Р. Оуэн. Избранные сочинения, Т. II. М.-Л., изд-во АН СССР, 1950, стр. 155.

გაეგოთ მისი იდეების კეთილისმყოფელობა საზოგადოებისათვის. ამ და შემდეგნო წლებში ოუენი დაუსრულებლივ სთავაზობდა მათ ინგლისის მთავრობას და ამერიკის პრეზიდენტებს, პარიზის ბანკირებს და რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველს. ოუენის ყველა ცდა ამაო იყო.

ინგლისის „განათლებულ საზოგადოებაში“ იმედგაცრუებული, ოუენი, რომელსაც იმ წლების მუშათა მოძრაობასთან არაფერი აკავშირებდა, ნიუ-ლანარკშიც კი გავლენადაკარგული, ვაჟიშვილებით ამერიკაში წავიდა. მან შეიძინა მიწის ნაკვეთი და 1825 წ. დააარსა თემი „ახალი ჰარმონია“, რომლის წესდება ეფუძნებოდა გათანაბრებით კომუნიზმის პრინციპებს. პრაქტიკული აზროვნების წესი და გამოცდილება მას დაეხმარა თავიდან აეცილებინა ბევრი შეცდომა, რომლებსაც უშვებდნენ მსგავსი თემების სხვა ორგანიზატორები. მიუხედავად ამისა, ეს საქმე, რომელმაც ოუენის თითქმის მთელი ქონება ჩაყლაპა, ჩაიშალა. 1829 წ. იგი სამშობლოში დაბრუნდა. ოუენმა გარკვეული სახსრები გამოუყო თავის შვილებს (ისინი შვიდნი იყვნენ) და შემდეგში იგი საკმაოდ მომჭირნედ ცხოვრობდა.

ამ წლებში სწრაფად იზრდებოდა საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივები, რომლებიც აერთიანებდნენ ხელოსნებს, ნაწილობრივ საფაბრიკო მუშებს. მალე, ოუენი ინგლისში კოოპერატიული მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა. 1832 წ. მან მოაწყო შრომის სამართლიანი გაცვლის ბირჟა. ბირჟა ღებულობდა საქონელს (როგორც კოოპერატივებისაგან, ისე სხვა გამყიდველებისაგან) შრომის დანახარჯებზე დაფუძნებული შეფასებების მიხედვით და ყიდდა სხვა საქონელს. „შრომით ფულზე“. ბოლოს და ბოლოს ბირჟა გაკოტრდა და ოუენს მოუხდა თავისი სახსრებით ზარალის დაფარვა.[1]

ოუენი დგას მუშათა კლასის სხვა — პროფკავშირული მოძრაობის სათავეებთანაც, რომელსაც წილად ხვდა უფრო დიდი მომავალი. 1833—1834 წწ. იგი ხელმძღვანელობდა პირველი საყოველთაო ეროვნული პროფესიული კავშირის შექმნის ცდას, რომელიც აერთიანებდა ნახევარ მილიონამდე წევრს. ორგანიზაციული სისუსტე, სახსრების უკმარობა, მეპატრონეთა წინააღმდეგობა, რომელთაც მხარს უჭერდა მთავრობა, — ყოველივე ამან კავშირი დაშლამდე მიიყვანა.

ოუენი არ იყო რბილი ხასიათისა პირად ურთიერთობაში. თავისი სიმართლის აბსოლუტური რწმენა ხშირად მას ჯიუტს და აუტანელს ხდიდა. ჰუმანიტარული ენთუზიაზმის მომხიბვლელობამ გერგილიანობასთან შეთანაწყობაში, რაც ასე გამოარჩევდა ოუენს ახალგაზრდობაში, სიმწიფის წლებში და მიიზიდა ადამიანები, ნაწილობრივ ადგილი დაუთმო სიტყვებისა და აზრების მომაბეზრებელ ერთფეროვნებას. სიკვდილამდე შეინარჩუნა გონების დიდი სინათლე და, ამავე დროს, ვერ აიცილა მოხუცებულობის უცნაურობანი. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი გაიტაცა სპირიტიზმმა, მისტიკისაკენ იწყო გადახრა. მაგრამ მან შეი-

ნარჩუნა გულკეთილობის მომხიბვლელობა, რაც გერცენმა აღნიშნა. მთელი ცხოვრება მას ძალიან უყვარდა ბავშვები. ოუენის შეხედულებები აღზრდაზე ჩვენს დროშიც ინარჩუნებს მნიშვნელობას.

1835 წ. შემდეგ ოუენი დიდ როლს არ ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა კვლავ ბევრს წერდა, უშვებდა ჟურნალებს, მონაწილეობდა კიდევ ერთი თემის ორგანიზაციაში და დაუცხრომლად ქადაგებდა თავის შეხედულებებს. მისმა მიმდევრებმა შექმნეს ვიწრო სექტა, რომელიც ხშირად საკმაოდ რეაქციული პოზიციებიდან გამოდიოდა. 1858 წ. შემოდგომაზე 87 წლის ოუენი გაემგზავრა ლივერპულში და მიტინგის ტრიბუნაზე ცუდად გახდა. რამდენიმე დღის წოლის შემდეგ მან უცბად გადაწყვიტა წასულიყო თავის მშობლიურ ქალაქ ნიუთაუნში, სადაც ბავშვობის შემდეგ არ ყოფილა. 1858 წ. ნოემბერში იგი იქვე გარდაიცვალა.

ოუენი და პოლიტიკური ეკონომია

ოუენი პირველი იყო, ვინც კლასიკური სკოლის პრინციპებიდან გააკეთა ანტიკაპიტალისტური დასკვნები. თუმცა ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიიდან ოუენი ღებულობდა მხოლოდ იმას, რაც მას სჭირდებოდა მისი სისტემისათვის, უგულებელყოფდა და პირდაპირ უარყოფდა კიდევ ბევრ სხვას. (თავის ნაწარმოებებში ეკონომიკურ საკითხებს სხვათაშორის ეხება, სპეციალურად მას არ იკვლევს. ოუენი პრაქტიკოსი იყო და ცდილობდა თავისი ეკონომიკური იდეები განეხორციელებინა ცხოვრებაში.

ოუენის შეხედულებებს საფუძვლად უდევს რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორია: შრომა არის ღირებულების შემქმნელი და საზომი; საქონელთა გაცვლა უნდა განხორციელდეს შრომის მიხედვით. მაგრამ რიკარდოსაგან განსხვავებით იგი თვლის, რომ კაპიტალიზმის დროს ფაქტიურად შრომის მიხედვით გაცვლა არ ხდება. მისი აზრით, შრომის მიხედვით გაცვლა გულისხმობს, რომ მუშა ღებულობს მის მიერ წარმოებული საქონლის სრულ ღირებულებას. სინამდვილეში კი ეს ასე არაა.

მაგრამ ღირებულების „სამართლიანი" კანონის დარღვევის ახსნისათვის ოუენი მიმართავს იდეებს, რომლებიც თითქმის ბუაგილბერისას გვაგონებს: ყველაფერში დამნაშავეა ფული, ღირებულების ეს ხელოვნური საზომი, რომელმაც გამოდევნა ღირებულების ბუნებრივი საზომი — შრომა.

ოუენის პოლიტიკური ეკონომია უკიდურესი ზომით ნორმატიულია: ყველა ეს მოსაზრება მას სჭირდება მხოლოდ მის მიერ წამოყენებული ღონისძიების — ფასეულობის საზომად შრომითი ერთეულის შემოღების, ამ საზომის საფუძველზე საქონლის გაცვლის, ფულის გამოყენებაზე უარის თქმის დასასაბუთებლად. ეს, ოუენის აზრით, გადა-

წყვეტს საზოგადოების ყველაზე ძნელ პრობლემებს. მუშა მიიღებს თავისი შრომის სამართლიან ანაზღაურებას. რამდენადაც ანაზღაურება, რასაც მშრომელები მიიღებენ, შესაბამისი იქნება საქონლის ჭეშმარიტი ღირებულებისა, ჭარბწარმოება და კრიზისები შეუძლებელი გახდება. ასეთი რეფორმა ხელსაყრელია არამც და არამც მხოლოდ მუშებისათვის, მით დაინტერესებული არიან მიწის მფლობელები და კაპიტალისტებიც.

რახაირად გადააქცევს ფული „სამართლიან" გაცვლას მთლიან მოტყუებად? რით განისაზღვრება საბოლოო ანგარიშით ფასი, თუ საქონელი იცვლება არა მასში ჩაქსოვილი შრომის რაოდენობის მიხედვით? საიდან წარმოიშობა კაპიტალისტისა და მიწათმფლობელის შემოსავალი, თუკი მუშა მიიღებს მის მიერ შექმნილი პროდუქტის მთელ ღირებულებას? ასეთი კითხვები ოუენს შეიძლება დაუსვა დაუსრულებლივ და მასთან ვერ ნახავთ რაიმე პასუხის მსგავსს.

ოუენის ეკონომიკური შეხედულებები მხოლოდ მიმოქცევის სფეროს რეფორმების გზით, განსაკუთრებით ფულის მოსპობით კაპიტალიზმის ბოროტებათა აღმოფხვრის შესახებ წვრილბურჟუაზიულ ილუზიებზე ალბათ უფრო მაღლა არ იდგომებოდა, თუ იგი განუყრელად არ იქნებოდა დაკავშირებული საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა ჩათვლით რადიკალური გარდაქმნის გეგმასთან. თურმე შრომითი ღირებულების მიხედვით სამართლიანი გაცვლა მოითხოვს კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციას! მხოლოდ მომავალ საზოგადოებაში, სადაც კერძო საკუთრება არ იქნება, მუშა გასცემს თავის შრომას „სრული ღირებულების" მიხედვით. ასეთ შემთხვევაში იხსნება საკითხიც კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების შესახებ. ისინი მოიგებენ საზოგადოების გარდაქმნით არა როგორც კაპიტალისტები და მიწათმოქმედნი, არამედ *როგორც ადამიანები.*

მარქსი და ენგელსი ასხვავებდნენ ოუენის უტოპიას ამ ეპოქის სხვა უტოპიებისაგან, ხაზს უსვამდნენ მის *კომუნისტურ* ხასიათს.

როგორც ვხედავთ, სენ-სიმონისა და ფურიეს სისტემები არ იყო ბოლომდე სოციალისტური. მათ მომავალ საზოგადოებაში ამა თუ იმ შეზღუდვით რჩებოდა კერძო საკუთრება, რჩებოდნენ კაპიტალისტებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით განაგებდნენ წარმოების საშუალებებს და ღებულობდნენ შემოსავალს კაპიტალზე. ოუენის სისტემა ატარებს არა მხოლოდ თანმიმდევრულ სოციალისტურ ხასიათს არამედ აგრეთვე ხატავს კომუნიზმის მეორე, მაღალ ფაზას, სადაც მთლიანადაა ლიკვიდირებული კერძო საკუთრება და ყოველგვარი კლასობრივი განსხვავებაც კი, არსებობს შრომის ვალდებულება ყველასათვის და, საწარმოო ძალთა ზრდის საფუძველზე, განაწილება მოთხოვნილების მიხედვით. ოუენისეული უტოპია სრულიად თავისუფალია რელიგიუ-

რი და მისტიკური ელფერისაგან, მას განასხვავებს გარკვეული რეალიზმი, ზოგჯერ საქმიანი პრაქტიციზმიც კი.

ოუენის მაგალითი გვიჩვენებს, რომ კომუნიზმის იდეალები აღმოცენდება უფრო განვითარებული საზოგადოების რეალური პირობებიდან, როგორიც იყო XIX ს. დასაწყისის ინგლისი. ოუენი თავისუფალია ფრანგი სოციალისტების ბევრი წვრილბურჟუაზიული ილუზიისაგან. მას არ ეეჭვება კაპიტალისტთა კლასის ექსპლუატატორული არსი და კერძოკაპიტალისტური საკუთრების სრული მოსპობის აუცილებლობა. ფაბრიკულ სისტემაზე დაყრდნობით მან ბევრად უფრო ნათლად დაინახა შრომის ნაყოფიერების ისეთი ზრდის კონკრეტული გზები, რომელიც შექმნიდა ნამდვილი სიუხვისა და მოთხოვნილებების მიხედვით განაწილების შესაძლებლობას.

კომუნისტური საზოგადოების უჯრედი ოუენთან არის მცირე კოოპერაციული თემი. კერძო საკუთრება და კლასები თემში არ არსებობენ. ერთადერთი განსხვავება, რომელსაც შეუძლია შექმნას გარკვეული უთანაბრობა შრომაში და განაწილებაშიც — ესაა „განსხვავება ასაკსა და გამოცდილებაში". განაწილების მექანიზმს ოუენი თითქმის არ აღწერს, აკეთებს რამდენიმე გაურკვეველ შენიშვნას თემის შიგნით პროდუქტების გაცვლის შესახებ შრომის მიხედვით და იზღუდება მითითებით, რომ სიუხვისას „თითოეულს შეიძლება ნება დაერთოს, საერთო საწყობიდან თავისუფლად მიიღოს ყველაფერი მისთვის საჭირო". ოუენი დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ადამიანის ფორმირებას, ამასთან ფსიქოლოგიის შეცვლას იგი უკავშირებს, უწინარეს ყოვლისა, მატერიალურ ფაქტორებს — სიმდიდრის ზრდას და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თემის ფარგლებს გარეთ ოუენი ცდილობდა დაეხატა საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ასეთი უჯრედების დიდ რაოდენობას. მათ შორის არსებობს შრომის მნიშვნელოვანი დანაწილება, ხოლო ურთიერთგაცვლა ხორციელდება შრომითი ღირებულების საფუძველზე. ამ გაცვლის მიზნით თემთა რომელიღაც კავშირი გამოუშვებს განსაკუთრებულ შრომით ქაღალდის ფულს საქონლის უზრუნველყოფით საწყობებში. ოუენის წარმოდგენით ამ ახალ საზოგადოებას გარკვეული დროის განმავლობაში უნდა ეთანაარსება „ძველ საზოგადოებასთან" და მის სახელმწიფოსთან, უკანასკნელისათვის ეხადა გადასახადები და შეეყიდა ამ საზოგადოებისათვის საქონელი ჩვეულებრივ ფულზე.

ოუენი გვერდს უვლიდა უმნიშვნელოვანეს კითხვას იმის შესახებ, თუ რანაირად, ვისგან მიიღებენ თემები წარმოების საწყისს საშუალებას, მათ შორის მიწას. მას ზოგჯერ შეიძლება გავუგოთ გულუბრყვილო ფიქრში, რომ წარმოების საშუალებები აუნაზღაურებლად გადაეცემა თემებს სახელმწიფოს ან გონიერი კაპიტალისტების მიერ. მაგრამ სხვა ადგილას იგი უფრო რეალისტურად ლაპარაკობს, რომ თემის

წევრებს მოუხდებათ „აანაზღაურონ სარგებელი კაპიტალზე, რომელიც საჭიროა მათთვის სამუშაოს მისაცემად“. გამოდის, რომ თემები თავს ვერ დააღწევენ კაპიტალისტებს. უკეთეს შემთხვევაში თემებს შეუძლიათ შეინარჩუნონ მეწარმის შემოსავალი, რამდენადაც თვითონ მართავენ წარმოებას, მაგრამ სარგებელი — უნდა გასცენ!

ოუენის სისტემა უტოპიურია რამდენადაც სავსეა წინააღმდეგობებითა და არათანმიმდევრულობით. ამის საერთო მიზეზი ჩვენთვის ცნობილია: კლასობრივ ურთიერთობათა მოუმწიფებლობა გამორიცხავდა უტოპისტებისათვის შესაძლებლობას, შეემუშავებინათ საზოგადოების გარდაქმნის ნამდვილი გზა. ამისათვის საჭირო იყო მუშათა კლასის ისტორიული როლის, სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობისა და კანონზომიერების გაგება. ასეთი გაგება ობიექტურად შეუძლებელი იყო ოუენისათვის, ისევე როგორც სხვა უტოპისტებისათვის.

მაგრამ მათი შეცდომების, ისე როგორც მათი მიღწევების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის პროცესი საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რამაც უკვე ოუენის სიცოცხლეში მიიყვანა მარქსიზმის აღმოცენებასთან.

მუშათა კლასის მოაზროვნეები

ინგლისის ეკონომიკური სიძნელეები ნაპოლეონის ომების შემდეგ, პირველი საფაბრიკო კახონები და პროფკავშირები, რიკარდოელების დამკვიდრება და ოუენის აგიტაცია — ასეთია სოციალურ-ეკონომიკური და იდეური ვითარება, რომელშიც გამოდიან ადამიანები, რომლებმაც პირველად შეგნებულად გამოხატეს პოლიტიკურ ეკონომიაში მუშათა კლასის ინტერესები.

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში მათი როლი განისაზღვრება იმით, რომ ისინი, სმიტისა და რიკარდოს ბურჟუაზიული „მემკვიდრეების“ საპირისპიროდ, შეეცადნენ კლასიკოსთა მოძღვრებიდან გაეკეთებინათ ანტიბურჟუაზიული დასკვნები. ისინი ზოგჯერ მეტად ეკონომისტები იყვნეს, ვიდრე ოუენი. და ცდილობდნენ განევითარებინათ რიკარდოს სისტემა უფრო დახვეწილ მეცნიერულ ფორმებში.

ამ ჯგუფში ყველაზე შესამჩნევი იყო თომას გოდსკინი, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი აზრები კაპიტალის ბუნების, კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის, კაპიტალიზმის დროს მოგების ნორმის ტენდენციის შესახებ. მისი მთავარი ნაწარმოებები გამოქვეყნდა 1825 წ. („შრომის დაცვა კაპიტალის პრეტენზიებისაგან“) და 1827 წ. („პოპულარული პოლიტიკური ეკონომია“).

სოციალისტები ღებულობდნენ შრომითი ღირებულების თეორიას იმ სახით, რა სახეც მას რიკარდომ მისცა. მათ მიყავდათ ლოგიკურ

დაბოლოებამდე ბისგან გამომდინარე ძირითადი დასკვნაც — საქონლის ღირებულება იქმნება მხოლოდ შრომით. მაშასადამე, კაპიტალისტების მოგება და ლენდლორდების რენტა არის პირდაპირი გამოქვითვა ამ ღირებულებიდან, რაც ბუნებრივად ეკუთვნის მუშას. ეს დასკვნა რომ გააკეთეს, მათ დაიხახეს წინააღმდეგობა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში: როგორ შეუძლია მას, ეფუძნებოდეს ასეთ პრინციპებს და იმავე დროს თვლიდეს ბუნებრივად და მუდმივად კაპიტალიზმის სისტემას, კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციას.

ბურჟუაზიული პოლიტეკონომების პროლეტარულ მოწინააღმდეგეებს მარქსი ათქმევინებდა შემდეგ ტირადას: „შრომა არის საცვლელი ღირებულების ერთადერთი წყარო და სახმარი ღირებულების ერთადერთი აქტიური შემქმნელი. ასე ამბობთ თქვენ. მეორე მხრივ, თქვენ ამბობთ, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ყველაფერია, მუშა კი — არაფერი, ანდა რომ მუშა წარმოადგენს უბრალოდ კაპიტალის წარმოების ხარჯების ერთ-ერთ მუხლს. თქვენ თვითონ უარყავით თქვენი თავი. კაპიტალი არის თაღლითური მოტყუება — და მეტი ა რ ა ფ ე რ ი. შ რ ო მ ა არის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი“.[1]

ეს „სიტყვა“ შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად გავაგრძელოთ. თქვენ, ეუბნებიან სოციალისტები ბურჟუაზიულ პოლიტეკონომებს, ამტკიცებთ, რომ კაპიტალის გარეშე შრომა ვერ აწარმოებს. მაგრამ თქვენი წარმოდგენით კაპიტალი ნივთია: მანქანები, ნედლეული, მარაგები. ასეთ შემთხვევაში კაპიტალი სრულიად მკვდარია ახალი ცოცხალი შრომის გარეშე. როგორ შეუძლია კაპიტალს ჰქონდეს პრეტენზია მოგებაზე, შრომით შექმნილი ღირებულების ნაწილზე, თუ იგი მხოლოდ ნივთია? მაშასადამე, იგი პრეტენზიას აცხადებს არა როგორც ნივთი, არამედ როგორც რაღაცა სოციალური ძალა. რა ძალაა ეს? ეს კერძო კაპიტალისტური საკუთრებაა. მხოლოდ კერძო საკუთრების სახით, რომელიც გარკვეულ საზოგადოებრივ წყობილებას გამოხატავს, კაპიტალი იძენს ძალაუფლებას შრომაზე. მუშამ უნდა ჭამოს და სვას. ამისათვის კი მან უნდა იმუშაოს. მაგრამ მას მუშაობა შეუძლია მხოლოდ კაპიტალისტის ნებართვით, მისი კაპიტალის დახმარებით.

თითქმის სიტყვასიტყვით ასე ლაპარაკობს გოდსკინი იმ ადგილას, რომელზეც მარქსმა შენიშნა: „აქ, ბოლოს, სწორად არის მიგნებული კაპიტალის ბუნება“[2]. ეს ნიშნავს: აქ არის კაპიტალის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაგება, რაც დაიყვანება დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე.

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი). ნაწილი III, თბ., 1975, გვ. 310.

2 იქვე.

ოუენის მსგავსად ამ ავტორების აზრით გაცვლა შრომასა და კაპიტალს შორის ხორციელდება შრომითი ღირებულების კანონის დარღვევით. ისინი სამართლიანად უკუაგდებდნენ ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ მოგების ეკონომიკურ დასაბუთებას, მაგრამ ვერ შეძლეს მოეცათ ამის ნაცვლად ნამდვილად მეცნიერული ანალიზი, რამდენადაც მოგება კაპიტალზე მათ სისტემაში არ თავსდებოდა „ბუნებრივი“ ეკონომიკური კახოხების ჩარჩოებში, მათ უხდებოდათ მოგების ასახსნელად მიემართათ ძალადობისათვის, მოტყუებისა და სხვა არაეკონომიკური ფაქტორებისათვის. ამის შედეგად სოციალისტური წყობილებით კაპიტალიზმის შეცვლის დასაბუთებაც მათთან ბევრად ეთიკურ ხასიათს იღებდა: უნდა აღდგენილიყო სამართლიანობა. სამართლიანობის არსი იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშას უნდა მიეღო თავისი შრომის სრული პროდუქტი.

ამ „სრული (შეუკვეცავი) შრომის პროდუქტს“ დიდი ხნის სიცოცხლე ეწერა. ეს მოთხოვნა თავიდანვე უტოპიური იყო: განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაშიც კი მშრომელებს არ შეუძლიათ მიიღონ „სრული პროდუქტი“ მათ პირად მოხმარებაში, რადგან მაშინ არ დარჩებოდა საშუალებები დაგროვებისათვის, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, შართვის აპარატის, მოხუცების, მცირეწლოვანთა და სხვ. შენახვისათვის. საქმის არსია კაპიტალიზმის დროს ექსპლუატატორთა განსაკუთრებული კლასის არსებობა, რომელიც უსასყიდლოდ ითვისებს ზედმეტ პროდუქტს და ის, რომ მუშები არ ღებულობენ შრომის სრულ პროდუქტს. მიუხედავად ამისა, XIX ს. 20-იან და 30-იან წლებში ამ ლოზუნგს ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობდა მუშათა კლასის ბრძოლას, რომელიც მხოლოდ იწყებოდა. სხვა საქმეა — ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა მარქსს მოუხდა გაეკრიტიკებინა გერმანიის სოციალ-დემოკრატია სრულიად სხვა პირობებში ამ უტოპიური, არამეცნიერული ლოზუნგის გამოყენებისათვის.

უტოპიიდან მეცნიერებისაკენ

ინგლისში მარქსის გადასელის დროისათვის (1849 წ.) ბრიტანეთის სოციალისტური ლიტერატურა სამ ათწლეულს ითვლიდა და მრავალრიცხოვანი თხზულებებით იყო წარმოდგენილი. მარქსი აგრძელებდა ომდევნო წლებში მის გულდასმით შესწავლას, რაც ბრიუსელში დაიწყო. ინგლისელი სოციალისტების შრომები, ისევე როგორც სენ-სიმონის, ფურიეს და ოუენის იდეები, ქმნიან წინამორბედ მოაზრეობათა იმ მემკვიდრეობას, რაც მარქსმა გამოიყენა საზოგადოების შესახებ თავისი რევოლუციური მოძღვრების შექმნისათვის.

„...პირველადელი სოციალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, — უტო-

პ ი უ რ ი სოციალიზმი იყო. იგი აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, გმობდა, წყევლიდა მას, ოცნებობდა მის მოსპობაზე, ფანტაზიორობდა უკეთეს წყობილებაზე, არწმუნებდა მდიდრებს ექსპლუატაციის უზნეობაში.

მაგრამ უტოპიურ სოციალიზმს არ შეეძლო ნამდვილი გამოსავალი ეჩვენებინა. მას არ შეეძლო არც ის, რომ განემარტა დედაარსი დაქირავებული მოხობისა კაპიტალიზმის დროს, არც მისი განვითარების კანონების აღმოჩენა, არც იმ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ძ ა ლ ი ს გამონახვა, რომელსაც უნარი შესწევს ახალი საზოგადოების შემოქმედი გახდეს".[1]

ეს დიდი ამოცანები გადაწყვიტა მარქსიზმმა. მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს. ამისათვის აუცილებელი იყო უტოპიური სოციალიზმიდან მისი პროგრესული რევოლუციური მხარის აღება, მისი გარდაქმნა და შემდგომი განვითარება საზოგადოებრივი მეცნიერებების XIX ს. პირველი ნახევრის უმაღლეს მიღწევათა საფუძველზე. ასეთი მიღწევები იყო გერმანული კლასიკური ფილოსოფია და ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. მარქსიზმის მოძღვრება აღმოცენდა იდეების მთელი ჯამის კრიტიკული გადამუშავებიდან, რომლებიც განვითარებული იყო საზოგადოებრივ მეცნიერებებში წინამორბედი ეპოქის ყველაზე მოწინავე მოაზროვნეების მიერ.

მარქსის ეკონომიკური მოძღვრების ქვაკუთხედია ზედმეტი ღირებულების თეორია. იგი ხსნის კაპიტალისტური წარმოების წესის თვით არსს — კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას. როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გვიჩვენეს, XIX ს. დასაწყისის მოაზროვნეები, განსაკუთრებით რიკარდო და მისი სოციალისტური განმარტებლები, ახლოს მივიდნენ ზედმეტი ღირებულების გაგებასთან. არსებითად სწორად აღწერდნენ ზედმეტ ღირებულებას როგორც შრომის მიერ შექმნილი პროდუქტიდან გამოქვითვას კაპიტალისა და მიწის მფლობელის სასარგებლოდ, მაგრამ ამაზე შორს არ მიდიოდნენ. კლასიკური სკოლის პოლიტეკონომები ამ მდგომარეობას თვლიდნენ ბუნებრივად და მუდმივად და ცდილობდნენ მისულიყვნენ მხოლოდ რაოდენობრივ პროპორციებამდე, რომლითაც ხდებოდა ღირებულების განაწილება შრომასა და კაპიტალს შორის. სოციალისტებს ეს განაწილება უსამართლოდ მიაჩნდათ და ამუშავებდნენ პროექტებს ამ უსამართლობის აღმოფხვრისათვის.

ის, რაც მათთვის საბოლოო პუნქტი იყო, მარქსისათვის მხოლოდ გამოკვლევის ამოსავალი წერტილი გახდა. მან ახსნა, როგორ აღმოცენდება ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტური წარმოების წესის ობი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 8—9.

ექტურ კანონზომიერებათა საფუძველზე და შექმნა ჩამოყალიბებული და ღრმა ეკონომიკური მოძღვრება. მარქსმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის განვითარების კანონი და მეცნიერულად დაასაბუთა ამ განვითარების მთავარი ტენდენცია — სოციალიზმისა და კომუნიზმის მიერ კაპიტალისტური წარმოების წესის რევოლუციური შეცვლის ტენდენცია. მარქსმა აჩვენა, რომ მუშათა კლასი არის ის საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ამ რევოლუციას მოახდენს და ახალი საზოგადოების შემოქმედი გახდება.

ოცდამეერთე თავი

ორი ტიტანი: გერცენი და ჩერნიშევსკი

ალბათ ძეტისმეტად თავდაჯერებულად და მკრეხელურადაც კი შეიძლება ძოგვეჩვენოს რამდენიმე გვერდზე ორი დიდი მეცნიერის მწერლის, რევოლუციონერის შესახებ მოყოლა, რომელთა ცხოვრება და ძოღვაწეობა მკვლევართა თაობების მიერ დეტალურადაა შესწავლილი და ძთელი ბიბლიოთეკებია დაწერილი. ავტორი შეიძლება გააძართლოს ძხოლოდ ამოცანამ, რომელიც მას ამ წიგნში აქვს დასახული: ძკითხველს გააცნოს პრობლემათა წრე, გააღვივოს მისი ინტერესი.

ᲩᲔᲛᲛᲐ ᲫᲔᲒᲝᲒᲐᲠᲛᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲒᲝᲚᲝᲕᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲜᲓᲔᲚᲔᲔᲕᲖᲔ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲜᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲔᲥᲕᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲢᲘᲛᲘᲠᲘᲐᲖᲔᲕᲖᲔ ᲮᲣᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ[1]. ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲫᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲐ „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲠᲝᲒᲝᲠ“.

ᲐᲫᲠᲘᲒᲐᲓ, ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲚᲔᲗᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲛᲓᲔ

1825 წ. დეკაბრისტების აჯანყებიდან მოყოლებული ნიკოლოზის დესპოტიზმისა და რეაქციის სამმა ათეულმა წელმა საბედისწერო როლი შეასრულა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. რუსეთის ჩამორჩენა დასავლეთი ევროპისა და ამერიკისაგან, სადაც სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი, ამ ეპოქაში გაძლიერდა. თუ ნაპოლეონის ომებში რუსეთის ჯარების შეიარაღება, აღჭურვილობა, ტრანსპორტი, ტექნიკა არ იყო ფრანგებისა და სხვა ერებისაზე ნაკლები, 1853—55 წწ. ყირიმის ომში კი რუსეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობა მალე ანად გამოვლინდა და დამარცხებამდე მიიყვანა იგი. დიდი ხნის წინ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲓᲐ 1861 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ. ᲡᲣᲡᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲮᲧᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲐᲨᲗᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ-

[1] Я. Голованов, Этюды об ученых, М., 1976.

ვლენა. ძირითადად ამან განაპირობა პოლიტიკური ეკონომიის თავისებურება 30—50 წწ. რუსეთში.

გლეხობის ყმური მდგომარეობა ძირითად საზოგადოებრივ პრობლემად რჩებოდა. ნებისმიერი ეკონომიკური თეორია, თუ მას არ სურდა დაეკარგა კავშირი სინამდვილესთან, უნდა დაკავშირებოდა ამ პრობლემას. რაც უფრო ახლოვდებოდა 1861 წ. მით უფრო დიდ მნიშვნელობას ღებულობდა რუსეთის მომავალი განვითარების საკითხები ეკონომიკურ აზრში. ეკონომიკური და საერთოდ საზოგადოებრივი აზრის ძირითადი მიმართულებანი განსხვავდებოდნენ იმით, თუ როგორ უპასუხებდნენ ამ კითხვებზე.

თავადაზნაურთა გაბატონებული კლასი დაინტერესებული იყო ისეთი პოლიტიკური ეკონომიით, რომელიც დაასაბუთებდა კაპიტალისტურ წეს-წყობილებაზე და მეურნეობის ფორმებზე თანდათანობით გადასვლას ნისი პრინციპებისა და პრივილეგიების შენარჩუნებით. 1861 წ. მეფისა და თავადაზნაურობის მიერ „ზემოდან“ გატარებული საგლეხო რეფორმა მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებდა ამ ინტერესებს. დასავლეთის პოლიტეკონომიის (ძირითადად სეის სკოლის) იდეები მიღებული და დაშვებული იყო ოფიციალურ ფარგლებში, მაგრამ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი არ ლახავდნენ თავადაზნაურობისა და თვითმპყრობელობის ინტერესებს.

მებატონეთა პოზიციების შესუსტება იმაში ვლინდებოდა, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდნენ თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ლიბერალები. ისინი რეფორმას ემხრობოდნენ და მოითხოვდნენ, მისთვის სულ უფრო გამოკვეთილი ბურჟუაზიული ხასიათი მიეცათ. კერძოდ, გლეხებისათვის გადაეცათ საკუთარი მიწების უფრო მნიშვნელოვანი კერძო ნაგელები. სხვადასხვა მიმართულების ლიბერალების ხმა გაისმოდა უნივერსიტეტების კათედრებიდან და პრესის ფურცლებიდან. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მარცხენა ფრთაზე იდგნენ „რუსი მანჩესტერელები“, თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი, რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების მქადაგებელნი. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა მეტწილად ნაკარნახევი იყო გლეხთა რევოლუციის შიშით. ეს ადამიანები უფრო მეტად დასავლეთის თაყვანისმცემლები იყვნენ, თავს ადამ სმიტის მიმდევრებად თვლიდნენ, მაგრამ ის ესმოდათ და მას გადმოსცემდნენ უმეტესად სეისა და სეის ვულგარული სკოლის სხვა ფრანგი ეკონომისტების მიხედვით. ისინი კრიტიკულად უდგებოდნენ სოციალისტური იდეების ყველა ფორმას.

50-იანი და 60-იანი წლების დასაწყისში ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი რუსი ეკონომისტი იყო ივანე ვასილის ძე ვერნადსკი, ბუნების მკვლევრის, ბუნებისმეტყველების ფილოსოფოსის,

საბჭოთა მეცნიერების ორგანიზატორის ვ. ი. ვერნადსკის მამა. ვერნადსკი კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის კურსს კიევის, მოსკოვის და პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში. სცემდა პოპულარულ ეკონომიკურ ჟურნალებს, ეწეოდა დიდ პუბლიცისტურ მუშაობას, გამოსცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის ეკონომიკური მეცნიერების ისტორიის ერთი პირველი ნარკვევთაგანი რუსეთში. ვერნადსკის ჰქონდა პოლიტიკური ეკონომიის თეორიული საკითხების გემოვნება, რაც ჯერ კიდევ მეტად იშვიათი იყო რუსეთში. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს მიჰყოლოდა სმიტს, კარგად იცნობდა რიკარდოს და ფიქრობდა, რომ „ეს მწერალი უდავოდ მიეკუთვნება ამ საუკუნის უაღრესად შესანიშნავთ პოლიტიკურ ეკონომიაში“.[1] იგი გამოთქვამდა იმედს, რომ რუსეთში, სადაც მის დროს თითქმის არ იყო დასავლეთისათვის დამახასიათებელი ქალაქური, პროლეტარული ტიპის სიღარიბე, სოციალიზმისთვისაც არ არსებობს საფუძველი.

მაგრამ სინამდვილეში ამ დროისათვის (50-იანი წლების დასასრული) უტოპიური სოციალიზმის იდეები უკვე დამკვიდრდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის არსენალში. რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას სურდა ერთდროულად მოეძებნა იარაღი ბატონყმობის წინააღმდეგ და ახალი კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, რომლის საშინელი ნაყოფი რუსმა რევოლუციონერებმა დაინახეს დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით 1848—1849 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

გერცენი და ჩერნიშევსკი, რომლებიც სათავეში ედგნენ რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის ორ ძირითად მიმართულებას, გამოხატავდნენ მემამულეების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობის იდეოლოგიას. ისტორიულმა გამოცდილებამ და მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ გვიჩვენა, რომ, რამდენადაც მეტი წარმატება ექნებოდა ამ ბრძოლას, იმდენად ობიექტურად ხელსაყრელი პირობები აღმოცენდებოდა სოფლისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური განვითარებისათვის. მაგრამ „გლეხობის იდეოლოგების სუბიექტური მისწრაფება იყო სოციალიზმი, რომელიც მათი შეხედულებისამებრ გლეხური რევოლუციის შედეგად წარმოიშობა“.[2]

ამ პოზიციამ და ამ სუბიექტურმა მიზანმა, რევოლუციონერ-დემოკრატებს და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის მისცა შესაძლებლობა, საფუძვლიანად გაეკრიტიკებინა მათი თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია. როგორც კ. მარქსი 1873 წ. ამ მეცნიერების შესახებ წერდა, „ეს „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრებაა, რაც

---

1 И. Вернадский, Очерк истории политической экономии, СПб, 1858, стр. 152.

2 История русской экономической мысли, под. ред. А. И. Пашкова, т. I, часть вторая, 1958, стр. 363.

უკვე ჩიხებულად გააშუქა დიდმა რუსმა მეცნიერმა და კრიტიკოსმა ნ. ჩერნიშევსკიმ თავის ნაწარმოებში: «Очерки политической экономии (по Миллю)»[1].

გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და მათმა თანამოაზრეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ფორმირებაზე სლავურ და სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებში. ლუბენ კარაველოვი და ქრისტო ბოტევი კარგად იცნობდნენ გერცენისა და ჩერნიშევსკის შრომებს და ცდილობდნენ მათი იდეების გამოყენებას ბულგარელი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 60-იანი წლების დასაწყისიდან გერცენის შემოქმედება შუქდებოდა სერბიის, უნგრეთის, ბოლდავეთ-ვალახიის პრესაში. ამ ქვეყნებში არანაკლებად იყო ცნობილი ჩერნიშევსკის სახელი.[2]

ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲘ

ალექსანდრე ივანეს ძე გერცენის კარგად ცნობილ პორტრეტზე, რომელიც 1836 წ. შეასრულა ვიატკაში, გადასახლებაში დაძეგობრებულმა მხატვარმა ვიტბერგმა, ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა ლამაზ კაცს ხებისყოფითა და ენერგიით აღსავსე ჭკვიანი და მეტყველი სახით. მე მგონია, ეს სურათი საუცხოოდ გადმოსცემს გერცენის მაღალ სულიერ თვისებებს, რომელნიც მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა.

გერცენი დაიბადა 1812 წ. მოსკოვში. იგი მდიდარი მემამულის ი. ა. იაკოვლევისა და გერმანელი ლუიზა გაგის უკანონო შვილი იყო. გვარი გამოიგონა მამამ, რომელიც მისდევდა რუს ბოიართა ტრადიციებს: უკანონო, მაგრამ საყვარელი შვილებისათვის მიეცათ მშობლების სიყვარულის გამომხატავი გვარი. გრაფი კურაგინის შვილის გვარი სერდობინი იყო, იაკოვლევის შვილისა — გერცენი (გერმანული სიტყვიდან herz — გული).

ა. ი. გერცენის ცხოვრება დაწვრილებით აღწერილია და დოკუმენტირებულია მის მიერვე მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შესანიშნავ ავტოგრაფულ წიგნში — „ნამყო და ნაზრევში“, მის სხვა მრავალ თხზულებაში, დიდი რაოდენობით მიმოწერაში.

გერცენი მრავალჯერ იმეორებდა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები ჩამოყალიბდა დეკემბრის აჯანყებისა და დეკაბრისტების ბედის პირდაპირი გავლენით. ის და მისი მეგობრები, უპირველეს ყოვლისა, ნ. პ. ოგარიოვი, რომელმაც ცხოვრების მთელი გზა მის გვერ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1. თბ. 1954, გვ. 15.

[2] Ж. Натан, История на икономическата мисъл в България, София, 1964, См. такисе Краткая литературная энциклопедия, М., Статьти «Герцен», (т. 2) и Чернишевский (т. 8.)

ღით გახვლო. თავიანთ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ჩიხააღმდეგ იხილავდნენ როგორც დეკაბრისტების ბრძოლის პირდაპირ გაგრძელებას. ვორობიოვის გორებზე, საიდანაც მოჩანდა მოსკოვის პანორამა, ორმა 14—15 წლის ბიჭუნამ ერთმანეთს შეჰფიცეს, შეეწირათ სიცოცხლე რუსი ხალხის განთავისუფლებისათვის და ამ ფიცის ერთგულნი დარჩნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

1829 წ. გერცენი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1833 წელს, მალე ის დააპატიმრეს როგორც რევოლუციური სტუდენტური წრის მონაწილე — რამდენიმე თვეს იმყოფებოდა პატიმრობაში და შემდეგ გადაასახლეს ჯერ პერმში, შემდეგ ვიატკაში და ვლადიმირში, სადაც პოლიციის ზედამხედველობით მსახურობდა დაბალი რანგის გუბერნიის ჩიხოვსიკად. 1840—1841 წწ. ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, რის შემდეგ ის კვლავ გადაასახლეს, ერთ-ერთ პირად წერილში პოლიციის უკმეხად შეფასებისათვის. წერილების პერლუსტრაცია სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1842—1847 წწ. გერცენი ცხოვრობდა მოსკოვში, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. გაჭირვების, თარიღების და ადგილების ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, ძლიერ მშრალია. წაიკითხეთ „ნამყო და ნააზრევი“: იქ შეუდარებელი გერცენისეული პროზით მოთხრობილია შავბხელი ხიკოლოზის ეპოქის საუკეთესო ადამიანის, ბედნიერი შეყვარებულის, მეუღლისა და ოჯახის მამის, ჩვილ ასაკში შვილების დაღუპვით გაუბედურებული კაცის, ახლობლებისათვის ერთგული მეგობრისა და მრავალრიცხოვანი მტრისათვის დაუნდობელი მოწინააღმდეგის ისტორია.

1840 წ. „სამშობლოს ჩანაწერებში“ გამოჩნდა ი ს კ ა ნ დ ე რ ი ს სახელი, რომელიც გერცენის მუდმივ ფსევდონიმად იქცა (ეს ალექსანდრეს არაბული ვარიანტია). გერცენი სოციალისტი იყო ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როცა მან განიცადა სენ-სიმონისა და ფურიეს ძლიერი გავლენა. მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა არსებითად იყო სოციალისტური იდეების განვითარება და რუსეთის პირობებში მათი გამოყენების ცდა. 40-იან წლებში ის ბესარიონ ბელინსკისთან ერთად სათავეში ჩაუდგა აღმოცენებად რუსულ რევოლუციურ დემოკრატიას. ამ პერიოდში გამოჩნდა გერცენის ბელეტრისტული თხზულებანი („ვინ არის დამნაშავე?, „ექიმი კრუპოვი“, „ქურდი კაჭკაჭი“) და პუბლიცისტისა და პოლემისტის ბრწყინვალე ხელოვნებით დაწერილი ღირსშესანიშნავი ფილოსოფიური ნაწარმოებები. გერცენის შრომებმა დიდი როლი შეასრულეს რუსული ფილოსოფიის მატერიალისტური მიმართულების განმტკიცებაში.

ხანგრძლივი და დამამცირებელი გარჯის შედეგად გერცენმა საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა მიიღო და 1847 წ. ოჯახთან ერთად გაე-

ბგზავრა საფრანგეთში. მას მეტად აღარ ეწერა სამშობლოს ნახვა — რუსეთში დაბრუნების შესახებ მთავრობის გამოძახებაზე უარის თქმის გამო მას სენატმა აჰყარა ქონებრივი უფლებები და გააძევა.

ბერცენი წინათაც მუშაობდა პოლიტიკურ ეკონომიაში და თავის თხზულებებში ეხებოდა ეკონომიკურ საკითხებს. დასავლეთის ჩვევებსა და წესებზე დაკვირვებამ, 1848—1849 წწ. რევოლუციურმა მოვლენებმა აიძულეს იგი უფრო მეტი დაჟინებით დაკვირვებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს. თავისი დაკვირვებები და დასკვნები მან გამოიყენა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზების დასაბუთებისათვის.

საფრანგეთში და შემდეგ კი ევროპის სხვა ქვეყნებში რევოლუციების ლაჩარცხება, რეაქციული ბურჟუაზიის ზეიმი და ნიკოლოზ I-ის ერგილით თავისებური „წმინდა კავშირის“ ჩამოყალიბება — ეს მოვლენები ბერცენმა აღიქვა როგორც პირადი ტრაგედია. მან მასში დაინახა „ევროპის მზის ჩასვენება“, დასავლეთის ცივილიზაციის დაცემა, ევროპის სოციალისტურად განვითარების იმედების კრახი.

სიხამდვილეში ეს იყო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, სოციალიზმში ბ ურ ჟ უ ა ზ ი ე ლ ი ი ლ უ ზ ი ე ბ ი ს კრახი, იძულებითი უარის თქმა სოციალიზმზე, რომელიც არსებითად მხოლოდ ლამაზი ფრაზა, კეთილი ოცნება იყო. „ბერცენის სულიერი დრამა იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უ კ ვ ე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ შომწიფებულიყო“.[1] ევროპული ბურჟუაზიული დემოკრატიით იმედგაცრუებულმა ბერცენმა, რომელიც ვერ ხედავდა, რომ მომავალი პროლეტარიატისაა, თავისი მზერა მიაპყრო რუს გლეხობას და მგზნებარედ მოითხოვდა მის ბატონყმობისაგან განთავისუფლებას და არაკაპიტალისტური, თემურ-სოციალისტური გზით განვითარებას. ამას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

1849—1852 წწ. ბერცენის ოჯახს თავს დაატყდა უბედურება — სანაოსნო კატასტროფის დროს დაეღუპა დედა და შვილი. დაიკარგა გულთბილი დამოკიდებულება მეუღლესთან, რომელიც მალე გარდაიცვალა.

შაგრამ მებრძოლის ნებისყოფამ და ტემპერამენტმა მაინც თავისი გაიტანა. 1852 წ. ბერცენი ლონდონში დასახლდა და დაიწყო საქმე, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ის, რომ მან „უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში“[2]. მან დააარსა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ ლ ი ტ ი პ ო გ რ ა ფ ი ა და რუსეთში ყველაზე ღრმა რეაქციის, როგორც ლენინი ამბობდა, „მონური დუმილის“ ვი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 13.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 11.

თარებაში დაიწყო რუსი ხალხისადმი მიმართული პირდაპირი რევოლუციური პროპაგანდა. გერცენი ეძებდა და დააყარა კავშირი რუს რევოლუციონერ რაზნოჩინელებთან, რომლებმაც მოწინავე თავადაზნაურობისაგან შიიღეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ესტაფეტა. 1855 წ. გერცენმა დააარსა ალმანახი „პოლიარნაია ზვეზდა". ხოლო 1857 წ. ოგარიოვთან ერთად — „კოლოკოლი" — პირველი რუსული რევოლუციური გაზეთი. ორივე გამოცემამ დიდი გავრცელება პოვა რუსეთში. თავისი კალმითა და ლონდონის ტიპოგრაფიის საბეჭდი ბანქანით გერცენი და ოგარიოვი რამდენიმე თანაშეწყესთან ერთად შიშის ზარს სცემდნენ პეტერბურგის სამეფო კარს, მემამულეებს, ჟანდარმებს, პოლიციას. პატიოსანი ადამიანები, ხშირად რევოლუციისაგან ძლიერ შორსმდგომნი, თავს მოვალედ თვლიდნენ შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ლონდონელ დევნილებს. მათ გაუჩნდათ მრავალი ფარული კორესპონდენტი, რომლებიც სხვადასხვა ხერხით ლონდონში გზავნიდნენ ცარიზმისა და მებატონეების მაბნილებელ მასალებს.

გერცენის რევოლუციური დემოკრატიზმი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა 1861 წ. რეფორმის პერიოდში, როდესაც „კოლოკოლი" გადაჭრით მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას მიწით, ამხელდა რეფორმის მძარცველურ ხასიათს, გლეხებს პროტესტისაკენ მოუწოდებდა. პოლონეთის აჯანყების დროს — 1863 წ. გერცენმა, რომელიც მტკიცედ გამოდიოდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, გადაარჩინა რუსული დემოკრატიის ღირსება. მაგრამ ამან „კოლოკოლს" რუსეთში დაუკარგა მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც არ იყვნენ მზად, ასე შორს გაჰყოლოდნენ გერცენს მის ინტერნაციონალიზმში. გაზეთის გამოცემა გააგრძელეს ჟენევაში, 1867 წ. გამოვიდა „კოლოკოლის" უკანასკნელი ნომერი.

ისკანდერის ძლიერი, გაბედული და ნათელი გონება ბოლომდე აგრძელებდა მუშაობასა და ბრძოლას. 1869 წ. იგი ანარქისტსა და „მემარცხენე" მ. ა. ბაკუნინს სწერს წერილს — „ძველ ამხანაგს". შევეცდებით, მოკლედ გადმოვცეთ გერცენის ამ თავისებური პოლიტიკური ანდერძის (1870 წ. იანვარში იგი გარდაიცვალა პარიზში და დაასაფლავეს ნიცაში, სადაც დღემდე ასვენია მისი ნეშტი) ყველაზე კაპიტალური იდეები.

პირველი, ამბობს გერცენი, საზოგადოებრივი გადატრიალებანი მხოლოდ მაშინაა რეალური და განხორციელებადი, როცა ისინი ეკონომიკურ განვითარებას ემყარებიან. სოციალიზმი ახლა (ესე იგი 115 წლის წინათ) სიტყვებიდან საქმედ იქცევა იმიტომ, რომ „თანამედროკე მონოპოლმა" (წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების ფორმა) ეკონომიკურად ამოწურა თავისი თავი. „საკუთრების და კაპიტალის ბურჯი საჭიროა შეირყეს ანგარიშით, ორმაგი ბუღალტერი-

ით, დებეტისა და კრედიტის ნათელი ბალანსით".[1] გერცენი აფრთხილებს სოციალისტებსა და რევოლუციონერებს საქმის მხოლოდ ერთი საძხედრო — პოლიტიკური მხარით გატაცების წინააღმდეგ, რადგან „ეკონომიკური შეცდომა განსხვავებით პოლიტიკურისაგან პირდაპირ და ღრმად იწვევს გაჩანაგებას, ერთ წერტილზე გაყინვას, შიმშილით სიკვდილს".[2]

მეორე, ახალი საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება დამკვიდრდეს და კაცობრიობას მისცეს პროგრესი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოიყენებს ყველაფერს ფასეულს და შექმნილს ძველი წყობილების მიერ, განსაკუთრებით მეცნიერებასა და კულტურას. „მეცნიერება ძალაა, იგი ხსნის ნივთთა ურთიერთობას, მათ კანონს და ურთიერთქმედებას, და მას გამოყენება არ ეხება, თუკი მეცხიერება მთავრობისა და კაპიტალის ხელშია, ისევე როგორც მის ხელშია ჯარი, სასამართლო, მართვა. მაგრამ ეს არ არის მეცნიერების ბრალი... ველური მოწოდებანი იმის შესახებ, რომ დახურონ წიგნი, მიატოვონ მეცნიერება და მიაშურონ რაღაც დამანგრეველ უაზრო ბრძოლას, მიეკუთვნება ყველაზე გაფთრებულ და მავნე დემაგოგიას... არა, დიდი გადატრიალებანი არ ხდება ბოროტი გატაცებების აღვირახსნით... მე არ მწამს იმ ადამიანების სერიოზულობა, რომელნიც განვითარებასა და შეთანხმებასთან შედარებით უპირატესობას აძლევენ ნგრევასა და უხეშ ძალას".[3]

შესაძე, რევოლუციური მოძრაობის მთავარ ძალად იქცევა ორგანიზებული მუშები. „მუშაკები, რომლებიც შეერთდებიან, გამოიყოფიან განსაკუთრებულ „სახელმწიფოდ სახელმწიფოში", რომლებიც ამყარებენ წყობილებას და თავის უფლებებს კაპიტალისტებისა და მესაკუთრეების გარეშე, პოლიტიკური საზღვრებისა და ეკლესიური საზღვრების გარეშე, შეადგენენ მომავალი ეკონომიკური წყობილების პირველ ქსელს და პირველ ყლორტებს"[4]. თანდათანობითი საერთაშორისო მასშტაბით მუშების შეგნებისა და ორგანიზებულობის ზრდა შეარყევს კაპიტალის ძალას და შესაძლებელსა და აუცილებელს გახდის სოციალისტურ გადატრიალებას.

მეოთხე, ასეთი გადატრიალების ურთულეს პრობლემას წარმოადგენს წვრილი მესაკუთრეების, განსაკუთრებით საკუთარი მიწის მფლობელი გლეხობის პოზიცია. კაპიტალიზმისაგან მკაცრად დატანჯული ადამიანები მის დამცველებად იქცევიან. „ეს ძლიერ სულელურია, მაგრამ დროა, ანგარიში გავუწიოთ სისულელეს როგორც უდიდეს ძალას"[5]. საჭიროა გლეხობისა და საერთოდ წვრილბურჟუაზიის ამ ანტა-

---

[1] А. И. Герцен, Собр. соч. Т. XX, книга 2. М., 1960, стр. 581.
[2] იქვე, გვ. 576.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 592—593.
[5] იქვე, გვ. 584.

გონისტური ტენდენციების ნეიტრალიზაციის მოქნილი და ჰუმანური საშუალებები. საჭიროა, სხვაგვარად „დავიწყოთ ახალი წესრიგის დამყარება — ახალი თავისუფლებისა... ცემით!.. ნუთუ ცივილიზაციისათვის მათრახი, თავისუფლებისათვის გილიოტინა შეადგენს ყოველი წინგადადგმული ნაბიჯის მუდმივ აუცილებლობას?..“[1]

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. აფორიზმულ ფორმაში ბრწყინვალედ გამოთქმული ამ აზრების სიბრძნე და აქტუალობა ყოველისათვის ნათელია. ძიებამ სიცოცხლის დასასრულს გერცენი ჭეშმარიტ გზაზე დააყენა. როგორც ლენინი წერდა, ბაკუნინთან კავშირს რომ წყვეტდა, გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს, იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი, იმ ინტერნაციონალს, რომელიც შეუდგა პროლეტარიატის ლაშქრის შეკრებას...“[2]

რუსული გლეხური სოციალიზმი

ვ. ი. ლენინი შრომაში — „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ (1894 წ.) — ლაპარაკობს „ძველი რუსული გლეხური სოციალიზმის“ შესახებ, რომელიც 90-იან წლებში გაიპო, „რომელმაც ერთი მხრივ, ადგილი დაუთმო მუშურ სოციალიზმს, მეორე მხრით კი — უგვანო მეშჩანურ რადიკალიზმად გადაგვარდა“.[3] გერცენი იყო ამ გლეხური სოციალიზმის ფუძემდებელი და ხალხოსნობის წინამორბედი. რიგ შრომებში და უპირველეს ყოვლისა შესანიშნავ სტატიაში — „გერცენის ხსოვნას“ (1912 წ.) — ლენინმა გვიჩვენა როგორც გერცენის დიდი დამსახურება რუსეთის წინაშე და მეცნიერული სოციალიზმის წინაშე, ასევე მისი იდეების ისტორიულად გარდუვალი სისუსტე და უტოპიურობა.

კარგადაა ცნობილი პრინციპი: წარსულის მოაზროვნეთა იდეები უხდა განვიხილოთ მათი მოღვაწეობის ისტორიული პირობების შუქზე, მათ იდეებში ვეძებოთ არა ის, რაც მათ ვერ მოგვცეს და არ შეეძლოთ მოეცათ ობიექტურად, არამედ ის, რაც თავისი დროისათვის იყო ახალი და გაბედული. გერცენის გლეხური სოციალიზმი ჩამოყალიბდა 50-იან წლებში, როცა ადამიანმა, რომლის აზრები რუსეთისაკენ იყო მიპყრობილი, სიცოცხლეში ვერ შეძლო დაენახა ამ ქვეყნის ვერც პრობლემები, ვერც საზოგადოებრივი ძალები, რომელნიც განვითარდნენ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ.

ახლა კი ჩვენთვის ნათელია, რომ რუსეთის კაპიტალისტური განვითარება ი მ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ პირობებში გარდუვალი, კანონზომიერი და პროგრესული იყო. ეს იყო სოციალიზმისაკენ ერთადერთი შესაძლებელი გზა. მაგრამ უაზრობა იქნებოდა მოგვეთხოვა, ასევე შეეხე-

---

[1] А. И. Герцен, Собр. соч., Т. XX, книга 2, М., 1960, გვ. 585.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ., 18, გვ. 14.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ., 23. გვ. 304.

და საქმისათვის გერცენს იმ ეპოქაში, სადაც ჯერ კიდევ საშინელ რეალობას ბატონყმობა წარმოადგენდა, ხოლო მუშათა კლასი რუსეთში, რამდენადმე „ევროპული“ აზრით, სრულიადაც არ არსებობდა. ჰუმანისტი და ხალხის მოყვარე გერცენი რუსეთისათვის ეძებდა რაღაც მესამე გზას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მას, განთავისუფლებულიყო ბატონყმობისაგან და ასევე თავიდან აეშორებინა კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის ბატონობის საშინელებანი, რომელიც გერცენს სულითა და გულით სძულდა. ამ გზას გერცენი თავის დროზე უკავშირებდა თვითმპყრობელობის დამხობას, პოლიტიკური წყობილების რევოლუციურ გარდაქმნას.

დიდი იდეები არ კვდებიან. სხვა ისტორიულ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა არაკაპიტალისტური განვითარების. ფეოდალური, კოლონიური და გვარტომობრივი ჩამორჩენილობიდან კაპიტალიზმის გვერდის ავლით, ან ყოველ შემთხვევაში მისი ძლიერი შეზღუდვით, სოციალიზმზე გადასვლის პრობლემა. ეს წყდება არა იმ გზებით, რაც გერცენმა განჭვრიტა. მაგრამ ერთში ალღომ არ უმტყუნა მას: სოფლის კოოპერაცია, ნელეხობის კოლექტიური შრომის ორგანიზაცია აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აუცილებელი ფორმა, სადაც იგი ტარდება.

40-იანი წლების იდეურ დაპირისპირებაში გერცენი გამოდიოდა როგორც დასავლეთელების ერთ-ერთი ბელადი, რომელიც სლავიანოფილების წინააღმდეგ იცავდა რუსეთის „ევროპულ მსოფლიოში“ შესვლის პროგრესულობას. 50-იან წლებში გერცენი თითქოს იცვლის ფრონტს: იგი ლაპარაკობს რუსეთის განსაკუთრებული გზის და განსაკუთრებული ხვედრის შესახებ. მისი პუბლიცისტიკა თითქოს ხსნის ტიუტჩევის სახელგანთქმულ სტრიქონებს:

> გონებას არ ძალუძს რუსეთის გაგება,
> საერთო არშინით მას ვერ გაზომავ:
> ის გახუკურნებელია —
> რუსეთს მხოლოდ უნდა ერწმენო.

მაგრამ ძირითადში გერცენი შორს იყო ტიუტჩევის „პოეტური“ სლავიანოფილობისგან და კიდევ უფრო შორს ძველი დროის და ჩამორჩენილობის ქებისაგან, რასაც ეწოდნენ ოფიციალური მონარქიული სლავიანოფილები.

ის რუსეთის მომავლობას იმაში ხედავდა, რომ შეეერთებინა დასავლური სოციალიზმის იდეები რუსული ნელეხური თემის ხალხურ საფუძვლებთან და მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შესაძლებლობა, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. „სოციალური რევოლუციის იდეა ევროპული იდეაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სწორედ დასავლეთის ხალხებს

უფრო შესწევთ მისი განხორციელების უნარი".[1] ასე წერდა გერცენი 1854 წ.

რუსული სოციალისტური რევოლუციის საწინდარად ის თვლიდა გლეხურ თემს, მიწაზე გლეხობის განვითარებულ კერძო საკუთრების არარსებობას. რუსი ხალხის კოლექტივიზმს, ურთიერთდახმარებას, არტელურობის ტრადიციებს. ამ ეროვნულ თავისებურებებს ის ხედავდა აგრეთვე ხელოსნური არტელების მუშებშიც. რუს მუშებს მათი ფსიქოლოგიით იგი ასევე გლეხებად თვლიდა და ვარაუდობდა, რომ ისინი პრინციპულად განსხვავდებიან დასავლეთ-ევროპელებისაგან. გერცენი სტიქიურ თემურ სოციალიზმზე (სხვა ადგილებში ის ლაპარაკობს კომუნიზმზე) ამყარებს თავის იმედებს, უპირისპირებს მას როგორც ბატონყმობას, ისე კაპიტალიზმსაც.

გერცენი ნათლად ხედავდა ეკონომიკური განვითარების ძირითად კანონზომიერებას: ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნას. საინტერესოა, რომ თავისი დროის დასავლეთი პოლიტიკურ ეკონომიას თვლიდა მეცნიერებად კაპიტალისტური სიმდიდრის შესახებ და ივი იმოწმებდა „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების გავრცელებას", როცა მიუთითებდა გაბურჟუებულ თავადაზნაურობაზე, გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაციის კაპიტალისტურთან შეერთებაზე.[2] ხალხის ამ დამღუპველი განვითარებისათვის მას სურდა დაეპირისპირებინა სოციალიზმის იდეებით აღფრთოვანებული გლეხების რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ნაშრომში ასე განსაზღვრა: „ჩვენ რუსულ სოციალიზმს ვუწოდებთ იმ სოციალიზმს, რომელიც აღმოცენდება მიწიდან და გლეხური ყოფიდან, ფაქტიურად ნადელებიდან და მინდვრების არსებული გადანაწილებიდან, თემური მიწათმფლობელობიდან და თემური მართვიდან და მუშათა არტელთან ერთად მიდის იმ ეკონომიკური სამართლიანობის შესახვედრად, რომლისკენაც მიილტვის საერთოდ სოციალიზმი და რომელსაც ადასტურებს მეცნიერება".[3]

გერცენი ამ სტატიაში რამდენიმე ნათელი სტრიქონით გვიჩვენებს რუსეთში სოციალისტური იდეების დაბადებას და ფორმირებას და ამ პროცესში ჩერნიშევსკის ადგილს, რომელიც ამ დროს უკვე ციმბირის კატორღაში იყო.

ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ნათლობის გზა

რუსული რევოლუციური მოძრაობის ორი ბელადის პირადი ურთიერთობა უბრალო არ იყო. მათ მხოლოდ ერთხელ ნახეს ერთმანე-

---

[1] А. И. Герцен, Старый мир и Россия, Собр. соч., т. XII, М., 1937, стр:168:

[2] იხ. А. И. Герцен, Русское крепостничество, Собр. соч., т. XII, М., 1957, тр. 51-52.

[3] А. И. Герцен, Порядок торжествует, Собр. соч., т:, XIX, М. 1960, стр. 193.

თი — 1859 წ. ლონდონში, სადაც ჩერნიშევსკი რუსეთიდან რამდენიმე დღით საგანგებოდ ჩამოვიდა გერცენთან შესახვედრად და მათ შორის წარმოქმნილი პოლიტიკური უთანხმოების განსასჯელად; როგორც ჩანს, საუბარი მეტად მძიმე იყო, მაგრამ შეუდარებლად უფრო მეტად დააახლოვა ისინი, ვიდრე დააშორა. ჩერნიშევსკი, რომელიც 16 წლით უმცროსი იყო, ჭაბუკობის წლებიდანვე ისკანდერში ხედავდა მასწავლებელს და ცხოვრების ნიმუშს. იგი აღიზარდა 40-იანი წლების დემოკრატიულ პუბლიცისტიკაზე, სადაც გერცენს ცენტრალური ადგილი ეკავა. ისინი მოკავშირეები იყვნენ მიწებით გლეხობის განთავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში, უსაშინელეს თვითმპყრობელობისა და პოლიციური სახელმწიფოს ურჩხულთან.

როცა 1853 წ. ჩერნიშევსკიმ ხელი სთხოვა სარატოველი ექიმის ქალიშვილს — ოლია ვასილის ასულს, მან თავი მოვალედ ჩათვალა, პატიოსნად გაეფრთხილებინა ის თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის საძიში თავისი შეხედულებებისა და გეგმების შესახებ. ამასთან ერთად მან მოუთხრო ჟერცენის მეუღლის ნატაშა ზახარინას ბედის შესახებ და მათ ურთიერთობას ხატავდა როგორც იდეალს.

თვით ჩერნიშევსკის პიროვნების შეპირისპირება გერცენის პიროვნებასთან განასახიერებს რევოლუციური მოძრაობის ახალ, რაზნოჩინულ ეტაპს. ის მღვდლის ოჯახიდან იყო გამოსული, სწავლობდა სემინარიაში (და პეტერბურგის უნივერსიტეტში), იყო გიმნაზიის მასწავლებელი და ჟურნალისტი. იგი იყო ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ი, ამ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის კარგი, კეთილშობილური გაგებით, — როგორც ლენინი.

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წ. სარატოვში. მან ბავშვობა გაატარა პატარა ხის სახლში ვოლგის ნაპირზე, რომელიც დღესაც დაცულია როგორც ეროვნული სათაყვანო. რელიგია დიდ როლს ასრულებდა ოჯახში და ზემოქმედებდა ბავშვის აღზრდაზეც. 18-20 წ. ჩერნიშევსკიმ გადაიტანა სერიოზული შინაგანი კრიზისი, როცა იგი მატერიალისტი და ათეისტი გახდა. ამასთან ერთად მისი მამა იყო კარგად განათლებული, ფართოდ მოაზროვნე და ძლიერ კეთილი ადამიანი. იგი იყო პირველი მასწავლებელი ყმაწვილისა, რომელიც მრავალ დარგში ავლენდა არაჩვეულებრივ ნიჭს. ჭაბუკი ჩერნიშევსკი თავისი ცოდნით აოცებდა არა მხოლოდ სარატოველ პროვინციალებს (რაც შეიძლება არც თუ უცნაური ყოფილიყო), არამედ ძალიან მალე თავი გამოიჩინა პეტერბურგის სტუდენტებს შორისაც.

ჩერნიშევსკის პირველი მეცნიერული გატაცება ლინგვისტიკა და რუსული ლიტერატურა იყო, ხოლო პირველი პოლიტიკური სკოლა — 1848—1849 წწ. ევროპის რევოლუცია და 1849 წ. დარბეული პეტრაშევცების (მ. ვ. პეტრაშევსკის მიმდევრები) რევოლუციური წრე. სა-

ბედნიეროდ, იგი მხოლოდ იცნობდა წრის რამდენიმე წევრს და ამჯერად ასცდა რეპრესიებს.

ჩერნიშევსკი იხსენებს თავის ახალგაზრდობას და თავის თავს ბიბლიოფაკს — წიგნების შთანმთქმელს უწოდებს. ასეთად იგი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. სტუდენტობის წლებში მის მიერ ხაკითხული წიგნების მოცულობა და სფერო გაოცებას იწვევს. სოციალისტებიდან მასზე ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფურიემ, რაც, როგორც ცნობილია, შემდგომში აისახა ცნობილ რომანში — „რა ვაკეთოთ?“ სოციალიზმის ეკონომიკური დასაბუთების მოთხოვნილებამ მალე იგი პოლიტიკურ ეკონომიამდე მიიყვანა. იგი კითხულობს სმიტს, რიკარდოს, მალთუსს, ბლანკის „პოლიტიკური ეკონომიის ისტორიას“, რამდენიმე სამამულო თხზულებას. ჩერნიშევსკიმ კარგად იცოდა ფრანგული, გერმანული და ძველი ენები, პეტერბურგში ის დიდოუკიდებლად დაეუფლა ინგლისურს, ერთდროულად იგი გულმოდგინედ სწავლობს ფილოსოფოსებს, მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ფოიერბახის მატერიალიზმმა. ცოდნის ეს განსაკუთრებული ინტენსიური დაგროვება გრძელდებოდა უნივერსიტეტის წლებში და სარატოვში ძასწავლებლობის წლებში (1851—53 წწ.). 1853 წ. გადასახლდა პეტერბურგში და მალე იგი ჟურნალ „სოვრემენიკის“ ენერგიული თანამშრომელი, ხოლო შემდეგ ფაქტიური ხელმძღვანელი გახდა, რომლის კარშემო შემოიკრიბნენ დემოკრატიული ლიტერატურის და რუსეთის სასოგადოებრივი აზრის საუკეთესო ახალგაზრდა ძალები. „სოვრემენიკში“ იგი მუშაობდა ნ. ა. ნეკრასოვთან და ნ. ა. დობროლიუბოვთან ერთად.

ჩერნიშევსკის მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა გრძელდებოდა სულ რაღაც ათ წელიწადს. პირველ ხანებში მას ძლიერ უჭირდა მატერიალურად და ეწეოდა ყოველგვარ ლიტერატურულ მუშაობას სხვისი შეკვეთით, თუმცა უკვე „სოვრემენიკის“ რედაქტორობის დროსაც, ჩერნიშევსკი იძულებული იყო შეესრულებინა შავი საჟურნალო დიდი სამუშაო. გასაოცარია ამ წლებში ჩერნიშევსკის ლიტერატურული პროდუქციის მოცულობა. პრაქტიკულად ყველა მისი ხაბრომი პოლიტიკურ ეკონომიაში დაიწერა და გამოქვეყნდა 1857—1862 წწ. ხანმოკლე პერიოდში. ფორმალურად მრავალი მათგანი გამოხმაურებაა რუსულ და საზღვარგარეთულ ეკონომიკურ თხზულებებზე, მაგრამ ჩერნიშევსკის კალამი ამ რეცენზიებს, მიმოხილვებს და შენიშვნებს აქცევდა ღრმა მეცნიერულ და ორიგინალურ შრომებად.

დიდი მოაზროვნის მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უკავია ჯ. სტ. მილის წიგნის — „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (იხ. თავი XIV) — რუსულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ მის შრომებს. შენიშვნებს მილის წიგნის თავებზე და „პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევებში (მილის მიხედვით)“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა „სოვრემე-

ხიკში“ 1860—1861 წწ. ჩერნიშევსკიმ გადმოსცა თავისი მთავარი ეკონომიკური იდეები. ამ შრომის მნიშვნელობა უდიდესი იყო როგორც რუსული პოლიტიკური ეკონომიის, ასევე რუსული რევოლუციური აზრისათვის. 90-იან წლებამდე დემოკრატიულ ახალგაზრდობას შორის ის ძალიან ხშირად პოლიტიკური ეკონომიის შესავალს წარმოადგენდა. ამ შეცხიერებას ჩერნიშევსკისა და მილის მიხედვით სწავლობდნენ სტუდენტურ წრეში, რომელთანაც დაახლოებული იყო რევოლუციონერი-ხალხოსანი ალექსანდრე ულიანოვი, — ლენინის უფროსი ძმა, რომელიც მსჯავრდადებულ იქნა და სიკვდილით დაისაჯა 1887 წ. „1 მარტის საქმისათვის“ (ალექსანდრე III-ზე თავდასხმისათვის).[1]

საყურადღებოა ადგილი, სადაც ჩერნიშევსკი წერს: „მაგრამ ჭეშმარიტად ვლებულობთ მეცნიერების დიდი ინგლისელი დამფუძნებლების (სმიტი და რიკარდო — ა. ა.) გამოკვლევების მთავარ შედეგებს და არ ვუფიქრდებით, რომ მათი შრომებით ამოწურულია მთელი ჭეშმარიტება. საერთოდ რომ ვთქვათ, მათ მეტად დამაკმაყოფილებლად ახსნეს საქმის ის მხარეები, რომელნიც ყურადღებით გამოიკვლიეს. მაგრამ ისინი, მაინც ღმერთები კი არა, ადამიანები არიან, და, მართლაც, ბევრი შენიშნეს, ბევრიც შეუმჩნეველი დარჩათ. მათი შრომები შევსებას საჭიროებს... და შეავსეს ისინი მეცნიერებმა, რომლებსაც ჩვენ პირდაპირ მასწავლებლად ვაღიარებთ“[2].

ცენზურაგავლილ გამოცემაში ჩერნიშევსკის არ შეეძლო უფრო ნათლად ეთქვა. საქმე ისაა, რომ მას განზრახული ჰქონდა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების მოძღვრების მეცნიერული საფუძვლების შეერთება სოციალიზმის იდეებთან. ეს დიდი ისტორიული ამოცანა მარქსმა გადაწყვიტა. აღსანიშნავია ის, რომ რუსი გენიოსი ევროპაში ერთადერთი კაცი იყო, რომელიც ამ ამოცანის წინაშე დადგა მსგავსი პოზიციებით და იმავე პერიოდში როგორც მარქსი.

ჩერხიშევსკის ერთ-ერთი თანამედროვე და თანამშრომელი რამდენადაც მოგვიახებით, უკვე XX საუკუნის დასაწყისში, წერდა: „ძალაუხებურად გებადება აზრი, რამდენი დრო და ძალა დაკარგა ამ მეცნიერმა, რომელიც იძულებული იყო შეესრულებინა ისეთი წვრილმანი სამუშაო, როგორიც ცუდად შესრულებული პატარა მოთხრობების რეცენზიებია, იმ დროს, როცა მის აზროვნებაში უკვე მომწიფდა მწყობრი პოლიტიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური სისტემები, რომლებმაც შემდეგში ვერ მოასწრეს განვითარება მთელი სისრულით და

---

[1] История русской экономической мысли, под ред. А. И. Пашкова, т. II. часть вторая, М., стр. 349-350.

[2] Н. Г. Чернышевский, Избранные экономические произведения, т. III, ч. 2. Политиздат. 1949, стр. 227.

რომლებმაც მაინც გამოიწვიეს ულმობელი მოხუცი კარლ მარქსის გაკვიოვება“.[1]

ძირითადი მოწინააღმდეგე, რომელსაც ჩერნიშევსკი ებრძოდა, ბატონყმობა და თვითმპყრობელობა იყო. მაგრამ მას მხურვალედ სწამდა, რომ ამ მტრებზე გამარჯვების შემდეგ რუსი ხალხი არ წავა განვითარების კაპიტალისტური გზით, არამედ დაადგება განვითარების სოციალიზმის ეზას. გერცენის მსგავსად ის იმედებს გლეხურ თემზე და რუსეთში ხალხური ცხოვრების სტიქიურ-სოციალისტურ საფუძვლებზე აძყარებდა. ჩერნიშევსკის შეხედულებები ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტით გახსვავდებოდა გერცენის შეხედულებებისაგან. ის თავისუფალი იყო ისკანდერის ლიბერალური ილუზიებისაგან და ყოველთვის ძლიერად იდგა გლეხური რევოლუციისა და თემის და რუსეთის მთელი სოციალური სისტემის რევოლუციური გარდაქმნის პოზიციებზე. ის არ იყო „რუსული გამონაკლისის“ იდეის იმ ზომით ერთგული და რეალურად და კანონზომიერად თვლიდა სოციალიზმზე გადასვლას დასავლეთის ქვეყნებში უშუალოდ, თემის გარეშე.

1859—1861 წწ. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ჩერნიშევსკი ხდება მისი აღიარებული იდეური ბელადი. „სოვრემენიკის“ რედაქტორი მოხერხებულად უვლიდა გვერდს ცენზურას (ამ ხელოვნებაში ის ნამდვილი ოსტატი იყო) და თავის სტატიებში მხარს უჭერდა გლეხურ რევოლუციას, რუსეთში რევოლუციური ორგანიზაციების შექმნას. ჩერნიშევსკი მონაწილეობს აგრეთვე პროკლამაციების გავრცელებაში და „ზემლია ი ვოლიას“ საიდუმლო საზოგადოების დაარსებაში. იზრდება ჩერნიშევსკის პოპულარობა დემოკრატიულ იხტელიგენციაში. მაგრამ იზრდება აგრეთვე ძლევამოსილი მტრების სიძულვილიც. 1862 წ. ივლისში ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და სასამართლომდე და სასამართლოს მსვლელობის დროს თითქმის ორი წელი გაატარა პეტროპავლოვსკის საპყრობილეში. ბრალდება შეთითხნეს პროვოკატორების დახმარებით. მას მიესაჯა კატორღული საძუშაო 7 წლით და მუდმივი გადასახლება ციმბირში.

ჩერნიშევსკიმ, კაბინეტის მეცნიერმა, წიგნიერმა ადამიანმა, გარეგნულად მორცხვმა და დამყოლმა თვითმპყრობელობასთან ორთაბრძოლაში თავი ვამოიჩინა, როგორც ვაჟკაცურმა მებრძოლმა. ციცხლებისაგან პეტროპავლოვსკის ქვის კედლებით და ციმბირის მორებით ნაგები საპყრობილით, ექვსი ათას ვერსიანი უგზოობითა და ფხიზელი დაცვით ალამყოფილი ჩერნიშევსკი ანგარძოდა რევოლუციურ ბრძოლას და ლიტერატურულ მოღვაწეობას, --- რაც ერთი და იგივე იყო! საპყრობილეში მან დაწერა რომანი „რა ვაკეთოთ?“ — გასაოცარი ნაწარმოები, რომელშიც ცხოვრების მხატვრული ასახვა განუყოფლადაა

---

[1] ციტირებულია: Ю. М. Стеклов, Н. Г. Чернышевский, Его жизнь и деятельность. Изд. 2, М-Л., 1928, том I. стр. 166:

შეერთებული რევოლუციურ-პოლიტიკურ და სოციალურ იდეებთან. ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენა იქონია მასზე სიუჟეტში ამ რომანმა.

ჩერნიშევსკი მოაშორეს ცხოვრებას არსებითად სრულიად ახალგაზრდა — 34 წლის ადამიანი. ასეთად დარჩა იგი მისი მეფუარისტების უდიდეს უმრავლესობაში. ძლიერ ცოტამ შეძლო მისი ხილვა 1862 წ. იემდეგ. თითქმის ოცდაორი წელი გაატარა მან საპყრობილესა და გადასახლებაში და გადაიტანა მძიმე ფიზიკური და სულიერი ტანჯვა: მარტობა, მკაცრი კლიმატი, ავადმყოფობა, საპყრობილის მსახურთა დაცინვა, რკინის ბორკილებიც კი. მხოლოდ 1883 წ. მისცეს მას უფლება, დასახლებულიყო ასტრახანში — კვლავ დედაქალაქიდან შორს პოლიციის ზედამეთვალყურეობით. 1889 წ. ხელისუფალთა განსაკუთრებული წყალობით იგი გადაიყვანეს მშობლიურ როსტოვში. იმავე წელს გარდაიცვალა იქვე ტვინში სისხლის ჩაქცევით. ჩერნიშევსკის ჰყავდა ორი ვაჟიშვილი. უმცროსმა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ სიცოცხლე მამის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეგროვებას და გამოცემას შესწირა.

რუსეთისა და დასავლეთი ევროპის საუკეთესო ადამიანები იბრძოდნენ ჩერნიშევსკის განთავისუფლებისათვის, სოლიდარობას უცხადებდნენ მას და გმობდნენ მის ჯალათებს. მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო გერცენი,[1] იყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. მაგრამ რუსეთში საზოგადოებრივი აზრი დათრგუნული იყო ცარიზმის ძიერ, ევროპაში კი მაშინ ძალიან ცოტას შეიძლებოდა სცოდნოდა, გაეგო და შეეფასებინა დიდი მოქალაქისა და მოაზროვნის როლი.

1883 წ. ბოლოს ასტრახანში ჩამოვიდა (როგორც ი. მ. სვეტლოვი წერს. „შემოიპარა") ლონდონის გაზეთ „დელი ნიუსის" კორესპონდენტი. სხვა აზრებს შორის, რომელიც ჩერნიშევსკიმ თავის თანამოსაუბრეებთან გამოთქვა, ჩვენს ყურადღებას ერთი იპყრობს: „შემდეგ ჩერნიშევსკიმ აგვიხსნა, რომ მისი დაპატიმრების და გადასახლების ნამდვილი მიზეზი იყო ნეკრასოვის ჟურნალ „სოვრემენიკში" დაბეჭდილი პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსის რამდენიმე სტატია, მათ რიცხვში იყო ჯემს სტიუარტ მილის პოლიტიკური ეკონომიის თხზულების გარჩევა"[2].

ამრიგად, თუ კორესპონდენტმა სწორად გადმოსცა ნათქვამი, თვით ჩერნიშევსკი მისი დევნის მთავარ მიზეზად სწორედ თავის მეცნიერულ-ლიტერატურულ, და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის დარგში მოღვაწეობას თვლის.

---

[1] მათი ურთიერთდამოკიდებულების მთელი ისტორია კარგადაა მოთხრობილი ი. ვ. პოროხოვის წიგნში — «Герцен и Чернышевский», Саратов, 1963.

[2] ციტირებულია: Ю. М. Стеклов. Н. Г. Чернышевский. Его жизнь и деятельность, 2 изд., т. 2, М. Л., 1928, стр. 597.

ბელინსკისა და გერცენის კვალდაკვალ ნ. გ. ჩერნიშევსკი გამოვიდა რუსულ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უპირველეს ყოვლისა როგორც **განმანათლებელი**. მისი ‘ძედარება. ‘ჰეიძლება დიდროსთან საფრანგეთში და ლესინგთან გერმანიაში, და მის თხზულებებში ჩვენ ვნახულობთ მითითებებს, რომ მას სწორედ ასე ესმოდა მისი როლი. პოლიტიკური ეკონომიის დარგში ჩერნიშევსკი თავის ამოცანას ხედავდა იმაში, რომ მიეწოდებინა რუსი მკითხველისათვის „ძთლიანობაში“, სეის მიმდევრებისაგან დაუზიანებლად. მიეტანა სმიტის, რიკარდოს, მალთუსის, მილის იდეები. მან ასევე სპეციალური ნაშრომი მოუძღვნა ტიურგოს. „სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ თუ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი ‘ალთუსს აყენებდა პირველი ორის გვერდით (მათ შუა), მოგვიანებით მან მკვეთრად გააკრიტიკა მისი „ხალხთმოსახლეობის კანონი“.

ძაგრამ ეს იყო მხოლოდ საქმის პირველი ნაწილი. ჩერნიშევსკი კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში წმინდა ბურჟუაზიულ ხასიათს ხედავდა და ‘ას სასარგებლოდ თვლიდა რუსეთში მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური დასაბუთებისათვის ის ცდილობდა მისთვის სოციალიზმის იდეების დამატებას, რომელიც მაშინ აუცილებლობის გამო უტოპიური იყო. ამასთან ჩერნიშევსკიმ კრიტიკულად გააანალიზა კლასიკოსები სოციალიზმის პოზიციებიდან.

და ბოლოს, ის თავის პირდაპირ ამოცანად თვლიდა, წინააღმდეგობა გაეწია რუსეთში ბურჟუაზიულ-პოლიტიკური თეორიების გავრცელებისათვის და ამიტომ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მგზნებარებით თავს დაესხა იმ მიმართულების დასავლეთისა და რუსეთის ეკონომისტებს, რომლებიც მარქსმა ვულგარულად მონათლა.

ადამ სმიტი ჩერნიშევსკისათვის დიდი ავტორიტეტია. თავის მნიშვნელოვან (მილის მიხედვით ნარკვევებთან ერთად) ეკონომიკურ ნაშრომში „კაპიტალი და შრომა“, რომელიც წარმოადგენს გაშლილ რეცენზიას, ი. ი. გორლოვის წიგნზე, იგი წერს: „ადამ სმიტი... იყო ახალი მეცნიერების დამფუძნებელი: გვიჩვენა შრომის დამოკიდებულება ფასეულობისადმი, კაპიტალის მონაწილეობა წარმოებაში, შრომის გასაძრჯელოს ნორმა, შრომის დანაწილების მნიშვნელობა, და ვინ იცის, რამდენი აღმოჩენა გააკეთა მან! რამდენიმე გვერდზე მის მეათედ ნაწილსაც კი ვერ ჩამოთვლი“. შემდეგ აღნიშნავს რიკარდოსა და მალთუსის დამსახურებას და ავტორი სარკასტულად კითხულობს: „ძაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, რა ახალი აზრი შეიძლება მოვიძიოთ იმ ეკონომისტებთან, რომლებმაც სახელი გაითქვეს მალთუსისა და რიკარდოს შემდეგ, ან მათთან, ვინც ამჟამადაა სახელგანთქმული? რა აღმოჩენა

გააკეთა მეცნიერებაში მიშელ შევალიემ, ან ბასტიამ, ან ეოლოვსკიმ, ან როშერმა, ან რაუმ, ან თუნდაც თვით ჟან ბატისტ სეიმ"[1].

როგორც ვხედავთ, ჩერნიშევსკი მკვეთრად გამოყოფს ვულგარულ ეკონომისტებს კლასიკოსებისაგან. ის მიუთითებს კლასიკური მეცნიერების ამ „ეადაგვარების" სოციალურ მიზეზებზეც — მისი მთავარი მიზანი გახდა მომაკვდავი ბურჟუაზიული საზოგადოების წესწყობილების დაცვა.

„ტექნიკური" მიმართულების ეკონომისტები, რომლებსაც სურდათ მათემატიკური და სხვა არასოციალური მეთოდების დახმარებით გაეანალიზებინათ მეურნეობრივი მიკროსამყაროს მოვლენები, ინტერესს არ იწვევდნენ ჩერნიშევსკში, თუმცა ამ მიმართულებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესამჩნევი ნაშრომები[2].

ჩერნიშევსკისათვის პოლიტიკური ეკონომია პირველ რიგში იყო მეცნიერება, რომელიც უჩვენებდა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გზას. გ. ვ. პლეხანოვი წერს: „მისთვისაც ისევე, როგორც ყველა სხვა სოციალისტ-უტოპისტებისათვის, მეცნიერების მთავარი ამოცანა მდგომარეობდა არა ა მ ჟ ა მ ი ნ დ ე ლ ი საზოგადოების განვითარების ობიექტური მსვლელობის შესწავლაში, არამედ იმის გამოკვლევაში, თუ როგორი უნდა იყოს მ ო მ ა ვ ა ლ ი საზოგადოება"[3]. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკი უტოპიური სოციალიზმის „პატრიარქებისგანაც" კი განსხვავდება იმით, რომ კაპიტალიზმის ეკონომიკის ძირითად საკითხებს იკვლევდა არა მხოლოდ როგორც თეორეტიკოსი, არამედ როგორც ანალიტიკოსიც და ყველა მოვლენას იხილავს მშრომელების ინტერესების თვალსაზრისით.

„მშრომელების ეკონომიკური თეორია

„მშრომელების თეორიას" ჩერნიშევსკი უწოდებდა „ახალი დროების მოთხოვნების შესაბამის თეორიას, საპირისპიროდ ჩამორჩენილი, მაგრამ გაბატონებული თეორიისა, რომელსაც დავარქმევთ კაპიტალის-

---

[1] Н. Г. Чернышевский, Избранные экономические произведения, т. 2, 1948, Стр. 326. დასახელებულია XIX ს-ის პირველი ნახევრის საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტეკონომიის „ვარსკვლავების" სახელები.

[2] შეტად საინტერესოა, რომ ნ. ვ. ოგარიოვი, არაჩვეულებრივი გონებისა და ფართო შეხედულებების ადამიანი იცნობდა და აფასებდა ა. კურნოს შრომებს. არაერთგზის იმოწმებდა და აქებდა მის ფილოსოფიურ-მათემატიკურ ნაშრომებს და იგი მაინც სკეპტიკურად უყურებდა კურნოს იდეების ეკონომიკური პროცესებისადმი მათემატიკური ანალიზის გამოყენების შესახებ, ოგარიოვის აზრით, „აქ შემოტანილია ფორმალიზმი", რომ ეკონომიკური სიდიდეები თავისი ბუნებით დისკრედიტულია, ხოლო ფუნქციები „საზოგადოებრივ სამყაროში", განსხვავებით ბუნებისაგან, წყვეტილია (იხ. მისი 1866 წ. 5 მაისის წერილი გერცენისადმი. Н. П. Огарев, Избранные социально-экономические и философские произведения, 1956, т. 2, стр. 512).

[3] Г. В. Плеханов, Н. Г. Чернышевский, Сочинения, т. VI, М.Л., 1925 г., стр. 70.

ტების თეორიას"[1]. შემდეგ ფრაზაში მშრომელების (სოციალიზმის) თეორიის ძირითადი პრინციპი პირდაპირ დაკავშირებულია სმიტის თეზისთან იმის შესახებ, რომ ღირებულება იქმნება მხოლოდ შრომით, და ამიტომ „ს ა ღ ი ა ზ რ ი ს წ ე ს ი ა" (ხაზგასმა ჩვენია ა. ა.), რომ „წარმოებული უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც იგი აწარმოა". ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აღმოვაჩინოთ ეკონომიკური წყობილების წესები, რომელთა დროსაც შესრულდება საღი აზრის ეს მოთხოვნები"[2]. სოციალიზმის წინააღმდეგ „კაპიტალის თეორიის მიმდევარნი" (ასე უწოდებს ავტორი ბურჟუაზიულ ეკონომისტებს) აყენებენ „ველურ" ცნებას ეკონომიკური დაწესებულებების ბუნებრივობისა და ხელოვნურობის შესახებ. მაგრამ კაპიტალიზმის „ბუნებრივობა" არის მხოლოდ ხელსაყრელი ფორმა წყობილების ქებისა, რომელიც უფრო ძალალი და საერთოადამიანური თვალსაზრისით სრულიადაც არ წარმოადგენს ბუნებრივს. ასევე უაზრობაა მტკიცება სოციალიზმის „ხელოვნურობის" შესახებ, რომელიც, პირიქით, შეესაბამება სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებს.

ამ ნაწყვეტში იგრძნობა ჩერნიშევსკის გასაოცარი მიღწევები და მისი თეორიის ნაკლიც. ჩვენ აქ ვხედავთ მუშებისათვის „შრომის სრული პროდუქტის" ცნობილ უტოპისტურ მოთხოვნას და არანაკლებ უტოპისტურ შეხედულებას იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმი ეწინააღმდეგება საღ აზრს, ხოლო სოციალიზმი შეესაბამება მას.

თვით ჩერნიშევსკის აზრით იგი მხოლოდ მივიდა მშრომელების ეკონომიკური თეორიის შექმნამდე, მაგრამ ვერ მოასწრო მისი რამდენადმე დასრულებული ფორმით გადმოცემა. მოკრძალებისა და დაპირებების ნოტებით ამთავრებს იგი თავის ნარკვევს მილის შესახებ. ამის გაკეთება მან ვერ შეძლო. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა სახეს მიიღებდა მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეების სისტემა, თუკი ის შეძლებდა, მასზე კიდევ 10—15 წელი ემუშავა.

პოლიტიკური ეკონომიის დარგში ჩერნიშევსკის ძირითადი იდეების უმოკლესი დახასიათებისათვის გამოვიყენებთ მის მეტად სერიოზულ ანალიზს მოცემულს „რუსული ეკონომიკური აზრის ისტორიაში" (ავტორი ნ. ა. ცაგოლოვი).

იგი ჩერნიშევსკის მშრომელების თეორიაში ხედავს თითქოს სამ მხარეს: ბატონყმობის კრიტიკას, კაპიტალიზმის კრიტიკას, სოციალიზმის დასაბუთებას. თავისი კლასობრივი ბუნებით ეს გლეხური დემოკრატიის იდეოლოგიაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია მიწაზე ფეოდალურ-მემამულური საკუთრების და ექსპლოატაციის მოსპობით. მაგრამ რუსეთის პირობებში მხოლოდ გლეხური

---

[1] Н. Г. Чернышевский, Капитал и труд, Избранные экономические произведения, т. II, стр. 352.

[2] იქვე.

დემოკრატია შეიძლებოდა ყოფილიყო მაშინ ერთადერთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი, ებრძოლა ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, ყველა ექსპლუატატორული კლასის და ჩაგვრის ყველა ფორმის წინააღმდეგ. ჩანასახში მყოფი რუსული ქალაქის პროლეტარიატი და დასავლეთის მუშათა კლასი შეიძლებოდა გამხდარიყო ბლეხობის მოკავშირე რევოლუციაში, რომელიც ერთდროულად ანტიბატონყმური და ანტიკაპიტალისტური იქნებოდა.

პოლიტიკური ეკონომიის ძირეულ პრობლემებში, ღირებულებისა და განაწილების თეორიაში, ჩერნიშევსკი ემხრობოდა რიკარდოს და უფრო თანამიმდევრულად, ვიდრე დასავლეთის უტოპისტები, ცდილობდა მისი მოძღვრება მოებრუნებინა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალიზმის სასარგებლოდ.

ჩერნიშევსკის მიხედვით კაპიტალიზმის დროს ღირებულების კანონის მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ შრომა იქცევა საქონლად (რაც არ შეიძლება „ადამიანური" იყოს), საცვლელი ღირებულება კი წარმოების ერთადერთი მიზანი ხდება. საქონელში ნამდვილი მნიშვნელობა აქვს შ ი ნ ა გ ა ნ ფ ა ს ე უ ლ ო ბ ა ს (თავისებური საზოგადოებრივი სარგებლიანობა), მაგრამ ის შეიძლება წარმოებისა და მისი პროდუქციის რეგულატორად იქცეს მხოლოდ სოციალიზმის დროს.

მუშათა კლასისათვის კაპიტალიზმის შავბნელ პერსპექტივებს ჩერნიშევსკი ხედავდა მეტად უკიდურეს ვარიანტებში და იხრებოდა „ხელფასის რკინის კანონისა" და მუშათა ფონდის ჩვენთვის ცნობილი იდეებისაკენ. მისთვის ეს სულაც არ იყო კაპიტალიზმის დაცვის არგუმენტი (თითქოს დამნაშავეა ბუნება და არა საზოგადოებრივი წყობილება), არამედ, პირიქით, წარმოადგენდა მისი მანკიერებისა და წარმავლობის დასაბუთებას.

როგორც მახვილგონივრულად შენიშნავს ი. მ. სტეკლოვი, ჩერნიშევსკი უშვებდა მუშის ფონდის სამართლიანობას და „თითქოს რამდენადმე ბოროტნარევი სიხარულით ცდილობდა მასზე დათანხმებას"[1], სოციალიზმის უფრო დამაჯერებელი დასაბუთების ინტერესებისათვის.

ჩერნიშევსკი იყო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ეკონომისტი ღვთის წყალობით. შორსმჭვრეტელური და სხარტი შენიშვნები და თითქოს სხვათა შორის თქმული ორიგინალური აზრები გაფანტულია მის თხზულებებში. წიგნის მცირე მოცულობის გამო შესაძლებლობა გვაქვს მოვიტანოთ მხოლოდ ორი მაგალითი: იგი წერდა, რომ თანამედროვე მსხვილი და რთული წარმოება თავისი არსებით მოითხოვს მისი დამოკიდებულების შეცვლას თავისი შრომისადმი, შრომის ახალი სტიმულების შექმნას: „...აქ უკვე საჭიროა შრომისათვის ანაზღაურება ჩართული იყოს თვით შრომის პროდუქტში (და პროცესში? ა. ა.) და არა

---

[1] Ю. М. Стеклов, Н. Г. Чернышевский, Его жизнь и деятельность. М. Л., 1928, стр. 554.

რაღაც გასამრჯელოში, რადგან ვერავითარი გასამრჯელო ვერ იქნება სათანადოდ ახასღაურებული კეთილსინდისიერი შრომისათვის, ხოლო კეთილსინდისიერი შრომისაგან არაკეთილსინდისიერი შრომის განსხვავება სულ უფრო და უფრო ნაკლებ შესაძლებელი ხდება და არავის არ შეუძლია შისი დადგენა, გარდა თვით მშრომელისა"[1]. ის აშკარად ვარაუდობდა, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს. ჩვენ ვიცით, რომ აქ დასმული პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვეოალურ სოციალისტურ საზოგადოებაშიც კი.

გაკვირვებას იწვევს ჩერნიშევსკის მიერ აქა-იქ გამოთქმული აზრები, რომელნიც უახლოვდებიან წარმოების პროცესში ცოცხალი და განივთებული შრომის (მუშებისა და იარაღების) ოპტიმალური შეხამების პრობლემების შესახებ მის მიერ მოყვანილ პირობით რიცხობრივ მაგალითებს, რომლებშიც შეიძლება დავინახოთ საწარმოო ფუნქციების მეთოდების თანამედროვე ანალიზის განშვრეტა[2].

ჩერნიშევსკის სოციალიზმის გლეხური ბუნება ვლინდება იმაშიც, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია პრინციპში გარდუვლად მიაჩნდა, და ის გაურკვეველს ტოვებს საკითხს ქარხნებისა და ფაბრიკების სოციალისტურ საკუთრებად გარდაქმნის შესახებ. „მისი ყურადღების ცენტრშია აგრარულ ურთიერთობათა პრობლემა, მათი რევოლუციური ცვლილება, საკუთრების ერთი ფორმის შეცვლა მეორეთი, ამასთან ერთად ჩერნიშევსკისთან ჩვენ ვერ ვპოულობთ წინადადებებს კაპიტალისტების წარმოების საშუალებების ექსპროპრიაციის შესახებ. ექსპროპრიაციის გეგმა მხოლოდ მიწის საკუთრების მიმართაა"[3].

მიუხედავად ამისა, ჩერნიშევსკიმ მოგვცა მარქსამდელი ანტიბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის უმაღლესი ნიმუშები. რუსეთის სპეციფიკური პირობების მეოხებით, და, რა თქმა უნდა, როგორც მეცნიერისა და რევოლუციონერის პირადი თვისებების გამო მას არ ჰქონდა მიდრეკილება „წვრილბურჟუაზიული დაავადებისაკენ", რომელიც ადრე თუ გვიან შეეყარათ დასავლეთი ევროპის სოციალ-უტოპისტებს და კაპიტალიზმის სხვა კრიტიკოსებს. თუმცა ჩერნიშევსკის ყველა განზრახვა, ბუნებრივია, მიმართული იყო რუსეთისაკენ, ის არ ცდილობდა კედლის გავლებას რუსეთისა და დასავლეთის პრობლემებს შორის და ბრწყინვალე გამჭრიახობით გააშუქა პოლიტიკური ეკონომიის თეორიული საკითხები. ჩერნიშევსკის შემოქმედებით რუსეთმა XIX საუკუნის შუა ხანებში თავისი ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

---

[1] Н. Г. Чернышевский, Избранные экономические произведения, т. III, часть I, стр. 308.
[2] იქვე, გვ. 305—307.
[3] История русской экономической мысли, т. I, ч. 2, стр. 633.

ჩვენ უკვე ვიცით, ჩერნიშევსკი სულაც არ იყო მხოლოდ ეკონომისტი და სოციოლოგი. იგი იყო ასევე ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი. ნარკვევი მის შესახებ მსურს დავამთავრო დიდი პოეტის სიტყვებით, რომელსაც ასევე ტანჯავდა ფიქრები რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

> რუსეთი — სფინქსი. ზეიმობს და ლოვობს,
> და შავ სისხლში ამოსვრილია იგი,
> ის გიყურებს, გიყურებს შენ,
> ზიზღითაც და სიყვარულითაც[1].

შენ — ეს ძველი დასავლეთის სამყაროა. ისეთ ადამიანებს, როგორიც ბლოკია (და შეიძლება გაბედულად დავუმატოთ ჩერნიშევსკიც) სძულდათ იგი როგორც ბურჟუაზიული ბარბაროსობის დასაყრდენი და უყვარდათ როგორც განათლების, კულტურის, მეცნიერების, თავისუფლებისმოყვარეობის წყარო.

> ჩვენ გვიყვარს ყოველივე — ცივი ციფრების სიცხეც.
> და ღვთისაგან ბოძებული მოჩვენებაც,
> ჩვენ ვერკვეევით ყველაფერში — გალების მახვილ აზრებშიც
> და გერმანელების ბინდით მოცულ გენიაშიც...

სხვა ხალხებში დაბანდებული იდეის აღქმისა და გადამუშავების რუსებისეული უნარი არაერთგზის აღინიშნა და განაცვიფრა ბევრი. „ცივი რიცხვები“ და „ღვთაებრივი მოჩვენებანი“. პოეტური სახეებია, რომელთა ასოცირება ადვილი შესაძლებელია ჩერნიშევსკის მეცნიერულ-ლიტერატურული შემოქმედების ნიშნებით: სტატისტიკური მონაცემებით და ციფრობრივი მაგალითებით ეკონომიკური ნაშრომებიდან და ვერა პავლოვნას სოციალისტური სიზმრებით რომანიდან — „რა ვაკეთოთ?“ ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა, რომ ფრანგული და გერმანული აზროვნების ეროვნულ თვისებებთან ერთად ჩვენთვის უურადსაღებია აგრეთვე ფხიზელი, ზუსტი ინგლისურ-საქსონიური გონება...

მარქსი და რუსული ეკონომიკური აზრი

1885 წ. „კაპიტალის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი, მარქსის მეგობარი და კორესპონდენტი ნ. ფ. დანიელსონი წერს ფრიდრიხ ენგელსს: „ინგლისელი ჯონ რე, წიგნის „თანამედროვე სოციალიზმი-ს“ ავტორი გამოთქვამს განცვიფრებას, რომ მარქსის მოძღვრებამ ესოდენ შესამჩნევი გავლენა პოვა რუსეთში. მაშინ, როცა ინგლისში, კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში მარქსის მთავარი ნაშრომი („კაპიტალის“ პირველი ტომი) ჯერ კიდევ არაა თარგმნილი“.

---

[1] Александр Блок. Скифы (1918 г.).

[2] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями. М., Политиздат, 1951 г. стр. 118.

აღვნიშნავთ, პირველი, რე ჩვენი თემის ფარგლებში მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ იგი ავტორია ადამ სმიტის კლასიკური მხოლოდ 1887 წ., ე. ი. რუსულ თარგმანზე თხუთმეტი წლით გვიან; ენგელსის მიერ რედაქტირებული ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა ბიოგრაფიისა, რომელიც ძრავალმხრივ დღემდე უბადლოა; მეორე, მესამე, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, — რემ აღნიშნა ნამდვილი და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი: მარქსის იდეები რუსეთში მოხვდა კარგად მომზადებულ ნიადაგში და ჩქარა ამოიყარა არა თუ კვირტი, არამედ ძძლავრი ყლორტებიც. უეჭველია, რომ უმნიშვნელოვანესი როლი რუსი მკითხველის მომზადებაში მარქსისა და ენგელსის აღქმისათვის შეასრულეს ჩერნიშევსკის შრომებმა და მოღვაწეობამ.

არც რუსეთის ეკონომიკურ სინამდვილეს, არც რუსულ ეკონომიკურ აზრს არ შეეძლო გასაგები მიზეზების გამო 40-იან და 50-იან წწ. მოეხდინათ რამდენადმე შესამჩნევი გავლენა მარქსის იდეების ფორმირებაზე. დამახასიათებელია, რომ ამ წლებში მარქსის მიმოწერაში პ. ვ.ანენკოვთან და ნ. ი საზონოვთან პრაქტიკულად მოხსენიებული არაა რუსული საქმეები. საინტერესოა მხოლოდ საზონოვის ცნობა (1860 წ. 10 მაისი) იმის შესახებ, რომ ლიბერალმა პროფესორმა ი. კ. ბაბსტიმ მოსკოვში პოლიტიკური ეკონომიის კურსის პირველი ლექცია მიუძღვნა 1859 წ.[1] გერმანიაში გამოქვეყნებული მარქსის წიგნის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოცემის საკითხს.

60-იან წლებში სიტუაცია იცვლება. რუსეთში არა მარტო ცნობილი გახდა მარქსი, არამედ გაიზარდა მისი ინტერესი აღმოსავლეთ-ევროპული კოლოსის ბედისადმი, რუსეთის რევოლუციური ძალებისადმი, რუსული კაპიტალიზმის განვითარების პრობლემებისადმი. იგი შეუდგა რუსული ენის შესწავლას და დედანში კითხულობს ჩერნიშევსკისა და რუსი ეკონომისტ-ხალხოსნების შრომებს. „კაპიტალის“ I ტომის რეცენზენტი დანიელსონი, ი. ი. კაუფმანი, და სხვა. მრავალნი ამარაგებენ მას რუსული ეკონომიკური ლიტერატურით, სტატისტიკური მონაცემებით, პირველი ინფორმაციით. რუსეთის ეკონომიკურ პრობლემებს შორის, რომელთაც მიიქციეს მარქსის განსაკუთრებული ყურადღება, იყო აგრარული ურთიერთობა. მარქსს გამიზნული ჰქონდა ამ მასალის გამოყენება „კაპიტალის“ მიწის რენტისადმი მიძღვნილ თავებში (ენგელსის გამოცემაში ეს III ტომის მეექვსე განყოფილებაა), მაგრამ ვერ მოასწრო იმ ხელნაწერის გადამუშავება, რომელიც მან მოამზადა „ჯერ კიდევ 1864—1866 წლებში, ე. ი. მანამდე, ვიდრე ავტორი თქვენი თავაზიანობის წყალობით ასე საფუძვლიანად გაეცნობოდა თქვენი ქვეყნის აგრარულ წყობილებას“[2].

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями М., Политиздат, 1951 г. стр. 81.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. წერილები „კაპიტალის“ შესახებ, თბ., 1952, გვ. 313.

60—80-იან წლებში მარქსი და ენგელსი დიდ ყურადღებას უთმობენ მთავარ საკითხს, რომელიც აღელვებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზრს — რუსეთის სოციალიზმში გადახრდის შესაძლებლობის და ამ საქმეში რუსული თემის როლის შესახებ. ისინი უარყოფდნენ ნაციონალისტურ და პანსლავისტურ ტენდენციებს, რომლებიც შეიძინეს ამ იდეებმა, და მხარს უჭერდნენ განვითარების რევოლუციურ-დემოკრატიულ გზას. ასეთი გზის დროს ისინი არ გამორიცხავენ იმასაც, რომ „შესაძლებელია დღევანდელი რუსეთის მიწის სათემო საკუთრება კომუნისტური განვითარების ამოსავალ წერტილად გადაიქცეს"[1].

მაგრამ რუსეთში კაპიტალიზმი სულ უფრო ინტენსიურად ვითარდებოდა, სასოფლო თემი ირღვეოდა, გლეხობა ფენებად იშლებოდა. ბატონყმობის გადმონაშთების შენარჩუნება და თვითმპყრობელობის ჩაგვრა ამ პროცესს კიდევ უფრო მტანჯველს ხდიდა ხალხთა მასებისათვის. 90-იან წლებში თემის შენარჩუნება არსებითად რეაქციული, უტოპისტური ლოზუნგი გახდა, რომელსაც გვიანი ხალხოსნები იყენებდნენ რუსი მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსი უკვე აღარ იყო ცოცხალი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ენგელსი აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბებაში, კითხულობდა და აქებდა პლეხანოვს. 1893—94 წწ. ახალგაზრდა ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი) წერს თავის პირველ ეკონომიკურ ნაშრომებს. საუკუნის დასასრულს ლენინი ხდება რუსეთში მარქსისტული აზრის აღიარებული ლიდერი.

რევოლუცია, რომელიც რუსეთში მოახდინა მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის უდიდესი წვლილი იყო მსოფლიო სოციალიზმის საქმეში.

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. წინასიტყვაობა 1882 წ. რუსული გამოცემისათვის. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II., თბ., 1963, გვ. 4.

სახელთა საძიებელი*

ადამი, რობერტ (1728—1792) — ბრიტანელი არქიტექტორი, ადამ სმიტის ნეგობარი, 182.

ალექსანდრე მაკედონელი (356—323 წწ. ჩვ. წ. აღ.) — მაკედონიის მეფე 336—323 წწ. ჩვ. წ. აღ., 13, 19.

ალექსანდრე I (1777—1825) — რუსეთის იმპერატორი 1801—1825 წწ., 128, 345, 347, 352, 365, 395.

ალექსანდრე II (1818—1881) — რუსეთის იმპერატორი 1855—1825 წწ., 359.

ანა (1665—1714) — ინგლისის დედოფალი 1702—1724 წწ., 138.

ანენკოვი, პავლე ვასილის ძე (1812—1887) — რუსი ლიბერალი მემამულე, ჰქონდა მიმოწერა კ. მარქსთან, 420.

ანფანტენია ბართლემი პროსპერ (1795—1864) — ფრანგი სოციალ-უტოპისტი, 379—381.

არაკჩეევი, ალექსანდრე ანდრიას ძე (1769—1834) — გავლენიანი პირი მეფეების პავლე I-ისა და ალექსანდრე I-ის კარზე, უკიდურესი რეაქციონერი, 343, 354

აფანასევი, ვადილენ სერგის ძე (დ. 1926) — საბჭოთა ეკონომისტი, 202.

ბაზარი, სენტ-ამან (1791—1832) — ფრანგი სოციალ-უტოპისტი, 379, 380.

ბაირონი, ჯორჯ გორდონ (1788—1824) — ინგლისელი პოეტი, 180, 222, 258

ბაკლიუ, ჰენრი სკოტ (1746—1812) — ჰერცოგი, ადამ სმიტის აღზრდილი, 137, 186, 216.

ბალზაკი, ონორე (1799—1850) — ფრანგი მწერალი, 300.

ბაკუნინი, მიხეილ ალექსანდრეს ძე (1814—1876) — რუსი ანარქისტი, ანარქიზმის იდეოლოგი, 410.

ბარბონი, ნიკოლას (1640—1698) — ინგლისელი ეკონომისტი, 140.

ბასტია, ფრიდერიკ (1801—1850) — ფრანგი პუბლიცისტი, ეკონომისტი, 134, 279, 303, 398.

ბეკონი, ფრენსის (1561—1626) — ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე, 41, 50, 71.

ბელინსკი, ბესარიონ გიორგის ძე (1811—1848) — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, 408, 420.

ბეჯგოტი, უოლტერ (1826—1877) — ინგლისელი პუბლიცისტი და ეკონომისტი, 179, 199.

ბეკარია, ჩეზარე (1738—1794) — იტალიელი ფილოსოფოსი, 139.

ბელი, ჯონ ფრედ (დ. 1898) — ეკონომიკური ახრის ამერიკელი ისტორიკოსი, 17, 205.

ბემ-ბავერკი, ეგგენი (1851—1914) — ავსტრიელი ეკონომისტი, 135.

ბენტამი, ჯერემ (1743—1832) — ინგლისელი ეკონომისტი, უტილიტარიზმის მამამთავარი, 260, 367.

ბერანჟე, პიერ ჟან (1780—1857) — ფრანგი პოეტი, 384..

ბერნე, ლუდვიგ (1786—1837) — გერმანელი მწერალი, 328.

ბერნსი, რობერტ (1757—1796) — შოტლანდიელი პოეტი, 216.

ბესტუჟევი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1797—1837) — რუსი მწერალი, დეკაბრისტი, 343.

ბისმარკი, ოტო ედუარდ (1815—1898) — პრუსიისა და გერმანიის პოლიტიკური მოღვაწე, 325.

ბიუფონი, ჟორჟ ლეი ლეკლერ (1707—1788) — ფრანგი ბიოლოგი, 155.

ბლანი, ლუი (1811—1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი, 104, 109.

ბლანკი, ჟერომ ადოლფ (1798—1854) — ფრანგი ეკონომისტი, 309, 416.

ბლანკი, ლუი ოგიუსტ (1805—1881) — ფრანგი რევოლუციონერი, 309.

ბლოკი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1880—1921) — რუსი პოეტი, 257, 425.

ბლეკი, ჯოზეფ (1728—1799) — ბრიტანელი (შოტლანდიელი) ქიმიკოსი და ფიზიკოსი, 182.

ბოილი, რობერტ, (1627—1691) — ინგლისელი ფიზიკოსი, 50, 76.

* შეადგინა თ. დემეტრაშვილმა

ბუაგილბერი, პიერ ლეპეზან (1646—1714) — კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი საფრანგეთში, 12, 79—92, 105, 109, 114, 120, 140, 151.

გალიანი, ფერდინანდო (1728—1787) იტალიელი ეკონომისტი, 140.
განზენმანი, დავიდ (1790—1864) — პრუსიელ-გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, 340.
გარნე, ჟერმან (1754—1821) — ფრანგი ეკონომისტი, ა. სმიტის მთარგმნელი, 214.
გერცენი, ალექსანდრე ივანეს ძე (1812—1870) — რუსი რევოლუციონერი დემოკრატი, მწერალი, 118, 349, 359, 360, 395, 404, 414, 418, 419, 420.
გერმანი, კარლ თეოდორეს ძე (1767—1838) — რუსი ეკონომისტი, 348.
გლადსტონი, უილიამ (1809—1898) — ინგლისელი პოლიტიკოსი, 227.
გოდსკინი, თომას (1787—1869) — ინგლისელი ეკონომისტი, სოციალ-უტოპისტი, 399, 400.
გოეთე, იოჰან ვოლფგანგ (1749—1832) — გერმანელი მწერალი, ფილოსოფოსი, 4, 333.
გრაუნტი, ჯონ (1620—1674) — ინგლისელი ვაჭარი, სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, 69—71.
გრიბოედოვი, ალექსანდრე სერგის ძე (1795—1829) — რუსი მწერალი, 351.
გრეი, ალექსანდრე — თანამედროვე შოტლანდიელი ისტორიკოსი, 179.
გურნე, ჟან კლოდ ვერნსან (1712—1759) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და ეკონომისტი, 88, 140, 168.
დ' ალამბერი, ჟან ლერონ (1717—1783) — ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, 147, 155, 162, 168, 188.
დანიელსონი, ნიკოლოზ ფრანცის ძე (1844—1918) — რუსი ეკონომისტი, პუბლიცისტი, 425, 426.
დარვინი, ჩარლზ (1809—1882) — ინგლისელი ბიოლოგი, 263.
დ' არჟანსონი, რენე ლუი (1696—1757) — ფრანგი მწერალი, 88.
დეილი, დავიდ (XVIII ს.) — შოტლანდიელი ფაბრიკანტი, 393.
დემარე, ნიკოლა (1650—1721) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 86.
დენი, ანრი — ეკონომიკური აზრის თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი, 88.
დესნიაცკი, სიმონ ეფიმის ძე (1740—1789) — რუსი მეცნიერი, ეკონომისტი, 126, 127.
დეფო, დანიელ (1660—1731) — ინგლისელი მწერალი, 53, 132, 133.
დიდრო, დენი (1713—1784) — ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი, 152, 155, 161, 168, 197, 347, 420.
დიუპლო, შარლ (1704—1772) — ფრანგი მწერალი, 155.
დიუპონ დე ნემური, პიერ სამუელ (1739—1818) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატი, 160—163, 169, 170, 187.
ეველინი, ჯონ (1620—1706) — ინგლისელი პოლიტიკოსი და მწერალი, 74, 77.
ეკატერინე II (1729—1796) — რუსეთის იმპერატორი 1762—1796 წწ., 125—127.
ელისაბედ I (1533—1603) — ინგლისელი დედოფალი 1558—1603 წწ., 38.
ენგელსი, ფრიდრიხ (1820—1895) — 9, 79, 150, 164, 165, 221, 253, 256, 288, 322, 324, 334, 335, 338, 339, 340, 373, 385, 397, 402.

ვალრასი, მარი სპრი ლეონ (1834—1910) — ფრანგი ეკონომისტი, მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 31.
ვანგენხეიმი, კარლ ავგუსტ (1773—1850) — გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, 326.
ვერნადსკი, ივანე ვასილის ძე (1821—1884) — რუსი ეკონომისტი, 405.
ვერნადსკი ვლადიმერ ივანეს ძე (1863—1945) — საბჭოთა მეცნიერი: გეოლოგი, მინერალოგი, 406.
ვიაზემსკი, პეტრე ალექსანდრეს ძე (1792—1878) — რუსი პოეტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, 351.
ვიზერი, ფრიდრიხ (1854—1926) — ავსტრიელი ეკონომისტი, 31.
ვილჰელმ III (1650—1702) — ინგლისს მეფე 1689—1702 წწ., 94, 132.
ვინოგრადოვი, ანატოლი კორნელის ძე (1888—1946) — საბჭოთა მწერალი, 350.
ვიტბერგი, ალექსანდრე ლავრენტის ძე (1787—1885) — რუსი არქიტექტორი და მხატვარი, 407.
ვობანი, სებასტიან და პრეტრ (1633—1707) — ფრანგი მარშალი, მწერალი, 81.
ვოლკონსკი, სერგეი გრიგორის ძე (1788—1865) — დეკაბრისტი, 356, 359.
ვოლტერი, ფრანსუა მარი ანუე (1694—1778) — ფრანგი მწერალი, 183, 188, 197, 347.
ვორონცოვა-დაშკოვა, ეკატერინე რომანის ასული (1743—1810) — რუსი მეცნიერული მოღვაწე, 217.

ზიბერი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1844—1888) — რუსი ეკონომისტი, 253, 350
ზოლა, ემილ (1840—1902) — ფრანგი მწერალი, 108.

იაკობ I (1566—1625) — ინგლისის მეფე 1603—1625 წწ., 38, 39.
იაკობ II (1663—1707) — ინგლისის მეფე 1685—1688 წწ., 66, 75, 132.
იუმი, დავიდ (1711—1776) — ბრიტანელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, 129, 139, 145, 146,-149, 182, 190, 198, 229, 260.

კანტილიონი, რიჩარდ (1680—1734) — ინგლისელი ბანკირი და ეკონომისტი, 12, 140, 143.
კარაველოვი, ლუბენ (1837—1879) — რუსი მწერალი, ბიოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე, 407.
კარლ I (1600—1649) — ინგლისის მეფე 1625—1649 წწ., 39, 58.
კარლ II (1630—1685) — ინგლისის მეფე 1660—1685 წწ., 50, 65, 66, 75, 141.
კარლეილი, თომას (1795—1881) — ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, 259, 278.
კაუფმანი, ილარიონ ეგნატეს ძე (1848—1910) — რუსი ეკონომისტი, 426.
კახოვსკი, პეტრე გრიგოლის ძე (1797—1825) — დეკაბრისტი, 343.
კეიმსი, ჰენრი ჰიუმი (1696—1782) — შოტლანდიელი იური-ტი, 183.
კეინსი, ჯონ მეინარდ (1883—1946) — ინგლისელი ეკონომისტი, 46, 47, 59, 90, 93, 96, 108, 110, 139, 171, 297, 307.
კენე, ფრანსუა (1694—1774) — ფრანგი ექიმი და ეკონომისტი, ფიზიოკრატების სკოლის დამფუძნებელი, 6, 12, 140, 150—165, 169, 170, 171, 172, 187, 188, 193, 208.
კენანი, ედვინ (1861—1935) — ინგლისელი ეკონომისტი, 186.
კერი, ჰენრი ჩარლზ (1793—1879) — ამერიკელი ეკონომისტი, 134, 246.
კინგი, გრეგორი (1648—1712) — ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, 69.
კლარკი, ჯონ ბეიტი (1847—1938) — ამერიკელი ეკონომისტი, 31.
კნისი, კარლ გუსტავ (1821—1898) — ისტორიული სკოლის გერმანელი ეკონომისტი, 336, 337.
კოლუმბი, ქრისტეფორე (1451—1506), 59, 60.
კოლბერი, ჟან ბატისტ (1619—1683) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 42, 45, 80, 82, 86.
კონდილიაკი, ეტიენ ბონო (1715—1780) — ფრანგი ფილოსოფოსი, 139.
კრომველი, ჰენრი (XVII ს.), მეფისნაცვალი ირლანდიაში, 57, 58.
კრომველი, ოლივერ (1599—1658) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, 50, 56, 57.
კუნიცინი, ალექსანდრე პეტრეს ძე (1783—1840) — რუსი იურისტი, პროფესორი, 351, 367.
კურნო, ანტუან ოგიუსტენ (1801—1877) — ფრანგი მათემატიკოსი და ეკონომისტი, 13, 244, 299, 309—317, 421.

ლაროშფუკო, ფრანსუა (1613—1680) — ფრანგი მწერალი, 150.
ლასალი, ფერდინანდ (1825—1864) — გერმანელ მუშათა მოძრაობის მოღვაწე, 245.
ლამარსიე დე ლა რივერი, პოლ პიერ (1720—1793) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატი, 161.
ლენინი, ვლადიმერ ილიას ძე (1870—1924) — 7, 12, 13, 20, 74, 87, 165, 194, 267, 284, 288, 294, 342, 344, 347, 409, 412, 415, 427.
ლესინგი, გოტჰოლდ ეფრაიმ (1729—1781) — გერმანელი მწერალი, კრიტიკოსი, 420.
ლეონტიევი, ფრანსუა (XVIII ს.) — ფრანგი ვაჭარი და პოლიტიკოსი, 88.
ლენსდაუნი, უილიამ პეტი ფიცმორის (1737—1805) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, 58.
ლილბერნი, ჯონ (1614—1657) — XVII საუკ. ინგლისის რევოლუციის მარცხენა ფრთის ბელადი, 50.
ლისტი, ფრედერიკ (1789—1846) — გერმანელი ეკონომისტი და პუბლიცისტი, 13, 87, 325—336.
ლო, ჯონ (1672—1726) — შოტლანდიელი და ფრანგი ეკონომისტი და ფინანსისტ-პრაქტიკოსი, 12, 93—110, 123, 140, 151, 168, 188.
ლოდერდეელი, ჯემ მეიდლენდ (1759—1839) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და ეკონომისტი, 214.
ლოკი, ჯონ (1632—1704) — ინგლისელი ფილოსოფოსი, 18, 50, 129, 139, 141, 142, 147.
ლომონოსოვი, მიხეილ ვასილის ძე (1711—1765) — რუსი მეცნიერი, 125, 126.
ლუდოვიკო VIII (1601—1643) — საფრანგეთის მეფე 1610—1643 წწ., 28.
ლუდოვიკო XIV (1638—1715) — საფრანგეთის მეფე 1643—1715 წწ., 45, 65, 79, 80, 82, 88, 98, 173.

ლუდოვიკო XV (1710—1774) — საფრანგეთის მეფე 1715—1774 წწ., 152, 153, 167, 169, 173.

ლუდოვიკო XVI (1754—1793 წწ.) — საფრანგეთის მეფე 1774—1792 წწ., 3, 17, 153, 167, 174, 176.

ლუქსემბურგი, როზა (1871—1919) — გერმანელ მუშათა მოძრაობის მოღვაწე, 295.

მაკ-კულოხი, ჯონ რამს (1789—1864)— ბრიტანელი (შოტლანდიელი) ეკონომისტი-ოიკოდოელი, 51, 250, 251, 269, 270, 279.

მალთუსი, თომას რობერტ (1766—1834) — ინგლისელი ეკონომისტი, 12, 13, 69, 139, 140, 214, 223, 226, 231, 232, 235, 237, 245, 250, 251, 255, 257, 259, 261—269, 279, 289, 306, 416, 420.

მანი, თომას (1571—1641) — ინგლისელი ეკონომისტი, 12, 37, 38—45, 50, 140.

მანდევილი, ბერნარდ (1670—1733) — ინგლისელი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, 135—141.

მარია-ანტუანეტა (1755—1793) — საფრანგეთის დედოფალი, 173, 175.

მარქსი, კარლ (1818—1883) — 6—10, 15, 20, 21, 30, 34, 38, 42, 51—53, 59, 60, 63, 69, 77, 79, 83, 86, 91, 97, 100, 107, 108, 113, 129, 134, 137, 139, 140, 152, 158, 164, 165, 170, 173, 174, 180, 193, 205—207, 211, 227, 237, 238, 241, 242, 244, 245, 246, 253, 254—257, 263, 274, 278, 279, 280, 285, 288, 292, 293, 299, 308, 316, 324, 327, 331, 335, 338, 340, 361, 367, 373, 385, 397, 400, 401—406, 417, 419, 420, 425—427.

მარშალი, ალფრედ (1842—1924) — ინგლისელი ეკონომისტი, 204, 272, 273, 279, 304, 332.

ესსი, ჯოზეფ (გარდ. 1784 წ.) — ინგლისელი ეკონომისტი. 145.

მენგერი, კარლ (1840—1921) — ავსტრიელი ეკონომისტი. 31.

მენშიკოვი, ალექსი დანიელის ძე (1673—1729) — რუსეთის ადმირალ გენერალისიმუსი, 117.

მერინგი, ფრანც (1846—1919) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწე, 79.

მილი, ჯემს (1773—1836) — ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი რიკარდოელი, 22. 151, 231, 236, 269, 270, 275, 276. 277.

მილი. ჯემს სტიუარტ (1806—1873) — ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, 13, 261, 274—283, 302, 306, 318, 350, 416, 417, 420, 422.

მირაბო, ვიკტორ რიკეტ (1715—1789) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატი, 152, 156, 161, 162, 197. 279.

მირაბო, ონორე გაბრიელი რიკეტ (1749—1710) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 173.

მისელდენი, ედუარდ (XVII ს.), ინგლისელი ვაჭარი და ეკონომისტი. 38.

მოლიერი, ჟან ბატისტ პოკლენ (1622—1673) — ფრანგი დრამატერგი, 12.

მონკრეტიენი, ანტუან (1575—1621) — ფრანგი ეკონომისტი, ავტორი ტერმინისა „პოლიტიკური ეკონომია", 12. 26. 27—29, 37.

მონტესკიე. შარლ დე სეკონდა (1689—1755) — ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი. 98. 106. 183. 347.

მორგანი, ჯონ პირპორტ (1837—1913) — ამერიკელი ბანკირი, 108.

მორდუხოვიჩი, ლევ მათეს ძე (დ. 1902) — საბჭოთა ეკონომისტი, პროფესორი, 121.

მორდვინოვი. ნიკოლოზ სიმონის ძე (1754—1845) — რუსი ეკონომისტი, 343.

მორელი. ანდრე (1727—1819) — ფრანგი მწერალი და ეკონომისტი. 187, 197.

მორეჯა. ჟან ფრედერიკ (1701—1781) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 174, 175.

მორმანტელი, ჟან ფრანსუა (1723—1799) — ფრანგი მწერალი, 155, 163.

მორეჯა, ანდრე (1855—1967) — ფრანგი მწერალი, 181.

ნაიტი, ფრენკ (1785—1774) — ამერიკელი ეკონომისტი, 304.

ნაპოლეონ I (1769—1821) — საფრანგეთის იმპერატორი 1804—1815 წწ., — 215. 221, 230, 286, 301, 324, 346, 399. 404.

ნაპოლეონ III (1808—1873) — საფრანგეთის იმპერატორი 1852—1870 წწ., 107.

ნეკრასოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1821—1877) — რუსი პოეტი, 416.

ნემჩინოვი, ვასილი სერგის ძე (1894—1964) — საბჭოთა ეკონომისტი, 164.

ნიკოლოზ I (1797—1855) — რუსეთის იმპერატორი 1825—1855 წწ., 174, 343, 347, 355—358, 369, 404, 408, 409.

ნიკომაქე (IV საუკ. ჩვ. წ. აღ.) — არისტოტელეს შვილობილი, 19,

ნიუტონი, ისაკ (1642 — 1727) — ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი. 50, 141.
ნოვიკოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1744—1818) — რუსი განმათავისუფლებელი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, 351.
ნორსი, დადლი (1641—1691) — ინგლისელი ეკონომისტი. 129, 140—142.
ობრი, ჯონ (1626— 1697) — ინგლისელი მწერალი, მემუარისტი. 71.
ოგარიოვი, ნიკოლოზ პლატონის ძე (1813—1877) — რუსი პუბლიცისტი, პოეტი. 359, 360, 407, 410, 421.
ორლოვი, მიხეილ თედორეს ძე (1788 — 1842) — დეკაბრისტი. 348, 353, 368, 369.
ოუენი, რობერტ (1771—1858) — ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი. 6, 373, 392—401.

პავლე I (1749—1801) — რუსეთის იმპერატორი 1796—1801 წწ.. 127, 171, 345, 351.
პალგრეივი, რობერტ გარი ნიგლის (1827—1919) — ინგლისელი სოციალ-უტოპისტი. 282.
პაშკოვი, ანატოლი ეგნატეს ძე (დაიბადა 1900 წელს) — საბჭოთა ეკონომისტი. 112.
პეზენტი, ანტონიო (1910—1972) — იტალიელი ეკონომისტი, მარქსისტი. 319.
პერეირი, ისაკ (1806—1880) — ფრანგი ბანკირი. 108, 109.
პესტელი, პავლე ივანეს ძე (1793—1826) — დეკაბრისტი. 118, 342, 348—350, 355, 356, 368, 369.
პეტრე I (1672—1725) — რუსეთის მეფე და იმპერატორი 1682—1725 წწ., 133.
პეტი, უილიამ (1623—1687) — კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფამფუძნებელი ინგლისში. 6, 12, 50—78, 83, 87, 91, 114, 129, 140, 141, 142, 196, 281.
პეტი, უილიამ მეკირე (1759—1806) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე. 195, 196.
პეტრაშევსკი, მიხეილ ვასილის ძე (1821—1866) — რუსი სოციალ-უტოპისტი. 415.
პლატონი (დაახ. 427—347 წ. ჩ. წ. ალ.). ძველი საბერძნეთის მეცნიერი — 17, 19, 37.
პლეხანოვი, გეორგი ვალენტინის ძე (1856—1918) — რუსი მარქსისტი. 421, 427.
პომპადური, ჟანა პაუსონ (1721—1764) — ლუდოვიკო XV-ის ფავორიტი. 152, 154, 155, 156.
პონშარტრენი, ლუი ფილიპო (1643—1727) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 80, 81, 85.
პოსოშკოვი, ივანე ტიხონის ძე (1652—1726) — რუსი მწერალი, ეკონომისტი. 114—125
პრუდონი, პიერ ჟოზეფ (1809—1865) — ფრანგი სოციალისტი. პუბლიცისტი, 134, 292.
პტუხა, მიხეილ ვასილის ძე (1884—1961) — საბჭოთა სტატისტიკოსი. 71.
პუასონი, სემეონ დენი (1781—1840) — ფრანგი მათემატიკოსი. 311.
პუშკინი, ალექსანდრე სერგის ძე (1799 — 1837) — რუსი მწერალი. 12, 112, 113, 180, 286, 345, 351, 356, 366—372.

ჟამბი, ეტიენ (ღ. 1899) — ფრანგი ეკონომისტი. 31, 297.
ჟუკოვსკი, ვასილი ანდრიას ძე (1783—1852) — რუსი პოეტი. 351, 353, 356.

რადიშჩევი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1749—1802) — რუსი მწერალი, რევოლუციური განმანათლებელი, 126—128.
რიკარდო, დავიდ (1772—1823) — ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უმსხვილესი წარმომადგენელი. 6, 13, 30, 52, 53, 79, 108, 109, 133, 148, 198, 204, 205, 215, 219—255, 262, 263, 267—272, 278, 279, 280, 281, 282, 284, 285, 287—291, 295, 302, 306, 312, 317, 318, 339, 363, 399, 416, 417, 420
რობერტსონი, უილიამ (1721—1793)— ბრიტანელი (შოტლანდიელი) ისტორიკოსი. 182.
როდრიგი, ბენჟამენ ოლინდ (1794—1851) — ფრანგი სოციალ-უტოპისტი. 379.
რობინსი, ლაინელ (1898—1984) — ინგლისელი ეკონომისტი. 332.
როდბერტუსი, კარლ იოგან (1805 — 1875) — გერმანელი ეკონომისტი, 338—341.
როზენბერგი, დავიდ იოსების ძე (1870—1950) — ეკონომიკური აზრის საბჭოთა ისტორიკოსი. 16, 162.
როშერი, ვილჰელმ გეორგ ფრიდრიხ (1817—1894) — ისტორიული სკოლის გერმანელი ეკონომისტი. 336, 337.
რუმიანცევი, ალექსი მიხეს ძე (დ. 1905) — საბჭოთა ეკონომისტი და სოციოლოგი. 9.
რუსო, ჟან-ჟაკ (1712—1778) — ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი, 193, 285, 347.

საზონოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1815—1862), — რუსი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 426.
სეი, ჟან ბატისტ (1767—1832) — ფრანგი ეკონომისტი, 13, 90, 163, 187, 208, 214, 215, 237, 248, 251, 255, 271, 279, 287, 295, 299—304, 306, 308, 312 336, 367, 371, 404, 405, 420.
سელიგმანი, ბენ (1912—1970) — ამერიკელი ეკონომისტი, 31.
სენიორი, ნასუ უილიამ (1790—1864) — ინგლისელი ეკონომისტი, 272, 279.
სენ-სიმონი, ანრი

ლოდ დე რევერეა (1760—1825) — ფრანგი სოციალ-უტოპისტი, 6, 86, 309, 339, 371, 373—381, 384, 385, 388, 401, 408.
სენ-სიმონი, ლუი დე რევერეა (1675—1755) — ფრანგი მწერალი-მემუარისტი, 89; 93.
სენ-სირი, ლორან გუვიონ (1764—1830) — ფრანგი მარშალი, 311.
სერვანტესი, მიგელ დე საავედრა (1547—1616) — ესპანელი მწერალი, 167.
სვიტფი, ჯონთან (1667—1745) — ინგლისელი მწერალი, 13. 137.
სისმონდი, ჟან შარლ ლეონარ სისმონდი (1773—1842) — შვეიცარი და ფრანგი ეკონომისტი და ისტორიკოსი, 6. 163, 201, 214, 235, 268, 284—298, 306.
სმიტი, ადამ (1723—1790) — კლასიკუკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უმსხვილესი წარმომადგენელი ინგლისში, 6, 8, 12. 13, 28. 25, 29, 30. 34. 37. 42. 52, 53, 59, 73, 79, 108, 109, 119, 129, 133, 136. 139, 142, 143. 146, 155, 158, 163, 169, 179—219. 226, 235—238, 240, 243, 245, 246. 251, 252, 253, 260, 269 278. 279, 280, 282, 285, 286, 289, 291, 292. 300—304, 312, 316, 324, 330—332. 339, 345, 348, 350. 351. 361—364. 366. 367, 371. 405, 407, 417. 420. 422.
სოკრატე (დაახ. 469—399 ჩვ. წ. აღ.) — ძველი საბერძნეთის მეცნიერი, 15.
სტალი. ანა ლუიზა ჟერმენა პეკერ (1766—1818) — ფრანგი მწერალი, 286. 287.
სტრაუსი, ემილ (დ. 1889) — ინგლისელი ისტორიკოსი, 52.
სტრეზენი, უილიამ (1715—1785) — ინგლისელი გამომცემელი და პოლიტიკოსი, 198.
სტრეჩი, ჯონ (1901—1963) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, 9.
სტიუარტი, დაგალდ (1753—1828) — ბრიტანელი (შოტლანდიელი) ფილოსოფოსი, 139.
სტიუარტი, ჯემს (1712—1780) — ბრიტანელი (შოტლანდიელი) ეკონომისტი, 140, 162.
სტიუარტი, მარია (1542—1567) — შოტლანდიის დედოფალი 1560—1567 წწ., 38, 183.

ტაკერი, ჯოზაია (1712—1799) — ინგლისელი ეკონომისტი, 140, 143.
ტალეირანი, შარლ მორის პერიგორი (1754—1838) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 178.
ტეილორი, ჰარიეტ — ჯ. სტ. მილის მეგობარი და მეუღლე, 278.
ტინბერგენი, იან (დ. 1903) — ჰოლანდიელი ეკონომისტი. 305.
ტიუნენი. იოჰან ჰენრიხ (1783—1850) — გერმანელი ეკონომისტი, 315, 316, 317.
ტიურგო. ან რიპერტ ჟან (1727—1781) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და ეკონომისტი. 12, 108 109, 140, 147, 150, 152, 155, 156, 158 161, 163, 167—178, 183, 187, 199, 212, 420.
ტიუტჩევი, თეოდორე ივანეს ძე (1803—1873) — რუსი პოეტი. 413.
ტოკვილი, ალექსის (1805—1859) — ფრანგი ისტორიკოსი, 152.
ტოლსტოი, ლევ ნიკოლოზის ძე (1828—1910) — რუსი მწერალი, 74, 123, 169.
ტურგენევი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1789—1871) — დეკაბრისტი. რუსი ეკონომისტი, 118, 342, 346. 348, 350—370.
ტურგენევი, ივანე სერგის ძე (1818—1883) — რუსი მწერალი, 361.
ტრუბეცკოი, სერგი პეტრეს ძე (1790—1860) — დეკაბრისტი, 334.
ტრეტიაკოვი, ივანე ანდრიას ძე (დაბად. უცნობია — გარდაიცვალა 1776) — რუსი მეცნიერი, 126, 127.

უატი, ჯემს (1736—1819) — ბრიტანელი გამომგონებელი, 182.
ულიანოვი, ალექსანდრე ილიას ძე (1866—1887) — რევოლუციონერი ნაროდოვოლეცი, 417.

ფერგიუსონი, ადამ (1723—1816) — შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, 183.
ფილიპ II (დაახ. 382—336 ჩ. წ. აღ.) — მაკედონიის მეფე 359—336 წწ., 18, 41.
ფილიპ ორლეანელი, (1674—1723) — საფრანგეთის რეგენტი, 98, 100, 102. 104, 106, 107.
ფლემინგი, ალექსანდრე (1881—1955) —

ბრიტანელი ბიოლოგი, 181.
ფოიერბახი, ლუდვიგ (1804—1872) — გერმანელი ფილოსოფოსი, 416.
ფრანკლინი, ბენჟამენ (1706—1790) — ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, 11, 144, 145, 179, 190, 198.
ფურიე, შარლ (1772—1837) — ფრანგი სოციალ-უტოპისტი, 6, 309, 373, 381—391, 401, 408, 416.

ცაგოლოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1904—1985) საბჭოთა ეკონომისტი, 422.

შამილიარი, მიშელ (1651—1721) — ფრანგი პოლიტიკოსი, 80, 85, 86.
შევალიე, მიშელ (1806—1879) — ფრანგი ეკონომისტი, 308.
შექსპირი, უილიამ (1564—1616) — ინგლისელი მწერალი, 50, 71.
შლეცერ, ქრისტიან ავგუსტ (1774—1831) — გერმანელი პროფესორი, 345.
შმოლერი, გუსტავ (1838—1917) — გერმანელი ეკონომისტი, 337.
შუმპეტერი, იოზეფ ალოიზ (1883—1950) — ავსტრიელი და ამერიკელი ეკონომისტი, 17, 52, 53, 90, 205, 269, 279, 304, 338.

ჩერნიშევსკი, ნიკოლოზ გავრილის ძე (1828—1889) — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, 118, 278, 350, 404, 406, 407, 414—425.

ხანტერი, უილიამ (1718—1783) — ბრიტანელი ექიმი და ფიზიოლოგი, 183
ხატონი, ჯემს (1726—1797) — შოტლანდიელი ნატურალისტი, 183.
ხეკშერი, ელი (1879—1952) — შვედი ისტორიკოსი და ეკონომისტი, 47.

ჰაინე, ჰაინრიხ (1797—1856) — გერმანელი მწერალი, 328.
ჰარლი, რობერტ (1661—1724) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 138.
ჰარისი, ჯოზეფ (1702—1764) — ინგლისელი ეკონომისტი, 143.
ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ (1770—1831) — გერმანელი ფილოსოფოსი, 255.
ჰეილბრონერი, რობერტ (დ. 1916) — ამერიკელი ეკონომისტი, 10, 14.
ჰელვეციუსი, კლოდ ადრიან (1715—1771) — ფრანგი ფილოსოფოსი, 139, 155, 178, 187, 190, 194, 260.
ჰენრიხ IV (1553—1610) — საფრანგეთის მეფე 1589—1610 წწ., 173.
ჰილდებრანდი, ბრუნო (1812—1878) — ისტორიული სკოლის გერმანელი ეკონომისტი, 336, 337.
ჰობსი, თომას (1588—1679) — ინგლისელი ფილოსოფოსი, 41, 54, 139.
ჰობსონი, ჯონ ატკინსონ (1858—1940) — ინგლისელი ეკონომისტი, 296, 297.
ჰოლბახი, პოლ ანრი (1723—1789) — ფრანგი ფილოსოფოსი, 188.
ჰომეროსი (ცხოვრების წლები უცნობია) — ძველი ბერძენი პოეტი, 17.
ჰოსენი, გერმან ჰენრიხ (1810—1853) — გერმანელი ეკონომისტი, 318, 319.

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის 3
შესავალი 4
წარსულის ეკონომისტები და თანამედროვეობა 5
სამი საუკუნე 10
პირველი თავი. სათავეებთან 15
ვინ იყო პირველი ეკონომისტი 16
საწყისთა საწყისი: არისტოტელე 18
ეკონომიკა და ქრემატისტიკა 24
მეცნიერება ღებულობს სახელს 26
პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკა 29
მეორე თავი. ოქროს ფეტიში და მეცნიერული ანალიზი: მერკანტილიზმი 33
თავდაპირველი დაგროვება 34
— თომას მანი: ვაჭრობის სტრატეგი 37
პიონერები 41
— მერკანტილიზმი და ჩვენი ეპოქა 45
მესამე თავი. ქების ღირსი სერ უილიამ პეტი 50
პეტი წინ უსწრებს საუკუნეს 51
იუნგადან მემამულემდე 53
პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი 59
პოლიტიკური არითმეტიკა 65
პეტი და გრაუნტი, ანუ ვინ გამოიგონა სტატისტიკა 69
ქორწა და ადამიანი 72
მეოთხე თავი. ბუაგილბერი, მისი ეპოქა და როლი 79
ღირიბი საფრანგეთი 80
მოსამართლე რუანიდან 82
დანაშაული და სასჯელი 86
თეორეტიკოსი 87
ბუაგილბერი და ფრანგული პოლიტიკური ეკონომია 90
მეხუთე თავი. ჯონ ლო — ავანტიურისტი და წინასწარმეტყველი 93
სახიფათო კარიერა და გაბედული იდეები 94
პარიზის დაპყრობა 98
დიდი კრახი 99
ლო და XX საუკუნე 107
მეექვსე თავი. პოსოშკოვი და ეკონომიკური მეცნიერების დასაწყისი რუსეთში 112
პეტრე I და რუსული მერკანტილიზმი 113
პოსოშკოვის ცხოვრება 114
სიღარიბე და სიმდიდრე 118
ფულის თეორიისათვის: ნომინალიზმი 123
ლომონოსოვისა და რადიშჩევის ეპოქა 125
მეშვიდე თავი. ადამამდე 129
XVIII საუკუნე 129
პოლიტიკურ ეკონომიას უყვარს რობინზონიადები 132
ექიმი მანდეევილის პარადოქსები 135
კლასიკური სკოლის ჩამოყალიბება 138
დავიდ იუმი 146
მერვე თავი. ექიმი კენე და მისი სექტა 150
განათლების საუკუნე 150
მარკიზა პომპადურის მედიკი 152
ახალი მეცნიერება 156

ფიზიოკრატები 161
ექვი ენენეს „ზიგზაგი“ 163
მეცხრე თავი. ტიურგო: მეცნიერი, მინისტრი, ადამიანი 167
მეცნიერი 167
მინისტრი 173
ადამიანი 177
მეათე თავი. ადამ სმიტი — შოტლანდიელი ბრძენი 179
შოტლანდია 181
პროფესორი სმიტი 183
სმიტი და საფრანგეთში 187
„ეკონომიკური ადამიანი“ 190
Laissez faire 195
მეთერთმეტე თავი. ადამ სმიტი — სისტემის შემქმნელი 198
„ხალხთა სიმდიდრე“ 199
შრომის დანაწილება 202
შრომითი ღირებულება 204
კლასები და შემოსავლები 208
კაპიტალი 211
სვიტელობა 214
სვიტის პიროვნება 216
მეთორმეტე თავი. დავიდ რიკარდო — გენია სიტიდან 219
სამრეწველო რევოლუცია 221
ყველაზე მდიდარი ეკონომისტი 223
მისადგომებთან: ფულის მიმოქცევის პრობლემა 227
შედარებითი დანახარჯების პრინციპი 232
მთავარი წიგნი 235
მეცამეტე თავი. სისტემის დასასრული: დავიდ რიკარდო 239
ღირებულების თავსატეხი 239
ნამცხვრის გაყოფა 244
საით მიდის კაპიტალიზმი 247
პარლამენტის წევრი 250
ადამიანური სახე 252
რიკარდო და მარქსი 253
მეთხუთმეტე თავი. რიკარდოსთან და მის შემდეგ 256
XIX საუკუნე 257
მალთუსი და მალთუსიანელობა 261
ადამიანები და მათი დედამიწა 263
ლიკარდოელობა 269
ჯონ სტიუარტ მილი 274
კომპრომისების პოლიტიკური ეკონომია 278
მეთხუთმეტე თავი. ეკონომიკური რომანტიზმი: სისმონდი 284
ენენეის მოქალაქე 285
კაპიტალიზმის კრიტიკა 288
კრიზისები 291
სისმონდიზმის ისტორიული ბედი 294
მეთექვსმეტე თავი. სეის სკოლა და კურნოს წვლილი 299
სეი როგორც ადამიანი და მეცნიერი 300
წარმოების ფაქტორები და შემოსავლები 302
„სეის კანონი“ 306
სკოლა 308
კურნო: ცხოვრება და მოღვაწეობა 309
კურნოს წვლილი 312
ტიუნენი და საზღვრითი ანალიზი 315
სარგებლიანობა 317
მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში 320
მეჩვიდმეტე თავი. ეკონომიკური ნაციონალიზმი: ფრიდრიხ ლისტი 324
ლისტი და გერმანული ისტორია 324
სამსახური, საპატიმრო, ემიგრაცია 326
„ნაციონალური სისტემა“ და სიცოცხლის აღსასრული 328
ერის სამრეწველო აღზრდა 330

პროტექციონიზმი და ვაჭრობის თავისუფლება 333
ისტორიული სკოლა 335
განსაკუთრებული შემთხვევა: როდბერტუსი 338
მეთვრამეტე თავი. დეკაბრისტების ეკონომიკური იდეები. ნიკოლოზ ტურგენევი 342
ბატონყმობა და კაპიტალიზმი 34[illegible]
დეკაბრისტები 345
ბოიხრობა ძმები ტურგენევების შესახებ 35[illegible]
პოლიტიკური დევნილი 357
გადასახადები 361
პუშკინი და პოლიტიკური ეკონომია 366
ოცეხრამეტე თავი. უტოპისტების მშვენიერი მითი: სენ-სიმონი და ფურიე 373
გოდუინიდან ლატაკამდე 374
მასწავლებელი 376
სენსიმონიზმი 378
შარლ ფურიეს მძიმე ცხოვრება 381
ეს შეშლილი საუკეთო 384
მომავლის სახე 388
მეოცე თავი. რობერტ ოუენი და ადრეული ინგლისური სოციალიზმი 392
ლიდ გელის ადამიანი 392
ოუენი და პოლიტიკური ეკონომია 396
მუშათა კლასის მოაზროვნეები 399
უტოპიიდან მეცნიერებისაკენ 401
ოცდამეერთე თავი. ორი ტიტანი: გერცენი და ჩერნიშევსკი 404
დეკემბრის აჯანყებიდან საგლეხო რეფორმამდე 404
ისკანდერი 407
რუსული გლეხური სოციალიზმი 412
ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ნაოლობის გზა 414
პოლიტიკური ეკონომიის ისტორია და კრიტიკა 420
მარქსისელების ეკონომიკური თეორია 421
[illegible] და რუსული ეკონომიკური აზრი 425
სახელთა საძიებელი 428

გამომცემლობის რედაქტორი თ. გაბელაია
ძხატვარი ო. ვარვარიძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორები: მ. ვარამაშვილი
ი. ვახტანგიშვილი

სბ 1354

გადაეცა წარმოებას 28. 04. 88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 07. 89 საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27,5. სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 27,67. ტირაჟი 2 000.
ფასი 2 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
380028, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამსახკომის სამხრეთ ოსეთის საოლქო პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის, 5.

Юго-Осетинское областное полиграфическое производственное объединение Госкомиздата ГССР, Цхинвали, Московская, 5.

Андрей Владимирович Аникин

ЮНОСТЬ НАУКИ
ЖИЗНЬ И ИДЕИ МЫСЛИТЕЛЕЙ-ЭКОНОМИСТОВ ДО МАРКСА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1989